

114
1971



გეოგრაფია

6

1971

ენათობი



ქრველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-კულტიკური შურონი

წელიწადი 47-ე

№ 6

ივნისი, 1971 წ.

საქართველოს საზოგადოებრივ-კულტიკური შურონი

შინაარსი

11-636

თანავი მოგონებები — შანი ჩხეიძე. რომანი	3
ოთარ მამოკლია — ერთი მუხა მიწა. პოემა	40
იოსებ ჯაფარიძე — ომის დასრულებამდე	62
დიდარ მამოკლია — ლექსები	68
ანდრო მამოკლია — საბ. ლექსი	71

კრიტიკა და კულტივირება

ალ ლომიძე — სიტყვა და სიმბოლო დიდიხალისი მამოკლიისა	72
კონსტანტინე მამოკლია — ნამდვილი კომედიის ძალა	75
დავით თაყაიძე — რამაზ ინანიშვილი	80
გიორგი გოჭალაშვილი — კვლევა „საქმი დიდი კავადოკილის“ მინერალის ინტეგრირება	88
ჯიჯო ლომოვანი — „ესე ამბავი საკრძალო...“	105
თაყაი მამოკლია — გარკონი მამოკლია	115
იოსებ მამოკლია — შურონი „კავადოკი“	118
ვაჟა მამოკლია — ისტორია და რომანი	130

შეკრები, მოგონებანი

სამსონ ფირცხალაძე — „მოგონებანი შურონი“



ბ. ზაუტაშვილი — „მეწაღი და თანამედროვეობა“



წერილი რედაქციას

ა. შავხელიშვილი, ლ. შრელაშვილი — დ. გომიჯოვიჩის სტატიის შესახებ 189



მთავარი რედაქტორი ელგუჯა მალრაძე

სარედაქციო კომისია:

ირ. აბაშიძე, დ. ბინაშვილი, დ. გამიჯოვიჩი, შ. ლეონიძე, ბ. შლენტი, ა. სულაიაშვილი, ა. ჭოთათაძე, ე. ურდინი (პ/მ. მღვიანე), ხ. შანშიაშვილი, დ. შიგაიაშვილი, ვ. ჯალაია, მ. ბილაძე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ნაკვებაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის ქროსბეჭეტი № 18.

გადაეცა ასაწყობად 23/IV-71 წ., ხელმოწერილი დისბეჭდად 21/VI-71 წ., ანაწყობის ზომა 71/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. საიდ.-საგამომცემლო თბილისი 18.

ბალეფონები: რედაქტორის — 98-55-11-უა 02071. ტირაჟი 13.440. შეკვ. № 1595. პ/მ. მღვიანის — 98-55-18, განყოფილებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20. საქ. კვ ც-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ქ ე მ ი რ ვ ე ნ ი

კ ო მ ა ნ ი

უ ნ ა ხ ა ლ ი

დიდი ხნის წინათ საგანგებოდ შენახულ ნახატს ვეძებდი. იგი ფანქრით იყო შესრულებული და რომელიღაც წიგნში მეგულებოდა. სწორედ ამ სურათის გამო მოვნახე სარდაფში მიგდებული მამაპაპური ზანდუკი და ვადმოვაქოთე ძველისძველი წიგნები.

ერთ წიგნში გაცრეცილი ტალონი ვიპოვე. ომის დროს ასეთი ტალონით ნავთს ვიღებდით ხოლმე. აღარ მახსოვს, როგორ მოხვდა იგი ამ წიგნში, ასე ლამაზად ჩაკეცილი, თითქოს საგანგებოდ შენახული. პატარა ტალონმა დიდი და მძიმე ამბები გამახსენა, გულის კრილოზა გამიხსნა და დამაღონა.

ნახატს, როგორც იქნა, მივაგენი. გამეხარდა. კარგად შენახულიყო. ვაგშალე და დავაცქერდი. მხატვრის წარმოდგენით ოდესმე სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო ის ქუჩა, სადაც მე ვცხოვრობდი ბავშვობასა და ჭაბუკობის პირველ წლებში.

ჩემი ქუჩა გადააკეთეს. მხატვრის ნაზრევი კი ქალაღზე დარჩა, ქალაღზე, რომელიც ნავთის ამ ტალონივით მივიწყებული მქონდა.

ნახატი დავკეციე, ჭიბეში ჩავიდე და ცოტა ხნის მერე საბურთალოსკენ გავ-

წიე, სადაც ოცსართულიან სასტუმროს აშენებდნენ.

ვაზაფხულის მზიანი დღე იყო.

გმირთა მოედნიდან აღმართს ავუყევი. სწორედ აქედან იწყებოდა ჩემი ქუჩა.

ჩემი!

ვინ დაგიმტკიცაო, ალბათ მკითხავთ. მე თვითონ დაგიმტკიცე, რადგან ჩემს გულში ცოცხლობს იგი ისეთი, როგორც მაშინ იყო, როცა ამ ქუჩაზე ოცი წელი გავატარე. მერე აღარც მე შევრჩი ქუჩას და ქუჩამაც ისე იცვალა სახე, ძველის აღარაფერი შერჩენია.

ახლანდელ ქუჩაზე ვერ ვიტყვი ჩემიმეთქი, რადგან ის სულ სხვა არის — დიდი, განიერი, სწორი და ლამაზი. თუმცა ამას უფრო ვესიყვარულები.

გაქრა ჩემი ქუჩა. ის კი ჩემი საკუთრება არასოდეს ყოფილა. მასზე გავლა-გამოვლისათვის ბაჟი არავისგან არ ამიღია, არავის ჩემთვის ნებართვა არ უთხოვია სახლის ასაგებად. არც ინჟინრები და მუშეები დამეკითხნენ, როცა პირველად მოვიდნენ და ხრეშითა და ფისით მოასწორეს ქუჩის ერთიბეწო შუაგული. რამდენიმე წლის შემდეგ სხვა ინჟინრები და მუშეები გამოჩნდნენ,

გამხმარი ფისი ასფალტით შეცვალეს. არც ისინი დამეკითხნენ რაიმეს. უფრო გვიან ქუჩას ტროტუარი გაუკეთეს. შეფუურებდი და მახარებდა ქუჩის ფერისცვალება.

ჩემი ბავშვობის წლები ვადიოდა და ქუჩაც ნაირსახეობდა, თანდათან კოხტავდებოდა, როგორც მოზარდი გოგონა.

...მაგრამ მაინც ჩემს გონებაში დარჩა ის, მარად სახსოვარი, რასაც ჩემს ვუწოდებ. ვინც არ უნდა სცადოს, ვერ წაშარტმევს, რადგან ის ჩემია, ჩემი, როგორც გაუმხელელი სიყვარული.

ჩემი ქუჩის ბინადართაგან ბევრი ცოცხალია, ბევრმა სამუდამოდ მოისვენა.

ცოცხალთაგან ბევრს გაახსენდება ჩემი ქუჩა და გულში, ალბათ, ისინიც ამასვე ამბობენ, ჩემო. ზოგი იტყვის ჩვენიო, ვითომ კერძობაში არ ჩამომართვანო, ქუჩა საზოგადოა. ქუჩა ქვეყნისაა, ქუჩა ქალაქისათა და...

დაე, ასე იყოს. მაგრამ ის ფერები ზომ ჩემია, რაც ამ ქუჩიდან მახსოვს. და მახსოვს ბევრი რამ სანუკვარი, ბევრი მწარეც. მაგრამ მოგონებათა ბურუსში იკარგება ბალდამი, რჩება ტკბილმოსაგონარი, შორეული და ამაღლეველი. ასეა, როცა წარსულს ვადახედავ...

...ვიდეთ და შევეყურებდი თანამედროვე დიდი ქალაქის ორი განიერი ქუჩის განშტოებას. სწრაფად ჰჭროდნენ ავტომანქანები.

ქუჩების გასაყართან ოცსართულიან სასტუმროს აგებდნენ. მეთორმეტე სართული აყვანილი იყო. მშენებლობაზე მეგულებოდა ერთი ადამიანი, რომლისთვისაც სამახსოვროდ მიმქონდა ამ ოცდაათი წლის წინათ დახატული ქუჩის სურათი.

მოედანი გადავიარე და მშენებლობას მივადექი...

1.

ჩემი ქუჩა ერთი დიდი გზის მონაკვეთი იყო. ის გზა ჩრდილოეთ კავკასი-

აში იწყებოდა და თბილისში, კერძის ხიდთან თავდებოდა, საბურთალოზე ლარივით სწორდებოდა. გზის ამ ნაწილს ბალ-ბოსტნიანი სოფლური ყაიდის კარმიდამოები ამშვენებდა.

ჩემს ქუჩაზე ყველაზე მაღალი სახლი ორსართულიანი იყო. ასეთს ხუთი-ოდეს დაითვლიდით. დაბალი სახლები და ქოხმახები ისე მიეყარ-მოეყარათ, თითქოს დაზარებიით უბნის წესრიგში მოყვანათ. ვისაც როგორ შეეძლო, ისე აშენებდა, სადაც მოესურვებოდა, ქოხს იქ დგამდა, ოღონდ ქუჩის ხაზზე არ გადმოსულიყო. სულ შენებაში იყო ჩემი ქუჩა. შენდებოდა შეუმჩნეველად, ულაზათოდ. მიშენებულ-მოშენებულ ქოხებში ხალხი ცხოვრობდა. ჰქონდათ საკუთარი ბალ-ბოსტნები. მზამზარეულ ბინას არავინ ითხოვდა. მადა მერე ვადევიძათ. ადრე კი ცხოვრობდნენ იქ, სადაც ბედმა არგუნათ ყოფნა.

ჩემს ქუჩაზე იყვნენ ხაბაზები, მუღუქნეები. იყო დაწყებითი და რვაწლიანი სკოლა, საბავშვო ბაღი, ერთი პაწია აფთიაქი, ბიბლიოთეკა, ნავთის სარდაფი, ბურისა და ვასტრონომიული მაღაზიები, ძაღლების სანაშენე, სახაშე, ღვინის ფარდული. და იყო უამრავი ფუნდუკი, სადაც ურმებითა და ცხენებით ჩამოდინდნენ და რამდენიმე დღით ბინავდებოდნენ ეინვალელები და ფასანაურელები, დუშეთელები და თიანეთელები.

ალბათ ბევრს ახსოვს, სწორედ იქ, სადაც ახლა ოცსართულიანი სასტუმროა წამოკიპული, საბურთალოს ყველაზე დიდი ფუნდუკი იყო. ამ ადგილს, როგორც ეტყობა, სტუმრიანობა დაჰკვებებია.

იმ დროს რომ იტყოდნენ, ოცსართულიანი სახლიო, ეს საკვირველება იყო და მაშინვე ამერიკის ცათამბჯენები წარმოგვიდგებოდა.

ფუნდუკი მიბრეცილ-მობრეცილი ქოხებით იყო საესე. დიდ ეზოში ნეხვი და სიმყარაღე არ ილეოდა.

ძაღლების სანაშენეში ჯიშისანი ქო-

ფაეები გამოჰყავდათ. იქიდან ერთავად ღნაქილი, წყავწყავი და ყუფა ისმოდა.

წვიმა ქუჩას ატალახებდა, გაუვალს ხდიდა. ალაგ-ალაგ ისე დაიტბორებოდა. სოფლის საურმე გზას დაემსგავსებოდა. მერე მზე ტალახს გაახშობდა და ახლა გორახებით იბრიცებოდა. ორიოდ ნანქანა გაივლიდა და მტკრის კორიანტელს აყენებდა.

მაშინ ნავთქურებს ვხმარობდით. ნავთზე დიდი მოთხოვნილება იყო. ნავთი კი იშვიათად მოჰქონდათ წერტში. მიუხედავად ამისა, სარდაფთან ყოველ დღე უამრავი ხალხი ირეოდა.

როცა ნავთი არ იყო, მენავთე, ერთი გაზინტლული ბერიკაცი, სარდაფის კიბის თავთან იჯდა, კრიალოსანს მარცვლავდა და არაეის არ ელაპარაკებოდა.

ნავთი პირველ ხანებში ცხენის საზიდრით მოჰქონდათ, მერე ავტომობილით დაიწყეს ზიდვა.

სანამ ნავთს მოიტანდნენ, სარდაფთან უზარმაზარი რიგი იმართებოდა.

ნავთის რიგი ერთ პატარა შუკაში, ღობის გასწვრივ იწელებოდა.

შუკაში ორიოდ მოსახლე იყო, ხოლო იქით საბურთაო მინდორი იწყებოდა.

მინდორზე ფეხბურთის სათამაშოდ ქალაქიდანაც მოდიოდნენ გუნდები. იმართებოდა მატჩები. ვგრძნობდით, რომ ჩვენში ფეხს იკიდებდა ეს წარმატებული სპორტული სანახაობა. მატჩებს ბავშვები და ახალგაზრდები ვესწრებოდით. მაშინ ჩვენს უბანში ბევრმა არ იცოდა ბორის პაიჭაძის სახელი, პეღე, გარინა, მესხი და მეტრეველი დაბადებულები არ იყვნენ... არაეინ იცოდა სტენლი მეტიუზის სახელი, მიუხედავად იმისა, რომ საბურთალოზე ყველა ბავშვი ბურთს თამაშობდა.

ნავთის რიგს მთელი იმ უბნის მცხოვრებნი იკავებდნენ. ჰქონდათ თუ არა ჰქონდათ შინ ნავთი, მაინც რაღაც ნივთს სტოვებდნენ გაწელილ რიგში, ადგილს წინასწარ იზღვევდნენ და მალიმალ აკითხავდნენ. ნავთზე ახლად გაშენებული

უბნებიდანაც მოდიოდნენ. ერთ-ერთი ასეთი უბანი ახალშენად იყო წოდებული. იქ უფრო მეტი ხალხი ცხოვრობდა, ვიდრე ჩემს ქუჩაზე. მოცლოლები თავად დგებოდნენ რიგში, ხელსაქმეც კი მოჰქონდათ. მოუცლელთაგან ზოგი აგურით იკავებდა რიგს, ზოგი ბილონით, ველროთი, კონსერვის კოლოფით... ჩარიგებულ ნივთებს ცარციით ნომრავდნენ.

უნდა გენახათ ის წუთი და ის საათი, როცა ცხენები ჰბანაწყვეტით ამოიტანდნენ უზარმაზარ, წითლად შეღებულ კასრს აღმართზე და კიმოთეს სახინკლესთან სულს მოითქვამდნენ. ნავთს აკრამებული ბიჭ-ბუჭების ბრბო მოჰყვებოდა.

— ნავთი მოაქვთ, ნავთი! — მთელი ქუჩის გასაგონად გაჰკიოდნენ ისინი.

და როგორც ერთბაშად წამოშლილი ბელურების გუნდი, ისე მოაწყდებოდა ხალხი ნავთის სარდაფს.

— ჩემი კოლოფი!

- ჩემი აგური!

— აჰ ვიდექი, გამიშვი!

იმართებოდა მიწეგ-მოწევა, ისმოდა ყაყანი, ლანძღვა-გინება. ყველა იმას ცდილობდა, ამ მოტანაზე მოესწრო ნავთის აღება, თორემ, ვინ იცის, მეორედ როდისღა მოიტანდნენ.

მენავთე შეგუებული იყო აყალმაყალს. სარდაფში რკინის მაგარი ბარიერი ჰქონდა. იყო შემთხვევა, როცა რამდენიმე კაცი ბარიერს გადაეგლო. ერთმა მათგანმა ნავთით სავსე ავზში მოადინა ტყაპანი... დიდი აურზაურითა და ომით იყიდებოდა ნავთი.

მეორე დღეს მენავთე ისევ კიბის თავზე იჯდა უსაქმურად, ისევ მარცვლავდა კრიალოსნის ქარვის თვლებს და არაეის არ ელაპარაკებოდა, თითქოს წინა დღეს გამართული აყალმაყალის გამო ერთიანად ყველას ემდურისო. იმ დღესაც მოდიოდნენ ზოგ-ზოგნი, რიგს კვლავ იკავებდნენ. ერთი ვინმე ჩამოივლიდა და ცარციით დანიშნავდა კონსერვის კო-

ლოფებს, ქვებს, დაპყვენილ, ძირგახვრეტილ ვედროებს...

ერთხელ ვილაყამ რიგის დასაკავებლად ძველი სამოვარი მოიტანა. სამოვარმა საუბრის საღერდელი აუშალა რიგში მდგომთ.

ერთმა თქვა, სამოვარში აღუღებულ ჩაის სულ სხვა გემო აქვსო. მეორემ ინატრა, ამ უნათობაში კარგი იქნებოდა სამოვარი რომ შექონდესო. მერცადა, ნახშირიო, ჰკითხა ბერიკაცმა და აქვე ისიც დაუმატა, ნავთლულიდან მოტანა არ უნდაო? თითქოს ნახშირი ბაღდადიდან იყო მოსატანი.

სამოვარს თვალს არ აშორებდნენ. ახლა იმის გამორკვევას შეუდგნენ, ხმარებით დაძველდა თუ უხმარობით. სამოვარს ონკანი არ ჰქონდა, არც სახურავი გაჩნდა. მოღრცელ და დაპყვენილ ფეხებზე ძლივს დააყენა პატრონმა. ძველი იყო, მაგრამ ნავთის რიგში ჩამწყრივებულ ხარახურაში მიინც გამოირჩეოდა. ასე იყო სამი დღე და დამე. მერე, როცა დაიძახეს ნავთი მოაქეთო, ვილაყამ ფეხი ამოჰკრა სამოვარს და შორს მოისროლა. სამოვარი გაბზარული ხმით გაგორდა და შუკის მეორე მხარეს ღობეს მიენარცხა. სწორედ ამ დროს მოვარდა სამოვრის პატრონი, ხელი დასტაცა და აჩოჩოლებულ რიგს მივარდა. სიახლოვეს არავინ გაიკარეს. ხელი ჰკრეს და გამოადგეს, ჩვენ არ ვიცით სად იდგებიო. სამოვარი იდგაო, არ დაუჭერეს. ვილაყას ერთმა პატარა, დაქანგულმა კონსერვის კოლოფმა დაუკავა რიგი, ამას კი სამოვარმაც ვერ უშვებლა.

...ნავთი გათავდა. ის სამოვარი კი ისევ რიგში იდგა, სადღაც ქვების, აგურების, კონსერვის კოლოფების შემდეგ. ერთ დროს კი, ვინ იცის, რა სუფრაზე თუხთუხებდა და მხიარულობდა სავსე, ცხელი და პრიალა.

ახლა სხვები აღაპარაკდნენ სამოვარზე. მოხუცი აღამიანივითააო, თქვა ვილაყამ.

2.



მალე ჩემს ქუჩასაც მიხეტდნენ მოკირწყლული მებრძოლი სივანეზე მოკირწყლული. აქეთ-იქით ისევ დარჩა მიწა, თბრილი, წუშპე და ტალახი. მაგრამ მაშინ ეს მაინც დიდი საქმე იყო, მანქანები მტვერს ისე აღარ აყენებდნენ.

მიყვარდა ნინოშვილის სახელობის ბიბლიოთეკა. ჩვენი სახლის მახლობლად იყო და მისი ხშირი სტუმარი ვახლდით. ბიბლიოთეკას ორი დიდი ფანჯარა ჰქონდა. ერთი მათგანი სახლის კუთხეში იყო დატანებული, ზედ ნავთის სარდაფის თავზე. აქედან კარგად ჩანდა ქუჩა და ჩვენი სახლი.

ბიბლიოთეკის პატარა სამკითხველო დარბაზში, სადაც ერთი გრძელი მაგიდა იდგა, ცოტანი ვიყრიდით თავს. ძლიერ მიყვარდა ახალ-ახალი ჟურნალების თვალიერება. ჯერ ამან გამიტაცა. მერე რამდენიმე მკითხველს დავეუახლოვდი. საინტერესო ამბებს ჰყვებოდნენ ხოლმე და წესად მეჭეცა, სადამო ხანს სამკითხველოში ჯდომა.

პენსიონერ მასწავლებელს, ილიკო კალაძეს, არა საქმე არა ჰქონდა რა და თითქმის მთელ დღეს ბიბლიოთეკაში ატარებდა; ბიბლიოთეკის გამგეს, ქეთო ქარუხნიშვილს ეხმარებოდა. ბიბლიოთეკა მისთვის მყუდრო სავანე იყო.

— ნავთის სუნი არ გაწუხებთ, ძია ილიკო? — ვინ იცის, მერამდენედ ეკითხებოდა შერმაღინ ლაცაბიძე, ჩვენსავით ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი და ილიკოსთან დაახლოებული ყმაწვილკაცი. შერმაღინი ჩვენი სახლის პატრონის შვილი იყო და ჩემთან მეგობრობდა, სატრფიალოდ ლექსებს წერდა. თავადვე სასიამოვნოდ ამღერებდა ფანდურზე. დეიდა ქეთო არ უშლიდა სიმღერას, როცა სამკითხველოში მხოლოდ ჩვენ — მე, ილიკო მასწავლებელი, შერმაღინი და ქეთო ვიყავით. ისეთი საამური, ისეთი თბილი ხმა ჰქონდა, მის მოსმენაზე ილიკოს თვალზე ტრემლი ადგებოდა. სიმღერას რომ დაამთავრებდა, შერმა-

დინი ახლად დაწერილ ლექსს ამოიღებდა ჯიბიდან, ხმადამლა წაუკითხავდა ძია ილიკოს და მერე ერთად ასწორებდნენ.

შერმადინი ხანდახან იქვე წერდა რაიმეს. წერდა გამაღებით, თითქოს ეშურებოდა, არავინ მომასწროსო. მას კი მთელ ჩვენს ქუჩაზე არავინ ეჯიბრებოდა არც პოეტობაში, არც ფანდურზე დაკვრა-დამღერებაში. ბადალი და მოცილე არავინ ჰყავდა. სულ სატრფიალო ლექსებს წერდა და მღეროდა. თექვსმეტი წლისა იყო და გული სხვა არაფერს უუბნებოდა. მაშინ მე ცამეტისა ვიყავი და ბევრი არაფერი გამეგებოდა მისი სატრფიალო ლირიკისა. მისი სიმღერა კი მომწონდა.

როცა შერმადინი ბიბლიოთეკაში არ იყო და ვინმე ხმამაღლა წამოილაპარაკებდა, დეიდა ქეთო აფრთხილებდა, ჩუმიდაო. შერმადინს კი სიმღერასაც არ უშლიდა.

მაშინ კი, როცა ცხენები ჰაპანწყვეტით აღმართზე ნავთს ამოიტანდნენ და სარდაფთან მუშტი-კრივი გაიმართებოდა, ბიბლიოთეკაში ველარავინ ჩერდებოდა. ხალხის გნაისისგან ფანჯრები ზრიალებდა, ვიღას ახსოვდა, რომ იქვე ბიბლიოთეკა იყო და მკითხველს მყუდროება სჭირდებოდა. შერმადინი ბიბლიოთეკაში თუ იჯდა და წერდა რაიმეს, ლირიკით გატაცებული ჰბაბუკი, რომ-ტრიალის მიუხედავად, საქმეს მაინც არ ანებებდა თავს. ცა რომ ჩამოქცეულიყო, მაინც წერდა. იგი სულით და გულით სულ სხვაგან იყო.

— საინტერესოა, როდის მივიღებთ ბევრ ნავთს? — იტყოდა ილიკო და მერე შერმადინის ნაწერს გადახედავდა.

ერთი სული მქონდა გამეგო, იმ ღრიანცელში რა გამოსდიოდა ახალგაზრდა პოეტს. ილიკო მხოლოდ ზოგიერთ სტრიქონს უსწორებდა. შერმადინი ყველაფერში ეთანხმებოდა.

მოგვიანებით, როცა ნავთი ვათავდებოდა, როცა იჭაურობა მიწყნარდებოდა, როცა დეიდა ქეთო დარდიანად და შევებით ამოიოხრებდა, შერმადინი ფან-

დურს მოიმარჯვებდა და ახალდაწერილ ლექსს რაიმე ჰანგს მიუყენებდა. ხალხე ახალი სიმღერა მზად იყო.

ხანდახან ხალხის ღრიანცელშიც უფხავუნებდა ფანდურის ლარებს და ხმაურში ეძებდა ჰანგებს.

ერთხელ, ვიღაც უცნობმა გოგონამ პირველად შემოაღო ბიბლიოთეკის კარი. მას თან მოხუცი ქალი ახლდა. ამ ქალსაც პირველად ვხედავდი. ისინი ჩემს ქუჩაზე არასოდეს არ შემომჩნევია.

ამ ერთი კვირის წინათ, ჩვენი ეზოს გასწვრივ, ახალშენის მხარეს, ხუთსართულიან სახლში ხალხი შეასახლეს. ალბათ იმ სახლის ბინადარნი თუ იყვნენ.

ის თეთრად შეფეთქილი დიდი სახლი მთელ იმ არემარეში გამოირჩეოდა. ნეტარებითა და ნატვრით შეეყურებდით. ამბობდნენ, შიგ რალაც ზღაპრული ბინებიაო. ყველა ოჯახს საკუთარი აბაზანა აქვს, აბანოში წასვლა აღარ მოუხდებათ და შინ ტამბეტსა და ვარცლებში წუმბლაობაო. გაგებული გქონდა, რომ ამ სახლში სულ დამკვრელები და შრომაში წარჩინებული ხალხი შეასახლეს.

დამკვრელთა სახლის გვერდით მეორე დიდ შენობას აგებდნენ სკოლისათვის. ჩვენს ქუჩაზე კი დიდი სახლის საძირკველი არა და არ იჭრებოდა.

საიდან იქნებოდნენ ეს მოხუცი ქალი და გოგონა, თუ არა დამკვრელთა სახლიდან?!

გოგონას შავი, დაკვესებული თვალები ჰქონდა. პირველსავე შეხედვაზე შეატყობდით, ანცი და დაუდგრომელი უნდა ყოფილიყო. ერთბაშად დიდი ცნობისმოყვარეობით შეგკავთვალაიერა, მერე ლამაზი სახე დაემანქა, ცხვირზე იტაცა ხელი და წამოიძახა:

— ფუი, როგორ ყარს აჭაურობა!

— ნავთის სუნია, ირმა, — ხმადამლა უთხრა ქალმა და უფრო ხმადამლა კი გააფრთხილა, — სირცხვილია, გაჩუმდი.

გოგონა დეიდა ქეთოს მიუახლოვდა. თავაზიანად და თამამად მიესალმა, მოხუცი ქალს არც კი აცალა რაიმეს თქმა, ბიბლიოთეკის გამგეს მიმართა:

— თუ შეიძლება ჩამწერეთ თქვენს ბიბლიოთეკაში. აბა, ბებო, მიეცი საბუთები!

— ჰო, თუ კიდევ რაიმე იქნება საჭირო, მოგართმევთ, — ბებიამ ერთად შეკრული რამდენიმე ქაღალდი გადასცა განგეს.

დეიდა ქეთომ თვალი გადაავლო ცნობებს და მერე ბარათის შეგსებას შეუდგა.

— ირმა ლევანის ასული მალაკელიძე, 1924 წელს დაბადებული, — უკარნახა გოგონამ.

— აქ წერია ყველაფერი. გთხოვთ ჩუმად იყოთ. — სთხოვა დეიდა ქეთომ.

ერთხელ კიდევ გადმოგვაელო თვალი ირმამ. სამკითხველოში მაგიდას ორნი ეუსხედით, მე და ძია ილიკო.

როცა ქეთომ ბარათი შეავსო, ირმას ბებია ხმადამლა გამოესაუბრა.

— პატარა ბიბლიოთეკა ყოფილა. რამდენი წიგნი გაქვთ?

— ათასამდე იქნება, — მიუგო დეიდა ქეთომ და ბებიას კატალოგის ერთ პატარა უჯრაზე მიუთითა, — ესაა მთელი ჩვენი მხატვრული ლიტერატურა.

— გმადლობთ, — უთხრა ბებიამ და კატალოგის უჯრა მაგიდაზე გადმოდო. სანამ კატალოგის ფურცელს მიჰყოფდა ხელს, შემოგვხედა. ბებიასაც ეტყობოდა სიცოცხლით სავსე ქალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თავშეკავებული, ამ ერთი შემოხედვით თითქოს ბოღიშიც კი მოგვიხადა.

ბებიამ ცხვირი კატალოგში ჩარგო, ირმა გვერდით მიუჯდა. ცმუქავდა, მოუსვენარ თვალებს აქეთ-იქით ათამაშებდა. უნებურად იქცევდა ჩემს ყურადღებას. რამდენჯერმე ვცადე, თვალი მომერიდებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე. მეცინებოდა კიდევ მის თავდაუპოროხილებელ ქცევაზე. ვერცხლის წყალივით იყო. სიცოცხლის ძლივს ვიკავებდი. ასე მეგონა, რომ ის ვერ მამჩნევდა. მაგრამ უცებ, მოულოდნელად, ისე, რომ სახე ჩემსკენ არც კი მოუქცევია, ცერად გამომხედა და ენა გამომიყო. სახტად დაე-

რჩი, მაგრამ თავი შევიკავე და არაფერი უთხარი. მაშინ კი ვიბრუნე, ~~ჩემსკენ~~

ბებია კატალოგს ფურცელად ~~დამსწრე~~

— ეს წაიკითხული გაქვს, ესეც, — მესმოდა მისი ხმა.

— დიახ, პატივცემულო ბებო, — უდასტურებდა ცელქი გოგონა.

— ენა დაიმოკლე! შინ ხომ არა გგონია შენი თავი?! — ბოლოს ევლარ მონიშინა და შეუწყრა ბებია.

ვერ მოვიტომინე ზურგშეშტევიტ ჯდომა. პირველად ძია ილიკოს შევხედე. მას გაზეთისათვის თავი მიენებებინა და ირმას უყურებდა.

— ეს წიგნი კი საშენო არ არის, — თქვა ბებიამ და სწრაფად გადაშალა ფურცელი.

— ვითომ რატომ? მაჩვენე, მაჩვენე!

— ირმა, შინ მოვილაპარაკებთ! — უკვე გულმოსულმა ჩაისისინა ბებიამ, — რომ გეუბნები საშენო არ არის, ესე იგი მე უკეთ ვიცი!

— მაინც, რატომ არ არის საჩემო? ამიხსენი რა არის ისეთი?

ძია ილიკო ზუმრობით ჩაერია ბებიისა და შვილიშვილის საუბარში.

— ახლა ყველაფერი რომ წაიკითხო, მერე აღარაფერი დაგრჩება წასაკითხი.

— სულ მაგას ჩამჩიჩინებენ. გმადლობთ! — მოზრდილი ადამიანივით მწყურალად შეხედა ირმამ.

ძია ილიკო გახევედა გოგონას პასუხზე. მერე გაზეთი ააშრიალა, მაგრამ ვერაფერი მოძებნა თავის დამამშვიდებელი და ახლა სხვა გაზეთს გადასწვდა.

— თავს ნუ მჭრი! — გაისისინა ბებიამ და ირმას მუჭლუფუნი წაჰკრა.

— ჰოდა, თავი დამანებონ. სხვას რაში ეკითხება მე რას წავიკითხავ და რას არა...

— მარკ ტვენის, „ტომ სოიერის თავგადასავალი“, — ჩაიხურჩულა ბებიამ. — საშენო არ არის.

— გამაგებინეთ, ნეტავ რა არის საჩემო, „მელია და მწყურჩიტა“, „თხა და გიგო“ თუ „ნაიარქქქია“?

მე მიყვარდა მარკ ტვენის წიგნი, სამ-

ჯერ ზედზედ წავეკითხე. ძალიან გა-
მიკვირდა. რატომ არ უნდა წავეკითხა
იოანასაც. ისიც ხომ თითქმის ჩემი კბილა
ჩანდა. დიდი დიდი რამდენიმე თვეში
ყოფილიყო განსხვავება.

ბებუის სიტყვების გაგონებაზე ილი-
კო აწრიალდა. ვერ მოითმინა და ბებუას
მიმართა:

— სწორედ ასეთ ასაკში კითხულო-
ბენ „ტომ სოიერს“.

ბებუამ ილიკოს არაფერი უბასუხა,
ირმას კი უთხრა:

— ჩვენ მაინც არ წაველებთ ამ წიგნს.
ესლა გვაკლია!

როგორც იქნა გამოძებნეს სხვა წიგნი.
როცა ბიბლიოთეკიდან გადიოდნენ, არც
ერთისათვის არ შემიხედავს. კარი რომ
მოიხურა, ძია ილიკომ ხელები გაშალა
და წამოიძახა:

— პირში ბურთი ჩამჩარეს. გავო-
ნილა!

მე მაინც იმას ვფიქრობდი, რატომ
არ წაიღეს „ტომ სოიერის თავგადასა-
ვალი“. პირველად რომ წავეკითხე, მთე-
ლი ღამე ვბორბავდი, თავი ტომ სო-
იერად წარმოვიდგინე და ჰეკლბერი ფინ-
თან შეხვედრასაც კი ვნატრობდი. ამის
შემდეგ წიგნი კიდევ ორჯერ წავეკითხე.
ირმას კი ერთხელაც არ აკითხებენ.

ბიბლიოთეკაში შეხვედრის მეორე
დღეს ირმას სკოლაში მოვკარი თვალი.
არ ვიცი, მიცნო თუ არა, ყურადღება
არ მოუქცევია, კიბისკენ გაიქცა, მო-
აჯირს ვადაეყუდა და ქვევით ჩასრიალ-
და. ასე მხოლოდ ბიჭები იქცეოდნენ.
გოგონას ვაკვირვებით მივაჩერდი, ეს
ვინ ყოფილა-მეთქი.

სალამოს ბიბლიოთეკის ფანჯარიდან
მოვკარი თვალი. სწრაფად გადმოჭრა
ქუჩა და ჩვენთან შემოგვარდა.

ბიბლიოთეკა ხალხით იყო სავსე. მკი-
თნეულები მაგიდასთან რომ ვერ ეტე-
ოდნენ, ზოგს სკამი ფანჯარასთან მიედ-
გა. ყველამ ირმას შეხედა. მან კი ყუ-
რადღება არავის არ მიაქცია, დეიდა
ქეთოსთან მივიდა, მიესალმა და წინა
დღეს წალებული წიგნი დაუბრუნა.

— ასე მალე წაიკითხე?

— არ მომეწონა. — უბასუხა, ირმამ.
ქეთომ არაფერი უთხრა. ბიბლიოთე-
წიგნის დაბრუნება აღნიშნა.

— „ტომ სოიერის თავგადასავალი“
მომეცით, — სთხოვა ირმამ. მე რე რა-
ტომაც ჩვენსკენ მოიხედა, ძია ილი-
კოს თავი დაუკრა და გაუღიმა.

ილიკოს არ მოეწონა გოგონას ასეთი
სალამი. თავი უხერხულად იგრძნო. წი-
ნა დღის წყენა გულში ედო, მაგრამ მი-
სალმების პასუხად მაინც მდაბლად და-
უკრა თავი ირმას.

— მერე, ბებუა რას გეტყვის? —
ჰკითხა ბიბლიოთეკის გამგემ, როცა
თაროდან „ტომ სოიერი“ გადმოიღო.

— ბებუას არც გავაგებინებ.

— გიყვარს წიგნები?

— ამას რატომ მეკითხებით? — იწ-
ყინა ირმამ, — მიყვარს. რატომ არ უნ-
და მიყვარდეს?!

— არა, ისე გკითხე. — უხერხულად
შეიშმულა დეიდა ქეთო, რადგან ირმას
სიტყვა მერტად შკაკრი და არაბავშვეური
იყო.

3.

ერთხელ ამხანაგთან ერთად ჩვენი
უზოს ჰიშკართან ვიდექი. ამხანაგს ვეხ-
ვეწებოდი შინ შემყოლოდა. თან წას-
ვლას ეშურებოდა, ჩემთან საუბარსაც
ვერ ელეოდა. მანქანები მტვერს გვაყ-
რიდნენ, ჩვენ მაინც ფეხს არ ვიცვლი-
დით.

უზოდან კოხტად ჩაცმული შერმადი-
ნი გამოვიდა. ეტყობოდა ქალაქში მი-
დიოდა. მხიარულ გუნებაზე იყო. აღ-
მართოდან ერთი აურხაური შემოგვესმა
და ჰაბუკი ადგილზე გახედა.

ჩემი ქუჩის „ყეენობა“ დაიწყო —
ნაეთი მოჰქონდათ.

აღმართზე ორმა ცხენმა ძლივს ამო-
აგორა დიდი წითელი კასრი. უკან ბიჭ-
ბუჭები მისდევდნენ. დიდებიც ერივნენ.
ამ ბრბოში თვალი მოვკარი ირმას. ბი-
ჭებში ჩამდგარიყო, ხელში ბიღონი

ეჭირა და ზედ მხიარულად უკაცუნებდა რალაცას. გოგონას ცუქცუქით მოჰყვებოდა ბებიის.

ამის დანახვაზე შერმადინს გაეცინა. გოგონას თვალი ვააყოლა, ვიდრე ნავთის საზიდარს აღევნებულს ხალხი სარდაფთან არ მივიდა. იქ კი ისეთი ამბავი იყო, ირმაც ჩაიყლაბა და ბებიაშისიც.

შერმადინს ეჩქარებოდა და წავიდა. მე და ჩემი ამხანაგი ნავთის წერტთან ამტყდარ ალიაქოთს შევყურებდით. ჩვენც არაერთხელ ჩაგრულუვართ ამგვარ ამბავში, როცა ნავთი გვეჭირდებოდა. როგორც იქნა თვალი მოკარი ირმას ბებიას. წერტის კართან შეჭვუფულმა ხალხმა იგი განზე გააგდო. ქალი მაინც მიიწვიდა, რალაცას ჩიოდა, წიწმატობდა. ეტყობოდა ირმას ეძებდა, რომელიც ბრბოში ჩაიყლაპა. ბებია ხან აქედან მოუვლიდა ხალხს, ხან იქიდან. მუშტივით შეკრულ ჯგუფში ვერა და ვერ შეაღწია. სიხლოვეს არავინ გაიკარა. ხალხის თავზე ვედროები და ბიდონები გადადიოდა.

ჩვენ ბებიას ვუცქერდით და ვერ შევნიშნეთ საიდან გაჩნდა ირმა. სანამ ნავთის კასრი დაცალეს, სანამ მენავთე ნავთის გაყიდვას დაიწყებდა, ირმას რკინის ბარბერამდე ჩაეღწია და პირველი გამოჩნდა ნავთით სავსე ბიდონით.

საოცრად „ამაღლელებელი“ იყო ბებიისა და შვილიშვილის შეხვედრა. ბებია დაფეთებული მიეარდა შვილიშვილს, გულში ჩაიკრა და, ალბათ, თვალცრემლიანმაც დაკოცნა დაკარგული, აწ ნაპოვნი შვილიშვილი.

ჯერ არც ერთ კაცს არ ამოეტანა ნავთი სარდაფიდან, ირმა და ბებიაშისი კი შინისკენ მიაბიჯებდნენ. გოგონას თმა გაჩეჩილი ჰქონდა. გზადაგზა ისწორებდა და თან ბებიას ყოჩაღი ბიჭივით მოუთხრობდა როგორ ჩაეღწია სარდაფში. მასთან ვინ რას გახდებოდა. ზარზეიმით მივიდა და ყველაზე პირველმა აიღო ნავთი.

ბიდონი ახლა ბებიას მიჰქონდა. ირ-

მამ ჯილა თვალები გადმოგვაკლო და ამაყად ჩავვიარა.

ამ ამბის მერე სრულდა ცუქცუქი კვირვებია, როცა მან „ტომ სოიერის თავგადასავალი“ მოუტანა დეიდა ქეთოს და უთხრა:

— რაიმე ისეთი მომეცით, სადაც ბიჭები კი არა, გოგოები იქნებიან ყოჩაღები.

დეიდა ქეთო ჩაფიქრდა.

— თორემ რა გამოვიდა, სულ ბიჭები ყოფილან, რაც ყოფილან... ჩვენ კი არაფერი, — განაგრძობდა ირმა.

— გოგონებზე? ისტორიული? — დეიდა ქეთო უხერხულად აწრიალდა. ძია ილიკოს გადმოხედა, იქნებ რამე მიჩიოსო.

— ისტორიული ვიცი, წამიკითხავს, — უთხრა ირმამ ქეთო ქარუხნიშვილს, — ენა დარკი, მაია წყნეთელი... მაგრამ ისინი ქალები იყვნენ. ტომ სოიერი კი ისტორია არ არის.

— რას მეტყვი, პატრიცემულო ილიკო? — თავად რომ ვერაფერი ვერ მოახერხა, ილიკოს მიმართა დეიდა ქეთომ.

— თუ დღეისათვის არა გვაქვს, გამოჩნდება ავტორი, რომელიც დაწერს წიგნს ირმა მალაკელიძეზე და აი, მაშინ გოგონებსაც ეყოლებათ თავიანთი ტომ სოიერი, — უცებ რომ ვერაფერი გაიხსენა, ისევ შეხუმრება სცადა ძია ილიკომ.

— ჩემზე რა წიგნი უნდა დაიწეროს?! — გაკვირვებით შეხედა ირმამ.

წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ შეიძლებოდა მასზე თუნდაც ერთი სტრიქონის დაწერა. და ალბათ სხვა დროსაც ბევრჯერ გახსენებია ძია ილიკოს სიტყვები. დეიდა ქეთომ ირმას ახლა „ჰეკლერი ფინის თავგადასავალი“ შესთავაზა.

— ესეც ბიჭებზეა?

— ესეც. რა ვქნათ... გოგონებზე არაფერი გვაქვს და რა მოგცე.

— სულ ბიჭები, ბიჭები... — ტუ-



4.

ჩემი აბურცა ირმამ და წიგნი ჩამოართვა დედა ქეთოს.

ირმა ბიბლიოთეკიდან გავიდა.

— არა ჩანს მთლად ქარიხვეტია გოგო, წიგნები ჰყვარებია და თანაც, ხედავთ, თავისებური მოთხოვნებიცა აქვს. კაცმა რომ თქვას, სწორეა, — მიმართა ძია ილიკომ ქეთოს, — სულ ბიჭები, ბიჭებიო. მხატვრულ ლიტერატურას კი დამწვევებდა ერთი კარგი, სიცოცხლით სავსე გოგონას სახე.

„სიცოცხლით სავსე გოგონას სახე“. გონებაში ჩამებუჭდა ძია ილიკოს სიტყვები. ამის გახსენებაზე უმალ თვალწინ ირმა დამიდგებოდა ხოლმე. მასზე უფრო სიცოცხლით სავსე სხვა აღარავინ მეგულებოდა. ის ცოცხალი სტრიქონები იყო დაუწერელი წიგნისა და უნებურად იქცეოდა ჩემს ყურადღებას. ზოგჯერ მომენტარებოდა კიდეც, მაღე გათენებულებოდა, რომ დილით სკოლაში მენახა. და აი, ერთხელ ამ „სიცოცხლით სავსე გოგონამ“ მოუთრინებლად წიკბურტი წამართყა თავში და მითხრა, რა პირი დაგილიაო. ველარ მოვიტომინე და გამოვეკიდე. ცოტაზე რომ გაიქცა, უცებ შედგა, ჭიქურ დამიხვდა და თვლები ავაზასავით გადმომიბრიალა.

— ვითომ რაო? რას გაბედავ?

ვერადფერი გავუბედე. ისეთი ამაყი, ზგიადი და ძლიერი იყო, შემეშინდა კიდეც. გოგოზე ხელს როგორ ავიღებდი. მაგრამ იმ განზრახვით კი გამოვეკიდე, რომ ნაწინავეში ვწვდენოდი და ისე დამეტრიალებინა, როგორც სხვა გოგოებს ვატრიალებდით ხოლმე, ზოგს ხუმრობით, ზოგსაც ჭკუის სასწავლებლად.

ირმა შეტრიალდა და წავიდა. კოხტა სიარული იცოდა. ტანმალალ გოგოს შევნოდა ნაადრევი მწიფობა და ქალიშვილური სიკეკლუცე. მაგრამ მაშინ, როცა ბიჭივით შეიკუნტრუშებდა, კიბის სახელურს გადაეკიდებოდა და ჩაცურდებოდა, მისი ცემა მინდოდა, ისეთი საზიზღარი იყო.

ქუჩისპირა პატარა კარამიდამოშა აგურით ნაგები შუშაბანდინი სახლი და ორიოდე ქონხაზი იდგა. მათ წინ კალოსხელა ეზო და ცოტა უფრო მოზრდილი ბალ-ბოსტანი იყო.

შუშაბანდიან სახლში ცხოვრობდა მემწვენილე ვანო ლაცაბიძე, ამ პატარა სამფლობელოს ბატონ-პატრონი. მეურნეობაში ცოლიც ეხმარებოდა. სათბურში ზამთრობითაც გამოუღვევლად ჰქონდათ იშვიათი ბოსტნეული. ბაზარში პირველად ის გამოაჩენდა კიტრსა და პამიდორს. არ ვიცი, მწვენილი და ხილი რა შემოსავალს აძლევდა, მაგრამ ის კი ვიცოდი, ცხოვრებაში არ გასჭირვებია.

ვანოს ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ჰყავდა. ერთმანეთზე თითო წლით უფროს-უმცროს ქალიშვილებს ნესტანი და თინა ერქვათ. ვაჟი კი შერმადინი იყო. ქალიშვილები გასათხოვრად მწიფდნენ. ჩამრგვალებული და ტანსრული გოგოები იყვნენ. თავდაპირველად ერთი ქალისათვის ნესტან-დარეჭანი დაურქმევიათ, მეორისათვის — თინათინი. ტანკენარი გოგოების მაგივრად ჩამრგვალებული გოგოები აგოგმანდნენ ლაცაბიძის ოჯახში და ამიტომ მათ სახელებსაც დანამატი შემოაცვდათ.

შერმადინი და მე კარგი მეგობრები ვიყავით. მას კი ნამდვილად შევნოდა სახელი. მეგობრობის ფასი იცოდა და ავთანდილის შეგონებისა არ იყოს, ცრუ და ორპირი ჭირის დღესავით ეზარებოდა. საამშენებლო ტექნიკუმში სწავლობდა, ნიადაგ ხატავდა და ხაზავდა. ლექსები და სიმღერა ხომ მისი სულის მწვენება იყო.

ვანო და მისი მეუღლე, სალომე, ხან ვერის ბაზარზე იყვნენ მწვენილის გასაყიდად. ხან თავიანთ ბალ-ბოსტანში ფუსფუსებდნენ. თვეში ერთხელ ჩვენგან ძალზე მცირე ჭირას იღებდნენ, ხან არც გვართმევდნენ, ხილ-ბოსტნეულს კი ხშირად გვაწვდიდნენ. ბაღს სიახ-

ლოვეს არავის აკარებდნენ. იქ ერთი გოჭი მიწა არა ჰქონდათ მოცდენილი. მოსდიოდათ: ტყემალი, ალუჩა, თუთა, ვაშლი, მსხალი, ალუბალი, ლეღვი და ქლიავი. ზოგი თითო ძირი ხიდან, ზოგიც ორიდან. ჩია ხეების გვერდით მალალი ხეებიც იდგა. ზოგს ტოტები განზე გაეყარა, ზოგიც ამიდულოყო. უნაყოფოს არაფერს სტოვებდა ძია ვანო. ბოსტნეულიდან იწვევდა ქინძს, ოხრახუშს, კიტრს, პამიდორს, ბადრიჯანს, კომბოსტოსა და ნაირ-ნაირ ბოლოკს.

პატარა ორთავალა ჰქონდა. დილით ადრე მწვანელიუღითა და ხილით დატვირთავდა და ვერის ბაზრის კარს მიადგებოდა. იქ თავისი ადგილი ჰქონდა შეგულბული. ნიადაგ ამ ამოჩემებულ დახლთან ნახავდით. ძია ვანოს მწვანალი და ხილი გემრიელიც იყო, სუფთაც. მყიდველს თვალს სტაცებდა და იზიდავდა. დახლზე ისე კობტად იცოდა მწვანლისა და ხილის დაწყობა, გულგრილად ვერ ჩაუვლიდით. ცოლ-ქმარი დახლთანაც გვერდიგვერდ იდგნენ. ხანდახან იმდენი მუშტარი დაესეოდა, ორივენი გახურებულ მუშაობაში იყვნენ. არასოდეს უხარბიათ. კაპიკს კაპიკზე ადებდნენ, ნესტანს, თინასა და შერმაღინს ჩასაცმელ-დასახურსა და სასმელსაჰქმელს არ აკლებდნენ.

გოგოები რომ დაიზარდნენ, სწავლას გული ვერ დაუდეს. რამდენადაც მათი ძმა ნიქიერი და ბეჭითი იყო, იმდენად მათ იზარმაცეს. ჯერ ნესტანმა დაიწყო აბრეშუმის ფაბრიკაში მუშაობა, მერე თინაც იქ მოეწყო. მალე მქსოველები გახდნენ, ვანოსა და სალომეს შვება მიეცათ. გოგოებს ეგონათ, სწავლას თავი დაეაღწიეთო, მაგრამ ქარხანაშიც არ მოეშენენ, აიძულეს საღამოობით ესწავლათ. მეტი რა გზა ჰქონდათ, მუშაობდნენ და თან სწავლობდნენ. გოგოები თავიანთ თავს ახლა თვითონ უვლიდნენ. მხოლოდ ეგ იყო, ჩვენი ეზოს ფიცრის ძველ ჭიშკართან ტარიელისა და ავთანდილის ცხენები ჯერ არ ჭიხვინებდნენ.

ჩვენს გარდა, ძია ვანოს კიდევ ერთი მღგმური ჰყავდა, მარტოხელა მუშაკაცი, მალალი, ჯანიანი, დონდრახასანადრო ბადურაშვილი. ცოლი ადრე გარდაეცვალა, ქალიშვილი გაზარდა და კახეთში გაათხოვა. მამას წელიწადში ერთხელ ჩამოაკითხავდნენ ქალიშვილი და სიმე. ისე კი, ათას რამეს უგზავნიდნენ. ღვინო და ხილი მუდამ ჰქონდა სასადროს. მარტოობას არ ვანიცდიდა. ჯანი ჰქონდა და ქარხანაში მჭედლად მუშაობდა.

ჩვენ ვიღანი ვიყავით:

მამაჩემი — ვარდენი, ფოსტალიონი.

დედაჩემი — ტასო, დასახლისი.

მე — დედისერთა, თამაზ გორდელაძე, 1924 წელს დაბადებული, მეექვსე კლასის მოწაფე.

მიყვარდა, როცა ჩვენი ეზოს ბინადრები ყველა ერთად მოვიყრიდით თავს. კვირაში ერთხელ, ისიც თბილ საღამოს თუ მოვახერხებდით. ნესტანი და თინა თავიანთი სახლის პატარა კიბეზე ჩამოსხდებოდნენ. მე, დედაჩემი, მამაჩემი და შერმაღინი ჩვენი სახლის წინ ტახტზე ჩამოვლაგდებოდით. ძია სასადროთ თავისი ქოხის ღია კარს ჩახერგავდა. მაინცდამაინც კართან დაჯდებოდა, თითქოს შიშობს, შინ არავინ შემეპაროსო. მოგვიანებით გამოჩნდებოდნენ ვანო და სალომე.

ისეთი პატარა ეზო იყო, ყველა, თავის კართან ჩამომსხდარი, მაინც ახლო ვიყავით. ხან ამ მთისას ვამბობდით, ხან იმ მთისას. სასაუბროს რა გამოლევს თავშეყრილ ხალხში. ძია სასადროს დაკოფრილი, შავი, დიდრონი ხელები მუხლებზე ეწყო — ასვენებდა მთელი დღის ნაჭაფართ. მძიმე ჩანდა ეს ხელები, კაცს ეგონებოდა, სასადროს უჭირს მათი აღება მუხლებიდანო. ხშირად დაეკვირვებოდა ამ ხელებს და შემეიდარებია ისინი ჩემი თეთრი, სუსტი ხელებისათვის და საკუთარი ხელების უსუსურობა გულს მტკენდა.

ხანდახან ჩვენი ეზოს სამი მამაკაცი — ვანო, სასადრო და მამაჩემი პატარა ტაბ-

ლას გააწყობდნენ. სანდრო კახურ ლეონოს გამოიჩინა. მამაჩემიც არ ჩამოვდებოდა ხელსარიელი. ვანოს მწვანელი ხომ სუფრის მშვენიება იყო. გვიანობამდე შეექცეოდნენ, ჩუმად საუბრობდნენ, ერთმანეთს ტკბილად ლოცავდნენ.

მყუდრო ეზო გვექონდა. არც არავინ ანახლობდა, არც არავინ წიწმანობდა. ტკბილად ვმეზობლობდით. არაფერი გვექონდა გასაყოფი და არც არაფერზე ვდავობდით.

მხოლოდ ის მწყინდა, რომ ძია ვანო ბაღში ან მიშვებდა.

შემოდგომა იყო, ლელვი მწიფდა, მერე და რა ლელვი! მსხვილი, მუშტისოდენა ნაყოფი თვალს იტაცებდა, მის შემხედვარეთ ნერწყვი გვახრჩობდა.

შერმადინს მამის დიდი ხათრი ჰქონდა და მის უჩუმრად ოხრაბუშასაც არ აკარებდა ხელს.

ერთხელ, შინ მარტო ვიყავი. გაკვეთილებს ვსწავლობდი. ძია ვანოს ბაღიდან ხმაური მომესმა. მალე მებაღის ყვირილიც გავიგონე. როცა გარეთ გავვარდი, დავინახე, ძია ვანომ, როგორც წყალში ამოწუმბული წიწილები, ბაღიდან ისე გამოათრია ორი ბიჭუნა.

მებაღე გაცეცხლებული იყო და თვალს აბრიალებდა. შეშინებულ ბიჭებს ენა ჩავარდნოდით და ცახცახებდნენ.

— მე თქვენ ვიჩვენებთ, როგორ უნდა ქურდობა! მილიციაში ჩავათრევთ!

შუშაბანდის კარებში სალომე გამოჩნდა.

— რა მოხდა, ვანო? ვინ არიან? იქურდეს?

— ლელვი გამიკრიფეს, ტოტები დამიღწეს... ვინ არიან ეს ლაწირაკები, საიდან მოეთ... მოხეტ... საიდანა ხართ, ვინა ხართ? — ხელს არ უშვებდა, ისე ეკითხებოდა ხან ერთს, ხან მეორეს.

შემეცოდა ბიჭები. ათი-თორმეტი წლისანი თუ იქნებოდნენ. ალბათ პირველად გაბედეს ხილის მოპარვა და პირველსავე ქურდობაზე ჩაცვივდნენ.

ძია ვანო რისხვას ანთხევდა, ლამის შუაზე გაეხლიჩა ორივე ბიჭი. მათთან

ერთად, როგორც გავიგე, მესამეც ყოფილიყო და ძია ვანოს გაჰქცეოდა.

სალომემ მხარი აუბა ქმარს, არ ვინც ამოვნა მათი ასეთი გაკაპასუნა ლელვის გამო. ვანომ ბიჭები სარდაფში ჩაამწყვდია და გადაწყვიტა არ გამოეშვა მანამ, სანამ ვინმე არ მოაკითხავდა. ბიჭებს კი უთუოდ მოხედავდნენ, რადგან ამბის წამლები გაქცეული იყო.

ძია ვანო ბობოქრობდა. დაღწილ ტოტებს კრეფდა და ილანძვებოდა. ბევრი არ დაელეწათ, მაგრამ ის რამდენიმე პაწია ტოტიც კი ენანებოდა.

სარდაფში ჩამწყვდეული ბიჭები ატირდნენ.

ეზოში ვიდექი და ვუცდიდი რა მოხდებოდა.

— ჰა, გაუშვა? — ბოლოს შეეცოდა ძია ვანოს ბიჭები და სარდაფისკენ წავიდა.

— გაუშვი, გაუშვი! — მაშინვე დაეთანხმა სალომე, — ცოდონი არიან, არ შეშინდნენ. გაუშვი, შენ შემოგველე, გული დამეთუთქა. დაუკრიფე და გაატანე თუ ეგრე ძალიან ჰყვარებიანთ ლელვი.

ის იყო, ძია ვანოს ბიჭები უნდა გამოეშვა, რომ ჰიშკრის კარმა გაიჯახუნა და ეზოში სწრაფად შემოიჭრა ირმა, რამდენიმე ბიჭის თანხლებით. ეს ბიჭები მაშინვე ვიცანი. ჩვენი სკოლელები იყვნენ.

ირმა პირველად მე მომიახლოვდა.

— თქვენ დაიჭირეთ ბიჭები?

— ძია ვანომ დაიჭირა, — ვუთხარი და სარდაფის კართან მისულ მებაღეზე მივეუთითე.

— წაიღეთ! — უბრძანა ირმამ ბიჭებს და ჭიქურ შეიჭრა ბაღში. მეც ფეხდაფეხ მივყევი.

— ფრთხილად, სად მიდიხართ? — ელდა ეცა ძია ვანოს, ბოსტანი არ გამოიქვლონო.

— აბა, რა გაყვირებთ? გავაფუჭეთ რამე? გამარჯობათ! — ერთბაშად მიაკარა ირმა.

შეუპოვარი გოგოს სიტყვებმა ჩააჩუმეს ძია ვანო. სალომე გოგონას მიჩერ-

და, თვალები უციმციმებდა და ვატყობ-
დი, მოსწონდა მისი სითამამე.

— სად არიან ქურდები? — იკითხა
ირმამ.

ამ დროს სარდაფში კიდევ უფრო ას-
ლუქუნდნენ ბიჭები. ძია ვანომ კარი გა-
ულო. დარცხენილი და თვალცრემლი-
ანი ბიჭები გამოვიდნენ, ირმამ ორივეს
თავში წაუთაჭა და ძია ანოს მიმართა:

— შეიძლება წაიყვასო?

— წაიყვანეთ, — უთხრა ძია ვანომ, —
მაგრამ თუ მეორედ დაევიკირე... ოჰმე!

სიცილი ვერ შევიკავე, როცა ძია ვა-
ნოს მაგივრად ირმამ დაიკრა მუშტო
მკერდზე, მერე ბიჭებს თითო მჭილი
კიდევ უთავაზა და წინ გაირეკა.

„პატიმრები“ კიშკარამდე მივაცილეთ.
სანამ კიშკარში გავიდოდა, ირმა ძია
ვანოს მოუბრუნდა:

— ჩვენ ამათ გავასამართლებთ. სა-
სამართლოზე თქვენც მობრძანდით აუ-
ცილებლად, — მერე ხმადებლა მკით-
ხა, — შენი რა არის ეს კაცი?

— ჩვენი სახლის პატრონია, — მეც
ჩურჩულითვე ვუპასუხე.

— შენც მოდი სასამართლოზე. შე-
გატყობინებთ.

ძია ვანო დამშვიდებულიყო. სალომე
გვერდში ედგა. ცოლ-ქმარი უტყვად
მისჩერებოდა ბავშვებს, რომლებიც სა-
თითაოდ გადიოდნენ კიშკარის პატარა
კარში.

მეორე დღეს ირმას ხელით დაწერი-
ლი უწყება მეც მომივიდა და ძია ვანო-
საც. ერთმა პატარა ბიჭმა გადმოგვცა და
მაშინვე შინისკენ მოკურცხლა.

ძია ვანომ უწყება წაიკითხა და გუ-
ლიანად ვაიცინა.

— სათამაშოდა მცალია? — თქვა და
ბოსტანში შევიდა.

ერთი სული მქონდა დავსწრებოდი
ირმას სასამართლოს.

ჩემს ამხანაგებთან მეც ხშირად მითა-
მაშია ისეთი რამ, რასაც დიდები აკე-
თებდნენ. ბავშვები ბევრ რამეში ვზა-
ძავდით მოზრდილებს. ვაწყობდით სა-
სამართლოებსაც, ჯაშუშებისა და დი-

ვერსანტების დაპატიმრებას. მაშინ ეს-
პანეთში სამოქალაქო ომი მიმდინარე-
ობდა რესპუბლიკელებსა და ფრანკისტურ
ჯარებს შორის და ჩვენც ამას ვთამა-
შობდით.

ირმას იმ ქამად ხელთ ჰყავდა არა მო-
გონილი ქურდები, არამედ ნამდვილი.
მოწმებებიც ხომ უტყუარი ეყოლებოდა
ჩემი და ძია ვანოს სახით.

მაგრამ ძია ვანო არ წამოვიდა. სასა-
მართლოზე მარტო მივედი. ბიჭებმა
დამკვრელთა სახლის მესამე სართულ-
ზე ამიყვანეს. მალაკელიძეების ბინის
კარი ღია იყო.

— მობრძანდით! — ისე ხალისიანად
შემეგება ირმა, გეგონებოდათ მისი დღე-
ობა იყო. — მეზადე სადღა არის? —
მკითხა და კიბეს ჩახედა.

სანამ ვუპასუხებდი, ოთახის სიღრ-
მეში თვალი მოგკარი რამდენიმე რი-
გად ჩაშუქრივებულ სკამებს, თავშეყ-
რილ მუზობლებს. ბავშვები უფრო მეტ-
ნი ჩანდნენ, ვიდრე მოზრდილები. „სა-
სამართლო დარბაზში“ ხმაური იყო.

— მგონი არ მოდის, — ვუთხარი ირ-
მას.

— რატომ? ხილი მოწარეს და არ
ენადგლება? ეს რა გულგრილი კაცი
ყოფილა. ხომ არა ჰგონიათ, ჩვენ ვთამა-
შობდით. მამაჩემიც გვესწრება სასამარ-
თლოზე, იქნებ არც იცი ვინ არის მა-
მაჩემი?

— არა, არ ვიცი.

— მოსამართლეა. და ჩვენი სასამარ-
თლოც ნამდვილი იქნება. წადი და უთხა-
რი მოვიდეს, აუცილებლად მოვიდეს.

რა მექნა. კიბეზე დავეშვი და ძია
ვანოსთან მივირბინე.

— ძია ვანო, ხუმრობა იქით იყო-
სო... იმ გოგოს მამა მოსამართლე ყო-
ფილა და ისიც ესწრება თურმე, მო-
ვიდესო, ვთხოვეს.

— აბა, დაიფიცე.

— გეფიცებით, რა ვიცი... ვინ დავი-
ფიცო?

— დედა დაიფიცე.

— დედას გუფიციებით. ხალხიცა ჰყავთ.

— ეს რა ხათაბალაში გავები, — თავზე შემოიდო ხელი ძია ვანომ, — იმ ლაწირაკებს რა გასამართლება უნდათ. იმათ მიტყება უნდათ და მეტი არაფერი.

— ეგ ხომ სასჯელია და სასჯელის დადება სასამართლოს გარეშე... — დავიწყე და როგორც იქნა გული საგულეს ჩავივდე.

— შენმა სიცოცხლემ, ერთხელ და ორჯერ მოგხვედრია განაჩენის გამოუტანლად... რა გვარია ის მოსამართლე?

— მალაკელიძე.

— სალომე, — გაეხშიანა ცოლს ძია ვანო, — ჩვენს რაიონში არი ვინმე მოსამართლე მალაკელიძე?

— რა ვიცი! აბა, რა ვიცი, ვინ რა არი?!

— ბიჭო, თამაზ, წადი და უთხარი, მეც ვეყოფი მოწმეთა-თქო. ხო ნახე რა იყო და როგორ იყო. თქვი, ძია ვანო არას უჩივის, მაგრამ ტოტები დაენანათქო. აბა, კაცს რომ ხელები მოამტკრიონ, ის კაცი რაღა კაცი იქნება-თქო, არც ისეთი პატარები არიან, რომ ეს არ ესმოდეთ. სხვის შეიღსა ჩვენ როგორა ვცემდით-თქო. დედ-მამამ კი ერთი-ორი რომ მიუტყავუნოს, წამალივით მოუხდებოდათ და კაცები დადგებიან-თქო.

— მე მაგდენს როგორ ვეტყვი, ძია ვანო. უთქვენოდ ის გოგო შინ აღარ შემიშვებს.

ამ დროს გამოჩნდა შერმაღინი. როცა გაიგო რაში იყო საქმე, მამის მაგივრად ის წამომყვა. ცნობისმოყვარეობამ წასძლია, წამო, ერთი ვნახოთ რა სასამართლოს გაუმართავენ ჩვენი ლელვის ქურდებსო.

მის დანახვაზე ირმას პირკატა ეცა. პირველად ხედავდა და გაუკვირდა მებაღის ნაცვლად ის რომ მიუხუცვანე. როცა გაიგო ვისი შეილიც იყო, დამშვიდდა და შინ შეგვიწვია.

შერმაღინი გოგონას ღიმილით მისჩერებოდა. ნავთის კასრს რომ მისდევდა, ალბათ ის დღე გაახსენდა.

ბებია საყვედურით შეეგება ირმას.

— ხალხი დაიღალა. შენ რა გითხრა, ხან რას მოიგონებ, ხან რას... მისსა... სამართლოდა გვაკლდა!

— ბებო! — ერთი კი შეუძახა ირმამ და ბებიაც გაჩუმდა.

ოთახში შევედით, იქ მყოფთ მივესალმეთ და დავსხედით.

მეზობლის ბავშვებთან ერთად მოზრდილებსაც მოეყვრათ თავი. წინა რიგში, განაპირა სკამზე, იჯდა მოსამართლე დავით მალაკელიძე და ღიმილით შეყურებდა თავის ფართიფურთა ქალიშვილს.

ირმამ „პროკურორის“ თავისი ადგილი მიუჩინა, „დამცველს“ — თავისი. თვითონ მოსამართლის ადგილი დაიკავა, აქეთ-იქით „მსაჯულები“ შემოისხა და ბრძანა ქურდები შემოეყვანათ. ყველაფერი ისე ტარდებოდა, როგორც წამდიღილ სასამართლოზე. მეორე ოთახის კარი გაიღო. გაჩორკნილი ხის თოფებით შეიარაღებულმა ბიჭებმა „პატიორები“ შემოიყვანეს. ლელვის ქურდები თავს ზემოთ ვერ სწევდნენ.

— შენ მოუკვლი დედაშენს! როგორ მომეჭრა თავი! ვითომ გაკლდეს ხილი! — გაისმა „სასამართლო დარბაზში“ ქალის ხმა. ქალს უკვე მიტყებილი ჰყავდა თავისი ვაჟიშვილი. როგორც კი მისი ქურდობის ამბავი შეუტყვია, განაჩენიც უმაღ გამოუტანია. ვინ იცის, სასამართლოს ამ გათამაშებაში რა წარმოიდგინა, ქალმა თავი ველარ შეიკავა და ცრემლი მოერია.

ეტყობოდა, ირმა ბევრჯერ დასწრებია მამას სასამართლო პროცესზე. სულ მისხალ-მისხალ აუკრეფია, რაც კი ხდებოდა. „პროკურორის“ სიტყვა მისცა: „პროკურორმა“ ირმას მიერ წინასწარ დაწერილი „საბრალდებულო აქტის“ კითხვა დაიწყო, ნაწერს ხეირიანად ვერ არჩევდა და ირმა გაუბრაზდა, მაშინვე „მოხსნა“ თანამდებობიდან და სხვა დააყენა. ამაზე ბევრი იცინა დავით მალაკელიძემ. ახალმა „პროკურორმა“ ირმამ ნაწერი კარგა წაიკითხა.

ჩემი დაკითხვის ჯერაც დადგა. ვთქვი ყველაფერი, რაც ვნახე და გავიგონე. ლოყებსა და ყურებზე აღმური მეკიდა. შვეებით ამოვისუნთქე, როცა შერმადინს ისევ გვერდით მივეუჭექე. შერმადინი მხიარულ გუნებაზე იყო და ალერსიანი თვალებით უყურებდა ირმას, რომელიც ცდილობდა, რაც შეიძლება მკაცრი ყოფილიყო.

ვის გავდა? მამას? შამა დინჯი ჩანდა. იქნებ დედას? ლამაზი, ახალგაზრდა ქალი ფეხზე იდგა და შეილს ისიც ღიმილით შეჰყურებდა. მათ ოჯახში ალბათ ეს პირველი სასამართლო არ იყო და დედას შეილის საქციელი არ აკვირვებდა. ბებია თამარი „სასამართლო დარბაზში“ არ ჩანდა, სამზარეულოში ფუსფუსებდა და ერთხელაც არ გამოუხედავს.

ირმა გარეგნული ელფერიტ ძლიერ გავდა დედას, ფართიფურთოთა ალბათ ბებიისა ჰქონდა, რომ ისინი ასე შეეწყვნენ ერთმანეთს და ნიადაგ ერთად იყვნენ.

„სასამართლოზე“ ირმამ ისეთი სიტყვა წარმოსთქვა, ზოგიერთ ადვოკატს შეშურდებოდა. მისდგა ისედაც თავლაფდასხმულ ბიჭებს, ცხრა პირი ტყავი გააძრო და სულ ცეცხლის ორომტრიალში გამოატარა.

სასამართლოს ბიჭებისათვის სასჯელად ციხეში დამწყვედვა და გილიოტინაზე აყვანა არ გამოუტანია, მაგრამ თითო პანდური კი ამოკერეს მცველებმა. ცრემლით თვალბუმსველებულმა ქალმა კი ვეღარ მოითმინა და შეილს ქოჩორი მოუწიწხა, შენ კი მომიკვილიო.

მხიარულად წამოვიშალეთ.

— ახლა ყველას ვთხოვთ, ხილზე გვეწვიოთ! — მოგვმართა ირმას დედა და კარებში ჩაგვიდგა, რომ არაფერ წაესულიყავით.

— მხოლოდ ჩვენს სასამართლოშია ასეთი დახვედრა, — ღიმილით დაუმატა დავითმა, — მობრძანდით, ვნახოთ რა გავვიშვადეს დიასახლისებმა.

ირმა დატრიალდა, ჩვენ ჩვენი სკამე-

ბით მეორე ოთახში გავვიყვანა, სადაც ერთ დიდ მაგიდაზე, ხილს სუფრას რყო გაწყობილი. აი, აქ დაგვეხვდა ბებია თამარი.

ირმას „პატიმრებიც“ არ დარჩა უყურადღებოდ. ისინი ბევრს უარობდნენ, მაგიდას არ ეკარებოდნენ, მაგრამ გოგონამ ისე დაუცაცხანა, დაჯდომა იკადრეს, როცა ბიჭებს უთხრეს გადაიღეთ ხილიო, პირველად ლელეს გადასწვდნენ. ყველამ გულიანად გავიციინეთ.

— ჰყვარებით და რა ქნან! — გულიანად გავიციინა დავით მაღლაკელიძემ.

შერმადინის ხმა იქ არ გამოიგონია. რამდენჯერმე შევასწარ მზერა, იგი ირმას თვალს არ ამორებდა და როცა შინ ვბრუნდებოდით, მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა:

— დიახ, ასეა, ჩემო კარგო!

რა იყო „ასე“, ან რად მითხრა ჩემო კარგოო, გამიკვირდა. ვერაფერი ვერ გავუბე.

5.

ბიბლიოთეკაში გადავირბინე. მაგიდას ძია ილიკო და შერმადინი უსხდნენ. ისინი რაღაცაზე საუბრობდნენ. თავიდან ვერ გავიგე, რატომ ეუბნებოდა ძველი პედაგოგი შერმადინს, კაცმა ისეთი რამ უნდა ააშენოს, რომ ყველა თაობამ მადლიერების გრძნობით მოიგონოსო. მაგიდას ფრთხილად მივეუჭექე და ძია ილიკოს მივიჩერდი. მას გაღამილილი ჟურნალი ეჭირა ხელში. ჟურნალის ერთ გვერდზე ხეოპსის პირამიდის ფოტოსურათი შევნიშნე.

მიუხედავად იმისა, რომ შერმადინი საამშენებლო ტექნიკუმში სწავლობდა, ილიკოსთან ხუროთმოძღვრებაზე არასოდეს არ ჰქონია საუბარი. არაფერს გვეუბნებოდა ტექნიკუმის ამბებს, თითქოს თავისი ძირითადი საქმე არც კი აინტერესებდესო.

ახლა, ალბათ, რაღაც მიზეზის გამო ჩამოვარდა სიტყვა ხუროთმოძღვრებასა და მშენებლობაზე.

ძია ილიკომ ქურნალი მაგიდაზე გაშალა და პირამიდის სურათს ხელი დაადო.

— ამ პირამიდას ოცი წლის განმავლობაში ასი ათასი კაცი აგებდა. აი, აქ წერია, რომ დღესაც უკვირთ, რა ხელმა აზიდა იმხელა ლოდები. ასი ათასი კაცი, ხუმრობა საქმე ხომ არ არის. ახლა ამ პირამიდას მსოფლიოს შვიდ საოცრებათა შორის პირველად იხსენიებენ. საოცრება კი არის, მაგრამ მერე რა... ვის რაში არგია. ძალმომრეობისა და იდიოტობის ძეგლია და მეტო არაფერი.

— ჯერ არავისგან არ გამოგია ასეთი მკაცრი შეფასება, — თქვა შერმადინმა, — ჩვენს დროში ხომ აღარავინ აგებს პირამიდას.

— პირამიდებს არა, მაგრამ ფორმულა შეცვლილ სისულელეებს ახლაც შეხედები.

იდიოტობის ძეგლიო? ასეთი რამ არასოდეს არ გამოგონა. ასე მკაცრად მართლაც არავის გაუკილავს ის ბუმბერაზი, არაფრისმაქნისი ნაგებობა, რომელიც საუკუნეობის განმავლობაში ცად აზიდული დგას გამოუყენებელი და მაინც საკვირველი.

ძია ილიკოს ვინ რას ჰკითხავდა, მის ნათქვამს ვინ შეისმენდა. ხეოპსის პირამიდა იყო და რჩებოდა მსოფლიოს შვიდ საოცრებათა სიაში.

ეგვიპტელების დიდ კულტურას, მათ ხეროთომოდერებს როდი აბიარებდა ილიკო, პირამიდები კი სისულელედ მიაჩნდა. მან გვიამბო ბევრ ეგვიპტურ ძეგლზე, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ საკაცობრიო კულტურის ისტორიაში.

— შენობასაც, ისევე, როგორც მუსიკალურ თუ მხატვრულ ნაწარმოებს, უნდა ჰქონდეს აზრი და სინათლე! — განაცხობდა ძია ილიკო, — ის უნდა იყოს ადამიანის მეგობარი, მყუდრო სავანე, სასიამოვნო, როგორც ახლობელი ადამიანი. შენობაშიც უნდა იგრძნობოდეს სიბოძო, სინატრე. მასში შესვლა

ისევე უნდა გიხაროდეს, როგორც კარგ მეგობართან მისვლა. როცა შენ აღარ იქნები, შენობამ შენს შვილებს უნდა გრძნობინოს შენი თავი, შენი ნელწერა. ჩემი რწმენით ყოველი ძველი შენობა მრავალი საინტერესო ამბის მომსწრეა. მისი გარეგნული იერი, მისი სახე, ისეთივე მიმზიდველი და სათნო უნდა იყოს, როგორც ყოველი ლამაზი ადამიანისა. ძირითადი მიზანი ადამიანისა შენებაა, შექმნა რაიმე ახლისა... მისი ნამოქმედარი კი არ უნდა იყოს სისულელის, ძალმომრეობის, უაზრობისა და ფუჭი აზირობულობის ნიმუში.

— ტაძრებსა და ეკლესიებზე რას იტყვიო, ძია ილიკო? — ჰკითხა შერმადინმა.

— ჩვენმა ხალხმა რიგიანად უნდა მიხედოს ეკლესიებსა და ტაძრებს. ამ ნაგებობებს პირამიდებს ვერ შევადარებ. ეს ხომ ხეროთომოდერების ძვირფასი საგანძურებია. რა ვუყოთ, რომ რელიგიას ემსახურებოდა. მომავალი მშენებელი ხარ, შერმადინ, და გირჩევ, თუკი ტექნიკუმში ამაზე არაფერს გეუბნებიან, შენ შენით მაინც ეცადე და ძირფესტიანად შეისწავლე ის, რაც მამა-პაპამ დაგვიტოვა. ნახე ჯერის მონასტერი. რა ხელმა და როგორ ააგო! ვანა დღეს კი არ გამოგვადგება შენობის აწეული თალები, გუმბათები, ტაძრებისა და დარბაზების ვადახურვის ძველი ხერხები? შენობის მოპირკეთებაზე, ჩუქურთმის სილამაზესა და სინატრეზე აღარაფერს ვამბობ. უნდა ნახო, შვილო, ჩვენი ქვეყნის მრავალი შესანიშნავი ძეგლი. სულ მარგალიტის თვლებივით უნდა წამოკრიფო ყოველივე კარგი და მოსაწონი. როცა ახლის აგებას გადაწყვეტ, ის მარგალიტები წამოგეშველებიან.

ძია ილიკოს ჩემთვის ერთხელაც არ შემოუხედავს. შერმადინის საქმე გარკვეული იყო და იგი მას არიგებდა. მისი გონებაშიც ბევრი რამ ჩაიბეჭდა სხვაგვარი ლისხმო.

რახან მშენებლობასა და ხელოვნობაზე აღაპარაკდა, ძია ილიკოს უნდა

დოდა ყველაფერი ეთქვა, რა შეხედულებაც ჰქონდა თანამედროვე ხუროთმოძღვრებაზე. სინანულს გამოთქვამდა, რომ დღეს არაფერი იყენებს დარბაზის გადახურვის ძველ ხერხს. უწინ აბანოებს გუმბათოვან თაღს უყუთებდნენო, თქვა და აგვისსა კიდევ რა უპირატესობა ჰქონდა აბანოსათვის ასეთ თაღს. არ მოსწონდა ვერის ახალი აბანოს შენობა. არ მოსწონდა დამკვერღების სახლის გარეგნული იერი. თუ ქალაქში ასეთი შენობები დადგეს, ქალაქის სილამაზეზე ლაპარაკი ზედმეტი იქნებაო.

შერმადინი საგონებელში ჩააგდო მისმა სიტყვებმა. როცა შინ ებრუნდებოდით, ჩვენი ეზოს კიშკართან შეჩერდა, ქუჩის ორივე მხარე დაკვირვებით შეათვალიერა.

— ნეტავ შემეძლოს ჩვენი ქუჩის გალამაზება! — ინატრა მან.

— როგორ გალამაზებდი?

— აქეთ-იქით მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს ავაგებდი. პირველ სართულზე სანოვავით სავსე მაღაზიები იქნებოდა...

— ბოსტნები და ბაღები?

— ქალაქის ტიპის ქუჩაზე ბოსტანს რა უნდა! — გაკვირვებით შემომხედა შერმადინმა.

ახლა მამამისისთვის გეკითხათ, როგორ დაეხმარებოდა შვილს ამ ოცნებების განხორციელებაში? ვანო ხომ სულის თრთოლვითა და გულის კანკალით დაჟფოფინებდა თავის ერთბეწო ბალ-ბოსტანს. ყველაფერს ერჩინა თავისი მოწეული ხილი და მწვანელი. ეს მისი ცხოვრება იყო, ამითი სულდგმულობდა. შეიღმა კი რა განიზრახა, აუყაროს სახლ-კარი, აუყაროს მეზობლები და მის ადგილას განიერი, მაღალი შენობებით დამშვენებული ქუჩა გასჭიმოს.

ერთხანს იდგა შერმადინი, ქუჩას ოცნების თვლით გაჰყურებდა და სახეზე სიამოვნების ნათელი დასთამაშებდა.

— მართლა, რა კარგი იქნებოდა! — თქვა ბოლოს, — მერედა, ამ ჩვენს ქუ-

ჩას რა სწორი და კობტა ხაზი აქვს. ნავთის წერტს სულ მოვამორებდი. ბიბლიოთეკას ერთი დიდი სახლის პირველ სართულზე ვავხსნიდი, ძაღლების სახამუნებს აქ რა უნდა, ქალაქგარეთ გადავიტანდი... წამოდი, მე ახლავე დავხატავ, რაც წარმოვიდგინე, ენახოთ რა გამოვა.

შინ შემოიყვანა. ძია ვანო და დეიდა სალომე ისევ ბაზარში იყვნენ, ნესტანი და თინა — ფაბრიკაში.

სკამი თავის სახაზავ მაგიდასთან შემთავაზა, თვითონ კი ხალისიანად მიუჯდა სახაზავ დაფას, ფანქარი მოემარჯვა და სახაზავის დაუხმარებლად ლარივით სწორი ხაზები გაავლო.

— ესეც ჩვენი ქუჩა. აი, აქ ჩვენი სახლია, — და ფანქრით მჭრქალად მიახატა ღობე და კიშკარი, თავიანთი სახლი და ჩვენი ქოხი, მერე ზემოთ აჰყვა. ქუჩის გადაღმაც არ გამოჩნა არაფერი. საოცარი თვალი ჰქონდა, სულ ზედმიწევნით ზუსტად ახსოვდა, სად რა იყო. ეს ბოშების სახლი, დავითულიანების პურის საცხობი, ეს წიკლაურების ფუნდუკი...

ჩემზე სამი წლით უფროსი იყო შერმადინი, მაგრამ ისე მანდობდა თავის გულის შურაზს, როგორც ტოლი ტოლს. სწორედ ამ დროს უნდოდა მას ამყოლო, წამქეზებელი, რომ უცებ გაღვიძებული სურვილი ჩანახატის სახით მიიწვანეხორციელებინა. ის რომ ყოვლისშემძლე ყოფილიყო, მაშინ ქალაქზე კი არ ააგებდა თავის ოცნების ნაყოფს. იმ ჩვენს ნახევრადსოფლურ ქუჩას მაშინვე ქალაქის ულამაზეს ქუჩად აქცევდა.

ძველის ადგილზე უკვე ახალს ხატავდა.

კობტა რამ გამოვიდა. ძალიან მომეწონა. თვითონაც მოსწონდა და ხან შორიდან, ხან ახლოდან დაკვირვებით ათვალიერებდა.

— ჰა, რას იტყვი, ხომ სჯობია ახლანდელ ქუჩას?

— სჯობია, ვაშ. ეს ნახატი მე მაჩუქე რა!

— შენი იყოს, — მაშინვე გამოძი-

წოდა ნახატი, — ვინ იცის, რანაირი იქნება ეს ჩვენი ქუჩა ოცი, ორმოცი, ასე წლის მერე. ნეტავ იმ დრომდე ვიცოცხლებთ?!

— ვითომ რატომ არ ვიცოცხლებთ! — გავიკვირე და ნახატი კიდევ ერთხელ შევათვალიერე. ძალიან მომეწონა ეს უცებ დახატული სურათი. შინ წამოვიღე და კედელზე გავაკარი. საღამოს მამაჩემმა პირველად რომ შეხედა, ყურადღება არ მიაქცია, ნასვამი იყო. დილით ფხიზელმა შეათვალიერა. რა არისო, მკითხა. ვუთხარი რაც იყო.

— ღმერთმა ქნას, აშენდეს და დამშვენდეს! — თქვა ისე, უიმედოდ. ფოსტალიონის ცარიელი ჩანთა ზურგზე მოიგდო და შინიდან გავიდა.

მამაჩემს მივუხვდი რად იყო გულგატეხილი. მას ხომ კარდაკარ ზეტიალი უხდებოდა. როცა გაწვიმდებოდა, გზა ტანჯვად ექცეოდა. საიდან სად არ უხდებოდა სიარული. დიდი უბანი ებარა. მთელი ჩვენი ქუჩა თავისი შუკებით, კიდევ უფრო ზემოთ — სოფელი კეძისი. შინ გვიან ბრუნდებოდა ალაფულ-დალაფული და თავისი გაჩენის დღეს იწყებოდა, იგინებოდა. მეოთხე კლასიდან მიუხედავად თავი სწავლისათვის, მეშვიდრეობით პაპაჩემისგან ფოსტალიონის ჩანთა მიუღია და მას აქეთ დადის კარდაკარ. სასმელი უყვარდა. იცოდნენ ეს ჩვენმა უბნელებმა. მამაკაცი და მეგობარი არ ელეოდა, ყოველ საღამოს ნასვამი მოდიოდა. დილით პირობას დადებდა, რომ დღეს ფხიზელი დაბრუნდებო, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ეზოდან გასვლისთანავე ავიწყდებოდა დანაპირები.

ჩვენი ეზოს ჰიშკართან ელექტრონის მღალა ბოძი იყო, თუნუქის წამომზობილი თფფის ქვეშ ჰიატებდა ნათურა, ქუჩის ერთ პატარა ნაწილს, ჩვენს ჰიშკარსა და ეზოს მონაკვეთს მკრთალად ანათებდა. ამ შუქზე ადვილი შესამჩნევი იყო შინ გვიან დაბრუნებული მამაჩემის მოზანცალე ლანდი.

— მეხი კი დაგაყარე! — ეს იყო დე-

დაჩემის წყევლაც, ალერსიც, მუჭარაც და მოფერებაც.

მერე ორივენი ერთად ვსწავლართხ მამაჩემს ტანსაცმელისა და ფეხსაცმელის გახდაში. მამა ზენეშით მიწვებოდა ტახტზე. ხანდახან ვილაყას ემუქრებოდა და აგინებდა. თუ კი მზიარულ გუნებაზე დაბრუნდებოდა და არც ისე ძალიან იყო ნაბახუსევი, მაშინ მე და დედაჩემს გვეფერებოდა და საალერსო სიტყვებს გვეუბნებოდა.

6.

ერთხელ მამაჩემი შეუძლოდ გახდა. ნაშუადღევს ფოსტაში ვერ შეველო, წერილებითა და ეურნალ-გაზეთებით სანახევროდ მოყრილი ჩანთა შინ მოიტანა. ის იყო მეც სკოლიდან მოვედი. შევატყე, მამაჩემს ალმური მოსდებოდა. ჯერ ნასვამი მეგონა, მაგრამ მითხრა, უჭეიფოთა ვარო. სიცხე გაიზომა და დედაჩემმა მაშინვე დაუგო ლოგინი.

— ამათ რაღა ვუყო? — შეწუხდა მამაჩემი დასარიგებელი ეურნალ-გაზეთების გამო, — გადაიტანე ფოსტაში, — მიფხრა მე, — დეიდა ანიკოს უთხარი, მამაჩემი ავად გახდა-თქო, იქნებ ალექსის გაატანოს.

ჩანთას დავხედე. არც ისე ბევრი ეურნალ-გაზეთი ეწყო შიგ.

— ალექსი რად გინდა, მე თვითონ ჩამოვარიგებ, მამა, — ვუთხარი მამაჩემს.

მამაჩემს ესიამოვნა, გამიღიმა და თანხმობის ნიშნად თავზე ზელი გადამიხვა.

— მაგ სიკეთეს თუ იზამ. ხალხი მელოდებოდა და... ზო იცი... ზოგს გაზეთის წაკითხვა ქეიფს ურჩევნია. წერილი კი ისეთი რამ არი... ვინ იცის, რამდენ ხანს ელოდებოდნენ. ჰქენი სიკეთე და დაიარე უბანში. ემანდვე სია დევს მისამართებით, ვის რა აქვს გამოწერილი. ამოაწყვე და გეტყვი, ვის რა უნდა მიუტანო. ფანქრით დააწერე და გაგიადვილდება.

ჩანთიდან ყველაფერი მაგიდაზე ამოვ-

ყარე, მერე სიის მიხედვით დავაწყვე-
სიაში ვნახე ისინი, ვისთვისაც მამაჩემს
ჯერ არ მიეტანა გაზეთები. ესენი იყუ-
ნენ: მოსამართლე დავით მალლაკელიძე,
ჩემი ისტორიის მასწავლებელი მისა-
ბიშვილი, ირაკლი ზამბახიძე, ჩემი თა-
ნაკლასელის, თემოს მამა, სხვები და
სხვები, ზოგი უცნობი, ზოგიც ნაცნობი.

ცოტა შეეფიქრიანდი, ზოგთან მისე-
ლა ნამდვილად მესირცხვილებოდა.

საწოლი იქვე, მაგიდასთან იდგა. მამა
თვალს მადვენებდა და მეხმარებო-
და გაზეთების განაწილებაში. სულ ზე-
პირად იცოდა, ვის რა ჰქონდა გამოწე-
რილი. ამისხნა საიდან უნდა დამეწყო
შემოვლა, რომ გზა არ გამგრძელებოდა.

ჩანთის ღვედი მხარზე მოვიგდე. მე-
ტისმეტად დიდი ჩანთა იყო. მაშინ დე-
დაჩემმა სხვა რამ გამომიჩინა. მალე
გზას გავუდექი.

პირველი, ვისთანაც მივედი, დუხა-
ბორი იყო, ჩვენს უბანში განთქმული
მერძევე. ყველას უკვირდა: განა რამ-
დენს იწველის მისი ორი ძროხა, რომ
მთელი დღე რძეს დაატარებს კარდა-
კარ და შინ კიდევ იმდენი რჩება, ყველ-
სა და კარაქსაც აკეთებსო.

დუხაბორს წერილი მივუტანე და
„სპასიბა“ მიჩუქა.

მერე მალლაკელიძეების სადარბაზო-
ში შევედი. რამდენიმე ეურნალ-გაზეთი
ირმას მეზობლებს დავუბრუნე. ზოგს კარ-
ზე დაეკიდებინა საფოსტო ყუთი და
შიგ ჩავეუშვი გაზეთები.

მალლაკელიძეებს კი ყუთი არ ჰქონ-
დათ. კარზე ფრთხილად დავაკაკუნე-
ლოყები მიხურდა. ირმას მოველოდი.
გამოვარდებოდა თუ არა, რაიმეს ისეთს
მეტყვოდა, რასაც მე ვერ მოვიფიქრებ-
დი. სწრაფი ნაბიჯის მაგივრად კარს
იქით ფლოსტები აფრატუნდა. კარი გა-
იღო და ირმას ბებიამ, თამარმა გამო-
იხედა. მივესალა და ეურნალ-გაზეთე-
ბი გავუწოდე. ამ დროს რომელიღაც
ოთახიდან ირმას ხმა გაისმა:

— ვინ არის, ბებო?

— არაფერ. ფოსტალიონია! — უპა-

სუხა თამარმა, ეურნალ-გაზეთები გა-
მომართვა, დამაკვირდა და მიკითხა:
შენ ახალი ხარ?

— დიახ, ახალი ვარ. — წყენით მი-
ვუხე და კიბეზე ისე დავეშვი, უკან აღარ
მიმიხედავს. ჯერ ერთი, მეწყინა, არა-
ვინო, რომ თქვა. მეორეც, როგორ ვერ
მიცნო? მერე რა მოხდა? პატარა რომ
ვარ და შეუმჩნეველი, შეიძლება ყვე-
ლაფერი მკადროს ამხნის ქალმა, მაგრამ
მამაჩემზედაც რომ თქვას, არაფერ, ფოს-
ტალიონია? მაშინ? ეს არ ეწყინება მა-
მაჩემს? ამის გაფიქრებამ უფრო მომიყ-
ლა გული.

ისევე გადაეპყერი ჩემი ქუჩა, ჩავუარე
ბიბლიოთეკას და ნავთის წერტს, შუ-
კაში მცხოვრებთ ორიოდ გაზეთი გა-
დავეცი და მინდორზე გავედი, სადაც
ამ ცოტა ხნის წინათ უკანასკნელი სა-
ფეხბურთო მატჩი ჩატარდა და ახლა
რამდენიმე კაცი ამ მინდვრის სივრცე-
ნიგანეს ზომავდა. გაგებული გვქონდა,
რომ აქ ბაზარი უნდა გაემართათ. ეს
ამბავი ჩემი ქუჩის მცხოვრებთ სიამოვნ-
ებდათ, რადგან ვერის ბაზარი შორს
იყო და იქ უხედებოდათ სიარული. ახლა
საბურთალოს თავისი ბაზარი ექნებო-
და. ძია ვანოსაც აღარ მოუხდებოდა
შორს წასვლა. მასაც უხაროდა ბაზრის
გახსნა.

ჩვენი უბნის მმართველთან, რაყდენ
ფერაქესთან, ეურნალი „ხელოვნება“
და გაზეთი „მუშა“ მიმქონდა. არ ვიცი
ხელოვნებასთან რა კავშირი ჰქონდა ამ
ხმელ-ხმელ, აწოწილ, ნიადაგ მოჭუჭ-
ლუნე, თავისი მობინადრეებით მუდამ
უკმაყოფილო, ბავშვების საფრთხობე-
ლა კაცს.

რაყდენა მოდისო, გამიგონია, ასე
რომ ამინებდნენ დედები შვილებს.

რაყდენა მოვა და წაგიყვანსო, — ძი-
ლის წინ აფრთხილებდნენ ჯიუტ ბავშ-
ვებს, როცა ისინი ლოგინს არ ეკარე-
ბოდნენ.

რაყდენის ყველას ეშინოდა. არა მგო-
ნია, მასავით მჭრელი და მსუსხავი თვა-
ლები ვინმეს თუ ჰქონდა.

მე მაინც იმას ვფიქრობდი, რად უნდოდა რაედენს ქურნალი „ხელოვნება“. თეატრში ის არ დადიოდა და კინოში. არც ვინმე ჰყავდა ამით დაინტერესებული. ისიც ვიცოდი, რომ მხატვრობა სჭლუდა და ყოველ სურათს „რადაც ნათხაპნს“ უწოდებდა. რატომღაც თათრული ბაიათი ერჩივნა სხვა დანარჩენ სიმღერას.

ასეთი კაცისათვის არამი იყო ქურნალი „ხელოვნება“.

კარზე მივუქაკუნე. ცოლმა გამომხედა.

— არ იქნა და დროზე არაფერს გვაღირსებენ! — ჭახჭახით შემეგება ქალი. სიტყვის თქმა არ დამაცადა, ქურნალი და გაზეთი ხელიდან გამომგლიჯა და კარი მომიჯახუნა. გული ლამის ამომვარდა. ყურები ისე გამიხურდა, მეგონა ცეცხლი წამეკიდა-მეთქი.

მინდორი გადავირბინე და პირდაპირ ღელის პირას, ბოშების სახლს მივადექი. კარზე რომ დავაკაკუნე, ქალის წკრიალა ხმა შემომესმა. მალე ჩემს წინ გაჩნდა მთელი იმ უბნის მშვენიება, ჩემი ქუჩის ყველაზე ლამაზი ქალი, ბოშა ლიზა.

მალალი იყო. გრძელი, ნოჰეზიანი კაბა ეცვა და ეს უფრო ამალეზდა. ცეცხლოვანი თვალები ჰქონდა. ვერცხლის დიდრონი საყურეები ეკეთა და კუნბეტივით შავი თმა მხრებზე ჩამოეშალა.

პირველად როდი ვხედავდი. ჩვენს მეზობლობაში ვინ არ იცნობდა ლიზას და მის ორ ძმას. ესენი მოხეტიალე ბოშები არ იყვნენ, მათ თავიანთი სახლ-კარი ჰქონდათ. ძმები სადღაც მუშაობდნენ და საღამოობით შინ მოჰყავდათ თავიანთი ლამაზი დროგი, რომელშიც მოხდენილი ცხენები ებათ.

ბოშები მეზობლებს ყველაფერში ეხმარებოდნენ. საღამოობით, როცა ჩემს ქუჩაზე მოძრაობა მიწყდებოდა, როცა ძმები დროგსა და ცხენებს დააბინავებდნენ და წაივებშებდნენ, ერთი გიტარას აიღებდა, მეორე მანდოლისს და თავიანთ დას, ლიზას, ამღე-

რებდნენ და აცეკვებდნენ. ამ დროს მათი სახლის ყველა ფანჯარა და კარი ღია იყო. ქუჩაში გამეღულღულ შექცულთ ეცქირათ ამ უფასო, მაგრამ მომხიბლავი კონცერტისათვის. ლიზა რომ ხელებს მალდა შემართავდა, ერთს ბოშურად შესძახებდა, მერე მარჯვენა ფეხს იატაკს დაჰკრავდა და ცეკვას დაიწყებდა, ფანჯრებსა და კარებზე მიმწყდარი დიდ-პატარა ნეტარებით შეჰყურებდა.

ერთ რამედ ღირდა ლიზას სიმღერის მოსმენა. გიტარას კალთაში ჩაიდებდა, ყელს მოიღერებდა და ბოშურ სიმღერას დასძახებდა. რამდენი ვინმე აუტირებია, ის ცრემლიანი ადამიანები ახლაც თვალწინ მიდგანან. ლიზა ისევე არ შორდება ჩემს გონებას, როგორც ჩემი ქუჩის სხვა ფერები და სურათები.

ახლა ამ ქალს წერილი მივაწოდე. არ ვიცი ვისგან იყო კონვერტს დახედა თუ არა, გახარებულმა აკოცა და გულში ჩაიკრა. მერე ხელი დამავლო და ოთახში ძალით შემიყვანა, ბლომად კამფეტი ჩამიყარა ჩანთაში. ეს ისე სწრაფად, ისე მოხდენილად გააკეთა გახარებულმა ქალმა, მადლობის თქმაც ვერ მოეახროხე.

— მამაშენი სადაა? — ესეც უშალვე მკითხა. კონვერტს გულში იკრავდა და გახსნას არ ეშურებოდა. ალბათ ეს წუთი უფრო მეტად აღელვებდა და ატყბობდა. იცოდა, რაც იქნებოდა წერილში.

— ავად არის, — მივუგე და მადლობაც მამის ეუთხარი.

ლიზას ჩემთვის აღარ ეცალა. კონვერტი გახია და წერილის კითხვა დაიწყო. როცა ჩემად კარისკენ დავიხიე და გარეთ გავდიოდი, მხედველობიდან არ გამოვრჩი და ერთხელ კიდევ მომადახა:

— გასაძლობთ, ძვირფასო!

მესიამოვნა ადამიანი რომ გავახარე. რალა თქმა უნდა, უდიდესი სიხარული და ბედნიერება მოუტანა ლიზას იმ ერთაბეწო წერილმა.

ასეა, ზოგიერთი მაინც წაგაყუდრის,

როგორც ვინდა მოემსახურო, ზოგა კი მცირე სამსახურისთვის დაგლოცავს და გაგაღმერთებს.

ამ დღეს ვიგრძენი რა იყო მამაჩემის სამსახური. მაგრამ იქნებ მამაჩემს არც კი უბედავენ იმას, რაც მე მკადრა რაედენ ფერაძის ცოლმა, ანდა ირმას ბერბას რომ დაუფიქრებლად წამოსცდა! თამარს როგორ დაემღურება კაცი, როცა მასზე ბევრად ახალგაზრდა ქალმა უღანაშაულოს ცხვირწინ გაბრაზებით თომიჯახუნა კარი.

მაგრამ ლიზამ სულ გააქარწყლა ყველა წყენა და წუხილი. იქიდან ფრთაშესხული გვექანდი პირდაპირ ისტორიის მასწავლებლის, ლევან მისაბიშვილის სახლისკენ. არ მელადა. გაუკვირდა ფოსტალიონის მაგივრად რომ მიკადეჭი. შინ შემიყვანა და მკითხა, მამას რა დაემართათ. მამაჩემს დიდ პატივს სცემდა, იმის გამოც, რომ მე მისი საუკეთესო მოწაფე ვიყავი. მამაჩემი მისგან ყოველთვის კმაყოფილი ბრუნდებოდა და აშბობდა, ღმერთივით კაციაო.

მე არ ვიცი როგორია ღმერთი, მაგრამ ლევანი რომ კარგი მასწავლებელი იყო, ეს ჩემზე უკეთ არავინ იცოდა. ალერსიანი, ტკბილად მოუბარი. მხოლოდ რეგვები და თავზე ხელაღებული მოწაფე თუ გაბედავდა მისთვის ხელი შეეშალა გაკვეთილზე.

ძალზე მაღალი კაცი იყო. მასწავლებლებთან გოლიათი ჩანდა. მოწაფეებში ხმა დადიოდა, მისი სხეული მუზეუმმა შეისყიდაო. ამის გაგონება არ მინდოდა. ვერც კი წარმომედგინა, რომ იგი ოდესმე მოკვდებოდა და... როგორ მოუბრუნდა პირში ენა იმას, ვისც პირველად ეს სიტყვები წამოროშა!

ლევან მასწავლებელს შევხედავდი თუ არა, ის ნათქვამი უმალ მახსენდებოდა და გული მტკიოდა.

არავინ მინახავს მასავით მაღალი. თავზე ხელს რომ გადამისვამდა, ჩვეულებრივი ადამიანის ხელს როდი ვგრძნობდი. ის რომ შესვენების დროს სკოლის ღერეთანში ჩაივლიდა, ბავშვე-

ბი კედელს აეკვრებოდნენ, ვაირუსებოდნენ. უნებლიე შიში და მორიდება ჰქონდათ მისი, როგორც გოლიათი კაცისა. საშიში კი სრულებითაც არ იყო. ვისაც კი ვგასწავლიდა, ყველამ ვიცოდით მისი კეთილი გულის ამბავი.

ამ გოლიათ კაცში თბილი, ადამიანური თვისებებიც გოლიათური იყო.

შეწუხდა მამაჩემის ავადმყოფობის გამო. იქნებ რამე დახმარება ვინდათო, მკითხა. აწრიალდა, ვერ მოისვენა. მისი საყვარელი მოწაფე ვიყავი და ჩემმა ქუჩა-ქუჩა სიარულმაც შეაფიქრინა.

— შენ როგორ გაუძღვები მამის საქმეს. შემცველი არავინა ჰყავს?

— მე მხოლოდ დღეს მივეხმარე. გაკვეთილების მომზადებას მოვასწრებ. თავზე ხელი გადამისვა. მეტისმეტად ტლანჭი და უხეში მოალერსება იცოდა, შეამებოდა კი.

— შენ კიდევ გქონია ჟურნალ-გაზეთები ჩამოსარიგებელი. წადი, დროს არ წაგართმევ. შინ რომ მიხვალ, მამას ჩემი სალაში გადაეცი.

მასწავლებელს გამოვეთხოვე და შუკაში ჩემი ქუჩისაკენ თავქვე დავეშვი. იქ კამდენიმე ეზოში შევიარე და ჩანთა შევახალავათე. მივაღეჭი ჩემი თანაკლასელის, ზამბახიძის სახლსაც. ერთი განებივრებული და არხვინი ბიჭი იყო თემო ზამბახიძე. შინ დამხვდა. მასთან არასოდეს არ დავდიოდი, არ ვეამხანაგებოდი და ჩემი მისვლაც ამიტომ გაუკვირდა. ურიგოდ არ შეხვედრია, მაგრამ როცა ვუთხარი, მამაჩემი ავად გახდა და თქვენი გაზეთები მე მოგიტანეთმეთქი, თავი შემართა და ქედმაღლურად მითხრა:

— სწავლაზე რაღას იკლავ თავს? პაპაშენი ფოსტალიონი იყო, მამაშენიც ფოსტალიონია. იმდენი წერა-კითხვა კი იცი, რომ შენც მაგ საქმეს დაადგე.

— ვითომ რაღა? — ჩემდა უნებურად ვკითხე და ჩემივე ნათქვამზე შევცბუნდი.

რამ მათქმევინა?! ვთაკილობ მამის საქმეს? მამამ ეს რომ გაიგოს, იქნებ ეწ-

ყინოს კიდევ. მას ხომ სხვა საქმეზე არასოდეს არ უოცნებია. ამ საქმეზე არის შეყვარებული და გულმოდგინედაც ემსახურება ხალხს.

ნუთუ მამაჩემსაც ასე დაცინებით უყურებთ თემო?

გული მეტკინა. ცივად შევტრიალდი და გზას გავუღეძე.

არიან მოზრდილი რეგენები ქვეყანაზე და მოზარდი რეგენებიც, რომლებიც შემდგომ დიდებს შეცვლიან და რეგენობა მაინც იქნება. სადაც არ უნდა შეგხვდეს ასეთი კაცი, დაგცინებს, ქედმაღლურად გადმოგხედავს და ყოველთვის შენს დამცირებასა და დაწინაველას ეცდება. ასეთი იყო თემო გაკვეთილებზედაც. მუდამ ცერად უყურებდა ამხანაგებს. სამადლოდ დაწერილი სამიანები ჰქონდა, მაგრამ მისთვის არავის არ დაუცინია. ვერ დასცინოდნენ, რადგან ზოგი ვერ უბედავდა, ზოგს ბუნებით არ მოსდგამდა ეს სიბოროტე. მაგალითად, მე არ შემიძლო დამეცინა, მასწარად ამეგლო.

ამ უსიამოვნებას კიდევ ერთი უსიამოვნება მოჰყვა. ერთ ეზოში უკანასკნელი ორიოდე გახეთი ჰქონდა მისატანი. ღია ეზო იყო, შემოუღობავი და უქიშკრო. ეზოში ფეხი შევდგი თუ არა, ერთმა უშველებელმა ქოფაკმა უცებ ასტეხა ყეფა. დავინახე დამშული რომ იყო და ვავთამამდი. ეზოში შევედი. ამაზე უფრო მეტად გამიცხარდა ქოფაკი. იძალა, ჯაჭვი გაწყვიტა და ისეთი ყოფით გამოქანა ჩემსკენ, თითქოს სიციცხლე ჰქონოდა ჩემგან გამწარებული, ჩემს გამოჩენას ელოდა და აი, დაუდგა შურისგების ნანატრი წუთით.

რა დაფუშავე? არაფერი. არც ქვა მისვრია მისთვის, არც კეტი მომიღერებია, მაგრამ მაინც მტრულად შემხვდა. ქოფაკს ჩანთა მივეუგდე და თავს ვუშველე. უკან აღარ მიმიხედავს, ისე მოვეუსვი. თვალის დახამხამებაში ქუჩაში გავჩნდი. ერთი კაცი გადამიდგა წინ. მამველის კალთა გადამიფარა. უცნობი იყო, მაგრამ შეშინებული რომ დამინა-

ხა, შევეცოდე და მაშინვე მომაქცია ყურადღება.

ეზოში თვალი შევასწავთ ჩემი ჩანთა, როგორ უმოწყალოდ ფხრეწდა ქოფაკი. გაზეთებიც ნაკუწებად აქცია. ბოლოს პატრონი გამოუჩნდა და წაათრია. ფერწასულსა და შეშინებულს დამიბრუნეს ნაფლეთებად ქცეული ჩანთა. ვის რად უნდოდა იგი? ისედაც ძველი იყო და ახლა სულ არაფერში გამოდგებოდა. სადღა იყო ბოშა ქალის ნაჩუქარი კამფეტები!

აცხახებულმა გამოვწიე შინისკენ. როცა დღეზე გადებული პატარა ხიდი გადავიარე, დაფხრეწილ ჩანთაში ერთხელ კიდევ ჩაიხებდე, იქნებ ერთი კამფეტი მაინც დარჩამეთქი. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ შიგ არაფერი იყო და ჩანთა ბინძური წყლით საგსე თბრილში მოვისროლე.

დღეაჩემს დაენანა ის ჩანთა. ბაზარში იმით დადიოდა და ბევრი რამ ეტეოდა. ფერიფურმა კი გადაჰკრა, როცა ყველაფერი დაწერილებით ვუამბე. თუმოზე კი ერთი სიტყვაც არ დამცდენია.

მეორე დღეს, რომ არ მოველოდი ისე, ლევან მისაბიშვილმა გამომიძახა, გაკვეთილი ვიცოდი და თამამად წამოვდექი.

მასწავლებელი ოთახის კუთხეში დასჯილი ბავშვივით იდგა. ასე იცოდა გარინდებით დგომა, როცა ვინმე კარგად აბარებდა გაკვეთილს.

მასწავლებელს არ ვუყურებდი. დაფას მიეჩრებოდი და წარსულ ამბებზე თავისუფლად ვცეებოდი. მესმოდა ამხანაგების შეკაეებულო, მძიმე სუნთქვა. როცა თბრობა დავამთავრე, მხოლოდ მაშინ შეგხვდე მასწავლებელს. მან კმაყოფილებით დააქნია თავი და თავისი მაგიდისაკენ წავიდა, რომელზედაც საკლასო ეურნალი ჰქონდა გადაშლილი. ორი ნაბიჯის ვადადგმაც არ დასკირებია კუთხიდან მაგიდამდე.

— მომეცი შენი დლიური.

დლიური მიეუტანე. ხელი თავზე დამაღო და მითბრა;

— მე ახლა შენ სხვანაირ ნიშანს ჩაგვიწერ, ჯერ არავისთვის არ დამიწერია იგი და პირველი შენ იქნები.

რა ნიშანი ჩამიწერა დღიურში და საკლასო ეურნალში, არ დამინახავს. რა უნდა ყოფილიყო ეს „სხვანაირი ნიშანი“? ჩემს მერხს დაეუბრუნდი და ერთი სული მქონდა როდის გადავშლიდი დღიურს.

თურმე მართა მე კი არა, მთელი კლასი გაფაციცებით მოელოდა ამ ნიშნის ნახვას. მაგრამ ვინ გაბედავდა ჩემი მერხისკენ გადმოხედვას, სანამ ზარი არ დაირეკებოდა.

მერხს მივუჭექი. გული გამალეებით მიცემდა. ფრთხილად, ისე, რომ შრილი არ გაეღო, გადავშალე დღიური. თვალს არ დაეუჭერე. ნიშნების ადგილას „წარჩინებული“ ეწერა.

თავბრუ დამეხვა და მთელ კლასს ისე გადავხედე, ისე ამაყად და სიხარულით, რომ უმალ ელდა მეცა ჩემი ამ მეტისმეტი სითამამის გამო. მზად ვიყავი ყველა ჩემი თანაკლასელი გადამეკოცხა. მიუხედავად იმისა, რომ თემოზე უზომოდ ნაწყენი ვიყავი, იმასაც მეგობრულად შოვებევოდი.

ზარი დაირეკა. მასწავლებელი კლასიდან გავიდა თუ არა, „სხვანაირი ნიშანი“ დაინტერესებულმა გოგო-ბიჭებმა ზედახორა გამართეს ჩემს მერხზე. დღიური ლამის დამიფლითეს.

ის დღიური დღესაც შენახული მაქვს. მუდამ ნეტარებით ვიხსენებ იმ დღეს. კლასიდან მთელ სკოლას მოედო ჩემი „წარჩინებულის“ ამბავი. სანახავად მოდიოდნენ სხვა კლასელები. მოვიდნენ მასწავლებლებიც. მე სახელაუწილად მორცხვად ვიმალებოდი კლასში.

7.

ბიჭები გორაკზე წავედით, სადაც ერთი პატარა, დაცემული ველობი იყო. აქ ზმირად ამოვდიოდით ბურთის სათამაშოდ. ფეხბურთის თამაშის წესებს არ ვიცავდით. ჩვენ ჩვენი წესები გვქონდა:

სამი კუთხური ერთ თერთმეტმეტრიანს უდრიდა. სადაც არ უნდა მოხვედრებოდა მოთამაშეს ბურთი ხელზე, სიყვარულთა მოედანი იქნებოდა თუ იმის გარეთ. მაინც ინიშნებოდა თერთმეტმეტრიანი. გვიხაროდა ეს ამდენი თერთმეტმეტრიანები. ოთხნი იქით იყვნენ, ოთხნი აქეთ ვიყავით. ერთმანეთს ვაწყდებოდით და კანკებს ვუღილავებდით, რომ როგორმე ბურთი გვეგდო. ძველი ბურთი გვქონდა, მაგრამ არ იყო გაბერილი და ძნელი სათამაშო იყო.

გასურებულ თამაშში ვიყავით, როცა გორაკზე გოგონებიც გამოჩნდნენ. მოგვიანებით შევნიშნეთ ისინი. მობურთალთ თანდათან დაქერობანას თამაშით გვიახლოვდებოდნენ. ირმაც იმათში ერია.

რალაც შინაგანი ხმა მიხმობდა, თავი მომეწონებინა მისთვის.

ბურთი მოვიგდე და მოწინააღმდეგის კარისკენ გავექანე. მართლა კარგად მიმოქონდა. უცებ ვილაცამ ფეხი დამიდო და ზღართან მოვადინე, ლავაშივით გავეკარი მიწას. პირველად ვერაფრის ტყვილი ვერ ვიგრძენი. მაგრამ, როცა წამოვიწიე, ხელისგულეები და მუხლისთავეები ამეწვა. სისხლი მდიოდა. ყურადღებას არავინ მაქცევდა. მე კი სიმწრისგან ტუჩებს ვიკვებდით.

— ეი, კაცი კვდება და არ ეწველებით?! — მომესმა ირმას ხმა. სჯობდა კი, რომ ეს ხმა სულ არ გამეგონა.

პირველად ის მოიჭრა ჩემთან.

— ა, ეს შენა ხარ! — გაიოცა და როცა დასისხლიანებული ხელები დამინახა, შეკვივლა, — ჩქარა ადექი და წადი ექიმთან. სისხლი მოგვეწამლება!

— სისხლი არა ის... — ტყვილებისაგან გამწარებული ვიყავი, მაგრამ თავი მაინც მოვიარხეინე, იმდენი ვაეცაცობა მეყო, რომ ირმას გულმაგრად ვჩვენებოდი.

— ამას უყურე ერთი! — მიუბრუნდა ირმა მეგობარ გოგონებს, რომლებიც გაოცებულნი მომჩერებოდნენ. მათ თვალებში სიბრაალული წაეკითხე. ალბათ

უკვირდით, ასე „დაჩეხილი“ რატომ არ ვტიროდი.

ბიჭებმა თამაშს თავი მიანებეს და შემომეხვივნენ.

— რა მოგივიდა, თამაზ?

— ის მოუვიდა, რომ ამან ფეხი დაუღო და წააქცია. განა ვერ დაგინახეთ, ვაებატონო! — მივარდა ირმა ერთ-ერთ მობურთაღს, არც აცია და არც აცხელა, სილა სტკიცა ლოყაში. თან მაშინვე მიაცილა, ამა რამე გაბედე, უარესი დაგემატებაო. სახტად დარჩენილი ბიჭი აიწურა და ვერაფერი შებედა.

ძლივს წამოვდექი, ბიჭები ოფლს იწმენდნენ და წუხდნენ. ერთმა მაისური გაიხადა და შუაზე გაფხრიწა, რომ მუხლისთავეები გადაეხვია ჩემთვის.

— ვის გაუგია ქუჭყიანი და გაოფლიანებული მაისურით შეხვევა? — შეუტია ირმამ, — ბენტერავ, მაგდენი არ გესმის? მოჰკიდეთ ხელი და ეჭიმთან წაიყვანეთ!

ბიჭები აქეთ-იქით ამომიდგნენ და ძლივსძლივობით წამათრიეს. გოგოები გორაკზე დარჩნენ, ირმა კი თან გამოგვეყვა. პოლიკლინიკაში ისე შეგვიძღვა, თითქოს ეჭიმებთან გაშინაურებულიაო.

პოლიკლინიკიდან ისევ ბიჭებმა გამომიყვანეს. ირმას თვალს ვერ ვუსწორებდი. გულში კი მიხაროდა, რომ მან ამდენი ყურადღება გამოიჩინა ჩემადმი.

— გტკივა? — მკითხა დამშვიდობებისას და მხოლოდ მაშინ შევხედე, ანცი და დაუღდეგარი გოგოს თვალბში სიბრალული ჩამდგარიყო.

8.

ბაზარს ავებდნენ. უზარმაზარი ადგილი ფიცრისა და ფანერის დუქნებით. ფარდულეებითა და ფართლეულის, რკინა-კავეულის, ათასგვარი წვრილმანი საქონლის სავაჭროებით შემორავკვეს. ბაზრის ბოლოში ხილბოსტნეულის გასაყიდი დახლებიც დამართეს.

ბაზარი საზეიმოდ არავის გაუხსნია, მაგრამ იმ დღეს, როცა პირველად გა-

აღეს სავაჭრო წერტები, ქვეყნის ხალხი მოვიდა ქალაქიდან. ჩემი ქუჩის ბინადარნი ხომ პირველნი იყვნენ. მოზარდებსაც აინტერესებდათ რა გაიყიდებოდა ახალ პაწია მაღაზიებში. ხალხთან ერთად ჩვენც დავიძარით.

ბაზრის მოედანი ქვაფენილი იყო. დუქნებსა და მაღაზიებში ხალხი აზუზუნდა, ზოგი რას ყიდულობდა, ზოგი რას. დედაჩემი ხელცარიელი რომ არ დაბრუნებულიყო შინ, ერთი ვედრო იყიდა.

ახალი ბაზრის გახსნამ ცხოვრების ახლებური სიო დაჰბერა. იქ, სადაც ბლომად ხალხი მოიყრიდა თავს, სასაუზმეებიც საჭირო იყო. კიმოთეს სახაშეს მალე მოცილე გამოუჩნდა და ზედ ბაზრის შესასვლელი შუკის თავში, ნავთის წერტისა და ბიბლიოთეკის გადასწვრივ, დიდი სახინკლე და სახაშე გახსნეს.

ქეთო ქარუხნიშვილს გულზე ცეცხლი ეკიდებოდა, ესღა გვაკლდო, წყენით ამბობდა, მაგრამ მისი სიტყვები იყო ხმა მაღაღებლისა უდაბნოსა შინა.

მალე სახაშესა და სახინკლეს ლუდის ფარდული მოადგეს. სანამ ყველაფერ ამას მოაწყობდნენ, დაზამთრდა. აცივდა, ბაზარში მწვანილმა იკლო. დეიდა სალომეს გვერდით ახლა ძია ვანოსაც ნახავდით. ისინი შემოდგომის ბოლოსღა ყიდდნენ. მათ გარდა ბაზარში ხილით მოვაჭრე ორიოდ კაცი, თუ მოჩანდა. რატომღაც ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრენი ამ ბაზარს არ ეკარებოდნენ.

სიცივით მობუზული ბაზრის მუშაკები მოედანზე აქა-იქ ცეცხლს ანთებდნენ. საამისოდ ძირგავარდნილ ვედროებს იყენებდნენ. ჩაპყრიდნენ ვედროში ნაფოტსა და ქალაღს, ცეცხლს წაუეიდებდნენ და ვედრო ისე დაიგუგუნებდა, თითქოს თუჯის ღუმელიაო.

ქალაქური ეშხი თანდათან ეღებოდა ჩემს ქუჩას. გარშემო უბნებიდან რამდენიმე მაღალსართულიანმა სახლმა მედიდურად გადმოხედა ჩემი ქუჩის ქობახებს.

ქალაქის შუაგულიდან ბაზარში მიმა-

ვალ ხალხს უძნელდებოდა ვიწრო და ტალახიანი აღმართის ამოვლა. ამიტომ, სადაც შესაძლებელი იყო, ქუჩას სივანე მოუმატეს.

აღმართში, იქ, სადაც ახლა პოლიტექნიკური ინსტიტუტის დიდი შენობა დგას, გორაკს კალთა ჩამოაფშვენეს და ქუჩას გვერდი შეუვსეს.

მალე ჩემს ქუჩაზე პირველი ავტობუსი გამოჩნდა. ეს წუთიც ზეიმაღ იქცა.

ავტობუსი ჩემს ქუჩაზე! ამიერიდან ქალაქში, ვერის ხიდამდე ფეხით აღარ ჩავიდოდით. აქ კი ტრამვაის ხაზი გადიოდა. ტრამვაის გაყვანა საბურთალოსკენ არავის მოსვლია აზრად, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩვენი ნატურა იყო. ეტლები კი ბლომად დადიოდა.

და აი, იგივე: ერთგარიანი, ოცდაათადგილიანი „ზისი“, ავტობუსი თუხთუხით გამოჩნდა ჩვენს ქუჩაზე. პირველი მგზავრების უმეტესობა ბაზართან ჩამოხტა.

მანქანას ისე შემოვეხვეით, თითქოს ჯერ არ გვენახა. ასეთი ავტობუსები ხომ ქალაქში ბლომად დადიოდა, მაგრამ სულ სხვა იყო ერთი მათგანის ჩვენს ქუჩაზე გამოჩენა.

მგზავრობის მსურველნი ბევრნი იყვნენ. ავტობუსი ისე იყო გაჭედილი, თრიოდე კაცი ძლივს ჩაქდა ბაზრის გაჩერებასთან.

მანქანა აფთიაქს იქით ძაღლების სანაშენეს გასცდა, კომერციული პურის დუქანთან მივიდა. იქ იყო ბოლო გაჩერება (კომერციული პური მაშინ აღარ იყიდებოდა, მაგრამ დუქანს ძველი სახელი შერჩა). ავტობუსმა ცოტა ხანს შეიცადა და მერე ისევ ხალხით გაჭედოდა ჩამოიარა. ისე იყო სავეს, შოფერს თავზეც ასხდნენ.

ავტობუსის დასანახავად თითქმის ყველა ეზოდან გამოსულიყო ხალხი. კვირა დღე იყო. მომინდა ჩემს ქუჩაზე ავტობუსით გასეირნება. ეს სურვილი მარტო მე როდი მქონდა. როცა მეოთხე დღეს ძლივს მოვახერხე მანქანაში შეძრომა, რამდენიმე ჩვენს სკოლულს შევ-

ხვდი. ავტობუსით დასეირნობდნენ ყმაწვილები. ავტობუსს ერთი-ორჯერ გაჰყოლოდნენ ქალაქში და ამის გამო კონდუქტორი, ერთი ჩია, შავი ქალი, რისხვას აყრიდა მათ. ვერაფრით ვერ ჩაყარა ისინი მანქანიდან. უბილეთოდ არ მგზავრობდნენ, მაგრამ მაინც გული მოსდიოდა კონდუქტორს. ეს რა გზაზე გამოგვიშვეს, უჩიოდა შოფერს, მუშტაიდის ბალი ხომ არ არის, ასე რომ დასეირნობენო. შოფერი ყურს არ უგდებდა. მუნჯივით იჯდა და გზას გაჰყურებდა, ბოლოს ველარ მოითმინა და კონდუქტორს შეუთქა:

— კარგი, პო!

კონდუქტორმა გაბრაზებით გამომართვა ბილეთის ფული და დამიჩაჯღანა:

— შენც საგულაოდ ამობრძანდი?

— არ შეიძლება?! — ვკითხე გაოცებულმა, — ბილეთს ზომ ვიღებ?

— ხალხს საქმეზე ეჩქარება... ესენი გულაობენ... მუშტაიდი? კარუსელი?

შოფერმა გადმოსძახა:

— სოფიც, მოევი, გაიხარონ.

ხალხმაც ხმა შეუწყო შოფერს, ბავშვები არიან, გაიხარონო. ბიჭები ავიეცივდნენ, შოფერი შეაქეს.

ჩვენს ეზოს ჩაუქროლეთ და კიმოთეს სახაშეს გადასწვრივ გაჩერდით. ერთ-ერთი გაჩერება აქ იყო და ავტობუსს ბევრი ხალხი ელოდა.

— ესენი საღლა დაესხათ? — გაბრაზებით დაუძახა სკამზე შესეკუბულმა სოფიკამ შოფერს, ვითომ გაჩერებაზე მომლოდინე ხალხზე დაეწვა გული.

— რა ვქნა, ფეხით წავიდნენ. აქამდე რით დადიოდნენ? ცოტა ეტლებია?

ავტობუსი მაინც გაჩერდა. შოფერმა კარი გააღო და უცებ ირმას ხმა გავიგონე:

— მოდი, მოდი, ბებო! იმარჯვე, ქალო!

სულ მალე დავინახე როგორ მისწომოსწია ავტობუსში ჩაჭედილი მგზავრები ირმამ, როგორ გაუყვალა გასაყვლედი ბებიას და უცებ თავზე წამომაღდა. მა-

შინვე წამოვხტი და ბებია თამარს ადგილი დავეთმე.

გოგონა წამოწითლებულიყო. ავტობუსში ამოსვლით მოქანცულ ბებიას კი ფერი არ ედო, ჩახუთულ გარემოშიც მოხვდა და გული ლამის წაუვიდა. მე და ირმა პირისპირ აღმოვჩნდით, ერთმანეთს მკვიდროდ მიყრულნი. და მხოლოდ მაშინ მომეცა საშუალება დავკვირვებოდი მის ლამაზ სახეს.

ირმას თვალები უყინოდა და გახარებული იყო, რომ ამდენ ხალხში იმარჯვა და ბებიაც ამოიყვანა.

სოფიკამ თქვა, ეს ვინა ყოფილაო! ხალხი გვავეწროვებდა, ერთმანეთს არ გვაშორებდა. ვიწურებოდი, აღმურა შედებოდა და ცოტა არ იყოს, მრცხვენოდა კიდევ გოგონასთან ასე ახლო ყოფნა. ირმა ამას აინუნშიც არ ავადებდა. ზედ ჩემს ცხვირწინ სუნთქავდა და მთელ სახეზე მისი სითბო და სიცხოველე მეფინებოდა.

— სად მიდიხარ? — მკითხა მან უცებ.

— არსად.

— როგორ თუ არსად! არსად წასვლა მე არ გამოვიდა! — გაიციხა მან, — სერიოზობ?

— ჰოოდე, — პასუხად ძლივს ვამბობთითო სიტყვას.

— სასერიოზოდ კი არ არის ეს ავტობუსი.

ირმა მკვრივით მეწებებოდა და მისე პატარა, მკვრივი ძუძუები უცხო ხილივით მეჩვენებოდა. მართლა უცხო და ამაღლეველები იყო. შებრუნებას ვცდილობდი, მაგრამ ვერ ვახერხებდი.

ხალხი ყაყანებდა. სოფიკა ახლა სხეებს წაჰკიდებოდა.

ავტობუსი ფიქრისგორის აღმართს შეუყვავა. უპირდა, მაგრამ ზოზონით მიმავალ ტრამვაის მაინც წამოვეწია. მერე ტრამვაიმ გაუსწრო. იმევე წამოვეწია ავტობუსი და რის ვაივავლახით ავლივთ აღმართი.

ასეთი იყო პირველი მგზავრობა ჩემს ქუჩაზე მოსიარულე ავტობუსით, ასე-

თი იყო პირველი მდელვარებაც ირმას გამო. როცა იგი ვერის ბაზართან ჩავიდა, სული მოვიტყვი. არც კი გამოიმეწვიდობა, ბებიას გზა გაუკვალა და მარჯვედ ჩაიყვანა. მე ჩემს ადგილს ველარ დავებრუნდი, რადგან ბებია წამოდგათუ არა, ვიდაც ქალი ხენეშით დაესვენა სკამზე და ბებია დალოცა, შენ ავაშენა ღმერთმაო.

შინ მიღწევილ-მოღწევილი დავბრუნდი. რა ძალა გადგათ, მისაყვედურა დღედაჩემმა. მაგრამ რა ვიცი, რა ძალა მადგა. მიხაროდა ჩემს ქუჩაზე ავტობუსი რომ დადიოდა. როცა ამ პირველი მგზავრობის გამო ღელვაც ვიწვინე და ტანჯვაც, გადავწყვიტე აღარ ჩამქდარიყავი. თვალს ვაკოლებდი ავტობუსს, მესმოდა ხალხის ყაყანი, სოფიკას ჩხვილი.

9.

დიდი ამბით ჩატარდა ჩვენს სკოლაში საახალწლო ზეიმი. მეორე მეოთხედი დავამთავრეთ. ახალი წელი კარზე მოგვადგა. იმ დღეებში ზვავიანდაც მოთოვა და ყმაწვილურ სიხარულს სიხარული მიუმატა.

მაგრამ ისეთი საახალწლო კარნავალი, როგორც ჩვენს სკოლაში ჩატარდა, არსად მანამდე არ მენახა. მიუხედავად ჩვენი საზეიმოდ მორთული დარბაზის სივიწროვისა (ეს იყო ფიზკულტურის დარბაზი), მოსწავლეებმა მშობლებმა და მასწავლებლებმა ბლომად მოიყარეს თავი. მშობელთა კომიტეტი მთელი ათი დღე მუშაობდა, რომ თავი გამოეჩინა. მოსწავლეთაგან შეარჩიეს ისეთნი, ვისაც ხელსაქმე და ხატვა ემარჯვებოდა ჩვენი სკოლის სამწევო ნაწილის გამგის ოთახში ტკბილეულით საესე პარკუჭანები ეწყო. თვითონ სამწევო ნაწილის გამგე იყო თოვლის პაპა. თავისი ოთახის გასაღები არავის არ დაანება და ალბათ თოვლის პაპობაც ამიტომ ითავა.

დარბაზის შუაგულში კოხტად მორთული, გაშუქებული ნაძვის ხე იდგა.

გული სიხარულით გვიხტოდა. მოცეკვავეები, მომღერლები და დეკლამატორები ჩვენი სკოლის მოწაფეები იყვნენ. ნაირ-ნაირი კოსტუმები ეცვათ. მე არაფერში არ ვიღებდი მონაწილეობას და ვნახობდი. ზოგს საკარნავალო ნიღაბი ეცეთა და ვერც კი ვცნობდით. ხალხში ბებია თამარს მოკვარი თვალი, მაგრამ ირმა კი არსად არ ჩანდა, ალბათ ნიღბიან გოგონათა შორის იყო.

ერთმა გიტარიანმა გოგონამ მიიქცია ჩემი ყურადღება. ბოშა ქალის ტანსაცმელი ეცვა. ყველაფრით ბოშა ქალს — ლიზას გავდა. და თუ მისებურადაც იმღერა! ასეთი კოსტუმში არცერთ მოწაფეს არ ეცვა. იგი ყველასაგან გამოირჩეოდა. ვინ არისო, კითხულობდნენ სტუმრები. თანაკლასელებმა არ გასთქვეს, მანამდე, სანამ სხვა გამომსვლელებმა არ იცეკვეს, იმღერეს და ჭერი „ბოშა ქალზე“ არ მიდგა.

იგი უცებ მარდად გამოვიდა მოწაფეთა ჯგუფიდან ნაძვის ხისაკენ, ხეს ერთი მოხდენილად ჩაუქროლა ცეკვით, მერე გიტარა მოიმარჯვა და ჰოი საევირველებავ: მაშინვე ვიცანი ირმა მალაკელიძის ხმა.

ირმა ლიზას ბამავდა. ზუსტად ისე მღეროდა, როგორც იგი. მიბამვა ისეთი ზუსტი იყო, რომ ყველა იქ დამსწრე აღაფრთოვანა. ყველანი კი კარგად იცნობდნენ ბოშა ლიზას.

საამო ხმა ჰქონდა და გიტარასაც კარგად უკრავდა.

ხშირად მომისმენია ბოშა ლიზას სიმღერა. რა დამავიწყებს მის ოდნავ ჩავუდულ, ძლიერ, მკერდისმიერ ხმას. მართალია, ირმას ნორჩი მკერდი ისე ძლიერ ვერ გამოსცემდა ჰანგს, მაგრამ ისიც კი, რასაც იგი აღწევდა, მოსაწონი იყო. დროდადრო მოხდენილად შემართავდა მარჯვენა ხელს, თვალწარმტაცად შეარხევდა მხრებს და წელში გადაიმტვროდა.

ირმამ ხალხი აალაპარაკა. ზოგმა თქვა, ბავშვს არ შეშვენის ასეთი რამეო, მე-

ორენი იწონებდნენ გოგონას მიბამაველობას, ნიკსა და უნარს.

მთავარი ის იყო, რომ ირმას გამოსვლა უმეტესობას მოეწონა და ტაშით იქაურობა გააყრუეს. იგი ორჯერ ამღერეს. ბოლოს დადლილი შეუერთდა თავის ამხანაგებს. მაშინ კი მივიდა მასთან ბებია თამარი, რომელიც, ალბათ, გაფრთხილებული ჰყავდა, გამოსვლამდე არ მიჰკარებოდა.

ეს საღამო არასოდეს დამავიწყდება. უკვე გვიანი იყო, როცა დაევიშალენით. ზეიმის შემდეგ შინ უნდა შევხვედროდით ახალ წელს. ყველა ოჯახში ამ დროს მაგიდებს ტყბილუღით აწყობდნენ, მერე ოჯახის წევრები შემოუსხდებოდნენ და დაელოდებოდნენ თორმეტი საათის შესრულებას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ძველი წელი წაბრძანდებოდა და ახალი მოზრძანდებოდა. ძველ კალენდარს უკანასკნელ ფურცლიანად კედლიდან ჩამოხსნიდნენ და ახალს ჩამოაკიდებდნენ, ერთმანეთს დაჰკოცნიდნენ ადამიანები და ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით ტყბილად დაბერებას უსწრებდნენ. ასე იყო შარშან, როცა ოცდათექვსმეტი წელი მიიწურა და დადგა ოცდაჩვიდმეტი. ასე იყო იმ წელსაც როცა ოცდათერამეტი წელი დგებოდა.

სკოლიდან შინ მივიჩქაროდი. ბარდნიდა. ჭგროდ გამოვიშალენით ზეიმის მონაწილენი და ქუჩაში გავიფანტენით. ჯგუფი ყმაწვილებისა გოგოებს გუნდას უშენდა. გოგოები კი ქვივილ-ხვილით ერთმანეთს ეფარებოდნენ.

ქუჩაში ნათურები ბუტუტავდა. ისე მოჩანდა, თითქოს თოვლის მსხვილი ფანტელები ციდან კი არა, ნათურებიდან ცვივოდა. მქრქალ შუქზე ბზინავდა და მიწას ნელა ეფინებოდა.

ჩვენს ეზოში თოვლს ნაკვალევი არ ეტყობოდა. სახლებიდან სინათლე გამოდიოდა. თოვლის თეთრ საბანს ფანჯრებისა და კარის შუშების ანაბეჭდი ეფინა.

შინ რომ შევედი, სუფრას უსხდნენ

მამაჩემი, ვანო და სანდრო, ახალი წლის მობრძანებისთვის არ დაუცდიათ, ქეიფს შესდგომოდნენ. კართან თოვლი ჩამოვიბერტყე და მეზობლებს მივესალმე.

— აი, ჩვენი ახალი წელიც მობრძანდა! — მხიარულად დამიძახა ძია სანდრომ. წამოდგა, გადამეხვია და გადამკოცნა. ძია ვანოს ხევენი-კოცნა არ უყვარდა და ხელი ჩამოშარტვა. მამაჩემმა შებლზე მაკოცა.

მალე შერმადინმა დამიძახა. ტექნიკუმში მათაც დიდი ზეიმი ჰქონდათ, მაგრამ ცოტა ადრე წამოსულიყო, უნდოდა ახალ წელს შინ თავისიანებთან შეხვედროდა. სალომეს დიდი სუფრა გაეწყო. ახალი წელი დადგებოდა თუ არა, ჩვენთან მსხდომნიც აქ უნდა აეყვანა.

შერმადინმა ფანდურზე დაამლურა. დები აყვნენ. ნესტანი და თინა ტახტზე ფეხმორთხმულნი ერთმანეთს ჩაპკვროდნენ.

დრო ნელა მიდიოდა. ძველი წელიწადი წელს ძლივს მიითრევდა.

ჩვენი ეზოს ბინადრებმა ერთად მოვიყარეთ თავი.

თოვლის სუფთა, ქათქათა ლეიბზე, ჩუმად, ფეხაკრეფით გამოიარა და ყველა ოჯახს ეწვია ახალი წელი.

10.

...გვეწვია და სწრაფად დავაქაცდა. თვალსა და ხელშუა გაგვიქრა ზამთარი. გაზაფხულის მოსვლას კი რამდენი რამ მოსდევს: სითბო და თქემი, ნაკადულების მოდიდება და კაცის გუნების გახალისება, მტკვრის ამღვრევა. ია, ენძელა, გაღვიძებული კვირტების სკდომა, მინდვრების აბალახება, ჭეჭილის ამოწვევრა, ჰია-ლუის ამოძრავება, მგალობელი ჩიტების პირველი გაკვეთილები. ეუფუნა წვიმა და ცისარტყელა, ალუჩების სიცილი და ტყემლების სიქათქათოე...

გაღვიძებული მიწის სუნთქვაა, გაზაფხულის უცნაურ სუნს რომ ეძახიან.

ამ გაზაფხულს კიდევ ის მოჰყვია, რომ

მე თოთხმეტი წლისა შევსრულდი და პირველი ლექსი დავეწერე.

ერთხელ, აპრილის დამლევს, საღამო ხანს, ბიბლიოთეკას მივაშურე. ქუჩა რომ გადავიარე, ხარაზ ტიპტიპას შევეყარე. გორგოლაჭებზე შეყენებულ თავის ერთი ციციქნა სახელოსნოს ბაზრისაცენრის ვაი-ვაგლახით მიავორებდა. არავინ ყავდა მშველელი, სახელოსნო ძველისძველი იყო, დაფხავებული ფანერებით შეკონწიწებული. შიგ მარტო ტიპტიპა თავსდებოდა, მუშტარი გარეთ უნდა მდგარიყო. არც ისეთი მძიმე სატარებელი იქნებოდა, ხეირიან ბორბლებზე რომ მდგარიყო. ერთი ბურთულ-საკისრიანი ბორბალი ჩაყანგებოდა, არ ტრიალებდა. სწორედ იმის გამო უძნელდებოდა ტიპტიპას სახელოსნოს გადავორება.

— მოდი რა, დმერთი არა გწამს?! — დამიძახა ტიპტიპამ. ჩემთან ერთად ორიოდე სწვა ყმაწვილსაც შეასწრო თვალი და მათაც ასევე მიმართა.

შევესიეთ ბიჭები ტიპტიპას სახელოსნოს.

ხარაზმა ხელები გადაიფშვინტა და კმაყოფილებით თქვა:

— ეგრე რა, თქვე დალოცვილებო! როცა ტუფლი გაგებერიტებათ, ტიპტიპა მაშინ გაგონდებათ: აბა, ჰა, ძია ტიპტიპ. ძია ტიპტიპასაც რომ მიხმარება უნდა, მაგას სულ არა ფიქრობთ. ხედავთ, რო დაებერდი... ეე, ცოტა ნელა, ფაბრიკა ნუ მიმინჯლრიეთ! ქვემოდან მოჰკიდეთ ხელი. მიდი, ეგრე, მიდი!

ხრიგინ-ხრიგინით, მხიარული ყიყინით მივაგორებდით ტიპტიპას „ფაბრიკას“. ბაზრის შესასვლელთან, ერთი ლუქნის უკან მივიტანეთ. ეს ადგილი ტიპტიპას წინასწარ უკვე შეემზადებინა. მიწა მოეთხარა, სადაც თავის „ფაბრიკას“ ჩასდგამდა. ჩადგმას კი ხუთი წუთიც არ დასჭირდა.

ტიპტიპა მისი ნამდვილი სახელი არ იყო. ნამდვილი სახელი, მგონი, თვითონაც არ იცოდა. არც ცოლი ჰყავდა, არც შვილი. ისიც კი არ ვიცოდით, სად ცხოვრობდა, ლამეს სად ათევდა. დილი-

დან საღამომდე მუშაობდა, მერე თვრებოდა. საოცარი ბარბაცი იყოლა, მაგრამ არ ეცემოდა.

— წამოდი, ბიჭებო, თითო არაყს დაგაღვეინებთ, — გვითხრა ტიპტპამ და მართლა მოემზადა ჩვენს დასაპატივებლად.

გამეცინა. აბა, რომელი არაყის მსმელები ჩვენ ვიყავით? ბიჭებმაც გაიღიმეს, მადლობა უთხრეს მიპატივებზე და გაიქცნენ. ტიპტპას მელა შეერჩი.

— თქვე ღმერთგამწყურალებო, მე რა... ის ხო არა გგონივართ. კომოტესთან მივსულიყავით, დავევლია, გვეჭამა, მეტი რა შეგვრჩება. აღილხანოვიცა და მეც იმ ქვეყნად ერთნაირად ვიქნებით... შენ რა გგონია, იმას იქ კიდევ აქვს ფეხსაცმლის ფაბრიკა? ვაჟკაცი არა ხარ, წამო რა! შენხელა რო ვიყავი...

— არაყს სვამდი?

— მა არა ვსვამდი! რამდენისა ხარ?

— თოთხმეტისა.

— თოთხმეტისა? ჰო, ეხლა ბავშვებს გეძახიან. ჩვენ ღროში ვაჟკაცები ვიყავით. თოთხმეტისა მე უკვე ფეხსაცმელს ვკერავდი. არაყს თუ არა სვამ, მაიტა, ფეხსაცმელი მაინც დაგიკერო. აბა, ასწი ფეხი!

მაშინვე დავანახე ჩემი ფეხსაცმელის გაცვეთილი ძირი, არც აცია, არც აცხელა, ფეხში ისე მეცა, ისე უცებ წამაძრო ფეხსაცმელი. ვერაფრის თქმა ვერ მოვასწარი.

— მანამ ძირი არ გაიხვრიტება და ჰაერი არ გავა, ტიპტპა არავის ახსოვს. გაგონილა! გაცვდა, მოიტანე, რალა. რას უცდით, შვილოსან. ღურბინდია, რო გახვრეტილი ტუფლიდან გაიხვლო? ემანდ ჩამოვქექ. მე ეხლავე. იმ ბიჭებსაც უთხარი, მოიტანონ. მუქთად უნდა გავუკეთო... ვინ იყვნენ, იცნობ?

— აბა რა ვიცი, პირველად ვნახე. ძია ტიპტპა.

— აფსუს! ხინკალს მაინც ვაქმევდო თუ ფეხსაცმელები მთელი ეცვათ. სამადლო რა მკირს, შვილოსან. მეორეც გაიხადე!

მეორე ისე არ იყო გაცვეთილი და გაუქვირდა:

— ასკინილა დადიხარ?

ჩემ ფეხსაცმელთან ერთად შევერკათავის „ფაბრიკაში“, უჯრიდან ხელსაწყოები ამოყარა, ლაჯებში საღვარი ჩაიმაგრა, ზედ ჩემი ფეხსაცმელი ჩამოაცვა და შეკეთება დაიწყო. მარჯვე, დაყოფრებული, შავი, უხეში ხელები ჰქონდა. სულ მალე ამ ხელებმა ფეხსაცმელი გამიკობტავეს. მითხარი, რამდენი უნდა გადაეხადო-მეთქი რომ ვუთხარი, ლამის გამლანძლა. მასხარად ხომ არ მიგდებო. ის ბიჭები თუ ნახო, გამომიგზავნეო, დამიბარა გამომშვიდობებისას.

შეკობტავებული ფეხსაცმელებით ბიბლიოთეკაში შევიარე.

დეიდა ქეთოსთან ირმა იღვა და მაგილის კუთხეში ვილაც ყმაწვილთან ერთად მიმჯდარ შერმადინს უყურებდა. შერმადინი ფანდურს ჩუმად აღუღუნებდა და ასევე ჩუმი ხმით დამღეროდა. ის ყმაწვილი სულგანაბული უსმენდა.

მაგილისაკენ ფეხაკრეფით წავედი.

— ცოტა აუწიე ხმას, შერმადინ! — სთხოვა დეიდა ქეთომ.

და შერმადინმაც აუწია. ირმა გახევებული უყურებდა. შევატყე, რომ ვაჟის სიმღერას აეღლეებინა. მისი მუდამ მოძრავი თვალები ანთებულებიყვნენ და იწვოდნენ.

შერმადინმა სიმღერა შეწყვიტა და თავის ამხანავს ჩუმად გაუბა საუბარი.

ირმამ შემომხვდა და გამიღიმა. ჩაფიქრებული და გახარებული ჩანდა. დეიდა ქეთოს წიგნი გამოართვა და შინ გაიქცა.

ერთი კვირის შემდეგ შერმადინი და იგი ერთად ვნახე ბიბლიოთეკაში. შერმადინს თავისი ლექსების რვეული წამოეღო და გოგონას აკითხებდა. ირმა მღელვარებით და განცლით კითხულობდა. მისი ასეთი ციმციმი და აქლურტულება სიამეს გვრიდა შერმადინს. იგი ირმას დახრილ თავს მისჩერებოდა. მის მოძრავ, მრგვალ მხრებს და, ალბათ,

ახალი, ჭერ უთქმელი ლექსების ბურუსში ეხვეოდა.

ირმა დროდადრო აიხედავდა, ქვეშ-ქვეშ შეანათებდა თვალებს. ლექსები მოსწონდა, მაგრამ არაფერს აპბობდა. შეეყურებდი მას და თითქოს სულ სხვა გოგონად მეჩვენებოდა. აღარ იყო ისეთი ცეტი, დაუდგრომელი, ბიჭებს რომ ეკინკლავებოდა, კიბის საბელურზე ჭინკასავით რომ სრიალებდა... გოგო მაჭარივით დულდა და დღითიდღე იცვლებოდა. და აი, პირველი დიდი ცვლილება: მისი თვალების სინათლეში სულ სხვა სხივი კიაფობდა...

და მაშინ გულმა მიკარნახა, ლექსი მეც დამეწერა.

პაწია ლექსი დავწერე და ვერავის ვერ წავაკითხე. ვერ გავებდე ვინმესთვის მეჩვენებინა. ლექსი გაზაფხულზე იყო. მე მაშინ ისიც კი არ ვიცოდი, რომ ლექსის დასაწერად მარტო სურვილი არ კმაროდა, რომ ლექსს არა საკუთარი სურვილი აწერინებს კაცს, არამედ რაღაც ლეთიური ძალა.

სურვილი მქონდა ლექსის დაწერისა იმიტომ, რომ ამას გარკვეული მუზეზი ჰქონდა. ეს იყო გრძნობათა ჭიდილის ჩანასახი ბავშვობისა და სიკბაბუეის საზღვარზე...

ლექსი დიდხანს ვატარე ჭიბით. ამოვიღებდი, წავიკითხავდი, დავეცავდი და შევინახავდი. ამ დაეცევა-შენახვაში ქალღალი გაცედა. გადავწერე, მაშინვე ორივე ფურცელი დავხიე და გადავყარე. მაგრამ ლექსის დაწერის სურვილმა არ მომასვენა. არ მომასვენა იმიტომ, რომ რამდენჯერაც ვნახე ირმა და შერმაღინი ერთად, ირმა ყოველთვის აღფრთოვანებით კითხულობდა მის ლექსს, ყოველთვის დიდი გატაცებით უსმენდა ვაჟის სიმღერას, ფანდურის დულუნს.

კიდევ დავწერე ლექსი. დრო შევარჩიე და ბიბლიოთეკაში ილიკო კალაძეს ვაჩვენე.

ილიკომ გულდასმით წაიკითხა ჩემი ლამაზად ჩაწიკწიკებული ლექსი, გამიღიმა და მითხრა:

— კიდევ დაწერე, იქნებ რამე გამოგიდეს.

— ეს როგორია, ძია ილიკო?

— რა ვიცი, აბა... პირდაპირ გეტყვი, არ მომეწონა. გულს ნუ გაიტეხ. შენზელა რომ ვიყავი, მეც ვწერდი ლექსებს. გამოგიტყდები, შემდეგაც დამიწერია, მაგრამ გამოქვეყნებაზე არასოდეს არ მიოცნებია, ჩემი ლექსები მხოლოდ ჩემთვის არსებობდნენ. პოეზია ისეთი ცეცხლია, ყველას გულს რომ ეკიდება. პოეზია სულის ენაა, სული კი ადამიანის უპირველესი საზრდო.

— მაშ არ ვარგა, პა? — გულნატკენმა ვკითხე და ქალღალი დავკეციე.

— ნუ გეწყინება, ასე მკაცრად რომ შეგიფასე პირველი ნამუშევარი, — მომეფერა და თავზე ხელი გადამისვა. ო, როგორ მინდოდა კი მოსწონებოდა. მაშინ მე სხვათა ყურადღებასაც მივიქცევი და სწორედ ეს მეწადა.

სულის ენაო! ძლიერ მომეწონა ილიკოს სიტყვები. მიუხედავად იმისა, რომ მირჩია კვლავაც მეცადა ბედი, გადაწყვიტე აღარ დამეწერა ლექსი. მაგრამ ეს გადაწყვეტილება ვერ შევასრულე და რამდენიმე დღის შემდეგ ახალი ლექსით ისევ ძია ილიკოსთან ვიჭექი.

— ძალიან გიჩქარია, — მითხრა ილიკომ, როცა ის მეორე ლექსიც წავაკითხე. — ჭერ ისწავლე. ჩემო კარგო. თუ შენ პოეტად დაბადებულხარ, კარგ ლექსს უთუოდ დასწერ. თუ არადა, რამდენიც უნდა ეწვალო, ყოველთვის უსულგულო გამოგივა. გინდა, გავარჩიოთ? — მუდამ სათნო, მუდამ კეთილი ძია ილიკო ახლა ისე მიყურებდა, თითქოს დიდი რამე დამეშავებინოს.

მას ძლიერ უყვარდა პოეზია და მუსიკა. რამდენჯერ უთქვამს, ყველაფერს ავიტან, მაგრამ სიყალბეს პოეზიასა და მუსიკაში ვერაო. ლექსს მანათობელ ვარსკვლავს ადარებდა. რაგინდ შორს არ უნდა იყოს, ნათელს მაინც გვაწვდისო, სულის სიღრმეს გვინათებს და გვიხალისებსო.

ჩემმა ლექსმა კი კმუნვა მოჰგვარა.

მკაცრად იმიტომ მომეკცა, რომ ქართულ ლიტერატურასა და ენაში, ისევე, როგორც სხვა საგნებში, ხუთიანი მჭონდა და ჩემგან იმას მოითხოვდა, დროა პოეზიის ავ-კარგი გაგებოდეს და ასეთ ლექსებს არ წერდეთ.

პოეზიით ტყობა ნეტარებად მიიჩნედა. ამიტომ იყო ნიდაგა ბიბლიოთეკასთან მიჯაჭვული, ამიტომ დაიმეგობრა ნიკიერი შერმაღინი, ამიტომ გამეცხა მე სუსტი ლექსების გამო.

ის იყო და ის, მეტი ლექსი აღარ დამიწერია.

11.

საორთქლმავლო დებოს საყვირის გაბმული ღმუილი ქალაქს აღვიძებდა. მისი მძლავრი ხმა საბურთალოზე ისე მოდიოდა, თითქოს დებო მტკვარს გაღმა კი არა, იქვე, ბაზრის ბოლოშიაო.

დებოს საყვირი რომ მიჩუმდებოდა, მერე აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკისა და სხვა ქარხნის საყვირები მოუხმობდნენ თავიანთ მუშებს.

ამ ხმაზე მეღვიძებოდა ყოველთვის.

მერე აღარ მეძინა. ეზოდან მესმოდა ყოველთვის ერთი და იგივე: მეზობლის კარის კრიალი, ძია სანდროს მძიმე ნაბიჯების ხმა. ვიცოდი, რომ ამას ონკანის ჩხრიალი მოჰყვებოდა. პირის დასაბანად პირველად მკედელი გადიოდა. ონკანი მერე კიდევ ორჯერ დაიხზრიალებდა და ამას მოჰყვებოდა დებოს საყვირის მეორე აღმუვლება, ეს უკვე რვის ნახევარზე.

სანდრო პირველი ჩაივლიდა ჩვენი სახლის კართან. ტიშკარი გაიფახუნებდა. პირველი მუშა უკვე გასულია ჩვენი ეზოდან. მერე ცუნცულით, მსუბუქად ჩაირბენდნენ ნესტანი და თინა. აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის წრიპინა საყვირი უხმობდა და დები სამუშაოზე ეშურებოდნენ.

ასე აღრიანად მიდიოდნენ და საღამო ხანს ბრუნდებოდნენ. ძია სანდრო

მეზობლებში არ ლაპარაკობდა თავის ხელობაზე, ქარხანაზე, სადაც ის მუშაობდა. ბევრჯერ წარმოვიდგინე ვრდემლთან რკინას შექიდეული, ხენესით რომ ებრძოდა გავარჯარებულ რკინას, ღუნავდა, გრეხდა, აბრტყელებდა. შინ არაფერი მოჰქონდა, რომ მისი ნახელავი გვენახა. ვის რაში გვჭირდებოდა რაღაც მანქანის მოზრდილი თუ წვრილი ნაწილები! ნესტანსა და თინას კი მოუტანიათ შინ საკაბე ნაჭრები. ფაბრიკაში ავილდოებდნენ დღესასწაულებზე, პრემიის სახითაც აძლევდნენ აბრეშუმით ყელამდე შეიმოსნენ დები, ნათესავებიც კი შემოსეს. ერთი საკაბე დედაჩემსაც აჩუქეს. რვა მარტის ისეთი საკაბეები მოიტანეს, თვალი ყველას ზედ დარჩა. რამდენჯერ დააპირა დედაჩემმაც, სადმე დაეწყო მუშაობა, რაიმე საქმისთვის მოეკიდა ხელი, ვერა და ვერ ბედავდა. არსად არასოდეს არ ემუშავა და სულ იმის შიშში იყო, ვაითუ ვერ შეეძლო. მაგრამ ხანდახან იტყოდა, ნესტანმა და თინამ შეძლეს და რა უნდა იყოს ისეთი, რომ მე ვერ მოვერიოთ. მეორე წუთს საოჯახო საქმე გაიტაცებდა და ფიქრს სხვა საგანზე გადაჰქონდა.

არც ნესტანი და თინა ამბობდნენ, როგორ მუშაობდნენ ფაბრიკაში. ალბათ საქმე რიგვიანად გამოსდიოდათ, რომ ჯილდოს ჯილდოზე იღებდნენ.

ერთხელ, სკოლაში წასასვლელად რომ ვემზადებოდი, ღია კარიდან თვალი მოვეკარი ეზოში შემოსულ მამაჩემს. ეურნალ-გაზეთებით დატენილი ჩანთა ზურგზე მოვედო. ელდა მეცა, კიდევ შეუძლოდ ხომ არ არის-მეთქი. მაგრამ უძლურება არ ეტყობოდა სიარულში. ოთახის კარს მოუახლოვდა, ჩანთა ჩამოიხსნა და მე და დედაჩემს გეითბრა:

— ვანო უნდა გავახარო. ნახეთ, „კომუნისტში“ ნესტანის სურათია.

— აბა, მარჯვენა! — დედაჩემმა დამასწრო და გაზეთი გაშალა. ნესტანის სურათი პირველ გვერდზე დაებეჭდათ. აბრეშუმის ფაბრიკის სტახანოველი

მქსოველით, დიდრონი ასობით მიეწე-
რათ.

ძალიან გაგვიხარა ამ ამბავმა.

უბრალო გოგო იყო ნესტანი, სუ-
რათში კი ცოტა გაპრანჭული მეჩვენა,
თავი შეემართა, ტუჩები მოეწრუბა და
ასე იყურებოდა, თითქოს ვიღაცას თავს
აწონებდა.

— უყურე ერთი ამ სამიწეს! — სიხა-
რულით „დასწყევლა“ დედაჩემმა.

იმ დროს ძია ვანოს შინ ვინ ნახავდა!
საბურთალოს ბაზარში დახლთან იდგ-
ნენ ის და სალომე, გაზაფხულის ქორთვა
მწვანილსა და თვის ბოლოც ჰყიდნენ.
იქნებ იცოდნენ კიდევ, რომ იმდღევან-
დელი გაზეთის პირველ გვერდზე მათი
უფროსი ქალიშვილის სურათი იყო და-
ბეჭდილი, იქნებ უთხრა ნესტანმა?

— ბაზარში გავევლი, გაზეთს ვანა-
ხებ და მივულოცავ, — თქვა მამაჩემმა
და ჩანთა წამოიკიდა, მეც გავყვი.

ბაზრის შესასვლელში თვალი პირვე-
ლად ტიპტიპას მოვკარი, თავის „ფაბ-
რიკაში“ ისე იჯდა, თითქოს დაუმწყე-
დევიათ და იქიდან აღარ უშვებდნენ.
თავი დაეხარა და ფეხსაცმლის ძირს გა-
მალებით უშენდა ჩაქუჩს.

— გამარჯობა, ტიპტიპ! — მიესალმა
მამაჩემი.

— ვარდენას სიცოცხლე და დღეგრ-
ძელობა! ჩემ წერილს არავინა წერს და
რას მამიტანი იცოცხლე და იღვგრძე-
ლე! ეგ შენი ბიჭია? — ტიპტიპამ ცე-
რად გამოგვხვდა.

— ჩემია, ტიპტიპ.

— ღმერთმა გაგიხაროს. იმ დღეს
ჩემი „ფაბრიკის“ დადგმაში მიშველა.
თითო არაყი მოგვიხდებოდა, ვარდენ.

— ვმადლობ, ტიპტიპ, გვეჩქარება.
ჩვენი მეზობლის, ვანოს გოგოს სურათია
გაზეთში და უნდა ეახარო.

— ვაა! — პირი დაალო ციპტიპამ, —
რომელი გოგოსი? იმას ორი გოგო არა
ჰყავს?

— უფროსისა. სტახანოველი გამხ-
დარა, ჩვენ კი არაფერი ვიცოდით.

— ჰო რა, ვანუასავით ყოფილა, ერთ
3. „მნათობი“, № 6.

სიტყვას არ დასძრამს. მაშ სტახანოვე-
ლია, ჰა? მეც მივეულოცამ... ემანდა დეა,
ობრაბუსა და ბოლოცა ჰყიდის.

მე და მამაჩემი მწვანილეულით სავ-
სე დახლს მივუახლოვდით. ვანოსა და
სალომეს უმარავი მუშტარი ეხვია. ცო-
ლი და ქმარი დიდ მუშაობაში იყვნენ.
ვანო ბოლოცის კონებს ურჩევდა ქა-
ლებს, სალომე კი ობრაბუსს ჰკონავდა
და ქალებს აწვდიდა.

— ვანო! — დაუძახა მამაჩემმა.

ვანომ მაშინვე მოგვხვდა.

— ერთი ამას შეხედე! — მამაჩემმა
გაზეთი დაანახა.

— ჩემი გოგო არ არის, კაცო?! —
წამოიძახა ვანომ და თვალები აუციმ-
ციმდა, ბოლოცის კონები დაჰყარა და
გაზეთს წამოსწვდა.

სალომემ სველი ხელები წინსაფარზე
შეიწმინდა და ჩვენ მოგვაშურა. თვალ-
ში ცრემლი მორეოდა.

— ჩემი შვილი! — თქვა ვანომ და
მყიდველს ამაყად გადახვდა.

— მაჩვენე, კაცო, — ხელში წასწე-
და სალომე გაზეთის გამოსართმევად.
მაგრამ ვანომ არ დაანება. შვილის საქ-
მით გახარებულმა დედამ და მამამ, გა-
ზეთს რომ დახედეს, უნებურად თავი
თავს მიადეს და ასე გარინდებულნი,
ტუჩების ცმაცუნით ჩუმად კითხულობ-
დნენ ნესტანის ამბავს. თურმე ნესტანს
შინაც არაფერი უთქვამს, გაზეთისათ-
ვის სურათი რომ გადაუღდეს.

მწვანილზე მისული ქალები იდგნენ
და ელოდნენ. მათ მაინცდამაინც ვანოს
მწვანილი უნდოდათ. გამოუღვევლად
ჰყავდა მუშტარი.

— ეს როგორ ჩამკრობიხარ, ქალო?
სირცხვილია, ხალხი ვეიყურებს. — შე-
ხუტმარა ძია ვანო სალომეს, რომელმაც
ძლივს ჩაიკითხა ნესტანის ამბავი.

მწვანილზე მოსული ქალების გარდა,
აქ სხვებიც შეგროვდნენ, მათაც ჩარ-
გეს ცხვირი გაზეთში. ნაცნობმა და უც-
ნობმა, ყველამ მიულოცა შვილის წარ-
მატება დედ-მამას.

სკოლაში მაგვიანდებოდა. დავკარ

ფეხი და გალაღებული თიჯანივით მოეკურცხლე. თან რაღაც საამო ეღურტული მიმდევდა. თვალწინ მდგა თავშემართული ნესტანი. აბა, რას ვიფიქრებდი თუ ეს ჩემი, უსიტყვო და მორიდებული ქალიშვილი შეტლებდა სხვების ასე გახარებას.

სალამო ხანს ძია ეანოს სახლში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ასეთი აღელვებული და დამორცხვებული ჯერ არ მენახა ნესტანი. ფაბრიკიდან მგვობრები მოჰყვნენ. დეიდა სალომე სიხარულისაგან ისე იყო დაბნეული, რამდენჯერმე თქვა, ეს რა დაგვემართათ.

— მაგას მწუხარებისას ამბობენ, ქალო! — შეუწყრა დედაჩემი.

— რა ვთქვი ისეთი?! — შეიცხადა სალომემ. უნებურად ნათქვამი აღარც კი ახსოვდა.

დედაჩემიც წამოეშველა მეზობლებს. გაჩაღდა საქეიფო სამზადისი. მოგვიანებით ქიშკარი ხალისიანად შემოაღო ძია სანდრომ, შინ არ შეუხვია, პირდაპირ ლაცაბიძეების შესაბანდში ავიდა, სადაც ხალხს მოეყარა თავი, ნესტანს მოეხვია თავისი მუშური, შავი, დიდრონი ხელებით. გულში ჩაიკრა და უთხრა:

— შენ მარჯვენას ვენაცვალე, გოგო! თავისივე სიტყვამ ააღელვა. მერე ძია ეანოს გადაეხვია.

— დიდი რამ საქმე მოხდა, ჩემო ვანო.

სალომეც დაკოცნა:

— რა გოგო გყოლიათ!

ნესტანი ძმას არ შორდებოდა, მკლავში ისე ჩააჭრენოდა, თითქოს შიშობს ვინმემ არ წამართვასო. დაიმორცხვა და დაიწურა. ფაბრიკაში კი სასწაული მოუხდენია. ერთიდან უცებ ხუთ დახვავზე დაუწყია მუშაობა და ხუთივეზე გადაქარბებით შეუსრულებია გეგმა. მისებრი საქმე მანამდე ვერავის ვერ გაებედა.

თინა მეგობრებში იდგა და დას ისე უყურებდა, თითქოს თვითონაც სტუმრად მოსულაო, თითქოს ნესტანი მისი სისხლის სისხლთაგანი კი არა, ვიღაც

სხვა ყოფილიყონ, შეჰყურებდა, უღიზიონდა და შენატროდა.

სტუმრების გასამხიარულებლად შერმადინმა თანდური გადმოიღო და დაამღერა.

ძია სანდრომ სასწრაფოდ გამოიკვალა ტანსაცმელი, რომ სუფრაზე არ დაგვიანებოდა. თამადად შენ იქნებო, უთხრა ეანომ და მუშა კაცობა უარი ვერ უთხრა, რადგან მუშა ჰყავდა დასალოცი.

— თურმე თქვენს ეზოში ცხოვრობს ის სტახანოველი, გუშინდელ ვახუთში რომ იყო დაბეჭდილი, — მითხრა ირმამ სკოლაში.

— შერმადინის დაა.

— შერმადინის? რას მეუბნები! უთხარი რა, წაგვიყვანოს ფაბრიკაში და გვაჩვენოს რას აკეთებს.

— მეც არ მინახავს, აუცილებლად ვეტყვი.

— რა ბედნიერი ქალია? — შენატრა ირმამ, — ახლა მისი სახელი მთელმა საქართველომ გაიგო. უცებ ყველას ნაცნობი გახდა. აუცილებლად სთხოვე წაგვიყვანოს და გვჩვენოს, როგორ ქსოვს აბრეშუმს.

ერთხელ კიდევ მთხოვა და გამშორდა. სანამ ნესტანს ენახავდი, შერმადინს ვუთხარი ყველაფერი.

— ფაბრიკაში მე წაგიყვანათ. — მხარზე ხელი დამკრა შერმადინმა. — ნესტანს ნურაფერს ეტყვი, მოულოდნელად დავადგეთ თავზე. ეს საქმე მე მომანდებდათქვით. საღ და როდის უნდა შეგხვედროდით ერთმანეთს. ირმა აეტობულის გაჩერებასთან დავიბარეთ. მე და შერმადინი ცოტა ადრე გავვდიეთ შინიდან და გაჩერებასთან აეტორდიადით. ირმა იგვიანებდა, ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა. თან ბებია ახლდა. გოგონა წინ მოდიოდა, ბებია თამარს ერთი ნაბიჯით უსწრებდა.

— დავაგვიანე, — ორივეს აღტაცებით შემოგვეფეთა ირმა, — ბებიაც წამოვიყვანე. ამ ხნის ქალია და არც კი იცის, როგორ ქსოვენ აბრეშუმს.

ბებია მოგვიახლოვდა. მე და შერმა-
დინი მივესალმეთ. ქალმა უსიტყვოდ
დაგვიკრა თავი და ირმას გაკვირვებით
შეხედა, უტყობა, შვილიშვილს არც კი
უთქვამს ვისთან ერთად აპირებდა წას-
ვლას.

— აბა, წავედით! — გასცა ვანკარ-
გულება ირმამ.

— ავტობუსს არ დაველოდოთ? —
ჰკითხა შერმადინმა.

— ალბათ ბებიჩემის გერიღებათ.
ნუ წუხდებით, ბებიას ფეხით ურჩევ-
ნია. არა, ბებო?

— ჰო, რა ვიცი. ეს ბიჭები მგონი ყო-
ფილან ჩვენთან, არა? — ბებია თამარმა
ჯერ შერმადინი შეათვალიერა, მერე მე
შემომხედა, — უი, ვერც კი გიციანი, —
მითხრა და ისევ შერმადინს შეავლო
თვალი, — ჰო, ესეც ჩვენი მეზობელი
ყოფილა... წავიდეთ, შვილებო.

დაღმართზე ფეხით დავეშვიტეთ. გაუეს-
წრებდით ბებიას, მერე დავეუცდოდით.

— მე არც კი ვიციოდი, რომ ნესტანი
თქვენნი და იყო, — მიმართა ირმამ შერ-
მადინს.

— თურმე ყოჩაღი და მყოლია. სანამ
ჩემი თვალით არა ვნახე, არც კი მჭერო-
და.

— როგორ მაინტერესებს.

— დაიგვიანე კი.

— ბებიჩემის ბრაღია. ზო შენი ბრა-
ღია, ბებო, რომ დავიგვიანეთ?

— ცოტა ნელა იარეთ. რომ დავებერ-
დი და მუხლში ძალა გამომეღია, ესეც
ჩემი ბრაღია?

აღმართში თუხთუხით ამოდიოდა ნავ-
თით საგვე ავტოციისტერნა. ამ ბოლო
დროს ნავთი ბლომად მოჰქონდათ. სად-
ღა იყო ის გრძელი რიგი ნავთის წერტ-
თან! მენავთე კიბის თავში იჭდა ისევ
და ახლა ნავთს კი არა, მუშტარს ელო-
და.

ავტოციისტერნას თან ნავთის სუნი
სდევდა. ირმა ნავთის სუნს ვერ იტანდა.
იქ, სადაც ახლა რადიოს და ტელე-
ვიზიის ოთხსართულიანი შუშისა და ბე-
ტონის დიდი შენობაა, მაშინ ორიოდ

სახლი იდგა, გაფურჩქვნილ, ვაღაღანე-
ბულ ბაღებში. ვაშლის, ალუჩისა და
მსხლის ტოტები ქუჩისკენ წყნარად
წევილი.

ახლა, ამრილის დამლევს, ხეთა ყვავი-
ლობა იყო და ისეთის სურნელება ეფი-
ნებოდა მიდამოს, ნეტარებით თენთავ-
და კაცს. ირმას სახეს ღიმილი მოეფინა
და ჰაერი ხარბად შეისუნთქა.

ჩამოცვენილი ყვავილები ღობის
გასწვრივ გზაზედაც ეყარა. ყვავილებზე
შესეული მწერი ბზუოდა.

ხალისიანად მივაბიჯებდით.

დაღმართი ჩავლიეთ და ფიქრისგორის
აღმართს შევეუდექით. აბრეშუმის საქ-
სოვი ფაბრიკის ქიშკარს მივადექით. სა-
კონტროლო შესაშვებში ჯერ ბებია შე-
ვეუშვიტეთ. კარისკაცმა უცნობი ქალი რომ
დაიხანა, საშვი მოსთხოვა.

ქალს ელდა ეცა, მაშინვე შედგა და
განცვიფრებით მოგვხედა.

კარისკაცმა იცნო შერმადინი. ისინი
ხელის ჩამორთმევით მიესალმნენ ერთ-
მანეთს.

— ერთადა ხართ? — ჰკითხა კარის-
კაცმა ჩვენზე.

— ნესტანთან მივდივართ. ჩვენი მე-
ზობლები არიან და აინტერესებთ.

— ნესტანთან ბევრნი მოდიან. ახლა
კინოს უღებენ, კარგ დროს მოხვედით.
მიბრძანდით.

კარისკაცი გზიდან ჩამოგვეცალა.

როცა ჯიხურს გავცდით, ირმამ შერ-
მადინს გაუცინა. ფაბრიკის წითელი
აგურის შენობისაკენ მიუხაროდა. უკვე
მკვეთრად ისმოდა მანქანების დუგდუ-
გი.

ჩვენს მეგზურს ყველა შემხედური
ესალმებოდა. ნესტანისა და თინას ძმას
კარგად იცნობდნენ ფაბრიკის მუშები
და მოსამსახურეები.

საქსოვ საამქროში შევედით.

დახვები გრიალებდნენ. უამრავი მა-
ქოს ტყავატყუვი ისეთ ხმაურს იწვევ-
და, ყურთასმენა წალბებული იყო, ერთ-
მანეთისა აღარაფერი გვესმოდა. ირმამ
ყურებზე აიფარა ხელები, ხოლო ბებია

თამარი ხმაურს არცთუ მაინცდამაინც შეუწყუხებია, რადგან ყურთ ცოტა აკლდა. მოხუცი ქალი ბავშვივით აცეცებდა თვალებს. მოსწონდა მზის სხივებივით მარაოსაებრ გაშლილი აბრეშუმის ძაფი, მწყობრად, თანაბრად რომ მიცურავდა კოჭებიდან საქსოვში. ღარში ტკაცუნობდა ძლიერი მაქო. აქეთ-იქით გაპქონდა და გამოპქონდა მისაქსელი ძაფი.

საამქროს უფროსი იქვე, საამქროს კართან შემოგვხვდა. შერმანდინს მიესალმა და ყველანი დარბაზში ჩავგატარა. საამქროს ბოლოში მივადექით იმ დაზგებს, რომლებზედაც თინა და ნესტანი მუშაობდნენ. ნესტანი ხუთი დაზგის მუპატრონე იყო, თინა კი ერთ დაზგას არ სცილდებოდა. პირველად უმცროსი და შევნიშნეთ. დაგვინახა და გაგვიღიმა. მივუახლოვდით. ირმამ რაღაც კითხა, თინამ ხმაძალდა აუხსნა და თან გაშლილ მარაოზე მიუთითა, მაგრამ ჩვენ ვერც შეკითხვა გავიგეთ და ვერც პასუხი. თინამ მეზობელი დაზგებისაკენ მიგვახედდა, სადაც კინოსტუდიის მუშაეებს ჰიუპიტერები დაედგათ და გადაღებისათვის ემზადებოდნენ.

ნესტანის ხუთივე დაზგა დგანდგარებდა. ხან ერთთან მივიღოდა, ხან მეორესთან... დახედავდა ძაფებს, მაქოს, თუ სადმე ხარვეზს შენიშნავდა, მაშინვე აჩერებდა დაზგას, სწრაფად მოიყვანდა წესრიგში და ასევე სწრაფად გაუშვებდა, წამიც და ახლა სხვა დაზგასთან გაჩნდებოდა. ხუთივეს თანაბარი ყურადღება უნდოდა. მანძილი დაზგებს შორის დიდი არ იყო, მაგრამ მაინც სჭირდებოდა სისწრაფე.

მქსოველი ქალიშვილი დადიოდა გამართული, ამაყი და ჭან-ლონით სავსე.

ხშირად შეგხედრივარ შინ დაბრუნებულს. მოდიოდა დაღლილი, ფერმკრთალი, მაგრამ არასოდეს არ დაუჩივლია, მოვიქანცეო. დილით, როცა სამუშაოდ ეშურებოდნენ დები, მე ისევ ლოგინში ვიწექი, მათ ფეხის ხმაზე კი ვგრძნობდი, როგორ ხალისით მიიჩქაროდნენ იმ

საქმისაკენ, რომელსაც მათი სიყვარულით ემსახურებოდნენ.

ვიდექით და შევეყურებდით ნესტანს. კინოსტუდიის მუშაეებმა საშხადისი მოათავეს.

ირმას ხელები ყურებზე პქონდა აფარებული. ვერაფრით ვერ შეეჩვია საამქროს ხმაურს. თვალები ვულუბრყვილო, ცნობისმოყვარე გოგონასავეით დაეკუცა და ისე მისჩერებოდა დაზგებთან მოფუსფუსე ნესტანს.

ბებია თავს აქნევდა. ეტყობოდა კმაყოფილი იყო ფაბრიკაში მოსვლით.

ნესტანმა შეგვენიშნა. წაშში ჩვენთან გაჩნდა, ირმას ლოყაზე მოუთათუნა ხელი, მერე უცებ მოგვიხანდა ბოლოში და გაგვშორდა. დაბნეული და აღელვებული იყო, როგორც ყველა გახარებული ადამიანი.

როცა კინოგადაღება დაიწყო, ნესტანს საქმე აერია. დაზგიდან დაზგისაკენ მიმავალს ნაბიჯი ეშლებოდა, თითქოს ფეხებში რაღაც ებლანდებოდა. ასე რომ გაღვლოთ, მაყურებელი იფიქრებდა, ეს რა სტახანოველია, ფეხი ხეირიანად ვერ გადაუდგამს და ხუთ დაზგაზე როგორ მუშაობსო.

ნესტანს ლოყები წითლად გაუღვივდა. ლელავდა. რევისორმა თავისებურად რამდენჯერმე უჩვენა, როგორ უნდა წასულიყო დაზგიდან დაზგისაკენ, მაგრამ სწორედ ეს არ გამოსდიოდა ნესტანს. ფაბრიკაში მისთვის არავის უსწავლებია დაზგებს შორის სიარული. საქმეს თვითონვე მოუხანა ისეთი გეზი, რამაც სახელი მოუტანა. ახლა კი რევისორი ასწავლიდა ასე და ისე იარეო, დაზგებს ასე მოუდექი, რომ კადრში კარგად გამოხვიდყო.

საქმე ფერხდებოდა, ამაზედაც ბრაზობდა ნესტანი, მაგრამ ვერაფერს ამბობდა.

რამდენჯერმე გააჩერეს ხუთივე დაზგა. რევისორიც ნერვიულობდა, „მსახიობთან“ ვერაფერი გამოსდიოდა. საქმეში საამქროს უფროსიც ჩაერია. მაგრამ იმანაც ვერაფერი უშველა რევისორს.

თამარმა ითმინა, ითმინა, ველარ მოითმინა, რეჟისორთან მივიდა და რალაც უთხრა. რეჟისორმა ცერად გამოხედა ქალს და მთელი ხმით იყვირა:

— ძალიან ვთხოვთ, ჩემს საქმეში ნუ ერევი!

როგორ არ ეცადა რეჟისორი, ნესტანს ვერა და ვერ შეესმინა ის, რაც უნდოდა. ბოლოს თავის ნებაზე მიუშვა. ნესტანმა დაზგები ააშუშავა. მაგრამ იმის შეგრძნებით, რომ სურათს უღებდნენ, მაინც კარგავდა წონასწორობას. რეჟისორი დროდადრო უყვიროდა ოპერატორს:

— მოტორი!

— არის მოტორი!

და სწორედ ამის შემდეგ დგებოდა ნესტანისათვის ციებ-ციხელების წუთები. ეს დაძახილი კიდევ გაისმა და ნესტანმა შენიშნა ძაფთა მარაოში გაჩენილი ბზარი: ორი ძაფი ერთდროულად გაწყდა. ნესტანს დააფიქვდა კინოგადაღება, მივარდა დაზგას, სწრაფად გააჩერა, ორივე ძაფი ისე სწრაფად განასკვა, ალბათ სული არ მოუთქვამს, იმ მხარეს ერთი ამყად, ყელმოღერებით გაიხედა, სადაც რეჟისორი და ოპერატორი იდგნენ და ნესტანმა დაინახა სინარულით როგორ გამოეჭანა მისკენ რეჟისორი და აღელვებულმა რალაც უთხრა. ვერ გავიგეთ. მივხვდით კი, რომ გადაიღეს ის, რაც ეწადათ კინოს მუშაეებს.

როგორ მიხდოდა იმ ფილმში ჩვენც მოვხვედრილიყავით. მაგრამ რეჟისორი ისეთი ავი კაცი ჩანდა, ნესტანს ჩვენ კი არა, საამქროს არც ერთი მუშა არ გააკარა.

მაშინ გული დამწყდა, რომ ჩვენც არ მოვხვდით კადრში.

ახლაც ვნანობ. შესაძლებელი კი იყო სამუდამოდ აღბეჭდილიყო ჩვენი სახე, ჩვენი მოძრაობა. ვვიან, ათეული წლის შემდეგ შეიძლება მომეძებნა კინოსტუდიის არქივში და ერთხელ კიდევ შენახა ირმა და შერმადინი, მოხუცი თამარი, დამკვრელი მუშა ნესტანი... შენახა საკუთარი თავიც, შენახა და იმ ვახ-

სენებით ტკბილად ავლელვებულყავი. მაგრამ ეს არ მოხდა.

გაქონული
ბიზნესი

12.

სანამ სახელს გაითქვამდა ნესტანი, შინ გვიან მოდიოდა ხოლმე, რადგან დასთან ერთად მუშადაკში სწავლობდა. ახლა, როგორც სტახანოველს, ათას აღგილას იწვევდნენ, მოსვენებას არ აღუვდნენ და უფრო იშვიათი სანახავი გახდა.

ღის წარმატებამ თინას მოსვენება დაუკარგა. მასაც უნდოდა სახელი და დიდება. თინა ერთ დაზგაზე მუშაობდა. თითო დაზგას სხვებიც კარგად მართავდნენ.

ნესტანი არ იყო თავკერძა. ზოგ მუშას სამ დაზგაზე დააწყებინა მუშაობა, ზოგმა ოთხსაც მოჰკიდა ხელი. მუშათა ასეთ თაოსნობაზე რადიო და ყურნალ-გაზეთები ალაპარაკდნენ. მთელ ქვეყანას ახალ-ახალი სახელები მოედო.

ერთ საღამოს გარეთ ვისხედით მე და ძია სანდრო. სანდროს თავისი სახლის კართან ელექტრონათურა ჰქონდა ჩამოკიდებული და მთელ ეზოს ანათებდა. მკედელი ჩვეულებას არ დალატობდა და ღია კარში იჭდა. გაზეთი რომ გადაათვალიერა, მერე მუხლებზე დაილაგა თავისი დიდრონი ხელები.

— გაზეთს კითხულობ ხოლმე? — შემეკითხა.

— ვკითხულობ.

— ევროპიდან კაი სუნი არ მოდის.

— რა სუნი, ძია სანდრო?

— ბათქა-ბუთქი არ დაიწყოს, ეგ მაფიქრებს.

ბათქა-ბუთქი ომს ნიშნავდა. მაშინვე მივუხვდი და გულუბრყვილოდ გამეცი-ნა. ვითომ ამით ის გამოვხატე, ჩვენ ვინ რას გაგვიბედავს-მეთქი. მთელი ჩვენი ქვეყანა მაშინ მხნელ მღეროდა „ხვალ თუ ომი იქნებაო“. ამ სიმღერაში არც ერთი სტრიქონი უიმედობისა და შიშის გამომხატველი არ იყო. აბა, რას წარმოვიდგენდი თუ ზუსტად ორი წლის მე-

რე დაიწყებოდა ის, რასაც იმ დღეს სანდრომ ბათქაბუთქი უწოდა.

ძია სანდრომ ჩუმად ერთი ისე გადმოხედა, ვიგრძენი, რომ სულელ ბავშვად ჩამთვალა. მაგრამ მე მაინც იმ წუთებში ღრმად მწამდა, ჩვენ ვერავინ გაგვიბედავდა ომს. მივივრდა, ძია სანდრო ასე მტკივნეულად რატომ განიცდიდა ევროპის ამბებს. ეს ყველაფერი ილიკო კალაძესაც აფიქრებდა, მაგრამ მისგან უიმედო სიტყვა არა მსმენია. სწორედ მან ამიხსნა, რა იყო ფაშიზმი და როგორ აღორძინდა იგი გერმანიაში. იცის კი ძია სანდრომ ამდენი? რატომ არის დარწმუნებული იმაში, რომ ომი აუცილებლად იქნება?

— დაგვკალებენ რამეს, ძია სანდრო?
— გკითხე კარგა ხნის დუმილის შემდეგ.

— ყურებზე ხახვი არ დაგვაკრან!

მეგონა რაღაცას დარდიანად, უიმედოდ იტყოდა. მისმა სიტყვებმა გული გამიხალისა.

ჭიშკრის პატარა კარმა გაიჭრიალა. თინა გამოჩნდა. მარტო შემოვიდა ეზოში. ჩქარი ნაბიჯით ჩაგვიარა, ცივად და უხალისოდ მიესალმა ძია სანდროს, მე კი არაფრად ჩამავლო.

ძია სანდრომ გაკვირვებით გადმომახედა, რადგან თინას ორივემ შევატყუებ უგუნებობა.

ცოტა ხნის შემდეგ ქალიშვილის ყრუ ქვითინი გავიგონეთ. შუშაბანდში იჯდა და ტიროდა. სალომე ამშვიდებდა. ვანო, ნესტანი და შერმადინი შინ არ იყვნენ. დედაჩემს გული მოეწვა და მაშინვე აკითხა. სანდროც შეწუხდა, ეგებ რა დაემართათ, წამოდგა და მეზობლისას გასწია.

ჭირსა და ლხინს ყველა თანაბრად ვინაწილებდით ამ პატარა კარმიდამოში, მაგრამ ხდებოდა ისეც, როცა შინაურ საქმეს მეზობლებს არ ვუმხელებდით.

ატყრემლებულ თინას ნუგეში სცეს, მაგრამ ვერ გაიგეს რა ატირებდა. თავი ხელებში ჩაერგო და მაგიდაზე დამხობილიყო. დროდადრო ამოისლუკუნებთითქოს გული თან უნდა ამოაყოლოსო.

— მითხარი, გოგო, რა დაგემართა?!

— ეკითხებოდა შეწუხებული სალომე.

ერთი სული გვეკონდა გაგვიგოცნარა ატირებდა, მაგრამ სიტყვებს არ სძრავდა.

მალე ნესტანიც გამოჩნდა. შუშაბანდში შემოიჭრა, გაღიმებული მივიარდა დას და კოცნა დაუწყო:

— სულელო, ტუტუცო!.. აბა, შემომხედე, არა გრცხვენია?

— რა მოხდა, გოგო, შენ მაინც მითხარი, გული ლამის გამიხსდეს! — მივიარდა სალომე ნესტანს.

— არაფერიც არ მომხდარა. რა სულელი და მყოლია! მე მაგას ჭკუას ვასწავლი! — გაღიმებულმა ნესტანმა თინას თავი აუწია და ცრემლი მოსწმინდა.

ძია სანდრო ჩუმად იდგა. გაკვირვებული უყურებდა ერთი დის მოციმციმე, მეორეს ცრემლიან თვალებს.

ცხადი იყო რაღაც მოხდა, მაგრამ არც ისეთი სავალალო, თორემ ნესტანი როგორ გაღიმებდა, ასე როგორ მოეფერებოდა დას. ალბათ ნესტანმა აწყენინა, თინა გაებუტა და ატირდა. ხდებდა ხოლმე ასეთი რამ დაძმებსა და დებს შორის. ნესტანი ეხვეოდა, ამშვიდებდა, მაგრამ ბოდიშს კი არ უხდიდა.

როგორც იყო გავიგეთ რაც მომხდარა. თინას სამ დაზგაზე დაუწყია მუშაობა. ნესტანი მიშველებია დას, საქმე კარგად აუწყიათ, პირველ დღეს პირველი სიხარული მოჰყოლია, თინა ცას სწევია. ერთი კვირა ამ სამ დაზგაზე წაუმუშავებია, მაგრამ უგრძენია, რომ თავს ისე ყოჩაღად ვერ ართმევდა საქმეს, როგორც სხვები. სტახანოველი ნესტანი ხუთ დაზგას უძღვებოდა და მის ნაქსოვს წუნი არ დასდებია. ყოველთვის კი ნესტანი ვერ დაცხმარებოდა.

ნესტანი დაზგებთან ისე თავისუფლად იყო, თითქოს მარტო თვითონ კი არა, ოთხი უჩინარი მქსოველი თან ახლავსო. დაზგები მუშაობდნენ, ის უჩინარი მქსოველები სათითაოდ იდგნენ ყოველ მათგანთან. როცა ერთ დაზგაზე მუშაობდა, ნაქსოვი არავის დაუწუნებია თინასთვის. ახლა კი... ერთხელ აპატიეს, ორჯერ, სამჯერ. ნესტანმა უჩინა დრო-

ებით ისევ ერთ დაზგას დაბრუნებოდა, მაგრამ თინა ჯიუტობდა, დის სახელი ახლებდა, უნდოდა მისი სურათიც გაეკრათ საბატიო დაფაზე, მასთანაც მისულიყვნენ კორესპონდენტები... მაგრამ ნაქსოვს როგორც კი დახედავდა, ნერვები ეშლებოდა. და ასე აღერლილი დაბრუნდა დაზგიდან დაზგისაკენ.

ეს ყველაფერი მოგვიანებით გავიგეთ. იმ დღეს კი ჩვენთან არაფერი დასცდენით დგბს.

თინას ამბავი დაწვრილებით რომ შევიტყუეთ, მახსოვს, ძია სანდრომ მითხრა:

— კაპიტალისტები ასეთ მუშას ერთ საათს არ აჩერებენ ფაბრიკაში, წუნდებული ნაქსოვის გამოშვებისათვის აჯარიმებენ და ერთ კაი პანდურსაც ამოჰკრავენ ზოლმე. წუნდებული ნამუშევარი მეც გამომდიოდა, ვანა არა. მაგრამ არც თავკაცებისაგან, არც ამხანაგებისაგან გულგასაბეხი სიტყვა არ მახსოვს. მათ რომ დროზე არ ეზრუნათ ჩემზე, დღეს ორდენსაც ვერ დავიმსახურებდი.

— რას, ძია სანდრო? — პირი დავაღე ორდენის ვაგონებაზე.

— გეგონათ ნესტანმა მაჯობა, ეგ არი და ეგ, სანდრო გულზელდაკრეფილიაო? ორდენით მაჯილდოებენ. ამ დღეებში მოსკოვში უნდა წავიდე.

— აქამდე რატომ არ ამბობდი, ძია სანდრო?

— რა ვიცი, აბა. უცებ, ზო იცი... ამ ხნის კაცი ვარ და ჯერ მოსკოვში არა ვყოფილვარ. პირველად მივდივარ და ისიც პირდაპირ კალინინთან, კრემლში. მითხრეს ორდენს ის მოგცემსო.

— სტალინსაც ნახავ?

— მთაწერობაში რომ მივალ, ვნახავ, მა არა ვნახავ?!

— ბედნიერი ხარ, ძია სანდრო! — მოვეხვიე და გადავკოცნე. ის კი ბავშვით იყო გახარებული და თვალწინ ესახებოდა მომავალი გზა მოსკოვისაკენ, სადაც მისთვის ორდენი უნდა მიეცათ. ამაზე მეტი ბედნიერება რაღა უნდა ყოფილიყო.

ერთი გზა მინა

პ რ ე მ ა

I

ატმის ყვავილის ყალიფონს
 ქარი მალიმალ უბურავს.
 კვირტების ჯამით დალია
 ცვარი სადარო ღრუბელმა.
 გადასეტყვილი ვაზები
 წამოდგენ, ისევ განაზუნდენ.
 ცისკარი ელამაზებათ
 ემზად ჩამოშლილ დალაღზე.
 ფრინველთ ჟივეთი შიისმის,
 ვით ჰიმნი ცინცხალ დილისა.
 გადაეღვარა მაისი
 მწვანით შემოსილ ხიდისთავს.
 ტანას კამკამა ტალღები,
 მიჰქრინან ცეცხლის მკვუსავედ.
 ნაპირზე მგვენახენი
 დგანან — გიგა და ბეზარა.
 წყალგაღმა ხეებს შესტინის
 მებაღე ქალი-ნუკრია.
 და მხრებზე ვაზის ღერწივით
 ნაწნავი გადაუყრია.
 ნაპირს ასხლტა ჯიღაური,
 წყალს ლარივით გადაეზმანა.
 მხარს არ უგდებს და მხარულით
 უმალ მიჰყვა მას ბეზარა.
 და წკრიალით ხმა გაიბნა,
 თეთრი ქალის ძახილისა,
 ძმობის ხიდი მით დაინგრა

და სხვა ცეცხლი ავიზგიზდა.
 ნატვრის თვალად ბრწყინავს წყალი.
 ჩქერს ნუკრიას სახე ბზარავს.
 გადაუსწრო გიგამ წამით,
 დაეწია წამს ბეზარა.
 თითქოს ჯიღოდ იმოსება
 ჩამომწყდარი მზის აღმური,
 ჰა, თავსაფარს — ვით ოცნებას
 დასწვდა გიგა ჯიღაური.
 და მეორე ნაპირისკენ
 გადასერა წყლის დინება.
 ბეზარა კი აღარ მისდევს,
 დაისრული იმზირება.
 გამობრუნდა, მშრალ ქვიშაზე
 მარტო დარჩა დარცხვენილი.
 აუჩქამდა სისხლი ძალზე,
 გულიც თასმებდაწყვეტილი.
 და თავისთავს უთხრა დარდით:
 თვალებს რაღას აფახულებ,
 ხომ უყურებ, ის ღერწი
 დიაცივით დაგახურეს.
 და სველ მკერდზე მჯიღა უროდ
 დაიკრა და შეჰყვა ვაზებს.
 — გავსწორდებით, ჯიღაურო,
 თუ ბიჭი ვარ ქვეყანაზე.
 მიდის, მაგრამ გზაც დაბინდდა.
 სველ თვალბში შუქი ჩაწყდა



შორს მოლანდა: გიგა იდგა
გაბარებულ ნუკრიასთან...

ზურნის პანგი გადაბმული
არწივის ფრთებს მოისხამს.
გორისციხეს გადაუვლის
ბაგაბუგი დოლისა.
ცისკიდური მოიშვილდა
მზის მიბნედილ ციალით,
კაკლის ჩრდილში ქალიშვილთა
ისმის ლალი ტკრციალი.
დგას ნუკრია აფეთქილი,
ვით ამაყი ტაძარი,
მკერდზე ადევს დაგრეხილი
ბორკილივით ნაწნავი.
მოხუცები დინჯად სხედან
და მორკინალთ უცდიან.
წრეს ადიდებს უფრო პეტა,
ხალხს ამშვიდებს კურცხლია.
ონოფრეანთ ბიჭს მანქანა
გზაზე გაუხიდა.
და ძარაზე, ვით ზამბარა,
პატარები ჰკიდა.
გაჭუდილა გზა და მარა,
ირგვლივ ხალხი ირევა.
პა, ბეზარამ გადაშალა
მკლავნი ორთაყვირებად.
და გამყივან ზურნის ხმაზე
ცეცავს მკერდგაღული.
გაშლილ წრეში უკლის ასე
დასაქუხებ მესივით.
ჯიღაურიც მოიოქებით
პანგზე რიხით ატოტდა,
ელღამაც დოღს ჯოხები
დასცხო, დანაფოტა.
საჭიდაო ხმა გამოსცა
აქღერიღმა სოფელმა,
ზურნიდანაც არ გამოძვრა
დიდხანს ჭრიჭინობელა.
რომელია განწირული,
დაეტოლა ცალს ცალი.
მხრები უჩანთ აზვინული,
მკერდი-რივის ქეასავით.
გიგას ეცა ბეზარა და
თითქოს მიწა დაიძრა.
ჩოხას მისწვდა, ისე მაგრად
დაჰკრა, ჩამოაფხრიწა.
ყველამ თვალი დააჭყიტა,

დადგა ხალხის ზანზარი.
— ჩოხას რად ხეგ, კაცს ეჭოდ
თუ არა ხარ ლაჩარი.
ეს სიტყვები ლახვრად მოხვდა
ბეზარას და იმ წამსვე,
გულმოსულმა თავის ჩოხაც
დააფრთხა მიწაზე.
ხალხმა ერთხმად დაიხუვლა,
ჯიღაურიც გაჯიქდა.
მერე, როგორც ბამბის ქულა,
მორკინალი აზიდა.
ერთი მაგრად შეარხია
დასაცემად აწვდილი.
ბეზარა კი დაეხვია
ტანზე ლორთქო ვაზივით.
ახითხითდნენ ხანდაზმულნი:
— ეპა, უკვე დასახლდა.
ზურნა შედგა ხმაწასული,
დოლიც ჩადგა. დაზავდა.
კაკლის ხეზე მიმალულმა
რადიოს ხმამ შეზარათ.
და შემცბარმა ჯიღაურმა
ძირს დაუშვა ბეზარა.
ყველა ღუმს და თავდახრილნი
დგანან ერთი კაცივით.
გორისციხეს ფრთადახლილი
ჩამოვარდა არწივი.
ცაზე ყვავმა გადიფრინა,
ყვავი მზერით დაფლითეს.
წყველად გაჰყვა ხალხის გმინვა
ლამესავით შავ ფრინველს.
მზეც დასავლით გადიშვილდა,
მძველად გაჰყვა ნიავი.
აღარ ისმის ქალიშვილთა
სიცილი და ტკრციალი.
და ნუკრიას დაღალეები
უცებ ბინდმა შებურა.
მონუსხული ფლავენებიც
წრეში დაყუდებულან.
შიშველ მკერდებს შეაცივდათ
მზის სხივი და გაქეპადენ.
დაემსგავსენ მამაც გმირთა
ადრე დადგმულ ქანდაკებს...
ხალხი უხმოდ დაიშალა,
ნაგვემი და დაღლილი.
მოაბღავლებს ბინდში შარას
რქებდახრილი ნახირი.
თითქოს ბირუტყვს შეებედითი



ომის ბოლი უგრძენია.
 ნაღველი და მწარე ფიქრი
 თვალებზე აუცრია.
 მიდის ხალხი დაღვრემილი,
 დუმილი და მწუხრია,
 მარტოდ-მარტო თავივე მიდის
 ფერგამკრთალი ნუკრიაც.
 უცებ შედგა, შორს გახედა —
 მთები თალხის ფერშია.
 და ატენის მოსახვევთან
 გიგაც წამოეწია.
 ხმა კი არცერთს გაუღია,
 თითქოს ნახვა ემწარათ.
 ვით ნასროლი შმაგი ტყვია,
 მათთან გაჩნდა ბეზარა.
 დგანან თავებჩაქინდრულნი,
 ნისლი აძევთ ჭირსლივით
 და მოესმით ბედაურის
 შემზარავი ჭიხვინი.
 ეზო — რკინის ჭიშკრიანი,
 ოდა — ცისფერ რიკულით.
 ცხენი ბრდღღინავს ჯიშინი
 ჭადრის ხეზე მიბმული.
 ჩამქრალ ცაში ცეცხლი ადის,
 კვამლი ბურავს მთა და ველს.
 რცხილის კუნძზე ცხელი შანთი
 ჩინჩხლებს ყრის და ვარვარებს.
 ფარნა იღებს ნაღვენთ რკინას,
 პირუტყვეს ისე დასწვდება.
 დაღალული ცხენი გმინავს
 და ჭიხვინი არ წყდება.
 მამას მკლავზე ეამბორა,
 შევედრა ნუკრია,
 მაგრამ ფარნას შვილის თხოვნა,
 თითქოს არც გაუგია.
 — ომია და დამეკარგოს?
 სხვა გზა არ უწერია.
 და იცოდეს ყველამ კარგად
 ეს რომ ჩემი ცხენია.
 მარწუხივით ორივე ხელით
 პირუტყვეს წინ აეფარა.
 გაჯიჭბულს წამს კისერი
 მოუგრია ბეზარამ.
 ცხენმა უკან დაიხია
 ჭიხვინებს და წარს დასცემს.
 ფარნა შანთით ინიციალს
 ამოაწვავს გავაზე.
 იქვე ცისფერ აივნინდან

აქვითინდა ნუკრია,
 ჯიღაური შეიბინდა,
 ხმა კი არ გაუღია.
 უცებ ფარნას ხელზე დასწვდა,
 თავს დაატყდა ღვთის წყრომად,
 ცხელი შანთი გამოსტაცა
 და შორს გადაიხროლა.
 ბეზარას წინ გადაუდგა,
 მჯიღი დაჰკრა მკლავზედა,
 მჭლე ხარივით ჩაამუხლა
 ჩამწკრივებულ ვაზებთან.
 კვლავ შემართა გიგამ მხრები
 და წარბები შეღობა.
 ნუკრიამ კი მოფერებით
 გაიყვანა ეზოდან.
 — ხედავ? შენს წინ რაებს ბედავს,
 საჭმეს გიზამს საჯაყოს.
 ეს იცოდე, ცხენთან ერთად
 ქალიც უნდა დადალო.
 თქვა ბეზარამ, იქვე ფარნა
 ბრაზიანად დაღანდა.
 უმალ გაჩდა ეზოს კართან
 და შარაზე გავარდა...

II

ჩაბნელებულან დასავლით —
 კავკასიონის ბორცვები.
 ერთი მიმქრალი ვარსკვლავი
 ცას შერჩა, როგორც მლოცველი.
 ორბი ცას აღარ შეჰყვიოს,
 წაშლილა ხოხბის ფერები,
 დამუქდენ ყორნის ფრთებივით
 მწუხარე ქართლის ველები.
 გორისციხეზე მხრებდახრილ
 ჯიღაურს ცეცხლი ედებო.
 სატრფოს ტოვებს და ლიახვი
 ისევე მტკვარს უერთდება.
 განშორების ჟამს რა განსჯის,
 ანდა ნუკრიას ღრმა თვალებს.
 გული უსიტყვო დაღადში
 დამბულ მტრედევით ფართქალებს.
 მაღლა, სულ მაღლა ადიან.
 ირხევა ზეცის მანდილი.
 გორი კი ქვევით აგდია,
 ხმლით დაკვეცილი ფარივით...
 ამოიჭროლეს ბიჭებმა
 აღმართი ჯოხის ცხენებით.



ჯერ გალაწიდან იტყვის,
 იქნის ჩალის ღერები,
 მერე ნანგრევებს გვეთენენ,
 ძირს თავი არ დაუსრიათ
 და ციკნებივით შეხედეს
 ჩაკრულ გიგას და ნუკრიას.
 შეცბნენ და დაბლა დაეშვენ,
 დასცეს ყიჟინა მხედრული
 და ისე გაჭრნენ ღამეში,
 ვით მამულისთვის შეთქმულნი.
 როგორ გარბიან წუთები,
 სამახსოვრო და მარადი.
 ნუკრიამ სულმოუთქმელად
 ჩამოიბინა დაღმართი.
 გიგაც ჩამოჰყვა დუმილით
 და სული სვედამ გათოკა.
 ცივ ქვაზე მხრებაწურვილი
 ბიჭები სხედან მარტოკა.
 გალურჯებულებს საბრალოდ
 უცემთ პაწია გულები
 და გასცქერიან სამყაროს
 მწყურალნი და გაბუტულები.
 გიგამ ორთავეს აკოცა,
 მოენტო თვალთა ღაღარი
 და კითხვა შიშით გამოსცრა:
 — ბიჭებო, მამა სად არის?
 ძალა არ ყოფნით ჩიორებს,
 თითქოსდა ბუდე მოშლიათ.
 — ჩვენ მამისათვის ვიომეთ,
 მამა კი მაინც ოშშია.
 ეს თქვეს და წამსვე გაიჭრნენ,
 ჯოხის ცხენებით გაქუსლეს.
 გიგას ეს ციციქა ბიჭები
 ფიქრებს უმატებს მამულზე.
 ხელი ჩაჰკიდა ნუკრიას
 ქუჩაზე გადაიყვანა,
 ლურჯ სახლთან გადაუსვია,
 მაგრამ არ გასჭრა იღბალმა,
 დარაზულ კარს არ მოსცილდა,
 როგორაც მგზავრი გვიანი.
 სახელურს ისე მოზიდა,
 მინებმა იწყეს ზრიალი.
 დაღონდა ფიქრში შთენილი,
 როგორც მწიარი და თბოლი.
 კარს ბედის განაჩენივით
 ადევს ვეება ბოქლომი.
 უსიტყვოდ დგანან მიჯნურნი
 მკაცრ წუთისთფლის კარავში,

მხარზე თოფგადაკიდული
 გამოჩნდა ღამის დარაჯი.
 — ჰეი, შვილებო, ვინა ხარღ,
 ნეტავი აქ რამ შეგყარათ.
 ამ სახლთან არვინ მინახავს,
 რაც ომობს ჩემი ქვეყანა.
 თუ კი ასეა, ორ წუთში,
 აქ დამელოდეთ, ჩინართან —
 თქვა და კეთილი მოხუცი
 ღამეში გაუჩინარდა.
 დაიქცა მწარე სამსალა,
 თოფლივით გადნა ტკივილი.
 და ღამის დარაჯს საგზალად
 თან გააყოლეს ღიმილი.
 ბედნიერების წუთია,
 თუ ოცნებაა მარადი,
 და შეუბნია ნუკრიამ
 გიგას გახსნილი ხალათი.
 ისე დაირხა ჩინარიც,
 ვით ჯვარისწერის გვირგვინი.
 ფოთლები დაუძინარი
 გაშალა ბედის წიგნივით...
 დარაჯის ხმა შემოესმათ.
 (მოხუცს ჩიტივით ეფრინა)
 თან მოჰყვა ქალი, რომელსაც
 კარები გააღებინა.
 არ ანთებულა ჭაღები,
 ბნელი სანთელმაც დასძლია.
 ცისფერ ღარანაკში ვარდების
 მჭკნარი ღერები აწყვია.
 კედელზე აღარ წიკწიკებს
 ისრებდამდგარი საათი.
 გაყინულ დროის სიცივე
 არცერთ კარიდან არ გადის.
 ოცდაორ ივნისს ბინდიანს,
 დაუდაღია ფერები.
 და კალენდარიც კიღია
 ჯერ ფურცლებმოუხვევლი.
 თითქოსდა მათი ოცნებაც
 ნისლმოხვეული ბინდდება.
 — თქვენს გარდა ხელისმოწერას
 სხვა ორი მოწმეც სჭირდება.
 თვალები წყვილს დაატოლა
 ჭალარა რეგისტრატორმა.
 მხრებს საიმედოდ გადაშლის
 მოხუცი ღამის დარაჯი:
 — მოწმე გახლავართ ამათი
 და შეუღლებას დავხარი.

გინდ მეჭორწილე დამარქვით,
 გინდა ფხიზელი მყარი.
 ერთი ხმა თქვენც შეგვაწიეთ,
 როგორც დედამ და ქართველმა,
 და დაჯულოცოთ ყმაწვილებს
 ახალი კერის დანთება.

— სიამოვნებით, აქა ვარ, —
 თავაუღებლად თქვა ქალმა.
 გიგამ პასპორტი გადასცა,
 გაიშრიალეს ფურცლებმა.
 და საქორწილო დავთარზე
 დაეცა მწვანე უწყება.

— ეს რაა? ოში მიდიხარ? —
 ქალი ვერ ფარავს ამ წუხილს,
 — როდის? — შემერთალმა იკითხა.

— ამაღამ — იყო პასუხი.
 მერე ეს როგორ იქნება,
 შეყვრისთანავე სცილდებით?

— ასეთ სიყვარულს დიდება,
 არც მოეშალოს იმედი. —
 თქვა რიხით ღამის დარაჯმა,
 მაღალი ღმერთი ასხენა
 და საქორწილო დავთარში
 თავისი გვარიც ჩაწერა.

— დამილოცინიხართ, შვილებო,
 გენახოთ მზე და ვარდობა —
 თქვა და ცრემლები შეიშრო
 ჭალარა რეგისტრატორმა...
 ნათურაც არსად იღიმის
 ამ ჩაბნელებულ ქალაქში,
 წინ გამოუძღვათ ღიღინით
 მოხუცი ღამის დარაჯი.

და დადუმებულ კედლებთან
 ორჯერ დასცალა ბერდენკა.
 უცებ, სად იყო, სად არა,
 მკაცრი, მრისხანე იერით
 წამოეწიათ კვალდაკვალ
 ჭაბუკი მილიციელი.

— ნუ მიწყენ, მამაშვილობამ,
 ქვეყნად მშვიდობა მეც მიწადა.
 დაქორწინდნენ და ავღნიშნე
 მამაბაბური წესითა.

თუ დავარდვიე წესდება,
 ერთხელ ბერიც ხომ შეცდება.
 აბა, თუ ღირსი არა ვარ,
 დამაბატიმრე ამაღამ. —
 და ჭაბუკს თოფი გადასცა
 მოხუცმა ღამის დარაჯმა.

— ჰე, ძია კაცო, იმედი
 ან სიხარული გიძრახე?

ოლონდ სამაყრო ტყეები
 ჩემთვისაც გადაიანბე.

მისწვდა გიგას და ნუკრიას
 დალოცა სულით და გულით
 და დაბალ ხმაზე გულდიად
 თვით წამოიწყო მაყრული...
 თითქოს ღამემ ფრთა დაკეცა
 და წკვარამი შორით მიჭრის.
 თმაჩამოშლილ მაღალ ზეცას
 სუნთქვა არხვეს გორისციხის.
 თეთრ სვეტებში გაბინდული
 მოჩანს ქიხი დაბინდული.

აქ ორთავე დგანან წყვილად,
 ერთმანეთის რჩეულებად.
 ერთმა წამმა გადასწყვიტა
 საუკუნო შეუღლება.

გიგამ კადრა სიტყვა ფიცად
 ქოხს პატარა აიენიანს,
 და ქართული მუჭა მიწა
 გაშლილ მკერდში ჩაიბნია...
 ხიდისთავის გზას გაუყენენ,
 (გზაა — როგორც ხელის გული)

ალვისხეთ და მაღალ მუხებეს
 ტოტნი უჩანთ შერისხული.
 მათ კი მაინც სიტბაუკე
 მიაცილებთ ჩაუქრობლად,
 ონოფრვანთ ბიჭმა უცებ
 წინ მანქანით ჩაუქროლათ.

შედგა და წყვილს მიგახლა
 გამშრალი და მოწყენილი.
 შუბლზე დარდი ადევს დაღად,
 დგას დასაკლავ მოხვერცივით.

გიგამ კითხა განცვიფრებით:

— თავი დაბლა რად დახარე?

— ის ათასი ვაზის ნერგი
 კვლავ სანერგეს ჩავაბარე. —
 თქვა მძლოლმა და გული ჩაწყდა,
 თითქოს ესმა ოხვრა მიწის.
 ჯიღაური სახტად დარჩა,
 გაეყინა ძარღვში სისხლი.
 ფიქრობს: რა დროს ომი არი,

ვაზი რჩება უკაცურად
 და ღამურამ ღამიანმა
 თავზე გადაუტკაცუნა.
 დგას და იმ შორ ხანძარს გასცქერს,
 შორს ბინდიან ომის გზასა.



და ნუკრია მანქანაზე
 ელვასავით აიტაცა.
 მიქრიან და ჭირი არხვეს
 გაფითრებულ ქალის დალალს.
 დასწინევი მდუმარ ბაგეთ
 განშორების წამის ძალა.

ეზოს ტიშკართან კაცი დგას,
 გზას ნერვიულად გასცქერის.
 ლოდინში გული დაწრიტა,
 მხერვას იწრდილებს მარჯვენით.
 თუმურ ქუდს მათე ჭადარა
 უმალ მოგიხდის სალამზე.
 მაგრამ არ მოჩანს არავინ
 ამ ჩაბნელებულ შარაზე.
 დგას და ფიქრებმა დალია,
 გზას კი არავინ მოჰყვება,
 ჩიბუხს ეწვევა მალიმალ
 და კვამლს აბოლებს ბოლქვებად
 ეზოში ღვინო-თაგვევრი
 სტუმრების მასპინძელია.
 სულგანაბულან დამკვრელნი,
 დელავს მდოღვე ელია.
 ბიჭები — ომში წამსვლელნი
 გიგა ჯიდაურს ელიან.
 აბა, გამოჩნდა მანქანა,
 მათე შეიღს შემოეგება.
 ალურსით უთხრა: — სადა ხარ,
 ხომ არ წაგასხვს ლეკებმა,
 ნუკრია შეტყვა კარიბჭეს,
 (ბალახმაც ბედი უსურვა),
 ელიას დასტამ ჭადრის ქვეშ
 დოლ-ზურნა დააზუზუნა,
 და ჭალი შეკრთა სველივით,
 ხმამ გული შეუფრიალა
 და მისკენ გადმოღვრილი
 ჩინჩხლებს ყრის საგვე ფიალა.
 ეზოში გაჩნდა მანქანა,
 შედგა ასწლოვან ჭადართან
 და საცრისხელა ფარებით
 მაგიდა გააჩახჩახა.
 — მამავ, შემმატე მთის ღონე,
 კაცი ზეცამდე ამწიე.
 — შეილო, სხვა ვერა ვიღონე,
 მიხვალ და ლხინი გასწიე,
 ეს ანგელოზი ვისია,
 ჩემი ოჯახის ღირსია.
 ნუკრია უფრო განაზდა,

ბიჭებიც ახლოს მოცვიდნენ.
 — ჩვენნი დაია და რძალი
 წასვლის წინ დაგვალოცვინე,
 მათეს დასაქრულ პირიდან
 სიტყვა თაფლივით გადმოდის.
 — ვაგვაცო, შენი ტირიმე,
 რომ არ დაგვტოვე მარტონი,
 დელავს, სიხარულს ვერ მალავს,
 სახეს წაერთო ალმური,
 დამკვრელებს რიხით შესძახა:
 — ხიდისთავური დაეღური!
 მხრები გაშალა სისწრაფით
 და საცეკვაოდ გაიჭრა.
 მალლა დაირხა ცის ქანგი,
 ძირს — კოინდარის ხალიჩა.
 რძალს მივასლა ქუდმოხდით,
 მინდორზე გამოიციკვა.
 მები გაეარდა თუ თოფი,
 თუ ტაში დასცხეს ბიჭებმა.
 ნუკრიამ ფრთები გაშალა,
 წრეში აწითო მნათობად.
 და მათემ რძალი მაშინვე
 შემართულ შეიღს შეატოვა.
 ზურნის ხმა, ტაშის გრიალი
 ცაში გაება ძალუმად.
 თითქოს კლდე ამოანგრია
 აწუთქებულმა ლაღუმმა.
 დედა მარეხიც გამოჩნდა,
 რძალს შორიდანვე შეღიმის,
 შივარდა, წრეში დაკონა
 მის შეილთან მზისებრ შეყრილი.
 ცეკვავს ნუკრი და მორჩილად
 გიგასკენ მხერვას აკვებსებს,
 სიმწარის განცდამ მოჩრდილა
 ლალი ღიმილი ბაგეზე...

ეს რა არი, ცეკვა არი
 თუ სიციცხლის როკვანა?
 იქნებ ველზე კვდება ქარი
 თუ სიკვდილი მომკვდარა?
 ეს რა არი, ცეკვა არი
 თუ გულეები კვანთიან,
 განშორების ვკალნარი
 თუ ლოდინის ცეცხლია?
 ეს რა არი, ცეკვა არი
 თუ უტკბესი გლოვაა,
 დაკარგვია ნაპოვნის თუ
 დაკარგულის პოვნაა?



დავიწყების ჭიდილია
 თუ მარადი ლოცვაა,
 სიყვარულის გვირგვინია
 თუ პირველი კოცნაა?
 ეს რა არი, ცეკვა არი
 თუ უთქმელი დარდა,
 ტრფობის კოცონს აქრობს ქარი
 თუ ხანძარი ანთია?
 ისმის ტაში, დაქრის წყვილი,
 ულაეს თვალნი მკვებავად.
 და ეზოში გაღმეილი
 შემოვარდა ბეზარა.
 წრეში გაჩნდა მკლავგამილილი,
 არც კი ჩაუმუხლია.

— გიგას ზურგი მიუჩრდილა.
 ცეკვით გაპყვა ნუკრისა.
 შედგა სიძე ნირწამხდარი,
 შუბლზე ხვითქი გადადის.
 წრიდან უცებ გაქრა ქალიც
 თეთრი ფრთების ფარფატით.
 ზურნამ პანგი ნემსის ყურში
 გააძვრინა ძაფივით.
 ატორტმანდა მთვრალი ურჩად,
 მერე ვითარ ნადირი,
 მივარდა და სწვდა ელიას,
 დოლი შუა გაფხზრიწა,
 ხალხს კი სუნთქვა დაელია
 ამ სურათის ნახვისას.
 მაგრამ ვერვინ ვერ შეხედა
 წრიდან მისი გაყვანა
 მთვრალმა გიგას გადახედა,
 შეუღრინა ამხანაგს:
 — ჩქარა მოდი, ჯილაურო,
 ანდა თავი დახარე.
 თან მედოღეს შეუღრინა:
 — საჭიდაო ახლავე.
 ელიამაც გახეული
 დოლი გადმოაბრუნა.
 და ჯოხები უხალისოდ
 წამსვე დააბაგუნა.
 ჯილაურმა საპასუხოდ
 ჯიხვის ყანწი ამართა
 და ხმა ისე დააქუნა,
 თითქოს მეხი გაეარდა:
 — შევარცხენე ჩემდათავად,
 უინაც მოძმეს ეჭიდოს.
 საჭიდაო მტერთანა გვაქვს
 მასზე თვალი გეგჭიროს,

და მამულის დასაცავად
 მოგვეყ. ძმაო კუთილო!
 ყანწი ისე გამოსცალა
 შიგ სუნთქვა არ შეაბრუნა,
 გამოსცალა და ბეზარამ
 გადახედა ქედმადლურად.
 ჯერ ჯიხვის რქა ჩამოართვა
 და შიგ ღვინო ჩაათქეშა.
 ერთი სიტყვაც რომ არა თქვა,
 მწყურვალეით ისე შესვა.
 და კურცხლიას მიაფთო
 ყანწი ფრჩინილზე დაკვესილი.
 ბიჭი წელში მოიღვენთა
 საკალმახე ანკესივით.
 — ძმაო, ომში მიმავალო,
 სიძევ, ღმერთმა გაგიდაროს.
 ასე კარგად დაგხვდეს ცოლი,
 მშობლები და კარმიდამო.
 დალია და ღვინო ყანწში
 ჩარჩინილი ძირს დაღვარა.
 და ბეზარას თვალი თვალში
 მახათივით გაუყარა.
 — ასე სისხლი დაეღვაროს,
 ვინაც ძმობას უღალატოს.
 ჩვენ შორის არ გაიხაროს
 ვერაგმა და მუხანათმა.
 ბეზარამ ქალს გადახედა,
 გულში რაღაც ჩაწყდა მწარედ,
 ნუკრია კი დგას და ღვლავს
 მათრახივით წნავს ნაწნავებს...
 მას მარები წინ გაუძღვა,
 ნაზ პატარძალს კოცნის ქარი
 და ოჯახის სიხარულსა
 გამოულო ოდის კარი.
 ჩანს კედელზე, ტრულ ფარდაგზე.
 საუკუნე ნათეგარი,
 ჩახვეული გვანან და-ძმებს
 დამბაჩა და სატეგარი.
 თვლემს მარების ხელმანდილი,
 ყალიონიც — ჟამის ხნისა.
 ყურძნის მიმჭკნარ მტევანივით
 სათუთუნე ჭლალი ქისა.
 თუმცა ოდნავ დაღვრემილნი,
 მაგრამ მაინც უდარდელნი,
 შინაბერა ქალებივით
 ტახტზე წვანან მუთაქები.
 რძალს სინათლე მოაფრქეია
 ეს კი გიგას ოთახია.



წიგნებს სიბრძნის შუქი ასდის,
 ჭერს კი ჭადი ალამაზეებს.
 და სურათი ნუკრიასი
 დევს კრიალა კარადაზე
 და მარეხმა რძალი სწრაფად
 გაიხმო და გადაკოცნა,
 საქორწილო თეთრი ფატა
 თავის ხელით დაულოცა.
 გედის დარად აბრეშუმში
 აშრიალდა პატარძალი,
 გიგაც გაჩნდა და ერთ წუთში
 დაუმშვენეს ერთურთს მხარი.
 მარეხმა კი დრო იხელთა,
 მიატოვა ორნივე ერთად.
 შეყრისა და განშორების
 რა ტკბილ-მწარე ბურანია.
 მაგრამ თითქოს ეს წამები
 სადღაც გადაუმალათ.
 სარკმელიდან გასცქერიან
 და ჩრდილები თეთრ კედელზე
 ერთურთს ისე ჩაბვევია,
 ერთ აჩრდილად შეიკვეცენ.
 და ოთახში შუქის ქოლგამ
 ჩამოკეცა ოქროს ფრთანი,
 ოთხთვალთან მდუმარ ოდას
 დაუხუჭა ერთი თვალი...
 ირხვევინა ჭადრის ხენი,
 მოსაცდელი დრო არ რჩება.
 გავადადალული ცხენი
 ფარნამ რისხვით მოაჭენა.
 მასპინძელი მივახლა,
 მაგრამ დარჩა ხელგაწედილი,
 შეუძახა ფარნამ მგავხედ
 — ვინ წამართვა ჩემი შვილი.
 მათემ ტკბილად დაუყვავა,
 და ქვეითად მძახლს მოსდევს:
 — რატომ დელავ ჩემო ფარნა,
 ჩამო, სუფრა დაგვილოცე-
 და ცხენს მისწვდა სადავეზე.
 სამასპინძლოდ თავდახრილი.
 — ამ ღამეში შვილს დავეძებ,
 მე გლოვა მაჭებს, არა ღზინი.
 და ბეზარას ბაგეს ახლა
 დვარძლი წასცდა მთვრალის ჟინით:
 — ერთად უნდა დაგედალა
 ეგ ცხენიც და ქალიშვილიც.
 — ამხანაგის ცოლზე აბა
 რაებს ამბობ, ცოცხლად-მგვდარო,

ომში მივალთ, შენ კი აქა
 დიაცივით ჭორიკანობ. —
 თქვა კურცხლიამ, უცებ პეტაც
 წამოფარდა გაგვიებით.
 შეუძახა ყველამ ერთად,
 აიშალნენ სხვა ბიჭებიც,
 — ფუი, შენს გულს, შენს კაცობას.
 დარჩი სახლში, ქსოვე წინდა.
 და ბეზარას ხალხის წყრომა
 თავს დაატყდა ყოველ მხრიდან...
 მხრებზე ჩანთა გადუგდია
 მოდის გიგა და ნუკრია,
 საქორწილო თეთრ კაბაში
 ხოხობივით ლაღად ფრთას შლის.
 დაუწურა მკაცრად თვალი
 მრისხანების წყამ და იჭვმა.
 მაგრამ ფარნამ შვილი მაინც
 მკერდიდან ვერ მოიგლიჯა.
 და წყვილის წინ წყვილი წვეთი
 ფარნას მკერდზე დაედევნათა.
 — დაგელოცოს, შვილო, ბედი
 და მენახოთ ისევ ერთად.
 მთვარის შუქი ანათართოლი
 ბალახს მძივად ეფინება
 და გაბმულად ისმის შორით
 მატარებლის შეკვივლება.
 და ბიჭებიც მანქანაზე
 აგრილდნენ ყველა ერთად,
 ბეზარა კი კაცად არ ცნეს,
 არცერთმა არ შემოხედა.
 მიდიან და არვინ უმზერს,
 დგას მარტოკა დამეხილი.
 და შერცხვნილს სევდით უძვერს
 ფართო მკერდი გაღედილი.
 უცებ ღობეს გადაველო
 და მანქანას დაეწია.
 — თქვენთანა ვარ, ჩემო ძმებო, —
 თქვა სირცხვილით ალუწილმა.
 შეუერთდა უცებ ტოლებს,
 გაუწოდა ყველამ ხელი
 და ყიჟინით გაიჭროლეს
 ხიდისთავის ვენახები.
 შორს მანქანის ჩრდილი გაქრა.
 შუქიც ჩაქრა აფრიანი.
 ნუკრია კი თეთრ თავსაფარს
 გზაზე ისევ აფრიალებს.
 მოხუცების ჩაქრა მზურაც
 გული ჩაწყდათ დალაღულებს.

ფარნას ცხენი დგას მესერთან
და სველ თვალებს აფასულებს.
მათე მძახალს კოცნის დიდხანს;

— ხვამიადი ვით გაანდო,
უსიძეო ჭორწილი გვაქვს
და მე უნდა ვითამაძო.
და ერთმანეთს ხელი მისცეს
სამოყვროდ და საკეთილოდ.

— სადაც იჯდა ჩემი სიძე
იმის გვერდით დაჯექ, შეილო.
ნურც გაშავდეს ეს მანდილი,
ნურც გქონოდეს თვალი სველი.
მის მოსვლამდე ეს ადგილი
ასე იყოს ცარიელი. —
ერთადერთ ჭალს ფარნა ეტყვის,
თან აპარებს სახეს დიმილს.
და ცარიელ სკამის გვერდით
ჯდება ჭალი დაღვრემილი.
დუმს მაგიდა გადაშლილი,
ცა სიუხვეს აფენს მდელოს
და მათემაც რძლის და შვილის
ერთად შესვა სადღვერძელო.
მთვარის შუქი ანათრთოლი
ბალახს მიძივად ფყინება.
სამადლობლად ისმის შორით
მატარებლის შეკვივლება...

III

ურჩხულებივით ტანკები
შემოსევინ ტრამალებს.
და უკრაინა ნარბევი
დუმს. ვითარ სამშო სამარე.
აწყდება ცას ორიონი
და ვარდისფერად თენდება.
დაჭრილი ბატალიონი
მოვარდნილ მტერს არ ნებდება,
ზეცაო, ბიჭებს უსმინე,
გადმოაფრქვიე ცის ნამი,
აქ დგანან უჭმელ-უსმელნი,
ნაგვემნი და ნახისხლარნი.
გათქერილ ძელმიწურებში
დაფლეთილ დროშას იცავენ.
და ბედისწერა უხეში
უკანასკნელად თვლის წამებს.
დაიძრა სვასტიციანი
ტორშეშვართული „ავაზა“,
ეს ბრძოლა სასტიკი არი,
ცეცხლი და ბოლი შარავს ცას.

პირქვე დაემხნენ ტანკები,
ვერც დაიხიეს უკანა.

ჯილაურია დამხვედრი.
და დალოცვილი ყუმბარა.
ამ ჯოჯოხეთში შერჩენილ
გიგას ტყვიები კვესავენ
და ჩამოშლია ბეჭები
წერაქვით დაშლილ კლდეკავით.
ძვალმსხვილ ბეზარას ბრძოლაში
მკლავი გაუცვდა ფიცხელი,
სამაჭრე ფართო უღვაში
შემორჩენია უცვლელი.
თოფნაბლუკული შეტოკდა,
თვალეზმაც ისე იალა,
რომ ჯილაური მეგობარს
გვერდიდან გაეხიანა.

— რას ფიქრობ, რას გაიბადრე
ან რა სახმილმა შეგზარა.

— დღევანდელ დღეს დავიბადე
მე — ჯულუზიდე ბეზარა,
გიგა მის მხართან მიჯრილი,
გადიმებული ხმიანობს.

— დაბადების დღეს სიკვდილი,
ამბობენ, დაბმულიაო.

ტყვიამფრქვევის ჯურს გადათვლის
ტყვიით რამდენი ჩაჩუდა.

— ამათი თავი მოვართვი
დაბადების დღეს საჩუქრად

— შენი ჭირიშე, თუ კიდევ
ხიდისთავს ჩასვლა მელირსა,
ნუკრიას ბოდისშე შევკადრებ, —
შენს ცოლს დამძობას შევფიცავ.
პატიებას ვთხოვ დედაჩემს,
რომ გავათეთრე ლოდინში.
აბა, ამათი მზე ჩაქრეს,
ამათ რად უნდა ბოდისში, —
თქვა და წინ დაძრულ გერმანელს
ტყვია ახალა ელვარე.
მაგრამ მეორემ მარჯვნიდან
სამჯერ ესროლა ბეზარას.
თოფი დაუმვა დაჭრილმა.
მჩქეფარე სისხლით შესვარა.
და ტყვიამფრქვევი გიგამაც
მტერს მიუშვირა უმაღვე
თავისით ძირს დაიხარა
ლულა ცივი და მდუმარე.
— ტყვია გათავდა, არ არი,
ძმაო, როგორმე გასძელი.



გერმანელმა კი ხარხარით
 მალლა აპყარა ვაზნები.
 თითქოს დაიწყო გართობა,
 გიგას მიუშვებს ავტომატს,
 ბეზარას ოხვრა აღმოსდა,
 თოფი გამართა ვეღარა.
 სანგრიდან მაინც ამოხტა
 და ძმობილს გადაეფარა.
 ახმახის ტყვია იმ წუთში
 გადაშლილ მკერდზე დახვავდა
 და ჯარისკაცი მიწურში
 დაბადებინ დღეს გათავდა.
 გიგა თოფს დასწვდა, გარეწარს
 სწრაფად ესროლა ორჯერა,
 მარჯვენა ჩამოაღწეწა
 და ბალახივით მოცვლა.
 მერე მეგობარს მივარდა,
 ჩასძახა, ჩაუხშიანა.
 ჩამქრალ თვალებმა ინათეს,
 პირი შეიკრა იარამ.
 დაჭრილმა დაიკვნესა და
 უკანასკნელად ესლა თქვა.
 — ერთი დედა მყავს, ხომ იცი,
 ნახე, ხიდისთავს თუ ჩახვალ.
 შენს ცოლთან ზემი ბოდიშიც
 არ დაგავიწყდეს, თუ ძმა ხარ... —
 თქვა და სამაჭრე უღვაში
 ნეტარად აუფოფინდა,
 თითქოს ხიდისთავს სუფრას შლის.
 დეინოს აჩქეფებს დოჭიდან.
 არა, არ დარჩა ტყვიელი
 ბრძოლით ჩაქანგულ სახეზე.
 ხმას არ იღებს და დიმილი
 აკრავს გაყინულ ბაგეზე.
 ბილეთი კომპაგვირული
 გიგამ უმაღვე გაშალა,
 ანათებს ამომხივული
 ნუკრიას თვალთა მაშხალა,
 — აპა, ძალა თუ გვეოფა,
 თვით მოუხადე ბოდიში. —
 ყურში ჩასძახა მეგობარს,
 პასუხი არკი მოისმის,
 სისხლზე მზე წამობრიალდა,
 აენთო უკრობ კოცონად.
 ცაში აიჭრა ზვიადად,
 როს მიწის ძუძუ მოწოვა.
 გიგა მეგობარს ემთხვია,
 ვით ცოცხალს, გადაეხვია.

სისხლი და მერთალი სხივები
 მოუნთო მკერდზე დაღვრილი,
 ზედ ნაცრისფერი ბილეთი
 დაფრინდა ციკრის ბარტყივით.
 ხელთ გაუვარდა და უცებ
 ხორხოცმა შესძრა დუმილი
 გულმა ხიფათი აუწყა,
 შორს ჩაქრა შხეც მიწურვილი.
 და გერმანელი ოთხფეხა.
 ავტომატმომარჯებული
 სანგარში ჩამოფორთხდება,
 — ადექ! — შესძახებს მხნე გულით.
 და ოფიცერიც მალედიან
 ტყვეს დაუმიზნებს იარაღს.
 გიგამ მკლავები აზიდა,
 გულს ცეცხლმა გადაიარა.
 მეგობრის თბილი ცხედარი
 ხელაწეულმა დატოვა.
 მიწაწყარული სანგარი
 ამოათავა მარტომა.
 მთაცილებზე ხარხარით
 გახარებული აფთარნი,
 — შესროლეთ, რაღას უდგებართ,
 გიგა იმათკენ მიიწევეს.
 — არა? გავსწორდეთ ხელდახელ! —
 შესძახებს ქერა ოფიცერს.
 ისე გაშალა მკლავები
 მორკინლის ქინზე მოსულმა.
 საჭიდაო პანგს უკრავდა
 თითქოს ელიას დოლ-ზურნა.
 ეფრეიტორმა დამსჯელად
 ესროლა ტყვია გამწყვრალი
 და ჯილაურმაც მარჯვენა
 დაუშვა ორბის ფრთასავით.
 ოფიცერი კი გაბრზდა:
 — რატომ ესროლეთ? — თქვა მკაცრად,
 ბატალიონი სულ გაწყდა,
 კაცი არ დაგვრჩა მძვეალი,
 ეს ერთად ერთი ტყვე არი.
 წანოიყვასეს დაჭრილი,
 ათრივს შტაბის კარამდე,
 ტოტებგასხევილი ნაძვივით
 იქვე მიწაზე დააგდეს!

ნაკადული მირაკაკებს,
 უკვდავება მით ეღირსა.
 მიაქვს ცა და სიანკარე,
 ფერფლი დამწვარ ბიჭებისა.

და ნატყვიარ ჭალებს მისდევს
 თუმცა სისხლით ნაფერია.
 აჰ, სიკვდილის შავ ლეიბზე,
 ვით სიცოცხლე აკერია.
 თითქოს ტანას ჩქერს დაპხარის,
 შორს გასცქერის ფიქრიანი
 და ნუკრიას თავსაფარიც
 ლად ტალღებზე მიფრიალებს.
 ოფიცერმა მუზარადით
 სუფთა წყალი ამოხაბა
 და ფეხები ზინზლიანი
 რკინის ქედში ჩაპყო სწრაფად.
 ჩაიბანა, მერე ურჩად
 გიგას გულის ასარევად,
 შავი წყალი გამშრალ ტუჩთან
 მიუტანა დასალევად.
 ჯილაური მისწვდა ნადირს,
 ხელგაკრული თუმცა გდია,
 სათვალეზე მუზარადი
 მუხლის აკვრით შეამსხვრია...

* * *

ტყვეთა ბანაკის კარების
 რკინის ურდული ღრჭიალებს,
 ღრინავენ ჯოგის ძაღლები,
 იხმის ძახილი: იარე!
 ნაღვეთი თუჯის მანგალზე
 ბრიკალებს შანთი წითელი
 და თოკის შეკრულ თვალს არწევს
 ჩაქანგებული ხის ძელი.
 სატანის თანაზიარი
 და მოშხამული სულხორციით,
 დგას ლაქისჩქემებიანი
 ტყვეთა რეჟიმის უფროსი.
 მწითური ზედამხედველი,
 გაცოფებული ჯალათი,
 გიგას მივარდა მზებნელი.
 თავზედ წაპგლიჯა ხალათი.
 მარცხენა გულის ჯიბიდან
 ფხვიერი მიწა დაცვივდა.
 უცებ ასვეტა დაჭრილმა,
 თითქოსდა გადაარჩინა.
 ჯალათი გაჩნდა ახლოს და
 მკაცრად შესძახა: მახორკა!
 ტყვეს მუჭა მიწა წაართვა,
 ქაერში მიმოაბნია.
 ჟილაურმა კი არა თქვა,
 გათოკილს ენა დაბმია.

გაფანტულ მიწას გახედა,
 თითქოს სამარეც წაართვეს,
 და დაღვენთილმა შანთებმა
 მრისხანედ შემოანათეს.
 ვარვარა რკინა ასწია,
 ბეჭზე დაადო ჯალათმა,
 ხიდისთაველმა არწივმა
 ნაბიჯიც კი არ გადადგა,
 მისი სოფელი დაღანდა,
 მოენტო იმ დღის მწუხრია
 თეთრ ცხენს ფარნა რომ დაღავდა
 და ქვეთინებდა ნუკრია.
 ახლა თავად მას დაღავენ
 და სიმწარისგან ილიმის,
 ყურებში ესმის საზარლად
 დამწვარ ულაცის ჭიხვინი.
 მწითურმა ბეჭზე ნაწერი
 ხმამალლა გადაიკითხა:
 — ნოჭერი ათს ას ერთი,
 მოკლე გზა ბატონს სიკვდილთან...

და ხალათი ქამისფერი
 წამს სახეში მოაფერთხა.
 შეუერთა სხვებს ქართველიც —
 თავჩაკიდული მდუმარ ტყვეთა.
 ჯილაური დგას კუთხეში,
 არ უჩვენა არვინ პირი.
 და თუნუქის ქვაბუნებში
 მიძვრებიან თავდახრილნი.
 არ შეხედა არვინ თვალში,
 შერისხული დგას ჭაბუკი,
 და გაისმის მღვრიე წყალში
 ხისკოვების ჩხაკანუკი.
 თითქოს დამდნარ ქვაბის ფსკერზე
 წიგნს ფურკულავენ ბედისწერის.
 ზოგი სატრფოს ხმას დაეძებს,
 ზოგი კიდევ დედის წერობს.
 არა, ლუკმაპურს ითხოვენ,
 თვალნი ისე დაბინდულან,
 და ბაგენი უსიტყვონი
 შიმშილისგან გაყინულან.
 ჯილაურთან ახალგაზრდა
 კაცი მიდის შავგვრემანი,
 სუსტი ხელით მკლავზე დასწვდა,
 მის ადგილას დასვა ძალით.
 გადმოფერთხა ჯიბე ფიცილად
 და თუთუნის მონარჩუნით
 მან ასანთის ღერის სიმსხო



შეახვია მოსაწვევი.
 გიგას ისე გაუწოდა,
 ვით სიმბოლო მათი ძმობის
 და აიჭრა თანაგრძობად
 თამბაქოს და დარდის ბოლი.
 ჯილაური არტყამს ნაფაზს,
 დილევს ფიჭრით გადაშორდა,
 აივანზე მათე მამას
 თამბაქო აქვს გასაშრობად,
 ჭრის ჭარვისფერ ფართო ფოთლებს,
 ჭრის და აესებს ყვითელ ქისას
 და ქღურტული დადავს ოდას
 უბუდვო მერცხლებიანს.
 დგას ნუკრიაც აივანზე,
 მოლოდინში გზას შემყურე.
 ომში წასულ ქმრის ტანსაცმელს
 ცრემლიანი ამზეურებს...
 ცხვრის ტყავის ოდენ ადგილზე
 მიწვა და შავ ჭერს ახედა.
 თუ კი ამ ქვეყნად არის მზე,
 ო, რა შორია აქედან.
 დაჭრილმა თავი აიღო,
 ლოდად დააწვა წკვარამი.
 მიხვდა, ეს ჭერი არ იყო,
 ეს უკრაინის ცა არი.
 შორიდან კენტმა ვარსკვლავმა
 ისე დაიწყო ციაგი,
 შუქი თანდათან გაშალა
 გზაგზა დაადნო წყვდიადი.
 შავ ღრუბლებს გამოეპარა,
 ამაყად მიწას დასკქერის.
 ო, ამ ვარსკვლავმა ნეტარმა
 ფიჭრი ალუძრა გაქცევის.
 რამდენი რამე უნახავს,
 ახლა დანათის ამ შორეთს.
 წივს ჯილაური გულადმა
 და ვარსკვლავს თვალს არ აშორებს.
 ეშინია რომ ღრუბლებმა
 ისევე არ დაატყვეონ.
 — დამწვარი მხარი არ გტკივა,
 ზურგიით რომ წივებარ, ჭართველო?
 — ჰო, მართლა, ნახე თუ ძმა ხარ,
 რა დამაწვრეს ასეთი?
 მიკოლამ ამოიკითხა:
 — ნომერი ათას ას ერთი.
 მე კი ძმობილო მოგასწარ,
 ჩემი ნომერი? ორას რვა.
 — ჰო და, ეს ცივი ციფრები,

გერმანიას რომ დააკლდეს,
 მე მგონი, ძმაო, ჰიტლერი
 ამაზე პასუხს არ აგებს.
 გაბადრდა უკრაინელი,
 გიგას დასტური ახარა.
 და ბნელ დილევში პირველად
 მიკოლამ გადინხარხარა.
 ტყვეთა ბანაკში ქურდივით
 შემოდის კაცი მაღალი.
 აცვია ძველი მუნდირი,
 ჩამოხეული შარვალი,
 და ყველადაჭრილ ჩექმაში
 უჩანს გრძელტარა მათრახი.
 მიკოლა უმაღლ მხრებს გაშლის
 და მოსულს ჩუმად გასძახის,
 ისიც უთქმელად მოვიდა,
 სალამი უთხრა გულწრფელი
 და ჩამოყარა უბიდან
 კომბოსტოს მჭნარი ფურცლები
 გამხმარი პურიც საოცრად
 თუნუქის ჯამში ჩავარდა
 და ისეთი ხმა გამოსცა,
 სუყველამ სუნთქვა განაბა.
 მლოცველთა ზიარებაზე.
 ლუკმა რომ არის ოცნება,
 თვით ეკლესიის ზარიც კი
 ასეთ ხმას ვერ გამოსცემდა.
 ჩექმაში გადანანახი
 გენადიმ იძრო არაყიც,
 რეზინის მცირე მათარა
 ტურეზე ჩამოატარა.
 ამ ერთმა ყლუქმა სასამელმა
 სამივე გაახალისა.
 გიგამ ვარსკვლავი აჩვენა,
 და დაულოცა თავის გზა.
 — ნახეთ? უკუნეთს გაშორდა,
 შავ ღრუბლებს გამოეპარა.
 ახლა კი რა საამოდ ჩანს,
 მისია თითქოს ქვეყანა.
 სამივემ კვლავ ცას ახედეს,
 მიუხვდენ გულში ნადები.
 გარედან ისევ აყფფდენ
 ვეება ჯოგის ძაღლები.
 ხმა მთელი ღამე ისმოდა,
 ვარსკვლავიც ღამეს ათევდა,
 ისევ ღრუბლებში იძვროდა
 და შუქით გზას ინათებდა...

ზღაგობოლთან, სადაც სულ მთლად გაწყდნენ გმირნი ბრძოლის ველზე. ზეკას შერჩა მათი სუნთქვა და სახელი ყოვლის შემძლე, გრგვინითა და მესთატეხით გაქცეულ მტერს ახლაც სდიონ. ეს მიზანი ერთადერთი აქვს დაცხრილულ ბატალიონს. მათ ხსოვნის წინ მებრძოლები ერთად დგანან ქედმოხრილნი. მკვდრებს მზის შუქი ეფონებათ ციდან სვეტად ჩამოღვრილი. წევს ბეზარაც: შორი გზების ნატვრა ჯერ არ გაფრენია. თუმც სამაჭრე უღვაშები ცივ ტურებზე აფენია. ფხვიერ მიწას ცრის ნიავი. დაუკეცაჟს არწივს ფრთები. და მის მკერდზე სისხლიანი დევს ბილეთი ნაცრისფერი, ვით სიცოცხლე, გადაბმულა ადრე ჩამჭრალ ქაირშხალზე. და პირხმელი მეთაური გამოეყო ჯარისკაცებს, მანდატს იღებს მოწიწებით, ძლივს გაარჩევს გვარს და სახელს, აკვირდება ყველა გზებით სისხლით ნალექ, დამზრალ სახეს. და კითხულობს მეთაური: ჯარისკაცი ჯიღაური. საპატიოდ ჩაიმუხლებს, მიმოაბნევს მიწას პემვით. და ბეზარას ცხედარს უხმოდ ჩაუშვებენ სამარეში...

IV

ხილისთავის ზეკა ცრემლით და ნალგვლით ინისლება. გავადადალული ცხენით ფარნას დააქვს დიდი სვედა. მხარზე შავი ტყავის ჩანთით ეს საწუთრო რომც გალიოს, წინ გაუსწრებს მაინც დარდი ცხენზე შემჯდარ ფოსტალიონს. მთებს აწყდება გახელებით ომის ხმა და ზარავს ვაზებს.

შავ ჩანთიდან ბრმა ხელებით ფარნაც იღებს შავ განაჩენს. თითქოს გადის ბეწვის ხიდზე, მის წინ ყველა შიშით დგება. მას ბეზარა ჯულუხიძის წინ შემოხვდა ქერიევი დედაც. — მომაკითხე, არ დამინდგ, მოგვადექი ქერიეებს ახლა? წამს ცხენიდან გადმოვიდა ფარნა ასმათს მიეახლა. — მე რომ წავალ, ეს ბარათი. თუ ქალი ხარ, გახსენ შერე, აღარ ძალმიძს, თუ გაქვს ხათრი, გამიმწარდა მეც სიბერე. კარგიც იყოს რამ ამბავი, მაინც ნულარ დამიძახებ. ო, ეს ჩანთა, ძაღლის ტყავი, გადაუვადო უნდა ძაღლებს. — წამიკითხე ეს წერილი, რადგან მოხველ. გამომეტ. ან ჩამჭოლე მეწყერივით, ანდა რითმე მაიმედე. — ეს წერილი არ ყოფილა, ცნობა არი, ასმათ ჩემო, უგზოუკვლოდ დაკარგულა შენი შვილი სასახელო. გავადადალული ცხენით ფარნა ჩუმად იპარება. დედას მოსწყდა უცებ ცრემლი, მაგრამ დაჰგმო მწუსარება. — სად მიდიხარ, დამილოცე შვილი ომში დაკარგული, მეგულება მაინც ცოცხლად, ჩამიწყვიტე თუმცა გული. ფარნა სახლში შეიყვანა, წინ დაუდგა დოქით ღვინო და ჭიქაში თავანკარა ვაზის წვენი მოხვითქინობს. მაგრამ ფარნა ღვინოს არ სვამს, ეკალზე ზის, უნდა წასვლა. — არა, ხათრი თუ გაქვს ჩემი, არაყს დაეღვე, — უთხრა გვიან. დღეს ღვინოში რამ სათქმელი, აბა, ვიღას გააჩნია, ეს მწარეა, ბეზარა გი ისევ ტკბილად დაგიბრუნდეს. არ წასმოდეს მზეს ტალახი, არ დაეგდოს მერცხალს ბუდე.

ხალხში დამაქვს სულ სიმწარე,
სულში წვეთავს შხამი თითქოს.
მეც ამ მწარე არაყს დავლევ,
იქნებ გული დამითუთქოს.
ჩაეწვეთა ჭიქას ცრემლი,
დგება ფარნა, აღარ რჩება,
გავადადადული ცხენი
ახლა სხვაგან გააჭენა.

• • •

დატბორილი ხიდისთავი —
ვაზის დედა ხენემის.
დახუჭულა ცისკრის თვალის
გადუღებულ თქემით.
ცა დახეულ აფრებივით
ტანას ზათქით მიაქვს
და ლოდები ჩახერგილი
მდეგებივით ყრია.
ხელს იწვდიან განწირული
დახლეჩილი ზერები
და ყივილი არწივული
ისმის მოხუც მთების.
ყვავილები ამ ღვართქაფში
დამხრჩვალ გედებს ჰგვანან.
მოდის, არბევს, ვით წარმართი,
ხეს და მიწას ტანა.

ჭერზე სეტყვა ჭექს ნალმევით,
ხან კაკანებს მწუხრის სმებით
და ნუკრიას დედამთილის
ხელთ უჭირავს სუსტი ხელი.
სნეულს ძალა აღარ ყოფნის,
სიცხით ისე მონუსხულა
და გასცქერის ავადმყოფი
იქვე გაკრულ შვილის სურათს.
მოდვენთილა გვემით ძლიერ,
სხეული სულ გაღვია.
საბანი კი, ვით ცარიელ
საწოლს, გადუფარებიათ.
იქვე მათე წულმოწყვეტით,
სარეკელთან ჩაფიქრდება
და შეუღლის სახე თეთრი,
კიდევ უფრო გაფითრდება...
მოდის ფარნა თავშიშველი,
სეტყვა მხედარს რისხვით მოსდევს.
გავადადადული ცხენი
შეაჩება ჭიშკრის ბოძზე.
სურს გაბრუნდეს უკან, მაგრამ

ვინ გადასცემს მათეს წერილს.
დარჩი — გულმა უკარნახა,
და მიაბა სარზე ცხენი,
აივანზე ჩემად გაჩნდა
და სარკმელში იმზირება,
სნეულ დედის თვალს წააწყდა
და მის ცეცხლში იძირება.
ხედავს ისიც ნისლი მზირალ
ოშში წასულ შვილის სიმამრს.

მათე გამოდის, ნუგეშად
დედასთან რჩება ნუკრია,
ფარნა აივნის კუთხეში
დგას, თავი ძირს დაუხრია,
— შემოდი, კაცო, რას დგებარ,
— არა, აქ მოდი, მძახალო.
ფარნამ მორჩილად გახედა
და თავი უფრო დახარა.
— შენთვის მინდოდა მეტქვა რა,
კარგი, აუგი კი არა...
და ყაჩაღანა სეტყვამაც
კრამიტზე გადაგრილა.
მიყურდა, ყინვის კაკლები
ეზოში მიმოაბნია.
დგანან მდუმარე მძახლები,
ორივეს ენა დაბნია.
და ფარნამ ხელის კანკალით
მათეს გადასცა წერილი.
— თუ მომაქვს ცუდი ამბავი,
დამდაღე ჩემი ცხენივით.
მათემ კიბზე მძახალი
ჩამოიყვანა იმ წამსვე,
ღიმილი გადააყარა
და ბარი დაჰკრა მიწაზე.
— ქვევრსა ხდი? აბა, რა ჰქენი!
— ასე მაქვს ღმერთთან დათქმული.
უნდა ამღერდეს თავგვერი
გიგას ბარათის ნატრული.
სავესე ორშიმოს გაუწვდის,
თითქოს მოშუშდა ნახმლევი,
ფარნა კი უფრო დამუნჯდა,
შიშით ძლივს გასსნა ბაგენი:
— სიძე იქ დამილოცნია,
მალე დაბრუნდეს დღეგრძელად
და როგორც ღვინო მოსწია
ზარი გაიღეს კედლებმა.
სახლში შერბიან მძახლები
და მწუხარებით დამეხილთ,

ცოცხალი აღარ დახვდებოთ
სწეული დედა მარები.
ორშიმო გდია იფნებთან,
ვით თავისქალა დაცლილი,
და ქვევრში მიწა იბნევა.
ქარი ზემოდან დასწივის.
ჭადრის ფოთლების მარაოს
აკრთობს შორს ყვავის ჩხავილი
და იქვე ბარი ჭანაობს
უკულმა დასმულ ჯვარივით.
ნუკრია თმაჩამოშლილი
ცივ ცხედარს აღარ ცილდება,
კიბუს ჩაირბენს ქლოშინით
ფარნა და მწუხრს გასცილდება.
მიდის ფარნა და სად მიდის
წვითონ არ იცის ამჯერად,
ჩამოსწოლია თვალს ბინდი,
ჩამოვარდნია მარჯვენა.
ცხენი ვერ შეხსნა ღობეზე.
ველარ მოსწია სადავე,
სიცოცხლე ისე მობეზრდა,
უნდა რომ აქვე გათავდეს.
ვინ დაუურვებს სიმძიმის,
გულშიც ისეთი ცეცხლია,
თაყვარელს მათე სირბილით
ჭიშკართან წამოეწია.
— სად მიხვალ, ხომ არ ხარ უცხო,
სად მიიჩქარი აქედან
და ფარნამ ველარ გაუძლო
მათეს თვლების ნალვერდალს
— შესვი, ასე მაქვს დათქმული,
თუ გვეურება ქართული.
წარბი მრისხანედ მოშვილდა
— შეილიდა დამრჩეს უენებლად.
ფარნამაც შესვა ორშიმო
პასუხის შეუბრუნებლად.
მოხუცმა გახსნა ბარათი,
დააკვირდა და გაოცდა,
და ნაცრისფერი მანდატი
შვილის მაგიერ ჩაკოცნა,
სისხლს დააცქერდა ფურცლებზე,
დალაქულ სურათს დახედა.
თვალთ დაუბნელდა უცებ მზე,
ჩურჩული წასცდა ბაგეთა.
— მძახალო, ჩემს რძალს არ უთხრა,
აღარ მყავს შეილი ამ ქვეყნად.
მკერდდაჭირლივით აღმუვლდა,
იქვე ჭადართან გახედა.

— ამ ტანჯვას რაღა გაუძლებს,
წვილს ქმრის სიკვდილი ვაუწყებ
შენც გაგამწარე, მძახალო,
აწ კერა რამ გაახაროს. —
თქვა ფარნამ თვალცრემლიანმა.
ესო უჩუმრად დასტოვა.
მათე წამს გაეხმინა,
თავი არ დაიმართოვა,
ბიჯი წარსდგა და გასდია,
ახლად ფეხადგმულ ბაღლივით.
ძირს ტყავის ჩანთა აგდია
ნასახლარს დამკვედარ ძაღლივით.
გავადამწვარი ულაყიც
დგას და ჭიზვინებს ღობესთან,
გაქცეულ პატრონს ეძახის,
მაგრამ ხმა არკი მოესმა.
ფარნა არც გზაზე არა ჩანს,
მათეს მოენთო სიმწარე
და შეუძახა გზადაგზა:
— მოიცა, ღმერთი იწამე...

* * *

შემოდგომაზე ხიდისთავს
თოვლი მოვიდა ადრიან.
ხეგები ჩამოინისლა,
ცამ ფიფქი ჩამოაბნია.
მათე და ფარნა ბუხართან
დაღვეთილ ცეცხლს ჩასცქერიან.
კვამლი იჭრება მწუხარედ,
დუმს ჯიღაურის კერია.
ნუკრიამ დაბალ ტაბლაზე
პური და ღვინო თავვეერის
შემოდგა, მის დანახვაზე
მძახლებს გაეხსნათ ბაგენი.
მამას და მღუმარ მამამთილს
ნუკრია ტოვებს ბოდიშით.
ბაღჩაში ხილი ნაზამთრი
დნება მებაღის ლოდინში.
წავიდა, მათემ კარები
უცებ საეკეთით ჩარაზა.
მერე სარკმლიდან გახედა —
არ მობრუნდესო ანახდად.
უცებ გაიძრო ხალათი,
მძახალი შიშით გასცქერის,
ნემსი და ძაფი გამართა,
ხალათს შიგნიდან ნაჭერი
დაადო, კერვას შეუდგა
და ფიქრით ჩამოინისლა.



თითქოს ხმა ესმის ბერძენებს
 ომში დაღუპულ შეილისა,
 — რას შევბი, კაცო, არ იტყვი?
 აქ ზედმეტი ვარ იქნება.
 — როგორ? მძახალთ, ვერ მიხვდით?
 ეს საიდუმლო ჯიბეა.
 და ჯიბე ისე დაღამება,
 ფარნამაც სუნთქვა განაბა.
 ორთავემ თავი დახარეს,
 მათ ერთი დარდი აწვლებს,
 შეილის და სიძის სამარეს
 თითქოსდა ღობეს ავლებენ.
 და შორს დაკარგულ იმედის
 გამოტირილის მწუხრია.
 ეს სისხლიანი ბილეთი
 რომ არა ნახოს ნუკრიამ.
 მათემ გადიცვა ხალათი,
 გამხიარულდა წამისად
 და ნაღვლიანი მძახალი
 ტაბლასთან მიიპატივა.
 — გიგა ტანმრთელი მოგვივა,
 იტვიც არა მაქვს მცირედი, —
 ამბობს და აწვევს ლოდივით
 მკერდს სისხლიანი ბილეთი.
 ტიქა ასწია მაინც და
 შეილს დაბრუნება უსურვა,
 მეფე ფარნას ხმაც გაისმა,
 იმედი არ გაიცრუა.
 ბუზრის და ღვინის სითბოთი,
 ნახევრად გაღნენ ფიჭვები
 და სევედიანი სიტკბოთი
 ისევ აავსეს ტიქები...
 ხეებზე თოვლის ფთილები
 თეთრი მატყლივით კიდიო,
 რქებდახლართული ირმები —
 ღამის ღრუბლები მიდიან.
 მათეს სიზმარი გაუტკბა,
 სახეც მით უჩანს მცინარი,
 მკერდზე ხალათი დაუდევს,
 ზედ ჩახვეულა მძინარი.
 ნუკრიამ შავი ხალათი
 ფრთხილად აართვა მამამთილს.
 წამს გაიტანა სარეცხად
 და უცებ მეხი დაეცა.
 ხალათს შიგნიდან დაღანდა
 სისხლით მოსვრილი ბილეთი,
 მოცეკლივით დავარდა
 ქმრის დაბრუნების იმედი.

ფურცლები გახსნა, გარინდა
 და გიგას სახეს შესტირა.
 ცრემლი გაშრა და ბინდ-ბუნდი
 თვალებზე გადაეფინა.
 თვითონ გათხარა იმ წამში,
 თითქოსდა თავის სამარე
 და თავს დაადგა გულწასულს
 მათე პერანგის ამარა.
 თენდება. უკვე მესამედ
 გაიხშიანეს მამლებმა,
 ცას შერჩენია მესარედ
 მიმჭრალი მთვარე — ნამღვრა...

V

დასწოლია შავი ბინდი
 ჩალამებულ ტყვეთა ბანაკს.
 ეკალღობურების მკვიდრნი
 ახველებენ შესაზარად.
 დამზრალ სახეს, დამდნარ მხრებსა,
 თითქოს ცვივა თვალთა ფერფლი,
 დავრდომილთა მწარე კენესას
 ჯოგის ძაღლთა ყეფა ერთვის.
 ახალი წლის ღამე დგება,
 იბურება გზა დავსილი.
 მიწა ცას ეღაღადება
 ნაგვეში და ჯანგაცლილი.
 სახრჩობელებს შეყინულნი
 გვამნი ჰგვანან ზარის ენებს,
 შურისგებას შეხიზნული
 სული მაინც არ ისვენებს.
 ჰაერს ორთქლავს, არხვევს დუმისს
 სიტყვა ბაგეს მოუმწყადარი.
 შმაგი ტყვია ისევ ზუის,
 ზეცას ფერფლავს ბრძოლის ალი.
 ამ სუსხიან ზამთრის ქარში
 დაუხრიათ თავი ცხენებს.
 ერთდროს განთქმულ დოღის რაშებს
 ესა წვათ და ეს ანელვით,
 ახლა ნაგავსაზინდარში
 გაუბიათ გერმანელებს.
 და სამი ტყვე — ძმადნაფიცვი,
 (ხელით ყრიან, განა ფიქლით)
 საზინდარში დამპალ ნაგავს —
 და ღამე ჰყავთ ამხანაგად.
 ფრიცი ავტომატინი,
 თავს ქორივით დასტრიალვით,
 უცებ ეცა ჯიღაური,
 თავით ჩასცა ნაგავში და

წამს ფურგუნიც ახრიალდა,
 ტყვეთა ბანაკს შორს გასცილდა,
 მიქრიან და გზა გათელეს,
 შემოერთით ცხენებს ელგა,
 საახალწლო გერმანელებს
 შეუსვიათ ნაადრევად,
 ისმის მათი ზორხოცი და
 გამყიფანი მთვრალთა ხმები,
 მოსეული ყოველ მხრიდან
 კვლავ მოჰყვებიან გზას ძაღლები.
 ერთი გიგას დააძგერდა,
 ძირს კბილებით ეჭაჩება —
 და ჯილაურს გაახსენდა
 ტარიელის ვეფხთან შეშმა.
 ყელში წახწვდა და საფსავით
 ძაღლი წამსვე განირიდა,
 გაგუდა და გუდასავით
 მოისროლა საზიდრიდან.
 და გაფრენილ დოღის რაშებს
 შეუძახა ყველამ ერთად,
 მაგრამ ცხენებს მსუსხავ ქარში
 მუხლი ადრე მოეკვეთათ.
 გერ აუყენენ ტყისკენ აღმართს,
 მათი სუნთქვა დაიწაფრა,
 აქ შემოსვდა სწორედ ახლა
 რაზმი მამაც პარტიზანთა
 და ბიჭები გათოშილი
 მარხილებით გაიტაკცეს.
 უცებ უკრეს ტყისკენ პირი
 ტყვეებს — ყოფილ ჯარისკაცებს.
 დარჩა ნაგავსაზიდარში
 ფრიცი პირში ქუფჩაჩრილი
 და ცხენები მცივან ქარში
 დამდგარი და დაოსილი.
 წამოადგნენ თავს მდევრები
 ნაგავწაყრილ ეფრეიტორს,
 ოფიცერმა ტყვია ცხელი
 მიაჭედა შუბლში თვითონ,
 მერე ცხენებს მოზიდა და
 არც შეირხნენ ერთის წამით,
 ორთავენი ისე დგანან,
 თითქოს იყვნენ ქვებისანი.
 გაიდრიკნენ თუმცა წელში,
 მანც დადგნენ მხარიმხარა,
 ოფიცერმა საფეთქლებში
 როცა ტყვია დაახალათ.
 ერთდროს დოღში განთქმულ ცხენებს
 წაუგრძელდათ თავციხერი,

მერე ყელი მოიდგრეს
 სისხლიანი, აღისფერი.
 წამივრად ადგილს მოსწყდნენ
 და ტორები მიწას დასცეს,
 ჩაიმუხლეს და თეთრ თოვლზე
 ჩამომხრჩვალეს დაემსგავსნენ...

* * *

მწვანე ფოთლები შეირხნენ,
 ტყვიებად დასხდნენ კვირტები,
 ხეებმა მისცეს ხელი ხელს
 და ჰიზნი სტყეკეს დიდების.
 გზა დაულოცეს პარტიზანთ,
 დიღის ბინდ-ბუნდში გაჭრილებს,
 შუქი დღე-ღამის გაყრისა
 ჯაგმნებად გაუნაწილეს.
 ჯილაურს ერჩის ძაღლონე,
 თვით ბერლინამდე უყოფა,
 მოძმის საფლავი აღონებს
 ცოცხლად დარჩენილ მეგობარს...
 იჩქარის სამი მამაცი,
 ნისლი ახურავთ ნაბდებად,
 ცისკრის ვარსკვლავის მარმავო
 მხრებზე ნათელით ადნებათ.
 გერმანელთ შტაბთან მალულად
 შეჭრა კამარა სამთავემ.
 სახეს მოენთოთ აღმური —
 ვითარ მზე პურის თავთავეს.
 ეს სიხარულის ცეცხლია,
 მას შურისგება აკვეთებს.
 მაგრამ ვაჟკაცის წყიბა,
 დუმილი აჩნდეს ბაგვზე.
 ...და შტაბი უცებ პაერში
 აეარდა ნაფოტ-ნაფოტად
 ჩვენი ნაწილის შემოჭრის
 ნიშანი იყო, რაც მოხდა.
 შემოგრიალდნენ ტანკები
 და ფეხოსანის ყიფინამ
 ფაშისტთა ურდო აიკლო,
 უმალ ცაც გადაიჩრდილა.
 თვითმფრინავების დუელი,
 ვით ხმლის ჯახანი, მოისმა
 და უკანასკნელ დუელით
 მტერი ბუნაგში მოისრა.
 გიგა, მიგოლა, გენადი
 წამს ტყვეთა ბანაკს მიცივიდნენ,
 კარი გააღეს, გამოხტა
 გაყინულ გვამთა სიცივე.



და გაიქუდნენ კარებში
დაგრდომილნი და უძლურნი,
ვით სისხლის ოკეანეში
ცრემლად ჩამხრჩვეალი კუნძული.
ჩამოიფურფლა კედლები
და მოშხამული სულბორცით.
მწითური ზედამხედველი,
ტყვეთა რეჟიმის უფროსი,
გიგამ ნარის ქვეშ იპოვა,
მგება მოწითო გულს ახლა
და შეფეფდრა მიკოლას:
— ერთი მაცალე, თუ ძმა ხარ,
გამათრიეს იქედან,
ორთავეს ფორმა გახადეს
და მიიყვანეს იმ ძელთან,
სადაც თვით ტყვეებს დაღადენენ.
ერთი წამის წინ ჩამქრალი,
ისევე აინთო მანგალი,
ორთავე დგანან უძრავად,
წინათ ურჩინი და ზვიადნი.
გიგამ ჯერ მწითურს უბრძანა:
— დადალე შენი ჯილაგის.
არც კი დაფიქრდა მწითური
და არც განზრახვა გაანდო.
აიღო შანთი და წამსვე
უფროსს ბეჭებზე დაადო.
ტყვეებს დუმილით ნაგვეში
ახლა გაეხსნათ ბაგენი:
— დასწერე, ასე დასწერე,
საბჭოთა ტყვეთა სახელით.
არც უკანკალებს მარჯვენა,
მწითური უარს არ ამბობს,
ბეჭებზე ისე დასწერა,
ერთი ასოც არ დააკლო.
გიგამ დადაღულ გერმანელს
ხელთ მისცა შანთი ელვარე.
შან მწითურს, მისგან დაგეშილს,
უშალ ატაკა თვალბში.
მერე თვალდათხრისს მივიარდა,
თვითონ სიკვდილის მოთავე,
არ დააყოვნა გიგამაც
ტყვეთა ახალა ორთავეს...

• • •

ცა ცეცხლისგან დაძენილი,
მიწა ტანკით ნახნავი,
გზაზე ყრია დაღეწილი
გერმანული ჯაგშანი.

სვასტიკიან დროშებს ფერფლად
ქარი ფანტავს უკუნეთს.
კატუმების მორქეფს ელვა,
ცა და მიწა გუგუნებს.
ოთხი მხრიდან გათოკილი,
ითრგუნება ნადირი,
ნანგრევებში ქედმოსხრილი
აჩონჩხილა ლანდივით.
სულს დაფაფს და სისხლით მრება,
გარბის, სტოვებს ბრძოლის ველს.
მისმა შხამმაც ვერ უშველა
თავმოწყვეტილ მორიელს.
ცას ჰკიდია განაჩენი,
ვითარ ხალხის ლახვარი,
ისმის ბრდღვიცა ნაფიც ძმების
ჭიდილი და ჯახანი.
რისხვა თავზე დასტყდომია
აღმოდებულ რაიხსტაგს.
გამარჯვების ბოლო ტყვეთა
გაისროლა მისმა,
და ტაკუნნი წითელ დროშის
ქარში ისმის ჰიმნივით,
და უღრუმლო ცაზე მოჩანს
გაზაფხულის ღიმილი.
ქუსს მიკოლას ბაიანი
და ხმას უწყობს გენადი,
გამას ბანი მიგრიალებს
რაიხსტაგის ჭერამდის.
საცეკვაო ქართულ ჰანგზე
მკლავებს გამლის არწივი
და მუზარადს ხელში ასწევს
ღვინით სავეს თასივით.
— ეხვევიან მებრძოლები
ხიდისთაველ ფალავანს.
ცეკვავს, მაგრამ მოსწყდა მხრები,
წამით სუნთქვა განაბა.
წინ ბეზარა თვალეებს ახელს,
აესვეტა გულგამლილს,
აელვარდა მისი სახე
და სამაჭრე უღვაში.
გიგას მუხლი მოგვეთა
წრე მდუმარემ დატოვა,
რაიხსტაგის ბჭესთან შედგა,
თავი დაიმარტოვა.
თოფს წააძრო უცებ ხიშტი
და კედელზე მკვესავად
ამოტვიფრა ორი სიტყვა:
„ჯულუხიძე ბეზარა“.

წრეში შერგო უცებ თავი,
თითქოს შეპკრა იარა.
მიკოლამაც ბაიანი
უფრო დააგრიალა...

VI

მზე შემოადგა ხიდისთავს,
ვაზის უღვამი დაკოცნა,
სხივი აფრქვია გიზგიზა
ხეზე დახუნძლულ ნაყოფსა.
ლაქვარდში ისე იხველა,
სული სიმღერით შემოსა,
ზეცა გაქვევთა ჯიქურად,
მოაწყდა გარეშემოსა.
მათზე პირთაგვევ დაემვა
მზე სასწაულად მომდგარი,
აბნია ნათლის პეშვებით
ნახნავში ოქროს ხორბალი.
ამოთავთავდა ისევე,
ვითარ ემბაზში ნაბანი,
და დედა-ქართლის მინდვრებზე
დასდეს სიცოცხლის აკვანი.
მოდის ფარნა და იჩქარის,
ცხენს მოაგეღვებს დაოთხილს.
მოაწყდა მძახლის ჭიშკარზე
და ძირს მაინც არ გადმოდის.
როგორაც მთვრალი მაყარი,
გასძახის ყელადერილი
და სიხარულის საგანი, —
ხელში უჭირავს წერილი.
რძალ-მამამთილი მიცვივდნენ,
ფარნას გარს შემოესალტნენ.
— დროა, რომ შაგებს იცვლიდეთ,
გიგა ჩამოდის დღესავე. —
თქვა, სიტყვა გააიოლა,
ჭალარა ფოსტალიონმა.
მოიძრო ტყავის ჩანთა და
ცხენს ჩამოჰკიდა კისერზე,
შიგ ხმული თივა ჩაპყარა:
— აბა, ატარე ისევე შენ.
ამას ველოდი, დროც კია,
აწ შენთვის დამილოცნია.
პირუტყვმაც თავი დალუნა
და თივა ჩაახრამუნა.
ფარნამ ნუკრიას გულმკვერდზე
დააკრა გიგას ბარათი.
— მზითვეს ამაზე უკეთესს

მე მაინც ვერ გაგატანდი.
ქე, ნულარ დგეხართ მოცლილნი,
კაცი კარზეა მომდგარი,
ის გაწყვეტილი ქორწილი
რომ გავაგრძელოთ, დრო არი.
ომიდან დაბრუნებული
ცოტალა ნახა ვაჟკაცი,
კარიკარ დაღონებული
დადის და ბიჭებს გასძახის.
ვინც ნახა, ვერც კი უცნია,
შესცვლიათ იურ-ფერია.
მოჰყავს ცალხელა კურცხლია
და ბრმა მედოლე ელია.
ჭადრის ქვეშ მთელემარ მაგიდას
დღეს გული არ ენისლება,
უსტუმროდ დიდხანს დაბინდდა,
ახლა კი ეშხით ივსება.
თავს ადგას ჩრდილის სიგრილე,
როგორც ალერსი დედური,
და ბერი ქვევრიც ღიღინებს,
ომის დროს დადუმებული.
მათეს ამოაქვს ორშიმო,
სავსე ანკარა თავკვერით,
დოქებში ღვინო მოშხუის
მზის ელვარებით ნაფერი.
მათემ მედოლე ელია,
სადაც რომ იჯდა, იქ დასვა,
წასვლის წინ სად უმღერია
მუხამბაზი და შიქასტა.
ობოლ მტრედით ჯავრიანს,
ცრემლი მოადგა ბრმა თვალში,
მის გვერდით აღარ არიან
მედუდუკე და დამჭაში.
სად დაკარგულან ბიჭები,
საით გაუტყდათ ყამიში.
ქანგით სიკვდილს რომ იჭერდნენ,
მათი ხმა რატომ არ ისმის.
დუმს დაღვრემილი ელია,
ტანჯვა უნახავს იმდენი,
ყინვას დაუზრავს ერთიან
გრძელი სადოლე თითებიც.
ოთხი წლის მდუმარ დოლს მაინც
ისე შემოჰკრა მარჯვენა.
ფოთლებმა შეიშრაილეს,
ცაში ტოროლაც გაჩერდა.
გავადადალულ ცხენმაც კი
მოატრიალა კისერი,
აცვეკდა ბიჭი კურცხლია,



პანგი დაიფრქვა ისეთი,
 წრეს ძველებურად დაჰქროლა,
 თან გაუბრწყინდა სახე ლომს
 და შეურხია ნაომარს,
 ქარმა უმკლავო სახელო...
 ელიამ ხელი სუფრაზე
 მდუმარედ წააფათურა.
 ღვინიან ჭიქას დაეძებს,
 რომ დაილოცოს ქართულად.
 კურცხლიამ უმაღ დაასწრო
 და გაუწოდა ხის ჯამი.
 მედოლემ დოლი გადასდო,
 ამოიოხრა სიმწარით.
 — დამილოცნია ბიჭები,
 ვინაც შორს არი აქედან
 და ბრმა თვალებით მის გვერდით
 ცარიულ სკამებს გახედა,
 დადუმდა და დედასპურზე
 ცრემლად დაღვარა თავგვერი,
 შორს, შუბისტარზე დასულ მზეს
 გაანდო გულის ნალღელი...

* * *

მოდის და სოფლის შარაზე
 მგზავრს ქრუნატელი ედება.
 დაგვიანებულ საღამაზე
 თავი დაუკრეს ქედებმა.
 საღამოს ღურჯი მირონი
 ჩამოიღვარა იქიდან
 და მოხასხასე მინდორი
 ზღვასავით წამობიბინდა.
 მზეს ისევ ქარი აღვივებს,
 მიღეულ ნაკვერჩხალივით,
 ლაჟვარდი — თასი საღვინე
 იცლებს სხივთა არილით.
 მგზავრს ტანა გამოეგება,
 ქოჩორა ტალღა აპკურა,
 ლომი — ტანკების მგლეჯავი,
 თითქოსდა შვერთა ბალღურად.
 უმაღ აივსო პეშვები.
 ანკარა წყალი იხსურა.
 შორს გორისციხის კედლებიც
 ჩამუქდენ დარბაისლურად.
 ნისლი დააწვა ლოდვიით
 ელიას ზურნა აქ ეღერდა,
 და მგზავრი მხრებჩამოყრილი
 ხესთან მორჩილად გაჩერდა.
 ტოტებმა ბინდი გადიძრეს,

შეიშრიალეს საოცრად,
 და ჯიღაურმა კაკლის ხეს
 დაკორძილ კანზე აკოცა.
 ხედავს ბეზარას მორკინალს,
 როგორ მოიწვევს გულგამლით,
 და თვალწინ აუფოფინდა,
 მისი სამაჭრე უღვაში.
 ეხლა სადა წევს, ვინ იცის,
 მიწა აყრია თუ არა
 და ადრე ჩამქრალ ღიმილში
 ტკივილი თუ დაუმალავს...

ღობესთან დგას ფარნას ცხენი,
 წყლიან თვალებს აფახულებს
 და სხვებივით გატაცებით
 ისიც სოფლის გზას გაჰყურებს.
 დგას და ელის გაუნძრევლად,
 დაბრუნებულ კაცის ხილვას.
 თავისიერი დაუგრძელდა
 და უეცრად ატიზინდა.
 ტკბილ ბურანში გაეხვია
 მათე-მამა ოქროპირი,
 გიგას ნუკრი მოხვია
 გამოფრენილ ხოხობივით.
 ფარნა ყვიროს: — გვასახელე,
 კერა გაგიხარებია.
 გადაუხვივნენ გმირს ცალხელა
 კურცხლია და ბრმა ელიაც.
 გიგამ ყველა გადაკოცნა,
 მერე ოდას მიაცქერდა,
 არ მოესმა ტკბილი ლოცვა,
 ვერც იკითხა შიშით დედა.
 სიხარული ინისლება,
 წამო, ისე დაბეჩავდი?
 და ბეზარას ქვრივი დედაც
 თავს დაადგა შავლენაქით.
 გიგას ტირილს აღარ აცლის
 და არ აძლევს ცრემლის ნებას.
 სტერეტს უდედო მძლე ვაჟკაცი
 დაკარგული შვილის დედას.
 ადგა, შუბლზე ვამბორა,
 გაეყინა მწუხრით ბაგე,
 წინ გაუძღვათ მკვდართა ხსოვნა
 დასალოცად სუფრისაკენ.
 ჭადრის ძირში ჭვის მაგიდა
 დუმს, სიჩუმე თუ თამადობს.
 თვალნი უფრო დაებინდა
 ბრმა ელიას მარტოდმარტო.

ზის და, აბა, უდამქაშოდ
ვინ დაუკრას სათამაშო.
არც ბუზარას სკამზე არეინ
არ დამჯდარა, დარჩა ისე,
ონოფრევანთ ბიჭის სკამიც
სალამოს ბინდს ადაისებს.
ტანმორჩილი პეტაც არ ჩანს,
მისი სკამიც სახტად დარჩა.
დაღვრემილი ზის კურცხლია,
ცალ სახელოს ურხევს ქარი,
გიგა ფიქრით მონუსხულა,
სიკვდილთანაც უდგარი.
დაღუპულთა სახეები
გაილეგებს წამიერად.
წარიტანა მათი ხმები
ხსოვნამ მრავალფაშიერმა.
თითქოს სეტყვამ დაჰკრა ციდან,
სუფრა მწუხრით ნარწყვია,
იმ ყვავილს ჰგავს ქვის მაკიდა,
ფურცლები რომ ვასცვენია...

* * *

მაისის ცინცხალ განთიადს
ნათელი ჩამოუღვრია.
გორისციხეზე აღიან
ერთად გიგა და ნუკრია.
შორს გაქცეული ლიხვი
მიდის, ჯიხვივით ფეთდება,
ტალღას, ვით კოცნას მიახლის
და მერე მტკვარს უერთდება.
ოდიტგან მისკენ იჩქარის,
ხან ზათქით, ხანაც დამცხრალი,
მისი ოცნება ის არი.
და სიყვარულის ტაძარი,
ასე იჩქარა გიგამაც,
არსად არ ჩაუმუსლია
და შეგვება მტკვარის დარად
მზეგადაღვრილი ნუკრია...
ბიჭების ხმა შემოესმათ
და საჭიდათ ყიჟინა,
წრე გაუშლიათ ტოლებსა
ურთერთ მხარიმხარ მიჯრილან.
და წყვილი, ტყუპის ცალები,
ძმები შებმიან ერთმანეთს,
დაუძარღვიათ მკლავები
და შიშველ მკერდით ფეოქავენ,
საცაა, დახცემს ერთ-ერთი.
ყიჟინის ესო ზანზარებს,

და ჯიდაური ვერ ითმენს,
მოშულრებს უმალ აზავებს.
აქ ნახა ომში წასვლის წინ
ცივ ქვაზე ისხდნენ მორჩილად
ახლა მართვენი არწივის
დაზრდილან, წამოჭორჩილან.
— მამა დაბრუნდა, ბიჭებო?
შიშით იკითხა ნუკრიამ.
— დაბრუნდა, — ერთხმად იტყვეს
და კვლავ შეიბნენ გულდიად...
მზის ჰიშნი აღარ მოთავდა
და გორისციხის ღაღადი,
სულმოუთქმელად ორთავემ
ჩამოიბინეს დაღმართი
და იმ შენობის წინ შედგნენ,
სად ბედი გაიზიარეს,
მაშინ დახშული კარები,
ახლა საამოდ ჭრიალებს.
ბრდღვიალა ცისფერ ლარნაკში
თეთრი ვარდები აწყვია,
წიკწიკებს კედლის საათი,
ომის დრო დაუნაცრია.
და კალენდარის ფურცელიც
რიხით ცხრა მაისს უჩვენებს,
და მზე აღერსით იწყება
გაკრიალებულ შუშებზე.
ჭაღარა რეგისტრატორი
ორთავეს ისე გახედავს,
სადღაც უნახავს მას მგონი
ღიმილი ნაცნობ სახეთა.
— დაბრუნდი, შვილო? — შესქაზა
და გადგვია ორთავეს
ომის დროს, აქ ბნულ ოთახში
მათი ჯვრისწერის მოთავე.
გვიან დასცილდნენ ალერსით
და გაზეთების ჯიხურთან
შედგნენ, — მოხუცის ხმა ესმათ,
გიგამაც უცებ იხუვლა.
რა ნახა ღამის დარაჯი,
მათი პირველი მაყარი,
მკლავები უმალ გაშალა
და დაბრუნება ახარა.
ხსოვნაში ამოტივტივდა
ის ღამე — ომის ქარცეცხლის
მოხუცმა დახლის იქიდან
გადმოაწოდა გაზეთი
— აი, ამითი გიცანი
(და შიგ სურათი აჩვენა),


გმირი ხარ დასაფიცარი.
იდიდოს შენი მარჯვენა...

ბუბუნებს მიწა ქართული,
მკერდს იკრავს ცინცხალ განთიადს,
ქოხი სვეტებში ჩაფლული,
დგას და ცის ნამი აყრია.
აქ შედგნენ შუქი აისის
უფრო გაბრწყინდა საოცრად,
გიგამ, ვით ომში წასვლის წინ,
კვლავ მუჭა მიწას აკოცა.
გულზე მოენთო ცეცხლივით
მეგობრის ხსოვნა მარადი.
ბეზარას სისხლით შეყვრილი
კომკავშირული მანდატი.
და ცოლის თეთრ თავსაფარში
მიწა ჩაყარა სათუთად,
გაშრა მუღღლე ლამაზი,
ელდანაკრავი დადუმდა.
ნეტავ ეს მიწა სად მიაქვს,
ომი ხომ აღარ იქნება?
ქალს სიმწრის ოფლი დადინდა
ქმრისთვის გაუმხელ ფიქრებად...

• • •

ვარდისფერად, მკრთალად ღვივის,
სხივებს უფრო ანაზებს.
ცის კიდურზე ჩამოღვრილი
თვლემს დაღლილი მკვდართა მზე.
ტრამალები უკრაინის
მაინც არ იბინდება.
დაფნის რტოსებრ ფოთლავს ჩრდილი
მარადიულ დიდებას.
მარტოდმარტო ვილაც მისდევს

გადათქერილ მინდორველს,
დნებრის ტალღის ძახილს ისმენს
და დაღუპულთ იგონებს.
თმაგაშლილი ქარი ხენების
და ყვავილებს გულღიად
ნაყუმბარვ ადგილებში
თავი წამოუყვიათ.
მგზავრი ადგილს მოინიშნებს,
აი სამშო სამარეც,
სად გადახრილ ხსოვნის ნიშზე
თეთრი მტრედი ფართქალებს, —
თავს დაადგათ დაუვიწყართ
გამარჯვების მოამბედ,
და საფლავზე ქართულ მიწას
ალერსივით მოაბნევს.
თითქოს ადის ესო ცამდე,
ბეზარას ხმა მოისმის:
ბიჭო, შენს ცოლს მოუხადე
ჩემს მაგიერ ბოდიში?
თუკი ნახე დედაჩემი,
ხომ არ უთხარ — არ მოგა...
ხმა ტრამალებს გადაშორდა
დაბინდულს და ნაომარს.
ხმა ტრამალებს გადაშორდა
და ცის მიღმა გაიბნა,
მდგარი მკვდართა სამყაროსთან
კიდევ უფრო გარინდდა.
მკერდში უდევს მას ძმის გული, —
მომავლის იმედი,
წმინდა სისხლით დაწინწკლული
ნაცრისფერი ბილეთი.
ჯილაური ლომის ჯიშის
დაიხარა ერთიან,
გაასწორა ხსოვნის ნიში
და სამარეს ემთხვია...



იოსებ ზაზაქო

ოცნება და პედაგოგობა

1941 წლის 23 ივნისს, ბელოსტოკის მისადგომებთან გამართულ სისხლისმღვრელ შეტაკებისას ფაშისტმა დამპყრობლებმა მიმედ დასტურეს სატანკო ბატალიონის მეთაური გიორგი დუბაშვილი, რომელიც პოლონელმა პატრიოტებმა გადაარჩინეს სიკვდილს, უმეტრწაღეს და ფეხზე დააყენეს. გიორგი დუბაშვილი შესძლო 1941 წლის ბოლოსათვის, პოლონელ პატრიოტებთან ერთად იატაკქვეშეთში, ბელოსტოკის საეოგვოდოში ანტიფაშისტური ორგანიზაციის ჩამოყალიბება. ორგანიზაცია თავის რიგებში 200 კაცს აერთიანებდა. მასში მოღვაწეობდნენ რუსები, პოლონელები, ბელორუსები, უკრაინელები და ქართველები. 1942 წლის 26 ნოემბერს ბელოსტოკში გიორგი დუბაშვილი, შერქმეული სახელით „ბატია“ წინამძღოლი, მტერთან უთანასწორო ბრძოლაში გმირის სიკვდილით დაეცა.

ეს ამბავი ომის დაწყების მეორე დღეს მოხდა. ბელოსტოკის მისადგომებთან გერმანელთა ყუმბარამ საბჭოთა ტანკი წყობილებიდან გამოიყვანა. ცეცხლმოკიდებულ მანქანიდან ბატალიონის დაჭრილი მეთაური გიორგი დუბაშვილი გადმოხობიდა და რის ვაიფავლახით ბუჩქებამდე მიფორთხდა. დაჭრილის მარცხენა ფეხი აღარ ემორჩილებოდა და თქმის აუტანელი ტკივილი სტანჯავდა.

ბრძოლა გრძელდებოდა. ყუმბარათა აფეთქების ტალღა ზრდადამთავრებულ არყის თეთრ ხეებს თოვლის ფანტელივით აქეთ-იქით ფანტავდა. ზურგზე გაწოლილი გიორგი ლურჯ ცის ტანკის ნიშნულზე მცურავ თეთრ ღრუბლებს შეჰყურებდა და მალე გონება დაჰკარგა.

გიორგის არ ახსოვდა რამდენხანს იწვა ბუჩქებში და როგორ გაუძლო ტკი-

ვილებს. იგი გონს მხოლოდ პატარა ისლის სახლში მოვიდა.

— სად ვარ? აქ საიდან მოვხვდი? — ძლივს ამოღერდა დაჭრილმა.

საწოლისაკენ ქალი დაიხარა.

— ნუ ღელავთ, პან ოფიცერ, თქვენ დაჭრილი ხართ და მხოლოდ სიმშვიდე გარგებთ. თქვენ აქ ჩემმა ქმარმა და მისმა მეგობრებმა მოგიყვანეს. მალე ექიმები მოგაკითხავს, საშიში არაფერია, თქვენ მეგობრების სახლში იმყოფებით, როგორც შეეძლო რუსულად და პოლონურად უხსნიდა ქალი.

— ჩემი გულისათვის ფაშისტები დაგხვრეტენ, უმჯობესია გაგეცალოთ, — დაჭრილმა თავს ძალა დაატანა, ხელებს დაეყრდნო, წამოწევა სცადა, მაგრამ მწვავე ტკივილებისაგან სახე დაემანჭა და ზურგზე უმწეოდ დაეცა.

მალე ოჯახის უფროსი კაზიმირ ლას-

ტოვსკი, მოვიდა და თან ექიმი მოიყვანა.

ექიმმა გულდასმით გასინჯა ავადმყოფი, რომელიც აუტანელი სიცხისაგან გათანგული სარეცელს გაკვროდა და მწარედ იტანებოდა. მერე დასტაქარო დიასახლისს მიუბრუნდა და უთხრა: — ყუმბარის ნამსხვრევი მყესებში ღრმადაა შეჭრილი, დაუყოვნებლივ უნდა გაკეთდეს ოპერაცია, პანი იანინა, თქვენი დახმარება დამპირდება.

ოპერაცია დიდხანს ვაგრძელდა. დაჭრილი კბილს კბილზე აკერდა, აუტანელი ტკივილებისაგან იკრუნჩხებოდა, მაგრამ არ კენისოდა. დასტაქარის ხელემა მაინც თავისი გაიტანა და ბოლოს ყუმბარის ნამსხვრევი ამოიღო.

— დღეს ჰიტლერებმა მთელი საავადმყოფო თავდაყირა დააყენეს, — სთქვა წასკლისას ექიმმა, — დაჭრილ რუს მებრძოლებს დაეძებდნენ. რალა თქმა უნდა ვერავინ იპოვნეს. იმუქრებოდნენ, თუ ვინმე დაჭრილ რუს მეომარს შეიფარებს, დავხვრეტო, ასე რომ ფრთხილად იყავით...

დღეები და თვეები მთვარესავით სწრაფად ილეოდნენ. გიორგი კაზიმირის ოჯახს იმ მკაცრმა დღეებმა დააკავშირა და დაამეგობრა. მან კარგად იცოდა, რითაც იყო დავალებული ამ ოჯახისგან. იცოდა ისიც, რომ ფეხზე დადგომისთანავე საძულველ მტერთან ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო.

ივლისის თვის ერთ გვიან საღამოს იგი სახლის პატრონებთან ერთად ვახშობობდა. ჩვეულებრივ ყოველდღიურ ამბებზე საუბრობდნენ. ლაპარაკი ჩამოვარდა ხილზე, რომლის მოსავლასაც იმ წელიწადს ძალიან კარგი პირი უჩანდა, მერე ომის ამბებსაც გადასწვდნენ, ითქვა ისიც, რომ გერმანელები აღმოსავლეთისაკენ მიიწევდნენ.

— თქვენ უკვე გამოჩანმართელდით და ალბათ კვლავ საერთო ბრძოლაში ჩაებმებით, არა?

წამოიწყო კაზიმირმა.

— ეს ხომ ჩემი პირდაპირი მოვალეობაა,

— სთქვა გიორგიმ მტკიცე ხმით და წარბები შეჰყარა.

— რალა თქმა უნდა, სხვა პასუხს არც მოველოდი, მაგრამ იატაკქვეშეთიდან ბრძოლას სხვა ტაქტიკა და ხერხი სჭირდება. ასეთ ბრძოლას განსაკუთრებული კანონები გააჩნია. ამ ბრძოლის მონაწილეს დიდი სულიერი შემართება უნდა ჰქონდეს, ვინაიდან მტრის ტერიტორიაზე მოქმედებს და თავისი და სხვათა სიკვდილ-სიცოცხლე მის ნერვიულ განწყობილებასა, სიმტკიცესა და თავდაპერაზზეა დამოკიდებული.

ნავთის სანათლოო კაზიმირის სახეს მკრთალ სხივებს აფენდა. მას ფართო შუბლი ჰქონდა და თვალის ფოსოში კროლა ვუგები მოუჩანდა. ისე დინჯად, დარბაისლურად ლაპარაკობდა, თითქოს ყოველ სიტყვას სწონისო.

— ჩვენი საერთო ინტერესებისათვის სიცოცხლეს არ დავიშურებ... განსაცდელს კი, როგორც არ უნდა იყოს, ვაჯკაჟმა კაცმა უნდა გაუძლოს. გიორგის ხმაში ფოლადი გამოკრთა.

სწორედ ამ დროს ჰემკარზე ერთი ბრახა-ბრუნი ატყდა. ჯიბის ფარნის შუქმა სიბნელე გაჰკვეთა და ღობისძირები გაანათა.

— ჰიტლერელები, გიორგი, აბა სწრაფად შენს აკლამას მიაშურე. კაზიმირმა ჯერ კიდევ კრილობებმოუშუშებელი გიორგი თავშესაფარამდე მიიყვანა, იანინამ კი გაშლილი საწოლი გაასწორა. როგორც კი მომხდურებს კარი გაუღდეს, დაუპატივებელი სტუმრები ოთახში შემოიცივდნენ. ყველაფერი გადააქოთეს, აეტომატის კონდახებით კედლებზე აკაჟუნებდნენ, ადგილი უცვალებს ავეჯს, იატაკსაც მოუსინჯეს პირი, კარადები გამოაღეს... სახლის პატრონები კი მშვიდად იდგნენ დერეფანში.

— სახლის პატრონო, უმჯობესია თვითონ გვითხრა სადა გყავს დამალული საბჭოთა ოფიცერი, მიმართა კაზიმირს ობერ-ეფრეიტორმა, — თორემ თუ ჩვენით ვიპოვნეთ სახრჩობელაზე ჩამოკონწილდება არ აცდებათ.

— პან ობერ-ეფრეიტორ, ჩვენს სახლ-

ში რუსებისათვის თავშესაფარი არ მიგვიცია, — მტკიცედ უპასუხა კაზიმირმა.

იმ ოთახში, სადაც დაჭრილი იწვა ობერ-ფერეიტორი დაყოვნდა. საწოლთან მივიდა, საბანი ასწია და ძირს გადმოაგდო.

რატომაა აჭურობა წამლების სუნით გაუღენთილი? აჲ, ამდვილად დაჭრილი იწვა!... ობერ-ფერეიტორმა ხელი რევოლვერს წაატანა.

გერმანელის წინ მყისვე იანინა გაჩნდა.

— პან ობერ-ფერეიტორ მე მედიცინის და გახლავართ და კლინიკიდან ეს წუთია დაებრუნდი. იანინამ ტანსაცმლის კარადიდან თავისი ხალათი ჩამოიღო და გერმანელს გაუწოდა. ობერ-ფერეიტორმა ხალათი ჩამოართვა, იანინას სახეზე დაეინებით დააცქერდა, მაგრამ ქალის სახეზე შეიშისა და სულიერი ღელვის ნატამალიც ვერ შენიშნა. მერე ხალათი ოთახის კუთხისაკენ მოისროლა და რაღაც ჩაიბურტყუნა. სწორედ იმ წუთს თავისი ხელქვეითი ჯარისკაცი გამოეჭირა და მოახსენა, რომ ბალსა და ფარდულში ვერავენ და ვერაფერი აღმოვაჩინეთო.

როცა გერმანელები წავიდნენ და ტროტუარზე რკინით მოჭედილი მათი ფეხსაცმელების ბაკი-ბუკი მიწყდა კაზიმირმა და იანინამ შვეებით ამოისუნთქეს.

ბელოსტოკის განაპირა უბანში, კიევის ქუჩაზე მდგარ, კაზიმირის მშენიით დაფარულ პატარა სახლში გვიან საღამოთი ხშირად იყრიდნენ თავს: ალექსანდრე რაკოვეცი, დიმიტრი მიხალენკო, პეტრე ნაიდენკო, ივანე სიბირიაკოვი, ვასილი რაზგულაევი, ალექსანდრე პრივლოვი და ალექსეი კონტორსკი. ამ პატარა ქოხში ისინი დიდხანს არასოდეს რჩებოდნენ. აქედან მიჰქონდათ ასაფეთქებელი მასალა, ყუმბარები, საწვავით სავსე ბოთლები, საავიაციო ფურცლები და ბნელი ქუჩაბანდებით თითო-თითო უჩინარდებოდნენ. ესენი იყვნენ ყოფილი საბჭოთა მეთაურები, პოლიტმუშაკები და წითელარმიელები, რომელ-

ბიც გერმანელთა უეცარი შეტევას შედეგად მტრის ზურგში აღმოჩნდნენ. მაგრამ საშობლოს წინაშე თავიანთი მოცულობა მტკიცედ ჰქონდათ გულის ფიცარზე აღბეჭდილი. იატაკქვეშელთა ხელმძღვანელი კი გიორგი დუბაშვილი იყო.

იმ წყევული დღის შემდეგ, როცა გერმანელთა ყუმბარამ ტანჯი დაუშხხერია და თვითონაც წყობილებიდან გამოიყვანა, მან კაზიმირის ოჯახში ჰპოვა თავშესაფარი.

ქალაქში, საიმედოდ შენიღბულმა, კარგად ორგანიზებულმა იატაკქვეშელთა კავშირმა გაშალა ფრთები, ადგილობრივი მცხოვრებლებიც ყოველგვარ დახმარებას უწყევდნენ დევნილთ.

იატაკქვეშელთა შეხვედრის ადგილები ქალაქში, მტრისათვის გზაკვალია ასაბნეველ სულ სხვადასხვა უბნებში იყო: ოლხოვსკის ქუჩაზე № 10, № 40 სახლებში, პანკოვის № 8-ში, კიევის № 1-ში. ადგილობრივმა პოლონელმა მცხოვრებლებმა ორგანიზაცია დიდძალი საჭურვლითა და ტყვია-წამლით მოამარაგეს. მათვე იშოვეს და იატაკქვეშელებს გადასცეს ბრძოლის ველზე მიტოვებული აუარებელი ფეთქებადი მასალა და მედიკამენტები. ბელოსტოკში, სოსნოვიაზე № 40 სახლში ცხოვრობდა დაულალავი მებრძოლი, ანტიფაშისტი იან რაჩკოვსკი. იგი ერთავად რადიოს უჭდა, მოსკოვის გადაცემებს უსმენდა და საავიაციო ფურცლებს პოლონურ და რუსულ ენებზე სწერდა. ამ ფურცლებს კი კედლებზე ძალიან თვალსაჩინო ადგილებზე აკრავდნენ და გამველ-გამომველებსაც ურიგებდნენ. ამ ფურცლების წყალობა იყო, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ ნამდვილამებები იცოდა, ბელოსტოკელებმა კარგად უწყობდნენ, რომ მოსკოვი მტერს არ დანებდა, რომ საბჭოთა არმია მტერს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა და დიდ ზარალს აყენებდა.

გამწარებული მტერი გაცოფებული დაეძებდა იატაკქვეშელებს, მაგრამ ისინი კიდევ უფრო შენიღბულად და

ფრთხილად მოქმედებდნენ. ერთხელ სამსახურიდან დაბრუნებულმა კაზიმირმა გიორგის უთხრა:

— ორი საათის წინ ბელოსტოკის სადგურში გერმანიიდან გამოგზავნილი ეშელონი ჩამოდგა. ვაგონები საწვავითაა სავსე. თქმა აღარ უნდა, რომ მატარებელი აღმოსავლეთისაკენ მიისწრაფვის. ვითომდა შესაკეთებლად მატარებელს ჩვენ ხელამდე დავაყოვნებთ.

გიორგიმ გაოფლიანებულ შუბლზე ხალათის სახელო გადაისვა. ის ყველაფერს მიხვდა: მატარებელი სადგურიდან არ უნდა გასულიყო. იგი იმავე დამეს უნდა აეფეთქებინათ.

იმ დამეს ცა, თითქოს იატაკქვეშელთ თანუგრძნობსო, შავმა ღრუბლებმა დაფარა. ფიცხელი ქარი გამძვინვარებით ეკვეთა ყველასა და ყველაფერს, მერე კოკისპირულად დაასხა. სტიქიამ თანდათანობით გაშალა ფრთები. წყალი ქუჩებზე ნაკადულებივით მიედინებოდა. სუსხიანი ქარი თავისუფლად დათარეშობდა და გარეთ დარჩენილ სულდგმულს გათოშვით ემუქრებოდა. გიორგი დუბაშვილი და დიმიტრი მიხალენკო კი, თითქოს აქ არაფერიაო ისე მიიკვლევდნენ გზას საწვავით სავსე მატარებლისაკენ. ნელა, მაგრამ დაფინებით მიცოცავდნენ წინ, ყური გამახვილებული ჰქონდათ და მიუხედავად იმისა რომ თვალთან მიტანილი თითოც კი ძნელი დასანახავი იყო, მხედველობაც დაძაბული ჰქონდათ. მაინც ბუნება დაეხმარათ. ელვამ ცა რამდენიმეჯერ გაჰკვეთა და მატარებლისაკენ სავალი გზა გაუნათა. იქვე საწვიმარში გამოხვეული გუშაგები შენიშნეს. დიმიტრიმ დანა იზიშვლა და გულგანგმირული გერმანელი გუშაგი სველ მიწაზე უსულოდ ისე დაეცა დაყვირებაც ვერ მოასწრო.

— კარგია, — ჩურჩულით სთქვა გიორგიმ და წინ გახოზდა.

დიმიტრიც მის კვალს გაჰყვა. ისინი ფრთხილად მიხობდნენ მატარებელთან. რამდენიმე ნაღმი მოხერხებულად ჩააწყვეს ვაგონებს ქვეშ და უკან ჰაიპარად გამობრუნდნენ. სქელი, ბლანტი

სიბნელე უეცრად ცეცხლის ენებმა გაჰკვეთა და ბელოსტოკის მოქუფრული ცა წითლად შეიღება. საწვავით სავსე აფეთქებულ მატარებელს სადგურზე მდგარი სხვა ეშელონებიც მიჰყავა და ცეცხლმა დაუნდობლად დაიწყო გამანადგურებელი მოქმედება. იზგვლიე ყველაფერი პანიკამ მოიღო. ჯარისკაცები ვაგონებიდან ხტებოდნენ და უგზო-უკვლოდ გარბოდნენ. მაგრამ გერმანელები გონს მაინც მალე მოეგნენ. გაისმა სასტვენების საშინელი გამაყრუებელი ხმა და ბელოსტოკის ქუჩებში გესტაპოელთა მანქანები აწრიალდნენ. მთელი სადგური და მისი შემოგარენი ალყაში მოაქციეს. გიორგი და დიმიტრი იმ დამით კაზიმირის სახლში აღარ დაბრუნებულან. კაზიმირსა და იანინას კი მთელი დამე არ უძინიათ და ძალზე შფოთიანად გაათენეს ის დამე.

გამთენიისას ღრუბლები გაიფანტა და ცა მოიწმინდა. უცებ ჰიშკარი გაქრიალდა და მის ზღურბლზე ორი ადამიანი გამოჩნდა. კაზიმირმა და იანინამ გიორგი და დიმიტრი შეიცნეს, დაწყნარდნენ და დასაძინებლად მიწვნენ.

ბელოსტოკელ ანტიფაშისტებს კარგად ახსოვთ იატაკქვეშელთა პირველი თათბირი 1941 წლის ივლისის შუა რიცხვებში, ბელოსტოკიდან შეექვსე კილომეტრზე, ანტიფაშისტ-იატაკქვეშელთა წარმომადგენლები ზიგმუნდ მარტავიცის სახლში შეიყარნენ. თავშეყრის ადგილი ისე კარგად იყო შენიღბული, თითქოს შიგნით ერთი სანთელიც კი არ ენთო. სახლის შესასვლელში ადამიანები ჩურჩულით წარმოთქვამდნენ საიდუმლოდ დათქმულ სიტყვებს და მერე ქოხში შედიოდნენ. თათბირს ოცდარვა წარმომადგენელი დაესწრო, მათ შორის იყვნენ: რუსები, პოლონელები, ბელორუსები, უკრაინელები და ქართველები.

— იატაკქვეშელთა ერთერთი ძირითადი მოვალეობა ფრონტის საომარი საჭურვლითა და ადამიანთა რუხერვებით მომარაგების მოშლა გახლავთ. ჩვენი ამოცანაა არ გაუშვათ აღმოსავლეთისაკენ მიმავალი ეშელონები და ავტო-

ტრანსპორტი, — განუცხადა თავშეყრილთ გიორგი დუბაშვილმა.

თათბირმა აირჩია ბელოსტოკის იატაკქვეშელთა ანტიფაშისტური ორგანიზაციის ცენტრი, ცენტრის ხელმძღვანელად კი ერთხმად გიორგი დუბაშვილი აირჩიეს. ყველა იატაკქვეშელმა თავისათვის შეარჩია ზედმეტი სახელი, დაადგინეს საიდუმლო პაროლები და შეთანხმდნენ შეხვედრის ადგილებზე.

დათქვეს, რომ მხოლოდ იატაკქვეშელთა ჯგუფის ხელმძღვანელებს ეცნობოდათ ერთმანეთი და ეცოდინებოდათ ყოველივე საერთო ამბებზე. რიგით იატაკქვეშელებს კი, მხოლოდ ის ამხანაგები უნდა სცნობოდათ, ვისთანაც პირადი ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ.

გიორგი დუბაშვილმა ზედმეტ სახელად „ბატია“ აირჩია.

თათბირის ბოლოს გიორგი პეტრე ნაიდენკოს მიეახლა, დაიხარა და ყურში წასჩურჩულა:

— ცოტა შეიცადეთ პეტრე ნიკიტინ, თქვენთვის რაღაც განსაკუთრებული დავალება მაქვს.

იატაკქვეშელებმა ფაშისტები მაგრად შეაფუცხუნეს. თათბირიდან ორი დღეც არ იყო გასული, რომ ივან სიბირიაკოვის შეიარაღებულმა ჯგუფმა, ბელოსტოკის მისადგომებთან, ტყვეთა სამი გამყოლი მოჰკლა და 34 საბჭოთა ყოფილი მეომარი გაათავისუფლა.

იატაკქვეშელები სხვადასხვა მეთოდებით იბრძოდნენ და თავისუფლება უბრუნებდნენ საბჭოთა მეომრებს. ოღონდაც ტყვეები გაეთავისუფლებინათ და ყველა მეთოდი გამართლებულად მიაჩნდათ. გერმანელების მოსპობა აღმინისტრაციის მოსყიდვა, ბანაკებიდან და სამუშაო ადგილებიდან ტყვეთა გაქცევის ორგანიზაცია, ტყვეებს თავდებად უდგებოდნენ „ნათესაები“. მერე განთავისუფლებულ ტყვეებს სათანადო საბუთებით ამარაგებდნენ და პარტიზანებთან აგზავნიდნენ.

მალე იატაკქვეშელთა ჯგუფები ჩამოყალიბდა ბურტოვშიჩინაში, ლუბროვკაში, სტაროსელცოში, ზაბლოდოვოში,

ბელსკში, გაინოვსკასა და ბრანსკში. ბურტოვშიჩინას ჯგუფს სთავადავნი ედვარდ ბაბუღელი და ფრთხილი ოლეგ მანსინსკია. ამ ჯგუფმა ტყვეთა ბანაკიდან გაათავისუფლა და პარტიზანებთან გაგზავნა ასობროცდაშვიდი კაცი.

ბელოსტოკ-ვარშავისა და ბელოსტოკ-გროდნოს რკინიგზის მაგისტრალზე ხშირად გაისმოდა აფეთქებების გამაყრუებელი ხმა და მალა ავარდნილი ბოლი ცას ერთიანად ჰფარავდა. ბელოსტოკის იატაკქვეშელები ჰიტლერელებს სრულიად მოულოდნელ სიურპრიზებს სთავაზობდნენ. გიორგის ასაფეთქებელი ჭურვები მიაჩნდა ყველაზე ძლიერ და ყველაზე საჭირო იარაღად.

კიევის ქუჩაზე მღებარე პატარა სოროში დღითა და ღამით ენთო ნეთიან კრაქი. გიორგი იან რაჩკოვსკისთან ერთად ამზადებდა ჭურვებს. ერთხელ გიორგიმ აღუქსანდრე როკოვეცს უთხრა:

— იცი, აღუქსანდრე, გერმანელთა ბატალიონის გასანადგურებლად რამდენი ტყვია წამალია საჭირო? ჩვენ კი ერთი მიწით შეგვიძლია ის ბატალიონი ფრონტზე არ გაუშვათ. „ზატიას“ სახალმოდ საქმის რაღაც განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ტანკისტი იყო. გესტაპოელებს იატაკქვეშელთა ძებნით არაქათი გამოეცალათ, მაგრამ მათ კვალს ვერა და ვერ მიაგნეს. რაკი „დამნაშავეთა“ ასავალ-დასავალი ვერ დაყნოსეს ყველა ექვემიტანილს აპატიმრებდნენ და გამოუძიებლად ზერეტდნენ. ოკუპანტთა „ახალი წესრიგი“ ძალაში შევიდა და ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დააპატიმრეს და დახვრიტეს ბელოსტოკის პედინსტიტუტის დოცენტი ჰენრიხ ფრეცოვიჩი. ხალხი გარეთ გამოსვლას ვეღარ ბედავდა. ღამით, გესტაპოს უზარმაზარი შენობის ყველა ფანჯარა გაჩახჩახებულ იყო. მოსახლეობას რისხვად დაატყდა თავს ჰიტლერელი ჯალათი ფონ-შუსტერი.

ბელოსტოკელი იატაკქვეშელების ცენტრმა აგვანგებო სხდომა მოიწვია. სწო-

რედ იმ სხდომაზე გადაწყდა ფონ-შუსტერთან ანგარიშსწორება.

მრისხანე 1942 წლის 25 ნოემბრის დღე იდგა. საღამოს ექვს საათზე ადამ მიცკევიჩის ქუჩაზე მსუბუქი ავტომანქანა გაჩერდა. მანქანიდან საზაფხულო პალტოში გამოწყობილი ბრგე მოყვანილობის, ტანადი, ულვაშიანი მამაკაცი გადმოვიდა. მან სწრაფად მიათვალა ირ-მოათვალა ირა იქაურობა და ეზოში შევიდა. მანქანამ კი ცოტაოდენი მანძილი კიდევ გაიარა და შეჩერდა. მანქანიდან ახლა ორნი გადმოვიდნენ და იმავე სადარბაზოსაკენ გაემართნენ, სადაც პირველად გადმოსული გაუჩინარდა.

ულვაშიანი, იატაკქვეშელი ვლადიმერ ბელოვი იყო. მან სწრაფად აირბინა მეორე სართულზე, პალტო გაიძრო, ავტომატს დისკო მოარგო და ფანჯრის რაფაზე ხელუშმაარები უხმაუროდ დააწყო, მის წინ სადოვანს ქუჩა, ხელისგულივით იყო ვაშლილი. ბელოვს დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია, მალე გიბეტს-კომისრის მანქანაც გამოჩნდა. ბელოვმა კარგად დაინახა ფონ-შუსტერი და მიხანში ამოდებაც მოასწრო. ერთი სეკუნდი... მეორე და ავტომატის კაკანიც გაისმა. რამდენიმე წუთის მერე კი იატაკქვეშელთა მანქანა გამალეებით მიჰქროდა ბელოსტოკის ქუჩებში. ვარშავისა და პირველი მაისის ქუჩების გზაჯვარედინზე კომენდანტის პატრულმა სცადა მათი შეჩერება. მაგრამ ლტოლვილებმა გზა განაგრძეს. ამჯერად პიტლურელთა ავტომატმა დაიკაკანა და გიორგიმ მკერდის არეში იგრძნო საშინელი ტკივილი. იგი ქალაქგარეთ წყნარად და უდრტვინველად მიიცვალა ძმადშეფიცულთა მკლავებზე.

ბელოსტოკელ იატაკქვეშელთათვის გიორგი დუბაშვილის სიკვდილი მძიმე დანაკლისი იყო, მაგრამ მუშაობა მაინც გაგრძელდა... გიორგის მერე იატაკქვეშელთა ხელმძღვანელად ალექსანდრე რაკოვეცი აირჩიეს. მათ კიდევ რამ-

დენიმე ძალიან დიდი მნიშვნელობის ოპერაცია ჩაატარეს.

ცენტრის დავალებით პეტრე ნაიდენკო აეროდრომის წყალსადენში ოსტატად მოეწყო. იმ დღეს პეტრე სისხამ დილით ადგა. ისე ეჩვენებოდა რომ დამე რალაც უსაშველოდ გაგრძელდაროგორც კი სამუშაოზე გამოცხადდა კომენდანტთან იხმეს.

— ბატონო ნაიდენკო მე თქვენი ძალზე უკმაყოფილო ვარ, წყალი სასადილოსათვის ადრე უნდა მიგეცათ. ეტუბოდა კომენდანტი უფუნებოდა იყო, სიგარას ექანებოდა და ოთანში ბოლთას სცემდა. — ბატონო ლეიტენანტო, — დაიწყო წყნარად ნაიდენკომ, — მართალი გახლავთ, რომ სასადილოში წყალი თავის დროზე ვერ მივაწოდეთ, მიწის გათხრა აქვრ ადვილზე მოგვიხდა და დაეყოვნდით.

— დღესვე წესრიგში მოიყვანეთ წყალგაყვანილობა და ფეკალური წყლების სადენი. საბაზანო უზრუნველყოფით ცხელი შხაპით, რომ კაცს ბანაობა შეეძლოს და პირველ ყოვლისა შეეძეს ნომერი არ დაივიწყოთ, თორემ...

— ძალიან კარგი, — ისევ წყნარად უპასუხა ნაიდენკომ და ძალიან გაბედული გადაწყვეტილება მიიღო.

ორ საათში მთელი მოწყობილობა ადვილზე მიზიდეს. ნაიდენკომ ელექტრომექანიკოსი სტანისლავ ლუგოვიჩი მოძებნა და სწორედ შეექვსე ნომრის ქვეშ დიდი ძალის ასაფეთქებელი ჭურვი მოათავსეს...

საღამოს სტანისლავ ლუგოვიჩმა და პეტრე ნაიდენკომ აეროდრომის ტერიტორიიდან გულა-ნაბადი აიკრეს. როცა აეროდრომის შენობაში ჭურვებმა იფეთქა და შენობა ცაში ავარდა, ისინი ტყის პირიდან ტყებობდნენ თავიანთი ნამოქმედარით.

— ალბათ კომენდანტი ჰოფმანი ახლა კი მადლობელი დარჩება, ჩემი საქმიანობით. — ლიმილით უთხრა ნაიდენკომ მეგობარს.



მეორე ნაბიჯი

ჩემო მინაჩვი

ენგურაძის მშენებლებს

ვარ სისხლი შენი
მარად ერთგული,
მოვედი შენთან,
კვლავ მომეახლე, —
(ენებააშლილი მოჭეხს ენგური
და ტალღებს ჯვართან ქერვჭად ახვევს).
ჩემო მდინარე, განა დაგშორდი,
შენს კალაპოტში ვბორგავ ტივივით, —
თიბათვის თვეში მდელვარ ბავშვობის
კვლავ დამიამე ყველა ტივილი.
ვით წყალმცენარე ჩემი ფესვები
შენს ჩქერთა წილ დააცხრა ბუკებს.
რა ვქნა, დამასწრეს შენზე ლექსები,
ბევრმა მგოსანმა გიმღერა უკვე;

თუმც ჩემს ოცნებას სურვილი მერცხლის
ამოუჭრია გულში ინახად. —
შენ არამხუტუს უჭრობი ცეცხლი,
თურმე
ხალხისთვის შემოგინახავს.
ახლა კი შენი დღეები რეკენ
და მიხსენებენ იმ ჩავლილ შუკას, —
ოდიშის მიწის ნათულო მგველევ,
უნდა იბრწყინო მირიად შუკად.
გნახე,
რა გნახე,
რა სასწაული,
ვარ მონუსხული და ვიგლი ასე, —
შენ საქართველოს ხარ საწყაული,
თასი ხარ მზით და სინათლით სავსე.

მ რ შ ი

ცა — მინანქარი,
გამჭვირვალე,
ცა — მინანქარი, —
ოდნავ შეხებით დაიმსხვრევა,
ოდნავ შეხებით;
ცისარტყელებში გახლართულა კოლხური ქარი,
ჩემი ოდიში მისირმულა პონტოს შხეფებით.
აღვართქაფებულ აღმასების სხლტება ჩანჩქერი,
კიპარისების ღვთაებრივი ლოცვა იღვრება,
ო, მიწავ ჩემო, სულში, სულში მზებერ ჩამცქერი, —



დედაო მიწავ, შენ ხარ ჩემი დათარილება.
 გაფიცებული მოთქარუნობს ცხენების რემა,
 მათ ველურ ძარღვში დანთებულა მხურვალე ვნება, —
 ვარ მონუსსული,
 რა უტყვი აქვს სიყვარულს ენა,
 ო, ეს მინდვრები,
 ეს ფერები — მარადი შეება.
 შენი სისხლია ჩემს ძარღვებში,
 შენი სისხლია,
 შენი ზეცაა ჩემს თვალებში,
 შენი ცის ფერი, —
 იავნანას რომ მიგალობდა ქოხის ისლია, —
 ის ქოხი ახლაც წარსულ დღეთა ხსოვნას მიმღერის.
 „ოდოიას“ ხომ „ჩელა“ ცვლიდა და მაფშალია
 აკვანს მირწევდა — მგალობელი ჩემი გადია, —
 დღეს შენ მისმინე,
 სიმღერისთვის ახლა მცალია.
 თორემ ეს წლებიც უსასრულოდ სადღაც გარბიან...
 ცა — მინანქარი,
 გამჭვირვალე,
 ცა — მინანქარი, —
 ოდნავ შესებით დაიმსხვრევა,
 ოდნავ შესებით,
 წევს ლვევებში ვეფხის ტყავად მშობელი მხარე, —
 ჩემი ოდიში —
 მოსირმული პონტოს შხეფებით.

• • •

ვერ მოვიშორე შენი ეყვანი,
 ყელზე შევიბი და, როგორც ტაბუ
 დაედო ჩემს ფიჭრს
 მარად ეს ვალი:
 ვუსმენდე შენს ხმას,
 სხივივით გაბმულს.
 ჩემში ყოფილა შენი ნაწილიც.
 კვლავ ჟრიალებს და დარდა მიადვილებს, —
 ეთამაშება ასე არწივი
 ამაოებას და სინამდვილეს.



კრიალებს ქუჩა ისე, ვით ბროლი.
 წკრიალებს ირგვლივ სითეთრე ვრცელი,
 გრძნეულ ჩანგივით ჟრიალებს თოვლი,
 თითქოს სათიბში წრიალებს ცელი.
 თითქოს თმებს იშლის ზღაპრული დალი
 იქ, სადაც ბრუნავს ჩანჩქერთა ბოლი,
 ანგელოზების ათასი თვალით,
 ჩუმად აბრუებს სიცხადეს თოვლი.
 ცა, თითქოს ფრთაა ასი ფრინველის
 და მიწის სუნთქვაც თითქოს ფრთებია
 და საოცარი ნათელმხილველიც
 ახლა სიჩუმეს შენივთებია.
 და ხსოვნას ჩემსას, როსმე მითვლემილს,
 კვლავ ესიზმრება მთრთოლვარე შუკა...
 ხოლო ზამთარი ფიფქთა თითებით,
 სახურავებზე მუსიკას უკრავს.



ს ა ბ ბ

ხმა შორით შეძახდა, მიხმობდა,
 მივუხვდი საშობლოს საწადელს,
 მამული კვლავ შველას ითხოვდა,
 ითმენდა ქვეყანა განსაცდელს.
 კარი გამოვადე კანკალით.
 მკლავი მოძალებით მითრთოდა.
 ცაზე მოციალე ვარსკვლავი
 დაბლა მიწის ცოდვით იწვოდა.
 შორს მთები მადევრებს მოგავდნენ.
 ელგები ბნელს ჰკვეთდნენ ხმლებივით.
 ზეგებში ვერხვები ბორგავდნენ
 მოვარდნილ ქარიშხლებს შესლილნი.
 შიშისგან გულს მწუხრი ჩამიდგა.
 ფიქრებმა დამღეწეს, დამტორეს,
 თითქოს და დამჭრესო დანით და
 დანა ჭრილობაში ჩატოვეს.
 თრთოლვით გადვიწერე პირჯვარი,
 მჯიღები ავაპყარ ცამდე.
 გაიღო გალაენის ჭიშკარი.
 თეთრონი მოაგელვა მაცნემ.
 დილა მოუძლოდა ცინცხალი
 ცვარ-ნამით მოვერცხლილ გზაზე.
 მოხუცმა გუმანით ვიცანი
 კურცხლები ჩამომწყდა თვალზე.
 და ფიცხელ მამცნო ვარამი
 იმ იავარქმნილ დღეთა
 სიავე სულ-შემზარავი
 გულს რომ სვაფივით ფლეთდა.
 რაც თავს გადაშხდა აღვწერე,
 სისხლის წვეთებით ვწერდი,
 წუთისოფელმა გამწირა,
 უცხო მხარეში ვკვდები.

პ. ლომიძე

სიწყვე და საქვე ღირსეული გვეულიშვილისა

დამიტრი ბენაშვილი ქართული სალიტერატურო კრიტიკის კოლორიტული ფიგურაა. იგი ჩვენი ლიტერატურათმცოდნეების იმ პლეადას ეკუთვნის, რომლის ღვაწლითაც XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია სამეცნიეროდისციპლინად იქცა და მისი პრაობლემეტიკის ძიება მტკიცე ნადავზე დადგა.

სახელი დამიტრი ბენაშვილისა ოციანი წლების მიწურულს გამოჩნდა ჩვენს პრესაში და აქედან მოკიდებული არ მოშორებია მას. კრიტიკოსმა განვლო ვრძელი გზა დამატული ძიებისა, შეუნელაბელი კვლევისა, მკაცრი გამოცდა-დისკუსიებისა. და დღეს მისი, როგორც ქართული კულტურისა და მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწის, მოაზროვნისა და პედაგოგის, სახელი, საყოველთაოდ ცნობილი და პატივისცემით გავრეშოლია.

დამიტრი ბენაშვილს პირველად 1929 წელს შეხვდი. ჩვენი ვაცნობა უნივერსიტეტში მოხდა. ის გიორგი ნატროშვილთან, ეკატერინე ბაწაშვილთან და არჩილ ნანობაშვილთან ერთად ქიზივიდან ამოვიდა, მე კი ანეტა აფხაზავისთან და ანტონ ზინთობიძესთან ერთად გურიიდან ჩამოვედი. ჩვენი აქ შემოგვიერთდნენ ლეჩხუმიდან ჩამოსული მიხეილ ჩიჭოვანი, კოლხეთით ჩამოსული აკაკი გაწერელია, მიხეილ ჩხენკელი და ვლადიმერ სილაგაძე, ფშავიდან — სარა ბედუკაძე და სონია მერაბიშვილი, ქართლიდან — გიგა ზაფხაშვილი, იმერეთიდან — ელენე ჩაჩკიანი, სიმონ არველიაძე, ლიდა მესხი, გრიგოლ ორახელაშვილი...

ერთად განვიცადეთ პირველი სტუდენტური სიხარული.

ამის შემდეგ ორმოცზე მეტი წელწაღი გავიდა. ბევრი რამ მოხდა ჩვენს ცხოვრებაში. ზოგი ჩვენი ამხანაგი გახდა გამოჩენილი პედაგოგი, ზოგიც — მეცნიერებისა და ლიტერატურის

თელასაჩინო მოღვაწე. მაგრამ უნივერსიტეტის წლები მაინც უველისათვის ერთნაირად სამახსოვროდ და დაუვიწყარად დარჩა.

დღესაც თელაწინ მიღვას გრუზა, ხუჭუჭთმანი ბრვე ვაქცაცა, მიხაყისფერ გიმნასტურასა და ქიზივიდან ამოყოლილ რუხ მანარაში გამოწყობილი, მუდამ ილღაში ამოჩრილი წიგნებით რომ შემოდიოდა ივანე ჭავჭავაძისა და კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძისა და გიორგი ახელეიანის, გრიგოლ წერეთლისა და ვარლამ თოფჩიას ლექსებზე. ჩვენ ერთ მერხზე ვსხდებოდით. მუდამ გვეონდა ერთმანეთთან რაღაც სათქმელი...

ოციან-ოცდაათიანი წლები მღვლეაზე ამბებით იყო აღსავსე. წარმოებდა ვონების ქმნილებათა კრიტიკული შეფასება. აფთაქის სასწრაბით აზომებოდა წარსული, აწურო და მომავალი. ისახებოდა საუკეთესო მომავლის ნათელი პერსპექტივა. იხადებოდა და სიტყვის მოითხოვდა ახალი ადამიანი, რომელიც თავის გულთამხილველს ეძებდა. უდიდესი ამბები ხდებოდა ჩვენი ზალხის ცხოვრებაში. განთავისუფლებული შრომა პირველ სასწაულებს ახდენდა. ამ დროს შეიქმნა ვალაკტიონის „ეპოქა“ და შ. ჭავჭავაძის „არსენა მარაბდელი“. ლეო ქიანელის „გვალი მიგვა“ და კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“; გიორგი ლენინისა და კონსტანტინე გამსახურდიას, იოსებ გრიშაშვილისა და ალექსანდრე აბაშელის, ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის, ირაკლი აბაშიძისა და სიმონ ჩიჭოვანის, ალიო მარცხულავასა და კარლო კალაძის, გრიგოლ აბაშიძისა და პოლიკარპე კაკაბაძის ბრწყინვალე ქმნილებანი. ლიტერატურაში გრიგოლივით შემოიჭრა ახალგაზრდობის შესანიშნავი პლეადა.

ამ სამახსოვრო დღეებში გამოჩნდა დამიტრი ბენაშვილის პირველი ლიტერატურული წერი-

ლები, რომელთაც მიზნვე მიქციეს ზვენი საზოგადოებრობის ყურადღება. კრიტიკოსის ნაკვევები ეხმარებოდნენ ცხოვრებისეულ კონფლიქტებს, ასახედნენ ამ სიახლეს, რასაც ცხოვრება აყენებდა დღის წესრიგში. აქ მწვევედ იგრძობობდა ძველისა და ახლის ურთიერთობა, ზრდისა და განვითარების სიმინელები, თაობათა დამოკიდებულების, ტრადიციისა და ნოვატორობის პრობლემათა ახლებურად დასმისა და გაშქვების საჭიროება. ამიტომ იყო, რომ ყოველი ასეთი საბრობლეგო წერილი თუ გამოსვლა გასართილი ყუშბარის ძალას იძენდა, მწვევე პოლემიკისა და დისკუსიის საგნად იქცეოდა ხოლმე. ცხოვრების ამ დღედილის ცენტრში მის უფროსსა და უმარწემეს კოლეგებთან ერთად ყოველთვის იღვა დიმიტრი ბენაშვილი. კრიტიკოსის ნაკვევებში გამოთქმულმა აზრებმა ერთხელ კიდევ გულწრფელად ჩააფიქრეს ანა მარტო ახალბედა, არამედ მხატვრული სიტყვის ნაცალი ოსტატებიც და ნამდვილად კეთილნათყობიერი გაუღენა იქონიეს ბევრი მწერლის შემოქმედებითი გეგმების მხატვრულ განხილვებზე.

სულ ცოტა ხნის წინათ კონსტანტინე ვახაზურდიამ ერთ-ერთ სტლიმზე დიმიტრი ბენაშვილის პირდაპირ უთხრა: დიად, თქვენ ყოველთვის მამხინვებდით და მათამამბდით, სწორედ თქვენ და თქვენმა ამხანაგებმა გამამბედინეთ „დიდოსტატის მარჯვენის შექმნა“ და „დადით აღმამენებლის“ დამთარგებათ...

ქართული პროზის თანამედროვე გალიათის ეს გულწრფელი აღიარება პირუთენელად სვის დიმიტრი ბენაშვილის ღვაწლს. კრიტიკოსის რუდუნების უკეთესად შეფასება შეუძლებელია.

დ. ბენაშვილმა თავისი ძიების საგნად ჩვენს კლასიკურ და თანამედროვე ლიტერატურის ყველაზე მწვევე პრობლემები აირჩია: ორიგინალური მონოგრაფია მიუძღვნა მან შოთა რუსთაველის უკვდავ პოემას: „სახისა და ხასიათის პრობლემა“ „ეფესბტყოსანში“, რომელშიაც განხილულია რუსთაველის უჭკნობი ქმნილების პოეტის ურთულესი საკითხები და გამოთქმულია ფრიალ საინტერესო შეხედულებანი; ამალი ასპექტით შეისწავლა აღექსანდრე ყაზბეგის შემკედრეობა და მწუობრი თანამიმდევრობით გააშუქა დიდი ბელეტრისტის მხატვრული სამყარო. ვეას გენია თანამედროვეობისა და შთამომავლობის თვალთ სწორედ დიმიტრი ბენაშვილმა გვაჩვენა და ვეას მხატვრული შემკედრეობისადმი მიძღვნილი მონოგრაფიით მკვლევარმა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ზარისხი შიშიოვა.

ვანა აუღლებლად წაიკითხავს ცაცი დ. ბენაშვილის სხვა ნარკვევები? თავისებური ასპექტით იხილავს იგი ვ. ტაბიძისა და მ. ვახაშვილის, ნ. ლორთქიფანიძისა და კ. გამსახურდიას, ლ. ჭიაბელისა და ს. კლდიაშვილის, პ. კაკაბაძის

სა და ალ. აბაშელის, გ. ლეონიძისა და კ. ნადირაძის, დ. შენგელიასა და პ. მარკუსელაძის, გ. აბაშიძისა და პ. იაშვილის შემოქმედებას. ცნობილია მისი წერილები თეატრისა და დრამატურგიის, თანამედროვე ლიტერატურის განვითარების ტენდენციებზე, სოციალისტური რეალიზმის სისხლზორცულ საკითხებზე, მხატვრული ქმნილების კრიტიკული ანალიზის პრინციპებზე. ფაქტებისა და მოვლენების, მათი ურთიერთკავშირის კანონზომიერებათა ღრმა კვლევა, ფაქიზი გეგმავნება და მშობლიური ქართული სიტყვის უსაზღვრო სიყვარული — აი, რას გრძნობს, უწინაარეს ყოვლისა, მკითხველი ამ ნაშრომებში.

კრიტიკოსი საგნებისა და მოვლენების ურთიერთკავშირში ხედავს იმას, რაც იქ ნამდვილად არის, ამიტომ მისი მსკელობანი და განზოგადებანი საერთო ინტერესს იწვევენ, მკითხველის ყურადღებას იპყობენ.

გრძნობა სიახლისა, წინა პლანზე წამოწევა პროგრესულისა, დაცვა და დიდუღაღი პროპაგანდა ჩვენი ეპოქის საუკეთესო იდეალებისა, შექმნა იმისა, რასაც მომავალი ეკუთვნის და დავაობა იმისა, რაც წარმავალი და ავბედითია, წითელ ზოლივით რომ გასდევს დ. ბენაშვილის ნარკვევებს, იყო და ჩნება მისი, როგორც რთული ლიტერატურული პროცესების მკვლევარის, შემოქმედების ძირითად ლეიტმოტივად. კრიტიკოსი მხატვრულ ქმნილებას მაღალ მოთხოვნებს უყენებს. ფილოსოფიური კალკილოსკობით არჩევს მწერლის მსოფლმხედველობას, მისი პალიტრის შინაგან და გარეგან სემიაროს. პრინციპული პოზიციითიან აფსაგებს ლიტერატურულ მოვლენებსა და ფაქტებს. სწორედ ამიტომია, რომ დ. ბენაშვილის წიგნებს ცხოველი ინტერესით ეცნობა მკითხველი. სტუდენტობას ისინი დიდ დახმარებას უწევენ თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ტენდენციების სწორად წარმოდგენისა და შესწავლისა.

წლების განმავლობაში დ. ბენაშვილი ხელმძღვანელობდა ლიტერატურის განყოფილებას ახალგაზრდა კომუნისტის რედაქციაში, რედაქტორობდა „ჩვენ თაობას“, ახალგაზრდა მწერალთა მშვენიერ ეტრნალს, სადაც აღიზარდა ნიჭიერ შემოქმედთა მთელი პლეადა; სამი ათეული წელიწადია ქართული ლიტერატურის თეორიულ კურსებს კითხვობს უმაღლეს სასწავლებლებში; ათზე მეტა წელიწადია თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორია და აქვე სათავეში უღდას ქართული ლიტერატურის კათედრის. ის არის ბევრი ახალგაზრდა პოეტისა და მწერლის პირველი გზის გამკვლევი და უხილავი მესმარბი, ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლემული მთელი თაობების აღმზრდელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მრავალი სამეცნიერო სამუშაოს უცვლელი

წევრი, „მნათობის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ვალი ჩვენი დროის მოწინავე ინტელიგენციისა ერის, კულტურის, მეცნიერების უანგარო სამსახურია, ახალგაზრდა თაობის აღზრდაზე ზრუნვაა. ამისთვისაა შემართებული მამულიშვილთა პირველ რიგებში ყოველთვის იდგა და დგას დიმიტრი ბენაშვილი — მოაზროვნე, პედაგოგი, მოქალაქე.

ჩვენ ცალკე გვინდა აღვნიშნოთ დიმიტრი ბენაშვილის ლიტერატურული ნარკვევების კიდევ ერთი მხარე. ეს არის მათი ენა. დ. ბენაშვილი ფხიზელი გუმჯიფა მშობლიური ქართულისა. მას კარგად ესმის სიტყვის, როგორც მხატვრული ქმნილების უპირველესი ელემენტის, ძალის მნიშვნელობა და მწერლისაგან მოითხოვს მისი გამოსახველობის უტყუარად ჩვენებას. ენა მისი ნაწერებისა სადა და გამჭვირვალეა. აქ სამზუნველი გამოტანილი მხატვრული ენის სამკაულები: ტბილქართული ზეიმობს თავის ცხოველმყოფელობას.

სიტყვის ფხილავ ძალას მხოლოდ მწერლის გენია სწელება და სწორედ მისი ვალია მხატვრული ენის სრულყოფა. მწერალმა სული უნდა

ჩაუდგას ყოველ სიტყვას, ამასთან გააცნობილოს და ელვაზე და შეჰმატოს სადღაც, რომელიღაც კუთხეში მიძინებულ სიტყვას, მისწინდოს სიძველისა და კუთხურობის მტკვარი და დასწავლენოს სალიტერატურო ენის საგანძურს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მხატვრული სახის ოსტატის საქმეა. კრიტიკოსს კი თითქმის მოეთხოვება ამ მხრით მწერლის დავალის შეფასება. მაგრამ დ. ბენაშვილის ნაწერების შავალითზე (და არა მარტო აქ) ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის მოვალეობა არა მარტო მწერლისა საერთოდ, არამედ ყოველი კრიტიკოსისა, მეცნიერისა, მოღვაწისა. დ. ბენაშვილი შორიდან კი არ უცქერის ქართულ სიტყვას, მარტო კი არ აფასებს სიტყვასთან მწერლის ჭიდილს, არამედ თავადაც ებმება ამ ჭიდილში, ეჯიბრება სახისა და სიტყვის ოსტატებს.

დ. ბენაშვილის მონოგრაფიათა ენა არის თანამედროვე ქართული მოველი თავისი სიტურფით. დ. ბენაშვილის სიტყვა და ფრაზა აზრტევადი, ხალასი, ნათელია. მათ თან ახლავს ლერწმის სინარნარე, ლელას გამბედაობა, აეთანდლისი სიღარბისლე.

გვეურობოს მარჯვენა, ჩემო დიმიტრის!



ნაგზვილი პოეზიის კალა

პოეტური შეტყველება, ნამდვილი ამალღებუ-
ლა პოეზია, ადამიანის სულის განუყრელ ნაწი-
ლია იგი ამალღებს ადამიანის შინაგან სამყაროს,
აძლიერებს ცხოვრების სიყვარულს, აკეთილ-
შობილებს მას, ხელს უწყობს გარემოს ეს-
თეტიკურ აღქმას, ანულებს პროზაული ცხოვ-
რებით გამოწვეულ უსიამოვნებას და მოვლო-
დნულ სიტყვების საშფოთო გადაგვასაბ-
ლებს. მაღალი პოეზიის სამყაროში მოქცეუ-
ლა ადამიანი თითქმის იწმინდება ყოველდღი-
ური ცხოვრების აქუჭისაგან კემშარბიტი ხე-
ლოვნება ყოველთვის ყოველდღიურობით
იკვებება, მაგრამ ეს ყოველდღიურობა პო-
ეტმა უნდა დაგვანახოს იდეალურის სახით,
პოეზია და ხელოვნება ყოველთვის ასახავს
მრავალფეროვან, რთულ საზოგადოებრივ მოვ-
ლენებს. მხატვრულ სახეებში ყოველთვის
ელინდება ბრძოლა სიყვითესა და ბოროტე-
ბას შორის, პროგრესულსა და რეაქციულს,
მშვენიერსა და სიმამინესს, სიყვარულსა და
სიძულელს, სინათლესა და სიბნელეს შორის,
მაგრამ პოეზიის სრულყოფილება და მისი ამ-
ალღებულება იმაში უნდა გამოიხატებოდეს,
რომ პოეტმა შესძლოს — სიყვითის, სიყვარუ-
ლის, მშვენიერების და სინათლის ისეთი სა-
ხით გამოხატვა, რომ ბოროტება და უკეთუ-
რება სახიზლარი და საძაგული ვახდეს ადამი-
ანისათვის, მთელი მსოფლიოს პოეზია ამ ორი
ძალის — კეთილისა და დემონურის ტიდილიში
ვითარდება.

ჩვენ შორის ვართ ხელოვნების ისეთი ვაგე-
ბისაგან, როცა პოეზიაში მთავარ ადგილს კემ-
შარბიტი აზრისა და მოწინავე იდეების ნაც-
ვლად, მხოლოდ ემოციურსა და ესთეტიკურ
ფუნქციონს მიაქვთვინებენ. საბჭოთა მოქალაქეს
არ შეუძლია გაიზიაროს მოსახრება იმის შე-
სახება, რომ „პოეტური შეიძლება იყოს მხო-

ლოდ ის, რაც არის ესთეტიკური, თუ ლექსში
სამეცნიერო, მორალური, ან რელიგიური ინ-
ტერესი დაძლეეს საერთოდ ესთეტიკურს,
მაშინ პოეზია ქრება და ჩვენ აღარ ვანიც-
დით ესთეტიკურ სიტყვობებს. პოეტური ნაწა-
რმოებია, რომელიც განუყოფილია ჭკუის სწა-
ვლებსადათვის ყველაზე ნაყლებ შეძლებს
სწავლებას“

მართალია, ეს ღებულება ჩვენთვის მიუღე-
ბელია, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ —
პოეზიას ხელოვნების მთელ სამყაროს —
მარტო კემშარბიტების ძიება ვერ უშველის,
ცხოვრების სინამდვილის ასახვა, თუნდაც ძა-
ლზე მოწინავე იყოს ეს სინამდვილე, ვერ შე-
ქმნის სრულყოფილ მხატვრულ ნაწარმოებს.
თუ აზრისა და შინაარსის გარდა, პოეტური
მაღლი არ აცისკროვნებს, თუ ესთეტიკური
ფუნქციონს არ იქნება ნაწარმოებში სრულყო-
ფილად წარმოდგენილი, არ შეიძლება დიდ
შემოქმედებათან გვექნეს საქმე. რამდენი
ნაწარმოებია ვიცით ისეთი, სადაც იდეურობის
თვალსაზრისით ყველაფერია რიგზეა, მაგრამ
აქლია მწერლის გარდასახვის ნიჭი და ამ-
დენად ასეთი ქმნილება პოეტურ შედეგად
ვერ ჩაითვლება. კემშარბიტი პოეტმა უნდა
შესძლოს ემპირიული სინამდვილე ამალღებულ
მხატვრულ სინამდვილედ აქციოს. ხელოვნე-
ბის სინამდვილე იმით განსხვავდება ემპირიუ-
ლისაგან, რომ ის თავისებურად გადაამუშავდება
პოეტის შემოქმედებით ლაბორატორიაში და
მოვლენები დალაგდებიან მწერლის განწყო-
ბილების მიხედვით, ზოგ მთავანს ტიპიურობი-
სა და განზოგადოების სახე მიიკება. პოეტუ-
რი საღებავებით და მხატვრული ხერხებით,
ლიტერატურული სტალითა და გამოსახვის
სხვადასხვა საშუალებით, ცხოვრებისეული სი-

ამდგომელ მხატვრულ ფენომენად, ამდღებულ სინამდვილედ იქცევა.

აზიან ისეთი მარქსისტი თეორეტიკოსები, რომლებიც ამდღებულ სამყაროს ხელოვნების სხვადასხვა დარგებში თავით თავის თავისებურებით სწინან. მათი აზრით, თვით საერთაშორისო განრიდოვლობა, გმირთა ტრაგიკულობა, დიდი განცდებისა და ხასიათების შეჯახება ნაწარმოებში თავისთავად უზრუნველყოფს ამდღებულ განცდების გამოხატვას. ეს დებულება, შეიძლება არ იყოს სიდავო, მაგრამ ლიტერატურის ისტორიაში ისეთი მავალითერები ვიცით, როდესაც ნაწარმოების გმირები, „ოტელიოსა“ და „ფაუსტისა“, „მეფე ლირისა“ და „ჰამლეტის“ მსგავსად, ტრანსნორმალური განცდებით, აფორიაქებული გრძობებით, შურისძიების მისწრაფებებით არ ებრძვიან ერთმანეთს, უფრო უშფოთველნი და უწყინარნი არიან, განსაკუთრებით მამინ, როდესაც ეს ებებარომულივე ნაწარმოების ლირიკულ გმირს, მაგრამ პოეტური აღმავლობის, გამამაგრებელი სულიერი ტკივილებისა და სიხარულის აღქმის იშვიათ მავალით წარმოადგენენ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ნაწარმოებში არც დრამატული კვანძები და შეჯახებებია, არც კაცთა კვლა და ლაშქართა შერყინება და მიონც დიდად ამდღებული პოეტური სამყაროა მოცემული. როგორც ჩანს, საკმარისია, პოეტმა შემოქმედმა კემმარტიების აღქმის და წვდომის ახლო გამოამყვანოს, საგნის დანახვისა და მხატვრული ასახვის უნარი გამოაჩინოს და ამდღებული და გრანდიოზული მხატვრული ფენომენი, მამაფრი სიუჟეტური შეჯახების გარეშე, თავისთავად ვახდენება. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ ირაკლი აბაშიძის ლექსთა ციკლი „პალესტინა, პალესტინა“.

ამ ლექსების შესახებ ბევრი დაიწერა, ბევრი აზრი გამოითქვა პოეტის სასარგებლოდ, მაგრამ ეს პოეტური ციკლი ისეთი მოგონება ქართულ ლიტერატურაში, რომ მასზე კვლავაც ბევრი დაიწერება. მაგრამ მსჯელობის დროს ერთდგარი სიფთხილითა საჭირო, რადგან საქმე გვაქვს ხელოვნების ისეთ ტრადიციან, ისეთ მხატვრულ კმნილებასთან, რომლის ყოველი დეტალი ისეთი სიფთხილითაა შესრულებული, ისეთი ნარინარია ყოველი მისი დეტალითა ან ისეთი მრავალფეროვანია მისი მთლიანობა რომ პატარა უბეში შეხებით, ერთი ხელმეტი ან თავდგოლი სიტყვით შეიძლება დაფიქროვროთ და შევლახოთ მის ფერთა მრავალსახეობა, ხმათა სიხვე და აზრთა სიღაღე.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ამ ლექსებში გამოვლინდა პოეტის მთელი შესაძლებლობა, პოეზიის ძალა და მნიშვნელობა. ეს ლექსები საუკეთესო მავალითია იმისა, თუ როგორ შეუძლია კემმარტი პოეზიას აღმანიის სულიერი სამყაროს გარდაქმნა და გადახალისება. ასეთი პოეზია არა მარტო აკე-

თილშობილებს აღმანიებს არამედ ამდღებს სულიერად და რაზმავს მათ სამშობლოსათვის საბრძოლველად.

კონსტანტინე

უდავო კემმარტიბაა ისიც, რომ სანამდღებულად დიდი სარდლების ზღვის ვეკაცურ კნევასთან ერთად, კემმარტიმა პოეზიამ გადააჩინა. ეხტანგ ვაორგასალის, დავით აღმაშენებლის, ვაორგა სააკაძის და ერეკლე მეორის გმირობაზე ნაკლები როლი არ უთამაშნია სამშობლოს დაცვის საქმეში შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის და ვეკაფშვილას პოეზიას. ქართველი კაცო მტერთან წერკინების დროს აღფრთოვანებული წერკიმოსთქვამდა რუსთაველის სიტყვებს: „სჯობს სიციცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანიაო“. ხმალსა და ზარბაზანთან ერთად ქუზდა პოეტური სიტყვა და ასე იწერებოდა ჩვენი ერის სისხლიანი, მაგრამ დიდად სახელოვანი ისტორია.

ენ არ შეხებია რუსთაველის პრობლემის ქართულ ლიტერატურაში, მეცხრამეტე და შეოცე საუუუნებში და მასზე ადრე. ეს არ უშდრია რუსთაველის უკვდავი სულის შესახებ, ეს არ შეუქნია მისი მდლიანი მარჯვენა, მაგრამ ასე სრულყოფილი სახით, ასე ცამდე ამდღებული პოეტური მეტყველებით, ი. აბაშიძის მსგავსად, არავის გამოუსახავს. პოეტის დიდი გამარჯვება იმაშივე გამოიხატება, რომ ირ. აბაშიძეს მკითხველი მთელი არსებით გადაეცა წარსულ საუუუნეში და მის წინაშე აცოცხლებს ამ კნონოს აღმანიის არა მარტო პიროვნულ სახეს, პიროვნულ ტკივილებს, არამედ მთელი ეპოქის სუნთქვას, ამ ღმერთკაცთან რომ აყო დაკავშირებულთ. როდესაც ამ ლექსებს კითხულობთ, თქვენს წინ თითქოს დგას რუსთაველი თავისი სულიერი და ზორციელი ტკივილებით. მისი სუნთქვა გესმით, მისი ოზგრა და გოღება გულს გტკენთ. თითქოს ვინდათ ხელი მოხვიოთ მის წმინდა ანრდოს და საწუვეშო სიტყვა უთხრათ, სხვა ქვეყნის ბინადარი რუსთაველა და ვარძამია დააბრუნოთ, ახლა მიიწე დაუამოთ დროთა მსვლელობით მიყენებული ტკივილები. ამაშია პოეტის გამარჯვება, ამაშია მისი პოეზიის საიდუმლოება. პოეტის ნიჭმა და აღლობ მონახა ის მთავარი ძარღვი, რომელიც საუუუნების განმავლობაში ხალხსა და რუსთაველს აკავშირებდა. ამიტომ შეიყვარა ეს ლექსები ხალხსა, შეიყვარა კი არა, თავის გულის ნაწილად აქცია, საგალობელ მიმნად გაიხადა.

როგორც ჩანს, პოეტს რუსთაველის ბედი დიდბინის მინძილზე აწუხებდა. დღედაღამ ფიქრობდა და ოცნებობდა მასზე, ეჭებდა სახელოვან წინაპართა ნაკვალევს, ეჭებდა შინ და ვარეთ, აზიისა თუ აფრკიში...

სად, სად არ გძებნე,—მესხეთს თუ სამცხეს;
შე გული ჩემი შენს მონად ვრაცხე;

შე შენს თეთრ ანრდის კვალდაკვალ
ვდევდი.

შესმოდა შენი ფეხის ხმა შვეიდი,

ეძებდა —

ინდოა და განგოა, ფენჯაბს და ლაბორს,
შორს, სულ შორს, მაგრამ ახლოს სულ ახლოს,
შენი ხმა მოწყდა ჩემს მგონს რე გემანს,
მეც სმენა ჩემი დავაბე უმალ და მგონის
გზებით

და მღვდის გზებით,
გვეცე და ვთელი მადრიბის გზები...

თითქოს აქ დაცხრა პოეტის მღვდლარება.
დასრულდა ძიების გზები. პოეტმა ნახა, ნახა
ის, ვინც მას მოსვენებას არ აძლევდა. ნახა
და მოვალეობაც მოიხადა სამშობლოს წინაშე.

შენ აქ ხარ, აქ ხარ..

დასრულდა კვლი, მშობელი მიწის ეს
მეღო ვალი.

აქ შენი შვეიდი ნაბიჯი შეწყდა.

აქ შეწყდა ცრემლი, ხმელეთს რომ რეცხდა.
ვდგევარ შენს სახლთან, შენს ჩამქრალ
ცეცხლთან...

თითქოს ამით დასრულდა ყოველივე. მაგ-
რამ არა, პირიქით, ახლა იწყება ახალი პოე-
ტური სამყარო, უფრო რთული და უფრო ამ-
აღლებული. ახლა პირისპირ უნდა შეხედეს
პოეტი რუსთაველის ანრდის. უნდა შეესიტ-
ყვოს რვაასი წლის წინათ სამშობლოდან გაძე-
ვებულ, მაგრამ სამშობლოს სიყვარულისა-
თვის დაყოფილ გულს. აქ ისახებოდა ღიბი
სიძნელე პოეტის წინაშე, ახა ვინ შეძლებდა
ამ ზღვა განცდების კონკრეტულ სახედ ქცე-
ვას, ვინ შეძლებდა, რვაასი წლის წინათ, საქა-
რთველოდან განდევნილ რუსთაველის დაგუ-
ნებელი ბოღმისა და წაღველის პოეტურ
სტრუქტურებში მოქცევას, სად მიწველებდა ფი-
ქრთა და განცდათა ამ უზარმაზარ სამყაროს
იდეალის ხელი. ვის შეეძლო ამ მოხეტოილ
გრძნობათა ნიაღვრის შეჩერება. ირ. ახაშიძემ
აქ გვიჩვენა პოეტური ხელოვნების მაღალი
სამყარო, ამაღლებული ხელოვნების იშვიათი
მაგალითი. იგი არ დაიბნა ამ რთულ გრძნო-
ბათა ლაბირინთში, ოსტატურად შეძლო მო-
ხდევებული გრძნობებისათვის სათანადო კლა-
პოტი მოეზახა და ბუნებრივი დინებით მიეშვა
ის ადამიანის გულუბისაყენ.

რა ვულისტოვილს და მწუხარებებს არ გად-
აუშლის რუსთაველი თანამედროვე მყოფელს.
რა დიდ ტრაგედიას განიცდის მშობლიური მი-
წის დატოვების გამო. რა ღრმა ტრევილები გა-
ჩენია მას ვარძიის, ხერთვისის, სამცხის,
თმოგვის მოგონებებით.

ვინ იცის, როგორ ელის მას ვარძია, წა-
ცხის ქედები, თმოგვის კედლები, ხერთვისი
და მტკვარზე მერცხლები, სამშობლოდან გაძე-
ვებული შგონანი, მხოლოდ სამშობლოზე ოქ-
ნებობს, სამშობლოსათვის ფიქრობს, რადგან
სამშობლო იყო მისი სალოცავი ხატი.

მაგრამ უადრეს, უწინარეს,
უმალ ყოვლისა,
მე სამშობლოსთვის,
სამშობლოსთვის ვიყავ მლოცველი.

ბევრჯერ გვინახავს მხატვრულ ლიტერატუ-
რაში, ცოდვილი შვილის ვედრება სამშობლოს
წინაშე, ღმერთის წინაშე. ბევრჯერ მოგვისმე-
ნია შეცოდებული სულის დადადისა ცოდვე-
ბის მოსანანებულად, მაგრამ ასე ძლიერად,
ასეთი განცდებით იშვიათად თუ ვისმეს გამო-
უხატავს ეს გრძნობა.

შემინდე შენს შვილს,
თუ ცოდვილი ვარ შენს წინაშე,
მაგრამ ვარ ცოცხალ იმავ სუნთქვით, იმავ
ნაღველით.

კვლავ მიწა ჩემი შეგავედრო
კრემლით მდაგვით, ამაღ აღვიძარ,
ამაღ მოველ პალესტინაში...
და თუ რამ შევედი, რამ შეგოღებ, რამ
შემოგებელი.

გულთამხილაო, ეს შენ უწყი უმალ ყოველი;
მაღალ მსაქულად, მაღალ მოწყმედ მუავს
შემოქმედი,
შენგან შენდობას, სულგარძელობას შენგან
მოველი.

აქ პოეტმა შთაგონების ახალი სამყარო
შექმნა. მინდისებური სმენადი გახდა. თით-
ქოს პოეტს ესმის მრავალი საუკუნის წინ პა-
ლესტინაში. მყოფი რუსთაველის მწუხარების
ხმები, მისი ცრემლიანი სიტყვები. პოეტმა არა
მარტო რუსთაველის განცდები გააცოცხლა, ას-
ევე გააცოცხლა მისი მეტყველება, ამიტომაც
მის ლექსებს თავისებური დანათარგნობაც რომ
აქვს. პოეზია სერათოდ ხმის ფილოსოფიაც, მაგ-
რამ აქ პოეტმა ირავლი ახაშიძემ თავისი პოეტუ-
რი ხმა რუსთაველის ხმებს დაუკავშირა. იგი რუ-
სთაველის ხმათა ვარემოცვაში აღმოჩნდა. „ხმა
ქვრის მონასტრის გაღავანთან“, „ხმა ზეთის-
ხილის ბაღეში“, „ხმა ქვრის მონასტრისში“,
„ხმა სამრტელოსთან“, „ხმა თურან სენაკში“,
„ხმა კატაშონთან“, „ხმა ქვრის მონასტრის ბი-
ნდში“. აქ პოეტმა სმენა ვამახვილა და ყუ-
რადღება ხმოვანებით აღქმში გადაიტანა.
ხმების მრავალფეროვანი სამყარო ვამახვილა
ჩვენს წინაშე, და მთელი პოეტური სიმშენია
შექმნა, მაგრამ ამის პოეტრი აღწევს არა მარტო
ლექსის კეთილშეგანებით და მაღალი პოე-
ტურობით, არამედ რუსთაველის მეტყველების
სმენითა დიდი აღქმით. თითქოს პოეტს შო-

რიდან ესმის რუსთაველის ცრემლიანი სიტყვები და რამდენად უხელოდება პალესტინას და მის ჯვარის მონასტერს, ეს ხმები უფრო მომხატვრებულად გაისმის ამ უცნაურ სამყაროში. და ბოლოს ჯვრის მონასტრის კედლებში უდიდეს აღმავლობას აღწევს რუსთაველის სიტყვების ექო. ამბობენ მეცნიერები, რომ ტექნიკის საშუალებით შესაძლებელია საუკუნეების წინათ გარდაცვლილი აღმართა ხმების აღდგენაო, მაშასადამე, ერთ მწვენიერ დღეს კაცობრიობას შესაძლებლობა ექნება დატბუქოს რუსთაველის, დანტეს კომპოზიციის, შექსპირის და გოეთეს სიტყვების მისმენით. რამდენ სიხარულს განიცდიდა ბედნიერი მკითხველა მათთვის სათაყვანებელი აღმართების ცოცხლო სიტყვის მისმენით? ამბობენ, მაგრამ ენა იცის, ამას მეცნიერება როდის შესძლებენ... შეიძლება ეს მისწრაფება დიდხანს ოცნებად დარჩეს, მაგრამ ირ. აბაშიძემ მართლაც გააცოცხლა ჩვენს წინაშე რუსთაველის შეტყვევლება, მისი ხმის სპეციფიკა, მისი ცრემლიანი სტრიქონები, მისი ჭირისა და ლხინის გამოხატველი სიტყვები.

ჩვენ პოეტთან ერთად გვესმის რუსთაველის სიტყვები, სიტყვები, რომლებშიც გამოხატულია გულისწყობა სამშობლოსა და სატრფოს დაპრავის გეგმა. გვესმის მისი უიმედო ჩურჩული სიციცხლისა და სიკვდილის ვასაყარზე. როგორ ხვდება მარტო, დიდებას განძარცული, წუთისოფლიდან ფეჭქვეშ გათვლილი აღმართი ეამს აღსასრულისას. საოცარია, რა დიდ ფსიქოლოგიურ გამარჯვებას მიადრია პოეტმა ამ უხილავი, მაგრამ ხმებით აღქმული სამყაროს ჩვენებით. თითქმის თქვენ წინ იდგეს რუსთაველი და მართლა გველაპარაკებოდეს:

ახლა რაღა ვარ! ხე დამზრალი ვაბმულ ქარებით,
 ვარ კლდე დამშლილი, მე დაცლილი ვარ
 საწყაულო,
 რითა სცემს მანა, რა განგებით, რა მანქანებით.
 რით სუნთქავს სული, რა ბუნებით, რა სასწყაულო...

მღვკეარ უხელოდ, მე უხელოდ ვმღვკეარ
 საფლავთან...

ჯვრის მონასტრის კედლებში განწყვეტულ იშის რუსთაველის ხმების სიმოციანო. ისმას ვარძიოდან და ზვრთებისოდან გამოყოფილი სვედის გამოძახილები...

ამ პოეტური შედეგებებს ციკლის ლექსების ლირიკული გმირი ზოგჯერ, თვით პოეტია. თვით პოეტის განაცხება წარმოადგენილი. ირ. აბაშიძე კარგად ახერხებს რუსთაველის სულერი ტყავილები დაუგვიშროს საკუთარ განცდებს. სამშობლოდან გადახვეწილ პოეტს

ბევრი რამ აწუხებს: უცხო ცის ქვეშ ყარბად ყოფნა, ახლობელი დატოვება, სატრფოსთან გაყრა, განძარცვა ყოველგვარ განძინავენს უჭერლავური ამო აღმოჩნდა მისთვის. „მეჭამს და არა ის ენა, რომლითაც ამ გენისმა პოეტმა საკაცობრიო იდეები ილაღდა ენა; რომელმაც გაუძლო ეამთა სიაცეს, დროთა ბუნებას, შტერათა შერკინებას, გაუძლო ყველას და ყველაფერს, ეს ერთი შერჩა პოეტის სამარის ვარამდე, დათმო უველავური, მაგრამ ენა ვერ დათმო. „შენ ერთს, შენ ვერ გამოშო სამარის ვარად“.— არც შეიძლება ცოცხალმა აღმართმა მშობლიური ენა დათმოს. რადგან ის „ყენის ძინი და სამარის ცრემლია“, ენა რეალავით მტოვდა და შეუვალა, რომ შესაძლოა ყველა პარამიდები დაიმსხვრეს, ყველა სასახლეები დაიანგრეს, ყველა ძეგლები გადათვილი იქნას, მხოლოდ ენა დარჩეს შეტყვევულ სიმავრედ, რომლის წინაშე უძლურია ყოველი ძალა.

დაეცეს, იქნებ სიმავრე ყველა,
 მოსრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
 დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
 დაეკლდეს აზრი ნაპოვნის პოვნას,
 ყოველ ნერგს, იქნებ, დაატდეს მებო,
 ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედვას ფეხი,
 მხოლოდ შენ უქცობს, შენ ხატად მკითხულს
 რა დრო, რა დასცემს შენს უკვდავ სხეულს

ბევრ ქართველ პოეტს უმდებრია დიდებული პიში მშობლიური ენისადმი, ბევრი ხოტბა და ოდა დაწერილა ამ მადლიან თემანზე, მაგრამ „მა კატამონთან“ ყველაზე უბრწყინვალესი ნაწარმოებია. ეს ლექსი კი არა, დღევანდელი სავალთებელია, ლაღადისად რომ აღუვლენია პოეტს ჯვარის მონასტერში. აქ ლაპარაკია მშობლიურ ენის უკვდავებაზე, მის წარუტევლობაზე მის სასიციცხლო მნიშვნელობაზე, და როდესაც ირ. აბაშიძის ამ უკვდავ სტრიქონებს ეკითხვლობთ, არ შეიძლება არ გაგვიასუნდეს დიდი ქართველი პოეტის ვრ. ორბელიანის შეგონებანი მშობლიური ენას უკვდავებისა და მის ყოველ შემძლეობის შესახებ.

„ენამ გამოყვანა კაცი ვეღურს მდგომარეობისაგან, სიტყვამ დაუშვიდა მხეცური გული, ჰყო იგი ლომბიერი, მოკცა შებრალემა და აღიყვანა სახეიერებისა სიმაღლედ, სადაცა სუფევს მეფობა სიყვარულისა და მოწყალეობისა. აწცა სიტყვისავე ძალითა ირყევა ქვეყანა... სიტყვა, გამოძიქმული ტემპარატებისა, არის უკვდავი და მოქმედ მარად ეამს... დაიჩლუნენ ეკვიპტის პარამიდები, ბაბილონი შთანთქმა მიწამ, მაგრამ სიტყვა ყრუთაყ არის ცოცხალი და მფლობელობს ქვეყანაზე, ვითარცა სჭულ. სიტყვამ დააყენა კაცი მთაულსა დიდების ბარისზე, სიღამაც აწ ხელმწიფურად ბრძანებს და ბრძანებასა მისსა მორჩილებით ისწენენ პაიერი, ცეცხლი ოკიანე, სიტყ-

ყვა არის ძალა მღვთაებრივი, რომლისა შემწობითა კაცი შეიქმნა მეფედ ქვეყნისა" (გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 3 (9)).

ეს ამონაწერი იმისათვის კი არ მოვიტანეთ, რომ აქ გავლენაზე ვილაპარაკოთ: „ხმა კატამონთან“ ეს ისეთი ლექსია, რომლის დაწერა გავლენით არ შეიძლება. მაგრამ ერთი კი ცხადია. ორი დიდი ქართველი პოეტი აზრობრივად დაუახლოვდა ერთმანეთს, რომ შშობლიური ენის დიდება ქართული მწერლობისათვის არასოდეს ყოფილა უცხო. მაგრამ ის, რაც ირ. აბაშიძემ შექმნა ამ თემაზე, უმაღლესი მწვერვალია ქართული მწერლობისათვის.

მართლაც, კითხვობთ ირ. აბაშიძის ამ ლექსებს და პოეტური აზროვნების ახალ სამყაროში შედიხართ, აქ ყველაზე მეტად იგ-

რონობა მხატვრული აზროვნების ძალა, თითქოს ყოველი სტრიქონი, ყოველი სიტყვაც კი უაღრესად ფილოსოფიური სიღრმითა და ენობრივი სრულყოფით მეტყველებს. აზროვნების უსაზღვრო ზღვა იშლება თქვენს წინაშე. მთელი მლაერებით წარმოგვიდგება ადამიანის ინტელექტის გოლიათური ხმა და სულიერი სამყაროს სიღაღღე.

ამ ლექსებით სრულიად ახალი ქვეყანა იშლება თქვენს წინაშე. გიხარიათ, რომ მრავალტანჯული რუსთაველი პოეტმა მთელი არსებით გააცოცხლა... გიხარიათ ისიც, რომ ქვეყნად სიკეთე არ იყარგება, წამებასა და ტანჯვას თავისი დასასრული ჰქონია. და ისიც ყოფილა შესაძლებელი, რომ თვით პოეზიის ღმერთი, პოეზიის ენითვე იქნეს გაცოცხლებული და მკედრებით აღდგენილი.



რეკავი ინანიშვილი

ომისშემდგომი წლების ქართული ლიტერატურის მიმდინარე პროცესებში დიდ როლი შეასრულეს ახალგაზრდა ნიჭიერმა მწერლებმა, რომელთა შორის გამოირჩევა რეკავი ინანიშვილი. მისი „მიტველი მოთხრობები“ გამოქვეყნდა 1953 წელს.

ახალგაზრდა მწერალმა იმ თავითვე გამოამჟღავნა წერის მაღალი კულტურა. გემოვნება და მხატვრის უტყუარი ალღო.

რეკავი ინანიშვილის თემატიკა თანამედროვე ცხოვრების ანარეკლია. ისტორიული წარსული მის ნოველებსა და მოთხრობებში მხოლოდ და მხოლოდ იშვიათად თუ გაივლივებს მხატვრულ წიაღსვლებში.

მწერალი თანამედროვეობის თემაში ავლენს თავის იდეურ-მხატვრულ მრწამსს, შეხედულებებს; ამასთან თანამედროვე იდეურ-ესთეტიკური სამყარო ცნაურდება ახალგაზრდული შემართებითა და შეიხვევს უჩვეულო ძალით იმორჩილებს ახალგაზრდა ლირიკული გმირის მიერ განცდილი გარემო, ამ წუთისაფლის სიამენი და სიავს.

ამისათვის, რომ წარმოედგინათ რ. ინანიშვილის თვითმყოფი იდეურ-მხატვრული სამყარო, უნდა გავითვალისწინოთ ავტორის ბუნაწერის თავისებურება, მისი შემოქმედების სტილური ნიშნები.

რ. ინანიშვილმა თავის შემოქმედებით ბუნება გამოამჟღავნა მცირე ფორმის ეპიკაში. ესაა მოთხრობა, ნოველა, ეტიუდი და ესეიზი, რომლებსაც ქართულ პროზაში მდიდარი ტრადიცია აქვს. ახალგაზრდა მწერალმა როდი უარყო ეს ტრადიციები, პირიქით, შეითვისა ქართიელი პროზაიკოსების ოსტატობა და საკუთარი მხატვრული ხედვით სიახლე შეიტანა თანამედროვე ქართული პროზის განვითარებაში.

რ. ინანიშვილის შემოქმედებაში ტრადიცი-

ული და ნოვატორული ფორმები იმდენად ორგანულადაა შეზავებული, რომ მთელი მისი შემოქმედება ერთიანია, მთლიანი და წარმოადგენს ნიმუშს ძველისა და ახალი ფორმების კანონზომიერი შერწყმისა და განვითარებისა.

ჩემს წიგნში „ოთი ეტიუდი...“ კაბადოკიელთა ენის საკითხზე მსჯელობას ორჯერ დავუთმე ადგილი: გვ. 62-66, 75-83, სადაც პირველწყაროთა ცნობებისა და ჩვენს დროის სპეციალისტ-მკვლევართა მონაცემების საფუძველზე დავადგინე, რომ „...კაბადოკიელები“ აღნიშნავენ ცალკეულ ეთნიურ ელემენტს, რომელსაც აქვს საკუთარი ენა... კაბადოკიელები ენობრივად გამოიყვანი არიან ბერძნებისა და სხვა ბრძანებ (გვ. 62); რომ კაბადოკიელები მეტყველებდნენ საკუთარ ენაზე, რომელიც იქ დიდ ხანს შემორჩა, საუკუნეების მანძილზე.

ამასთანავე, მივიჩნევდა რა უკმაყოფილოდ, რომ კაბადოკიელი მოღვაწეები თავიანთ თანამემამულეებთან მშობლიურ ენაზე საუბრობდნენ, ვეარსებოდნენ, რომ, შესაძლებელია, კაბადოკიელი მოღვაწეები ზოგ თავიანთ ნაწარმოებებს მშობლიურ ენაზეც კმნიდნენ. აღენიშნავდი, რომ ამ მოღვაწეთა ნაწარმოებები, რომლებმაც ჩვენამდე მხოლოდ ბერძნულად მოაღწია, იმთავითვე ყველა ბერძნულად არ უნდა ყოფილიყო დაწერილი. რადგან ის სიტყვა-ქადაგებანი, რომლებიც მათ სახელებთან არიან დაკავშირებული, პირველ ყოვლისა, კაბადოკიის მოსახლეობისადმი მიმართული და ზოგიერთი ნაშრომიც (როგორც მაგ., თავიანთი მახლობლების ცხოვრების აღწერა) მხოლოდ ადგილობრივ ენაობაზეა აღმორცხებული, კაბადოკიის მოსახლეობა კი ბერძნულ საშუაროს არ ეუფერებოდა ეთნიურად და, როგორც ცნობილია, კაბადოკიაში ბერძნული ენა მხოლოდ ქალაქთა მოსახლეობის მცირე ნაწილში იყო გავრცელებული. ამის საილუსტრაციოდ გრცელ სქოლიოში მოტანილი იყო შემდეგი მასალი: „...თვით ბერძნული მოსახლეობაც მცირე აზრის მხოლოდ შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში მო-

იპოვებოდა... 3. ემიგრირი, ლაბარაკოსს რა ბიზანტიურ და სელჯუქების ხანაში მცირე აზრის მცირე განცილებლ აობრებანზე, — ამ ქვეყნის შავი და მხარეებზე, ამბობს, რომ აქ დიდხანს შემორჩა ძველი ადგილობრივი მოსახლეობა და ამ მხარის ეთნიკური ფიზიონომიის შეცვლა ვერ შესძლო ბერძნულმა საშუარომ ათასწლის მანძილზე. ეს მოახერხა მხოლოდ თურქულმა ელემენტმა“ (იხ. R. Oberhammer und H. Zimmerer, Durch Syrien und Kleinasien, გვ. 290-291-292).

ე. ხინთიბიძე გვერდს უდღის საკითხის არსებით მხარეს, არამც თუ არ განიხილავს მასალას კრიტიკულად, არამედ სრულებით არ ახსენებს არც ერთ მომენტს, თავის მხრივ დასძინს, რომ მას ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ „კაბადოკიელები ერთმანეთთან კონტაქტს მშობლიურ ენაზე ამყარებდნენ“ (გვ. 89) და გადაჭრით აცხადებს, რომ ვარაუდი იმის შესახებ, რომ კაბადოკიელი მოღვაწენი, სახელდობრ, ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი და გრიგოლ ნოსელი თავიანთ ლიტერატურულ მემკვიდრეობას მშობლიურ (კაბადოკიურ) ენაზე კმნიდნენ... ყოველგვარ შეცნობურ არგუმენტაციის მოკლებულია“ (გვ. 89-90).

რატომ? თურმე იმიტომ, რომ მისი თქმით: „შეცნობრებაში არ არის გარკვეული, რა ენაზე მეტაველებდნენ ეს მოღვაწეები, შეიძლება თუ არა IV საუკუნეში ვივარანდლოთ კაბადოკიური ენის არსებობა, თუ უნდა ვივარანდლოთ, რომ კაბადოკიელები მეტყველებდნენ ბერძნულს კაბადოკიურ დიალექტზე“ (გვ. 90).

აქ ვერ იმას მივაქცევთ ყურადღებას, რომ ე. ხინთიბიძემ თავისივე ნათქვამით — „კაბადოკიელები ერთმანეთთან კონტაქტს მშობლიურ ენაზე ამყარებდნენ“ — უკვე აღიარა კაბადოკიური ენის არსებობა, და ეს შედეგია იმ გავლენა-შეაბუქილებისა, რომელიც მან მიიღო ჩემს წიგნში მოტანილი უხვი მასალიდან. მგერამ წინა სტრიქონში ნათქვამი უკვე დაავიწყდა და მომდევნო სტრიქონში, თავისივე ნათქვამის წინააღმდეგ, ეჭვის ქვეშ დააყენა კაბადოკიური ენის არსებობა.

თუ კი კაბადოკიელები მშობლიურ ენაზე მეტყველებდნენ, მაშ რომელი უნდა ყოფილიყო მათთვის მშობლიური ენა, თუ არა ეს კაბადოკიური? რა უნდა იქნებოდა ბერძნული კაბადოკიური დიალექტი, და თუ მანვე ეს ბერძნული დიალექტი იყო კაბადოკიელთა სამეტყველო ენა, მაშინ როგორღა შეიძლება გვეოდოს მას კაბადოკიელთა მშობლიური ენა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც როგორც პირველწყაროები, ისე მრავალრიცხოვან მკვლევართა მონაცემები საყესებით კატეგორიულად ადასტურებენ, რომ ბერძნული ენა მთელი ისტორიის მანძილზე კაბადოკიაში სრულიად მინიმალურად იყო გავრცელებული და ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარ, მშობლიურ

ენაზე მეტყველებდა, როგორც ილუსტრირებულ-
ლი ჩემს წიგნში მოტანილი მასალით, რაზე-
დაც, მეცნიერისათვის შეუფერებლად, ე. ხინ-
თიბიძე ხდებოდა.

და ან როგორ შეიძლება ისე დაბნევა, რომ,
ერთი მხრივ, ვამტკიცებდეთ, რომ კაპადოკიე-
ლები არიან მესხები — ქართველები — უა-
ზისოდ ზომ კაპადოკიელ მოღვაწე-
ებს ქართველებად ვერ მოვიჩინებ-
დით; რომ კაპადოკიელები (მესხები — ქარ-
თველები) ურთიერთშორის კონტაქტს შშობ-
ლიერ ენაზე ანბორციელებდნენ და ამავე დროს
საეჭვოდ მიგვაჩნდეს მათი შშობლიური ენის
არსებობა, კაპადოკიაში მთელი ისტორიის მან-
ძილე მცხოვრებ ქართველი ტომებისათვის,
რომელთა შეიღებვი კაპადოკიელ მოღვაწე-
ბი არიან შშობლიურ ენად რაღაც სუროვატს,
ბერძნულს, კაპადოკიურ დიალექტს ვგარაუ-
დობთ... და ამას ვაკეთებთ არსებული, ფრი-
ად პოზიტიური მასალის სრულიად გაუგებარ-
თლებელი უგულვებელყოფით, რის წინააღმდე-
გაც არაფრის დაბიარებისა არ შეგვიძლია,
გარდა უნიადგო ეჭვებისა და დუმილით გვიჩ-
დის აულისა.

კაპადოკიელთა შშობლიური ენის აღებულ
ბერძნულში მოსაპობის იერარქიისათვის არავითარ-
სი საუფუძვლი არ არსებობს.

ვიღებ პონტო-კაპადოკია, მცირე აზიის სხვა
რაიონებთან ერთად, რომის პროვინციას შე-
ადგენდა, იქ ლათინური ენა არ გავრცელებუ-
ლია, ცოტად თუ ბევრად შესაძრწევი მასტა-
ბით. მაშასადამე, ადგილობრივი მოსახლეობა
ინარჩუნებდა შშობლიურ ენას. თვით ბიზანტი-
აში ბერძნული ენა ადვილმდრად მხოლოდ
VI საუკუნიდან შედის ძალაში, იქამდე ქერ
ისევ ლათინური იმბარებოდა.

აღნიშნულ რაიონებში ბერძნულის შემოსვლა
დაეყრდნობოდა ქრისტიანობასთან, იგი ქრის-
ტიანობის გავრცელების პარალელურად და
მასთან ერთად შეიძლებოდა დანერგილიყო.
ბერძნული ენის აქ გავრცელების ერთადერთი
გზა რომაულ ემოქაში მხოლოდ ეს იყო: საბერ-
ძნეთს არ გაჩნდა მოსახლეობა იმ რაოდენო-
ბით, რომ მნიშვნელოვანი კონტინენტის აქ
ვლდმოსახლებით, მათ აქ თავისი ენის გავრცე-
ლება შესძლებოდათ და ადგილობრივი მოსახ-
ლეობის ენა განედენათ. ქრისტიანობის ასე
თუ ისე შესაძრწევიად გავრცელება მცირე აზი-
ის რაიონებში, ბიტიმალურ შემთხვევაში, მხო-
ლოდ მესხებ საუკუნეში შეიძლება იერარქულ-
ბოდეს. ხოლო მილანის 312/13 წლ. ედიქტმა
იერიდიულად გზა გაუხსნა ქრისტიანობას გავ-
რცელებისათვის, ვაჰააუცხადა რა იგი სხვა რე-
ლეგიებს თანასწორულდებიანად. მართალია,
თვით ეს ფაქტი იმით იყო ნაჯარანბევი, რომ
რაიონს იმპერიაში და, ცერაოდ, მცირე აზიის
რაიონებში, უკვე იყვნენ ქრისტიანები გარკვე-
ული რაოდენობით, მაგრამ ქრისტიანობის იქ

მასობრივად გავრცელებაზე ლაპარაკი არ დრო-
ისათვის ნაადრევია.

ქრისტიანობის გზით შემოსული ბერძნული,
თოფოდ, ვაცილებით იმაზე უფრო მსკესად მი-
იქვლედა მოსახლეობაში გზას, ვიდრე თვით
ქრისტიანობა. ბირველწყაროთა ცნობების მო-
წმობით კი ქრისტიანთა რიცხვი, კერძოდ, კაპა-
დოკიაში არც თუ დიდი უნდა ყოფილიყო.
თვით კაპადოკიელ დიდ მოღვაწეთა მოსახლე-
ბი იყვნენ ქრისტიანები. ამის გამო, ბერძნულ
ენას ვაცილებით ნაკლებ უნდა ქრონოდა ფეხი
მოკლებული, ვიდრე ქრისტიანობას, რადგან
ეინწეს მთერ ქრისტიანობის მიღება, არ ნაშ-
ნავდა ეროვნებაზე ზელის აღებას, შშობლიური
ენის უმაღ ვადავლებასა და ბერძნულად აძე-
ტყველებას.

ამგვარად, IV საუკუნისათვის კაპადოკიაში
ბერძნული ენის რაიმე შესაძრწევი ინტენსიურო-
ბით გავრცელებაზე ლაპარაკიც ძველია... და
ან რაოდენი ექსპანსიის ბილა უნდა ქრონოდა
ბერძნული ენის, რომ ესოდენ მოკლე ხანში შეს-
ძლებოდა ადგილობრივ ენათა დათრგუნვა და
იქ საკუთარი ბატონობის მოპოვება, ისე, რომ
IV საუკუნეში უკვე ადგილობრივი მოსახლე-
ობის სამეტყველო ენად ბერძნულს დალაქ-
ტია გადამეტული. როგორც ცნობილია, ამა-
თუ იქ ხალხის ენის მოსაპობა მძლავრი პოლი-
ტიური, ეკონომიური და კულტურული ექს-
პანსიის დროსაც კი მრავალ საუკუნეთა მან-
ძილზე ვერა ხერხდებოდა.

ამისთანავე, თუ კი ქართველი მოსახლეობის
ენა აღნიშნულ რაიონებში (პონტოსა და კაპა-
დოკიაში) უკვე IV საუკუნეში აღარ ისრდა
და მოსაპობილი იყო, მაშინ საიდან და როდის
გაჩნდა იგი იქ კვლავ, რასაც ისტორია და
ბირველწყაროები უდოდ აღნიტრებენ...

ერთი მხრივ, რათა დაერწმუნდეთ კაპადოკი-
ელთა შშობლიური ენის არსებობაში, ხოლო,
მეორე მხრივ, ცხადი გახდეს თუ რამდენად ზე-
რეულად, არაობიექტურად და სრულიად განუ-
ჭვლად ეყიდება ე. ხინთიბიძე მეცნიერულ
პრობლემებს და უგულვებელყვას მეცნიერე-
ბის განკარგულებაში მყოფ მასალას, იძლე-
ული ვარ, მოკლედ მიანიტ, მოვიტანო აქ კაპა-
დოკიელთა ენის შესახებ ჩემს წიგნში წარ-
მოღვენილი მასალა და ზოგ რამეს ახალსაც
დავაპიტებ.

უნდა კი ითქვას, რომ: თუ კი კაპადოკიელები
მესხები არიან, რასაც ე. ხინთიბიძე აღი-
არებს, მათი ენაც სადმებო არ უნდა იყოს.

მაგრამ მივმართოთ მასალას.
ჩემს წიგნში ქერ წერია: „IV საუკუნის ერთ-
ტელში, რომელშიაც ჩამოთვლილია მთელ დე-
დამიწაზე მცხოვრები ყველა ის ტომი, რომელ-
თაც აქეთ თავისი საკუთარი ენა (Gentes autem,
guae linguae suas habent) დასახელებული
არიან „...კაპადოკიელები, არმენიელები...“ და
სხვ. (გვ. 62). და იქვე დავასვენილი, რომ ენა

„რომელსაც იცნობდა IV საუკუნის წყარო... იყო იმ ქართული ტომების ენა, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ და რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს საკუთარი ეთნიკური სახით, ენით“.

აღნიშნული ცნობა იმდენად მრავალმეტყველი, ნათელი და კონკრეტული შინაარსით არის აღსავსე, რომ შეტის მოთხოვნა ძნელია. მასში კაპადოკიელები დედამიწის ზურგზე მცხოვრებ სხვა ტომთა შორის მათ თანაბრად არიან მიჩნეული და მათ აქვთ საკუთარი ენა. ეს უკანასკნელი რომ საკუთრივ კაპადოკიური მშობლიური ენა კი არა, არამედ რაღაც ბერძნულია დიალექტი უოფილყო, მაშინ იგი, სხვა ტომთა ენების გვერდით, მათ თანაბრად, ვერ იქნებოდა მიჩნეული კაპადოკიელთა ტომის საკუთარ ენად.

ეს ცნობა აშვიათი სიზუსტით გადმოგვცემს საქმის ვითარებას, რომლის უფუძვლებულობაც პირველ წყაროს და, საერთოდ, კემნარტიების აბუჩად აგდება იქნებოდა.

იმის დასადასტურებლად, რომ მცირე აზიის რაიონებში და, კერძოდ, კაპადოკიაში მშობლიური ენა განავრცობდა არსებობის ისტორიის მანძილზე, მოტანილია მასალა გერმანელ, ბერძენ, რუს მეცნიერთა ნაშრომებიდან. 62-63 გვერდზე ვრცელ სქოლიოში ნათქვამია, რომ თვით ბერძნული მოსახლეობაც მცირე აზიის მხოლოდ შავი ზღვის სინაპროზე მოიპოვებოდა და ამ მხარის ეთნიკური ფაზიონომიის შეცვლა ვერ შესძლო ბერძნულმა სამყარომ თავი წლის მანძილზე და მითითებული მაქვს ორი გერმანელი ავტორის კოლექტიურ შრომაზე.

რუსი მეცნიერი ა. ჩანკიჩი წერს: «Вдали от крупных центров долгое время еще продолжали жить местные языки, особенно в Карии, Лидии и Фригии»
კაპადოკიაზე კი იგი ამბობს: «Эллинизация слегка затронула высшие круги общества, но масса населения сохранила родной язык, старые условия быта,»
მეორე ადგილას კი ამბობს: «из всех мало-азиатских провинций Каппадокия меньше всего преобразывалась под римским владычеством».

ხოლო მეორე რუსი მეცნიერი რუდაკოვი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ როგორც აღრეული ავოგრაფიული წყაროების ცნობები მოწმობს, მცირე აზიის რაიონების ადგილობრივ მოსახლეობას შორის კაპადოკიელები ყველაზე მეტად ინარჩუნებდნენ თავიანთ ეროვნულ იერს.

კაპადოკიის ბერძნული დიალექტის მეცნიერი პ. კაროლიდისი, თავის ბერძნულად დაწერილ გამოკვლევაში, აღნიშნავს, რომ ეს ენა, რომელზედაც სტრატონის მოწმობით, მეტყველებდნენ კაპადოკიელები, იქ ვაისმოდა ისტო-

რიულ მანძილზე, მაშინაც კი, როდესაც კაპადოკიაში შეიჭრა და ვერცელებაც პპოვია ბერძნულმა, რომელმაც უმთავრესად ქართველნი მოკლავდა ფხვი და სხვაგან კი „ეტრობისონის კაპადოკიელები ან კაპადოკიურ ენაზე მეტყველებდნენ ან კაპადოკიურსა და ბერძნულს ნაჩრევ დიალექტზე“.

შემდეგ წიგნის ძირითად ტექსტში ვანვაგრძობ პირველწყაროებისა და მეცნიერულ გამოკვლევათა მონაცემების განხილვას და მოამბეს გერმანელი მეცნიერის პ. ციმბერის გამოთქმა, რომ კაპადოკიაში „ბერძნული ენა არასოდეს არ წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობის ენას“. სქოლიოში კი აღნიშნავდა: „ბუნებრივად წამოიჭრება კაპადოკიელ მოლაშუთა მშობლიური სამეტყველო ენის საკითხი, რაც ისევე უნდა ვადაწვევს, როგორც მათი ეროვნული ეთნიკულების საკითხი.“

რაც შეეხება ამ ენის დამწერლობის საკითხს, იგი ქართული დამწერლობის საკითხთან არის დაკავშირებული და მასთან ერთად უნდა ვადასტურებ შეთქი.

ჩემს წიგნის 94-104 გვ. უკვე სხვა ასპექტში კვლავ ვებრუნდები ენის საკითხს, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ კაპადოკიელ ბერძენ ენათმეცნიერ პ. კაროლიდისის შრომას კაპადოკიური ბერძნული დიალექტის შესახებ.

ამ შრომაში ა. კაროლიდისი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სტრატონის დროს კაპადოკიურ ენაზე მეტყველებდნენ მთელს კაპადოკიაში... და თუმცა, დროთა ვითარებაში ბერძნულმა თანდათან მოიპოვა სარბიელი, მაგრამ სრულად ბუნებრივად, ავტონომურად კაპადოკიური სოფლის მოსახლეობა უნავდ ხმარობდა ძველი მშობლიურ ლექსიკურ მასალას, ფრაზეოლოგიას და იდიომებს, რაც IV საუკუნეშიც არის დადასტურებული ბასილი დიდის შრომებში (ჩემს წიგნის გვ. 96).

კაპადოკიაში მცხოვრებ ბერძენების ენის ლექსიკონთან დაკავშირებით კაროლიდისი ამბობს, რომ ამ ლექსიკონში მოცემული სიტყვები ემთხვევა ავრეთეე პონტოურ დიალექტს და რომ ეს დიალექტები არიან ავრეთეე თანაბრად კაპადოკიური, რადგან პონტოშიაც, პალსიდან კოლხიდან, კაპადოკიურ ენაზე მეტყველებდნენ (იქვე, გვ. 99)!

მათილაც, სტრატონის მოწმობით, მთელს კაპადოკიაში, რომელიც დიდ სივრცეს მოიცავდა, ერთ ენაზე მეტველა ეთნიკურა ელემენტი მოსახლეობს.

შემდეგ ჩემს წიგნში წერია: „რომ პონტოსა და კაპადოკიის ტერიტორიაზე დიდ ხანს შემორჩა ძველი აბორიგენული ტომების ენა და რომ, მაგ., VI საუკუნისთვის იქ ვაისმოდა ერთ-

1 გვერდები მითითებულია ჩემს წიგნზე „ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსულიდან“.

ერთი უძველესი ქართველი ტომის ჭანების ენა მთელი თავისი სიმპლავით, რასაც ვერ არ შეუხებოდა ბერძნული ენა ქრისტიანობის საშუალებით, ამაზე უფრომეტყველურად მოგვითხრობს პროკოპე კესარიელი. მისი თქმით, ჭანების ძლიერი და მრავალრიცხოვანი ტომი, ამ ჰელეთაგანვე დამკვიდრებული და თვითთავადი იყო. ჭანები: „არავისი ქვეშევრდომნი არ იყვნენ. ისინი ძველთაგანვე თვითთავადნი იყვნენ და არავის არ ემორჩილებოდნენ“ (გვ. 81).

ჭანები მრავალრიცხოვანი ტომი იყო იმ რეგიონისა, რომელსაც პონტო და კაპადოკია ეწოდებოდა და ქართულ ტომთა განსახლების არეს წარმოადგენდა. მოსახლეობის ეს კონტინგენტი იყო ის ძირითადი ფაქტორი, რამაც განაპირობა ბიზანტიის იმპერიისაგან ახალი პოლიტიკური ერთეულის გამოყოფა, რომელიც ტრანიზონის იმპერიის სახელით არის ცნობილი, რომელსაც, მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საფუძველზე, ბიზანტიელთა ბიზანტიულ სამყაროდ მიიჩნევენ და მის მმართველებს, დამპყრობებს მიზნით, ლაზთა ან კოლხთა მმართველებს უწოდებდნენ. ამ იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებას წარმართადნენ ადგილობრივი და წარჩინებული ქართული საჯაროელოები.

ვაჟამბული რა განიღვლ მასალას, ჩემი წიგნის 98-ე გვ. ნათქვამი მაცხ: „ამგვარად, აშკარაა, რომ კაპადოკიაში მცხოვრები ძველი მკვიდრი მოსახლეობა მეტყველებდა საკუთარ ენაზე და ამ ენის მასალა (გარდა დამოუკიდებლად, საკუთარი სახით არსებობისა), წარმოდგენილია კაპადოკიის ბერძნულ დიალექტში“.

მე აღნიშნული მაინც არ დავცმაყოფილი და მოვუბნე თვით კაპადოკიელ მოღვაწეებთან უშუალოდ დაკავშირებული მასალა, რომელიც, მათი მშობლიური ენის არსებობის დაგვიდასტურებდა. ამასთან დაკავშირებით, ზემო წიგნში წერია: „ბასილი თავის თხზულებაში „სულიწმიდის შესახებ“, იკონიის ეპისკოპოს ამფილოქესთან გამართულ დისკუსიაში, ერთ ადგილას ამბობს, რომ მას სული წმიდის მოხსენების შესახებ გარკვეული ფორმულა (გამოთქმა) შეთვისებული აქვს როგორც „მშობლიური მეტყველება“, რაც მას მიუღია, „კაპადოკიან, რომელიც დიდ დროს ატარებდა ღმერთის სამსახურში, რომლისგანაც მე მივიღე მონათვა და რომელმაც შემაყენა ღმერთის მსახურებას“ (გვ. 75).

მერე: „რომ ამ შემთხვევაში ბასილი მშობლიურად მიიჩნევდა კაპადოკიურს და ამასთანავე, კაპადოკიურს, როგორც თავისთავადს და არა ბერძნულს, ეს ჩანს ამავე წყაროდან, აქვე და ეს არის ფრთხილ მნიშვნელოვანი, — დადასტურებულია, რომ კაპადოკიელები მეტყველებდნენ თავისი საკუთარი ენაზე“.

განაგრძობს რა მსჯელობას აღნიშნულ აა-

კითხვზე, ბასილი ამბობს: „ჩვენ კაპადოკიელებიც ასევე გამოთქვამთ ჩვენს მშობლიურ ენაზე“. აშკარაა, რომ ამ კაპადოკიელთა ენა, და პირისპირაობებზე ბერძნულსა და სხვა ენებთან, ეს უდავო ხდება იმით, რომ იგი, ვიდრე იტყობენ იმას, თუ როგორ გამოთქვამენ კაპადოკიელები ბერძნულ ფრაზას *Sün-ით*, ვერ ლაპარაკობს იმაზე, თუ შესაძლებელია როგორ გამოსატყვევენ მას იქაურ, სახელდობრ, სირიულ ენაზე მეტყველი ადამიანები.

გარდა ამისა, თავის ნათქვამს კაპადოკიელებზე, იგი უშუალოდ მიაყოლებს ამ სიტყვებს: „იმიტომ რომ სულმა იმთავითვე, ენათა განყოფილ დროს, გაითვალისწინა ამ სახით გამოთქმის სარგებლობა“.

ვფიქრობთ, ნაუკურო აღარ უნდა იყოს არც ის, რომ ბასილს საუბარი აქვს ცალკეულ ენებზე, და არც ის, რომ იგი კაპადოკიელთა ენა უპირისპირებს ბერძნულსა და სირიულს შესაძლებელია.

ჩემს წიგნში შემდეგ წერია: „ფრთხილ საინტერესოა ამ მხრივ გრიგოლ ნოსელის მოწმობაც“.

იგი ეწეოდა იმისა წინააღმდეგ თავისი თხზულების ერთ ადგილას აგრეთვე ჩამოთვლის სხვადასხვა ენებზე მეტყველ ხალხებს, რომელთა შორისაც კაპადოკიელებიც არის დასახელებული, რითაც ნათქვამია, რომ კაპადოკიელთა ენა ცალკე, თავისთავადი, გარკვეული ეთნიკური სამყაროს ენაა.

სახელდობრ, იგი ამბობს, რომ, ცაის (ბერძნულად *ouranos* სხვადასხვა ენებზე მეტყველი ხალხი სხვადასხვანაირად გამოთქვამს და ჩამოთვლილი არიან: ებრაელი, რომელიც, სირიელი, მიდიელი, კაპადოკიელი, **Maurisios** სკიოთი, თრაკიელი, ეგვიპტელი“ (გვ. 76).

სხვა გამორჩეულ კაპადოკიელ მოღვაწეთა მხარესაც მოგვემოვებო პირველწყაროთა ცნობები, სადაც დამოწმებულია, რომ მათ ჰქონდათ საკუთარი მშობლიური ენა და ბერძნული ენა მათთვის გარედაწ შესათვისებელ, სპეციალურად შესასწავლ ენათა რიცხვს განეკუთვნებოდა.

ფუთიმე დიდის (ცხ. 377—473) ბერძნულად დამწერილ ცხოვრებაში (რომელიც კარლუ სკეითაოპოლელის კალამს ეკუთვნის), მოხსობილია, რომ ფუთიმესთან მოიღწნენ ღმერთის შთაბრუნებით სამნი ღვიძლი ძმანი, ტომით კაპადოკიელთა ქვეყნიდან, რომელნიც აღზრდილი იყვნენ სირიაში და შემკობნი უყოლგვათი სულიერი სიბრძნით — ექსმა, ქირიხზე და გაბრიელა (იხ. *Палестинский Патерик, вып. 2. СПб. 1893. Жизнь иже во святых отца нашего Евфимия Великого, Перевод П. Памяловского, гв. 27*). მერე

იგულისხმება სული წმიდა.

ვადმოცემულია ამ მათა ცხოვრება-მოღვაწეობის მთავარი მომენტები და, სხვათა შორის, გაბრუნებულ წერია, რომ: „...აქ რა ნიჭიერი და უყვარდა სწავლა, მან შესწავლა სწორი წერა და კითხვა ლათინურ, ბერძნულ, სირიულ ენებზე“ (გვ. 63—64).

ეს ცნობა ორმაგად არის საინტერესო: 1. კავადოკელებზე მითითებით აღნიშნულია დასახლებულ პირთა ეთნიკური ეთნიცილება. 2. კავადოკელებისათვის ბერძნული ენა არ არის მშობლიური, იგი მისთვის უცხოა და სხვა ასეთებთან ერთად გარედან შესათვისებელია.

ახლოყოფიერი ცნობა, მაგრამ ვაკლებით უფრო აღრიხულია. მოგვეპოვება გრიგოლ თაყმატურის (სასწავლმოქმედის) ბიოგრაფიაში. იგი პორტოში, ქ. ნეოკესარიისში არის დაბადებული, 221 წლის მახლობლად. მას ბავშვობიდანვე შეესწავლა ბერძნული და ლათინური ლიტერატურა (იხ. Ф. Фаррар, 1.567). სწავთ აღრეულ ხანაში, როცა გრიგოლი სწავლობდა, როდესაც ნეოკესარიისში ქრისტიანები თითებზე ჩამოსათვლილი იყვნენ და თვით გრიგოლი თოთხმეტი წლის ასაკამდე წარმართი იყო, თავის მშობლების მსგავსად, იქნა, ადგილობრივ მოსახლეობისათვის ბერძნული ენის მშობლიურად აღიარება უოკულგეარ საფუძვლს მოკლებულია.

ბერძნულ ენას არა თუ ისეთი სასწავლო მოქმედი გავლენა არსად ხედოშია წილად, რომ ელვისებური სისწრაფით მოეხსი ადგილობრივი ენები და თვით ვაბატონებულოცო, არამედ თელსაზინო წარმატებაც კი არ მოუპოვებია ამ მხარეშიც კი, სადაც მისი გავლენა ხანგრძლივი და უფრო ინტენსიურაც იყო.

ამ საკითხებზე ძვირფას მასალას გვაწოდის რუსი მეცნიერი პ. რუდაკოვი თავის შესანიშნავ შრომაში «Очерки византийской культуры по данным греческой агиографии», М., 1927.

აგოგრაფიულ ლიტერატურაში დაცული ცნობებს საფუძველზე პ. რუდაკოვა დაადგინა, რომ «...греческий язык, несмотря на целые века эллинизирующего влияния, не был общим языком сирийского населения, которое продолжало говорить по сирийски» (გვ. 47). ლაბარკია V-VI საუკუნეებზე.

შერე: «Преподобный Симеон и его друг Иоани несмотря на то, что они были сыновья богатых родителей и изучали греческий язык и литературу, между собой говорили на более привычном сирийском языке». (იქვე). მითითებულია ნეტარია სიმეონის ცხოვრებაზე. შერე განაგრძობს პ. რუდაკოვი: «Можно думать, что сирийский язык господствовал, главным образом, в деревнях, вдали от городов, где эллинизация, несомненно была более интенсив- 7. „მთაბარი“, № 6.

ной. ...в Эдессе существовали школы сирийской грамоты». (იქვე). მითითებულია აღნიშნულზე ანთონის ცხოვრებაზე.

ხლო ეგვიპტის მიმართ მ. რუდაკოვი ამბობს: «...Туземный египетский язык был не только разговорным языком народной массы, но на нем также создавались произведения местной агиографии» (გვ. 49).

უველა ამათთან შედარებით კი, განსაკუთრებით აღნიშნავს პ. რუდაკოვი კავადოკელების მიმართ, რომ: «Особенно многочисленны в агиографии упоминания о жителях Кападокии, которые, может быть, сильнее других сохранили свои старые прославленные национальные черты и резче бросались в глаза наблюдателям!» (გვ. 50).

როგორც ვხედავთ, ბერძნულ ენას არ შესწავლა საიმისო ძალა, რომ საუკუნეთა მანძილზე კი შეერყია ადგილობრივი ენები, არა თუ უმაღლ მოესმო ისინი, სადაც კი იგი ფესვ შესდგამდა.

ქართულური ენების უცხო გარემოებაში სიმტკიცე და გამძლეობაზე სამართლიანად მიუთითებდა იე. ჯავახიშვილი, აღნიშნავდა, რა, რომ: «VII საუკუნიდან ქრ. წ. მოყოლებული, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირებსა და მის მოსაზღვრე ქვეყანაში არასდროს, თამარ მეფის ლაშქრობის გარდა, ქართველების ბატონობას ხანგრძლივ ფეხი არ მოუფეხს და არ მოუყოლია, მაშასადამე, ქართველებს არ შეეძლოთ, რომ აქ თავიანთი ენა — კლოკაევიზი რაიმე გზით გავრცელებინათ. პირაქით, სპარსელებმა, ბერძნებმა, რომელებმა, ბიზანტიელებმა, სელჩუკებმა და ოსმალებმა ხანგრძლივ ბატონობას თავისი კვალი უნდა დაეტოვებინათ ადგილობრივ მეკლარათა დედაენაში და მოსალოდნელიც იყო, რომ მათ თავიანთი დედაენა დაეოწყათ. თუ მრავალ უცხოელთა ბატონობისდა მიუხედავად, აქ ლაზურ-ქაზურ ლაპარაკე უხლაც ისმის, ეს მხოლოდ იმის დამატკიცებელი და მომასწავლებელი საბუთია, რომ ლაზურ-ჭანური აქ იპოვიოთვე სუფევია, რომ ხალხებმა, ტიპარებმა, მოსკინებმა, დროლებმა და სვანებმა, სწორედ ლაზურ-ჭანურს ლაპარაკობდნენ, რომ ყველანი ისინი ქართულ ეროვნებას ეკუთვნოდნენ»¹.

უველა ზემოაღნიშნული არ უნდა იძლეოდეს იმის საფუძველს, რომ მეკლარებმა ადგილად გასწირის მცირეაზიულ ძველ დობ ქართულ სამყაროში მშობლიური ენის არსებობა, მაშინ, როდესაც ამ ენის ცხოველმყოფელობა იქ ჯერ, აღბათ, სრულებით შერყეულიც კი არ იყო.

ზემოთ მოტანილი მასალა მეცნიერისათვის ბევრი რამის მთქმელია და მის შემდეგ გან-

¹ იე. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1951, გვ. 415.

ცხადება, რომ მეცნიერებამ არ იცის კაბადოკიელები IV საუკუნეში რა ენაზე შეტყვევებდნენ, არაიერ სიტყვებდა კი არ უნდა ჩინებოდნენ, არამედ დაფუძნებული უნდა ყოფილიყო ელემენტარ მეცნიერულ მასალაზე, რომელიც მოტანილ მასალას დაუპირისპირდებოდა და გააბათილებდა. უამისოდ ასეთ ლიტონ ვანცაბდებას, რომელიც რომელიმე საბუთით კი არა, არც ერთი უბრალო სიტყვითაც კი არ არის შემავრებელი, რა „პეშმარტი მეცნიერული არგუმენტის“ პრეტენზია უნდა ჰქონდეს...¹

თავის წიგნის მე-20 გვ. ე. ხინთიბიძე ეჭვის ქვეშ აყენებს იმასაც, IV საუკუნეში კაბადოკიის ეკლესიაში ღვთის მსახურება კაბადოკიურ ენაზე წარმოებდა თუ ბერძნულზე.

ჩემს წიგნში ამ პრობლემის ირავლივაც საკმაოდ არის საუბარი.

იქ წერია: „IV საუკუნეში ქრისტიანობა არ ცდილობს ადგილობრივი ენების მოსპობას, პირიქით, თურმე ამა თუ იმ სამწყსოში ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო ადგილობრივი პირი, ანდა უნდა სცოდნოდა იქაურა ენა და ზნეჩვეულება.“

ბასილ კესარიელს ბიზანტიის ხელისუფლების მიერ დავალებული ჰქონდა ეპისკოპოსების დანიშვნა სომხეთში. ამ მიზნით, როგორც ის თავის ერთ-ერთ წერილში ამბობს, ეძებდა იქაური „ხალხის ენის, ზნე-ბასიათის მცოდნე პირებს“.

¹ ჩემს მიერ მოტანილი მასალისა და მსჯელობის შედეგად, თავისი ეჭვი კაბადოკიელთა ენის არსებობის შესახებ ე. ხინთიბიძეს რაღაცეზე ხომ უნდა დამეფარებინა, რათა მას რამე ღირებულება მისცემოდა. ის კი, რაღაც გაუგებრობის საფუძველზე, თუ მკითხველისათვის თვალს ახვევს მარნით, თავისი ეჭვის თითქოს ვასამართლებლად, ფრჩხილებში, მიუთითებს ერთ-ერთი გერმანელი ავტორის ე. პოლის შრომის იმ გვერდებზე, საიდან მოტანილი ამონაწერებითაც შე ჩემს წიგნში იმას ცხადვყოფ, რომ კაბადოკიელებს საკუთარი სამეტყველო ენა ჰქონოდათ. ე. ხინთიბიძის მიერ მითითებულ ე. პოლის წიგნის გვერდებზე სწორედ ის მასალა მოთავსებულია, რაც ე. ხინთიბიძის მიერ გამოთქმულ ეჭვს აბათილებს.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ე. ხინთიბიძეს ე. პოლის წიგნი ხელთ არა ჰქონია და მისი დასაბეჭდება ამოუღია ჩემი წიგნიდან, გვერდები იგივეა მიითთებელი, იმის შეუშოვნებლად, თუ იქ რა წერია. შეად. მისი წიგნი გვ. 90. და ჩემი წიგნის 77, გვ. სქოლიო. ე. პოლის წიგნი *Das Vortleben des Volkssprachen in Kleinasien in nachchristlichen Zeit*, როგორც მისი სათაურიდანვე ჩანს, მხოლოდ იმას ემსახურება დამტკიცებს, რომ მეორე აზრის რაიონებში ადგილობრივი ენები ცოცხლობდა დიდხანს.

მერე ეწერდი: „მართალია, გამოთქმული იყო მეორე უკიდურესი შეხედულება, თითქოს, ახ. წ. პირველსავე საუკუნეებში მეორე აზრის რაიონებიდან ადგილობრივი ენები გამოვლენილი იყო ბერძნულის მიერ, მაგრამ მეცნიერების განკარგულებაში მყოფი მასალა მკვეთრად უუაჯღებს ამ აზარს. კონცეფციის და ცხადყოფს, რომ იქ ადგილობრივი ენები დიდხანს, დღევანდლამდეც კი, ინარჩუნებდნენ თვითარსებობას.“

ამ პრობლემას მიუძღვნა თავისი შესანიშნავი გამოკვლევა გერმანელმა მეცნიერმა ე. პოლმა. მკვლევარმა, პირველწყობის საფუძველზე, ცხადყოფ, რომ ჯერ კიდევ IV საუკუნის დასაწყისში მეორე აზრის რაიონებში ხალხს ადგილობრივი ენებზე მეტყველებდა. ამ მხრივ ყველაზე უფრო მკვეთრ სურათს იგი კაბადოკიის მხვალთზე იძლევა.

ე. პოლი ამბობს, რომ კაბადოკიაში IV საუკუნეში კაბადოკიური იყო არა მხოლოდ უბრალო დილექტი, არამედ აქაური დიდი მოღვაწე მის პირადად ეკლესიის განხილავდნენ.

მერე ამბობს კაბადოკიაზე: „აქაც იმავე შთაბეჭდილებას ვიღებთ, რომ ხალხის ენა (Volkssprache) მტკიცედ არის დამკვიდრებული და ეს ახალ დისტურბება მნიშვნელოვანი ფაქტობით“.

ე. პოლი ამბობს, რომ ქრისტიანულ ეკლესიას ბრძოლა არ გამოუცხადებია არსად ადგილობრივი ხალხის სამეტყველო ენისათვის. იმას ადასტურებს ის ფაქტი, რომ „დნაბაღება“ თარგმნილი იყო ძველადვე მრავალ ენაზე. ამით ეს ენები კულტურულ ენათა რიცხვში მოექცა და ეკლესია იმას ხელს არ უშლიდა“ (გვ. 76-77). ზემოთაქვამი მოითხოვდა ე. ხინთიბიძისაგან, რამე განმარტება მიეცა მკითხველისათვის, თუ რატომ არ იმსახურება უფრადლებს და რად არის განუსჯელად უკუსაველი ვარკვეული მეცნიერული მონაცემები... მაგრამ მან აქაც მეცნიერულ მსჯელობას კვლავ ვა აუქცია და ისევ დუმის მისმართა.

ე. ხინთიბიძემ ბასილი კესარიელის ენაობის შესახებ თავის წიგნში ერთი შეტად უცნაურ თეზის წამოაყენა: ბასილია და სხვა კაბადოკიელ მოღვაწეთა ბიოგრაფიებში არ არის პირდაპირი მითითება, რომ ისინი ქართულ ენაზე იყვნენ, რადგან, თურმე, იმ დროისათვის ძველი ქართული სამყარო ჩამორჩენილი იყო „...ქართული ტომები თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური წყობითა და კულტურით... წარმართულ-ბერძნულ და ქრისტიანულ კულტურასთან შედარებით, საკმაოდ დაბალ საფეხურზე იდგნენ. მათი მოწინავე ადამიანები... ბუნებრივად, საზოგადოების თვალში ვარკვეული მალადგნენ თავიანი წარმოშობას. ყოველ შემთხვევაში, ბასილი კესარიელის, რომელიც სათავეში ჩაუდგა მთელ ქრისტიანულ კულტურ“

რას და რომელსაც ეკლესია უწოდებს „მსოფლიო მოძღვარს“, მკარონად, ხილიანად, ან ჭანად გამოცხადება იმ დროს მისი რეპუტაციისათვის ნამდვილად ახანგლასურელი იქნებოდა. ამიტომ მისი ცხოვრების აღმწერი ეკლესიის შამებია... პონტოს დასახლებულთა ზოგიად მიუთითებენ მის წარმოშობაზე.¹

ზემოთ განვიხილეთ, რომ „პონტოლობა“ არ არის მყარი არგუმენტი ბასილის ქართველად გამოცხადებისათვის, ყოველ შემთხვევაში, იქამდე, მიანც, ვიდრე თვით „პონტოლობის“ შინაარსი ეთნიკური თვალსაზრისით სათანადოდ არ იქნება დაკონკრეტებული. მართა ამის თქმა, რომ პონტოში სხვებთან ერთად (იუნდაც ძირითადად) ქართველი ტომები ცხოვრობდნენ, საკმარისი არ არის.

„პონტოლობას“ იმ შინაარსით, როგორც ეს ე. ხინთიბიძის წიგნშია წარმოდგენილი, არ ახლავს არც ეთნიკურ მომენტზე მკვეთრი მითითება, არც პონტოლობა ენობრივ განსხვავებულობაზე, რაც იქნებოდა საფუძველი მათ ქართველებად მიხედვისათვის.

ეს ყველაფერი გაკეთებულია ჩემს შრომებში.

პირველწყაროთა საფუძველზე ჯერ დადგინდა, რომ „პონტოს სამეფო იყო კაპადოკიის ნაწილი“,² რაც ილუსტრირებულია სტრაბონის ცნობით, რომ მკვედრონელებმა, რომლებიც დაეუფლნენ კაპადოკიას: „შექმნეს, სამეფოები... ერთ ნაწილს უწოდეს საკუთრივ კაპადოკია, აგრეთვე დიდი კაპადოკია — მეორეს — პონტო, ან პონტოს კაპადოკია“.

ამავე დროს, სტრაბონი მთელი (ორივე) კაპადოკიის მოსახლეობას ერთიან ეთნიკურ ელემენტად მიიჩნევს.⁴

ჩემს მეორე შრომაში, შევიჯამე რა საბოლოოდ როგორც ისტორიულ პირველწყაროთა ცნობები, ისე ენობრივი მასალა და ენათმეცნიერთა ნაკვლევი-მონაცემები, დაესკვნენ, რომ ენობრივი მასალა საესპეტი უჭერს მხარს ამ კონკრეტულს, რომელიც ძველ საისტორიო წყაროთა მონაცემებზეა აღმოცენებული და რომლის მიხედვითაც, ძველი კაპადოკიისა და პონტოს ტერიტორია ძირითადად დასახლებული იყო ეთნიკურად ერთიანი ქართველი და ქართველური ტომებით.⁵

ხოლო მეორე გვერდზე: „საბოლოოდ შეგვიძლიან დაეასკვნათ, როგორც ამას შეცნობიერებულნი ძიების ყველა ცდაც ადასტურებს, რომ ქველნი კაპადოკიისა და პონტოს მოსახლეობის ერთგვაროვან მასას ქართველი და ქართველური ტომები შეადგენდნენ“.¹

მასთანამდე, დადასტურებულია „პონტოლობა“ და „კაპადოკიელთა“ ეთნიკურ-ერთგვარული იგივეობა. „კაპადოკიელები“, როგორც ეს დადგინდა, მესხები არიან; პონტოელი იგივენი უნდა იყვნენ. „კაპადოკიელები“ ერთგვარობას — მესხ-ქართველობას მიუთითებდა, „პონტოლობასაც“ ასეთივე შინაარსი ჰქონდა. როგორც „კაპადოკიელს“, აღარ სჭირდებოდა განმარტება (დამატება), რომ იგი ქართველს (მესხს) გულისხმობდა, ასევე იყო „პონტოელი“ — იგი აღნიშნავდა ქართველს და კვლავ დამატება, რომ ქართველზე იყო საუბარი, სჭირო არ იყო, ეს ტავტოლოგია გამოვიდოდა იმ დროისათვის. ამდენად, საკითხის ვართულება იმით, რომ ბიოგრაფიებში ბასილის ქართველობა აღნიშნული არ არის, სრულიად ზედმეტია. მით უმეტეს, რომ ბასილი ისტორიაში უპირატესად კაპადოკიელად არის ცნობილი, ხოლო კაპადოკიელ-მესხ-ქართველის იგივეობაში თვით ე. ხინთიბიძესაც არ ეპარება ეჭვი.

ამგეარად, ბასილის ქართველობაზე მითითება იშვიათივე მოცემულია და ამ მხრივ საძებარი არა არის რა.

ამასთანამდე, არ შეიძლება გაეკვირება არ გამოთქვით, იმის გამო, რომ ე. ხინთიბიძე გულის უხევეს, უგულებელყოფს ყველაფერს იმას, რაც მას პონტოლის მის ირგვლივ მუშაობაში აღნიშნავდა სინამდვილეში გასარკვევად, დანა მასალას მისცემდა იმისათვის, რათა ემხალეზინა სხვის მიერ გაკეთებულის, როგორც თავისი წიგნის ერთ ადგილას ამბობს, სრულიად არამეცნიერული არგუმენტაცია.

მაგრამ, გარდა იმისა, რომ ბასილის ქართველობის ძიება ე. ხინთიბიძის მიერ სრულიად ზედმეტია ზემოაქვეყნის საფუძველზე, იგი შეიცავს მნიეიერ თეზისს ქართული სამყაროს ჩამორჩენილობის შესახებ, რომელსაც ე. ხინთიბიძე ესოდენ დაქვეითებულად მიიჩნევს, რომ მის შეიღებს სცხვეროდთ ელიარზინით თავიანთი ამ სამყაროდან ჩამოშორება.

ე. ხინთიბიძის თეზისს მე დაეუპირისპირებ ვარცელი მასალა და მოსაზრებები, ძირითადად შეიღ ბუნქტი ჩამოვალბებულა. აქ მე ცხადვეყოფდა, რომ არც ქართული სამყარო იყო ჩამორჩენილი (რის დასამტკიცაცილად ჰქმმარტიბი მეცნიერული არგუმენტაციის) მიმდევარ ე. ხინთიბიძეს არავითარი მასალა არ მოაქვს და მხოლოდ საკუთარი სიტყვიერი განცხადებით შემოფარგლავს მეცნიერული არგუ-

¹ ე. ხინთიბიძე, ბასილ დიდის საღურთობისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების შამებზე, № 3, 1962 წ. გვ. 125—151.

² გ. გოხალიშვილი, მითაროდტე პონტოელი, თბლისი. 1965 წ. გვ. 216.

³ გ. გოხალიშვილი, იქვე, პონტოს კაპადოკია მოხსენებულია აგრეთვე ორიზოუსთან I, 15, 1.

⁴ სტრაბონი, XII, I, 1.

⁵ გ. გოხალიშვილი, ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსულიდან, თბ. 1965, გვ. 101.

¹ იქვე, გვ. 302.

მენტაციის არეს) და არც ქრისტიანული სამყაროსთვის იყო სათაყოლო. მესვეურად ჰყოლოდა, რომელიც უნდა ტომის წარმომადგენელი. მით უმეტეს, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ქართველ მოღვაწეებს, ეთიომდა, სამარტყენოდ მიანიჭდათ თავიანთი ეროვნული ენობის გამოვლენება... რათა კარიერა არ წავხდინათ...

ჩემი მასალა-მოსაზრებები მოცემულია ჩემი წიგნის, „ორი ელიტი“... 68—83 გვერდებზე, რის გასაბათილებლადაც ე. ხინთიბიძემ არ მოიტანა რამე პოზიტიური მასალა და კვლავ დიუნიებით აცხადებს: „რა თქმა უნდა, გრიგოლ ნაზიანზელს და გრიგოლ ნოსელს ბიზანტიურ გულენასთან პოლემიკაში არ აწყობთ ბასილის ეროვნებად იმ ტომის დასახელება, რომელსაც ბიზანტიელი ბერძენები „ბარბაროსებად“ და „ელტრებადაც“ ეი თვლიან“.¹

ე. ხინთიბიძემ, ჩვეულებისამებრ, გვერდი აუხვია ყველაფერს და მხოლოდ ის მოახერხა ეთქვა, რომ ჩემს მიერ მითითება იმაზე, რომ ქართული სამყარო არ შეიძლება ყოფილიყო, ჩამორჩენილი, იმდენად, რომ მის შვილებს სამარტყენოდ მიანიჭდათ ეთქვათ, რომ ისინი ქართველები არიან, — „არ უნდა იყოს სარწმუნო“, რამდენადაც, ამის დასადასტურებლად, მე ვასახელებ, ეთიომდა, მხოლოდ ბასილ დიდის, გრიგოლ ნოსელის, გრიგოლ ნაზიანზელისა და მათი დიდი თანამედროვეების სახელებს, ხოლო ამით სახელებს — მისი თქმა, — ის ფასი და სიღირსე ჯერ კიდევ არა აქვთ, რაც მათ უფრო მოგვიანებით შეიძინეს“ (გვ. 90).

დიდ კამოდაყოფელ მოღვაწეთა საქმიანობას ხელის სიღირსის მოშველიება ჩემი მსჯელობის მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენს, იმ არსებითი ხასიათის მასალასთან შედარებით, რაზედაც, ე. ხინთიბიძე ხმას არ იღებს: ამახ ვარდა, ბასილის მიოგრაფია ხომ მისი სიტყვების ხანაში არ იქმნებოდა, არამედ მაშინ, როდესაც მის თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა განვლილი ჰქონდა და მისი საქმიანობა უკვე საჭეუნიოდ იყო ცნობილი, როცა იგი იყო ეკსარქის ეპისკოპოსად ნაშყოფი, რომელიც იმავე დროს იყო მესვეურა მცირე ახიულ ქრისტიანული გულენისა.

¹ ე. ხინთიბიძე, ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურის ურთიერთობანი, გვ. 91.

არც ეი უნდა იყოს საქარო მისი განმარტება, რომ „ბარბაროსი“ ამ ეპოქისთვის სრულიად იმ მნიშვნურ მინიარის არ აღნიშნავდა, როგორც მას ელასიკური საბერძნეთის საწყაროში ჰქონდა. ან როგორ შეიძლება ქრისტიან მოღვაწეებს ასეთი, მართლაც, ველური შეხედულება ჰქონოდათ ადამიანებზე, როდესაც სახარება ჰქადაგებდა, ყველა ერთნი ვართ: ელენი, ებრაელი, რომელი და სხვა და სხვა.

50 ქორეპოსკოპოსი რომ შეადგენდა მის სამწყსოს (ეპარქიას).

მაგრამ განა ჰაბუე ბასილს, თანეწი სარწმუნელებლად ჩაეხელის პერიოდში უკვე არა ჰქონდა ესოდელ დიდი ავტორიტეტი, რომ მის მიმართ ათენის უმაღლეს სკოლაში ტრადიციულად ქეუელი, ახალმოსულის მიმართ დამამორებელი პროცედურა არ განახორციელებს, და განა მისმა სახელმა და პოპულარობამ არ გამოიწვია მის მიმართ შერი ათენის სტუდენტთა შორის?

განა გრიგოლ ნაზიანზელს უკვე არა ჰქონდა მოხვეუელი სახელი საიმისოდ, რომ 381 წ. კონსტანტინოპოლში მსოფლიო საეკლესიო კრების ზელმძღვანელობა ხედომოდა წილად და ამავე კრებამ იგი მსოფლიო პატრიარქად დაეარჩია? ხოლო უფრო ადრე 379 წ. ბიზანტიის იმპერატორის ინიციატივით, იგი სპეციალურად მიიწვიეს კონსტანტინოპოლში, რათა იქ შერეული ქრისტიანობას ბურჯად შესდგომოდა?

განა მის ძმის ეკსარქოსის უკვე არა ჰქონდა მოპოვებული გავლენა და ავტორიტეტი, რომელსაც ბიზანტიის სამეფო კარზე და პოლიტიკურ სარბიელზე დიდ წარჩინებასა და მატერიალურ ბედნიერებას აღუთქვამდნენ, ღღონდ ეი იქ დარჩენილიყო და კონსტანტინოპოლს ეამაყენა იმით, რომ მას თავის მოქალაქედ ჰყავს ასეთი სახელმწიფევი ადამიანი?

განა 381 წელს მსოფლიო საეკლესიო კრებამ ნიკეის პირველი კრების მიერ აღიარებულ რწმენის სიმბოლოს დამატებლად არ მიიღო რამდენიმე ახალი მუხლი, ე ვარარჩის თქმით? — უმთავრესად აღმოსავლეთის ღვთისმეტყველთა ენიიერესი წარმომადგენლის, სახელდობრ, გრიგოლ ნოსელის — ავტორიტეტის წყალობით? — (1,54 წ.).

ხოლო ღრ. ბარნიკერის დახასიათებით, გრიგოლ ნოსელი იყო: „ბუნების მცველევარი, მისი ღროსათვის ცოდნა-განათლებლის უდიდესი წარმომადგენელი და რომ მის ნაწერებს შეეძლიან აყენენ ნაწილობრივ როგორც ტრეზარტი მიხრობელნი და დოკუმენტები მამინდელი მცნიერებისა“.

გრიგოლ ნოსელი 381 წლისთვის აღიარებულ იყო აეკლესიის საერთო ბურჯად“, ხოლო ამავე წელს იმპერატორ თეოდოსეს მიერ ინიშნება მცირე აზიის ეკლესიათა საქმეების გამგებლად და აღიარებულთა ქრისტიანული მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ავტორიტეტად.

ხოლო რაღა ითქმის მათ უფროს თაობაზე? ბასილს მამა სათავეში ედგა რიტორიკულ, (უმაღლეს) სკოლას. დიდი სახელი ჰქონდა მოხვეუელი თვით გრიგოლ ნაზიანზელის მამას, ავრეთვე გრიგოლ თაემატურგსა და მრავალ სხვის, რომელთა შესახებაც ლაპარაკი ჩემს წიგნში და რომელითაც ე. ხინთიბიძე ივიწყებს.

გვერდს უკლის რა ჩემს წიგნში შეიღ გვერდ-ზე მოტანილ, მისი სიტყვით — „სრულად არამეცნიერულ არგუმენტებს“, რომელთა უარყოფაც მითვლეს უნდა ვადავლილებოდა ქვეშაობრივად მეცნიერული არგუმენტების მფლობელ ე. ხინთიბიძეს, — იგი სთვლის ამ უხე მასალას „განცხადებად“, რომელიც არ უნდა იყოს სარწმუნო“ (გვ. 90) და დაასკვნის: „სადავლო არ უნდა იყოს ის დღებულბა, რომ IV საუკუნემდელი პონტოს ქართველური ტომები წარმართულ ბერძნულ და ქრისტიანულ კულტურასთან შედარებით დაბალ დონეზე იდგნენ“ (გვ. 91).¹

აქ ვერ ყურადღებას იპყრობს ის ვარგმონება, რომ ე. ხინთიბიძემ არსებობა ხასიათის ცვლილება შეიტანა ქართველი ტომების ჩამორჩენილობის შესახებ თავის წერილში ნათქვამთან შედარებით. იქ მას ლაპარაკი ჰქონდა მათს ჩამორჩენილობაზე, IV საუკუნეში (გვ. 140). აქ კი, „IV საუკუნემდელ ქართველურ ტომებზე“ ლაპარაკობს, რაც იმის შედეგი უნდა იყოს, რომ იგი მიხედა უხერხულობას... მაგრამ იგი ამით უფრო მეტ უხერხულობაში ჩავარდა.

ე. ხინთიბიძის მტკიცებით, კაბადოკიელ მოღვაწეებს, ერთის მხრივ, ფთავილებთან აღიარონ თავიანთი ქართული სამყაროდან წარმომავლობა, რათა დამცირება თავიდან აიცილიონ, ხოლო, მეორე მხრივ, „როგორც ჩინს, აზგონაელების მითი და ძველი კოლხეთის დიდება წარუღებლად თვითშეგნების საყრდენი ყოფილა ვერ კიდევ IV საუკუნეში პონტოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველურ ხალხში. რომ ეს ტომები ძველი კოლხეთის შემკვიდრედ თვლიდნენ თავს, ამას დატურტებს ის ფაქტიც, რომ II-III საუკუნეების შემდეგ გაქლიერებულ ლაზთა მეფეებს დიდი კოლხეთის შემკვიდრედ მიანიჭდა საკუთარი თვის“.

გვიორგის, რომ ერთი და იგივე ფაქტორი — ძველ ქართულ სამყაროდან წარმომავლობა — ერთსა და იმავე დროს ეროვნული სიმაყის საფუძველი იყო (სწორედ IV საუკუნეში) და სამარცხვინოც.

ჩემი გამოკვლევის — „სამი დიდი კაბადოკიელის ენაობისათვის“ პირველი ნაწილი — თერაპეტი გვერდის მოცულობით დავუთმე იმის გარკვევას, თუ რას წარმოადგენდა კაბადოკია უძველესი დროიდან მოცილებული. აქ უხვი მა-

სალის საფუძველზე დადგენილია, რომ ვერ კიდევ III ათასწლეულის ნახევარში ეს მხარე დიდ როლს ასრულებდა აღმოსავლურ-აღმოსავლური ეკონომიკურად, ეკლტურულად და სპარსულად დაწინაურებულ ქვეყნებთან ურთიერთობაში, რომ იგი იყო... „ძველი ჩივი პირობების გამო, ერთ-ერთი წამყვანი ეკლტურული ცენტრი და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი დაწინაურებული რაიონი, არა მარტო აღებული ხანის აღმოსავლეთ-მცირე აზიაში, არამედ უფრო აღრეულ ხანებშიც“.¹

კაბადოკია ის მხარეა, რომელიც შეიქმნა ხეთების სახელმწიფო პირთის, ხოლო, რომ კაბადოკია და პონტოს მოსახლეობას ქართველი ტომები შეადგენდნენ, ამას ხომ თვით ე. ხინთიბიძეც აღიარებს.

უფრო ახლო ხანაში, რომელ ეპოქაში, კაბადოკია ვერცხლის წარმოების ცენტრს წარმოადგენდა, კესარიასი იჭრებოდა ვერცხლის ფურს (იქვე).²

პონტოსა და კაბადოკიის მოსახლეობის დასასიათებას ვხვდებით ციციკონთან, Provincia Asia-ს, რომლის თვალსაზრისით ნაწილსაც სწორედ პონტოსა და კაბადოკიის რაიონები შეადგენდა — შმართელების, თავისი მისი კენტიუსისადაც წერილში, სადაც იგი აღნიშნავს, რომ პარტიციპია დასახლებულია „...სეთი მოკავშირეებით, რომელნიც ყველაზე უფროსად უღესნი არიან აღამიანის მოღვათა შორის“ (გვ. 34).

სტრაბონის მოწმობითაც, კაბადოკიელებს განსაკუთრებულად ადგილი ჰქონებოდათ სავრთაშორისო ურთიერთობაში. ვიდრე კაბადოკია რომის პარტიციპიად გადაიქცეოდა, როცა იგი რომის მოკავშირე ქვეყანას წარმოადგენდა, რომელნიც „თავიანთ მეგობრად და მოკავშირედ“ სთვლიდნენ არა მხოლოდ კაბადოკიის მეფეს, როგორც ეს სხვა ქვეყნების მიმართ იყო მიღებული, არამედ აგრეთვე კაბადოკიურ ტომსაც“ (ჩემი წიგნი, გვ. 4 სქოლიო 5; სტრაბონი, XII, 2, 11).

ხოლო მას შემდეგ, რაც აქ შე-17 წელს კაბადოკია რომის პროვინციად იქცა, ადგილობრივმა წარჩინებულებმა შეინარჩუნეს ნახევრად დამოუკიდებელი მდგომარეობა.

შემდეგშიც, კაბადოკია წამყვანი როლს ასრულებდა რომისა და აღმოსავლეთის შორის ურთიერთობაში. IV საუკუნის ოცდაათიან წლებ-

¹ ჩემი წიგნი, ორი ეტოვი პონტოსა და კაბადოკიის წარსულიდან, გვ. 30; მითითება ვერ ვიპოვებ, საეპრო-ეკლტურული ურთიერთობანი კაბადოკიასა და მცხოვრებ ქვეყნებს შორის ძე. V. II ათასწლეულის დასაწყისში. კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებულო, II, თბილისი, 1962, გვ. 71.

² ჩემი წიგნის გვერდებზე მითითებულ, მცირე გამოხატულების ვარდა.

¹ დასაშვებია, რომ სხვადასხვა სამყაროთა განვითარება ერთი მეორეს საფუძვით არ ემთხვეოდა, რაც ფაქტობრივი მასალით უნდა იყოს აღსტურებული, მაგრამ, რომ ქართულ სამყარო ესოდენ იყო ჩამორჩენილი და დაკნინებული, რომ მის შევილებს სამარცხვინოდ მიანიჭდა ამ სამყაროდან წარმომავლობა სავროდ ელიარებით, — ამას რამენაირად დამტკიცება მანც სჭირდება.

ში კი კაბადოციის მთავარი ქალაქი კესარია ერთხანს წარმოადგენდა პერისადების (ზოსფორის) სამეფოს დედაქალაქს.

მაგრამ კესარია მთელი ისტორიის მანძილზე იყო აგრეთვე დიდი კულტურული ცენტრი.

ძველი სამყაროს დიდი მკვლევარი თ. მომზენი კაბადოკიაზე ამბობს: „კაბადოციის დედაქალაქი კესარია, ძველი მახაკა, რომელიც... წარმოადგენდა გადამცემ პუნქტს მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე, დასავლეთ სანაპიროს ნავსადგურებს ეფრატის მხარეებთან რომ აყვავებდა, და რომელიც უკვე მაშინ წარმოადგენდა მეორე აზიის ერთ, ყველაზე აყვავებულ სავაჭრო ქალაქს და როგორადაც იგი ახლაც დარჩა, პომპეუსის ინიციატივით ახლაც გაშენდა მითრიდატეს ომების შემდეგ“ (გვ. 30—40).

თ. მომზენისავე თქმით, 259—260 წწ. კესარიაში 400.000 მცხოვრები იყო.

გრიგოლ ნაზიანზელმა კი დაგვიტოვა მშობლიური ქალაქის კესარიის ბრწყინვალე დახასიათება.

იგი ბასილიზე ამბობს, რომ მან დასარულა იმ ცოდნის მიღება, რის მიღებაც შეეძლო საკუთარ ოჯახში და მერე გაემგზავრა „კესარიაში, იქაურ სასწავლებელში შესასვლელად. ელაპარაკებ კესარიაზე, როგორც განთქმულზე და ჩვენს ქალაქზე (რადგან იგი ჩემთვისაც იყო ხელმძღვანელი და დამრავებელი), რომელსაც შეიძლება, ისევე ეწოდოს მეცნიერებათა მეტროპოლია, როგორც მეტროპოლია მისდამი კუთვნილი და მის გამგებლობაში მყოფი ქალაქებისა: ეინშემ რომ მას წაართვას პირველობა მეცნიერებაში, ამით მას წაართმევდა მის საეკლესიო საქუთრებას, რამეთუ სხვა ქალაქები აღფრთოვანებულა არიან სხვაგვარი სიმკაცრებით, რომელთაგან ზოგი ძველია, ზოგი ახალი, რაზედაც შეიძლება კაცმა ილაპარაკოს, ან ნახვის ღირსი იყოს; მაგრამ კესარიის განმასხვავებელი არის მეცნიერება, როგორც წარწერა იაზარზე, ან მოთხრობის სათაური“ (გვ. 40—41).

თვით ბასილი თავის წერილში ფილოსოფოს ექსტაზისაში ამბობს, რომ ათენიდან სამშობლოში გამოგზავრებულმა, მან კონსტანტინოპოლი უჩვეულო სისწრაფით გაიარა, რადგან მოაქვარება უოვედგამი მშვენიერებათა მეტროპოლისაყენ, ე. ი. კესარიისაყენ (გვ. 35).

ცნობილი ინგლისელი მკვლევარის ვ. ფარაჩის თქმით, ქალაქი კესარია „რომეოცენდა თავის ძველ ნანგრევებზე ახალი სახელწოდებით კესარია, გადაიქცა ბრწყინვალე ქალაქად 400.000 მცხოვრებითურთ და ითვლებოდა ბერძნულ რომაული კულტურისა და ცივილიზაციის ერთ-ერთ ყველაზე უფრო აყვავებულ ცენტრად“ (გვ. 41).

კესარია იყო მეორეაზიელი ქრისტიანულ-საგლეხისო ცენტრი — მეტროპოლია, მის ეპარ-

ქიაში IV საუკუნეში 50 საქორეპიკოპოსო იყო.

ამგვარად, კესარია ისტორიის მნიშვნეულ ასრულდება მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ცენტრის როლს.

ალბათ, ე. ხინთიბიძე იმაზე მიაჩნდებოდა, რომ ქ. კესარია იმ სახითა და შინაარსით, როგორც მის ზემოპოტიანილ დახასიათებაშია მოცემული, ვერ წარმოიშობოდა არიოლუ დღე-ღამის განმავლობაში და, რაც მთავარია, აღგილობრივი ელემენტის (კაბადოკიელთა) შალაღმშემოჭმედებითი ცხოვრების გარეშე. კესარია მკვერპეტყველური ძეგლია, რომელიც ქართველ ტომთა შალაღანეთიარებულ მდგომარეობაზე მეტყველებს ისტორიის სხვადასხვა პერიოდში.

კაბადოციის ეთნოკური წიაღიდან და კესარიის კულტურის ბუდიდან არიან გამოსული მრავალრიცხოვანი სახელოვანი მოღვაწენი, რომელთაგანაც ფართო საზოგადოება ვერჯერობით მხოლოდ ცოტას იცნობს.

მაგრამ სხვა უფრო თვალსაჩინო მისალა უღმობლად ამათილებს ე. ხინთიბიძის მიერ დაუსაბუთებლად წამოყენებულ დებულებას ქართველ ტომთა ჩამორჩენილობის შესახებ.

როგორც ზემოთ უკვე იყო მოხსენებული, ქ. კესარიაში არსებობდა უმაღლესი სასწავლებელი — რიტორიკული სკოლა, რომელსაც სათავეში ედგა ბასილი კესარიელის მამა.

ამ სასწავლებელში, რომელიც, ბუნებრივად, პირველ ყოვლისა, ადგილობრივი (პონტიკო-კაბადოკიელი) ახალგაზრდობისათვის იყო განკუთვნილი, სწავლა-განათლების მისაღებად მოდიოდნენ ახალგაზრდები მეზობელი ქვეყნებიდან.

სომეხთა განმანათლებლის გრიგოლის (რომელიც, აგრეთვე, კესარიაში გაიწრთენა და ხელდასხმაც ბასილი კესარიელისაგან მიიღო) შთამომავალ ნარსეზე, რომელიც სომეხთის მღვდელმთავრად იქნა არჩეული, ფავსტოს ბუზანდი გვაუწყებს, რომ: „С отроческих лет он воспитывался и учился в Гамирке, в городе Кесарии под руководством преданных учителей...“¹

ხოლო კაბადოკელი ქაბუკნი შინ არსებული არ კმაყოფილებოდნენ და ცოდნის ვიდრეაგების მიზნით, უცხოეთში მიედინებოდნენ, ისეთი მძლავრი ნაყოფით, რომ IV საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსი ლიბანიოსი ბასილი დიდს სამღერავს უთვლიდა, ხომ არ გინდა „სამღეთო მუხათა სამყოფელი“ კაბადოკიელუბით ვაყავს“ (გვ. 35).

როგორც ჩემს წიგნში „ორი ეტიუდი...“ არ-

¹ История Армении Фавстоса Бузанда. Перевод с древнеармянского и комментари Геворгяна, Ереван, 1953, გვ. 57, წ. IV, თ. III.

ის გაჩვენული, ბონტო-კაბადოკია ეთნიკურად განუყოფელი იყო კოლხური სამყაროსაგან, სადაც, აგრეთვე, IV საუკუნეში არსებობდა უმაღლესი რიტორიკული სკოლა, რომელზედაც ს. ყაუხჩიშვილი ამბობს: „IV საუკუნის შუა წლებში კოლხეთში ფოთის მახლობლად, არსებულა რიტორიკული განათლების ცენტრი, სადაც განათლებას ღებულობდნენ ბიზანტიიდან საგანგებოდ მოვიდნებული ახალგაზრდები“ (გვ. 42).

ამ სკოლაში მიუღიათ განათლება, სხვათა შორის, ბიზანტიად რიტორსა და ფილოსოფოსს თემისტოქოსს (დაახლ. 317—388) და მის „მამას ევგენიოსს, რომელიც განთქმული მასწავლებელი იყო ფილოსოფიისა კონსტანტინოპოლში“ (იქვე).

თემისტოქოსის სიტყვით, კოლხური სკოლის მოძღვარი „ასწავლიდა იმას, თუ როგორ გაიწრთება რიტორიკულ ხელაქნებაში. და როგორ ბრწყინავდენ ელითა დღეობებზე“ (იქვე).

როგორც ითქვა, კაბადოკია და კოლხეთი ეთნიკურად ერთიანი იყო, ამ ერთიან ეთნიკურ ქართულ სამყაროში იმ ეპოქისათვის ორი უმაღლესი სკოლის არსებობა ისეთი უნიკალური მოვლენაა, რომელიც სიამაფით აღვსება ყველა ქვეყნის შვილს, ასეთი რამ თავის სამშობლოში რომ ჰქულებოდა.

ამ სამყაროს მაღალი კულტურული დონე მოსიანს კიდევ ერთ საგულსხმბო ფაქტიდან: მსოფლიო ისტორიის ისეთი დიდი მოვლენისათვის, რომელშიც ძველი სამყაროს კულტურულ განვითარებას ახალი ეგვიპტისა და ქრისტიანობისათვის იმდენი და ესოდენ სახელოვანი მოღვაწენი მამინდელი მსოფლიოს არცერთ ქვეყანას არ მიუცია, რამდენიც კაბადოკიამ. დღემდე საქვეყნოდ ცნობილ კაბადოკიელ სახელოვან მოღვაწეთა პლუტარხს მომავალში გვერდს დაუშვებებს კვლავ არა ერთი თვალსაჩინო პარაგრაფი, რომელთა სახელებიც გაფანტულია ავტორგრაფიული მწერლობის ძეგლებში და რომელნიც გამოვლინებას ელიან.

კაბადოკიელ ბერძენს ლეონიდის ბერძნულ ენაზე დიფერია კაბადოკიის სავიკლესიო ისტორია, რომლის შინაარსს მხოლოდ ციმპერერის წიგნის მეშვეობით ვიცნობ. ავტორს თავის წიგნში ნათქვამი ჰქონია, რომ, თუ სხვა ქვეყნებს შეუძლიათ იამაყონ იმათ, რომ მათი წილიდან გამოსული არიან საქვეყნოდ ცნობილი აღამიანები: ათანასე — ეგვიპტიდან, იოანე ოქროპირი, — სირიიდან, ამბროსი — იტალიიდან, აგუსტინე — აფრიკიიდან — „კაბადოკიის ცაზე ბრწყინავს შვიდი მთიები: ფირმილიონისი, გრიგოლ თავმატურჯი, ლეონტი, ბასილი, ორივე გრიგოლი და ამფილოქე იკონიელი“ (გვ. 37).

ხოლო ზემოთ უკვე მოხსენებული ფ. ფარარი ამბობს: „თუკი კაბადოკიაში ბლომად იყო ისეთი სახელები, როგორც ბასილი დიდისა და

გრიგოლ ღვთისმეტყველისა, თუკი აქ ბლომად იყო ოჯახები, რომლებსაც შეეძლოთ ეამაყნათ ისეთი ღვდებით, როგორიც იყვნენ ემეტილია და ნონა, ისეთი ასულებით, როგორც მუკრინა და გორგონია, ისეთი ძმებით, როგორც ბასილი დიდი და გრიგოლ ნოსელი, კესარიოსი და გრიგოლ ნაზიანზელი, ჩასაკვირველია, ეს ის ქვეყანა იქნებოდა, რომელსაც ადვილად შეეძლო აღეჭრა პატრიოტიზმი“ (გვ. 36—37).

როგორც ვხედავთ, კაბადოკიელი მოღვაწეებისათვის, რომლებიც თვითონ იყვნენ უღიდესი ღირსებით აღსავსენი, არა თუ სათაყლო და დასამადო არ უნდა ყოფილიყო მათი ერთგუნული კეთვნილება, როგორც მათ ამას ერთგებულად მიაწერს ე. ხინთიბიძე, არამედ, პირიქით, ყველაფერი ზელს უწყობდა, რათა მათ ამით ეამაყნათ.

დავეშვათ, რომ ბერძნული და ქართული სამყაროების განვითარების დონე ერთმეორის ექვივალენტურად არ უნდა ვივარაუდოთ, მაგრამ არ არსებობს საფუძველი იმგვარი წარმოდგენისათვის, რომ ბერძნული უმაღლეს მწვერვალზე იყოს ასული, ქართული კი — ქაოპში იყო ჩაფლული და მის შვალელებსაც, ამის გამო, თავიანთი წარმომავლობა სიმარცხენოდ მიაჩნდათ.

ძველი ქართული სამყარო არც IV საუკუნეში, არც მასზე უწინ და არც შემდეგში არასოდეს ყოფილა ისეთ საგაღალო მდგომარეობაში, რომ ის სამარცხენოდ მოსჩვენებოდა ან შინაურსა და ან გარეულს.

ამასთანავე, აქ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი უნდა აღინიშნოს.

ე. ხინთიბიძემ წამოაყენა მოსაზრება, ეთოიმე ქრისტიანული ეკლესიისათვის სათაყლო და საწითობი ყოფილიყოს არაბერძნული, ე. წ. „ბარბაროსული“ სამყაროდან გამოსულ მოღვაწეთა ეკლესიის შესვერებდად აღიარება.

ჩემს წიგნში, სხვა მისილსთან ერთად, მოვიტანე ადგილი სახარებიდან, სადაც გამოთქმულია მოწოდება, რომ უნდა გადღალხულ იქნას აღამიანთა გამოყოფი ერთგუნული და სოციალური ზღუდეები და ეს იყო იმ დროისათვის ყველაზე უფრო პროგრესული და პოზიტორი, ჩასაც კი ქრისტიანობა ქადაგებდა — ყველა ერთმეორის თანაბარ ტოლფასად უნდა იქნეს მიჩნეული (გვ. 70-71).

რომ, მართლაც, ქრისტიანული მოღვაწის ერთგუნულ თუ სოციალურ წარმომობას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, ამას გვიდასტურებს ის გარდაუვლი ფაქტიც, რომ საყოველთაოდ აღიარებულ მსოფლიო ეკლესიის მესვერთაგან ნამდვილი ბერძენი თითქმის არც ერთი არ იყო.

აი, ამ მხრივ რა სურათს ვხედავთ: ბასილი დიდსა, გრიგოლ ნაზიანზელსა და გრიგოლ

ნოსტის ვარდა, რომელნიც ქართული სამყაროდან იყვნენ, სხვა დანარჩენთაგანს!

ვენატე ანტიოქელი (მეორე, თუ მესამე ეპისკოპოსი) — შთამომავლობა უცნობია, ფიქრობენ, რომ ყოფილი მონა იყო.

წმ. პოლიკარე (სწორნიე ეპისკოპოსი), ბავშვობაში გაყიდული მონა იყო, სიიდან იყო შთამომავლობით, ცნობილი არ არის. დაბ. უნდა იყოს ახ. წ. 70 წ.

წმ. ირინე — არ არის ცნობილი, ბერძენი იყო, თუ სირიელი; აღმოსავლური წარმოშობისა კი იყო. დაბ. ალბათ 120—125 წლ. შორის.

წმ. იუსტინე — სამართელი და წარმართი იყო (II საუკ. მოღვა).

ტერტულიანეს მშობლები აფრიკაში ცხოვრობდნენ წარმართულ ქალაქში, და წარმართები იყვნენ.

წმ. კობრიანე კართაგენელი, დაბ. 200 წ. მახლობლად, ქ. კართაგენში, წარმართი მშობლებისაგან, 46 წლას ასაკამდე წარმართი იყო.

ელემენტი ალექსანდრიელი, — სად არის დაბადებული, ცნობილი არ არის დაბადებულია 155 წლ. მახლობლად, როგორც ფიქრობენ, წარმართი მშობლებისაგან.

ორიგენი — ალექსანდრიაში დაბადებული 185 წლის მახლობლად. დანამდვილებით არ არის ცნობილი, რა ეროვნებისა იყო. დედა ებრაელი უნდა ყოფილიყო.

ენა და ქვემოტონიე არა საკუთრივ ბერძნულ სამყაროში არიან დაბადებულნი.

წმ. ილარია ჰიკაგელი — მშობლები წარმართები იყვნენ და თვითონაც ალბათ მიწოდულ ასაკში მონათლან.

მარტინ ტერელი, დაბ. 336 წ. პანონიაში, წარმართი მშობლებისაგან.

გრაგოლ თემატურაგი, ნეოკესარიელი, დაბ. 221, წ. მახლობლად, წარმართი მშობლებისაგან.

ამბროსი მედიოლანელი რომაული სამყაროდან არის.

ნეტარი პიერონიე (IV საუკნ.) აგრეთვე რომაული სამყაროდან არის.

ნეტარი ავეუსტინი — ნემლიაში 354 წ. დაბ., მამა წარმართი იყო, დედა ქრისტიანი.

იოანე ოქროპირი — 347 წ. დაბ., ანტიოქიაში.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პირნი მოღვაწეობდნენ II-IV საუკუნეების მან-

¹ მასალა ამოღებულია: Ф. Фаррар. Жизнь и труды святых отцов и учителей церкви. Перевод с английского А. П. Лопухина.

ქალზე. როდესაც, ე. ხინთიბიძის წარმოდგენით, ძალაში იყო ქრისტიანულ მოღვაწეთა შორის ბერძნული თუ წარჩინებული შთამომავლობისათვის უპირატესობის მიტევა, რის წინაღობდაც მოუხდათ ბრძოლა ბასილის ბიავრადებს, რათა ეს ხალხები თუ სხვა სამარცხეინო ეთნიკური სამყაროს შვილი „ეკლესიის მამად ექციათ“.

ყველა ზემოთქმული იძლევა საფუძველს, რათა დავასკვნათ, რომ ე. ხინთიბიძე არ არის მართალი იმაში, რომ:

1. მე თითქმის მივითვისე მისი შეცნობილი მიღწევა, ანდა მხოლოდ გავიზიარე იგი. მე ჩემი, სრულიად დამოუკიდებელი, ამასთანავე, გაკლებითი შეყრის და მართალი გზით, განსხვავებულ¹ ასპექტში უფრო დამაჯერებლად დავამტკიცე „სამი დიდი ეპადოკიელის“ ქართულ სამყაროსადმი კეთვნილება.

2. ე. ხინთიბიძეს არ წამოუყენებია „სამი დიდი ეპადოკიელის“ ენათობის საკითხი, იგი აღმოკცნა ჩემს წინაშე, ამის შედეგად, რომ ჩემს წიგნში „მოთხრობაზე პონტიკელზე“, უამრავი მასალის საფუძველზე დავრწმუნდი, ეპადოკიელებისა და მესხების (ქართველების) იგივეობაში. აღნიშნული წიგნის პარალელურად ეს თემა მე შევადგობდა.

3. ე. ხინთიბიძე ცდილობს მის მოსაზრებათა წინააღმდეგ ჩემს შივრ მოტიანი პონტიკური მასალისათვის, განუწყვლად, დღემდე გზის ავლით, დაფაროს სინამდვილე და შექმნის თავისი დაუსაბუთებელი მოსაზრებების შესახებ დაუბნობა შთაბეჭდილება.

4. ე. ხინთიბიძე უმართებულოდ მიიჩნევს ძველ ქართულ სამყაროსა და ქართველ ტომებს აძლენდა ჩამორჩენილად, რომ მის შვილებს სამარცხენოდ მიიჩნდათ თავიანთი ენათობის გამვლადება. არ მოაქვს რა ამის სათლეს-ტრაქიოდ არავითარი საბუთი, ე. ხინთიბიძე თავისი წიგნის შეთხვევს უმაღლეს ბეჭეველებს. არა მასალას, რაც მისი დაუსაბუთებელი მოსაზრების წინააღმდეგ მკვეთრად შეტყვევებს.

5. ასევე იქცევა ე. ხინთიბიძე იმ საკითხში, რომ თითქმის ქრისტიანული ეკლესია თავილობდა მსვენებრებად ჰყოლიდა არა წარჩინებულ სამყაროს წარმომადგენელნი.

6. სრულიად უსაუფუძლოა ე. ხინთიბიძის ეჭვი იმის შესახებ, IV საუკუნეში არსებობდა თუ არა ეპადოკიელთა მშობლიური (ეპადოკიური) ენა. აქედ, მკვერემეტყველური პირველწყარობის მოწმობათა და მეცნიერულ მონაცემთა წინააღმდეგ რისიღე თქმის ვარაუბ, მხოლოდ დემილისა და ვერდის ასევეის გზით, ცდილობს იგი თავი დააღწიოს უხერხულ მდგომარეობას.

„ესე ამბავი სპარსული...“

შეტად ძნელია ვაქმა მოთმინოს, ესე იგი, დათმოს, გულგრილად მოეცეს იმ საქმეს, რაც შეეხება ეროვნულ საუფრეს. უნდა ვიყო-დეთ, რომ ჩვენი ერა, ქართველი ხალხი არა-ვის აპატებს, ვინც შეეცდება, ნებით თუ უნებლიეთ, დაამცროს მისი გენოსების ნა-მიღვაწარი, მათ მიერ შექმნილი კულტურა.

დღეს შ. რუსთველის გარშემო უკვე აღარ უნდა იწერებოდეს უსაფუძვლო და დაუსაბუ-თებელი ჰიპოთეზებიც კი. ორ საუკუნენახვ-ვარზე შეტია, რაც რუსთველოლოგია არსე-ბობს და ნუთუ არ იქნა დადგენილი „ვეფხის-ტყაოსნის“ ძირითადი საკითხები? ამ შემთხვე-ვაში მხედველობაში გვაქვს პოემის ორიგინა-ლობის საკითხი.

დიდმა ილიამ და გენიოსმა ვაჟამაც სამარ-თლიანად გაილაშქრეს ნიკო მაჩის მტკიცების წინააღმდეგ, თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ ნა-თარგმნი პოემა ყოფილიყო. ეს ყველასთვის საკმაოდ არის ცნობილი. მაგრამ დღეს კიდევ თუ დაისმებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის ან სიუჟეტის ნასესხობის საკითხი, ამას კი აღა-რავენ მიელოდა. ცხადია, ამ ამბავმა შეე-ამა-ღელა და ამბავბინა ხელში კლამბი, რათა, ერაზულ კიდევ, გამოეთქვა ჩემი დამოკიდებუ-ლება ამ საკითხისადმი.

1970 წლის 15 სექტემბერს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდ-ნეობის ინსტიტუტში ორანსტოა შორივ სემი-ნარზე ინსტიტუტის სპარსული ფილოლოგიის განყოფილების გამგეს, პროფესორ მაგალი თოდუას, მოხსენება წაუკითხავს. თემა მოხ-სენებისა ყოფილა „მცირე ცნობები „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ“. ამას გვამცნობს ეტრნა-ლი „მაყენ“ № 4, 1970 წლისა. ამ ქრონიკაში, რომელიც შეუდგენია ინგა კალაძეს, აღნიშნუ-ლია, რომ: „პოემის პროლოგსა და ეპილოგში

რუსთაველი რამდენჯერმე იმეორებს, რომ მან გალიქსა ამბავი. ამ ამბავს იგი უცხობს, ხოლო ერთგან ვარკვეულად სპარსულს უწოდებს. ამასთან დაკავშირებით წარმოიშვა აზრი პოე-მის ფაბულის შესაძლებელი ნასესხობის შესა-ხებ (ნ. ნიკოლაძე, ივ. ჯავახიშვილი, ნ. მაჩი, იუსტ. აბულაძე, ს. კაკაბაძე და სხვ.), რასაც რუსთველოლოგთა ერთი ნაწილი უარყოფს. მაგრამ ამ აზრის არც მომხრეთ და არც უარმ-ყოფელთ „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის (ე. ი. ამბის ჩონჩხის და არა სიუჟეტის) პარალელე-ბი აღმოსავლურ ლიტერატურაში არ უძებ-ნით, ისინი ამბის წარმომავლობას მხოლოდ ქართული მასალებით იკვლევდნენო“.

თი თორმე რაში ყოფილა საქმე! გამოდას, რომ ისინიც კი, ვინც იმ აზრს ემხრობოდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულა ნასესხები ყოფი-ლო სპარსული ლიტერატურადან, პოემის „ამბის წარმომავლობას მხოლოდ ქართული მასალებით იკვლევდნენო“. ეს რაღაც დიდი ვაუტებობაა და არ ვიცი, ვის მიეწერება, ინ-გა კალაძეს თუ მაგალი თოდუას? ძნელად დასაჯერებელია, რომ მაგალი თოდუა, რომე-ლიც სხვა ირანისტებთან ერთად, იუსტინე აბუ-ლაძის მოწაფე არის, იმას დაიჩემებს და იტყ-ვის, რომ იუსტ. აბულაძეს აღმოსავლურ ლი-ტერატურაში არ უძებნია „ვეფხისტყაოსნის“ პარალელები?

1967 წელს უნივერსიტეტმა გამოსცა იუს-ტინე აბულაძის რუსთველოლოგიური ნაშრო-მები, პროფ. ი. მეგრელიძის რედაქტორობით. ამ წიგნში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათ-მობილი იუსტ. აბულაძის მიერ სპარსული ლიტერატურის ნიმუშების და მათი გავლე-ნების საკითხებს. 1903 წელს იგი წერდა: „ამ-ღროინდელი არაბული და სპარსული ლიტე-რატურები იყო მთელი აღმოსავლეთის ფაბრ-

ზისი და ოცნების ნამდვილი საღარო. უამრავი მოთხრობები ზღაპრული ან რომანული, ტრაილისა და ავთანდილისებური საგმირო საქმეები, რომლებიც ნაწილობრივ იყო მთელ აღმოსავლეთში და ნაშტურად ღრდ ირანში და რომლებიც დიდს სისწრაფით ვრცელდებოდა მთელ მსოფლიო ლიტერატურაში, რა თქმა უნდა, გავრცელდებოდა და ჩამყნებოდა ისეთ გმირულსა, საოცნებო და საზღაპრო ქვეყანაში, როგორც უნდა ყოფილიყო თამარის დროის საქართველო, რომლის კულტურული ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული სპარსეთთან...¹ ამ დებულებებში ბევრი რამ სადავოა. მაგრამ ის ხომ ცხადია, რომ აქ არ არის აღმოსავლური კულტურის უაღრესად უპირატესი, აქ გავრცელებულია აღმოსავლური და კერძოდ კი ირანული კულტურის გავლენა ქართულზე: იქნებ ვინმემ ისიც თქვას თვით თამარისდროინდელი საბელმწიფოც, მისი ეკონომიკა და ძლიერება სპარსელების ან არაბების წყალობა ყოფილა?

დღემდე, როგორც ჩანს, კიდევ ბოგინობს ყალბი დებულება, თითქმის ქართული კულტურა აღმოსავლურისა და დახავლურის ხინთებს წარმოადგენდა. ბევრს ეშლება ორი სრულიად სხვადასხვა საკითხი: კულტურის წარმოშობის, მისი ეროვნული, თვითმყოფადი ბასიითისა და ხალხთა ურთიერთ კულტურული გავლენისა.

როცა ვამბობთ „ქართული კულტურა“, ეს მხოლოდ ქართველი ხალხის კულტურაა, მისი შემქმნელი ქართველი ხალხია და ამიტომაც ჰქვია მას ქართული. ასევე, ჩვენ არ ვიჩვენებთ, რომ სპარსული ან არაბული კულტურები ჩვენი, ე. ი. ქართველების გავლენით შეიქმნა და რაღაც სინთესის წარმოადგენენ, სულ სხვა საკითხია სხვადასხვა ხალხთა კულტურების ურთიერთობისა და თუნდაც ურთიერთგავლენის საკითხი.

ყველა ხალხს, პატარას თუ დიდს, აქვს თავისი ფსიქიკური წყობა, თავისი ენა და თავისი კულტურაც. არის ეროვნული კულტურები. არის აგრეთვე ზოგადკაცობრიული კულტურაც. მაგრამ ეს ზოგადკაცობრიული ანუ მსოფლიო კულტურა შედგება ყველა ეროვნული კულტურისაგან. ცხადია, ეროვნულ კულტურებს ბევრი რამ საერთო აქვთ. მაგრამ, როდესაც ლამაზაია ეროვნულ კულტურებზე, მაშინ მხოლოდ კეთილდა სპეციფიკურზე, ე. ი. ეროვნულ მხარება თუ თვისებაზე, რაც დამახასიათებელია სწორედ ამ კონკრეტულად აღებული კულტურისთვის, მისი შემქმნელი ხალხისთვის.

დაბს, შოთა რუსთველმაც სწორედ თამარ

მეფის დეალებით დაწერა „ვეფხისტყაოსანი“ და, როგორც ვახტანგ VI მიუთითებდა, ეს იმ-იტომ დაეკლებოდა თამარ მეფეს: „თუ კი სპარსულად ასეთ ტყბილ ლექსზე წერდნო, ჩვენ ჩატომ არ უნდა შევიქმნათო მსგავსი ნაწარმოებები. და ნუთუ ქართველებს სპარსელებმა და არაბებმა გვასწავლეს ლექსის, იგავის ან ზღაპრის შეთხზვა და წერა? მაშ ნუთუ ჩვენი უმდიდრესი ფოლკლორი, ხალხური ზეპირსიტყვიერება სხვა ხალხის გავლენით შექმნილა? ჩვენ სრულებითაც არ გვიანდა დავამციროთ სპარსული ან სხვა რომელიმე ლიტერატურა ან თუნდაც მათი ენა. ჩვენი პოეტი შეფეხვით კი აღნიშნავდნენ სპარსული ენის მუსიკალობას, მაგრამ ქართული ენა არავის დაუწუნია. ნუთუ ქართული ენა თავისი ვრცელ-ეული წყობით ჰგავს სხვა რომელიმე ენას? ან ქართული ენა შექმნილია სხვა რომელიმე ხალხის მიერ ან მისი დახმარებით? პირიქით, მე-10 საუკუნეში შეიქმნა ქართული ენის ქება და დიდება“² „ჩვენი ქართული ანბანი ერთერთი უღამაზესი და უნივერსალურია მთელ მსოფლიოში, ის არის უადრესად ორიგინალური“.

„ვეფხისტყაოსნის“ მთელი შინაარსი სწორედ ანტისპარსულია და ამბავიც და სიუჟეტიც თვით შოთა რუსთველის მიერ არის „ნაპოვნი“, ანუ მოგონილი, შეთხზული. შოთა რუსთველმა კარგად იცოდა, რომ მეტად „საპოქმანო“ საქმევე აკეთებდა და, ალბათ, ამიტომ, თავიდანვე ისეთი თადარიგი დაუბერია, რომ ვინიცაბა, მართლაც ატეხილიყო პექრობანი მისი პოემის ორიგინალობის თაობაზე, თვითონვე უშველა თავის „ნაპირებს“, „ობოლ მარგალიტს“ და თავის პოემაში ბევრგან მიგვიჩვენა მისი შინაარსის ეროვნულობასა და ორიგინალობაზეც. ამას ჩვენ ქვემოთ დავამტკიცებთ თვით რუსთველის პოემის მომველებით.

ამ თემაზე არსებობს დიდი მასალა: სტატიები, შრომები, რუსთველოლოგიური ლიტერატურა. მისი განხილვა აქ არ მივგანია საქიროდ.

ბევრი მკვლევარი თუ მეცნიერი ამოდ დაშვავა „ვეფხისტყაოსნის“, ასე ვთქვათ, „ორიგინალის“ ძებნაში. რას აღმოაჩენდნენ, რაც არ არსებობს ამ ქვეყანაზე უნდა ითქვას კი ერთი რამ: ყველა ის მკვლევარი ვინც „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხს დაუფიქრებია, შეცდომას უშვებდა, პირველ ყოვლისა, იმის გამო, რომ თვით პოემის ავტორის სტროფებს ვერ შეფრავდა თუ იგებდა სწორად. ეს სტროფები გახლავთ: მეცხრე („ევე ამბავი სპარსული...“), მეშვიდე („აქამდის ამხად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“) და ბოლოს, ათასქვამისამოკლამეშვიდე („ავბოენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთინი“).

¹ იუსტ. აბულაძე. „რუსთველოლოგიური ნაშრომები, 1967, გვ. 23-24.

მართლაც, მკითხველი თუ დააკვირდება ამ სტატიებს და მის შინაარსს, დღევანდელი ქართული (უფრო სწორად პოემის ენის შინაარსის დღევანდელი გაგებით) ისე გამოდის, რომ პოემა ყოფილა დაწერილი სხვა ენაზე (ერძოდ სპარსულად) და მის ავტორს ქართულად გადმოუთარგმნია. თანაც, ადრე „აქამდის“ ამახად ნათქვამი ყოფილა (ე. ი. პროზაული ნაწარმოები) და შოთას „ლექსად გარდათქვამს“, მარგალიტებად გაუწევია, გაუღვესაყეს.

შავალი თოდუა იმასაც კი ამტკიცებს, თითქოს მე-5 სტროფი: „მობრძანეს შთად საქებრად თქმა ლექსებისა ტბილისა“ იმაზე მიუთითებს, რომ იმ დროს ქართულ ენაზე არსებული სპარსულიდან ნათარგმნი პროზაული ნაწარმოები (ე. ი. „ვეფხისტყაოსანი“) და თამარ მეფის უბრძანებია შოთა რუსთველისთვის მისი გაღვესაყეს. თამარ მეფის თურმე უბრძანებია უკვე ცნობილი „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების და არა საკუთარი პერსონის საქებრად პოემის დაწერა.

ბა, მკითხველო, დაუკვირდი რა გამოდის ასეთი დებულებიდან? პოემის შინაარსი, მისი იდეები არ არის ქართული და არც ქართველის მიერ შეთხზული, პოემა პროზაულ ვარიანტად ქართულად შოთამდე არსებულია და ეს თურმე კარგადაც ყოფილა ცნობილი თვით თამარ მეფისთვის, რომელსაც შოთასთვის „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული ვარიანტის შილობდ ლექსად გადაკეთება უბრძანებია.

მაშინ როგორღა უნდა გაეგოთ მე-4 სტროფი „თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლ-დათხეული“? ან მე-7 სტროფის მესამე ტაქტი: „დაეწა რუსთველმან გაღვესკე, მისთვის (ე. ი. ტარიელისთვის) გულ-ლახვარსობილი“? შოთა რუსთველმა თუ შილობდ ლექსად გარდათქვა სხვისი ნაწარმოები, სხვის მიერ შექმნილი პერსონაჟი (ტარიელი) რატომღა იქნებოდა მისთვის (ან სხვისი გმირისთვის) გულ-ლახვარსობილი? სად არის ლოჯიკა!

რატომ იყო შოთა რუსთველი ტარიელისთვის ცრემლ-მეფშობელი? ან როგორ გაეგოთ მე-8 სტროფის მეორე ტაქტი: „ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ეცლობ, მისთვის მეცდარი“?

საქორდ მიგვანჩნია, ერთხელ კიდევ, ამ საკითხებს ვაუკეთ დასაბუთებელი პასუხი¹.

პირველი. რას ნიშნავს „ესე ამბავი სპარსული“? რუსთველი, პოემის ავტორი, ამით ხაზს უსვამს იმას, რომ პოემის ამბავი (ფაბულა და სიუჟეტი) არის უცხო ანუ სპარსუ-

ლი, ე. ი. არ არის ქართული ანუ ქართველი, არამედ ეს არის მამულიანური ქვეყნებისა და მათ ხელმწიფეთა ამბავი, რადგან სპარსული „ამბავი სპარსული“ იმას ნიშნავს, რომ პოემა ან მოთხრობა თითქოს სპარსულ ენაზე არსებობდა, პოეტი პოემის დასასრულს ზომ ასე ამბობს: „ესე ამბავი უცხოთა უცხოთა ხელმწიფეთანი“². აი ეს იგივე შინაარსის გამოხატულება, რომ ეს ამბავი არ არის ქართული, არამედ უცხოა, სპარსულია. ეს ნაწარმოები რომ ეინშე სპარსელის მიერ ყოფილიყო შექმნილი, რატომღა იქნებოდა პოემაში სპარსულების დამცირება და განქვეჩება? ეხატება VI, უბრველესმა რუსთველოვანმა, სარწმუნოდ განაცხადა, რომ ეს ამბავი, არავი (ფაბულაც და სიუჟეტიც) სპარსეთში არ არისო. ალბათ, ვახტანგ VI ეძებდა რაიმე ნაწარმოები შეიძლება არსებობდესო სპარსეთში და თითქოს ეს ამბავი ვაგლექსოს შ. რუსთველს. მაგრამ მეფე-პოეტმა და მეცნიერმა თავის „განმარტებში“ დაბეჯითებით განაცხადა, რომ შ. რუსთველმა ამბავიც თვითონ გააკეთა, მოიგონა, შეთხზა და ლექსადაც მანვე გარდათქვაო.

ინგა კალაშის ინფორმაციამ ვითხოვობთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მე-9 სტროფში ნახსენები „ესე ამბავი სპარსული“... პირდაპირი მნიშვნელობით შეიძლება იქნეს გაგებულ³. ეს სიტყვები, ალბათ, შავალი თოდუას მოხსენებიდან არის მოტანილი. უფრო მეტიც, იქვე ასეთი რამ წერია: „პოეტმა (ე. ი. შ. რუსთველმა, ვ. ლ.), თავისივე მრავალგზისი განცხადებისა თანხმად, გაღვესა არა უშეპაროდ სპარსული თხზულება, არამედ მისი ქართული პროზაული თარგმანი, ის იყო, „ხელიხელსაგოვანები“. ამ მხრივ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქართული მხატვრული პროზა ამ დროისთვის უმადლეს დონეზე იდგა არსებობდა, შავალითად, ახვევ სპარსული წარმოშობის პროზაული შედევრი „ვისრამიანი“⁴. „ვისრამიანი“ კი არის სპარსული წარმოშობის ნაწარმოები, მაგრამ საიდან და ან ვის მიერ დამტკიცდა, რომ „ვეფხისტყაოსანიც“ „ახვევ“ სპარსული წარმოშობისაა? რით დასაბუთებს ამას პროფ. შავალი თოდუა? საოცრებაა თუ ვინდად, აი ეს არის! მაშ როგორღა ისახული ქართული სინამდვილე ამ პოემაში? ან თამარ მეფის ქება შეუფარვით ნათქვამი როგორ უნდა გაეგოთ? გამოდის, რომ ვიღაც სპარსელს, შოთაზე ადრე, სპარსულ ენაზე შეუქმნია ისეთი პროზაული ნაწარმოები, სადაც ასახულია საქართველოში მომხდარი ამბავი, ფაბულა, ეს ვიღაცას ქართულად უთარგმნია, შ. რუს-

¹ ამ საკითხზე იხილეთ ჩვენი წერილები, „სიციარა“ № 5, 1967 წ. გვ. 83-91 და გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, № 29, 1968 წლის 26 ივლისი.

¹ მეცნე, № 4, 1970 წ., გვ. 240. ხაზგასმა ჩვენია.
² იქვე, გვ. 240, ხაზგასმა ჩვენია.

თვეს კი ლექსად გულწყვიან. ეს არის სარკის ვაკაბაძის დებულება, რომელსაც არავითარი მეცნიერული საბუთიანობა არ გააჩნია და მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია.

სად ვინახება შ. რუსთველმა, და ისიც „მრავალჯგის“, რომ სპარსული თხზულების ქართული პროზაული თარგმანი გავლექსეთ? ამაზე მეტი ბრალდება ვინა შეიძლება ვინმემ, თუნდაც ქართული კულტურისა და ლიტერატურის მტერმავე კი, წაუუწეროს ჩვეს ყველაზე უდიდესს და სათავადაუნებელ პოეტს?

მკითხველმა ისე არ უნდა გაგვიგოს, თითქოს ჩვენ არ გვესმოდას ან დიდ ცოდვად მიგვიანდეს ფაბულის ნასესხობის ამბავი, რასაც სპარსად ადგილი აქვს მსოფლიოს ხალხთა ლიტერატურებში. არა, ეს სულ სხვა საკითხია, მართლაც, შ. რუსთველსაც რომ იგივე უცხო ამბავი, ძველ ეთქვამთ, სხვისი ფაბულა, და დაეწერა მხატვრული ნაწარმოები, ამაში უჩვეულო არაფერი იქნებოდა. მაგრამ, როდესაც ასეთი რამ არ მომხდარა და, გინდა თუ არა, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა სხვისი მიერ თქმული ამბავი გავლექსათ, ეს არ არის სპარსი რამ. ეს უდიდესი პრინციპული საკითხია, ეს რომ ასე მომხდარიყო, მაშინ დაუჭერებელია ქართველ ხალხს ასე გაღმერთებინა პოემა, მისი იდეები და შიგ თვისი თავი ამოეცნო, რატომ ვაბდა ეს პოემა „სახარებაზე უფრო ტკბილი“ თუ მისი შინაარსი არ იყო ღრმა ქართული და მისი იდეები ასე მახლობელი ქართველი ხალხისთვის? რატომ „ვიკრამიანი“ ან სხვა რომელიმე (ნათარგმნი) ნაწარმოები არ არის ისე საყვარელი, როგორც „ვეფხისტყაოსანი“?

ნუთუ მკაცრი თოდება ერთხელაც არ ჩადგმებულა იმ საკითხზე, თუ რატომ აიღოვეს ქართველ ხალხს „ვეფხისტყაოსნის“ ბედნი? რატომ აიღო ილია და დიდი ეპიკა, ავტოთვე დიდი აკაკიცი, ნიკო შარის განცხადებამ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დედანი სპარსულ ენაზე საღდაც შეგებულია და შეიძლება აღმოჩნდეს? ვაჟა-ფშაველა აღმოსავლეთმცოდნე არ იყო, მაგრამ ღრმად იყო დაარწმუნებული, რომ შ. რუსთველის პოემა უაღრესად ორიგინალურია და ვერავითარ დედანს გარდა ქართლისა ვერაიენ და ვერსად ვერ აღმოაჩნეს. დიახ, ვინა ილიამ არ იცოდა პატივისცემა თარგმანისა და სხვა ხალხის პოეზიისა? მაგრამ, თუ რას წერდა დიდი ილია: „არავის აქვს უფლება ერს უმირებოდ, უსაბაბოდ, უსაფუძვლოდ შეუვიოს ის წმიდათა წმიდა, რომელსაც შეიდასი წელიწადია განუწყვეტლად შესტრფის და შეხარის“. და იქვე აკრიტიკებდა რა ნიკო შარის დაუსაბუთებელ დებულებას ილია ქაქუაძე ამბობდა „ბ-ში შარსი კარგად იცის —

რა ვანია ზეუნთის „ვეფხისტყაოსანი“ კარგად იცის, — რა ბურჯია იგი ჩვენი თავმოწონებისათვის, ქვეყნად ხმის ამქაყვებისათვის მამასილამე, თუ თანე დასაცხობი უნდა რამე უნდა, უკეთესი იქნება აქედამ დავეცოს, აქედამ შეგვიწეროს ციხე-სიმაგრე ჩვენი სხელისა და თავმოწონებისა“.

აკაკი წერეთელი კი წერდა: „...ეს ამბავი სპარსულით არ არის გადმოღებული, აქ უცხო არა არის რა და მოთხრობაში დასახტებულ ქვეყნები მხოლოდ გადარქმეული საქართველოს სხედასხვა კუთხეებია: ხალხიც ქართველია ტომია, და პოემის გმირებიც მათი წარმომადგენლებია. ამას იმათი ზნე, ჩვეულება, თვისება და ცხოვრების წესწყობილება გვიმტკიცებს“-ო.

ხოლო თუ რას ამბობდა ვაჟა: „არავითარი გეტი არ უნდა გვემოდეს იმაში, რომ „ვეფხისტყაოსნის“ არაკი ნამდვილი ამბავია, მომხდარი, საკარგველოში; ტარბელი, ათიანდელი, ფრიდონი, ინსტანდარტყანი, თინათინი და სხვა და სხვა ისტორიული პირები არიან გადასტყფერებულის სახელებით“.

მამასილამე, ვინც ვაითვალისწინებს „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ ქარგას, რაზედაც ამ ბოლო წლებში დიდძალი ნარკვევები გამოქვეყნდა, როგორ შეუძლია არ დარწმუნდეს იმაში, რომ შ. რუსთველმა თვისთი შექმნა ფაბულა და სიუჟეტიც თავისი პოემისა?

მეორე უნდა გავაკვიროთ, რას ნიშნავს სიტყვა „გეგე“, როგორ ესმოდა ეს შუა საუკუნეებში. ეს სიტყვა — „გეგე“ ზოგს დღესაც ახწევს და ჰგონია, რომ დღევანდელი პირდაპირი მნიშვნელობით, ე. ი. პოემის შინაარსით უნდა გაგვიგოს. თუმცა, თუ კარგად დავხედავდებით, ამ სიტყვას დღესაც შერბა ნაწილობრივ ისეთივე შინაარსი, როგორიც მას აღწერ, ე. ი. შუა საუკუნეებში, ჰქონდა.

ჩვენ როდესაც (დღესაც) ვამბობთ — „სიტყვა ვერ „მოიგონია“ — ეს ნიშნავს სიტყვა ვერ მომიგონია, ვერ მომიფიქრებია, ე. ი. ვერ შემეგონა. შუა საუკუნეებში და შემდგომ „მოიგონება“ და „მოიგონება“ თუ „გეგე“ „გეგე“ სინონიმები იყო. ამას ამტკიცებს, მაგალითად, შემდეგი ადგილები ი. შავთელის „ამდულ-შესილიან“. 81-ე სტროფიდან (3) „აღუა მოზარდი: სოგრატ, მოზარდი ქებისა მონად. ერთა სულელი“. ქების შესათხველად, ქების მოსაგონებლად (მონად) ძალა არ ეყოფა თვით სოგრატს, როგორც სულელს, არა ბრძენს.

ან ავიღოთ 84-ე სტროფიდან: „წერილო მომპოვნნი, თვისით მომგონნი“. ანდა 102-ე სტროფიდან: „პირველ წერანი და საწერანი

პალამიდისგან მოპოვნებულ არს“.

პროფ. ივ. ლომავილი, აბდულმესიანის კონსტრუქტორში მიუთითებს რა ტაბის წყაროს,

იმოწმებს ვიორგი ამარტოლის „ხრონოლოგას“ კონს. კლეოდის ნარკვევის მიხედვით: ხოლო წერილისა შეწყობა და რიცხენი, და საზომნი და სწონნი პალამიდეს მოიპოვნა (ბრ., გვ. 24).¹ ე. ი. ბერძნებისთვის ანანაი შეუქმნია, მოვლანია, გამოვლანია, უპოვნია პალამიდისს. ასევე 78-ე სტროფიდან: „ეოქვა ფინიკლნი არ აურცილნი — მათ ქმნეს წერითა მოვლანებანი“.

კომენტარში ივ. ლოლაშვილი წერს: „1. ძველი ტრადიცია ანბანის გამოვლენას მიაწერს ფინიკელებს. ბერძნულიდან თარგმნილი თხზულებების საშუალებით ეს კარგად ყოფილად ცნობილი ქართულებსთვის. ამარტოლის „ხრონოლოგიაში“ იკითხება: „წერილნი ფინიკელთა „მოპოვნეს“ (გვ. 24), „და წერილისა ვიძღრე-მე ფინიკელთაგან იტყჳან ძელენნი მოპოვნებას“ (გვ. 31)“.

„პოვნა“ და „მოვლანება“ რომ სინონიმებია ეს მრავალი მაგალითით შეიძლება დამტკიცდეს ძველი ხელნაწერებიდან² მაშასადამე, „ეპოვე“ ან „ეპოვენი“ ნიშნავს „შეთხზე“, „მოვივინე“, „გამოვივინე“ და ა. შ. ძველად ამბობდნენ ასე: „რა ხერხი, ღონე მოვიპოთ ამ საქმისათვის“, ე. ი. რა ხერხი თუ ღონე „მოვივინოთ“, „მოვიფიქროთ“.

ისტორიკოსი, მემატიანე — ბერი ეგნატაშვილი სწორად ხმარობს ასეთ გამოთქმას: „მოიპოვა ღონე ესეითარი“, ე. ი. ასეთი საშუალება, ხერხი მოივინაო.

შესამე რას ნიშნავს „ქართულად ნათარგმანებში“ რა შინაარსის გამომხატველი იყო სიტყვა „თარგმანი“ ან „ნათარგმანები“?

ეს სიტყვა არ არის ქართული. ის სპარსული ენიდან შეთვისებული არაბული წარმოშობის სიტყვაა. გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა, სიტყვა „თარგმანი“ ნიშნავს, აგრეთვე, „კომენტარს“, „განმარტებელს“, „განმარტებას“, „გაუმტობას“, ახსნა-განმარტებას. საინტერესოა ერთი ასეთი ფაქტი ზევის ტომონიქიაში. ყაზბეგთან ახლოს მდებარეობდა სოფელი „თარგმანი“, რომელიც წარმოშობილა შორეულ წარსულში არსებულ სოფელ „სათარგმნიდან“.³

ე. იონიშვილი აი რას წერს თავის „ზევის ტომონიქიაში“: „ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით, ძველ მოხუერში „თარგმანი“ ნიშნავდა ბუობას, თათბირს, მსჯელობას, რის გა-

მა თითქოს იმ ადგილსაც, სადაც ზევის თევკაცების ბუობა იმართებოდა, უწოდესო თარგმანი. რაკ ამ სახელწოდებას სხვა ახსნა არ მოეძებნება, ვემაოფილდებოთ ხალხური განმარტებით უოველგვაი კომენტარის გარეშე“.⁴

„თარგმანი“ რომ კომენტარს, განმარტებას ნიშნავს, ამიტომ უწოდა ეახტანე VI თავის ნაშრომს „თარგმანი“, ხოლო თეიმურაზ ბაგრატიონმა „განმარტება“. ორივე ეს ნაშრომი „ეფეხისტყაოსნის“ განმარტებას, კომენტარებს წარმოადგენს.

მაშასადამე, „ქართულად ნათარგმანები“ უდა ვაევიოთ, განუმარტოთ, ანუ ვთარგმნოთ როგორც „ქართულად განმარტებელი“, „ქართულად გასაქმობი“ „ქართულად გასაგები“, „ქართულად გაივითო“.

მე-9 სტროფის პირველი ტაეპი ასე უნდა გაევიოთ: ეს ამბავი უცხოა, ანუ სპარსულია, არ არის ქართველი, მაგრამ ქართულად უნდა ვაევიოთ, ქართულ ამბავად არის გასაქმობი, გასახსრევი. რატომ? იმიტომ, რომ საქართველოს ამბავი, თამარ მეფის ამბავი, შეფარვით მაქვს ნათქვამით, გვეუბნება პოემის ავტორი.

პოემის პაროლიკის სტროფები შინაარსობლივად ერთმანეთს უკავშირდებიან, ურთფერთს განმარტავენ და აესებენ.

შესაძლებელია დედანში ავტორს ჰქონდა „სათარგმანები“ და არა „ნათარგმანები“, რადგან ალიტერაციასთან ვეაქვს საქმე. ამ სტროფში ხომ ასეთი სიტყვებია: „სა-თარგმანება“, „სა-გომანები“ და „სა-კომანები“. მაგრამ, თუნდაც ეს სიტყვა „ნათარგმანების“ ფორმით იყოს, სულ ერთია, შისი შინაარსის განმარტება სხვანიორად არ შეიძლება, ე. ი. სიტყვის „პირდაპირი ვაეებით“, როგორც ეს ჰქონია მაგალი თოდუას, თითქოს შოთას სპარსულიდან ქართულად ნათარგმნი ამბავი ვაელექსოს.

მაგალი თოდუა დარწმუნებულია და უნდა ჩვენც დავუფეროს ამაში. აი რას წერს იგი თავის წიგნში — „ქილილა და დამანას“ საბასეულ ვერსიაში: „როგორც ჩანს, ამ ეპოქისთვის (ე. ი. შუა საუკუნეებისათვის, ქ. ლ.) ნიშანდობლივია ერთი ენიდან თხზულების ჯერ პროზად, ამბად თარგმნა და შერე ვალექსვა, ასე შეიქმნა „ვეის-ო რამინი“. ფალფერი ძველი ჯერ ახალ სპარსულ ენაზე იქნა ვაღმთარგმნილი, ხოლო შერე ეს თარგმანი ვალექსვა ფახრ ედ-დინ გორგანელმა დაახლოებით ასე უნდა შექმნილიყო „ეფეხისტყაოსანიც“. ბევრი მკვლევარი და ჩვენი საზოგადოების ღიდი ნაწილი რატომღაც ანგარიშს არ უწევს თავად პოემის ავტორს, რომელიც თთხერე აშკარად და საგანგებოდ აცხადებს, რომ იგი

¹ ძველი ქართული მეხოტბენი, II, ივ. ლოლაშვილის გამოცემა, 1964, გვ. 252.

² იქვე, გვ. 236.

³ იხ. ჩვენი წერილი „ლიტერატურულ საქართველოში“, № 29, 1968 წ., 26 ივლისი.

⁴ ე. იონიშვილი, ზევის ტომონიქია, 1971, გვ. 105.

ლექსავს მანამდე არსებულ ამბავს: ავტორის თქმით, ეს ამბავი სპარსული წარმომადგობისა იყო, იგი ქართულად ეთარგმნა, მოწონებლიდაი და მეტიად ვერცელებულიყო ხალხში, მან კი რკა პიოცა და ლექსად გარდასთქვა (ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვით მარგალიტი ობოლი ხელისხელ საგოგმანები, ვაჟე და ლექსად გარდავთქვი (9, 1-3). სხვაგანაც ავტორი ვეამცნობს: „ესე ამბავი გავლექსე“... (1666, 2). „დავქე რუსთველმან ვაღუქსე... აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილიო“ (7,3-4) თითქოს ეზინია კარგად ვერ გამოგონო, პოეტი ერთხელ კიდევ გვემოვრბებს: „ესე ამბავი უცხონი უცხოთა ხელმწიფეთანი... ვაოვენ და ლექსად გარდავთქვენო“ (1667, 2-4). ვეფხისტყაოსნის ყოფა, რეალობა, საკუთარი სახელები და ვარჯელ რომ ისლამურ აღმოსავლეთს ასახავს, ეს იქვს არ იწვევს, მაგრამ ცალ-ცალკე ამ კომპონენტებით პოემის ფაბულის სპარსულობა არ დამტკიცდება.¹ ხანგასმა ვეღვან ავტორისაა. შავალი თოდუა ხაზს ვანგებ არ უსვამს „ობოლ მარგალიტს“, რომელიც „ხელისხელ საგოგმანები“ ყოფილა და ეს იმიტომ, რომ მისთვის ხელსაყრელი არ არის დამტკიცდეს „ვეფხისტყაოსნის“ რიგიანლობა — „ვით მარგალიტი ობოლი“, ანუ ტარიელის (ვეფხისტყაოსანი მოყმის) ამბავი „ობოლი“, ანუ ერთადერთი ყოფილა ამ ქვეყანაზე.

შავალი თოდუა თუ ასე უჯერებს პოემის ავტორს, მაშინ რატომ სხვა ნათქვამს მისას არ აქცევს უფრადლებას? თუ უცხო, სპარსული ამბავი ვაღუქსა შ. რუსთველმა, მაშ რთვორღა მოახერხა თამარის შექება „შეფარვით, ქვემოთ მითქვამს, მიქაიო“? ანდა ასმათის პირით ვანცხადებულს „იმა მოყმისა ამბავი არსადა არ იმავებოსო“?

აქვე გვიჩნდა ვანემართთ 1667-ე სტრაფეში ხმარებული სიტყვა „ვილავფეთანი“. აქ სიტყვა ლაყობა წარმოდგენილია სხვა ფორმით. მხოლოდ რითმის გულისთვის არის „ფ“ და არა „პ“, რომელიც სწორი იქნებოდა. „ლაყბ“- არსებული წარმომშობის სიტყვაა. აქედან კი წარმომოგზია „ლაყობა“, რაც ნიშნავს გადასხვაფერებულ ლაპარაკს, აგრეთვე ფსევდონიმსაც. როგორც ირკვევა, ქველად ზეგში და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოში „სალაყბო“ „სათათბიროს“ ანუ საღისეულო ადგოლსაც ნიშნავდა. ეს სიტყვა უფრო ვასაგები ხდება, როდესაც სტრაფის სხვა ტაბებთან ერთად ვავაზრებთ. ამიტომ მოვიტანით ეს სტრაფე:

„დავითის ქნანი, ვითა ვთქვენ, სიჩაღუ,
სიხაფეთანი,
ესე ამბავი უცხონი უცხოთა ხელმწიფეთანი,
პირველ ზენი და საქმენი, ქეზანი მათ
მეფეთანი,
ვაოვენ და ლექსად გარდავთქვენ,
ამითა ვილავფეთანი“.

ზოგიერთ მეკლევარს ჰგონია, რომ ეს ბოროტმა ინტერპოლატორმა ჩაუმატა ამ შესანიშნავ პოემაში და იგი შ. რუსთველს არ ეკუთვნისო. მაგრამ ვერ ამჩნევენ იმას თუ რა მიზნით, რა შინაარსით არის ეს სიტყვა ნახმარი?

სწორად ეს არის „შეფარვით ნათქვამი“, ეს გამოთქმა ალგორიას, ვადასხვაფერებას, ანუ „ლაყობას“ ვულისხმობს და სწორედ ამბავ ამბობს შოთა უცხო ხელმწიფეთა ამბავი ვავლექსეო. ლაყობა დღევანდელი ვაგებით უშინარსო ლაპარაკს უდრის. მაგრამ შოთა რუსთველი ხომ „ობოლ მარგალიტს“, „ხელისხელ საგოგმანებს“, „ლაღსა და ღამაზს“ უწოდებს თავის ნაწარმოებს. „პირველ ზენი“ ხომ უმაღლესს ზნეობას ნიშნავს და ნუთუ მან ასეთი შეუსაბამობა დაუშვა? ავტორმა, რომელმაც პოემის პიროლოგში მთელი მწყობრი თეორია მოგვცა ხელოვნების ნაწარმოებთა შეფასებისა, ამ სიტყვით თავის შემოქმედებას ხაზი ვადაუსვია? არაბული სიტყვა „ლაყბ“ მრავლობითში „ალაყბ“ — წოდებას, ტიტულს, ფსევდონიმს ნიშნავს, როგორც ირკვევა, „ლაყობა“ ალგორიას, ვადტანიით მნიშვნელობით ლაპარაკს ნიშნავს, ქაჩავებული ვინთ ლაპარაკს. სპარსულიდან — „ალაფაჟი“ ან „ალაფაჟი“ ნიშნავს უშინარსო ლაპარაკს, შეუსაბამოს, უაზრობას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავიდანვე აღრევა მოხდა ამ უცხო სიტყვებისა ქართულში, ან და იმ დროს, ე. ი. შუა საუკუნეებში, „ლაყობა“ არ ეხმოდით დღევანდელი შინაარსით. ასევე ბევრი სიტყვა პოემაში. მაგალითად, „სალამი დავიფეთეო“, სიტყვითაც არ იყო შეურაცხყოფელი თქმა. დღეს კი დავიფებას არავინ იტყვის სალამის მოციქმის ვამოსახატავად. ბუღბუღლის საამო სტეენასაც ხომ ყფავს უწოდებდნენ. ასე რომ, „სალამი დავიფეთეო“ უნდა ვავიფეთ როგორც სალამს (მშვიდობის) ვაღობით წარმოთქმა, დავაღობება და არა დღევანდელი ვაგებით „დავიფება“.

მეოთხე, პოემის ავტორმა, შ. რუსთველმა, კარგად იცოდა, რომ „საუკუმანო საქმეს“ ავეთებდა. შენადვით, „შეფარვით“ საქართველოში მეფეთა ქებანი უნდა ვაქტვა და ამ დიდელ ალგორიულთა რომანის შემქმნით შეწევნოდა თამარ მეფესა და, ვანსაყურებით კი, დავით ხოსროს.

შ. რუსთველი თავისი პოემის ეპილოგში

¹ შ. თოდუა — „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია“, 1967 წ. გვ. 23.

აცხადებს, რომ „ესე ამბავი გავლექსე მე მათად საყამათებლად“. ამ საკითხს ერთგვარი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელი პოემის მიზანდასახულობის გასარკვევად. აქამდის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენმა კომისიამ ვერ გაასწორა ეს ადგილი. ჯერჯერობით ყველგან დამახინჯებულად წარმოდგენილია: „მე მათად საყამათებლად“. აქ ხომ დარღვეულია რითმა. ყველგან არის „არებლად“ და სტროფის მეორე ტაქტშია მხოლოდ „ათებლად“.

ამ საკითხს კიდევ ერთხელ იმიტომ ვეზებთ, რომ სიტყვა „საყამარებლად“ ნიშნავს „საქორწილოს“. აერთი ვეუბნებთ ამ სტროფში, რომ ეს ამბავი გავლექსე, ანუ პოემა ვუმდგენთ თამარ შეფს და მის მუდღუნს დავითს და მათ საქორწინოდ, მათი შეუღლების აღსანიშნავად დაჯერეთ ეს პოემა, ლექსი. სად უნდა ყოფილიყო თამარის და დავითის საქორწილო ამბავი აღმოსავლურ ლიტერატურაში? რატომ არ უფიქრდება მაგალი თოდუა ამ ამბავს?

კამარაში გატარება ქორწილის დროს იცოდნენ. ხმელს იშიშვლებდნენ, მაღლა შეკრავდნენ კამარას (სპარსულად—თაღს) და მ(ნ)ეფედლოფალს გაატარებდნენ.

როდესაც ტარიელი ნესტანის დეალებით ზეარაზშას ვლავს, აქაც კი მიგვანიშნა პოემის ავტორმა, რომ საქართველოს და მათი მეფეების ამბავი ჰქონდა მხედველობაში. ტარიელი, როდესაც ავთანდილს მოუყვება თავის თავგადასავალს და გახსენებს ზეარაზშელ სასიძოს, აი რას ეუბნება ავთანდილს: „უსისხლოდ მოვკალ იგი ყმა, თუცა ხმადა სისხლისა დენით“¹. ამა ღრმად ჩავუვირდეთ ამ სიტყვებს: რას ნიშნავს უსისხლოდ მოკვლა? მე დარწმუნებული ვარ, რომ აქ ნაგულისხმევაა გიორგი რუსის დამარცხება დავითის მიერ და საქართველოდან გაქეფება (უსისხლოდ მოკვლა, ე. ი. შორალური სიკვდილი). მაგრამ იქვე ამბობს გმირი, რომ თუმც, საჭირო იყო სისხლის დენით მოკვლაო. რატომ? ვითომ რა მნიშვნელობა ჰქონდა მკვლელობისთვის სვეტზე შეუტაკებდა თავს თუ მახვილი განგმირავდა და სისხლის დენით მოკვავდა?

ისევე, როგორც არაბ-ავთანდილს „ტკბილქართულით“ აღაპარაკებს და ეს არ არის შემთხვევითი ლაპსუსი, ასევე არ არის უაზროდ ნაშპარი სიტყვები „უსისხლოდ მოკვლის“ ამბავზე. მართლა „სისხლით ხამდა“ (საჭირო იყო) სასიძოს მოკვლა, რადგან „უსისხლოდ მოკვლულ“ ანუ საქართველოდან გაქეფებული გიორგი ბოგოლიუბსკი ხელმოკრედ შეეცადა ტახტზე ასვლის და მოაწყო ლაშქრობა.

ნუთუ ასეთი რამ მოხდა ინდოეთში ან სპარსეთში?

ჩაბრხაშასა და შავთელის, როგორც დიდ მებრძობეთა, როლი უფრო ადვილი იყო, ვიდ-

რე შოთა რუსთველისა, რადგან ჩაბრხაშა უცხად შავთელიც პირდაპირ, ყოველგვარი შენიღბვისა და შეღავრვის გარეშე, მიმართდნენ შვეთთათვის ქების შესხმას, ხობტანს.

ი. შავთელი ასე მიმართავდა თამარს და დავითს:

„თქვენთვის დიდებით, ცუდ მიღ-მოღებით სიტყვა შევკრიბე უნდო რამ ენით: კამს შემეწია, თვით შემეწია მესიკ-მგოსანიო, მესტროლბენით...“

შ. რუსთველი კი პოემის პროლოგში აცხადებს, რომ არ ვიცო რთგორ შეეკადრო შესხმა თამარის ღმის — დავითს. შემდეგ აქვებს თავის გმირს — ტარიელს, რომლისთვისაც „ცრემლშეფერობელა“ და ამ პოემის შემქმნით უნდა შეეწიოს, დაეხმაროს ტარიელს („მთი შეეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება“), ე. ი. პოემის მთავარი გმირია ტარიელი — „ვეფხისტყაოსანი მოყვამ. ამ მოყმის (ამბავი) თავგადასავალია მთელი პოემის მთავარი ღერძი.

შ. რუსთველი ერთ-ერთი პერსონაჟის, კერძოდ ასმათის, პირით გვითხრა მთავარი სათქმელი, რომ ეს ამბავი, ამ მოყმის ამბავი, მისი თავგადასავალი არსად არ აპოვებს, არ არსებობს და მას მხოლოდ მაშინ ვაივებს ავთანდილი თუ თვით ტარიელი ეტყვის და უამბობს თავის თავგადასავალს.

„იმა მოყმისა ამბავი არსად არ აპოვებს; თვით თუ არ ვითხრობს, არ ითქმის, არ ვისგან დიჯერების.“

ეს სტროფი კიდევ ერთხელ გვახსენებს და გვედასტურებს, რომ ტარიელის ამბავი, პოემის ფაბულაც და სიუჟეტაც თვით ავტორის მიერ არის გამოკონილი ანუ მოპოვნებული, შეთხზული და ის თავგან არსად არ „იმოღვება“, არსად არ არის.

მაგალი თოდუა კი აცხადებს, რომ: „დღემდე არ ჩანდა ძეგლი, რომელშიც „ვეფხისტყაოსნის“ მთლიანი ჩონჩხი იქნებოდა გამოკეთილი. ასეთი ძეგლი კი არსებობს; ესაა პოეტ ხოსრო ღვპღვეის (გარდ. 1325 წ.) მიერ ჩაწერილი „ჩარადარვიშინი“, კერძოდ მისი შოხანა რაინდის ამბავი“¹.

ჩვენ განვებ ხაზი ვაუწყებთ შოხანა რაინდის ამბავს.

შეიძლება მაგალი თოდუა ფიქრობს, რომ პოეტ ხოსრო ღვპღვეის ვარდა არავის უხსენებია შოხანა რაინდი? უნდა ითქვას, რომ შოთა რუსთველს ტარიელი გამოყვანილი ჰყავს პოემაში როგორც შავ ტაიჭზე მჭდომი რაინდი; ეს შავი ტაიჭი აიწუა მძლანდიცა ფრიდონმა. თამარის ისტორიკოსების ცნობებით დავით

¹ „მაცნე“, № 4, 1970 წ., გვ. 239-240. ხაზგასმა ჩვენია.

სოსლანს ჰყავდა ცხენი ზურდავი, ე. ი. ავეითელი ფერის ცხენი (ზურდავი სპარსულად ტყავილას ნიშნავს).

მაგრამ თუ ვერძმუნებით ი. შავთელს, დავით მის გამოყვანით ჰყავს შავ ტაიჭზე მჭლამ მჭედრად:

„სტავრა და ნახლი, არ ბილწ-კელ-ნახლი,
შოსიეს ტანსა მქვერსა ზუხნისა,
ვით მზე ღალია, ეგრეთ მალიად
მორბედავ შევა ტაიჭზე ზისა“.

ნიკო მარტი ამის გამო ამბობდა, რომ ხოტბის ობიექტი არ შეიძლება დავით სოსლანი იყოს, რადგან მის ზურდავი ცხენი ჰყავდაო. ჯერ ერთი, მეფეს ერთი ცხენი კი არ ჰყავდა, არამედ მთელი ჯოჯი (რემა) (ამიტომ იყვნენ — მეფინიბეთ-უხუცესებიც); მეორეც, ი. შავთელს ხომ მრავალჯერ ჰყავდა ნახული დავითი ცხენზედ ამჭედრებული და რატომ არ უნდა ვერძმუნოთ მის ცნობას, რომ დავითს შავი ტაიჭი ჰყოლია.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ვეფხისტყაოსანის“ მთავარი გმირი — ტაჩაგული ყველა თვისებით საოცრად ჰგავს ი. შავთელის მიერ დახასიათებულ დავითს და აგრეთვე „ისტორიანი დაახმანის შარავანდედთანის“ ავტორის მიერ მოცემულ აღწერილობას და შეფასებას დავით სოსლანისას. ეს არ შეიძლება შემთხვევითად შეიხინით.

ახლა შევეხოთ იმ საკითხს თუ რა არის „ახალი ცნობები“, მაგალი თოდუის მიერ მოკლულად.

მათლაც რომ აღმოჩნდეს და ე. წ. „ჩარღარევიანი“ არაქართულ ევრსიაში, არამედ სპარსულ დედანში მოთბობილი შოასანი ჩაინდის ამბავი დეტალებშიც კი დაეშობევს „ვეფხისტყაოსანს“ დაბედს ან სიუჟეტს. გვაქვს თუ არა იმის საბუთი ვაბტყიკოთ, რომ შ. რუსთველმა სპარსული „ჩარღარევიანი“ გავლენით შექმნა თავისი პოემა? ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება და აი რატომ. ჯერ არავის დაუმტკიცებია, რომ „მარამგულიანი“ ან „ჩარღარევიანი“ მე-14 საუკუნეზე ადრე იყოს შექმნილი. ხოლო თვით მაგალი თოდუაც აღიარებს, დოკუმენტრად მტკიცდება „ვეფხისტყაოსანი“, რომ თამარის დროს და მისი დავითით შეიქმნათ. ჩვენ კი ვიცით, რომ თამარ მეფე გარდაიცვალა 1213 წელს, ხოლო დავით სოსლანი 1207 წელს. დადგინალია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა 1196—1206 წლებს შორის პერიოდში.

მოკტი ხსროს დემლევი გარდაცვლილა 1325 წელს. ვაქვით, თუ მან „ვეფხისტყაოსანის“ დაწერამდე შექმნა „ჩარღარევიანი“, ეს უნდა მომხდარიყო 1200 წლამდე შიდაც. ამ დროისთვის

ის, სულ მეორე, 25-30 წლის ვაჟი მიერ უნდა უთფილიყო, ე. ი. ხოსრო დემლევი დახადებულა დაახლოებით 1170 წელს და ვერძმუნებულა 1325 წელს. ვამოძის, რომ მან უტრკსლუხა 1196-1195 წელიწადი, ეს ხომ ნაკლებად სარწმუნო რამ არის.

კორნელი კეკელიძე მიუთითებდა, რომ „ჩარღარევიანი“ მხოლოდ ნაწილი არის ქართულად აღმოსაზრებული სპარსულიდან და თანაც მე-16 საუკუნეზე ადრე არ ხერხდებათ ამ თარგმანის გადაწევა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მე-13 საუკუნის ბოლოს და, უფრო სწორად, მე-14 საუკუნის პირველ მეოთხედში ეს ნაწარმიუბი მხოლოდ სპარსულ ენაზე არსებობდა. იუსტიზე აბულაჰის მტკიცებით, შ. რუსთველმა არ იცოდა სპარსული ენა. მაშ რთვორ უნდა წაეკეთა შოთას „ჩარღარევიანი“ (უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვი: „ყისაჲ ჩაპარღარევი“)?

უფრო საფიქრებელია თამარის ეპოქის გავლისწინებით ვაბტყიკოთ, რომ შ. რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“ გავლენით შეიქმნა ბერძენი ნაწარმოები. მზე, ე. კვანლიძემ დასაბუთა, რომ „ვეფხისტყაოსანს“ გავლენით შეიქმნა ქართული „მარამგულიანი“ და შესაძლოა სპარსულმა მწერალმაც ქართული პოლიტიკის, იმპრონიდელი კულტურის გავლენის შედეგად შექმნა მსგავსი რამ. ჩვენ ვიცით, რომ „ვეფხისტყაოსანს“ მსგავსი არაფერი არსად არ შექმნილა. მთელი პოემა თავისი იდეებით წარმოადგენს შუა საუკუნეების ქრისტიანული კულტურის ბრწყინვალე შედეგს. რაც ყველაზე უმთავრესია პოემა დაწერილია ხალხური ენით. შ. რუსთველმა გადატრიალება მოახდინა ლიტერატურაში. მანამდე სალიტერატურო ენა მძიმე და ხალხისთვის გაუგებარი ან ანელად გასაგები იყო. შოთა რუსთველის ენა, მისი ლექსი, ხალხმა ზეპირად ისწავლა, რადგან „ვეფხისტყაოსანი“ ხალხის-ხერო და საერთო ენით იყო დაწერილი.

თუ ვინმე ემტერებოდა „ვეფხისტყაოსანს“, ძირითადად ამ მიზეზით, რატომ იყო ის დაწერილი ხალხური ენით.

ამვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ შეიძლება აღმოსავლურ ლიტერატურაში არსებობს რაიმეი შემოსილი ვეფხის ან ლეოპარდის ტყავით. ეს ვერაფერს ვერ დამტკიცებს. კენიელბი დღესაც კი ლეოპარდის, ვეფხის ტყავს იყვანენ ისევე, როგორც ზევსურები შელის ან სხვა ცხოველის თუ ნადირის ტყავს. ცხადია კენიელბს „ვეფხისტყაოსანს“ მსგავს ნაწარმოებზე წარმოდგენაც კი არა აქვთ. სპარსულ ლიტერატურაშიც არ არსებობს მსგავსი ნაწარმოები, არც პერსონაჟების სახელების მსგავსი სახელები გვახდება იქ.

აქ უნდა გავისხენოთ საზღვის თმოგველის (ემ-ტროსის) დამატება, ჩანართი „ვეფხისტყაოსანს“ ტექსტში, სადაც შოთას ამქმევივნებს ასეთ რა-

შეს: „ეკლავ ქებანი ვაკადრენ ეს მე, არვის უოქვამს ჩემსა წინა“, ე. ი. შოთაზე უწინ არავის უოქვამს თამარის ქებანი. ეს ადგილი თუნდაც ისე რომ გავივოთ, ჩემზე უკეთესად არავის უოქვამსო, სულ ერთია, ეს იმაზე მიუთითებს, რომ შ. რუსთაველმა თვითონ შექმნა თავისი პოემა. ამა გვიხსენოთ „თეიმურაზიანიდან“ ასეთი ადგილი:

„**ვუკვი ჩემგან უწინ ართქმული, არც შემდგომთ მოსაბოვარი.**“ (78)

ახრილ ბავრატონს შესანიშნავად სცოდნია, რომ რუსთაველს თვითონ შეუთხზავს „ვეფხისტყაოსანი“ და მის ორიგინალიზმში უკვეს შეტანა ახრად არ მოსვლია.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პოემას თოქმის ვეღლა სტროფი ქრისტიანული მოძღვრების დებულებათა პერიფრაზს წარმოადგენს, ცხადი გახდება „ვეფხისტყაოსნი“ **უადრესად ორიგინალიზმა.** პოემა მხოლოდ ფორმალურად არის უცხო, სპარსული მამულიანური,

დავგრა ერთი საკითხიც რას უნდა-ნიშნავდეს „ეთქვენი ქებანი ვისნი მე არავად გამორჩეული“, ანდა „აქამდის ამაღ ნათქვამი“, „მაჰ ვაქებ, ვინცა მიქია“?

„თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაახებაშო“, მეფე შოთა რუსთაველს პირდაპირ მიუთითებს და უსაყვედურებს, რომ შენ რატომ შეუქმნიდი ბასიანის ომს და ქალებთან იყავი ფეხმორთხული („**აბდულმარდიო**“). ე. ი. თამარის ისტორიკოსი „ისტორიანი და ახმანი შარაღდელთანში“ ასახელებს ი. შავთელს, ევლოვს, ყათალიანს და სხვა მღვდელმთავრებს, თანმხლებ პირებს, რომლებშიც შედგენდნენ ორბეხში მყოფ მეფე თამარის ამაღას. სარგის თმოგველი კი მხასარბლად არის გამოყვანილი, რომელმაც რქუნადინზე ქართულთა ჭარის გამარჯვება ამცხო თამარ მეფეს და მის ამაღას. საინტერესოა რატომ არ არის შოთა დასახელებული? ჩემი ფიქრით ის თვითონ არის ამ დროს მეფის მდივანი, მემატიანე, ავტორი ისტორიანისა და ახმანისა“ და ამიტომ არ ჩანს მისი პიროვნება მატარეში. საიდან იცოდა არჩილ მეფემ, რომ შ. რუსთაველს თამარ მეფის ამაღში ყოფილა როცა ისინი ვაჭარბიდან ორბეხში გადადიდნენ და ბასიანის ომის შედეგებს ელოდებოდნენ?

გვენთვის დღემდე არ არის ცნობილი წყარო, რომლის მიხედვითაც მტკიცდებოდეს, რომ შოთა რუსთაველი ორბეხში ყოფნისას ახლდა თამარ მეფეს. მაგრამ ეს ვარჯედ სცოდნისა არჩილ ბავრატონს.

ანტონ ბავრატონი ზომ მიუთითებს, რომ შ. რუსთაველს ჰქონია დაწერილი „თამარ მეფის ცხოვრება“ ანუ ისტორია. ეს საკითხი პირველად ილია აბულაძემ გაარკვია, ხოლო შემდეგ ივ. ლოლაშვილმა ამ საკითხზე სპეციალური გამოკვლევა დაწერა. შეიძლება ზოგიერთს ეპვი კიდევ აქვს ამ საკითხის ირგვლივ, მაგრამ უნდა ვიარწმუნოთ, რომ „ეთქვენი ქებანი ვისნი მე არა. მნათობი“, № 6.

ავად გამორჩეული“ და „აქამდის ამაღ ნათქვამი“, ჩემი აზრით, სწორედ ამაზე მიგვიითხებს. „**ქებანი**“ ისტორიას ნიშნავს, მათ ტემტებს—მეფეთა ქებანი“. არ არის აუცილებელი „ქებანი“ ან „ქება“ პოეტური ნაწარმოები ყოფილიყო.

ვინც დაეკირვებით შეაჯერებს „ისტორიანს და ახმანს“ და „ვეფხისტყაოსანს“, ბევრს საერთოს აღმოაჩენს მათ შორის. მატაიანის სათაურით კი პოეტური შეფერწევია შოთა რუსთაველი. ენა კი ისეთი მხატვრული და მაღალჭარღოვანია, რომ განსხვავდება სხვა მატაიანეთა ენისგან. „ისტორიანიში...“ არ არის მოხსენებელი ავრეთვე იმვეფხისტყაოსანის“ გმირთა საბელები. ეს იმით უნდა ახსნას, რომ ეს ისტორია დაწერილია 1196 წლამდე, ხოლო „ვეფხისტყაოსანი“ და „აბდულმესიანიც“ დაიწერა ბასიანის ომის შემდეგ, რადგან ამ ნაწარმოებებში მოცემული არის ამ ომის ანარქული და გამოჩატრლება, ორივე ნაწარმოები დაწერილია დავით სოსლანის ვარდაცალღებამდე. ივ. ლოლაშვილის დაყარვებით, „ვეფხისტყაოსანი“ და „აბდულმესიანი“ ზოგიერთ შემთხვევაში ერთმანეთს ემსგავსებიან ფრანკოლოგიურ დამხვევებით, და არა მარტო ფრანკოლოგიურად, არამედ იღუერად და შინაარსობრივად.

შავთელი თოღებს თუ ანტრერებს „ვეფხისტყაოსანის“ ორიგინალიზმის საკითხი გაარკვიოს, მაჰ, უპირველეს ყოვლისა, მთავარი ყურადღება უნდა მიექციოს შოთა რუსთაველის ნათქვამს „მისი (თამარის) საბელი შეფარეთ ქვემოტე (პოემში) მიუქვამს მიქია“-ო. თამარ მეფისა და დავით მეფის საქებრად „ჩარღარეოზიანი“ ვერაფერს საშახტის ვერ გადაუწვდა სწორეპოეგა, უბედულეფიოსს, რომელმაც სწორეპოეგა ოლტრატურაში ურთულესი და ბრწყინვალე სიუჟეტი შექმნა. ჭერ კიდევ ჩვენმა რუსთაველოლოგებმა დღემდე ვერ შექმნეს სრულყოფილი მონოგრაფია ამ პოემის სიუჟეტის თაობაზე.

დასაზანი გახლავთ, რომ არც ირანელი (სპარსელი) და არც სხვა ეროვნების კაცი, არავინ არ ედილობს და ფიქრობს „ლაამტკიცოს“ „ვეფხისტყაოსანის“ სპარსულიდან წარმომავლობა და ამას აყეთებს მხოლოდ ქართული მეცნიერი.

ქართული ევლტურის შეფასების თაობაზეც ასეთივე მდგომარეობაა. არავინ, არც ერთი ეროვნების მეცნიერი და მკვლევარი არ ამტკიცებს იმას, რომ ქართული ევლტურია აღმოსავლური და დასავლური ევლტურების სინთეზს წარმოადგენს. ამას იმეორებენ, და სრულიად უსაფუძვლოდ, ჩვენი, ქართული მკვლევარები და მეცნიერები. ამ ყალბ და არამეცნიერულ დებულებებს დღესაც იმეორებენ, მხოლოდ მაღალჭარღოვნად აცხადებენ და არ კი ასახუთებენ, რადგან ამას მეცნიერულად ვერ დაასახუთებენ.

ეს საკითხი საღისეულსი პირობებმა გახდა და რადგან ვერ კიდევ ბოგინობს ჩვეს ცხოვრებაში, სპიროს იქნება მეცნიერებმა და სხვა მოღვაწეებმა სათანადო გამოკვლევები მიუძღვნან ამ თემის. კიდევ ერთხელ მინდა აღენიშნო, რომ ქარ-

თული კულტურის გენეზისის საკითხი სულ სხვა არის და ქართული კულტურის ურიტობაში და ზეგაქცევაში სხვადასხვა ხალხთა კულტურებთან და კულტურებზე კი ასევე სულ სხვა პრობლემას წარმოადგენს.

ქართული კულტურა ქართველი ხალხის მიერ არის შექმნილი და ამიტომაც ეწოდება მას ქართული.

შოთა რუსთველის პოემა — «ვეფხისტყაოსანი» ქართული კულტურის უდიდეს მინაღწე-

ვარს, შედევრს წარმოადგენს. მისით ემაჯება და თავიც მოსწონს ქართველ ხალხს.

შოთა რუსთველი და მისი კვეფისტიციანი ასევე ეკუთვნის მსოფლიო ხალხებს, მსოფლიო კულტურას. შ. რუსთველის შემოქმედება, მისი ნააზრევი უაღრესად ეროვნულიც არის და ასევე დიდად ზოგადკაცობრიულიც. ამაშია მისი უკუდაება და მარადიულობა, ძველი ქართულით რომ ეთქვათ. მისი უიხქნობა.



გერონტი ქიქოძე

გერონტი ქიქოძე ხშირად მინახავს ქუჩაში მოსიარულნი, ტრიბუნაზე მდგარი, თუ შწერაღია სასახლის ბაღში შეგობებთან საუბრით გაბოთული. მას ყოველთვის დიდი ყურადღებით უსმენდნენ, ასე უსმენენ შორეული მოგზაური-ბიდან დაბრუნებულ კაცს ანდა მასწავლებელს.

— არა მართო გარეგნობა, მთელი მისი არსება სიკეთის ნიშნით იყო აღბეჭდილი. ვოლტერი ამბობდა: „მინდა აღამიანებს ორივე თვალი შეეწარჩუნოთ“. ეს დიდი სიტყვები ჩვენი სახელოვანი მწერლის შემოქმედების დედააზრად შეიძლება მივიჩნიოთ: ისიც ამისთვის იბრძოდა, ისევე, როგორც ყველა ჭეშმარიტი მწერალი.

როდესაც გერონტი ქიქოძეზე ვფიქრობ, ან როცა ჩემთვის მწერლის სრული პორტრეტი მინდა წარმოვიდგინო, რატომღაც ყოველთვის მახსენდება სიტყვები, რომლითაც მან თავისი ურმობისდროინდელი ერთ-ერთი მასწავლებელი დახატა: „ის მართლაც ნაშღვლი ავადმყოფისი იყო, თუ ამ ცნებას მისი პირვანდელი მნიშვნელობით გაიგებთ: იგი იყო ბაღში გამართული სკოლის ზღმძვანელი, პრაქტიკული ზნეობის და უფაქციების მასწავლებელი, ცხოვრების სიბრძნის ოსტატი“.

ზოგიერთივეთ, ის თავის ცოდნას არავის ამადლიდა, არც ზემოდან დაგვექვროდა მხოლოდ იმტომ, რომ ჩვენზე მეტი იცოდა. ის თავისი არსებობით თვითონ გვიბიძგებდა ცოდნისკენ და მართლაც სირცხვილად იყო, მის გვერდით

ყოფილიყავი და არაფერი გცოდნოდა. ის იყო ძველი სოფლის მასწავლებელივით, ან ექიმით, ანდა ანტიუტი ფილოსოფოსივით უბრალო, კეთილი და გულისხმიერი ადამიანი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა თავისი ხალხი, თავისი საშობლო — საქართველო, უყვარდა მისი წარსული, აწმყო და მომავალი. სამშობლო ყველას უყვარს, სწორედ ეს ერთდროულად საამერიო და მტკივნეული გრძნობა აქცევს კაცს ადამიანად, მაგრამ ნაშღვლი პატრიოტიზმა იწყება მაშინ, როცა გულს გონება ებოჭება, როცა შენი სიყვარულით პრაქტიკული საჩვეულობის მოტანა შეგიძლია.

„ხელოვნების დედააზრს არაფერი არ ეწინააღმდეგება ისე აშკარად, როგორც ნიშნების მიხედვით გაკრეპილი სულით“, — ამბობდა გერონტი ქიქოძე. ესეც მეტად საყურადღებოა, ეს უკვე მეტბოლო სიკეთეა, გონიერი, თვალახელილი სიკეთე, რომელიც შორიდან აკაკის ხმას ესრტყვება: „რაც არ იწყის, არ ანათებს!“

გერონტი ქიქოძეს აქვს ერთი პატარა წიგნი, ამ წიგნს „მოგონებები“ ჰქვია. ეფიქრობ, აკაკის „ჩემი თავდასაველის“ გვერდით, ისიც შეიძლება რომ სკოლაში ისწავლებოდეს — იმდენი სიწმინდეა იქ იმდენი სითბო, იმდენი საინტერესო ხასიათია დახატული. „მოგონებები“ დაწერილია ჭარმაგობის ეპოქაში, როცა ბავშვობისა და სიკვამლის ამღვრეული ჰაერი დაიწმინდა და სიმშრეულ განცდათა ქაოსიდან ამოანათეს კრილა ფერებმა. აქ ფრანსის სიმწიფის თავბრუდამხვევი სურ-

ნელი ასდის, რომელშიც უფრო მძაფრად, მე ვიტყვოდი, უფრო დრამატულად იგრობოდა სიციხის სურნელი. ვიდრე ნელი ბალახისა თუ ფოთლების სურნელია. ეს არის სწორედ ის „აბლაღატანბელი ოსტატობა“, რომლითაც ნამდვილ მწერალს ათას კალმოსანში ერთი შეხედვით გამოარჩევ ზოლებ.

შეიძლება ითქვას, რომ ჩემი თაობა ბენდიერ ვაისკვლავზეც დაბადებული. ფეხი იდგა თუ არა, ასა მერე, კარგა ხანს ნამდვილი მწერლების გვერდით უხდებოდა შრომა და თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა მათთან მომთხოვნელობისა და თვითონატროლის გრძნობას აღვივებდა ჩვენი. ზოგჯერ ამ ახალგაზრდა მწერლებზეც, რომლებიც მხოლოდ ახლა აღებენ ჩვენი ლიტერატურის კარს, გულისტვივლით ვეფიქრობ და აი რატომ: თუმცა ჩვენ დიდი მწერლებით ამჟამადად მდიდრები ვართ, მაგრამ ისინი ხომ ვერ მოესწრნენ ვალაკტორი ტაბოისს, გორგვი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, შალვა დიდიანის, ლეო ქიჩიელის, სიმონ ჩიქოვანისა და გერონტი ქიქოძის მგზნებარებასა და პირად მომზიდველობას. შეიძლება ისიც ითქვას, რომ არც ერთი სხვა ერის მწერლობის ასეთი მძიმე დანაკლისი არ განუვლიდა ასე მოკლე ხანში. ჩვენ ამ ტრილობას კიდევ დიდხანს ვერ მოვიშვებთ საკვირველი იყო მათი თითქმის ერთდროული სიყვდილი. ასე ჯარისკაცები კვდებოდნენ მხოლოდ.

ადამიანის მოქმედების ყველა სფერო ძიების დაუმცხრალი წყურვილითაა შთაგონებული. ჩვენ ვუძებთ ჩვენს თავს ბუნებისა და საკუთარი არსების წიაღში. მაგრამ, გამუდმებული ძიების მიუხედავად, სამუარო ჯერ კიდევ ამოხსნილი არ არის. ასევე ბოლომდე ამოუხსნელად ადამიანის არსებაც, რომელიც ხშირად შევლება მოულოდნელი ფორმით გვიმხელს საიდუმლოებებს. ამიტომ ლიტერატურა მხოლოდ გარსამაყაროს მიერ აღძრული ემოციების ფიქსაცია როდია, ის არის აღმოჩენაც და ამ ემოციების მორგანიზებელიც ერთსა და იმავე დროს და როგორც კულტურის იარაღი მიმართულია სიმბოლის, სიმარტოვისა და ბნელი ინსტიტუტების წინააღმდეგ. მე შობას ვარ ამ ზრისაგან, თითქმის ლიტერატურა ისეთივე კონკრეტულ ცოდნას ვააწვდის, როგორც მეცნიერება, მაგრამ რასაც ის ვეაძლევს, არც ერთ მეცნიერულ შრომას არ შეუძლია შეცვალოს — ეს არის აზვი, რომელიც ისევე აუცილებელია ადამიანისათვის, როგორც ჰერეი ან წყალი.

ბენდიერია ერთი, რომელსაც დიდი მწერლები უყვან და ათჯერ უფრო ბენდიერი, როცა ამ მწერლებს აფასებს.

გერონტი ქიქოძემ ქართულ მკითხველს ასე უჭა წიგნები, უბოძლასოდაც უახლესი ქართული პროზის განვითარების წარმოდგენა შეუძლებელია. „ზოგიერთი მთარგმნელი ეკრავნული ლიტერატურის განვითარებაში გამსაკუთრებით

მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მეორე მხრივ სიტყვებით საფრანგეთის მეფეების უხრს მოიღვარა ტაქ ამიომ ბერძნულიდან წარმართულად გადათარგმნა პლუტარქის „სახელგანმანბნებების ცხოვრებანი“ და ლონგუსის „დაფნისი და ქლოე“. ამ თარგმანების წყალობით ეყვამო ფრანსუა რაბლესა, მიშელ მონტენისა და ბლეს პასკალს გვერდით გრანგული პროზის ფუძემდებლად ითვლება — ეს სიტყვები გერონტი ქიქოძემ ივანე მაჩაბელს უძღვნა, მაგრამ დღეს სრული უფლება გვაქვს მისი როლიც და მნიშვნელობაც ასევე განვსაზღვროთ.

გერონტი ქიქოძე იყო ილიას, აკაკისა და ივანე მაჩაბლის მოწაფე, ქართული ენის ამ რეფორმატორების გვიანდელი, ერთგული თანამებრძოლი. გერონტი ქიქოძის მიერ თარგმნილი წიგნები შესანიშნავი ჭეგლებია ახალი ქართული სალიტერატურო ენისა. მან გავავაროდა შეგავარა სტენდალი, ჩვენი სიზაბუკის მღელვარე შეგობარი, გვაჩუქა ანატოლ ფრანსის „ღმერთებს სწუწრით“, ბალზაისა და მერიმეს მოთხრობები, დაგავტყვევა ალფონს დოდეს პოეზიით. თითქმის ახლა უკრო ჩამოსის და თავისი პირველი სიმწვენიერით ბრწყინავს დიდხანს წინათ გავონილი ფრაზა: „გნებავთ თუ არა, დაბაისელო, მოსიმინით მშვენიერი ამბავი სიუყარულსა და სიყვდილისა? ეს არის ამბავი ტრისტანისა და იზოლდა დედოფლისა. მოსიმინეთ, რა დიდი სიხარულით, რა დიდი მწუხარებით უყვარდათ ერთმანეთი, შემდეგ როგორ დაიხიესენ ერთ დღეს, ვაჟი ქალისათვის, ქალი ვაჟისათვის“.

რა შეიძლება ვუწოდოთ ასეთ მაღალ ხელოვნებას — მთარგმნელობა თუ დიდი მწერლების თანავეტრობა? სხვათაშორის, თავად მან, „სიყვდილით დასასჯელის უკანასკნელი დღის“ ქართულად მთარგმნელი თედო სახთოც ამ მოთხრობის თანავეტორად მიანდა.

გერონტი ქიქოძე დიდად აფასებდა და პატივს სცემდა ივანე მაჩაბელს. მართლაც იმეითად თუ ეიმე გრძნობდა ქართული ენის ფსიქოლოგიურ არქიტექტურას ისე, როგორც ივანე მაჩაბელი.

გერონტი ქიქოძეს უყვარდა და ესმოდა ევროპული კულტურა, მაგრამ თუ მისი ფიქრი პასკალის, ლაოროფუკოსა და ვოლტერის სამუაროში დაფრინავდა, მისი სული და გული რუსთაველსა და ილია ჭავჭავაძეს ეყვართ. და მართლაც მისი ერთგულება და სიყვარული მშობლიური ლიტერატურისა უსაზღვროა და სამავალითო.

ძალიან ფართოა გერონტი ქიქოძის შემოქმედებითი ინტერესების სფერო. მის ზერედე მიმოხილვასაც კი ჩემზე გამოცდილი და განათლებული კაცი ჰირდება. მე მხოლოდ მანდა შეგახსენოთ გერონტი ქიქოძის წერილები რუსთაველზე, ილია ჭავჭავაძეზე, ვოლტერზე, სტენდალზე, პიანზე, როდენზე, ივანე მაჩაბელ-

ზე, ფიროსმანზე, იაკობ ნიკოლაძეზე, დავით კაკაბაძეზე. პასკალი ამბობდა: „რაც უფრო ჭკიანია ადამიანი, მით უფრო მეტ ორიგინალურ ადამიანებს ამჩნევს“.

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი ქართველი მწერალი, რომლისთვისაც გერონტი ქიქოძეს წერა იმ ან ეძღვნას. მათ შემოქმედებას ის თავს დასტრიალებდა, როგორც ერთგული და გამგებნი მეგობარი. დამერწმუნებით, რომ ორივე ეს თვისება — ერთგულება და გამგება — ისე იშვიათია, რომ უსათუოდ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს.

გერონტი ქიქოძეს აქვს მოქანდაკის ძლიერი ხელი. მის მიერ გამოკვეთილი მწერლების სახეები უკვდავ ბარელიეფებივით ამშვენებენ ჩვენი ლიტერატურის წმიდა კედელს. მისი მიღრევილება სეულბტურული სრულყოფისავე, შეტყვევლი დეტალების პოვნა, სიერცისა და ლოკალური გარემოს გასაყვირი შეგრძნება მართლაც რომ განსაკუთრებულია ჩვენს კრიტიკულ აზროვნებაში. თუმცა მის წერილებს მენიერებული სიღრმე, ფაქტობრივი მასალის ასევე მეცნიერული ორიგინალიზაცია არ აკლია, მაინც ვიტყვი, რომ ის უფრო ხელოვანია, ვიდრე მეცლევარი, ამიტომ სრულებით არ არის საკვირველი, რომ ხშირად ეს ბრძენი ეპიკურელი, სამყაროს ერთი შეხედვით შორიდან მჭერტელი, ზოგჯერ საკუთარ თავს იფიქვებს და ნამდვილი რომანტიკოსის გუნებას ამტლავნებს: „აკაობრიობას ფრთები სჭირდება, — ამბობს ის, — ორი დიდი ფრთა, რათა ცხოვრების პროზა, გმირული სინამდვილე მალალი პერსპექტივიდან დაინახოს“.

მაგრამ არის კი ეს საკუთარი თავის დიფინიცი? თუ გერონტი ქიქოძის სამყაროს გულდასმით შევისწავლით, დაინახავთ, რომ მისთვის, როგორც მოაზროვნისათვის, ყველაზე მეტად ქაბუტური მაქსიმალიზმია დამახასიათებელი. შეიძლება სწორედ ამ თვისებამ მიიყვანა ის სტენდალამდე. ამ გასაოცარ, ფრთოსან მწერლამდე, რომლის მარადეამს ამბობებულ, აჩქარებული გულისცემაც ქიქოძის წყალობით ჩვენს მშობლიურ ენაზე ასე ცხადად და მკაფიოდ გავიგონეთ ვინც ქართულ ენაზე „წითელი და შავი“ კითხვით დამტკბარა, მას უსათუოდ წაიოხებული ექნება გერონტი ქიქოძის წერილიც, სადაც სტენდალის შემოქმედების ბუნება თითქოს გაყანათშია გამოჭერილი. აი ერთი პატარა ანგარი, უადრესად ზუსტი დახასიათება სტენდალის გმირებისა: „ისინი ორი ჩვეოლუციის შუა აღმოცენებული საზოგადოების შვილები არიან. ამიტომ მათ აქვთ ყველა თვისება, რაც განვლებული ვულკანის ძირში ამოსულ მცენარეებს აქვთ“.

„განვლებული ვულკანის ძირში ამოსული მცენარეები!“ — აი რა სიღრმეებში. შეიძლო ჩაებდა გერონტი ქიქოძეს.

მართალია, მისი სწრაფვა ზოგჯერ სიმათლისმადიების გულუბრყვილო სიგიჟტის გვაგონებს, მაგრამ დე ნუ შეგვაყრთობს ეს სიტყვა — სწორედ ასეთი სწრაფვისგან, გულგრილობის ქვეშთან შერკინებისაგან ჩნდება ნაპერწკალი, აზრი ცხოვრებისა, იმედი ამოავების უფსკრულზე გადსვლისა, იმედი, რომელზედაც ზგმით მოგახსენებდით.

იორამ ჩაუხედი

ქრისტიანი „კრებული“

1871—1873 წ.წ.

(გამოცემის 100 წლისთავისათვის)

ქართულმა განმანათლებლებმა მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში. თერგდალეულები, რომლებიც ი. ჭავჭავაძის მეთაურობით ეროვნულ-განმათავისუფლებელი შოშიაობის სათავეში იდგნენ, ყოველ ღონეს ხმარობდნენ მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის. თავიანთი მიზნების განხორციელების მთავარ იარაღად თერგდალეულებს პერსონალური პრესა მიაჩნდათ.

ი. ჭავჭავაძე, როგორც თერგდალეულების იდეური ბელადი, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში სათავეში ედგა მშრომელი ხალხის ვათეოტენობიერებისა და გამოღვივების საქმეს. პეტერბურგიდან დაბრუნებისთანავე ი. ჭავჭავაძემ ვერ „ციცერის“, ხოლო შემდეგ „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე გადამწვევტი ბრძოლა გამოუცხადა ბატონყმურ წყობა-ლებას და მისი რევოლუციური გზით დამშობის აუცილებლობა დაასაბუთა.

სავლეთ რეფორმამ ვერ გადალახა ის წინააღმდეგობანი, რომლებიც ზღვს უშლიდნენ საზოგადოების წინსვლას. მშრომელი გლეხობა კვლავ ყოფილ მებატონეთა შონობაში დარჩა. თერგდალეულები, რომლებიც მშრომელი ხალხის ინტერესების სადარაფოზე იდგნენ, შეუძოთეარი ენერგიით განაგრძობდნენ ბრძოლას არსებოლი სოციალური სისტემის წინააღმდეგ.

ქართული პროგრესული ინტელაგენცია „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ შეუნელებლად იბრძოდა ახალი ქრისტიანის დაარსებისათვის.

მართალია, „საქართველოს მოამბის“ შემდეგ გამოდიოდა გაზეთი „დროება“, ქრისტიანი „მნათობი“, მაგრამ ქრისტიანი „კრებულის“ გამოცე-

მას იმით ასაბუთებდნენ, რომ გაზეთში მისალის მოცულობა შეზღუდული იყო, ხოლო ზოგიერთი საკითხის უფრო ფართოდ გაშუქებისათვის საჭერნალო სტატიები იყო საჭირო. ქრისტიანობაში“ კი თავისი მიმართულებით არ აკმაყოფილებდა „დროების“ ჯგუფს. სწორედ ამან მოსცა ერთგვარი ბიძგი „კრებულის“ გამოცემის დაჭარბებას. „დროების“ მეთაურებმა 1871 წ. ამის თაობაზე მთავრობას თხოვნით მიმართეს.

ქრისტიანი „კრებულის“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი იყო სერგი მესხი. იგი კ. ლორთქიფანიძეს პეტერბურგში სწერდა: „მე მინდა ზოგი ცვილებმა მოეახდინო „დროებაში“... შეიძლება ფორმატი გამოეცეალო და ერთ თაბახის მაგიერად თაბახ ნახევარი გამოეცეკე კვირაში, ან და ფსა დაუკლო ერთი მანეთი მანინკ, თუ მეტი არა, შეიძლება, კიდევ, ვაზეთს ესევე ფასი დარჩეს, მაგრამ წელიწადში სამი დამატება მანინკ გამოეცეკე, თითო სამი ან ოთხი დამეკვილი თაბახი“.¹

კ. ლორთქიფანიძე სიხარულით შეხვდა ს. მესხის წინადადებას, მან მიზანშეწონილად ჩათვალა წელიწადში ოთხი დამატების გამოცემა. ამასთან დაკავშირებით, 1870 წლის 29 მარტს ს. მესხი კ. ლორთქიფანიძეს სწერს: „ამ წელს ოთხი სბორნიკის გამოცემა შეუძლებელი საქმეა, სხვადასხვა მიზეზების გამო. ორი კი შეიძლება. პირველთ, როგორც გწერდით, გამოეცემა მისში ან ივნისში და მეორე კი ნოემბერში ან დეკემბერში“.

¹ ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, 1949, თბ., გვ. 73.

როგორც „დროების“ 1871 წლის პირველი ნომრის განცხადებიდან ირკვევა, „კრებულის“ პირველი წიგნი 1870 წ. დეკემბრის თვეში გამოსულა და 1871 წლის 1 იანვრისათვის აღებულია: ხელის მომწერლებიათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრის ვიზა მასზე მხოლოდ 30 დეკემბრის ვაიცა, ხალხმა კი იმა უკვე ახალ წელს იხილა. ეს გარემოება იმაზე მეტყველებს, რომ ქართული პროგრესული ინტელიგენცია დიდ ყურადღებას აქცევდა პერიოდული პრესის მკითხველო საზოგადოებისათვის დროულად მიწოდებას. ასევე კრებულის“ მეორე წიგნზე ვიზა გაეცემულია 1871 წლის 31 იანვარს, ხოლო 5 თებერვლისათვის ხალხს უკვე შესაძლებლობა ჰქონდა გაესწობოდა მას.

ს. მესხი 1871 წლის 19 მარტს „დროებაში“ წერს: „მკითხველმა საზოგადოებამ იცის, რომ ქართულ ენაზე „კრებულის“ სახელწოდებით გამოვიდა ორი ახალი წიგნი და რომ ზ. წერეთელს განუხრავად გამოსცემდა ახალი ეურნალი ამავე სახელით. როგორც ს. მესხი აღნიშნავს, პირველი ორ წიგნსაც სრულიად თურნალური ხასიათი ჰქონდა და „ამ ორ წიგნიდან ცხადად დანახავს მკითხველი, რომ თუ „კრებული“ ეურნალით გადაიტყა და არ შეწყველა თავისი ზანიათი, „მნათობისათვის“ უნდა იყოს აქამდე და საზოგადოების თანაგრძობას დაიმსახურებს“.

1871 წლის ეურ. „მნათობის“ მეორე ნომერში გამოქვეყნდა შემდეგი განცხადება: „დუბუარიის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბაში ამ წლიდან დაწყებული, გამოიცემა ახალი სალიტერატურო ეურნალი ქართულ ენაზე „კრებული“. როგორც ამ განცხადებიდან ჩანს, ამ ეურნალის დანიშნულება ის იქნებოდა, რომ მკითხველისათვის მიეწოდებინა სასიამოვნო და სასარგებლო საკითხავი და საზოგადოებისათვის ვაეცნო როგორც სამშობლო ქვეყნის ცხოვრება, აგრეთვე სხვა ქვეყნების წარსული და ახლანდელი მდგომარეობა. ამის გარდა, აღნიშნულია განცხადებაში — „კრებული“ თავის ყურადღებას მიაქცევს კრიტიკულ ნაწილს, რომლითაც ეცდება თანადროული აზრის მოპოვება და დანახოს მკითხველს საზოგადოებას. „კრებულის რედაქციაში მონაწილეობას მიიღებს ნ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძე). ამის გარდა „კრებულისათვის“ თანამშრომლობა აღთქვამს ილ. ჭავჭავაძემ, კ. ლორთქიფანიძემ, გ. ჩიქოვანს, ს. მესხსა და სხვ. „კრებული“ გამოვიდა ყოველ თვე, თითოხმეტიდან ოც თაბახამდე. პირველი და მეორე წიგნი გამოვიდა წლის დამდეგს და, რაკი მთავრობამ ნება დართო „კრებულის“ გამოცემაზე, მესამე და მეოთხე წიგნის გამოცემა გამიზნული იყო აპრილში, მეხუთესი — მაისის ნახევრამდე, დანარჩენი წიგნები აუცილებლად ყოველი თვის დასაწყისში უნდა გამოსულიყო.

„კრებულის“ მესამე ნომრის საცენზურო ვი-

ზა გაეცემულია 30 მარტს, მეოთხესი — 30 აპრილს.

1871 წლის 15 იანვარს გ. წერეთელმა ეურნალის გამოცემაზე თხოვნით მიმართა ცეცხლის მეთისნაცვალს, ამ თხოვნის შესახებ შევიხილავს მთავარმა სამმართველომ, ბარონ ნაიკოლას ხელმოწერით, 1871 წლის 9 აპრილს შეატყობინა ცეცხლის საცენზურო კომიტეტს, რომ მისი უმაღლესობა თანახმაა ეფულება მიეცეს გ. წერეთელს გამოსცეს ყოველთვიურა ლიტერატურული ეურნალი „კრებული“, მის მიერ წარდგენილი პროგრამით.

1871 წლის მე-15 ნომერში (16 აპრილს) „დროება“ წერს, რომ „კრებული“ და „დროება“ ჩვენ ლიტერატურაში ერთიმეორის დამხმარე და შევავსებელნი იქნებოდნენ. რა ცოდნით და მოხერხებით შევასრულებთ ჩვენ ამ მოვალეობას, ამის განსჯა ჩვენი ვი არა, მკითხველის საქმე იქნება“.

მართებულად არ მიგვიჩნია თითქოს „კრებული“ „დროების“ დამატებას წარმოადგენდამ ჩვენ ვიზიარებთ დ. ჩიქვილიანს მოსაზრებას, რომ კრიტიკულ ლიტერატურაში გამოთქმული აზრის „კრებული“ ვაზეთ „დროების“ ლიტერატურული დამატება იყო, ფაქტობრივ მასალით არ დასტურდება და კორექტივს საჭიროებს.

ლიტერატურაში ვაბატონებული შეხედულება, თითქოს „კრებულის“ პირველი რედაქტორი და დამაარსებელი გ. წერეთელი იყო, სინამდვილეს არ შეეფერება, თუმცა ზაქარია ჭიჭინაძის აზრით: „კრებულის“ გამოცემა გ. წერეთელმა დაიწყო 1871 წელს“... 1871 წ... გამოსულა იწყო „კრებულმა გ. წერეთლის რედაქტორობით“⁵ ამასთან არჩ. ჯორჯაძე წერს: „1871 წლიდან არსდება გ. წერეთლის რედაქტორო-

1 „დროება“, 1871, № 15.

2 ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურული და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, 1949 წ. გვ. 25, ობ. ივრეთვე ნ. ნიკოლაძე არჩეული ნაწერები“, ტ. II, 1931 წ. ს. ხუნდაძის შენიშვნებით, გვ. 379, გვ. ვიორჯაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში, სახელგამი, 1928, გვ. 399, ს. მგალობლიშვილი, „მოგონებანი“, ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, 1938, გვ. 239, ი. ბოცვაძე, ს. მესხი, „თხზულებანი“, ი. ბოცვაძის წინასიტყვაობით და შენიშვნებით, 1964, ტ. I, გვ. 455 და სხვ.

3 ეურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, 1968, თბილისი, გვ. 129.

4 ზ. ჭიჭინაძე, „ნიკო ნიკოლაძე“, თბ., 1897, გვ. 36.

5 ზ. ჭიჭინაძე, „ისტორია ქართული გაზეთებისა და ეურნალების გამოცემისა, 1903, გვ. 39.

ბით „კრებული“¹, გ. ბაქრაძე — კი აღნიშნავს, რომ „კრებულის“ რედაქტორ-გამომცემელი იყო გ. წერეთელი² ხოლო ს. ხუნდაძე ამბობს: „გ. წერეთელი რედაქტორობდა „კრებულს“ 1871-1873 წლებში“³. „კრებული“ 1871 წლიდან გამოდიოდა გ. წერეთლის რედაქტორობით⁴. „კრებული“ დაასრულა გ. წერეთელმა⁵, ე. კოტეტიშვილი იმავე აზრისაა, კერძოდ, იგი წერს: 1871 წელს გ. წერეთლის რედაქტორობით არსდება „კრებული“⁶. შ. რადიანის აზრითაც „კრებული“ გ. წერეთლის რედაქტორობით გამოდიოდა⁷. ამავე აზრისაა ბევრი სხვა მკვლევარი. ზოგიერთი მკვლევარის აზრით კი «Г. Церетели, И. Н. Николадзе были главными сотрудниками и основателями «Кребули», 1871 г.»⁸.

მაგრამ ჩვენ არც ერთ ზემოაღნიშნულ მოსაზრებას არ ვიზიარებთ. ჩვენ მართებულად მივგაჩნდა პროფ. დ. გამეზარდაშვილის მოსაზრება. კერძოდ, იგი აღნიშნავს „კრებულის“ დაარსების ინიციატორს უშუალოდ მას (ნ. ნიკოლაძეს, ი. ჩ.) ეკუთვნის, მაგრამ თუ რედაქტორად გ. წერეთელი გვევლინება, ეს იმიტომ, რომ ნ. ნიკოლაძემ კარგად იცოდა მასზე დაწესებული საიდუმლო მეთვალყურეობის შესახებ და ისიც, რომ ჟურნალის გამოცემის უფლებას მან არავინ მისცემდა⁹. მართებულია მოსაზრება, რომ ჟურნალ „კრებულის“ დამაარსებელი და პირველი რედაქტორი იყო ნიკო ნიკოლაძე¹⁰.

1872 წლის 26 იანვარს ს. მესხმა თბილისიდან კირ. ლორთქიფანიძეს შეატყობინა, რომ „კრებულის“ წაყვანა ნიკოლაძემ ითხოვა¹¹.

მართებულია გ. აბზიანიძის მოსაზრება, რომ ნ. ნიკოლაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართუ-

ლი მოწინავე ლიტერატურული ძალების გერმანიების საქმეში. ექვს არ იწვევს ისიც, რომ „კრებულს“ მართებულ ლიტერატურულ ჯგუფს აძლევდა ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტური და კრეატიული წერილები, „კრებულის“ საქმე პირველი ნომრიდანვე ბრწყინვალედ წავიდა: ნ. ნიკოლაძის კალამმა ქართველობას აძლევს და დაუმტკიცა, რომ „ქართული ენაზე ზემოქმედება ჩინებული წერილების წერა და მუშაობა“.

1872 წლის გაზაფხულზე ნ. ნიკოლაძე საზღვარგარეთ გაემგზავრა, რის შემდეგ მთავრობის ნებართვით რედაქტორად ე. ლორთქიფანიძე იქნა დამტკიცებული. 1873 წლის მაისში ნ. ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნდა და მშინვე განაახლა „კრებულში“ მოღვაწეობა. 1873 წლის ნოემბერში ნ. ნიკოლაძე კვლავ საზღვარგარეთ გაემგზავრა და „კრებულის“ გამოცემაც სამუდამოდ შეწყდა.

ქართველი პროგრესული ინტელიგენცია კარგად ვერანობდა, რომ პერიოდული პრესის გამოცემა დიდ სიმწიფეებთან იყო დაკავშირებული. გარდა ფინანსური დაბრკოლებისა, ცენზურა ყოველი საშუალებით ცდილობდა გამოსაქვეყნებელი მასალების დამახინჯებას. განზრახვებიანებდა ეთნის მიცემა, რაც დღეა დღეობდა პარტიული ხალხის უყვეთეს მგრამისათვის მებრძოლი, პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციის მოღვაწეობას.

„კრებულის“ გამოცემა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მოვლენებით აღსავსე პერიოდს დაემთხვა. საეურო რეფორმა საქართველოს ყველა უცხოეთში გატარდა და თავისი ნამდვილი სახე თავიდანვე გამოაჩინა. იმიტომ ქართველმა თერგდალეულებმა თავიანთი მხებილი, პირველ ყოვლისა, მის წინააღმდეგ მიმართეს. თერგდალეულებმა, რომლებიც სამოღვაწეო ასპარეზზე ბატონყმობის გაქმნამდე გამოვიდნენ, შეუპოვები ბრძოლა გამოუცხადეს არსებულ წყობილებას და მისი რევოლუციური გზით დამბობას მოითხოვდნენ.

„კრებულის“ პუბლიცისტები სწორი პოზიციებიდან ცდილობდნენ არსებულ სინამდვილის გაყენებას, ამასთან, ისინი კარგად ზედადგნენ, რომ მწერლისათვის ყოველთვის როდია შესაძლებელი ცხოვრების მრავალფეროვანი მოვლენების რძიმად შეცნობა. მართალია, მწერალი საზოგადოებაში ცხოვრობს, ყოველდღე ავირდებდა მის განვითარებას, ხალხის ჩვეულებებს, მაგრამ მასზე ყოველი მოვლენა ერთნაირ გველენას როდი ახდენს. ნ. ნიკოლაძის აზრით, „კაცია სარკე როდია, რომელიც ყოველთვის სწორად წარმოადგენს ყველა აზრს, რაც მის წინ ვაივლის ან გაივრდება“.

„კრებულის“ პუბლიცისტებს ესმოდათ, რომ

1 არ. ქორჯაძე, — თხზ., ტ. I, თბ., 1914, გვ. 126.

2 გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკა, გვ. 8.

3 ნ. ნიკოლაძე, ჩი. ნაწ., ტ. 1, გვ. 381. ს. ხუნდაძის შენიშვნებით.

4 ს. ხუნდაძე, მასალები ქართულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, 1949, გვ. 85.

5 იქვე, გვ. 42.

6 ე. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, XIX ს., გვ. 342.

7 შ. რადიანი, ახალი ქართული ლიტერატურა, თბილისი, 1954, გვ. 364.

8 Г. Кишшидзе, периодическая печать на Кавказе, 1901 г. № 3.

9 დ. გამეზარდაშვილი, „ნარკვევები ქართული რეალისტიკის ისტორიიდან“, ნაწ. 11, 1957, გვ. 443.

10 ილ. კალანდაძე, „ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან“, 1965, თბილისი, გვ. 161.

11 ს. ხუნდაძე, მასალები... გვ. 82.

1 გ. აბზიანიძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1959, თბ., გვ. 117.

საქართველოს მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დიდ მოვალეობას აკისრებდა ქართველ პროგრესულ ინტელიგენციას, პირველ რიგში, მწერლობას. ცარიზმის ეროვნული ჩაგვრის პირობებში, ქართველ პროგრესულ მოაზროვნე ადამიანებს გააჩნდათ ერთადერთი ბასრი იარაღი — ლიტერატურა, რომელიც ხალხის გულში ეროვნულ თვითშეგნებას გააღვივებდა. პ. უმიკაშვილის სტატიაში — „იოსებ მაძინი“ — ეკითხულობთ: „როდესაც სწავლა და განათლება შეეწირებოდა მდგომარეობაშია და ადამიანის გონების საჭიროებას არ ავსაყოფილებს, ამისთანა მდგომარეობაში ლიტერატურა, ეუროპულ-ვაჭურთა სწავლებაში და აღზრდის ადგილს იჭერს“¹.

სწავლა-განათლება მაშინდელ საქართველოში ცარიზმის მარწმუნებში იყო მოქცეული, ქართველ ხალხს თითქმის აკრძალული ჰქონდა დედაენაზე სწავლება. ასეთ პირობებში, მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მოვალეობა იყო ქართული ეროვნული თავისუფლების შენარჩუნება. ვინაიდან ქართულ ენაზე სწავლება შეზღუდული იყო, ამიტომ ქართველი განმანათლებლები არსებული ხარვეზის შეესებას ეუროპულ-ვაჭურთა ცილობდნენ.

მწერლობას, მათი აზრით, უნდა აესახა ცხოვრების საჭიროებანი, დედაენაზე საჭირობორთო საკითხების ვადსაქრელად. ქართველ განმანათლებლებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ ლიტერატურა არ შეიძლება ერთნაირად ემსახურებოდეს საზოგადოების ყველა კლასის ინტერესებს, იგი ყოველთვის ამა თუ იმ კლასის ინტერესებს გამოხატავს. ქართველი განმანათლებლები კი მშრომელი ხალხის ინტერესებს იცავდნენ.

„კრებულის“ პუბლიცისტების აზრით, ლიტერატურა მოწოდებულია ხალხს ემსახუროს. მწერლობას დადებითი შედეგის მოტანა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ნაკლს გამოამაჯვარავებს და ხალხისათვის ადვილად დასაწახს და გასაგებს გახდის. თუ კი მწერალი სწორად გაიგებს ცხოვრებას, ერის სასიცოცხლო ინტერესებს დაიკავს, ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენას ქვეშაირითად წარმოადგენს, მხოლოდ მაშინ ექნება მის მოვალეობას დადებითი შედეგი.

„რამდენადაც მწერალი ერის ნამდვილი ბუნების საწადელს მტკიცედ შეიგნებს, იმდენათ ეს იქნება მართალი, ჭერამაშიტი მწერალი, ჭეშმარიტი ნიჭი. თუ ეს სიმართლე და ქვეშაირიტება არა აქვს მწერალს, მაშასადამე, ცოტა მწერალია, რადგანაც არ ესმის ხალხის ნამდვილი საწადელი. მწერლის ღირსებას ვაფასებთ იმით, როგორი ვრცელი მხედველობა აქვს, როგორი სინამდვილით ესმის და ცხოვრებას ვეხატავს ცხოვრების მოვლენათა“. — ეკითხულობთ ეურ. „კრებულის“ 1872 წ. მე-7 ნომერში.

„კრებულის“ პუბლიცისტები აღნიშნავდნენ, რომ მხოლოდ პროგრესული მსოფლმხედველობის საფუძველზე იყო შესაძლებელი თავისუფლების საზოგადოებრივი წყობილების განხორციელება, ძველი თაობა, რომელიც ძველი ცხოვრების მედროშედ გამოდიოდა, ჩამორჩა დროის მოახოვნილებებს და რაქციული თეორიების ქადაგებას შეუდგა. შათ დუბარისპირდა ახალი, პროგრესული თაობა. ახალი ცხოვრების მედროშე, რომელიც ვერ ურთოდებოდა ვერაიეთარტინიზმს. დროთა მსვლელობაში, ძველ და ახალ თაობათა ბრძოლაში გამოამქარაფდა ძველი თაობის მსოფლმხედველობის ვარდუფული დაზღუების აუცილებლობა. ახალი თაობა, რომელიც ახალ, პროგრესულ აზრებს ქადაგებდა, თანდათანობით მძლავრდებოდა და წინ მიიწედა, რაც თვით ცხოვრების განვითარებით იყო ნაკარნახევი.

„კრებულის“ პუბლიცისტების მთელი საქმიანობა მიმართული იყო ახალი თაობის პატრიოტული სულიკეთებით აღზრდისაკენ. მათი აზრით, საჭიროა საქმის ისე მოწესრიგება, რომ შესაძლებელი გახდეს ნამდვილი, თავდადებული, ღირსეული მამულიშვილების გამოზრდა.

ქართველი განმანათლებლები დაწმუნებულნი იყვნენ, რომ მხოლოდ თავისუფალი საზოგადოების საფუძველზე იყო შესაძლებელი საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი საწყისების ვატარება. ამასთან ზაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ევროპის ქვეყნების წარმატებანი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ საქმიანობაში, პირველ რიგში, მოწინავე შექმნიერების შედეგია, მათ სწამდათ, რომ ცოდნის, მეცნიერების, განვითარების წინაშე არ არსებობს დაბრკოლება და ადამიანს „ცოდნისა და შრომის ფასად შეეძლია დაბრკოლების მოგერიება და დათრგუნვა“¹.

XIX საუფუნის დსაწუნისში საქართველოს რუსეთთან შეერთება პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს მსოფლიო საქონლურ მეურნეობაში ჩაბმას. ეს ისტორიული მოვლენა მაშინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებით იყო გამოწვეული. საქართველო იმ პერიოდში ალა-მამალანის შემოღების შედეგად, მეტონმტად დედაქრდა და განაიგდა. საჭირო იყო ქვეყნის სამეურნეო საქმიანობის გამოკოცლება. შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოს უსაჭიროებოდა ძლიერი მფარველი. მართლაც, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველომ უზრუნველყო თავისი სამეურნეო, კულტურული ცხოვრების შედარებით უმტკიუნეულოდ განვითარება.

ვაკრობისა და მრეწველობის განვითარების შედეგად საქართველოს ფეოდალური სამთავროების განაწილებული მიწები ვაერთიანდა, რა-

1 ეურ. „კრებული“, 1872, № 8-9, გვ. 43.

1 ეურ. „კრებული“, 1871, № 3

საც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის კონსოლიდაციისათვის.

როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყირიმის ომს, რამაც სინათლეზე გამოიტანა ბატონყმური ინსტიტუტის ნაკლოვანებანი, გამოაშკარადა მისი სიღამლე. ყირიმის ომმა ხელი შეუწყო ბატონყმური ურთიერთობების დამლის პროცესის გაღრმავებასა და გამწვანებას.

„ერებულის“ პუბლიცისტები ამ პერიოდის რუსეთის შესახებ წერდნენ: „რუსეთის ისტორიაში ესლანდელი მეფობის დასაწყისის დიდი მნიშვნელობა ექნება; განსაკუთრებით იმ მხრით, რომ 1857 წლიდან დაწყებული სახელმწიფო მართვის და გამგეობის სისტემა შესაძენველად შეიკვალა. ამ ბოლო დროს ყირიმის ომმა დაამტკიცა, რომ ძველ სისტემას თავისი დრო მოეკვამა და საჭირო შეიქნა მის აღიკვლას ახალი რისივე შემოღება“.

ნ. ნიკოლაძის სამართლიანი აღნიშვნით, ამ გაგრძობის გამო, ცხადი შეიქნა, თუ რაოდენ მოქველბული ყოფილა იმ დროისათვის ის სამართლებლო სისტემა, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ. ყველასათვის ცხადი შეიქნა, აგრეთვე, რომ აუცილებლად საჭირო იყო სხვა, ახალი, ისინი ვერცხეული სისტემის მიღება, რომელიც თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნილებებს და საჭიროებებს დააკმაყოფილებდა. საჭირო შეიქნა აღმინისტრაციის გადისხევაფერება, ვარის გაუმჯობესება; სამართლის წესის განახლება; საზოგადოებრივი კანონების შეცვლა, ერთი სიტყვით, ნ. ნიკოლაძის აზრით, საჭირო იყო ახალი „რეფორმების“ შემოღება; ცვლილებები სახელმწიფო წესსა და წყობილებაში.

შრომელი ხალხი ყველა ღონისძიებას მიმართავდა თავისი დუბჭირი მდგომარეობის შესამსუბუქებლად, კარგად გრძნობდა მოახლოებულ რეფორმების საჭიროებას; საზოგადოებას აღარ შეეძლო ძველებურად ცხოვრება; მმართველ წრეებს კი — ძველებურად სახელმწიფოს შერთვა. ყველასათვის აშკარა გახდა ბატონყმობის დამხობის გარდუვალობა.

ბატონყმური ურთიერთობის კრიზისი სულ უფრო რამდენდობდა. მეფის მთავრობა, რომელმაც ყირიმის ომში სამარცხენო მარცხი განიცადა, შეშინებული იყო გლახთა მოძრაობებით, ამიტომ მან მიზანშეწონილად მიიჩნია გლეხობის განთავისუფლება ზემოდან, ე. ი. მთავრობის მიერ გატარებული რეფორმების მეშვეობით.

„სოფიემენის“ რევოლუციურ-დემოკრატიულ ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი განმანათლებლები, შეერიგებულ ბრძოლას აწარმოებდნენ მეფის მთავრობის წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინი ამ პერიოდის სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას შემდეგნაირად ახასიათებს: „დემოკრატიული მოძრაობის გამოცოცხლება ევროპაში, მღვლეარება პოლანეთში, უმცაოფილებდა

ფინეთში, პოლიტიკური რეფორმების მოტხოვნა მთელი პრესის და მთელი თავდაზნარობის მიერ, „კოლოკოლის“ გავრცელება მთელ რუსეთში, ძლიერი ქადაგება ჩერნიშევსკისა, სხვა მელსაც ლეგალური სტატიებითაც შეეძლო ნამდვილი რევოლუციონერების აღზრდა, პროკლამაციების გაჩენა, მღვლეარება გლეხობისა, რომლებსაც „ძალიან ხშირად“ სამხედრო ძალისა და სისხლის ღერის საშუალებით აიძულებდნენ იმ „დებულების“ მიღებას, რომელიც სულბორციანად ფეცქნიდა მათ, აზნაურ მომზიგებელ მოსამართლეთა კოლექტიური უარი ასეთი „დებულების“ გატარებაზე; სტუდენტების აბუელობა“!

„ერებულის“ პუბლიცისტები აღზრდილი იყვნენ „სოფემენის“ მდიდარ რევოლუციურ ტრადიციებზე და ყოველმხრივი საქმიანობით ხელს უწყობდნენ საქართველოში რევოლუციური სულსცვეთების გაღვივებას.

შრომელი ხალხის, ერის უმზავლესობის ინტერესების დამცველი თერგდალეულების მთელი შემოქმედებითი ენერჯია მიმართული იყო შრომელი ხალხის განთავისუფლებისაკენ, ისინი ცაიზმისა და ყოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი იყვნენ. თერგდალეულები თვითნათი საქმიანობით ხელს უწყობდნენ შრომელი ხალხის თვითშეგანების გამოღვივებას არსებული სოციალური წყობილების გარდასაქმნელად.

ქართველ პროგრესულ ინტელიგენციას შეგნებული ჰქონდა, რომ შეუძლებელი იყო არსებული ურთიერთობების ლეგიდაცა რეფორმების მითით, რომ შრომელი ხალხის მატერიალური მდგომარეობის სერიოზული გაუმჯობესება არ შეიძლებოდა გაბატონებული კლასების მხრივ განხორციელებულიყო. თერგდალეულების ღრმა რწმენით, გაბატონებული კლასების ინიციატივით ჩატარებულ რეფორმას არ შეეძლო შრომელი ხალხის მოთხოვნების დაკმაყოფილება. თერგდალეულები, რომლებიც კარგად ერკვეოდნენ რუსეთში გატარებული რეფორმის არსში, შრომელ ხალხს შთავაგონებდნენ, რომ საქართველოში საგლეხო რეფორმას ეიდევ უფრო შეეცოლო, დაემთავრებულ ხასიათს ექნებოდა. ქართველ განმანათლებლებს დიდი შრომა მიუძღვით რევოლუციურ — დემოკრატიული აზრების ქადაგებაში „ციცკარის“ ფურცლებზე, რომელიც ერთადერთი პერიოდული ორგანო იყო იმ დროს.

ი. კერებულის „ციცკარმა“ დიდი როლი ითამაშა ქართველი განმანათლებლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეში. თუმცა „ციცკარი“ გაბატონებული კლასების ინტერესების დამცველ ორგანოს წარმოადგენდა და მთელი ენერჯით ილაშქრებდა ყოველივე პროგრესუ-

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 30-31.

ლის წინააღმდეგ, ი. კერესელიძეს „ციკლის“ დახურეთით კი ემუქრებოდნენ.

ქართული პროგრესული ინტელიგენცია „ციკლის საქმიანობის გაუმჯობესებას, მისი მიმართულების თანდათანობით შეცვლას ცდილობდა. ახალი აზრების ქადაგებაში განსაუთრებნათ დიდი როლი მიუძღვის ი. ქვეკვაძეს, რომელმაც საქართველოში დაბრუნებისთანავე აშკარა ბრძოლა გამოუცხადა თვითმპყრობელობას, რომელიც სულს უზუთავდა საქართველოს შრომულ ხალხს. ი. ქვეკვაძე, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მედროშე, სათავეში წაუდგა ბატონყმობისა და ყოველგვარი ექსპლუატაციის წინააღმდეგ 60-იანი წლების ქართველი ახალგაზრდობის ბრძოლას.

თერგდალეულები ახალი მიმართულების წარმომადგენლები იყვნენ, ისინი ახალი საზოგადოებრივი წყობილების დამკვიდრებისათვის იბრძოდნენ, ვერ ურიგდებოდნენ ბატონყმური წყობილების ატმოსფეროს და შრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის იღწეოდნენ. მათ ბრძოლას წინ აღუდგა ყველა, ვინც კი თავისუფლებას ებრძოდა. ძველსა და ახალ მიმართულებას შორის შეტაკება ლიტერატურულ ფრთხილზე მოხდა. ახალი, პროგრესული მიმართულების შემოქმედებაში იჩინა თავი ახალი საზოგადოებრივი წყობილებისადმი მისწრაფებამ.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ი. ქვეკვაძის მოღვაწეობას „ციკარში“. განსაუთრებით აღსანიშნავია ამ ეტრნალის 1861 წლის აპრილის ნომერში გამოქვეყნებული მისი სტატია — „ორიოდე სიტყვა თ. რევზა შალვას მის ერისთავის მიერ კახოვის „შეშლილს“ თარგმანზე“. ი. ქვეკვაძის აღნიშნულმა წერილმა დიდი გამოხატულება გამოიწვია მოწინააღმდეგეთა ბანაკში. ილია ქვეკვაძე აღნიშნავდა: „ვისაც თავის დღეში ელაშბი ზელში არ აღუია იმასაც ააღებინა, — სამართლიანად ეუბნება ილია თავის კლამს წერილში „ასახში“. — ვისაც მართალი სიტყვა პირდაპირ ნათქვამი თავის დღეში არ ვუგონია, იმას მართლს თქვით ვული აუღღრავს; ვისაც „შინიდან ფეხი კარში არ გამოუღვამს და რაღაც ანანის თეორეტის მტერი არა უყოთავს რა. ისიც კი ალაპარაკა თეორეტის ვარე სავგანზედ. ბარაქლა, ბარაქლა, სამი სტატია ერთ სტატიაზე რა ამბავია? ეს ის ამბავია, ჩემო კეთილ მკითხველო, რომ ამ ჩემს მოპირდაპირეთ რიცხვებით ჟობნა სურვილით, და არა თავის სტატეების ღირსებებით“¹.

თერგდალეულები რევოლუციურ-დემოკრატიულ ტრადიციებზე იყვნენ აღზრდილები და შეუპოვრად ილაშქრებდნენ „ციკარების“ რეაქციული ფართის წინააღმდეგ და ძველ თაობას ცხოვრებისაგან მოწყვეტის უსაყვედურებდნენ. თერგდალეულები დაუბრისპირდნენ „ციკარის“ რეაქციული ბანაკის წარმომადგენლებს, ისინი

დარწმუნდნენ, რომ „ციკარში“ მათი მოღვაწეობა შეუძლებელი იყო. საჭირო იყო ახალი ეტრნალის დაარსება, რომელშიც უმეტესობადნენ თავიანთი იდეების გადმოცემას, და სწორედ 1863 წელს დაიწყო გამოსვლა ახალმა ეტრნალმა „საქართველოს მოამბე“.

„საქართველოს მოამბის“ გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში. თერგდალეულები აშკარა ბრძოლის პროპაგანდას ეწეოდნენ. „საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტებმა ბრძოლა გააჩაღეს „ციკარის“ რეაქციული მიმართულების წინააღმდეგ. თერგდალეულების აზრით, ძველი, რეაქციული ცხოვრების დამხობა გარდუვალი იყო, მაგრამ იგი, თავისთავად როდი მოხდებოდა, საჭირო იყო ბრძოლა. საზოგადოების პროპაგანდას დაქაჩება, ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვება კი, მათი აზრით, შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწინავე პირები თავიანთ აზრებს ხალხში დაერყვინდნენ, ხალხის თვითწვევებს აამალებდნენ, თავისუფლებისადმი მისწრაფებას გააღვივებდნენ.

საზოგადოებრივი წყობილება, თერგდალეულების აზრით, მუდმივ განვითარებასა და ცვალებადობას განიცდის, ჰყვეწად არ არსებობს მარათული წყობილებანი. ადამიანები ცვლიან იმ ძველ წყობილებას, რომელიც ხალხს მოთხოვნილებებს ვეღარ აკმაყოფილებს. ძველ წყობილებას ყოველთვის ჰყავს თავისი დამცველები, ძველ თაობის წარმომადგენლნი სამკედრო-სასიცილოდ შეებრძოლნენ ახალი თაობის წარმომადგენლებს, ძალასა და ენერჯიას არ იშურებდნენ ძველი იდეების შესანარჩუნებლად, მაგრამ ისინი ცხოვრებისაგან განწირულები იყვნენ. საჭირო იყო ახალი ცხოვრების შესაფერისი თაობა, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა ცხოვრების წინსვლის საქმეს და მოეცინებინა უღრბო კრიტიკულად შეაფასებდა, და, მართლაც, ეს როლი ახალმა თაობამ იკისრა. ძველი თაობის წინააღმდეგ ამოძრავდა საზოგადოების პროგრესული ძალები, რომლებიც „კრებულში“ გაერთიანდნენ და შეებრძოლნენ „ციკარის“ რეაქციულ მიმართულების მავნებელურ ხასიათს; სწორედ ამ ვარემოებამ დააჩქარა ძველი თაობის დასამარება, „ამან გაუთხარა სამარე ამ საბრალო თაობას. არა მგონია, რომ ოდესმე საქართველოს ხალხმა ეს თაობა სიყვითით მოიხსენიოს და ძველი დაუღვას, მაგრამ კარგი კი იქნებოდა, მომავალი თაობების სამაგალითით, ამ თაობის მოთავე პირებს რომ ძველი აუშენოს ჩვენმა ხალხმა, და ზედ ეს წარწერა ამოსტრას: „აქ მარხია თაობა, რომელსაც საკუთარი სარკველობა ღმერთად მიიჩნდა. რომელიც ბრმათ ატარებდა თავის სიციცილს და

¹ ეტრ. „ციკარის“, 1861, № 6, გვ. 181-184.

დაბრმავების გამო ახალი ცხოვრების ფეხქვეშ გაითვალა¹.

პროგრესულად მოაზროვნე ახალმა თაობამ გააღმწერა დახასხსილებული ფეოდალური ურთიერთობების წინააღმდეგ; ძველი, კარჩავეტილი წყობილების დამცველები შეუპოვრად წინ აღუდგნენ მათ.

ახალი თაობის ინტელიგენცია ახალი ეპოქის სულისჩამდგმელი და მისი იდეების განმავრცოვებელი შეიქმნა საქართველოში. ამ ახალმა თაობამ გაიღმწერა ბატონყმური წყობილების და სტოლასტიკურ-რელიგიური აზროვნების წინააღმდეგ და ქართულ ლიტერატურაში რევოლუციური დემოკრატიზმის პრინციპები იქადაგა. ახალი თაობის პირველი მერცხალი იყო ქართული რაზნაინიელი დ. ჭონჭიძე, რომელმაც პირველმა მიიტანა იერში ქართული ლიტერატურაში ბატონყმური უღლის წინააღმდეგ შემდეგი თაობა, რომელმაც დ. ჭონჭიძის გზა განაგრძო, თერგდალაღულთა თაობა იყო, თერგდალაღულთა თაობამ ფართო ლიტერატურული ბრძოლა გააჩაღა ძველი თავადაზნაურული აზროვნების წინააღმდეგ და 1863 წელს თავისი საკუთარი ორგანო — „საქართველოს მოამბე“ დააარსა.²

XIX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში ძველსა და ახალ თაობას შორის განაღებულ ბრძოლა ძველი და ახალი წყობილების დამცველთა შორის ბრძოლას წარმოადგენდა. ეს იყო ორ მსოფლმხედველობას რეაქციულ და პროგრესულ მსოფლმხედველობას შორის წინააღმდეგობა. პროფ. პ. გუგუშვილი წერს, „უთანხმოება „მამებსა“ და „შვილებს“ ე. ი. „ძველსა“ და „ახალს“ თაობას შორის, როგორც აგრეთვე მაშინ უწოდებდნენ, განსაკუთრებით თავს იჩენს სამოციანა წლების დასაწყისიდან... „მამათა“ და „შვილითა“ ბრძოლის აღიარებული ხელშეწყობელი იყო ი. ჭავჭავაძე, მან პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ განსაკუთრებული მონღოვნებით მოჰკიდა ხელი არსებული ურთიერთობის წინააღმდეგ ბრძოლას. მისი მთავარი ზრუნვის საგანი საქართველოს მშრომელი ხალხი იყო, რომელიც რუსეთის ბურჟუატიული აპარატის მხრივ სასტიკ ჩაგვრასა და დამცირებას განიცდიდა.“³

ახალი თაობის წარმომადგენელი ნ. ნიკოლაძე წერდა, რომ 1863 წ. ილია ჭავჭავაძემ დიუნაუ „საქართველოს მოამბის“ გამოცემა; ეს იყო წელი, როცა ერთის მხრით მაშინდელი ცხოვრება თავის უწინდელ კალაპოტს ცვლიდა და ახალმა შესვლას აპირებდა, მეორეს მხრივ,

ახალგაზრდობამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ძველს და ამ დროს „ყოველი პატრიარქი კაცის ვალია, — აღნიშნავდა ნ. ნიკოლაძე, — ამ ერთ რაზნში, ამ მეორეში ჩადგეს, როგორც ურჩებს გული, აზრი და მიმართულება. ბრძოლა ესთქვიით, სასტიკი ატყდა. რაც კი რამე იყო ჩვენში ახალგაზრდა მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატრიარქი მომავლის დროშა, რომელიც მხნეთ ეკავა ილია ჭავჭავაძის.“

ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეაფარა „ციხესაში“, და ამინათად იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბესა“ და „ციხესაში“ შუა სწანდა ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდევდა ძველსა და ახალს შუა ზვეს ცხოვრებაში⁴.

„საქართველოს მოამბემ“ დიდი როლი ითამაშა ხალხის გამოღვიძების და გარეგოლციონერების საქმეში.

ქართველი განმანათლებლები კარგად ერკვეოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების რთულ მოვლენებში. მათი მთავარი მიზანი იყო მეფის ბიუროკრატიული რეჟიმის დამსობა, ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან ხალხის განთავისუფლება. ამიტომ ისინი ცდილობდნენ ხალხის გათვითცნობიერებას, ჩათა ხალხის მასებს შექმნობდა დენახა თავისი უბედური მდგომარეობა და ეუჭირა ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის მეთოდებსა და საშუალებებზე.

როგორც „კრებულში“ ვკითხულობთ: „ერში განმტკიცდა ის აზრი, რომ ბრძოლითა და მეცადინეობით ყოველისავე ბოროტების და ავის მოსპობა შეიძლება. რაჟი საღმე ჰგონობს თავის ბუნებათის სურვილის დამაყოფილების წინააღმდეგსა, მაშინვე უპირდაპირდება, არ ემონება და არც შეუძლია დამონება, და ეძებს თავის საწადელსა.“⁵

ფეოდალური ექსპლოატაციის უღელი, ქართველი განმანათლებლების ღრმა რწმენით, ისტორიულად ვარდამავალი საფეხური იყო. „კრებულს“ მუხლიცისტები თვინათ სტატებში გაწინილადუნენ საფრანგეთის დიდ ბურჟუაზიული რევოლუციის, რომელმაც გადაწყვეტი რილი შესარულა ფეოდალიზმის და მისი ნაშთების ლიკვიდაციის საქმეში. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია წარმოადგენდა დახასხსილებული ფეოდალური წყობილების ლიკვიდაციისა და ახალი ურთიერთობებისათვის ნიადაგის გაქმნენის კლასიკურ ნიმუშს.

ქართველი პროგრესული ინტელიგენცია სწავლობდა და აზოგადებდა მსოფლიო ისტორიის განვითარების საკითხებს, ამით კაცობრობის განვითარების პრობლემებსაც სწავლობდა. ეს

¹ ეურ. „კრებული“, 1873, № 1 გვ. 283.

² ს. ხუნდაძე, ნ. გ. ზურნინიძის (მონოგრაფია), თბილისი, 1929 წ. გვ. 169-170.

³ პ. გუგუშვილი, ქართული ეურნალისტიკა, ტ. 1, 1941, თბილისი, გვ. 201-202.

⁴ „კრებული“, 1872, № 10, 11 და 12, გვ. 151-152.

⁵ ეურ. „კრებული“, 1872, № 7, გვ. 68-69.

მათ დიდად ეხმარებოდა უფრო კარგად გარკვეულად ეყენებოდა თავიანთი ქვეყნის მომავალში. საფრანგეთი თავისი კონომიტირის და კულტურული განვითარებით მაღალ დონეზე იდგა, საქართველოში კი ჯერ კიდევ საგლეხო რეფორმა ტარდებოდა. საფრანგეთში მომხდარი უფრო მნიშვნელოვანი ძვრები კაცობრიობის განათავსებულეების მარეყვებელი იყო. ამ გარემოებამ განაპირობა ბურჟუაზიული რევოლუციისადმი, გერმანიაში გლეხთა ომებისადმი და სხვა ამგვარი მოვლენებისადმი უფრადლების გამაჩვილება.

„კრებულნი“ პუბლიცისტები დიდ როლსა და მნიშვნელობას ანიჭებენ საფრანგეთის დიდ რევოლუციას; მათი აზრით, საფრანგეთის რევოლუციის შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა, მის თავისი ღრმა საფუძველი გააჩნდა. იგი ისტორიული კანონზომიერების, კერძოდ, კლასობრივი ბრძოლის ლოგიკურ დასრულებას წარმოადგენდა.

დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის წინა პერიოდში საფრანგეთში ფეოდალიზმის წინაღობითარდებდა ახალი, ბურჟუაზიული წყობის შხა ფორმები, მაგრამ გაბატონებულ ფორმას მაინც ფეოდალური ურთიერთობა წარმოადგენდა. გაბატონებული კლასები ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ ხელშეუხებლად დაეტოვებინათ უწინდელი საზოგადოებრივი წყობილება, ესე იგი ხალხის ორ ნაწილად: მშრომელბად, რომლებიც მიშვილით კვდებოდნენ, და უსაქმობად დაეყვით მათ უნდოდით ხალხის სიმდიდრე და ძალა რაინდების შოაომავლებების და საშლველოების ზელში დაეტოვებინათ, და მხოლოდ ისეთი ცვლილებები მოეხდინათ, რომ ხალხის უმეყოფილება დამცხრალიყო და ამით საბელწიფოს მართვა გაადვილებულიყო.

რეფორმისტების მიზანი იყო შეცვლილიყო საზოგადოებრივი-ცხოვრების მართვის სესტი ადგილები, მმართველობის პოზიციები გაემაგრებინათ. ამის შედეგად მთავრობას შესაძლებლობა მიეცემოდა უფრო მტაცად დაეცვა ცხოვრების ღრმომჭული ფორმები, მაგრამ ხალხის თვითშეგნება თანდათან იღვიძებდა. როგორც „კრებულნი“ ფურცლებზე კეთილშობილბა „ხალხი, თავის მხრით, უფრო და უფრო მეტ მადანე მოდიოდა, როცა ხედავდა, რომ უწინდელი წესის შეცვლა შესაძლებელი ყოფილა. — როცა ის ხედავდა, რომ ერთბაშად ბოლოს უღებენ ისეთ დაწესებულებას, რომელიც, საშლდელოების სიტყვით, თვით ღვთის დაარსებული იყო. მაშინ ხალხს, რასაკვირველია, აზრობის ფიჭიკე მოდიოდა, რომ იქნება ღმერთის არც ის დაეწესებოთ, რომ მთელი მიწა-წყალი და ტყე რაინდობას ეკუთვნოდეს. და ეს აზრი, უმეველია, თანდათან უფრო და უფრო ინერგებოდა ხალხის გულში.“¹

საგლეხო რეფორმის შემდეგდროინდელი პერიოდში კაპიტალისტური ურთიერთობების შედარებით სწრაფი განვითარებით ვიწინწა, მაგრამ ეს მოვლენა საქართველოსათვის უკიდრსად მტიყენებელი იყო. ამ ჯერ კიდევ ტარდებოდა იყო ბატონყმური წყობილების გადაწმობები, ეს კი თავის მხრით, კაპიტალიზმის განვითარებას აფერხებდა. სოფლად მიმდინარეობდა კლასობრივი დიფერენციაციის პროცესი, რაც მეტად საგრძნობი იყო როგორც მშრომელი გლეხობისათვის, ასევე თავადაზნაურობისათვის. ბატონყმობის გაქმებაზე ხელი შეუწყო თავადაზნაურობის გადატყებას, რადგან მათ ალლო ვერ აუღეს ახალი ღროის მოთხოვნილებებს და გაჩანადნენ. მათი მიწა-წყლის დიდი ნაწილი ვალეზში დაეკარგა: მშრომელი ხალხი სასტიკ ექსპლოატაციას განიცდიდა არა მარტო ყოფილ მებატონეთა, არამედ მეფახშეების მიერაც.

რეფორმის შემდგომპერიოდში შექმნილი ეკონომიური მდგომარეობა მძიმე ტყროად დააწეა არა მარტო მშრომელ გლეხობას, არამედ თვით თავადაზნაურობასაც. თავადაზნაურობა შეშლოთებული იყო ბატონყმობის გაქმებით, მუქი მუშახელის დაკარგვით, იგი თავის გადასარჩენად ყოველ ღონეს ხმარობდა, მაგრამ კაპიტალიზმის კანონების წინაშე უძლური აღმოჩნდა. საგლეხო რეფორმის, რომელმაც მატერიალურად დიდი ზარალი მიაყენა გლეხობას, ისტორიულად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს სამეურნეო ცხოვრების განვითარებისათვის. ბატონყმობის მოსპობამ საქართველოში ფართო ვასაქანი მისცა კაპიტალიზმის განვითარებას. საზოგადოებრივი ცხოვრება განვითარების ახალ სამეურნეო პერიოდში შევიდა, რამაც ძირეულად დაარღვია ძველი წყობილების ფორმები და სოციალური კლასების წინაშე ახალი ამოცანები წამოაყენა. ბატონყმური ინსტიტუტის მოსპობით პრივილეგიებულ წოდებას ერთი მძლავრი დასაურდენი გამოეცალა.

„კრებულნი“ პუბლიცისტები მოითხოვდნენ ბანკების დაარსებას. ამ უპირველში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში — „ბანკის საქმე ზვენიში“ ვადმოკვებულია ჩვენს ქვეყანაში ბანკის დაარსების საჭიროება. „დღეს ამას იმიტ ხსნიდნენ, რომ საჭირო იყო ადგილმამულის მოვლა, პატრონობა, ყველა მხრით საჭიროა ამ საქმისათვის ხარკი და ხარჯი, და ფული კი, ამ ხარჯისათვის კი არა, აუცილებელი საჭიროების და მოუთმენავი ვალების გადასახდელად არსად იშოვება. ამ უშოვნელობას და საჭიროებას ეხლა ჩვენში აღარაფერი მალავს“¹.

შექმნილმა ვითარებამ განაპირობა ფულზე მოთხოვნილება, მაგრამ მისი შოვნა დიდ სიძნელებითადა იყო დაკავშირებული, ვინაიდან სარგებელი მძიმე ტყროად აწებოდა მსესხებულს.

¹ ერთ. „კრებულნი“, 1871, № 1, გვ. 137.

¹ ერთ. „კრებულნი“, 1872, № 6, გვ. 161-162.

სარგებლის ოდენობა ცივილიზებულ ქვეყნებში დაბალი იყო, მაგრამ საქართველოს იმდროინდელი ვითარება მაღალი სარგებლის ნორმას განაპირობებდა. როგორც „კრებულს“ ფურცლებზე დან ვიგებთ: შიგელი ადგილ-მამულის შემოსავალი ძლივს უოფნიდა ვაღებლის სარგებლის გადახდას.

„კრებულში“ გამოქვეყნებულ სტატიებში გარკვევით იყო დასაბუთებული საადგილმამულო ბანკის დაფუძნების აუცილებლობა. მოვლენათა მსვლელობა საქონლებრუნვის განვითარება და ფულადი ურთიერთობის სფეროს გაფართოება ჩვენს საზოგადოებას საადგილმამულო ბანკის დაარსებისაკენ უბიძგებდა. „როგორც ავადმყოფს „კრიზისულს“ მდგომარეობაში არ შეუძლია ღიღინა უოფნა, და იგი უნდა დამოთავრდეს არ ავადმყოფის სიკვდილთ, ან მისი თანდათანობითა გაუფრთხილებით, ასევე საზოგადოებაც არ შეიძლება დიდი ხნის მანძილზე დაჰიმულ მდგომარეობაში იმყოფებოდეს“¹ — ეკითხულობთ ყერხალის ფურცლებზე.

„კრებულს“ პუბლიცისტებს, პირველ რიგში, სწორედ საადგილმამულო ბანკის დაფუძნება აიტერატებდათ, რადგან იმ პერიოდში ჩვენში ეპირობა-პირველობა ჯერ კიდევ არ იყო სითანადო დონეზე. საქართველოსათვის როგორც აგრარული ქვეყნისათვის, საქარო იყო ისეთი ბანკის დაფუძნება, რომელიც ხელს შეუწყობდა სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამ დასაბანდებულ ზოგიერთად ადგილმამულის მტრ არაფერი გაანათბ. ამდენად ბანკს მტრ სახსრები სჭირდებოდა, რადგან სესხის დაბრუნებას ბანკი დიდხანს ელოდა. ქვეყნისათვის საჭირო იყო გრძელვადიანი კრედიტი. როგორც „კრებულს“ პუბლიცისტები აღნიშნავდნენ, ეპირობა ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ვერ შეძლებდა თავის დროზე ფულის დაბრუნებას. მოკლე ვადით ფულის სესხება კი საზოგადოებისათვის დამღუპველი იყო. მაშასადამე, ხალხისათვის საჭირო იყო გრძელვადიანი კრედიტი, რომელიც ადგილ-მამულის მოვლას მოხმარდებოდა. მაგრამ გრძელვადიან სესხს ბევრი ფული სჭირდებოდა, ფული კი ძალიან ცოტა იყო — სუტკ აღებ-მიცემობისაც ძლივს აქმაყოფილებოდა. ბანკი ვერ დაეყრდნობოდა საკუთარი ქვეყნის სახსრებს, საჭირო იყო ბანკს ფულის წყარო გამოეჩინა. „ჩვენი ბანკის პირველი ნაბიჯი, პირველი ხელის განჭრება იმაში მდგომარეობს, რომ მოიწვიოს ფული, დანახოს ფულის პატრონებს რომ იმათი ფული იმათ სარგებელს მისცემს და არც დიფარგება, ადგილმამულოც გიარათი რომ გასცენ. პოლიტიკური ეკონომიის ენით ამ საქმეს „ადგილ-მამულის დაბრუნება

პეიან“. ეს იქნება ჩვენი ბანკის პირველი და უმთავრესი საქმე“¹.

მართალია, „კრებულს“ გამოცემის პერიოდში ვერ მოხერხდა ბანკის დაფუძნება, მაგრამ თერგდალეულები ღრმად იყვნენ დაარწმუნებულნი, რომ ისინი შეძლებდნენ მის დაფუძნებას და ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ფართოდ გაშლას. საზოგადოებრივი ბანკების საშუალებით, თერგდალეულების აზრით, შესაძლებელი გახდებოდა ერის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა.

სადგილმამულო ბანკები საქართველოში ითვლებოდა არა მარტო საკრედიტო დაწესებულებად, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქვეყნის სამეურნეო ეკონომიურ განვითარებაში, არამედ როგორც ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობის ორგანიზაციებად და ეროვნული მოღვაწეობის თვალსაჩინო საბიჯებად. თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკები თავიანთი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ხასიათით არსებითად განსხვავდებოდნენ რუსეთის იმდროინდელი საადგილმამულო ბანკებისაგან. ეს ბანკები ხელს უწყობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ქართველი განმანათლებლებს სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ მათ დიდი მუშაობა გასწიეს ხალხის გამოღვივებისა და გარეგოლუციონერების საქმეში. მათ მიერ მსოფლიო ხალხების, პირველ რიგში, დასავლეთ ევროპის ხალხების ისტორიის ღრმად ცოდნამ, მისმა პროპაგანდამ მასებში, ხელი შეუწყო ხალხში პროგრესული აზრების გავრცელებას, მათ მიერ მსოფლიო ხალხების, პირველ რიგში დასავლეთ ევროპის მოწინავე ხალხების თავდადებული ბრძოლის ქადაგებამ ბევრად გააძლიერა ჩვენი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა დასავლეთის ქვეყნების მავალითის ჩვენება ჩვენი ხალხისათვის დიდად სასარგებლო საქმე იყო. მათი გამოცდილების, ხალხის რევოლუციური ბრძოლის ისტორიის ცოდნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენში ეროვნული კულტურის განვითარებისათვის, ძველი წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

„კრებულს“ პუბლიცისტები, ისტორიულო ფაქტების განზოგადოებით, ცდილობდნენ დაესაბუთებინათ თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განათლებას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საქმეში.

ქართველი განმანათლებლები ცდილობდნენ დაესაბუთებინათ თავისუფალი საზოგადოებრივი წყობილების განხორციელების აუცილებლო-

¹ იქვე, გვ. 187.

² ნ. შევლიძე, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული განვითარების ისტორიიდან, 1967, თბილისი, გვ. 3.

¹ ყურ. „კრებული“, 1872, № 6, გვ. 163-164.

ბა. მათი ღრმა რწმენით, ბუნება ყველასათვის თავისუფლებას მოითხოვს. ამ თავისუფლების მოპოვებისათვის კი სიოცხლის გაწირვაა საჭირო. მათთვის ყველაზე მთავარი იყო თავისუფლების იდეა, ვინაიდან თავისუფალი ადამიანის შემოქმედებით უნდა უსაზღვროა. დესპოტურა წყობილება ახლ-ევნს უკრავს ადამიანებს, ვასაქანს არ აძლევს მათ მთელი თავიანთი შესაძლებლობა გამოავლინონ. აღმაშენები, რომელთაც თავისუფლებისათვის ბრძოლაში მხარში უდგანან საზოგადოების მოწინავე პირები, ბრძალ რთი უნდა ემორჩილებოდნენ მათ აზრებს, ყოველივე ახალი აზრისადმი კრიტიკული მიდგომაა საჭირო. „კრებულის“ პუბლიცისტების აზრით, მოწინავე პირებს შეუძლიათ კეთილშეოყვანილი ზეგავლენა იქონიონ მასებზე იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ახალი აზრების ტყვეობაში არ იშვიათებიან.

საზოგადოების მოწინავე პირნი, „კრებულის“ პუბლიცისტების აზრით, არ უნდა იცვლიდნენ თავიანთ რწმენას დიდგამაგირიანი თანამდებობების მიღების შემდეგ. ეს ხალხს, საზოგადოების ღალატია, რადგან ამით ხელს კი არ უწყობენ ხალხის განთავისუფლებას, არამედ, პირიქით.

თავისუფლებისადმი უსაზღვრო მისწრაფებით არის გამსჭვალული მ. პეტრიძის (პ. უშიაკ-შვილის) სტატია „იოსებ მაძინი“. მაძინის გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო თავისუფლებისმოყვარე იტალიელებისათვის. ავტორი აღნიშნავს, რომ იოსებ მაძინი იყო პატრიოსანი, მართალი, განათლებული, თავისი ხალხისათვის მზრუნველი და თავდადებული ადამიანი. მაძინა და იტალია ერთია, მათი ისტორია ერთად არის შეერთებული.

იტალია დიდი ხნის განმავლობაში იჩაგრებოდა გერმანელების, ფრანგებისა და ესპანელებისაგან. იტალიის ხალხი დაქსაქსული იყო, რაც ხელს უწყობდა მოწინააღმდეგეებს მორჩილებაში ყოლოდა იგი. „იმ დროს ერთობას არა ფიქრობდნენ იტალიელები, — წერს ავტორი — რომ შეერთებულნი ჰქონიან და დიდგამოდნენ მტერსა და ამის გამო მტერს ყოველთვის თიოი, ცალკე ნაწილთანა ჰქონდა საქმე, ქალაქები ლომგვირგვინათი ომობდნენ. გლეხები იარაღს ისხამდნენ, მთებსა და ღელეებში თავს ესხმოდნენ მტერს. თავის სოფლებში, თავის სახლებში ებრძოდნენ. მგერამ მტერი რიცხვით მტერი იყო და ამიტომ იტალიის ხალხი მარცხდებოდა. მტერთან იტალიელების ბრძოლა განაწილ-განაწილებული იყო, დაქსაქსული იყო და ამიტომ ცუდი პოლი ედებოდა“¹

იტალიის ხალხი მთელი ორი საუკუნის განმავლობაში უცხოელების უღელქვეშ გმინავდა. მტრები მუს სისხლს სწოდდნენ, ხოლო იტალიის

მთავრები და მეფეები უცხო ქვეყნების ერთ-მორილ ყმებად გადაიქცნენ. იტალიის მეფეები მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავდნენ უკან მომავალი ნაკლებად ინტერესდებოდნენ. მათთვის ერთი კანონები ავიწროვებდა ხალხს. ძარცვა-გლეჯა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მმართველობის წარმომადგენლის არა მხოლოდ ხაზინას, არამედ ხალხსაც ძარცვავდნენ, რის გამოც სახელმწიფო ხარკმა იმატა, მთელი სახალხო მეურნეობა მოიშალა. მმართველობა ცდილობდა ახალგაზრდობა მთავრობის ინტერესების დამცველად აღეზარდა. თავისუფალი აზრი იდევნებოდა, აკრძალული იყო არისტოკრატია, დემოსტინისა და ტაქტიკის კონხა. ლიტერატურა ეთრანდლ-გაზეთები ისეთ შევიწყოვებას განიცდიდა, რომ ქვეყნის საუკეთესო მწერლებს მხოლოდ საზღვარგარეთ შეეძლოთ თავიანთი თხზულებები ეწერათ და გამოქვეყნებინათ. ამასთან, აკრძალული იყო ხალხის თავმოყრა, საზოგადო საქმეებზე მსჯელობა, ყვლგან სასტიკი ტერიორი იყო გამეფებული. მძას ძმისა ემინოდა, ნათესავს ნათესავისა.

იტალიის ხალხს სულს უხუთავდა სიღარიბე, უგზობა, სიძვირე, უსამართლობა, ძარცვა, საწყლისა და უღონოს დაჩაგვრა, გაუნათლებლობა, ლიტერატურისა და მწერლების შევიწროვება და ღაცვა თავისუფალი აზრების გამოთქმისათვის, უცხო ქვეყნელებისაგან თავდასხმა, გაუთავებელი ომიანობა, ხალხი დაიღალა და ძალია გამოვიდა.

მგერამ როგორც „კრებულის“ პუბლიცისტები აღნიშნავდნენ, შეუძლებელი იყო სომართლის გრძობის დათრგუნვა, საზოგადოებაში ყოველთვის მოპოვებიან ისეთი პირები, რომლებიც ღრმად სწედებიან მოვლენათა მსველობას, უქმყოფილებას გამოთქამენ არსებული წყობილების წინააღმდეგ, ქადაგებენ თავისუფლების სიყვარულს, მთავრობას სამართლიანობისაგან, რეფორმების გატარების აუცილებლობისაგან მოუწოდებენ. მთავრობა კი სასტიკად ღენის თავისუფლებისათვის თავდადებულთ. ვერც ცეცხლში დაწვამ, ვერც ჩამობრძობამ, ვერც საპრობოლებმა ვერ გატეხა ხალხის ნებისყოფა, ბოლოს მთელი იტალია აღსდგა, რამეც იოსებ მაძინს დიდი წვლილი მიუძღოდა. მის ოჯახში სშირად იკრებოდნენ მეგობრები, რომლებიც იტალიის განთავისუფლებაზე მსჯელობდნენ. რეკლუციური სულისკეთებით გაფენილი ლიტერატურის გაყენება „უშეწყვლს“ შეიკრად ჩაუწერა გულში ვრცელი აზრი პოლიტიკური თავისუფლებისა².

„კრებულის“ პუბლიცისტები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი მიზანდევნა მაძინის შავალითს და განთავისუფლების გზას დაადგებოდა. მათი ღრმა რწმენით, ხალხია ისტორიის შემოქმედი, თუმცა არ

¹ ერთ. — „კრებული“, 1872 წ., № 8-9.
² იქვე, გვ. 48.

¹ ერთ. „კრებული“. 1872, № 8-9, გვ. 52.

ეფიყებდნენ, რომ გამოჩენილ პირუცყებებს ეკობრობის პროგრესის საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ. „კრებულის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა ადგილები შაჰინის პოლიტიკური შრომისა; „კრებულის“ ერთ-ერთი პუბლიცისტი იზიარებს შაჰინის აზრს ხალხის როლის შესახებ და წერს: „ხალხი, რომ ისტორიის პირველი მოქმედი პირია და რანაირად დაიწერება ისტორია, თუ მის პირველ მოქმედ პირზე, ჩვენ სრულიად არაფერი ვაგებთ არ ვაგავს“¹.

ქართველ განმანათლებლებს სჯეროდათ, რომ შრომელი ხალხის გამოყენების გარეშე შეუძლებელი იყო ძველი საზოგადოებრივი წყობილების დამხობა. ხალხის გამოჩენილი პირნი კი ხელს უწყობენ ხალხის დარაზმვას, მათ ბრძოლას ძველი საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ. მშრომელობის წარმომადგენელი სასტიკი რეპრესიებს მიმართავდნენ ხალხის რჩეულთა წინააღმდეგ, მაგრამ ამით მომავლადი საზოგადოებრივი წყობილება ვერ გადაჩრებოდა. თი რას წერს ამის შესახებ „კრებული“. „მაგრამ განა შეიძლება, რომ კრების წინააღმდეგ ამ საშუალებით გადაიჩინათ ძველი წყობილება დატყვევებისაგან? არ შეიძლებაო, რადგანაც ამ წყობილების დანერგვას ელოდნენ მარტო, ვესს და იერონიმე კი არა, ევროპის მთელი მომჯიქრებული საზოგადოება, რომლების რაციები, რამდენიც ხანი გადიოდა, იმდენი უფრო და უფრო მრავლდებოდა“².

დასავლეთ ევროპაში ლიტერატურამ ხალხს თვლია აუხილა სინამდვილის წინაშე, ბიჭვი მისცა ძველი საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ მათ ამოძრავებას. ამ დროიდან იწყება საზოგადოების მოწინავე პირების ნეკროლოგი საჭმინათო სასულიერო პირებისა და თავადმანურობის წინააღმდეგ. საზოგადოებრივი აზრიც თანდათან ძლიერდება: „რა არის ძირს დასცეს ძველი რელიგიური და სოციალური წყობილება და დააარსოს ახალი წყობილება. თი ასე დაეხმება რა წავიბნის ბეჭდვის გამოგონება დასავლეთ ევროპის მკვლარებლებს — უმეტესად ნემცებს, რომ მე-16 საუკუნეში ვაბედეთ ვამოთქვათ თავიანთი გულის ბასუხი და დიდის ენერჯიით შესდგომოდნენ ამ გარემოების თავიდან მოშორებას, რომლებიც საშუალო საუკუნეებში უშუარებდნენ ცხოვრებას“³.

ძველი საზოგადოებრივი წყობილების დამხობის იდეალები თანდათან ფეხს იყიდებდა ხალხში, რის საფუძველზეც გერმანიის შრომელმა ხალხმა თავისუფლების მოსაპოვებლად შემდეგში დიდი ძრვები მოახდინა. შრომელი ხალხი იტანჯებოდა ბატონყმობის უღელქვეშ. არსებობის განავარაზიბდა ძველი სოციალური წყობილება. ჯერ კიდევ, ხალხს ძველ-რბილში არ ჰქონ-

და გამჯდარი ის აზრი, რომ შესაძლებელია ახსებელი გარემოების შეცვლა, არც თავად ახსებრობა და სასულიერო პირები იყვნენ რაც დამსუსტებულნი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი დამარცხება და ხალხის გამარჯვება... მაგრამ დიდი ხნის შემდეგ ნემცებმა წარმოთქვეს მაღალი სიტყვა თავიანთ გარემოებებზე და უკან აღარ დაიწიეს იქამომდე, მინამ ზოგერთი მათგანი არ მოიშორეს თავიდან“⁴.

მართალია, ქართველი განმანათლებლები დასრულებული იყვნენ ექსპოლიტატორული წყობილების დიდუქვის აუცილებლობაში, მაგრამ ძველი წყობილების დამკველთა მოსაზრებანი და საქმინათო აფერხებდა მწარმოებლური ძალების წინსვლას, რის გამოც ძველსა და ახალ აზრებს შორის ვაფთხებულ ბრძოლა მიმდინარებოდა. „კრებულის“ პუბლიცისტებს სჯეროდათ, რომ ახალი აზრების ცხოვრებაში ვატარებისათვის მსხვერპლი, სისხლის დაღერა იყო საჭირო. ეხება რა ინგლისში ფოტ ტაილერის 1381 წლის აჯანყებას, რომელიც დიდწინამდებოდა მოვლენა იყო ინგლისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, „კრებული“ აღნიშნავს: „არც შეიძლება განაჩინოთ რომ ხალხს ვაგმარჯვა, რადგანაც თავადანაწერობა და სასულიერო პირები ჯერეთ კიდევ ისე არ იყვნენ დასუსტებულნი, რომ დაბალი ხალხი ორივეს ერთად შორავდა და არც დაბალი ხალხს ისე ჰქონდა ვინება ვახსნილი, რომ რაგანათ ემოქმედა თავისუფლების შოენისათვის“⁵.

საფრანკეთის შრომელი ხალხიც იტანჯებოდა ვაბატონებული კლასების მიერ. მთავრობამ სასტიკი რეპრესიებით ჩაახშო გუბნთა მოძრაობანი, მაგრამ შრომელები სულ უფრო აქტიურ წინააღმდეგობას უწყებდნენ არსებულ სოციალურ სისტემას. დროდადრო საფრანკეთში მიიწი იფეთქებდა ხოლმე აჯანყება, რომელსაც მიზნად ჰქონდა თავადანაწერობისა და სასულიერო პირების თავიდან მოშორება. მათი ძალაუფლების დივიდაცია.

„კრებული“ პუბლიცისტებმა იცოდნენ, რომ ახალი საზოგადოებრივი წყობილების დამკვიდრება დიდ სიმნელებთან იყო დაკავშირებული. ისინი რაცა დასავლეთ ევროპის შრომელი ხალხის ცხოვრებას ვადმოსცემდნენ, ამით საქართველოს შრომელ ხალხს თავდადებული ბრძოლის მავალითებს უჩვენებდნენ. მათ სჯეროდათ, რომ „იმ სამეფოს არა აქვს ბეჭვი დღე, რომელშიაც ერთი წილებზე ფეხს იდვამს შრომით, მერეთ კი გულამა წევს“. რადგან „იმ სამეფოში, სადაც სიმდიდრე, ცოდნა და ერთად მოქმედება ვადიდის ხალხის ხელში, იქ ძნელი საქმეა კაცში დააარსოს, ანუ დარსებული დის-

¹ უფრ. „კრებული“, 1872, № 2, გვ. 205.

² უფრ. „კრებული“, 1871, № 11, გვ. 251.

³ იქვე, გვ. 267.

⁴ უფრ. „კრებული“, 1873, № 1, გვ. 255.

⁵ უფრ. „კრებული“, 1873, № 1, გვ. 241.

პოეტური მართებლობა შეინახოს შეუცვლელად¹.

„კრებულმა“ უარყო გ. მუხრანბატონის რეაქციული თეორია; ამ თეორიის მიხედვით მცირე ხალხების როლი ყოველმხრივ დამცირებელი იყო. „კრებულმა“ დაუნდობლად გაილაშქრა აღნიშნული რეაქციული აზრის წინააღმდეგ, და თანაც დასძინა, რომ ქართველმა ხალხმა, მიუხედავად თავისი მცირე რიცხოვნობისა, დიდი როლი ითამაშა დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში და არა ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა კაცობრიობის ისტორიაში. ამით ქართველმა დაუმტყიცა ყველა რეაქციონერს, რომლებიც დიდი ერების მიერ პატარა ერების ასიმილაციას მოითხოვდნენ, მათი თეორიის ანტიხალხური, რეაქციული და ცრუმეცნიერული ხასიათი. „კრებულის“ პუბლიცისტებმა მართებულად დაასაბუთეს, რომ ქვეყნის განვითარების დონეს განსაზღვრავს არა ხალხის სიმრავლე, არამედ სამოჭალაქო წყობილება, ქვეყნის საზოგადოებრივი კლასების ურთიერთდამოკიდებულება. მათი ღრმა რწმენით, კეთილად განწყობილი ურთიერთობები ადამიანებს შორის ხელს უწყობს საზოგადოების პროგრესს, ქვეყნის ეულტურელა ცხოვრების წინსვლას.

„კრებულის“ ფურცლებზე ვკითხულობთ: „რამდენი რიცხვმრავალი ხალხები ყოფილან და

არიან, რომ წიგნიც არა ცოდნით და რამდენი რიცხვმცირე, რომ უმალესი განაყოფაჲ მქონიათ. წუთუ წინვის ყავნის და დაწვეთმურის ურდოები რუსის ან ქართველ ხალხზე გონებით გახსნილნი იყენენ. წუთუ ძველი პაწაწინა საბერძნეთის ხალხის განათლება რიცხვზე იყო დამყარებული?.. ყველა ხალხის გონებითი ძალა ხალხის უბრალო რიცხვზე კი არ არის დამყარებული...

გონებითის შრომას თავისუფალი დრო, მოკლად უნდა. მოკლისათვის ღონისძიება ეჭირება... განა ამისთანა კაცები უეჭველად იმ ხალხში ჩნდებან, რომელიც რიცხვმრავალია, თუ სხვა ხალხებშიაც ჩნდებიან? ეს ყველა მცოდნე კაცმა იცის, რომ სწავლა და განათლება იმისთანა ხალხებშია, დიდებშიაც და პატარებშიაც, სადაც მოქალაქეობრივი განწყობილება უკეთესია, სადაც ხალხის შემადგენელ ნაწილებს შორის უფრო ადამიანური ერთობაა და სადაც მართო მცხოვრებლის საზოგადო საქმე თავის საეთარ საქმედ შიანია“¹.

ქართველი მშრომელი მოსახლეობა რუსეთის ცარიზმის მიერ სასტიკ ექსპლოატაციას განიცდიდა. ქართველი პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენცია კი ძაღლონეს არ იშურებდა, რომ ხალხს მძიმე ტვირთი შემსუბუქებოდა.

¹ ტურნალი „კრებული“ 1872 წ. № 10-12, გვ. 30-31.

¹ ტურ. „კრებული“, 1872, № 10-12, გვ. 66.

ისტორია და რომანი

წიგნიანი კვირეული

„ლაშარელა“

ლაშა-გიორგიამ სულ 29 წელიწადი იცოცხლა. 9 წელიწადი იმეფა და 8 საუკუნის უკვი, უნდობლობა, განჭიჭება და გმობა დაიმსახურა. იგი ორი ეპოქის მოყვანე იღვა. უკან იყო დიდი, სვებუდნიერი, ძლიერი, მდიდარი და მრისხანე საქართველო, წინ კი — დამარცხებული, დაზინებული, დანგრეული, ვალატაებული და შევიწებული საპატრონო ბაგრატიონთა. ლაშა-გიორგის ბედისწერამ მაშინ დაადგა სამეფო გვირგვინი, როცა საქართველოს დიდი დღე დაღამდა და დიდი შწუხი დაიწყო. იგი მზის შვილი იყო და ისტორიამ დამის ვაფანტვა უბრძანა. მაგრამ ბნელის დასაბლევად ღონე არ იყო და, ამა, რვა საუკუნეა, დღეს იგი დაქვევლი საქართველოს უღმობელი სამსჯავროს წინაშე და თავი ვეცაფრით უმართლებია. 8 საუკუნეა, გვიყურებს იგი ბეთანიის ტაძრის ფრესკიდან დამარცხებული და სასოებით ხელვა-მოწედილი, მაგრამ დიდა და შეებრალებული მრისხანება ერისად მისი დიდი დედის მადლიერად საქართველო გულგრილი და ცივია მის მიმართ. თუმცა, ეს მთლად მართალი არ არის. ზევნი ერის ერთი ნაწილი წმინდანისადაც პატრიუს მიიკვებს მას სალოცავეზა და ხატობაში „ქვერ ვადიდოთ ლაშაი, ლაშაი თამარისა“. გავკვირებულვართ ამით და ვერ აგვხსნია, ბედის პატრიუსცივით, ვერ მიმხვდარვართ იმპატომ, რომ ისტორიამ მწირი ცნობები შემოგვიანხა, მწელია გარჩილა მტყუანი და მართალი. მაგრამ 8 საუკუნის ნოსლსა და ბურუნში მაინც კიადობს საზე აბალატრდა კაცისა და იპრობა ჩვენს ყურადღებას. ამ ყურადღების ნაყოფია

გრიგოლ აბაშიძის რომანი „ლაშარელა“ (ქვე-მით ციტატებს მოვიტან 1969 წელს „ნაქაღუ-ლის“ მიერ გამოცემული ვარიანტიდან).

პოლიტიკის ასპარეზზე დავით აღმაშენებელ-მა ქართველ ხალხს დიდი ამოცანა დაუსახა: ქრისტიანული კაცობის ვაერძიანება ისლამე-რი აღმოსავლეთის წინააღმდეგ. თითქმის 200 წელი იბრძოდა საქართველო რომ ნაქისრი დიდი მისია-საბოლოო გამარჯვებამდე მიეყვანა, მაგრამ ვერ შეძლო — ლაშა-გიორგისა და რუსუდანის დროს იგი დამარცხდა. ამ დამარცხებას მარტო საგარეო აგრესია არ მოჰყოლია. იგი, უპირ-ვედლად, ფეოდალური საქართველოს შინა-განი კრიზისის შედეგი იყო. რაიც მეფის ცენტრალისტური ხელისუფლების განმტკი-ცების წინააღმდეგ მსხვილ ფეოდალთა ბრძო-ლით გამოიხატებოდა, ამ ბრძოლის გამოყენება-დუნა ბატონიშვილის აქანყებაც და „ისინი კა-ჩვის“ გახსნის მოთხოვნაც. ფეოდალთა გა-მარჯვების ძლიერი ნიშნები უკვე თამარის დროს ვაქვს. იგი დავით აღმაშენებლის დარად შეუზღუდელი მეფე როდი იყო, არამედ ფრთხილმეცეცილი, რომელიც ყოველგვარ გა-დაწყვეტილებას ფეოდალთა „ერთნებობითა და თანადგომით“ იღებდა.

ეპოქის ბირითად წინააღმდეგობათა თავმოყრა ლაშა-გიორგის დროს მოხდა. მეფის მტკიცე ცენტრალისტური ხელისუფ-ლება ქვეყნის ერთიანობას, პოლიტიკურ სიმ-ღირეს, კულტურულ აღორძინებას ნიშნავდა; რადგან მაშინ არ არსებობდა სხვა უფრო ძლიე-რი გამაერთიანებელი და ერთ ეროვნულ სხედ-

ლად შემავავემირებელი ფაქტორი. ფეოდალთა გაძლიერება კი ქვეყნის დაქვემდებარებას, პოლიტიკურ დასუსტებას, ეროვნული სხეულის დაშლას, ევოლუტურულ დაქვეითებას სწავსევტება.

ეს ეპოქის ნიშანი და თავისებურებაა. როგორც ჩანს, ლაშა-გიორგი ხელდავდა იმ ბზარს, რომელიც თამარის საქართველოს ქონდა. ამიტომაც ცდილობს იგი უფრო დავით აღმაშენებელს წაბადოს, ვიდრე შრობელ დედას. ქაბუკი მეფე დედის მიერ აღწვევებულ დიდგვარიან მოხელეებს წაჰკიდებია („განიშორანა ეახირნი სანატრელისა დედოფლისა...“) და თავისი ტოლები დუბახლოვებია („მეფეჯარანა თანამოსაკენი...“). ეს უმწიფარი ყმაწვილის ყინიათბა რომღია, არამედ ჩათული სოციალური კონფლიქტი.

დავით აღმაშენებელმა ცდილ საქართველოს შენება მსხვილო, დიდგვარიანი ფეოდალების აღაგმვით დაიწყო. მაგრამ მას წვრილი აზნაურობის სახით მტკიცე საყრდენი ყავდა. ლაშას დროს კი წვეალი აზნაურობა ის ძალი აიარ იყო, რაც დავითის დროს, მსხვილი ფეოდალები მტკიცედ ისხდნენ თავიანთ ციხეებში და არც ვიორგი III ან თამარის მიერ ბოძებულა სახელოების დამოძობას ამირებდნენ.

დავით აღმაშენებელმა ჭყონდიდელი-შწიგნობართუღვეცის სახით ძლიერი შოგუნორე შეაბინა სამეფო ხელისუფლების გასამტკიცებლად. ჭყონდიდელი-შწიგნობართუღვეცისი მონაზონი იყო, რომელსაც სამეგვიდრო მამული არ გაანდა. მისი ერთადერთი საზრუნავი სახელმწიფოსა და მეფის სიძლიერე იყო. თუ მეფე ძლიერი იყო, შწიგნობართუღვეცის-ჭყონდიდელე ძლიერი იყო და პირიქით. ამ პირდაპირპროპორციული დამოკიდებულების გამო, ამ მაშინდელ პრემიერ-მინისტრს მართო მეფის ხელისუფლების სიმტკიცე ეხატა გულზე. ლაშა-გიორგის კი ასეთი მოყავნირე არ ჰყოლია. თამარის მიერ ათაბაგობის შემოღება და მისი პირველ მოხელელ ქვევა სამეფო ხელისუფლების დასუსტების კიდევ ერთი ნიშანი იყო. ათაბაგი თავად იყო ძლიერი ფეოდალი. უზარმაზარი ადგილ-მამულის, ციხეებისა და ქალაქების მფლობელი. მას პირადი სიძლიერე უფრო აინტერესებდა, ვიდრე მეფისა, იგი სამეფო ხელისუფლების დასუსტებას ეტრფოდა, რომ თავისუფლად ეფარფაშა.

ამიტომაც ცდილობდა ლაშა დღისიველი დადი მოხელეები გაერევა და აზნაუბი დავსა. მაგრამ ამ ბრძოლაში იგი მართო აღმოჩნდა, სოციალურ საყრდენს მოკლებული. ამიტომაც უფრო ხშირად დამარცხებულის როლშია, ვიდრე გამარჯვებულის. განძის ომის შემდეგ რომ ბოღში მოახდევინეს, ეს ვანებოერებელი ქაბუკის დატყვევა კი არ არის, არამედ წავებულის სოციალური ბრძოლის შედეგი. ეს არის ლაშა-გიორგის ტრაგედია, როგორც მეფისა.

როგორც ჩანს, ქართული აღორძინების წარ-

მოშაღვენლებს კარგად ესმოდათ საქართველოს საშინაო მდგომარეობა. ყოველი მათგანი, ჩანარუნებთ იწებთა იგი თერქმენებელი მუფტის ძლიერი (დავით აღმაშენებლისმტერი) ცენტრალისტური ხელისუფლებას უზღერის და ამტკიცებს. ისინი იდეოლოგიურად და პოლიტიკურად ფეოდალური კლასის წინააღმდეგ იბრძვიან. ამიტომაც ამ ეპოქაში პროგრესისტობა ნიშნავს ბრძოლას საქართველოს პოლიტიკური და ევოლუტურული აღორძინებისათვის, ხოლო ფეოდალური პარტყელარბზის მომზრეობა ქვეყნის მოლიტიკური დასუსტებისა და ქართული აღორძინების დასაქვეითებლად არის გაიზნული.

ქართული საისტორიო მეცნიერების ამ სფეროთ კონცეფციას არ ემიჯნება გრიგოლ აბაშიძის რომანი „ლაშარელაშიც“ ლაშას სამეფო ხელისუფლების მტერი ძლიერი ფეოდალები არიან ივანე მხარგრძელის მეთაურობით. რომანის მიხედვით, ლაშა ბალობდიანე ვაგთელით ეყრტუბდა ივანე მხარგრძელს და არც ათაბაგი იყო უფლისწულის დიდი მოყავრული. აქერ კიდევ ხუთი წლისა იყო უფლისწული, გვეთში სხაპთროდ ვადასულ თამარს რომ ეხატა ივანე.

ბაღს დავით სოსლანი ეთამაშებოდა — თამარის თანამეხედრე, საქართველოს მეფე ოთხზე დამდგარიყო, ზურგზე ხელმათრახინი ლაშა შეესეა და ცხენით დაარბენინებდა ამოღენა ვაჯაცი.

მხარგრძელი რომ დანახა, შერცხვა სოსლანს, წამოღდა, ბავშვი ხელით აიყვანა და მხარეთუღვეცის მიგებდა.

უფლისწულმა, ეტყობა, თამარის შეწყვეტის მიზეზად ნაპრვევით სახედობაზული სტუმარი ჩათვალა, წამით დააქერდა და უეცარად წვერში სწედა. გამეტებით დაქაა ყრმამ წვერი მხარგრძელს და შეუღრტყელი ვაჯაცი შეტორტვინა.

სოსლანს ფერი ეცავლა, ბავშვის მოშორება სცადა, მაგრამ ორივე ხელით ჩაფრენილმა ტახტის პატარა მეგვიდრემ კიდევ უფრო შეუმრალეზლად დაწინა წვერი მხარგრძელს.

თვალზე სიმწრის ტყემლი მოაღვა ვოლით ვახრის. შამჭორის, ბასიანისა და ნიალის შამე ბრძოლებში არ დასდგომია ივანეს მსგავსი გამკრევაბა იღვა უგუნური ყრმის მიერ შეურაცხყოფილ დარბაზელი, ბრახით ვული უსაღებოდა, მაგრამ თავს სძლედა და გაღმეზბას ცდილობდა. ტყვიელსა და შეკავებულ მხარს ხანებისაგან შეშლილ სახეზე ნაძალადევი ღიმილი ვერ ჩერდებოდა და მხარგრძელი უხერხულად ასავსებდა ხელებს.

როგორც იყო, სოსლანმა მხარგრძელს ბაღლი აიკლავა“ (გვ. 31).

ეს არ არის მხოლოდ ბაღდური ანკობა. აქ მინიშნებულია მომავალი ქიშიი და მტრობაც, მინიშნებულია აგრეთვე ლაშა-გიორგის ხანია-

თის ერთ-ერთი თვისებაც — სიყრბე, სიჭრტე, თუმცა ხასიათის ეს თვისება სხვა დროს და სხვა შემთხვევაში ლაშას აღარ გამოუვლენია.

მეფისა და ათაბაგის მტრობის რომანში აღწერილ კონკრეტულ ფაქტებს რომ თავი დაეხანებოთ, იგი (მტრობა) ლაშა-გიორგის ორი ალევგორიული სიზმრითაც არის ნაჩვენები.

სიზმარი პირველი:

„მერ იყო, ხათუნთან ლოგინში განცხრობა დაესიზნრა, ვითომ ხათუნმა ლაღობა დაუწყო და ორივენი ლოგინიდან დაეკრძალდნენ. სიცილ-სიყვითლით მიგორავდნენ უსასრულო ლოგინზე თუ მწვეანზე მიყურებო. მერ უცებ კლდის პირს მიიღწიეს. ის იყო, ლაშა კლდეს გადავდა, რომ ელაგის ღონიერმა ხელმა ხათუნმა შეაჩრა. ხათუნი ცდილობს ხელი არ გაუშვას საყვარელ მეფეს, მაგრამ ღონიერმა ხელი, რომელმაც უფსკრულთან შეაჩრა, მარწხვივით უტერს ქალის უღონო ხელებს. ქალი ტყვილისაგან იკლავება, სიმწრის ოფლი ასხამს და ლაშა გრინობს, როგორ ნელ-ნელა შორდება მის ყელს შემოკდობილი ქალის ნახით თითები. ლაშა განწირული ფართხალს უფსკრულს პირას. ცდილობს უფრო მაგრად ჩაეღოს ხათუნს ხელები, რომ როგორმე თავი შეეშაროს უფსკრულში გადაჩვენისაგან, მაგრამ ახლა უკვე მას მისწვდა ის ღონიერი ხელი, რომელმაც ხათუნი შეაჩრა კლდის ნაპირთან. სიზმნად მოექცია მკვამი მძლავრმა ხელმა, ძელებმა ტყავთნი გაიღო და ტყვილისაგან გამწარებულმა თელი წითი მალა მიაყრდო ლაშამ: კლდის თავზე თმაიჩიჩილი და წვეკრამ ფოფორილი ათაბაგი ივანე იღვა“ (გვ. 139-40).

სიზმარი მეორე:

„ყბღზე ვითომ ლაშაზე გველი ეხვია ლაშას, ეს გველი არ კენდა, ისე ეხვეოდა და ეალერობოდა. მერ უცებ საიდნელიც ორი ძლიერი ხელი იყინდა, გველი მოაშორა და მხოლოდ მაშინ იცოდა ლაშამ, ამ გველს ხათუნის სახე ჰქონდა. ლაშამ დაყვირებაც ვერ მოასწრო, რომ იგივე ხელები, რომელთაც გველი მოაცილეს, თითონ შემოვლდნენ მის ყელს და ნელ-ნელა მარწხვივად წაეჭირნენ. გაბრძობა ლაშამ, მაგრამ ამოღო, ხელების შემომკდობელს გოლი-ათური ღონე ჰქონდა, მიწისყენ დახნივა მეფე, უღონო ბრძოლისაგან ქანცაშეყვებულმა მეფემ მხოლოდ ახლა დანახა მასთან შეკრებულთ თვლებში სისხლმკვეთი გოლიათი. დანახა და ბუნდოვანად დანახული ნაჭრელებიანი სახე ერთ წამს ივანე ათაბაგისას მიამსჯავსა. თვალბმა სინათლე დაჰყარგეს, ნახმლევიბიანა გოლიათმა ლაშა ძარს დასცა და ზედ ზეაყვით დააწვა“ (გვ. 140-41).

პირდაპირი და აშკარა ალევგორია. მოკლენათა განწითარება ნუსტად ისე წარმართება, როგორც სიზმარში ნახა ლაშამ. ხათუნი მაჰმადიანური საზიაროს მსტოვარია. იგი განზრახ გააბამს ლაშას საყვარელის ქსელში. შემდეგ

მსხვერპლი თავად შეუყვარდება ქალს („მელზე ვითომ ლაშაზე გველი ეხვია ლაშას, ეს გველი არ კენდა, ისე ეხვეოდა და ეალერობოდა“). ამ ამბავს შეიტყობს მხარგრძელი მკვრივანს დაბატომრებს („ორი ძლიერი ხელი ეჭირნდა, გველი მოაშორა“) და ლაშას მკვლელებს მიუტანვის („იგივე ხელები, რომელთაც გველი მოაცილეს, თითონ შემოვლდნენ მის ყელს და ნელ-ნელა მარწხვივად წაეჭირნენ“). ლაშა-გიორგი შემთხვევით გადაჩრა. ლუხუმს თავი განწირვა რომ არ გამოერჩინა, ლაშას ველარაფერი უშველიდა.

ერთი სიტყვით, ალევგორიული სიზმარში იგონებამდე ხდება, რაც ცხადში. ამ უნებლიეთ უსმის კითხვა: ვისთვის და რისთვის დასჭირდა მწერალს ეს სიზმრები? ალევგორიულ ქვეტექსტს თავისთავად დაეყარვა მნიშვნელობა, რაი თავად მწერალმა ახსნა ალევგორიის შინაარსი: „კლდის თავზე თმაიჩიჩილი და წვეკრამ ფოფორილი ივანე იღვა“. „ამ გველს ხათუნმა სახე ჰქონდა“. „...ნაჭრევიბიანი სახე ერთ წამს ივანე ათაბაგისას მიამსჯავსა“. ასე რომ, მკითხველს ალევგორიის ამოცნობა არ სჭირდება. გრამატიკულ თავად შეახსნა იგი და თავადვე ახსნა. არც მოკლენათა ქვეტექსტების ახსნას უადვილებს სიზმრები მკითხველს. მთელი რომანის მანძილზე ივანე მხარგრძელი თანამიმდევრულად და პრინციპულად მტრობს ლაშას. ეს მკითხველისათვის ნათელი და გასაგებია და ალევგორია ახალ არაფერს ეუბნება. იქნებ ლაშა-გიორგის ბუნების გამოსამკლავებლად დასჭირდა მწერალს ალევგორიები? შეიძლება. მაგათალია, ლაშამ სიზმარი ნახა, მაგრამ წამიერა განციდის შემდეგ ზამნებისათვის არავითარ ყურადღება არ მიუქცევია. არც რინდებთან მომხდარი ამბების შემდეგ ვახსენებია ლაშას სიზმრები. ივანე ათაბაგის მერ შეთხზული ვერსია გულბრყვილოდ დაეყარა, მზაკვარ მხარგრძელს ისე ალაღად მივდლო: „მეფეს გულამოუჭდა, ათაბაგს მოეხვია და მკერდში ჩაყარა ქვითიორ“ (161 გვ.). რით შეიძლება აესხნათ ლაშა-გიორგის ესოდენი ინფანტილურიობა? ვრცოდენ ამაშივე წერს: „კეთილშობილსა და ბოროტებისაგან შორს მდგარ ლაშას უჭირდა და ეხარებოდა სინამდვილის პირდაპირ შეხედვა და დაყრება, ადამიანთა სულის უღრმესა და უბნელს ეუწულებში ჩახედვა. ცხოველებზე და ადამიანთა ურთიერთობაზე თავისი ნათელი და ხალისიანი შეხედულების ასე ერთბაშად შეცოლა“ (გვ. 165).

მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ლაშა ახლენად უბოროტო და კეთილია, რომ არც ფაქტს და არც სიზმარს მისთვის მნიშვნელობა არა აქვს. ყველაფერი კარგისაგან მივმართება აქვეყნად. თუ ასეა და სხვის ბოროტების დაყრება უჭირს, მაშინ თავად რად ჩაიღინა უმძიმესი ბოროტება? ივანე მხარგრძელი მტრობს, ხაჭვევნილ ამასხარავეს (ვახსენებთ განძის

ომის ამბები), სასიკვდილოდ იმეტებს და ლაშა-გორგის მიანიც სჯერა მისი კეთილკაცობა. ლუხუმ მიგრადულმა ორჯერ სიკვდილს გადაარჩინა ლაშა (ერთხელ შეიხ-ფეიხის სახლში, მეორედ — განძის ომში), ძალღვივთ ერთგულად ემსახურებოდა და ლაშამ სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ ცოლი წაართვა, სასახლიდან კინწისკერით ვაგდო, სახლკარი დაუქცია, ვაჟაჩაღა. შერე ლუხუმში, როგორც მეგობრე და მძარცველი, წუთისოფელს გამოასალმეს. ამის შემდეგ ძნელად თუ ირწმუნებო, „ეთილშობილია და ბოროტებისაგან შორს მდგარ ლაშას“ უჭირდა აკაცობის დაჯერება.

თუ, ერთი მხრივ, ლაშა-გორგი ინფანტილურია (კერძოდ, ივანე მხარგრძელთან დამოკიდებულებაში), მეორე მხრივ, შეუბრალებლად ბოროტია (ლუხუმ მიგრადულს მიმართ). ინფანტილურობა და ბოროტება რაღაცით უკავშირდება ერთმანეთს, მაგრამ ამ კავშირს შერი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა სჭირდება. მაშინ დაიხატებოდა რთული, მრავალფეროვანი, წინააღმდეგობრივი ბუნებისა და ხასიათის აღაშინა. მაგრამ, ამჟამად, სამწუხაროდ, ასე არ გამოვიდა. გამოვიდა უგუნდო კაცის ხასიათი. თუ, ერთი მხრივ, უგუნდობა წარმოშვა ინფანტილურობამ, მეორე მხრივ, უგუნდობა დაბნდა ბოროტებამ, ხოლო ლაშა-გორგიმ უგუნდობით დაღუპა არა მარტო საკუთარი თავი, არამედ საქართველოს სამეფოც. აქ შვერალი, ნებით თუ უნებლიეთ, „ამთააღმწერლის“ კონცეფციას იმეორებს. სხვათა შორის, ამ აზრს ისიც გვიმტკიცებს, რომ შვერალი ჩაღბია ფხოველი (ეს პერსონაჟი კი ავტორს სიმათიი-ა და სიყვარულით ჰყავს დახატული) „ამთააღმწერლის“ სიტყვებით აღმართავებს:

ამთააღმწერლი:

„...მაშინ მღერასა და სიღოდასა, და ნაყო-
ვანებამ სიბილწისა უმეტეს ვარდარია“
(ნათქვამია ლაშა-გორგისზე — ა. ბ.)

ჩაღბია ფხოველი:

„...შედევ მღერასა და სიღოდასა და ნა-
ყოვანებამ სიბილწისა უმეტეს ვარდარია...
(უბნებდა ჩაღბია ლაშას — ა. ბ.)

მართალია, „ამთააღმწერელი“ წერს, რომ „ამთა აღმწერლობა ქვეშაობის მერტყეულმა ანაშია“, მაგრამ რა ქვეშაობის მერტყეული იგი იყო, კარგად დასტურდება მისივე თანუ-
ლებით. მეიხველს შეუძლია გაიხსენოს, მაგალიათად, შედეგი ამბები — როგორ ჩააგდეს დაგიო ლაშას ძე გველებით საცეი ოჩაოში და როგორ დაიკეეს იგი გველებმა, როცა დავითი ერთ-ერთმა მიუგანმა კებნა მოუნდომია, ანღა როგორ დაიქცა ქალაქის კედლები მონღოლები ძაღლისებურ ყმობილზე და სხვანი. ამის გამო

ივანე ჯავახიშვილი გულნატყევი წერს: „ამთა-
აღმწერლის ზემოაღნიშნული გულნატყევილობა
ნათლად გვიჩვენებს, რამდენად დაუქვეითდა მონ-
ღოლების ბატონობის დროს ქართველსა“ გონე-
ბრივი ცხოვრება და აბოცებია“.

„ამთააღმწერელი“ ლაშა-გორგი საბრაღე-
ბულო სკამზე დასვა და საღანღღვი სიტყვა არ
მოაკლო. თუმცა ისიც აღნიშნა, რომ „იყო ყო-
ველთა მეფეთა უმეტეს უხვი და არავისთვის მო-
შერე, მლოცველ, მარხველ და მოწყალე და
გამკობველ“; მაგრამ რაღაც მომზადარა ლაშას
ცხოვრებაში („უქანასკნელ მიდრკა სიბორო-
ტდო“, წერს „ამთააღმწერელი“) და ლოთობა
და ვარყენილება დაუწყია. მემატიანეს არ აღუ-
ნიშნავს, რა იყო ლაშას შეცვლის მიზეზი.

„ამთააღმწერლის“ მიერ ლაშას ვარყენილები-
სა და ლოთობის გამო მოთქმას თავისი მიზეზა
აქვს.

XIV ს. შვერალი-ისტორიკოსი საქართველოს
დამარცხების მიზეზებს ეძებდა. იგი ვერ ვარ-
ყევულ, როგორ მოხდა, რომ წინა აზრის უქ-
ლოცეობა, უმდიდრესი, უმაღლესი კულტურის
მატარებელი სახელმწიფო მონღოლთაგან და-
მარცხებულმა, უსამშობლოდ და უტახტოდ
დაჩვენებულმა ზეარახმელმა უფლისწულმა, სო-
ხელდახელოდ შვერთილია ჯარის სარდალმა
ჩაღბელდნმა მოსრა და მოსხარა. „ამთააღმწე-
რელი“ საქართველოს დამარცხება ღვთის რის-
ხვად მიიჩნია და თანამედროვეებს აყერებდა
ღმერთმა რისხვა ურწმუნობისა და ვარყენი-
ლების გამო დავაჯატეხი თვის. ამიტომ იგი
მარტო ლაშას ან რუსუდანს კი არ ვანიცთავს,
არამედ მთელ ერს. უკეთესია თუდა „ამთა-
აღმწერელს“ უსმინოს კეთხველმა: „აღიძრნეს
ძვირჯარნი განსაყდენნი საზღვართა ზედა სა-
ქართველოსათა, უკეთურებისათჳს მკვიდართა
ქართლისათა. ჩამეთუ ყოველი მასკი ბერთა
და ჰაბუთა, მეფეთა და მოავართა, აღთა და
მცირეთა, მიდრკა სიბოროტეთა მიმართ, ჩამე-
თუ დაუტევეს საშართალა და წყალობა, ვინათ-
გან ყოველი ერი იქმოდა სიბილწისა“.

ესაღია, კაცი, რომელიც მთელ ერს თვლიდა
ბილწად და ზნედაცემულად, ვერ იტყოდა რა-
იმე საკეთილოს ლაშა-გორგისზე, მიუხედავად
იმისა, რომ იგი მეფე იყო.

მართალია, ლაშა-გორგის შესახებ მეტისმე-
ტად ძნევი ცნობები გვაქვს, მაგრამ არც მარ-
ტოდენ „ამთააღმწერლის“ აზრად ვართ დარ-
ჩენილნი. მაგალიათად, ლაშა-გორგის დროინ-
დელი შემატანე სრულიად საწინააღმდეგო
ცნობებს გვაწვდის. იგი ლაშას კება-ღიდობას
ასხამს, დაგიო აღმამენებელს აღარებს და წერს,
რომ იყო „დავირებულთა განმკობველი, ბუ-
ეა მოსსამართლე, და მხედვარი მი-
ტად ქაშისა და ასაკისა მისისა“.
(მაზი ჩემია — ა. ბ.). შეიძლება ვინმემ გვიფხ-
რას, რომ ეს მემატიანე ლაშას თანამედროვე

ყოფილი და მის თხზულებებში კარისკაცის მლოქვენი-
ლობა კარბობსო, მაგრამ ფრანგ რაინდს დე-
ნესს თამარის მისაღმი სამლიქვენილო რა სკინა-
და, როცა ბეზანსონის არქივისკოპოსსადაში
მიწერილი წერილში აღნიშნა, საქართველოს მე-
ფე „ალექსანდრე მაკედონელს ჰგავს ვაჟსაყო-
ბითა და სათნოებითა“...

ლამა-გიორგიზე მოთქმა-მოთქმა არც შემდეგ
შეწყვეტილა. ვახუშტი ბატონიშვილმა, ვამა-
ლმწერალის დარად, იგი საქართველოს დამქვე-
ვის მიხედვად გამოაცხადა. მერე იოანე ბატონი-
შვილმა და ფარსადან გორგჯანიძემ სცადეს
ლამა-გიორგის რეაბილიტაცია. ფარსადანი ქე-
ნითა და ზოტბით იხსენიებს ლაშას და წერს:
„იყო გიორგი მეფე ტანად ასოვანი, ზელდაიე-
ლი, მხნე კეთილი, კარგ ცხენიანი, კარგ კე-
როსანი, ნადირობაში ფიხელი, კარგად მკვლე-
ლი, თავდაბალი, ლალი და მტოისკანი მიწიშე-
რი, სამართლანი, უბი და უმურველი, კვირი-
ნი და სიტყვაშიარქვე, მოხეზლათ მშელველი
და ყურის არ მიმკვდები“. ფარსადან გორგჯა-
ნიძე ვერაქითარ ნაყლს ვერ ხედავს ლამა-გი-
ორგის პიროვნებაში. იოანე ბატონიშვილსაც
მისწონს ლამა-გიორგი და ვაბარაზულმა ესეც
კი აჯადოა ვახუშტის: ვახუშტი თავად ვახტანგ
მეფეების ხარჭის ნაშობი იყო და კანონიერა
მაგარტიონები სძულდაო.

ერთი სიტყვით, ლაშას მიმართ ნეიტრალურია
არ დარჩენილან. ან აძაგებდნენ, ან აქებდნენ.
თავისთავად ეს უკვე იწვევს ინტერესს. სხვადა-
სხვაგვარ დამოკიდებულებას მხოლოდ ძლიერა
და სწავლურესო აღმოიანები იწვევენ. ახლა ამო-
ცანა ის უნდა, ამ ორგვარ დამოკიდებულების
ახსნა შევქოთ. მაგრამ, როგორც ითქვა, ეს
ხნელდება წყაროთა და ცნობათა სიმწიროს გა-
მი. თუმცა ბენიამინ სილაგაძემ საყურადღებო
ვაზაუდი გამოთქვა. იან აღსანიშნის ცნობებო-
განხილვის შედეგად, დაგება ახრი, რომ თამა-
რი გარდაცვლილა 1207 წელს და არა 1212 ან
1213 წელს, როგორც ეს დღეს არის მიღებული.
თუ ჩვენი ისტორიოგრაფია 1207 წელს ჩაიფ-
ლის (და ეს დადასტურდება დამატებითი ცნო-
ბებით) თამარის გარდაცვალების თარიღად,
მამინ, ბუნებრივია, 1207—1213 წწ. მომხდარი
მოვლენა თამარის ძისა და მეგვიდრის ლამა-
გიორგის სახელს დაუკავშირდებაო, ასკენის
მ. სილაგაძე. ცხადია, ეს უკვე შეცვლის ლამა-
გიორგიზე ვაგარცილებულ წარმოდგენას. ასე,
რომ ისტორიის ჭარ კიდევ ბევრს აქვს საკვლე-
ვი და დასადგენი. სხვათა შორის, აქ ერთა ვა-
ჩხოვებნასაც უნდა მივუქვს ყურადღ.

როგორც ცნობილია, გიორგი თამარის ძეს
თუქუნდა ლამა ერქვა. „ისტორიანისა და ახმა-
ნის“ ავტორი ვამცნობს, რომ ლამა „განმანა-
თებლად სოფლისა ითარგმნა აფსართო ენი-
თა“. ს.ს. ორბელიანიც ასევე, ვამარტავს ამ
სიტყვას: „ლამა — ქვეყნის მანათობელი“. სა-
ინტერესოა, რა ახრით უწოდეს გიორგი თამა-

რის ძეს ეს ზედმეტი სახელი მშობლებმა. ზომ
არ არის აქ დამალული თამარისა და მისი სა-
მეფო კარის შეხედულება აბსოლუტურს — მონ-
ნარქზე? თუ „ქვეყნის მანათობელი“... მისი ლა-
შობლების სიყვარულს გამოხატულებას და
მეტი არაფერი? ვიდრე კითხვებს ეუპასუხებდე,
ერთი მეტაფორა ვაგვიხსენეთ „ვეფხისტყაოსნი-
დან“ და შევხედო ამ მეტაფორის მისე ვოგებე-
რიძისეული განმარტება. შოთა რუსთაველი თი-
ნათონზე ამბობს: „თინათინ მზესა სწუნობდა,
მაგრამ მზე თინათინობდა“. მ. ვოგებერიძეს ეს
შეტაფორა მიაჩნია არამარტო ქალის სილამა-
ზის მაჩვენებელ ხატოვან სახედ, არამედ მიწა-
რი მონარქის დანიშნულების შედარებად ბუ-
ნების აბსოლუტთან, მზესთან, ერთია მზე, ერ-
თია მონარქი. მზე „ვარდასა და ნეხვს“ ერ-
თიანად მოფინების, მონარქიც ერთნაირი წყა-
ლობით უნდა უუფრებდეს „დიდთა და წერილ-
თა“. აქო, ამბობს მისე ვოგებერიძე, გამოთქ-
მულია შოთა რუსთაველის შეხედულება აბსო-
ლუტურ მონარქზე. მაშასადამე გამოდის, რომ
თინათინი მზეა, ე. ი. ქვეყნის მანათობელია.
გიორგი თამარის ძე ლამა, ე. ი. ისიც ქვეყნის
მანათობელია (სხვათა შორის, საფრანგეთის
აბსოლუტური მონარქიის შემქმნელი ლეი XIV
ფრანკები უწოდებდნენ Roi-soleil — მეფე-
მზეს); ამიტომ, ვფიქრობ, რომ თამარის ძის
თიქუნში ვაგუხადებელია მამინდელი პიროგრა-
ფული საქართველოს ახრი აბსოლუტურ ხელი-
სუფალზე: მეფე მზისებრ ერთია, უზენაევი
და შეუზღუდავია. ცხადია, არც ლამა-გიორგის-
თვის იქნებოდა ეს შეხედულება უცხეს. იგი
აღბათ ასეთივე ახრისა იყო მეფის ხელსუფ-
ლებაზე და ამიტომაც იარქოდა, რომ ნომინა-
ლურად კი არ ყოფილიყო „ქვეყნის მანათობე-
ლი“, არამედ ფაქტიურადც.

სამწუხაროდ, არ ვცივით, კონკრეტულად რა
გაავიჯოა ლამა-გიორგიმ სამეფო ხელისუფლების
გასამტკიცებლად. მთიანე ამაზე არაფერს ვე-
უბნება. რომანის მიხედვით კი ს მეფო ხელი-
სუფლების გასამაგრებლად ლამა-გიორგიმ უი-
ჩაღთა ჩამოსახლება გადაწყვიტა. ე. ი. ლამა
მოუსტრეგისა დავით ამბოშენებელს ონისძი-
ვის ვამეორება. როცა ამას წერს გრ. აბაშიძე,
ზუსტად არ ვცივით, რა ისტორიულ წყაროს ეყრ-
დნობა იგი. შეიძლება ვიგულისხმობთ, რომ
გამოყენებულია კირაოს განმაცულის ცნობები.
მაგრამ სომეხი შემეტიანის ცნობით, ვიგაღებია
მოწვევა მეფეს კი არ უნდადა, არამედ თავად
მისულან ლამა-გიორგისა და ივანე აბაშაძთან
თხოვნით, საქართველოში დავასახლეთო. მაგ-
რამ ქართველებს უიარი უთქვამთ და ისინი გან-
ძამი წასულან. არც იმას ვეუწყებ კირაყო-ი,
იყო თუ არა რაიმე უთანხმოება ვიგაღთა ვა-
მო შეფულისა და აბაშაგს შორის. პირიქით, ისინი
ერთსულადვე უიარს ეუბნებიან ვიგაღთას. თავი
დავანებოთ შემეტიანის სიტყვებს. მწერალს
აქვს უფლება ესა თუ ის ისტორიული ცნობა

თავისებურად ვადიოზაროს. აქ საინტერესოა უფრო ის არის, იყო თუ არა აქტიულებელი და საქმრო ლაშა-გიორგის საქართველოსათვის ყოველწლია ჩამოყვანა? თუ ყარვად დავაკვირდებით იმდროინდელი საქართველოს ცხოვრებას, უნდა ვადიოროთ, რომ არც საქმრო იყო და არც აქტიულებელი. თუ ასეა, მაშინ რატომღა იბრძვის. რომანის ლაშა-გიორგი ყივჩაღთა ჩამოსახლებლად? რომანის მიხედვით, ყივჩაღთა ლაშას ქართული ლაშქრის დასაძლიერებლად სჭირდება. თავად ლაშა ამბობს: „ქართველთა ლაშქრით ოდენ არა ძალ გვედვა წადილის ზვევის ასრულებად, ამიტომ გამოვარჩიეთ და საბინოდ ესრეთი ყივჩაღთა ლაშქრის ვადმოსხმა“ (გვ. 162). როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, შევეს ქართული არმიის სისუსტე შეუმჩნევეა და შეველა განუზრახავს. მაგრამ მერე ნათქვამია: „რბევასა და ლაშქრობას მონატრებული შევე იმ დროისათვის უზარმაზარ ლაშქარს (ხაზი ზემოა — ა. ბ.) მოუძღოდა წინ“ (გვ. 167). რა განზრახვის ასასრულებლად არ ემართა ეს იმდროისათვის უზარმაზარი ლაშქარი, ან რატომ სჭირდება მას ყივჩაღებით ვამგრება, ნათელი და გასაგები არ არის. ისტორიულ ცნობებსაც თუ ვავითვალისწინებთ, მაშინ სულ აენსნელი დარჩება რომანის ლაშა-გიორგის დავიანებული სურვილი ჩამოსახლდეს 35.000 ყივჩაღი საქართველოში. ყვაროსანთა ომების ეგრობული ისტორიკოსი XIII სუეტუნისა სინტეზა წერს: „ქართველები მეტად გულდა და შავარი მებრძოლებია. აქვთ მტკიცე ციხეები, ჭკვეთ დიდი და ძლიერი მხედრობა, არიან თავსარდამტყენნი და დიდ ზინას აყენებენ საჩინოებებს, სპარსელთ, მიდიელებს და სხვრიელთ, რომელნიც მათ ვაჭს ეხვევიან და რომელთაც ქართველები ზუღამ ეოშებინან... ქართველები მოვად ქრისტეს საფლავის თაყვანსა ეკლად და ასე ვაშლილი დროშებით შემოდინებურსალიში და განთავისუფლებული არიან ყოველგვარი ვადსახადისაგან“. ხოლო ლაშა-გიორგის თანამედროვე ფრანკო ჩაინდი დე ზუგ ბენანსონის არქივისკომპოსს შემდეგს აქვს: „აქ იმინებთ სხვა რამ საკვირველი და საყურადღებო. ამხად მივიღე და საქმის სიქუშმარტად სანდო მოცემულაგან ვავივით, რომ ივერიითგან ვინმე ქრისტიანენი, გიორგენებად წოდებულნი, უარიცხვი მხედრობით და ქვეითი ვარით (ხაზი ზემოა — ა. ბ.). ღლსი აღმავთროვანებელი დახმარებით ძლიერა ფრიალ აღუტყვილით, ურწმუნო წარმართთა წინააღმდეგ სწრაფად აღდგნენ და, აიღეს რა უკვე 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, მაგარინი დაპყრეს, ხოლო სუსტნი ნაყარტუტად აქციეს“ და ასე შემდეგ. როგორც თავად წერია, აღად ჩანს და ზურბა ავარიშვილმა და ბენიამინ სილაგაძემ დაამატებთ მკვლევითა და ადადასტურეს. ის 16 წლის ქაბუცი შევე, რომელიც ამ ურციხე მხედრობასა და ქვეით ვარს

სარდლობა, ვახლავთ ლაშა-გიორგი, ე. ი. ლაშა-გიორგის ძლიერი და მავალარიცხოვანი არმია ჰყლია. არა თუ ლაშა-გიორგის, არამედ მტრე მონღოლთა მიერ დამყრობლ და დაქველდეს ქართველთს, დავით გვრიტიშვილის გამოანგარიშებით, 90.000 მოლაშქრე გამოჰყავდა. რაც ღლეს მემბატანეთა ცნობებით დადგინდა, ის ხომ ლაშა-გიორგისათვის ნათელი რეზირობა იყო! ამიტომ მწელი დასაქრებელი ხდენა რომანში ლაშას წუწენი — „ქართველთა ლაშქრით ოდენ არა ძალ გვედვა წადილის ჩვენის აღსრულებად“ — და 35.000 ყივჩაღის ჩამოსახლებას სტრვილი. მაგრამ მაინც დავუშვათ, რომ ყივჩაღთა ჩამოსახლება სჭირდებოდა საქართველოს, თავად ლაშას, მერე და, რა გამოვიდა საბოლოოდ? არაფერი. უწესო დედათა მოტრფილად ლაშა-გიორგი სიძვის დიაციის ქსელში ვაება; თავად კინალამ დაღლება და თვისი მეფერი განზრახვაც ჩაფუტა. მისი სამეფო ხელისუფლების უბოროტეს მტრს ივანე მხარგრძელს საშუალება მისცა დაზრახვის ერი ვადეაობრებინა და ყივჩაღთა ჩამოსახლებაზე უარი ეთქვა. კიდევ ერთი უკუწერი საქციელი შევისა. ლაშა-გიორგი მიხვდოდა, წესს ვრივოლ ამაშიც, რომ „ათბავის ძალა იყო არა მარტო მის სიმღლდურსა და მოხარების სიმრავლენში, არამედ უმოვრესად, იმანე, რომ საქართველოს შეიარაღებული მხედრობა მის ემორჩილებოდა და მის ზრძანებას ასრულებდა. ლაშას უკვირდა და ეერი შურიდებოდა იმ უცნაურ ვარგობას, როცა პირადად შევის მყელი სპაცი, რომელიც მხოლოდ ორასი რტული ვაკეკანსაგან შედგებოდა, უშუალოდ შევეს კი არა, აპირსაიალარსა და ათბავ ივენეს ემორჩილებოდა“ (გვ. 59). აქ ნათქვამიც არ ეთანხმება ისტორიულ სინამდვილეს. ისტორია გვამცნობს, რომ ყივჩაღთა ვადმოსახლებაზე შექმნით დავით აღმაშენებელსა სიმეფო ვვარდა — მოსამსა. მონასპაში ყარვად ვაწვრთნილი ხეთი ათასი მხედარი ირიცებოდა. დავით აღმაშენებელსა ვაეუჯათა საქართველოს აღორძინების ვხა. მერე თანდათან ვაძლიერდა, ვაძლიერდა, აყავდა ჩვენი ქვეყნითა და თამარის დროს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ძლიერების მწვერვალს მიადწია. ე. ი. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას აღმავალი გზით უქლია. მაშინ რა მოხდა, რა ვირბა იჩინა თავი, რომ სამეფო ვვარდა ხეთი ათასი კაციდან ორას ვაკეკანსაღვ შემტირებულა და დამდნარა? იქნებ მართლად მოხდა რაღაც ამავე (მატიანე რატომღაც დუმს) და სახელმწიფო სხეულს რაღაცამ შიგნიდან დაუწყო ღრღინა. უბრეველსად მეფე და ასუსტა და სხვა ვაძლიერა. მაგრამ ამაზე რომანში არაფერია ნათქვამი. არც ლაშა ეძებს ამ მიზეზებს. მას მხოლოდ ფაქტის არსებობა ეუვირს. ნუთუ ლაშამ არ იყოდა დავით აღმაშენ-

ნების მიერ შემოდებული წესი ან მონასის რაოდენობა? ესეც ძნელი დასაყვრებელია.

ძველად მეფის მცველს ჩუხჩარები ერქვა (კ. აველიძე). მაგალითად, **ლუბუ შიგრაული** ჩუხჩარები იყო. „ხელმწიფის კარის გარეგნებაში“ კი აღნიშნულია, ვინ გამოჩნდებოდა ამირსპასალარს. ამირსპასალარის ხელმწიფითი იყო ამილახორი, ხოლო ამილახორისა — შეაბერეთი უხუცესი, შეაბერენი, მესარტულები და „საჯინაბოს შემავალნი ყოველივე“. როგორც ვხედავთ, ამირსპასალარის ხელმწიფითთა რიგში არც ჩუხჩარები და არც ჩუხჩარებთუხუცესი არ იხსენიება. აქ ის ცნობაც უნდა გაეხსენოთ, სადაც „ისტორიანისა და აშენის“ ავტორთა თამარის მიერ დანიშნულ ახალ მინისტრებს ჩამოთვლის. მემატიანის სიტყვით, ყოვლიდელ-მწიგნობართუხუცესად დღენიშნავთ ანტონი, ამირსპასალარად — ზაქარია მხარგრძელი, მანდატურთუხუცესად — კიამერი, მეურველთუხუცესად — კახაბერ ვარდანიძე, მსახურთუხუცესად — ვარდან დადიანი, ჩუხჩარებად — მარტოშინი. აქაც ამირსპასალარი და ჩუხჩარები ცალკე დამოუკიდებელი სახელთა და ერთმანეთის მიმართ დამარჩილებულ-დაქვემდებარებულის დამოკიდებულება არა აქვთ. მაშასადამე, მონასპა ამირსპასალარს არ შორჩილებდა.

„ხელმწიფის კარის გარეგნება“ ამბობს, რომ ამირსპასალარის პატივი „მანდატურთუხუცესისა სწორი არის“. მანდატურთუხუცესი კი სახელმწიფო ფოსტისა და მიმოსვლის უფროსი იყო (ნუთუ საქართველოს მეფეს იმდენი უფლება აღად ქვოდა, რამდენიც კავშირგამჭობლობის მინისტრს?). ვარდა ამისა, ვახრობის დროს, პატივისღამიხუცესი, მეფის მოხელენი ასეთი რიგით დასხდებოდნენ — ქუონდიდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მეურველთუხუცესი, მსახურთუხუცესი ამილახორი, აქაც კარგად ჩანს, რომ ამირსპასალარი განსაკუთრებით გამორჩეული არ ყოფილა, მიუხედავად ამისა, რომ ამირსპასალარობა ფრიად საბატო ხელი იყო.

მართალია, ამირსპასალარი ლაშქართუფროსი იყო, მაგრამ არმია მაინც მეფეს შორჩილებდა მშვილობის დროსაც და ომის ეშასაც. გორაკ მესამესაც აქავეა ამირსპასალარები, მაგრამ უნაღველი საზედრო ხელისუფალი მაინც თავად მეფე იყო. თამარის დროს კი ამ ფუნქციამ დავით სოსლანი — მეფე-ქმარი ასრულებდა, რაც თამარი ქალი იყო. ეს ურყევი კანონი იყო და მისი ხელყოფა არავის შეუძლო. ამ პრინციპების თანახმად იზრდებოდა ლაშქ. მასილი ეზოსპოდვარი ერთ საველისხში ამბავს გვეყვება: ქალაქ კარის ასადებდა წასულან სარგის თხოველი, შალვა თორელი და მესხნი. მაგრამ ვერ აუღიათ, რამეთუ ყოფილა მჭინვარე ყინვა და სიცივე. მანინ თამარს დასამარებლად დავით სოსლანი გაუგზავნია და ზაქარია ღმ ივანე მხარგრძელებიც გაუტანებია. ახლა ქარა-

თულ ლაშქარს კარი აუღია. დამარცხებულ კარლებს უთხოვიათ, თავად თამარე, მოხმარედს და ციხე ჩაიხაროსო. თამარი შესწულა, მავკამ უბრძანებია, ლაშა-გიორგიმ მოითვალოსო ქალაქი და ციხე (სურბაძის ძესა თვისა გიორგის, რათა შევიდეს და თვთ მოითვალოსო ქალაქი და ციხე). ასე რომ, ლაშა-გიორგიმ ბაღლობიდანვე მშვენივრად იცოდა, ვინ რა უფლების მქონე იყო და მეფის ფუნქცია რა იყო. ამიტომ ზედმეტ უმეცრებას ნუ მივაწირთ, ლაშა-გიორგის თავისი გაჭირვებაც ვუფიქრობ.

თუ მართალი ვარ, მაშინ საკითხავია, რად დასჭირდა შერაღას განუსაზღვრელი ძალაუფლება გადაეცა ივანე მხარგრძელისთვის? რომანის დაძაბული სიუჟეტის შესაქმნელად. თუ ივანე მხარგრძელი არ იქნებოდა ყველაფრის ბატონ-პატრონი, მაშინ ათაბაგი ვერ მოუწყობდა მეფეს მახეს შეიხფეიზის სახლში, ხათუნს ვერ დააპატიმრებდა, ბოროტების კვალს ვერ დაჯარავდა და ვერც ყოველთა ჩამოსახლების საკითხს ჩამოსიდა. უამისოდ კი დამილეზობდა ლაშა-გიორგისა და ივანე მხარგრძელის ურთიერთობის სიუჟეტური კონსტრუქცია.

რომანში ლაშა-გიორგის, ერთი მხრივ, სამეფოს უპირველესი დიდებული ივანე მხარგრძელი ებრძვის, ხოლო მეორე მხრივ კათალიკოსი. ჟღერა კათალიკოსი ისე აქტიური არ არის, როგორც ივანე ათაბაგი. ჭერ იყო და კათალიკოსი ლაშას მიერ წარმართობის შექმნამ ვაღარია. „კათალიკოსი წვერს იკლევდა, მხარგრძელის დიდ დარბაზში გამარჯებით ვადი-გამოდითოდა და პირიდან ცოფს ჰყრიდა... კათალიკოსს გულზე ცეცხლი ეკიდებოდა. იგი ჰაბუცი მეფის მოქმედებას ქრისტეს სარწმუნოების შეურაცხყოფად თვლიდა. ლაშარის ხატში მისი მოხელე, მხვეგრძლმწიფირებასა და ხატობაში მისი მონაწილეობა მეფის მიერ კერძოაყენისმცემლობის წახალისებად ეჩვენებოდა“ (გვ. 29).. მეფე იყო და კათალიკოსმა ტამარში საჭიროდ იღალადა ივლიანე შეეცრება წინააღმდეგ და ამ წარმართობის მეტრფე იმეკატორში ქართული ეკლესიის თავაკი ლაშა-გიორგის ველისხმობდა. „— ხოლო ისარმან ზეცისაგან მოკლას იგი! — ხელაყრობით შედარდა კათალიკოსმა და წამით ჩამოვარდნილ სამარისებურ სიჩქეშში უტეპ იოსისა ვეჯაკის ომახიანი ხმა:

— ნუ ყოფინი, უფალო!

კათალიკოსს ხმა ჩაუწყდა და სახე გაუფითრდა. მრისხანელ მოიხედა. მუხლზე დაცემული, ხელაყრობით მოღალადე ათაბაგი რომ დაინახა, გაშრა.

— ნუ იყოფინ, უფალო! არა ვარდამოავლენო რისხეა შენი ქართველთა ზედან. იხსენ და დაიფარე მეფე ჩენნი, გიორგი!

მლოცველები ერთი კაცოვით მოსწყდნენ, მუხლებზე დაეცნენ და სასაოებოდ გაიმეორეს მხარგრძელის ლაღადისი...

ტამარის ორიღა იდგნენ ფეხზე — მეფე და

კათალიკოსი, ხაფანგში მომწყვედეულივით იყო მეფე. იგი მიხვდა, რომ ათაბაგის ღალატისა საფარველი ახადა კათალიკოსის გულისწადებს, ქარაგმა ახსნა და მთელი მრევლის წინ საამჯარაოზე გამოიყვანა ქრისტეს სარწმუნოებასგან მიტოვული საქართველოს მეფე" (გვ. 67-68).

კათალიკოსის ქრონობა ლაშა-გიორგისადმი უსაფუძვლო არ ყოფილა. რომანის ავტორი სრულიად ნათლად და გარკვევით გვეუბნება, რომ „ზიხანტიერი და ქართული ნეოპლატონიზმის მსოფლმხედველობაზე აღზარდილი ლაშა უძლიერა ემსჯომოსებისა და ბერების ქრისტიანობას უმეკარათა თავშესაფარად, დავრდომილთა და მიხრწნილთა სარწმუნოებად თელიდა.

ქეიფისა და დროსტარების მოყვარული ჭაბუკი მეფე ხორცილ აღარგუნვის ქრისტიანულ მოძღვრებაში მიმზიდვის ვერაფერს ხედავდა. სამაგიეროდ, მწვენიერებისა და ვაჟაყობის ტრფილი ლაშას ძველი ქართული წარმართული რელიგია უადრესად პოეტური ფერებით ეხატებოდა თავისი გულბრწყვილი აღფარებით, ზრწყნივალ დღესასწაულებითა და პრიციციებით, ძალისა და ვაჟაყობის ზეიშით.

იგი ქართულ წარმართობას გმირების რელიგიას ეძახდა, ხოლო ქრისტიანობა ბუნებით მონებისა და გლახაკების სარწმუნოებად მიიჩნედა.

მეფე გულისტვილით ხედავდა, როგორ იჩაგრებოდა და იდევნებოდა ქრისტეს ეკლესიის მიერ ჭვირობისა და რინდობის მომღერალი სარწმუნოება" (გვ. 64-65).

შეიძლებოდა კი ისტორიულად ყოფილაყო ასე? შეიძლებოდა კი ელემენტრულად გონიერ ქართველ ხელმწიფეს ქრისტიანობათვის ზურგს შეექცია და წარმართობის ტრფილი გამხდარიყო? საქართველოს სამეფო კარი, ქართველი მეფე ებრძოდა ამა თუ იმ ურჩ, აღზევებულ საეკლესიო მოღვაწეს, მაგრამ არასოდეს ებრძოლა ქრისტიანობის წინააღმდეგ. არავის იმდენი არ უბოძა ეკლესიის ურჩი მიმების წინააღმდეგ, რამდენიც დავით აღმაშენებელს, არც არავინ ყოფილა სხვადასხვა სარწმუნოების მიმართ ეგზომ ტოლერანტულად განწყობილი, როგორც დავით აღმაშენებელი, მაგრამ ქართველ მეფეთგან არავის დაუწერია ქრისტიანული მსოფლმხედველობით ესოდენ ვაჟღერითი ჰიში, როგორც არის დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“. ეს ბუნებრივიც არის: ყოველმა ქართველმა, მეფე იქნებოდა იგი თუ გლეხი, კარგად იცოდა ქართველი ერის, ქართული სახელმწიფოს ერთიანობის ბურჯი ყოველთვის იყო ქრისტიანობა და ქართული ენა. ვიარაგე მეჩითეს მიერ შემუშავებული ფორმულა ერთობილი საქართველისი — „ქართლად ფრადი ჭეუენაჲ აღრაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ეამი შეიწიხის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების" — არასოდეს დავიწყებია ქართველს.

ამიტომ იგი, ვინც მტრობდა ქრისტიანობას, მტრობდა საქართველოს, მის ერთიანობას, იგი, ვინც მტრობდა ქართულ ენას, მტრობდა საქართველოს, მის ერთიანობას. ეს კარგად უწყობდა ქართველობამაც და საქართველოს მტრებმაც. ქართული ქრისტიანობის მიერ შემუშავებული ფორმულა ქართველი ხალხის ერთიანობისა ყველაფერში ელინდებოდა. ერთი ტიპისა და ხასიათის ტარები შენდებოდა კახეთში (ალავერდი), ქაათლში (სვეტიცხოველი), იმერეთში (ზაგარატის ტაძარი), აფხაზეთში (გედისი კათედრალი). ახსლდება საუბისკაობოს ტიტული გედელა-ალავერდელი, რომელიც აერთიანებს ორ სასულიერო თანამდებობას — ბედელს ლიხთიმერეთში და ალავერდელს ლიხთიმერეთში. ქართველი მეფის კურთხევა არავის შეუძლია თვინიერ კათალიკოსისა, მაგრამ მეფეს ვიარაგვინი უთუოდ ლიხთიმერელმა მღვდელმთავარმა უნდა დაადგას, თუმცა ქართველი იკლესიის მეთაურის რეზიდენცია ლიხთიმერეთშია, მცხეთაში. ყველაფერი ეს კეთდება იმისათვის, რომ არ შიშილოს ერთგული ერთიანობის შეგნება. ამას მტრებიც ხედავდნენ. მაჰმადიანურმა რეაქციამ ერთობილი საქართველოს დაშლა მხოლოდ მაშინ მოახერხა, როცა ქრისტიანობას ბზარი გაუჩინა და ქართველთა შობის მუსლიმანობის გავრცელება შეძლო. ხუროთა გვიან კი ერთმორწმუნე რუსეთს ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეეძლო და ამიტომ ქართულ ენას ებრძოდა. ამით უნდოდა ქართული ერთგული სხეულის მოწამელობა.

ასეთი იყო ყოველთვის, ერაგონდა თვალსაზრისით, ქრისტიანობის მნიშვნელობა. ეს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა ლაშა-გიორგის. ეს მაშინ საერთო ქართული შეგნება იყო. როგორი კაციც არ უნდა ყოფილაყო ლაშა-გიორგი, შეუძლებელია ერის საერთო ინტერესები უშუალოდებოდ დაეტოვებინა და აინდმეც არ მოსცელოდა. ერთი წითი დავიწყით ერაგონდა ინტერესები. რთუდ საყუთარი, გეფურინაზიც არავინადა მიიჩნდა? ქრისტიანობა სამეფო ხელისუფლების გასაძლიერებლად უმახვილესი იარაღი იყო, ხოლო წარმართობა — სათაშაშო ხის ხმალი. ქრისტიანობამ შეიმუშავა მეფის დეთაბერბობის ფორმულა ბერძნულმა ქრისტიანობამ ბიზანტიის კეისრებს „იზოთოს" — ლეთისწორი უწოდა. ქართულმა ეკლესიამ კი მეფეს „ლეთისგან ცხებული", „სამებისგან თანაღმრეველები", „შუთა-შუგ, ნათელი ნათლისა" შეარქვა. ყველაფერი ეს მეფის ხელისუფლების გამტკიცებას, მის შეუვალობას ემსახურებოდა. რას აძლევდა მეფეს სამაგიეროდ წარმართობა? არაფერს. ამრიგად, თუ ბუნებრივი და მართალი იქნებოდა ლაშა-გიორგის ბრძოლა ამა თუ იმ ურჩ სასულიერო პირთან, თუნდაც იგი კათალიკოსი ყოფილაყო, არაბუნებრივად და ცრუდ გვიჩვენება ლაშა-გიორგის აგებული დამოვიდებულა ქრისტიანობისად-

მი საერთოდ. ამის გამამართლებელი საბუთი არ მოგვეპოვება. პირაქით, უამთავრესი ელ-ნიშნავს, რომ ლაშა-გიორგი იყო მლოცველი და მმარხველი. რაც შეეხება მითითებას მეფის რინდებთან ურთერთობის შესახებ, ეს ბნელთ მოცულობა სათაბია. ჯერჯერობით ქართულმა ისტორიულმა მეცნიერებამ არ იცის კონკრეტულად რას გულისხმობს უამთავრესი. რომანში რინდობა სუფიზს უკავშირდება. თქმულა საბუთო სუფიზს შეეხებოდა ლაშა-გიორგი, სულერთია იქნება იგი ისეთი, როგორც რომანშია დაბატული თუ ისეთი, როგორც იტალიური წყაროების მიხედვით შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა.

სუფიზში წარმოდგება სიტყვისაგან „სუფი“, რაიც „ძაძას“ (შავი ყვალის ბერულ ტანსაცმელს გულისხმობს) ნიშნავს. იგი, ისლამური მოძღვრების გვერდით, ბუდიზმს, ქრისტიანობას, ნეოპლატონიზმს ითვსებდა.

უპირაქი წინააღმდეგობრივი შეხედულებანი იყრიდნენ თავს სუფიზში. მაგრამ იყო ძირითადი, ყველასათვის საერთო, აცილებელი და უცვლელი. ეს უცვლელი არის სუფიზშია მტრად სექტანტურად ასე გამოიყურება: სუფიას ამქვეყნიური სინამდვილე მოჩვენებად მიიჩნევა. იგი დარწმუნებული იყო, რომ არსებობდა იმქვეყნიური სამყარო, რომლის ჩრდილს, ანარკელს ჩვენს ვარშეშო. არსებული ხილული მსოფლიო წარმოადგენდა. მიწაზე შევბის პოვნა შეუძლებლად მიიჩნედა და ღმერთთან შეტყობის მონატრული იყო. ყოველგვარი მატერიალური კეთილდღეობის უარყოფელი სუფია მიიჩნევა, უსაქმურობას, სიღატაკეს აღიშნავდა. ვინც ხვალანდელ დღეზე ფიქრობს, მას არასოდეს არ ექვეყნა სიბრძნე, ქადაგებდნენ ისინი. მათთვის არ არსებობდა უფრო დიდ ცოდვა, ვიდრე აღამიანის არსებობა იყო. ქვეყნად არაფერი არ არსებობს, ამბობდნენ ისინი, ვარდა აღამიან და უმალეთ ბედნიერება თავისთვის უარყოფით აღამიანს შერწყმავო. ღმერთთან და აღამიანის საერთოობად რელიგიის მსახურთა ინსტიტუტი აცილებლად არ მიიჩნეოთ. აღამიანს ექსტაზში შესვლით უშუალოდ შეუძლია ღმერთთან დაკავშირება. ამიტომაც მიღებულნი ღმერთს და სიყვარულს. სიყვარული მათთვის ყოველგვარი ზრდიელი თვისებასა და მოთხოვნილებების უარყოფა იყო. ღმერთთან შესაწყველა განწყობდა მათთვის მიწაზე იწყებოდა. მერე ზეცაში გავიდიდა რამდენიმე საფეხურს და ასე ითქვიფებოდა თავისათვის უარყოფელი სუფია ღმერთში.

შეწარალი გრძობს, რომ ლაშა-გიორგის ბუნება სუფიზს ვერ შეეთვისებოდა და რინდუბის სექტის თავისებურ დასასათაბებას იძლევა: „ისინი, სუფიების სხვა სექტების მსგავსად, ქვეყნისაგან ვანდომას და ცხოვრების სიტუაციზე ხელის აღებას როდი ქადაგებდნენ. პირაქით, არდენის წყურების მოქმედების თავისუფლებას

ანჭებდნენ და სირცხვილსა და მოარდენას გამოაბდნენ“ (გვ. 145).

ლაშა რინდებთან ურთერთობა რომანში სუფიზში ღმერთპირი ელმეტირის წყაროს ხელს და ამით ამბავი დაძაბულ შინა-ახსს იძენს.

რინდების სექტას იყონის სულტანი ქეი ქაუნ-სი მტოვრებას ქსელის გასაბმელად იყენებს. სულტანს ბედმა ისე გაუღიმა, რომ ბაღდათ თავად ლაშა-გიორგი გააბა. უკეთეს წარმობება გვერდითი ქაშში ვერ იხატრება. შეიხ-ფეიში ქეი ქაუნს დაეალება პირნათლად შეუსრულა.

ახლა თავი მოვუყაროთ რომანში მომხდარ ამბებს, განსაკუთრებით ლაშას ირკვლივ დატრიალებულთ.

ლაშა-გიორგი ქეი ქაუნის მტოვრების ქსელში გაიხლართა, მეფური და სახელმწიფო საიდუმლოება თავად გასცა.

ლაშას სახელმწიფოს უძლიერესი საერო ხელისუფალი იყენე მზარცრძელი მტრობს.

ასევე მტრობს მას უმალესი სასულერო ხელისუფალი საქართველოს კათალიკოსი.

ერთი სიტყვით, შინ თუ გარეთ ყველა ლაშას მტრია, მაგრამ მთავარი მინც ის არის, რომ ამ მტრებს წინ იგი უძლიერა. ყველა სქობნის მას. მიუხედავად ამისა, მინც ტახტზე ზის და მეფობს. ვისი საშუალებით, ვისი დახმარებით? რა ძალით? ეს ძალი და დამხმარე საშუალება რომანში არ ჩანს. ისინი, ვინც ლაშას გარშეშო ახვევია, ან მისი მტრები არიან ან პასიური მგომარები.

თორღეა პანკელი, გვარამ მარგველი, მემნი ბოროს მე და ბიბლა გურგელი მოქიფე, მომლხენი, დროს ტარების მოტრფილვე ერისთავები, ქვეყნისა და მეფის ბუდი დიდად არ აწუხებთ. ოღონდ ქაშონ, სვან და საქართველო ეშმაკავ ყვლია.

თრქანს თორღი სენტიმენტალური მგოსანია. მას მღერა უფრო ემარჯება, ვიდრე სახელმწიფო საქმეთა გამრ ზრუნვა და ბძობა.

ლუხმე მიგრაჟელი, მართალია, გარე ვაეკაცია, მაგრამ ქვეყნის აე-კარგი არ გივება. იგი ლაშას ბრმა მონია. ბოროტების არსებობას მხოლოდ მამის შეტყობს, რაიც ცოლი წარათვის, სახლ-კარი დაუქციეს, შეაგინეს და დაამცირეს.

ჩალბია ფხოველს ცხოვრების გრძელი გზა გაუვლია, ბევრი უნახავს, უსწავლია და განუცოდა, მაგრამ მინც ფშორ ტალავრის მისტრია, სიღარიბესა და უქონლობას იყენისს და აცხადებს — „გული აღარ მოქაშას პალატეში ცხოვრებად და არც ღონე მომდევს ამა ქვეყნის ძლიერთა წინააღმდეგ ბძობლად“ (გვ. 25).

შალვა ახალციხელი დიდი სიყვარულითა და სიმბათითი ჰყავს მწერალს დაბატული მგვარამ პრაქტიკულად ისიც არაფერს აკეთებს სამეფო ხელისუფლების გასაძლიერებლად. ხშირად ბავ-შვივით იბუტრება და ცდალობს სწმფო კარს

გაეცალოს. მართალია, იგი უნაგრო და პატიო-
სანი კაცია, უნაგრო მეომარი და სარშობლო
ერთგული, მაგრამ რატომღაც პასიონია. შალ-
ვა ახალციხელმა მაშინაც კი არ აზიოდი ხმა,
როცა ლამაზ უსაზართოდ და უსაბუთოდ შე-
ურაცხო: „ახალციხელს ქვეყნის ამშლელი, ათა-
ბაგთან და სხვა დიდგვაროვან დიდებულებთან
შეფის წაქციდებელი უწოდა სავაროდ. ვულის
სიღრმემდე შეურაცხყოფილმა ახალციხელმა
სასახლე დტოვა და თბილისიდან წავიდა“
(გვ. 261), შალვა ახალციხელ კარგად ხედავს
ლამას უნებისყოფობას, უგუნურებასა და სი-
სუსტეს. დაქვევებულსა და ვულგარეხილს ზოგ-
ჯერ ამოუთხზია: „— ვაი თუ ამაო არის ცდა
და შრომა ყოველი, ესოდენ უღონო შეფის-
ათვისო“ (გვ. 162). მაგრამ შალვა ახალციხელს
საქართველოს საკეთილდღეოდ იბრძოდა და
არა მხოლოდ შეფისა. ამიტომ იგი უფრო შე-
ტევი და აქტიური უნდა ყოფილიყო. შალვა
ერთადერთი კაცია რომანში, რომელიც ლამას
შენებისადაც კარგად ხედავს და ივანე მხარგრძე-
ლის მხაჯერობასა და ევრაფობასაც. მართალია,
მწერალი ამბობს, რომ „ლამა ახალციხელის
ცული მოკავშირე იყო“ (გვ. 260). მაგრამ არც
შალვას ვაძოუტენია პრაქტიკულად დიდი ენ-
თუხიზიში სამეფოსა და ქვეყნის გადასარჩენად.
ყოველ შემთხვევაში, იგი ბევრად უფრო ინერ-
ტული, ვიდრე ივანე მხარგრძელი. შეიძლება
შალვას აქტიუობას შედეგი არ გამოეღო მაგ-
რამ პრაქტულად მიიწი აუცილებელი იყო.

ერთი სიტყვით, ლამას მოკავშირე არ ჰყავს.
მტრები კი ბოლომდე ვისაც მისი სიტყვით უნდა,
იმით ავად ემკვება, ვინც მტრობს, იმათ ჭიანჭი-
რად ეშლება. ესეც რომანის ლამა-ვიორების
უგუნურების ნათელი გამოვლენაა.

მიიწი რა არის ამ უგუნურების მიზეზი?
რომანში რამდენჯერმეა ნათქვამი: „ჩუტტი იყო
ლამა, მაგრამ როგორც ფეხუნებმა და ნებუ-
რობაში გაზრდილ ყველა მმართველს, მისაც
ნებისყოფა დიდხანს არ ყოფნიდა და განსაც-
დელში უეცარი წამოშტევა იცოდა“ (გვ. 35).
ჩუტტი და თავნება ლამა ზოგჯერ სრულიად
მოეშვეოდა ზოლმე, წონასწორობას კარგავდა,
ნებისყოფის ნატამალს ვეღარ ინარჩუნებდა და
მზად იყო, მის ყველაზე უფროსი მტრისადაც
კი ფეხქვეშ ჩავარდნოდა, ბალღავით ეტირა და
შებრალება ეთხოვა“ (გვ. 161-62). მართალია,
არასახარბილო დახასიათებაა, მაგრამ მკაფიო
და ნათელი: უნებისყოფა, ინფანტილური, სუ-
ლიერ ვეჟაციობას მოკლებული. მაგრამ უცნუ-
რია ერთი რამ: ამ თვისებებს ლამა-ვიორები
ყოველთვის ამტკიცებენ სახელმწიფო, სამეფო
საუბიების გადაწყვეტისას. პირად საქმეში მან
სიოცარა ნებისყოფა და ენერჯია გამოიჩინა.
ლუხმ მიკრიაულს რომ ცოლი წაპკვარა, ამან
ლამას წინააღმდეგ საზოგადოების ყველა ფენა
აღმოუთხა. მართალია, აღმოუთხება საუბი-
ლად სხვადასხვა თვალსაზრისი ედო, მაგრამ

ჯაქტი მიიწი ის არის, რომ მეფის საქციელი
ყველამ დაგმო.

„ღარბაზი ორ მოთხოვნად უნაგროდა
მეფეს: უღანაშელოდ დაწერილ მკრამტლის
გათავისუფლებასა და წაგვრილი ცოლის მის-
თვისვე დაბრუნებას.“

მეფემ ღარბაზის პირველი მოთხოვნა
აღასრულა — ლუხმში ჩემს უცნობლად შე-
უპყრიათო, თავი იმართლა და პატიმრობიდან
გააშვებინა, მეორეზე კი — გადაჭრით უარ
განაცხადა:

— წარიღონ ტახტი და გვირგვინი სამეფოსი,
და არა მიგვე ლილე თავითა ჩემითა ცოცხალ-
თა... (გვ. 261-62).

ეკლესიის შესწევითა აღმოუთხება და მო-
თხოვნას ლამა უფრო არ ათხოვა. „მეფეს არც
ბერ-მონაზვნების შეჩვენებისა ეშინოდა და არც
განათხების დღის სიტანჯველის. იგი თავის გა-
დაწყვეტილებაზე მტკიცედ იდგა და მოძღვარს
შეუფლად განუცხადა:

— არა ვტორწილო მეუღლესა სხვასა, თვი-
ნიერ ლილესა, ხოლო თუ უარ ჰყოფს ტამარი
წმინდა კორწინებისა ჩემსა, ეგვო ეგრეთ უტორ-
წინებლად დღემდის სიკვდილისა ჩემისა“
(გვ. 259).

როცა კორწინების ოფიციალური ნებართვა
და უფლისწულის თანამოსაყდრედ დასმის და-
სტერი ითხოვა, დიდებულები ერთხმად აღშ-
ფოთდნენ და მეფეს პირში მიხანლეს:

„...ხარჯა დაუყოვნებლივ თავის გვირგვინის
ქმარს დაუბრუნე, რომ ქვეყანაში შფოთი და
ხალხის უმეყოფილება დაიჭრეს, მეფეთა ღარ-
სი ცოლი მოყოფანე, რათა სამეფოსი კანონიერი
მემკვიდრე შესანიონ და სასახლეში კვლავ შენი
ნეტარი დედის დიდი თამარის კეთილი წესება
აღადგინე, თუ ჩვენი სამსახური გასურსო...“

— არცა ერთ ვიქმ თქვენის ნებითაო! —
მტკიცედ მოუტრა გაფიქტებულმა მეფემ“
(გვ. 298).

შალვა ახალციხელსაც აყენინა მეფემ, შეუ-
რაცხყოფაც მიიყენა და დიდებულთა მთელა
დასი გადაიქოდა, მეტე ხალხის სახელით ლამას
ჩაბია ფხოველი ეწვია და განუცხადა:

— მოგუხევილი ვარ არა შეთავაზოვან, არა-
მედ ერისგან მრავლისა. წარმომგზავნეს ფხო-
ველთა და მთიელთა ყოველთა ლამაზის ყმათა
თანადგომად უმისა მის ხატისა — მიველყო-
ლისა შენის მიგრიბლისა. უკეთე არა განიმო-
რებ ცოლსა მისსა და არა მისცემ უკანედ ქმარ-
სა სჭულიერსა, განდგებთან ფხოველნი და ყო-
ერთხანს უნივერსიტეტში ფიზიოლოგიის ლექციების კითხვა დაიწყო. გამოჩენილია მეცნიერმა, ჩვენმა თანამემამულემ ივ. თარხნიშვილმა, სამხედრო-საექიმო აკადემიის პროფესორმა. მისმა ლექციებმა გაიტაცა ახალგაზრდობა და თათქმის მთელი უნივერსიტეტი. ყველა ფაქტობრების სტუდენტობა უსმენდა, უსმენდა ალტაკებით. სტუდენტების აღფრთოვანებას საზღავარი არ ქონდა. თარხნიშვილის ლექციები ამართებოდა დიდ საექტო დარბაზში და ბევრი კარიდორებში იღვჯა და ისე უჯდებდა ყურს. ეს რაღაც ბუნებისმეტყველების ობიექტიური, ცივი, მშრალი ცოდნის ვადმოცემა კი არ იყო, არამედ რაღაც რვეოლუციონური მოწოდება, ამამალებული, გამამხნეებელი, რომელიც გიტაცებდა მოქმედებისაკენ, იმედისა და რწმენისაკენ, ბრძოლისაკენ.

ყველას გვიკვირდა ეს, თუ ფიზიოლოგია როგორ ვადიქცა რვეოლუციის და ბრძოლის იარაღად.

ამ მოვლენას ყურადღება მიაქცია მაშინდელმა რვეოლუციონერმა მოაფრობამ და პროფ. თარხნიშვილს ბჭვის თვლით დაუწყო ყურება. იმ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღ-

მოსავლეთის ფაქტობრივ ქართული ენის პროფესორად იყო აღ. ცაგარელი. მის კერძოზე მხოლოდ ერთი ქართველი სტუდენტი იყო ჩაწერილი. მაგრამ მის ლექციებს ხანდახან სხვა ფაქტობრივი ქართველი სტუდენტებიც ვესწრებოდით. ძალიან დაგვიანდებოდა მისი ლექციაში ნ. ბარათაშვილიც. დიდი ქართველი პოეტის მშვენიერი ლექსითა და მისი შეფასება მოგვცა: რუსთაველის შემდეგ ქართველ პოეტებში პირველობა ნ. ბარათაშვილს ეკუთვნის. მას შეუძლია თვალსაზრისი ადვილი დაიკავოს მისი მსოფლიო ლიტერატურაში. მისი ლექსები გვიღონ ამოგლეჯილი და ღრმად ნაგრძნობიათ. ა. ცაგარელმა შეადარა ზვენი პოეტი გიორგი, ბაირონი, ლეონარდის და თქვა: ნ. ბარათაშვილი ცხოვრებაში სამწიკსს ხედავს, ხოლო პენსიონტი არაა, რადგან ამბობს: „არც კაცი ვარ, თუ ცოცხალი მყევალაა ენსაგვისო, იუმს სოფელში და სოფელს კი არა რა არავის“. იგი ბუნების ნათელი შვილია, ესმის მისი ხმა. ბუნების მოწყენა და დაღვრელობა მისი საკუთარი სულიერი განცდის გამოხატულებაა. ბარათაშვილი და ბუნება თავისთავში ერთმანეთს ხედავენ. ბარათაშვილი ახერხებს დიდი ფილოსოფიური აზრების პოეტურად სადად და მარტივად გამოთქმას. ბევრი ილაპარაკა პროფ. ცაგარელმა „მერანზე“. მე მიანახვსო, გვიხარა, მოუნებნი სტრათი: უფსკრულია, ზედვიწრო ფიქარი ხილად ვაღებელი, ხიდის ბოლოში ქალმშვილია, ცილფეხით ბურთის შემდგარი. ეტობა, მას ხიდი ვაუვლია. ხიდის თავში მერანზე მკდომარე რაინდია, ხილზე ვადასვლას ამბობს. მას უკან პირდაღებული ყორანი მოსდევსო. ჩანს, დასძინა პროფესორმა ამ ამბავს, ბევრ ხალხში არსებობს თქმულება იმის შესახებ, რომ ადამიანი იდეალისაკენ მიისწრაფის, ხოლო ბედი მას ხელს უშლის.

პროფ. ა. ცაგარელი ხანდახან პოლიტიკურად გვესაუბრებოდა. ძლიერი რევოლუციის ხანი იყო, კერძოდ, ქართველი ხალხის დასათრევენად ახალ-ახალი გეგმები შემუშავებოდა. შევრახებული გახეთი „Новое время“ მუდამ ჩანჩინებდა მთავრობას: საქართველოში რუსები უნდა დავასახელოთ, ქართული ენა უნდა შეიცვალოს და ს. ა. ა. ა. ცაგარელი გვეტყობდა: მხნედ იყოთ, ვიბრძოლოთ სიტყვით და კალმით, ვერ შეგვამჩნებენ, ქართველი ხალხი გამძლეა, ბევრ უბედურებას ვადაუვლია მის თავზე. მაგრამ არ წაქეუვლა.

ა. ცაგარელს ხანდახან პინიშედაც ეწვეოდით, რაც ძლიერ ასიამოვნებდა. ერთხელ, მასსოვს, ახალწულწული მიველოცეთ რამდენიმე სტუდენტმა.

სამინდობა რევოლუციის მძინეარება მთელ იმპერიაში, დასაყვირებლია, უნივერსიტეტის ცხოვრებასაც ემჩნეოდა. პოლიციური წესები ბატონობდა ყველგან, თავისუფალი აზრი და კვლევა აკრძალული იყო, პროფესორებს ლაგამი

ქონდათ ამოღებულნი. სტუდენტების პოლიტიკური შეგნება მოისუსტებდა და მარტო მთავრებდა, როდესაც უნივერსიტეტის წევრება იყო. სტუდენტებს დეტუნიონდამქრტვებათ გამოცოცხლება სასტუდენტო *gaudeamus igitur*-ის სიმღერით და თავისუფალი ტყვეობა ქუჩებში.

მხოლოდ უკანასკნელ წლებში იწყეს სტუდენტებმა გამოფხიზლება. იმართებოდა „სალამობები“ (უნივერსიტეტი), ნახევრად დასტრუქლი, სადაც ადვილი ქონდა მხურვალე რევოლუციონერი საიტყვებს. ამ გამოღვივებას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამ: პეტერ-პავლის ციხეში დამწყვეტელი იყო ახალაზნა ქალი ვერტროვა, რომელიც ისე გააქწარა ზედამხედველების უხეშმა მოქცევამ, რომ ტანზე ნათი ვადასხა და თავი დაიწვა. ამ ამბავმა დიდი მტკუნვარება გამოიწვია სტუდენტებში, გაიმართა განდიობული დემონსტრაცია, უმადლესი სასტუდენტოს სტუდენტების მონაწილეობით. მთავრობა შეშინდა, გამოიწვიეს პოლიცია, ეანდარმერა, ყაზახები, პირდაპირ შემოტევა ვერ ვახდეს. ალყა შემოარტყეს სტუდენტებს. აწერეს და მერე სამსაში დიდი ყველანი ციხეში ჩასვეს.

პეტერბურგის სტუდენტებს სხვა ქალაქებშიც გამოეხმურნენ და ყველგან გაიმართა სტუდენტების დემონსტრაცია. მოხდა ერთნაირი სულიერი ვარდატება ახალაზნობაში.

ამ საერთო მოძრაობაში ქართველი სტუდენტებიც ვიყავით ჩამხდენი. მაგრამ ჩვენს საკუთარი ინტერესები და შემოხმაც ვქონდა: არსებობდა ქართველ სტუდენტთა სათვისტომო წინადადებები საერთო სათვისტომო (უნივერსიტეტი) იყო ყველა ცავასილ სტუდენტებისა და 2-3 წლით ადრე ზვენი ჩამოსვლამდე მოხდებოდა ვაყოფა და ქართველებმა და სომხებმა ცალ-ცალკე დაიარსეს სათვისტომები.

ჩვენს სათვისტომოს ქონდა საღარო საერთო საქართველოსთვის და ღარიბ წევრთა დასახმარებლად. ამ საღაროს მთავარი წყარო იყო ყველწლიური ქართული „სალამობა“ შემოსავლი. სათვისტომოს თავში უღვა ვამგებოდა, რამდენსაც ვიბრძვით წლიურ კრებაზე. კრებები იმართებოდა, აგრეთვე, სხვადასხვა მოხსენებების მოსასმენად და რაიმე პრაქტიკული საქმის გასარჩევად. ვეჭონდა ცალ-ცალკე სექციებიც, ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესასწავლად — პოლიტიკური ეკონომიის, საერთო ისტორიის, ფილოსოფიის, ქართული ისტორიის და ლიტერატურის. ამ სექციების შემოთბას ბევრი არადივი ვეყვებოდა. თუ ვინმე რასმე იძინდა, უფრო ზარადი შრომით. ამ შრომს სამავალით სტუდენტი იყო ჩვენი მომავალი საამყო ისტორიკოსი იც. ვახანშვილი მას თავიდანვე ეტყობოდა დიდი, არჩვეულებრივი შრომისმოყვარეობა, მუყუთობა, ცოდნის წყურვილი, მაღალი ეროვნული შეგნება, ხასი-

ათის სიმშვიდე და აუჩქარებლობა. მუდამ მომუშავე, წიგნებში ჩამყურე თავის ოთახში ან ბიბლიოთეკაში, ის არც ქართველ სტუდენტების საზოგადო ცხოვრებას გაერბობდა და სათვინტოპოს გამგეობაში მონაწილეობას იღებდა. ჩვენი სათვისტომოსაგან ცოტა ჩამოშორებულიად მცყადინებობდა ლუარსაბ ანდრანიკაშვილის ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ არჩ. ჯორჯაძე და ზურ. ავალიშვილიც და კიდევ ორიოდე ახალგაზრდა, ჯგუფი უმთავრესად ფილოსოფიურ საკითხებით იყო დანიტერესებული და იმყოფებოდა ცნობილი რუსის კრიტიკოსის და თურნალ „Северный вестник“-ის რედაქტორის ვოლინსკის გავლენის ქვეშ. ჯგუფი სერიოზული იყო, თვითონ მის მეთაურს ლ. ანდრანიკაშვილს მამინევე ეტყობოდა დიდი ნიჭი და ერუდიცია. ხოლო ჯგუფი, ცოტა არ იყოს, მოკოსმოპოლიტებდა და ამატომ სათვისტომოს სერთო ცხოვრებაში თითქმის მონაწილეობას არ იღებდა...

1897 წელს საბერძნეთის და ოსმალეთის ომი ატყდა, რამაც ჩვენში ერთნაირი იმედები გამოიწვია — საერთაშორისო ვართულების, რუსეთის ომში ჩარევის, მისი პოლიტიკური წყობილების დანგრევის, ცვლილებების, გვიანეთ საბერძნეთის დროში, მოვიწვიეთ სათვისტომოს კრება (მე გამგეობის თავმჯდომარე ვიყავი მ.ა. შინ) საბერძნეთისათვის თანავრძინობის გამოსაცხადებლად. მივედით საბერძნეთის ელზთან, იმან გვიჩინა თანავრძინობის დეპუტის თქვენსე ვავზაენით, ეს სახელათოა თქვენთვის, მე გადავეცემა პირადად ჩემს მთავრობას თქვენს თანავრძინობასო. ამ ჩვენი განზრახვის გამო წერილებით შევეუკებეთ ნ. ჰეკევიადეს („გერია“) და გ. წერეთელს (წერილი ჩემი დაწერილი იყო). პასუხი მივიღეთ. გ. წერეთელი მოკლედ აწერდა: თქვენი — ახალგაზრდების გულ მუდამ იქ უნდა იყოს, სადაც ბრძოლა თავისუფლებისათვისო. ილიამ კი ვრცელი პარათი გამოვიგზავნა. გვიწონებდა განზრახვას, მაგრამ ვაკფობილებდა ქართველებს საერთო საქმე ვეაქვს, ისინი თვის უნდა შევიზნახოთ თავი, მოვეშალათო. ეს წერილები მე წ. კ. საზოგადოების გადავეცე, როცა მის მდივნად ვიყავი. ი. ჰეკევიადე რომ გარდაიცვალა და მე წ. კ. საზოგადოების გამგეობის დეალებით ჩავიბარე მისი თბილისის ბინის ნივთები, აღმოჩნდა ილიას გამოგზავნილი წერილის შავი და თეთრიც. ახლა საქართველოს მუხუდში უნდა ინახებოდეს.

რუსეთის მთავრობამ დიდი ზეიმით იღვესასწაულა პოლონეთის აჯანყების ჩამჭრობის მერაიოვის დანაღების თუ გარდაცვალების (ჯარად არ მხსოვს) წლისთავი. პოლონეთის დიდი პატივისცემა და სიმპათია გვიქნდა, ჩვენი და მისი ბედი ერთმანეთზე იყო გადააქვეული. ვიცოდით, თუ რა აღმშოთებას აწვევდა პოლონელ ერში მერავიოვის დღესასწაული და

გადავევიტეო, მივეწოდებოდა მათთვის ჩვენი ხმა, რომ ჩვენი გული მათ გულთან ერთად ძგერს. შევადრინეთ მოწოდება: „პოლონელ სტუდენტების მიმართ, გადავთავაშინებთ მასპოლონელ ამხანაგებს პოლონურად და პეტერბურგაფით დავებუდეთ მრავალი ცალი, რომლებიც გავგზავნეთ ვარშავაში პოლონელ სტუდენტთა შორის გასავრცელებლად.

ამ მოწოდების შავი (ჩემი შედგენილი) აღმოჩნდა ჩემს ქაღალდებში. იგი ასეთი იყო: „პოლონელ სტუდენტებს პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისაგან ამხანაგებო და შეგობებო, მიიღეთ ჩვენი მეგობრული სალამი და მოკლე მავრამ წრფელი გულდამ ამონადები თანავრძინება. თავისუფლება საზოგადოედ და ეროვნული კერძოდ აუცილებელი პირობაა საზოგადოებრივი პროგრესის. თქვენ მუდამ ენერგიულად ამტკიცებდით ამ თავისუფლების სიყვარულს. თქვენ შეგძალად დაღუგებულ იყავით, რადესაც შელახეს საუკეთესო თქვენი უფლებანი. შეურაცხვეს უწმინდესი თქვენი მიწრაფება, და მავლი აუგეს თქვენი ერის თავისუფლების უარყოფელს — მტარვალს მერავიოვის იქ. სადაც იგი ისე მხეცურად აწამებდა და აზრზობდა თქვენს მამებს და ძმებს. მეტად მწარა თქვენთვის დღევანდელი მდგომარეობა. მეტად მძინეა, რომ სრული უფლება გქონდეს თავისუფალი არსებობისა და მონა კი იყო! მავრამ გვიო არ არის, ყოვლის დამძღვეი სიმართლედ წარზოცავს თვითნებობას, ვაფინტება ბნელი და ცაცობრიობის დროშაზე ცეცხლის ასოებით დააბეჭდება თავისუფლება მოქალაქეობრივი, თავისუფლება ეროვნული და თქვენი მრავალტანჯული სამშობლოს თავის აღბრწყინლება დამოუკიდებლობის გვირგვინი!

ვიყენებ მხენდ, ვიყენებ შეუბოჟარნი და რწმენით და იმედით ვესწრაფოდეთ სასურველ მიზანს.

ზევით იყო ნათქვამი, რომ პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში 70-მდე ქართველი სტუდენტი იყო. გადავევიტეთ ვაგვეცო, თუ რამდენი იყო ქართველი მოგლო რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში. შევათეს ანკეტი და გამოირკვა, რომ 210-მდე იყო პეტერბურგში 64. მოსკოვში 50, კიევიში 33. ხარკოვში 27 ოლესაში 20 და სხ. აქედან საექიმო ფაკულტეტებზე იყო 62 და იურიდიულზე 58. წოდებრივად 23 სტუდენტი იყო გლეხი, 33 სასულიერო წოდება, მოქალაქე 32, ახნაური 50, თავადი 23, ქეთარის ვინაზიოდამ — 93, თბილისის — 59, ქუთაისის მარხის — 65, თბილისის — 38, ვორის — 22, ოზურგეთის — 15 და სხ. დაახლოებოდა გამოივრკვიეთ აგრეთვე, რომ უბსოთში 7-8 ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა. პეტერბურგის ქართველ სტუდენტებს შორის ქალი მხოლოდ ერთი იყო, კურსებზე სწავლობდა. ქალის სტუდენტობა ისეთ საყვი-

ველ ამაღ მივეანდა, რომ გვენატრებოდა მისი ნახვა და სადმე რომ შეეხვებოდით, ვაყვები ერთმანეთს ვეუბნებოდით: შეხე, შეხე, ქართველ სტუდენტ ქალსათჳსა...

პეტერბურგის საერთო კულტურული მღვთმარტობა მაშინ არ იყო მაინცდამაინც ბრწყინვალე. რამდენიმე თეოფრი ეფრანოვი გამოდიოდა ლიბერალურ მიმართულებისა, მაგრამ ცოცხალი სიტყვის თჳმა უბირდათ, შებოროკლენი იყენენ. ყოველდღიური სერიოზული ვაჭუბით, ასე თუ ისე, ორი იყო: რეაქციონერი, მთავრობის ზრახვათა გამომსახველი „Новое время“ და ოდნევე მოღობერალი „Новости“. განათლებული წრეები და სტუდენტობა უფრო მოსკოვის ლიბერალურ გაზ. „Русские ведомости“-ის ეტანებოდნენ. ბოლო ხანებში დიარსდა შედარებით რადიკალური მიმართულების გაზეთი „Русская жизнь“, რომელიც მეტად პოპულარული იყო ახალგაზრდობაში. აქ, სხვათა შორის, დაიბეჭდა პროფ. კარევის „ მიმართვა ახალგაზრდებს“, რომელსაც გატაცებით ეციოთქვოდნებოდა.

საყურადღებო წიგნი ცოტა იბეჭდებოდა. იყო ერთი საგამომცემლო ფირმა პელებენკოვისა, რომელიც კარგად შერჩეულ წიგნებს უშვებდა, ხოლო მათი ტიტაჳი დიდი არ იყო. სამ ათასამდე მხოლოდ.

პეტერბურგს კარგი თეატრები ჰქონდა, სამი სახელმწიფო და 4-5 კარძო სახელმწიფო ორი დრამატული იყო, ერთი ოპერა — ბალეტისა, თეატრებში ძალიან კარგი ძალები იყვნენ. მაგრამ მეტად ძნელი იყო საოპერო თეატრში შესვლა ჩვენთვის. ძვირფასად ადგილს იოლად ვიშოვნიდით, მხოლოდ ჩვენ ჯიბეს გალერების და ბალკონის ადგილების ყიდვა ძლავს შეეძლო. ამ ადგილების ბილეთების ყიდვა წინასწარ ჩაწერით და ლატარიის გათამაშებით ხდებოდა. ამ ადგილების მსურველი ბევრი იყო. მეც არა ერთხელ ვითხოვე ამის ბილეთი და რამდენიმე წლის განმავლობაში მარტო ერთხელ მეღირსა საოპერო თეატრში შესვლა.

სამაგიეროდ ადვილი იყო დრამატული თეატრების ბილეთის შოვნა და მე მიყვარდა კლასიკური პიესების ნახვა. იყო ერთი კერძო თეატრი, სახელად „პატარა თეატრი“, სადაც რამდენიმე კარგი წარმოდგენა ენახებოდა.

მოუხედავად ჩემი ხელმოკლეობისა, მოვახერხე ნახვა განთქმული მსოფლიო მსახიობების (მიუნე სელის, როსის), რომელთაც ითამაშეს პეტერბურგში.

ყოველ წელიწადს, გაზაფხულზე, ჩამოდიოდა იტალიური ოპერა, საუკეთესო მომღერლებით, რომლის წარმოდგენები იმართებოდა ქალაქგარეთ, უზარმაზარ თეატრში (აკვარიუმში). წი-

ნასწარ ცხადდებოდა ხელისმოწერა 12 თვეზე. მე რამდენჯერმე შევეუბნანავდი სხუებს. ერთად ეიყიდებ 12 ბილეთი და ვჯინჯილიყვით. ასე მომეძა საშუალება მიმეღწინა შესახარმანე ხმები მარჩელა ზემბარბისი, ბატისტინის, მარკონის, ტამინოს. ამ უკანასკნელს ისეთი ძლიერი ხმა ჰქონდა, რომ როცა „ოტელიო“ დასასრულ თავის შედგომას შეიგებდა და გამწარებელი დაეცემოდა დუბლიმონს გვამს და შევედრებოდა წამოიძახებდა „დუბლიმონა!“ ეს მისი კენესით ნაწილური სიტყვა თეატრის კედლებს გარეთ ესმოდათ. განთქმული ტენორი მაძინი და ბარიტონი კოტონი წინათ ხშირად ესტუმრებოდნენ პეტერბურგს. ახლა უკვე ხანში შესულები ოპერაში აღარ იღებდნენ მონაწილეობას. მე მინე მობევა შემოხვევა მათი მოსმენისა ვერ კონცერტზე. მაძინის La donna e mobile (რიგოლეტოდან) ახლაც ვსაოცარი იყო.

პეტერბურგში ცხოვრება იმ დროს მაინცდამაინც ძვირი არ იყო. სტუდენტებს თუ 25-30 მან. ჰქონდა ყოველთვიური, შექმლო თავის გატანა. 10 მან. რივიან ოთახს იქირავებდით, იაფ ჯეულებრივ სანადილოებში თვეში 8 მანეთად მიდიდებდით ორ კერძს და ტუბულს. კუასი და პური, რამდენიც გინდოდათ, უფასო იყო. უკეთესი სადილები ვაზრავის თუ პოლონურ სანადილოებში ღირდა თვეში 12 მან.

მე სტუდენტობის დროს ჰქონებოდა შევიწროებული ვიყავი. მაშახმოს საჭმელები ცუდად მიდიოდა. ვალები დაეცოდა და თითქმის ვერაფერს მიგზავნიდა. ნათესავეები დამეზარდნენ, ვარე შე კეთილმოსურნენიც. ეს საეშო არ იყო და ხანდახან უბრალო ძეხვის და პურის შოვნა მიჭირდა. ასეთ ვაჭირეების დროს ძალიან გვეულოდა მეი და ჩემისთანა ღარიბებს ის, რომ იყო ერთი მართული ოთახების პატრონი მოხევი, ქართველების კარგი ნაცნობი. რომელიც იაფ სადილებსაც იძლეოდა. მივიღოდი მასთან და ნისიად მოგვეცემდა ოთახს, თუ თავისუფალი ჰქონდა და საჭმელსაც გვაძლევდა. ბინას არა უშავდა, გვითბობდა, გვინათებდა, ხოლო სადილი უფრო უყარვისი, მეტწილად ძველი სანოკაგისაგან. მაგრამ რას ვიზამდი. ნათქვამია: როგორც ვიჭირდეს, ისე ვაღირდესო.

უნივერსიტეტი რომ ვეათავე, შემოვივინდი სამშობლოში წამოსვლა უსახარობისა გამო ბოლოს როგორც იყო მოვარევე აქედან-იქიდან ცოტაოდენი ფული და ვაჭირებოთ მოვალეუ სამტრედიამდის. აქ შეეხვდი ნაცნობ ხონელ მეეტლეს, რომელსაც მიმიყვანა ხონში და იქიდან ჩემს მათხოყში.

III. სალიბერალური გუშაობა თბილისში



პეტერბურგიდან რომ დაებრუნდა, რამდენიმე თვე სოფელში გაეატარე. ახლა ჩემი უმთავრესი საღარღელი და საბრუნავი იყო სამხედრო ბეგრინი მოხდა. ბევრი ვიწროილუ და ვიფიქრე თავის დასაწყვეად, მაგრამ ახა რას გამოვტყენდი. 1900 წ. დაბლევს გამოეცხადლი სამხედრო სამმართველოში, შემპროწეს და ვარგისად მიტენს. დეკემბრის ბოლო რიცხვებში მოვედი 79-ე კერინის პოლკში, რომელიც ქუთაისში იდგა მაშინ, და ჩამრიცხეს უბრალო ჯარისკაცად. ჩემი დიდი თმა რომ მოვიტარიტე და ჩაიცივი ფორმის ტანისამოსი, რომელიც უხეშად მაღა ტანზე, სარკეში ჩაიხედდე და ჩემი თავი შეჰზარდა. აუტანელი იყო წამდაუნწუმ უფროსების წინ გამოტყენვა და საღამის მიცემა, დადგენილი მანერით სიარული, თავის დაქერა, ლაპარაკი. შეშარავი იყო მთელი რეჟიმი ყაზარმისა, რომელიც აღამიანში უარყოფს ყოველ აღამიანობას. საშობაოდ სამი დღით გაგვათავისუფლეს და მე ერთ ამხანაგთან წივედი. სამი დღე კარში არ გამოვსულვარ. ყაზარმეში რომ დაებრუნდი, ძალით თავი გავიცივი. აჯად გავხდი, მოსაიტატლი გამგზავნეს, ოფიცერთა განყოფილებაში მომთავსეს. იქ რამდენიმე თვე დავარჩი. მერე გამსწიფეს და დროებით შევბუღება მომცეს. ხოლო კვლავ რომ გამოეცხადლი, ზოგიერთების დახმარებით 1901 წ. შემოდგომაზე სრულიად განმთავისუფლეს სამხედრო სამსახურისაგან.

ამ განთავისუფლებამ აუწყარეი სიხარული გამოიწვია ჩემში, რომ იტყვიან, სული მოეთიქვი, ზღაპროვად დავიბადე, ჩემი თავი კვლავ აღამიანად ვიგატყენი.

მეორე ჩემი საბრუნავი სწავლის დამთავრების შემდეგ იყო სამსახურის მოძებნა. ვეძიებოდა არ მიწდოდა. საზოგადოებრივ დაწყებულუბაში ვერსად მოვეწვეე და ბოლოს იძულებული გავხდი, სახანინო პალატაში შეესულიყვი უბრალო მოხელედ, იმ იმედით, რომ შემდეგ ვაღასახადების ინსპექტორის ადგილი მოეცათ, ეგებ. იქ დიდხანს არ დავრჩენილვარ. სახანინო პალატის უფროსი დიდ შოგივისტი იყო, ქართველების მოძულე და მეც აღმაყარად მიყურებდა. სამსახურიდან რომ გავედი, ვუღახდილად მითხრა: კარგი ქენით, რომ მიღლიხართ, ზენ არ გამოგვადგებოდითო.

სკოლის ამხანაგების დახმარებით მოვეწვიე ქოთურაში, ქართველი შწარმოებლების კანტორაში. ქოთურის მრეწველობამ და იქაურმა ცხოვრებამ ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა და ამის შესახებ წერილები მოვათავსე „კვილიში“ (1900 წ. №№ 29-31). წინა წელს ერთ ჩემი წერილი დაიბეჭდა „ივერიაში“ S-san-ის ფრევიონიით, სახელად „წერილი გიმნაზიეში ახლად სწავლა-დამთავრებულების მიმართ“, რომელშიაც ვურჩევდი ახალგაზრ-

დებს, შესულიყვენს სპეციალურ-ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში, ამით უფრო გამოავტებოდნენ შრომელ ქვეყანას და ეს განამტაცებდა მათ ხასიათს და ნებისყოფას.

ქოთურაშიც ვერ დავრჩი დიდხანს. მე ვიყავი ერთი ხელმძღვანელთაგანი შავი ქვის წვარლ-მწარმოებელთა ოპოზიციისა და ამ ნიდაფზე უსიამოვნება მომიხდა ჩემს „პატრონებთან“ და ქოთურა დაეტოვე.

დავრჩი ისევ უადგილოდ. დაიწვეე გახედვა თბილისისაყენ, ეგებ იქით უკეთ მოეწყოს ჩემი ბედი-თქვა.

ამ წლებში, ქუთაისში ყოფნის დროს, მე დავუბოლოვდი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას, გავეცანი ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალ-ეკონომიურ საკითხებს. მაშინ ჩვენში ფებს იმაგრებდა მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობა და ახალი თაობის მოღვაწეები ირამზებოდნენ პარტულად. მე მიტწილად მიხდებოდა ყოფნა მესამე დასულ ახალგაზრდებს შორის, რადგან ბევრი ჩემი სკოლის ამხანაგი ამ ახალ დაგვუფებს ემხრობოდა. მე ბევრ რამეში არ ვეთანხმებოდი შესამედასელებს, მაგრამ მომწონდა მათი მებრძოლი ხასიათი.

ახალგაზრდებს ხშირად და ცხარე კამათი გვქონდა სხვადასხვა საზოგადო საქმეებზე. დიდ ყურადღებას ვაქცევდით ი. ჭავჭავაძის (ახალ მოსულის) და ნ. ეორდანიას პოლემიკას.

გ. წერეთელი რომ გარდაიცვალა, ქუთაისის ახალგაზრდობამ მე გამაგზავნა თავის დელეგატად და დამავილა სიტყვის წარმოთქმა.

ქუთაისში გაიხსნა საკერაო სკოლა შობრ-დილებისათვის. მონაწილეობას ვიღებდი ამის მოწყობაში და ვაძლევდი ქართული ენის გაყვეთილებს.

დიდი ინტერესით ვადგენებდი თვალყურს ქუთაისის თეატრის მუშაობას ლ. მესხიშვილის ხელმძღვანელობით, რომელთანაც მიგობრული ურთიერთობა მქონდა. ქუთაისის თეატრი ძლიერ მიყვარდა გიმნაზიელობის დროს და ჩემს ვონებრივ-მორალურ განვითარებაზე მას, უშუალოდ, დიდი გავლენა ქონდა. ახლაც ლ. მესხიშვილის და ნ. ჩხეიძის მხატვრულ თამაშს და მათ განსახიერებულ გმირებს არა ერთჯერს გამოუწვევია ჩემში ღრმა გამაყეთილობილენბოლო განიცდები. თეატრი გასართობის ადგილი არაა, როგორც ძველ ეპოქებს ესმოდათ, თეატრი უნდა ემსახურებოდეს აღამიანის ზნეობრივ ამაღლებას, უნდა გაწმინდოს იგი და წარმართოს სიყეთისათვის, იდეალურ, გმირულ ცხოვრებისათვის. ლ. მესხიშვილი ედილობდა, რამდენადაც ამის საშუალება იძლეოდა მაშინდელი მდგომარეობა, ასეთი თეატრის მსგავსება შეექნა ქუთაისში და ეს მისი უდიდესი დამსახურებაა მე რამდენიმე წერილიც ვუძღვენი

ქუთაისის თეატრის წარმოდგენებს ეყრდნობა. „ეკლემია“.

ამ თეატრთან დაახლოებამ და მისმა სიყვარულმა გამაბედინა ალბათ, რომ სასცენო გეგმით ე. წ. ქვეპედიის „თათარანთ ქერიანი“. ჩემი თითქმის არაფერი შემიტანია შიგ, ხოლო დიალოგების სახე მივეცი ქერიანისა და მისი შვილის ტრაგიკულ ამბავს. ჩემი „თათარანთ ქერიანი“ წარმოდგინეს 1907 წელს თბილისში ილიას დაბადების წლისთავის აღსანიშნავად. (იხ. „საბა“, 1907 წ., № 217). ქერიანის როლს თამაშობდა ელ. ჩერქეზიშვილი, რაც არ იყო მისი შესაფერისი. პიესა ვერ იყო გარგად დამგმული. ეს იყო მიზეზი თუ წარწერების სისუსტე, წარმოდგენამ ვერაფერი შეაბეჭდილება ვერ მოახდინა, საზოგადოება ვერ დაინტერესდა.

ქუთაისში ყოფნის დროს გაიზარდა ჩემი თეატრომირება და განმტკიცდა ჩემი ურთიერთი მისწრაფებანი, რომელთაც სრული და გარკვეული სახე მიიღო თბილისში.

მეჩვენებოდა ბავშვობიდან შეჩვეული და შეუვარებელი ქუთაისის დატოვება, კარგახანს ეყოფებოდე, მაგრამ ბოლოს გადავწყვიტე უცხოელად თბილისში გადასახლება.

თბილისში ჩამოვედი 1901 წ. სექტემბერში. საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავის საიუბილეო დღესასწაული ახლად დამთავრებული იყო და საზეიმო კამარები ყველგან ჯერ კიდევ არ აეღოთ. თბილისი წინათაც მქონდა ნანახი ერთი-ორი დღით ჩამოსვლის დროს. არც წინანდელი და არც ახლანდელი პირველი შთაბეჭდილება არ იყო მაინცდამაინც მომხიბლავი. ქუთაისის გარეგნულობა და მდებარეობა უფრო მომწონდა. თბილისში ორიოდე კაცს შეყავდა ნაცნობი და მათი დახმარებით მალე დასრულე კორექტორის ადგილი ვაჩუქეს. „ივერიის“ რედაქციაში, 40-მან-ქამაგირი თვეში მაშინ „ივერია“ ალ. სარაჯიშვილის (1851—1914. ისტორიოსი, მკვლევარი, კლასიკოსი, რედაქტორობდა „ივერიას“ ე. წ. ქვეპედიის შემდეგ ხელში იყო, რომელიც ძველი შიგნითარის იყო. ამ ქვეპედიე კარგ ხანა ჩამოსწორდა ვახუშტის და მას სხვები უძღვებოდნენ. ახლაც ალ. სარაჯიშვილს ქონდა გადაცემული, რომელიც მალე ვახუშტის სრული პატარანი ვახდა. ჯერ მართო საერთო საშუალებით უძღვებოდა ვახუშტის, მერე ამხანაგობა შეადგინა, რომელშიც შედიოდნენ მ. შაჰაბელი (1868—1927, ეთნოლოგი), მწერალი და საზოგადო მოღვაწე ივ. ჯანადარი (1852—1913), ძველი ნაოდიანი, ეჭიმი გ. ვაბაშვილი და სხვ.

რედაქციაში ვახუშტი უშუალოდ მუშაობდნენ ვ. ყიფშიძე (1858—1921, მწერალი, მთარგმნელი), ილ. ალაძე (1872—1948, ეთნოლოგი, მთარგმნელი) და სხვ. ვ. ყიფშიძე ძველად ილიას დროს მუშაობდა „ივერიაში“. კარგ სტილისტად ითვლებოდა და მის ვაუს-

წორებლად და გაუსწავლად არც ერთი წინ არ დაბეჭდებოდა ვახუშტი. ენის სწავლას ახლაც დიდ ყურადღებას აქცევდა ქვეპედიე და ედილობა მტკიცედ დამყარებული ტრადიციები.

რედაქციის ბინა მოთავსებული იყო ყოფილ ავტოლის ქუჩაზე, ვორონცოვის (დღეს მარტის) ხიდის მახლობლად, საგანაშვილის (ილიას-დის) სახლში. ილიაც აქ ცხოვრობდა წინათ, მაგრამ ახლა სხვაგან ქონდა ბინა.

ვახუშტი იბეჭდებოდა ე. წ. ხელახის სტამბაში, რომელიც იყო ქვეპედიის გვერდით, ყოფილ ლორისამელოქოვის ქუჩაზე (ახლა ბაღის ნაწილი ეს ადგილი). ამ უნდა მოვსულიყავი სამ საათზე და კორექტორაზე ვმუშაობდი 6-7 საათამდე. ვაფაციკებოდა და მოუთმენლად მოველოდით მე და მესტამბე მისამსახურის დაბრუნებას ენაბრისაგან, რომელსაც ვეზავებოდა მთელი აწუბობი საგაზეთო მასალა, და რომლის ხელმოწერლად მესტამბე, არაფერს ვაუშვებდა, რადგან სასუბსიგებაში მისცემდნენ. იშვიათად დაბრუნდებოდა ვაგაზეთი ამონაბეჭდი ვაუსწორებლად და წაუშვებლად. თუ ბევრი იყო ამოღებული, ეს საქმეს ვაკვირებდი. შევეცდებოდით რამე ძველი აწუბობი მასალის გამოყენებას ან ვანცხადებდით ავავსებდით ცარიელ ადგილს და ასე გამოვეშვებდით ვახუშტის მორიგ ნომერს.

ვარდა კორექტორობისა, მე თანამშრომლობაც დავიწყე ცოტ-ცოტათი ვახუშტი. თითო დაბეჭდილ სტატიას ორ კამის მძივებდნენ, რადგან რედაქცია ქონებრივად ხელმოკლედ იყო ნებადართული მქონდა იმდენი დამწერა, რომ ჩემი თვეური პოზიციური 20 მანეთს არ გადასცილებოდა. პირველი ჩემი ორი-განალური წერილები, რომლებიც საზოგადოების ყურადღებას მიიქცია, იყო პატარა ფელეტონის სახის წერილები. ამას ვერ მოყვა პუბლიცისტური თუ კრიტიკული წერილები პრინციპალური თუ სადღესიო შინაარსის. წერილებს ხელს ვაწერდა ფსევდონიმებს: „სიტყვა“ ან „კალამს“, ამ სხელებს პირველად ვანერჩევდა ეხმარობდი, მაგრამ შემდეგ „სიტყვას“ ვაწერდა ფელეტონებს და „კალამს“ სხვა წერილებს. მკითხველი საზოგადოება ვანსაყუთებელი ყურადღებით და ინტერესით ეპყრობოდა ჩემს ფელეტონურ წერილებს (დღიური, დუმიტაგებელი ამბები, ფიჭვიანი... მხოლოდ ფიჭვიანი, პატარა ამბები, დღევანდელი ამბები). რომლებიც საქართველოს იმდროინდელ მწევე, მეტად მტკიცეულ საკითხებს ეხებოდნენ — ჩვენს ერთნულს უფლებობას და დამცობებას, უცხოთა ტლანქ ძალდობას, ჩვენს შეუგნებლობას და უმოწყობობას მნიშვნელოვანი პირობების გამო მეტად ძნელი იყო ასეთ საგნებზე ლაპარაკი. მაგრამ მაინც ვახუშტი ილუგორული სახეებით, ქარაგმებით, სიტყვების დაპირისპირებით, ივადე-

ბით, ანდაზებით, ძველისძველი მაგალითებით ვღამევა მეთხველისათვის ჩემი გულის ნაღველი. რომ მის გულს ზემ გულთან ერთად დაეწყო ძველი. ცენზორებად ქართველები იყვნენ, მაგრამ უცხო უფროსები მათ ფიზიკურად ადევნებდნენ თვალყურს და ძნელი იყო რისიმე გაპარება. თუ ეს მოხდებოდა მაინც, ქართველ საზოგადოებაში მაშინვე შეიქმნებოდა მითქმამოთქმა: „დახეთ, დახეთ, რა მაგარი წყრილია, ცენზორას როგორ გამოეპარა!“ ასეთი ლამაზი ცენზორის უფრამდე აღწევდა და იგი უფრო მაყური ხდებოდა.

როგორც ზევით ვთქვი, თბილისი პირველად არ მომეწონა, მალე ვერ შევაგავი. ვულა სულ ქუთაისისაკენ მიიწევა, იქაურ ცხოვრებას ვიკუნებდი, ქუთაისელ ნაცნობ-მეგობრებს ჩემს მოწვევილობას და უფროსი ფიქრებს ვწერდი, და ვაპირებდი კიდევ უკან გაბრუნებას.

მაგრამ ნელ-ნელა ჩემი გუნება შეიცვალა. აქეთ მივიხედე, იქით მივიხედე, ახალი ნაცნობები ვავიხიენ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩავერბი და ხშირად დავღებებოდა: თბილისი ხომ მთელი საქართველოა, აქ ხცეშს ჩვენი ერის გული, აქ გამოიქვდა დიდებული საქართველო, ეს იყო მედამ ქართული შემოქმედების კერა. ვნახე ისტორიული ადგილები, ძველი ნაშთები, ძველი და ჩემს წინ წარმოადგენ წარსულის სურათები. ბევრჯერ ვიდევი მოწმინდაზე და ჩაფიქრებულად დაეცქიროდი დედაქალაქს, შორსაც ვავიყურებოდი...

და ვეტყვი ჩემს თავს: სუსტია და დაცემული დღეს საქართველო, მკრთალა მისი საზოგადოებრიობა, მაგრამ რაც არის და როგორც არის, ის აქ თბილისშია უპირველესად! შევეთვრე თბილისს, იმანაც შემითვისია. შემიჯარა და უკვე ვეღარაფერი მომეწონებდა ჩემს დედაქალაქს. ასე წარმოიღვივება: ქუთაისი ხომ ვემოს ქალაქია და იქაური სმაცამა, სუფრა საუცხოოა, მაგრამ მე მაინც მეტი ვემოს თბილისის სუფრას ვუნახე. განსაკუთრებით აქაურ პურს, ესოდენ ნოყიერს, მსუქანს, ზეთიანს.

ჩემი ახალი ნაცნობები თბილისში იყვნენ უპირველესად ქართულ სალიტერატურო და სათეატრო წრეებშიც. აგრეთვე პედაგოგები და წ. კ. საზოგადოებაში მომუშავენი. განსაკუთრებით დაახლოება მოხდა ჩემს და ვახ. ცნობის ფერცლის თანამშრომლებს შორის, რომელსაც დიდი პოპულარობა ქონდა უკვე მოპოვებული. გვიკაცი არ. ჯორჯაძე, რომელსაც წინათაც ვხედავდი პეტერბურგში. გ. ლასხიშვილი (1866—1933, ფერნალისტი და სახ. მოღვაწე), ვლ. ლორთქიფანიძე, გ. ლვანიოზი-შვილი (1867—1910, ფერნალისტი და პედაგოგი), აპქ. ცაგარელი, ვინდეგლი (1865—1929, დღემდეა ერისთავი, მწერალი ქალი) და სხვები, რომელთაცა თვით ვახუთში არ შემოახდია, მაგრამ იყრიებოდა „ცნობის ფერცლის“ ვარ-

შემო, როგორც დამზარე და პროპაგანდისტი ვახუთში ჩასახულ მიმართულებას. ერთხელ არ. ჯორჯაძემ მოხარა: შენ ჩვენი ხარ, ჩვენთან უნდა იმყოფი. მართლაც არ გასულა დიდი ხანი და 1902 წლის აპრილის დამღვას მე გადავიღე „ცნ. ფერცლის“ რედაქციის თანამშრომლად და იქ დაიბეჭდა ჩემი პირველი წერილი 14 აპრილს.

ამ ვახუთის მუდმივი თანამშრომლები მაშინ იყვნენ: გ. ლასხიშვილი, ფაქტიური რედაქტორი, სწერდა მეთაურებს და სხვა წერილებს, არ. ჯორჯაძე წერილებს სახლში წერდა და ისე მოქონდა, ვლ. ლორთქიფანიძე, ზაქ. ბლანი-შვილი, ავ. ცაგარელი თარგმნიდა დეპეშებს, მერმე ვახუთის ახლობელი თანამშრომელი ვახ. ბ. ავლაძე, რომელიც ჩემ შემდეგ გადმოვიდა „ივერიისადა“. კორექტორი ავეთება პოეტი-ქალი ვინდეგლი. ოფიციალური რედაქტორი ალ. ჯაბადაძე რედაქციის მუშაობაში არ ეროდა, ხოლო ისე თვალყურს ადევნებდა, რომ არ დაბეჭდილიყო რაიმე სასიფათო ცენზურის თვალში და ვახუთი არ დაუბრუნებოდა.

„ცნობის ფერცლი“ პირველად ვ. გუნამ დანახა და იყო პატარა საინფორმაციო, ახალი ამბების ვახუთი. მერე იგი შეიძინა ქართულითა გამომცემელმა ამხანაგებმა, რომლის ვამე ალ. ჯაბადაძე (1861—1933, ფერნალისტი) იყო. ამან გააფართოვა ვახუთის პრაგმატიკა და მოიწვია ახალი ძალები. ვახუთმა მეტად ცოცხალი სახე მიიღო. დიდი უფრადება მიეცა ცნობების მიწოდებას მეთხველებისათვის, როგორც საშინაო ისე საგარეო ცხოვრებიდან შემოღობ ტექნიკური ვაჭრობისგან — ბეჭდვით და მისი დამეშვება, რაც წესად არ ქონდა წინათ ქართულ ვახუთებს. ვახუთი გამოდიოდა ორშაბათობითაც, თუმცა ნახევარი ფორმატით. ვახუთს დაემატა ყოველკვირეული სურათებთან დამატება, რომელიც პირდაპირ სენსაციური ამბავი იყო იმდროინდელ ქართველ საზოგადოებისათვის. ვახუთმა ვარდა „რუსეთის სააგენტოს“ დეპეშებისა, გამოიწვია ახლად დაარსებული „პეტერბურგის სააგენტოს“ დეპეშებიც. ეს უკანასკნელი უფრო ადრე და უფრო ცოცხალ ამბავს იძლეოდა, ვიდრე პირველი სააგენტო. და, ვაჟა... რუსეთ-იაპონიის ომის დროს „ცნობის ფერცლის“ მეთხველმა უფრო ადრე იცოდა ბრძოლის ამბავი, ვიდრე კავკასიის უმაღლესმა მმართველობამ.

ყველაფერმა ამან და ვახუთელმა ერთხელ-მა მიმართულებამ, არ. ჯორჯაძის წერილებმა, რომელთაც დიდი ინტერესით კითხულობდნენ ეველანი, სახელი ვაჭრული „ცნობის ფერცლის“ და მისი ტირაჟი გაიზარდა და დარღილა „ივერია“. ამ დროს სხვა ქართული ვახუთი არ არსებობდა. მესამე დასელების „ვახუთი“ გამოდიოდა ცერაში ერთხელ. მე ვახუთად მომუშავე წერილი ვიყავი რედაქციისა, სახლში ვწერდა წერილებს და მიმქონ-

და დასაბუქდა. გადაათვალიერებდა ვ. ლასტი-შვილი, იშვიათად ა. ქაბაღარი და არ მასხვს შემთხვევა, რომ რამე გაესწორებოთ, ან ამოელოთ. ჩემი ნაწერი იმავე ხასიათისა იყო, როგორც „იერიაში“ ფელეტონები („ფიქრები... მხოლოდ ფიქრები“, „პატარა ამბები“) და კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები, რეცენზიები, როგორც უკვე მოიხსენიე, საზოგადოებაში უშთაერეს ინტერესს იწვევდა ჩემი ფელეტონები. ხშირად მომდიოდა მადლობისა და წიამხალსებელი ბარათები მაწოდებდნენ, ცნობებს, მასალას. მითხვებელი ზედადნენ ჩვენს ნაწერებში დაუკვერული სიღრმის შფოთას, ერის სიყვარულს, ქვეყნის დაცემის და უპლტრების სიძულვილს, შიშსაც ზანდახან, უფრო კი რწმენას, მომავლის ამედს და ბრძოლის მოწოდებას, ბრძოლის აღდგენისათვის, მიუხედავად წინ აღმართული დაბრკოლებებისა. ჩემი სიტყვები არ იყო მარტო ჩემი პირადი განცდების გამოხატვა. იქ ისმოდა მთელი თაობის, მთელი იმ დროის ძახილი ქართველი ხალხის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური აღდგენის და გამართვისათვის...

ქართული საზოგადოებრივობა მაშინ თავმოყრილი იყო სამი ბერძენული გამოცემის გარშემო. „იერიაში“ შემოკრებილნი იყვნენ უშთაერესად ძველი მოღვაწეები, ლიბერალები, ზომიერი ნაციონალური მიზნართულების, არსებულ სოციალ-ეკონომიური წყობილების დამცვენი. „კვალ“ ეკუთვნოდა მესამე დარსებს, რომელთაც უკვე თითქმის ათი წლის ისტორია ქონდათ. ზოლო „ცნობის ფურცელი“ გამოხატავდა იმ ახალგაზრდობის მოსწრაფებას, რომელიც არც „იერიაში“ ეთანხმებოდა და არც „კვალ“, და ბრძოლა ქონდა ორ ფრონტზე. იყო ამ სამ გამოცემაში მუდმივი პოლემიკა და ერთმანეთის წინააღმდეგ ვალაშქება, ხშირად ბეჭად გამოწვევები.

„ცნობის ფურცლის“ რედაქციის წევრებს თბილი მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. ვ. ლასტიშვილი ყოველთვის და ყველაფერში ნამდვილი ამხანაგი იყო, არ. ყორაძე — მუდამ თავაზიანი და ქნტლმენი, ვლ. ლორთქიფანიძე გულითადი და ერთგული, ი. აგლაძე — პასუხისმგებლობის შემგნებული და თავადებული მუშაყი, ზ. ბილანიშვილი უბალოადამიანი, მოკეთე და თანამგრანობი, რედაქციის ახლო მეგობარი გ. დეკანოზიშვილი, იშვიათი პატრიოტი, რომელიც ყველაფერს გაიმეტებდა თავის ქვეყნისათვის. ჩვენ გვაერთებდა არა მარტო საგაზეთო მუშაობა „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში, გვქონდა სხვა საქმეც — ახალი პარტიის (სოციალისტ-დემოკრატების) დაარსება, პარტიის შედგენა, თანამგრანობითა მოპოვება, შეკრება თანხისა არაღეგალურ გამოცემისათვის უცხოეთში, ამ მუშაობას ვეწოდით არა მარტო რედაქციის წევრები, არამედ ამისა-

თვის შემდგარი იყო ფართო წრე-გარეშე პირების მონაწილეობით.

შევეცემები დაგიხატოთ, თუნდაც უმოკლეს და მკრთალად იმ დროს (1902-03 წლებში) ქართული საზოგადოებრივი ეთარება თბილისში, გადმოცემთ ჩემს შთაბეჭდილებებს, შეხვედრებს, დაკვირვებებს, ნახვებს და ვაგონილს, რომ წარმოედგნა (გქონდეთ) იმდროინდელ მდგომარეობისა. ეს მდგომარეობა თბილისში ფრიად დამაღონებელი და არა საწუვემო იყო. ქართველობა ისე გრძნობდა თავს, თითქოს უცხოეთში იყო და არა თავის ქვეყნის გულში. ვაპარტული, უფლები-აყრილი, დახეივებული. დევენილი, საყთარ ბახას — ეკონომიური, სამრეწველო დაწესებულებათ — მოკლებული, აბუხად აღდებული მთავრობისაგან და მუხობლებისაგან — ქართველობა მეორე და მესამე რიგში იყო ჩაყენებული. ჩვენს მაღალი წოდების ისეთი ყმობისა და მორჩილების დემონსტრაციას, როგორც იყო საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის დღესასწაული, იმპერატორის მთავრობამ დამამცირებელი და დამცინავი ეესტით უნახება — ოცოცი ათასი მან. სიტყვებით დაფინანსა თბილისის და ქუთაისის თ.-ანხაურთა შვილებს რუსეთის კლეტთა კორპუსებში გადასაყვარებლად. ლონიერი ვაჭარ-მრეწველთა კლასი ჩვენ არ მოგვეპოვებოდა. ძველი ინტელიგენცია, დასუსტებული და მოდუნებული, ერთგვარი პასივობით შეუერთება ემთა მსველლობას. თავისუფლი, თვითმყოფი საქართველო მეტად ბუნდოვან და მკრთალ ფერებში წარმოსდგებოდა მის წინ. ვინც იყო, ან სახელმწიფო სამსახურში აყო დაბორკილი, ან ორიოდ ქართველი, ბაქციის ობერციებში ჩაბმული, თავისუფალ პარაფსიაში განთლებული ქართველი ორ-სამს თუ ვაკავა თვალსაჩინო ადგილი, საქალაქო დაწესებულებებში ქართველს საწთლით თუ მოძებნიდით, ქართული ლაპარაკი იშვიათად გაისმოდა ქუჩებში, დაწესებულებებში უცხო ენა ბატონობდა, უცხო ენაზე უნდა მივემართათ კერძო საყაქრთებში. საქართველო გაქეიებული იყო ამხანაგისადაც და ყოველგვარი ზომი იყო მიღებული, რომ თბილისი დაყარგოდა სრულად ქართული იერა. ქართველს ანგარიშს არ უწევდნენ, თუ რამე ოფიციალური გამოსვლა ზეგებოდა, ქანველთა წარმომადგენლებს უნან აყენებდნენ. ასეთი მოპორობა ესპერად მოქმედებდა ქართველებზე, ისინი თავისთავად გაუბედურნი გახდნენ, თავის გამოჩენას ერთდებოდნენ ქართველის მჭისცემას თუ იგრძნობდით. ქართველს ქართულად თუ გამოჩნდებოდა, ქართულ ხმას თუ გაიგონებდით — ეს ორიოდ ქართულ კულტურულ დაწესებულებათ კრებებზე და კიდევ ერთ შემთხვევაში—ვიწმე ქართველი მოღვაწის დასაფლავების დროს.

ქართული კულტურული დაწესებულება, როგორც ამას თუ იმ სახით ერთდენულ საქმეს ემხა-

ხერხობადა, ძალიან ცოტა იყო: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დრამატული საზოგადოება, თბილისის თავდაზნაურ მოწვევითა და მხარე კომიტეტი, ქართული გამოცემული ამხანაგობა, სახალხო საკითხავთა და წარმოდგენათა ქართული სექცია, საქველმოქმედო საზოგადოება, მერმე დაარსდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, ფილარმონიული და სამეურნეო საზოგადოებანი. კულტურულ დაწესებულებად უნდა მივიჩნიოთ ნაწილობრივ თბ. სათავადაზნაურო ბანკი, რამდენად მისი მოგების ნაწილი ხმარდებოდა ჩვენს კულტურულ საქმეებს, აგრეთვე თბილისის თავად აზნაურთა დეპუტატების საკრებულო, რამდენად ის ხანდახან ხმას ამოიღებდა საერთო ეროვნულ საკითხებზე თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრებები ერთ დროს დიდ ინტერესს იწვევდნენ, დეპუტატი ბანკის საკითხებს სცილდებოდნენ. მაგრამ ეს ჩემსთვის უკვე აღარ იყო.

სახალხო საკითხავთა სექციის მოქმედება ვიწროდ შემოიფარგლებოდა. მის მოღვაწეობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა, სხვათა შორის, გ. ლასხიშვილი, რამდენჯერმე მსახიობადაც გამოსულა წარმოდგენებში. ზებულაშვილის სახლი (ახლა მარჯანიშვილის თეატრი) რომ ამდენად, სექცია იქ-მართავდა დროგამოშვებით ქართულ წარმოდგენებს.

ქართულთა გამომცემელი ამხანაგობა დაარსეს ქართველმა ინტელიგენტებმა ქართული წიგნების გამოსაცემად და გასაერყელებლად. წიგნის გამოცემის საქმე ძალიან ცუდად იყო დაყენებული მაშინ ვარდა სასკოლო სახელმძღვანელებსა წელწიწადი სამი-თახი ზვირიანი წიგნი თუ გამოვიდოდა მცირე ტირაჟით და ისიც 10-15 წელწიწადს არ სადღებოდა. ქართულთა გამომცემელმა ამხანაგობამ გამოსცა ილიას, აკაკის, უაზბეგის თხზულებათა კრებულები. ამის დიდი სიხარულით შეხვდა საზოგადოება ამხანაგობა იყო გამომცემელი ყოველთვიური ჟურნალის „მოამბის“ და შემდეგ მან-ვე შეიძინა, როგორც უკვე ითქვა, „სკოლის ფურცელი“. ამხანაგობამ მოახერხა. ა. კაკელიის რეინიცხების დასაბეჭდ სამუშაოების მიღება და მან საშუალება მისცა, საუცხოოდ გამართული სტამბა მოეწყო. ბოლო წლებში ამხანაგობის საქმეებს მთლად დეპუტატონა ვამეც ა. კაბადაძე.

თბილისის გუბერნიის მოსწავლეთა დამხმარე კომიტეტი განაგებდა თბილისის სათავადაზნაურო (ქართულ)-ვიმნაზიას და სახსრებს სათავადაზნაურო ბანკისაგან იღებდა. მისი საზოგადო კრებები დიდ საზოგადოებას იზიდავდა, რადგან ისმებოდა კითხვები არა მარტო ამ სასწავლებლის, არამედ საერთოდ ქართული განათლებისა და კულტურის.

ქართულმა თეატრმა უდიდესი როლი ითამაშა

ჩვენი ეროვნული გათავითონობიერებისთვის. სამწუხაროდ, ჩემსობას თბილისში ქართული თეატრი ძალიან მოიკლებდა, თუმცა უკვე ნახევარი საუკუნის ისტორია ქონდა. ამის მიზეზი არ იყო არტისტული ძალების სისუსტე, პირაქით, პირველბარისბოგანი მსახიობები გვყავდა. პიესებიც იყო და იწერებოდა ახლებიც, უბედურობა იყო უსახსრობა, საზოგადოების გულგრილობა, უცხო წარმოდგენების კონკურენცია, რომლებიც უკეთეს პირობებში იყვნენ. ქართულ წარმოდგენებს უძლეობდა უშუალოდ დრამატული საზოგადოების გამოცემა ან თვითონ არტისტების ამხანაგობა, უკანასკნელ შემთხვევაში დრამატული საზოგადოება გარედან უწყობდა ხელს თეატრს. დრამატულ საზოგადოებას მცირე დახმარებას აძლევდა სათ. აზნ. ბანკი, იმართებოდა ყოველ წელს ბალი მის სასარგებლოდ, საწვერო გადასახადი კი მეტად ცოტა შემოდიოდა. საზოგადოების კრებებზე ბევრი ლაპარაკი იყო ხოლმე სახსრების მოსაპოვებლად, არა ერთი და ორი გეგმა ყოფილა წარმოდგენილი, მაგრამ საქმეს არა შედეგებია, წარმოდგენები იმართებოდა კვირანი ერთხელ ან ორჯერ და დარბაზი ხშირად სანახევროდ ცალკერი იყო. იშვიათად თუ რომელიმე პიესა ორჯერ ან სამჯერ დაიდგმებოდა სეზონში. ყველაზე მეტი მოწონება ქონდა ისტორიულ პიესებს. სეზონი გრძელდებოდა 6-7 თვეს და მერმე მსახიობები მშვიტები რჩებოდნენ და მხოლოდ საქმის სუეარული აღდგედა მათ სიმხვევს და გამძლეობას.

ქართულ კულტურულ დაწესებულებებში, უკველია, პირველი ადგილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ეკუთვნოდა. მე თავიდანვე დაუთავალღოვი მის მუშაობას. 1902 წ. გაზაფხულში 1910 წლის შუამდე ვიყავი მისი გამგეობის წევრი-მდივანი და საქმისმწარმოებელი. წ. კ. საზოგადოება დაარსეს ქართველმა მოღვაწეებმა 1879 წელს და მისი პირველი თავმჯდომარე იყო დამ. ყვიფანი, საზოგადოების სკოლებში პირველდაწყებითი სწავლება სწარმოებდა ქართულად, წინააღმდეგ სახელმწიფო სკოლებისა, სადაც სწავლება პირველი წლის მეორე ნახევრიდან რუსულად ხდებოდა. საზოგადოება ცდილობდა ერთგვარი წინააღმდეგობა გაეწია ბიუროკრატის გადამგვარებელი პოლიტიკისათვის. მის დაარსებას ქართველმა მხტრაციულ შეხვედა, ბევრი ჩაეწერა წევრად და წესიერად იმდინდნენ გადასახადს, ისე შემოწირულობაც ეგზანდებოდა საზოგადოებას. მერმე და მერმე შემოსივლი შენეულა, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ არც ერთი ჩვენს საზოგადოებრივ დაწესებულებას ბოლომდე არ შერჩენია იმდენი უწრადლება, რამდენიც წ. კ. საზოგადოებას ქონდა. მის სასარგებლოდ გამართულ საღამოებს და სეირნობებს ყოველთვის უამრავი ხალხი ეს-

წრებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ქართული წერილი ვაჭრები, ხელსენები, მუშები საერთოდ მღაბით ხალხი დიდი თანაგრძნობით ეგებებოდა საზოგადოების მიმართვას და ხალხით აწოდებდა თავის წყლილს. საზოგადოებას ეხმარებოდა თბ. საფ. აზნაურო ბანკი, ძმ. ზუბალაშვილმა საქმიანობაში მონაწილეობა ატარებდა სტიპენდიანტისათვის უმაღლეს სასწავლოებში. მაგრამ ყველა ეს საშუალება სამყოფი არ იყო, რომ საზოგადოებას ფართოდ ეწარმოებია თავისი მუშაობა. საზოგადოებას სულ 8-9 სკოლა ჰქონდა მოწყობილი. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმ ადგილს, სადაც ქართველობა ვარსემორტუმული იყო უცხო ელემენტებით და გადაგარება ემუქრებოდა. ამ მიზნით გახსნა ქართული სკოლები კავკასიაში, ახალციხეში, ბორჩალოში, საზოგადოებას ეკუთვნოდა 12-მდე სამკითხველო, მეტად ღარიბი. მკითხველს იზიდავდა უმთავრესად ქართული ჟურნალ-გაზეთების კითხვა. წიგნი ცოტა იყო საზოგადოების სამკითხველოებში, მაგრამ ბიბლიოთეკების ინსპექტორს ესეც შეშურდა და მოკვებოდა, თქვენს ბიბლიოთეკებში მხოლოდ ისეთი წიგნები უნდა იყოს, რომლებიც ნებადართულია რუსეთის სახალხო ბიბლიოთეკებისათვის. ამ ნებადართულ კატეგორიაში არც ერთი ქართული წიგნი არ იყო შეტანილი და გამოდიოდა, რომ ჩვენნი სამკითხველოები სრულიად უნდა დაგვეცუტა ამის გამო მე წერბილი შიგნითავე რუსულ გაზეთში. სხვა ნაბიჯებიც გადავდგამთ და ინსპექტორს უნდა წავაღებინოთ მისი მოთხოვნა.

წ. ქ. საზოგადოება დიდ უზრადლებას აქცევდა საქონების გამოცემას, პირველ რიგში, სახელმძღვანელოების, რაიც შემოსავლის წყაროც იყო. საზოგადოება ხასიათის სულ ცოტა ინტელექტუალური, რამდენიმე წიგნი. საზოგადოებას ვადმოცემული ჰქონდა ი. გოგებაშვილისაგან „დღეიანა“, „ბუნების კარგი“, იღებდა ამაში განსაზღვრულ მონარას და მერე რაც შემოდიოდა. საზოგადოების სასარგებლოდ რჩებოდა. ამის რაოდენობა მცირე არ იყო, რადგან ამ დროს ყველაზე უფრო გავრცელებული ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები იყო.

ასე ემსახურებოდა საზოგადოება სკოლებით, სამკითხველოებით და წიგნების გამოცემით ქართულ განათლებას და ერთდროულად აღორძინებას, ხოლო ის სხვა დიდ საქმესაც აკეთებდა. მისი წესდების ერთ მთავარ მულაგანი იყო ძველი ქართული ხელნაწერებისა და ისტორიულ-არქეოლოგიური ნაშთების შეგროვება. ამ მხრივ საზოგადოებამ უდიდესი სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანას, მისი შექმნილი და თავმოყრილი ხელნაწერების და ძველი წიგნების რიცხვი რამდენიმე ათასია. მრავალად შეიკრიბა ძველი ნივთები-სამკაული, ტურქული, იარაღი და სხვ. უბირველესი ღვაწლი ამ საქ-

მეში ეკეთ. თაყაიშვილს ეკუთვნის მას არც ერთი წიგნი და ერთი წიგნი, რომელიც ერთი წიგნი მოუვლელი და გამოუყვალელი, არ დაჩინია გუბინინი და აუწერელი არც ერთი წიგნი. ცხ. ხე, ნანგრევი, ნისახლარი. ყველაზე პირველი რამე ბიოგრაფია-ხელნაწერს, მხატვრულ ნივთს, ნახატს, მოჭარულ ქვას, სამკაულს, ავეჯს და სხვ. ყველაფერს აგროვებდა და უნახავდა ქართველ ერს, როგორც კი ვაივებდა. ამა და ამ კაცს რამე ხელნაწერი ან ისტორიული ნივთი აქვსო, მაშინვე მიეჭრებოდა, მოსვენებას არ აძლევდა და ძალით ან ნებით, უფასოდ თუ ღირის გადახდით უწოდებ ჩამოსამხვედა. ბევრი წიგნი და ნივთი შეგროვდა ამნაირად და კიდევ უფრო მეტი შეგროვდებოდა, რომ მაშინდელ ქართველ საზოგადოებას მეტი ერთდროული შეგნება ჰქონდა და მეტი ვაგება ისტორიული ძეგლებს და რეზერვებისა, ექ. თაყაიშვილს და მისთანებს ბუერს და სკოლებსაც კიდევ — მოკლილი ხალხი, ძველ ნანგრევებს და ხელნაწერებს ჩხრეკავენო! თვითონ ექ. თაყაიშვილს უთქვამს ჩემთვის: „დიდი ნაწილი ქართულ ხელნაწერების ჩვენს დროში დიდებდა და დიდიწილი ბატრონიდენ უღვრად და უბატრონიდენ ეპრობოდენ ძეგლებს და ჩვენ, ვინც ვცდილობდით მათ შეცნებას და შენახვას, არაინ ვეჭვმარებოდა, სადასარი არ გვქონდა, თავად აზნაურობის საერთოც არაფერს იმეტებდა ხელნაწერებს შესაქნად და დასაცავად“.

აქედ. თაყაიშვილი წ. ქ. საზოგადოებაში მოღვაწეობდა, შემდეგ უმთავრესად მუშაობდა თავის დაარსებულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში. ამ ორი საზოგადოების შეკრებილი და დაღუპვის გადაჩინილი ხელნაწერები, წიგნები და ნივთები დღეს თავმოყრილია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და წარმოადგენს მის უძვირფასეს საგანძურს.

წერა კითხვის საზოგადოება მოთავსებული იყო თავიდანაზნაურობის ქარვასლაში დღევანდელი ცეკავშირის პირდაპირ. მისი კანცელარია ნამდვილი კლუბი იყო, კულტურული და რაოდენიმე პოლიტიკურიც. ვინ არ შეშობიოდა აქ, ვისაც კი რამე დამოკიდებდა მონდა ქართულ საქმესთან, ვისაც აინტერესებდა საქართველოს ბედი და მომავალი, მოდიოდნენ ქართული წიგნის საყიდლად, წიგნებისა და ძეგრანალების წასაკითხავად, ძველი ხელნაწერების გასანიჭავად, ახალ ამბების გასაგებად, ერთმანეთთან შესახვედრად.

შემოდიოდნენ მასწავლებლები, მწერლები, არტისტები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, ემსკომოსები, მღვდლები, თბაღისის მცხოვრებნი თუ პროვინციიდან ჩამოსულბი. ხანდახან ვიზიტორებოდა საერთო საუბარს, კამათი, იყო მოკონება გარდასულის, გამოცნობა მომავლის. პროვინციიდან თუ ვინმე ჩამოვიდოდა, მშობელი ქვეყნის გულშემატკივარი, თავის

წმინდა მოვალეობად მიანდა **წ. კ. საზოგადო-**ებაში შემოვიდა. თვალწინ იშლება მთელი ვა-ლერეა ქართველ მამულშიერთა სახეებისა.

თი ი. გოგებაშვილი — აღრე მოგვიანხლებ-და თავის მხარის ჯოხით. დიწვად მოაბიჯებს და თან ჯოხს ქვის იატაკზე ღონიერად დაარ-ტყამს და ამით შორიდან გვატყობინებს თავის მსგელს. თუ კანცელარის რომელიმე სარკმელ-იღია, ორბინი ქარის ეშინია და ვარდნად დავეიძახებებს: გეთავა, სარკმელი მიხურეთო; და-ჭდებოდა, უყვარდა ჩემთან საუბარი. ქართული ენა, წიგნი, განათლება, მთავრობის გამარჯვებელი პოლიტიკა, ბრძოლა ქართულის მღვწეუ-ლებში წინააღმდეგ, ქართველების წარმატე-ბა—თი, საგანდ მისი ზაისისა. რამდენიმე წლის განმავლობაში ზმირად ვხვდებოდი, ვაყვირდებოდი მის მოქმედებას. სიტყვის. ის იყო განსა-ხიერება სამშობლოს წმინდა სიყვარულისა მა-მულიშვილის მთლიანი ტიპი. მან არ იცოდა უოყმანი და ორჭოფობა მშობელი ქვეყნის ინ-ტერესების საეთხმში. ყველაფერს ქართველი ხალხის სარგებლობის თვლით უყურებდა. ჩვენმა პარტიამ რომ მიწის ეკრძო საყუთრების მოსპობის და სოციალიზაციის პრობავანდა და-იწყო, ასე მითხზა: ეს ძალიან კარგია, ამით ქართველ გლეხს მიწა შეუნარჩუნდება, თორემ დღეს ჩვენი მიწა-წყალს უცხოელები ეპატრონე-ბიანო. როგორც კტუხი თავის წიწილებს, ისე დატრიალებდა თავს „დედა-ენას“ და სხვა თავის გამოცემებს, იმიტომ, რომ ფანატურური რწმე-ნა ქონდა, რომ მის წიგნებს შექონდა ხალხში სალი ეროვნული შეგნება, ქვეყნის მტრად მი-ასნდა. ვინც ამასი ოდნე შეეგამათებოდა. ვერ ითმენდა რუსული ენის სწავლებას ე. წ. მენ-ჭურის მეთოდით, რადგან ეს ასუსტებს ქართუ-ლის ვარჯიშობასო. ასევე შეურაცხებელი მტერი იყო იმ პოლიტიკანების, რომელთაც ქართულის გამოთქვება უნდოდათ სამეგრელოს სკოლები-დან და მის მივიერ მეგრულს შემეკლება. არ გამოვბარებოდა, თუ სადმე არ შემეკავთებო-და ან ითქმოდა ქართველების საზიარად და ამა-ზე პასუხი უნდა მიეცა ან მას ან ვისმე. იგი აღშრდელი იყო ჩვენი არა მარტო წიგნებით და საგაზეთო წერილებით, არამედ თავის მა-ღალ ზნეობრივი პირთვნებით. და მეც მასთან უოფნით და საუბრით შემატებოდა და მშობლოს სიყვარული და სიმხნევე, რწმენა და იმედი.

თი პ. უმიკაშვილი, ძველი მწიგნობარი, კეთი-ლი გელის, მოსიყვარულე, აი აღ. სარაქივი-ლი, თუცე ქართული წიგნის მოტრფილავ, აი ეახ. თელაველი (1834-1910, საზ. მოღ. პედაგო-გი). **წ. კ. საზოგადოების** ერთი დამაარსებელ-ოვანნი, უყვარს ქართული ვაგზეთების თვლიამ ბოლომდის წაეთხვა. აი მოსე ჟანაშვილი, რომელიც მხოლოდ საქართველოს წარსულში იყ-ქარება, აი ექ. თაყაიშვილი, რომელიც შე-მოივლის ზელნაწერების ამოსარჩევედ, რომე-

11 „მნათობი“, № 6.

ლთაც სახლში წაიღებს, რომ შესწავლის და აწეროს. იმის შეხვედრა ბევრს კონტრეტებს, უნდათ რამე ისტორიულ-არქიტურულ, სა-კითხის ვარკვევა, ეთათხებიან, ინიშნავენ რვე-ულში, აი მოგვიანხლებს თავმჯდომარის ამა-ნავი ნ. ცხევაძე, **წ. კ. საზოგადოების** თვალსა-ჩინო პირთვნება, ენერგიული საზოგადო მოღ-ვაწე აი არტისტები: ე. აბაშიძე, ლ. მესხიშვი-ლი, კ. მესხი, ე. გუნია, კ. ყოფინი (გვაწვდის ცნობებს მამის შესახებ). აი მსახიობი ქალები ნ. ვაბუნია — ცაგარელისა და ელ. ჩერქეზი-ვილი რომელთაც ყოველთვის მხიარულება შე-მთავებთ დარბაზში, აი მღვდლები—ძმები პოლ. და ვის. კარბლაშვილები, რომელთაც უყვართ ძველი ნაწერების ჩხრეკა, აი კალის. ცინცაძე, ძველანდელი კათალიკოსო, ეპისკოპოსები კი-რიონის და ლეონიდი, მთავრობისაგან დღვნილი არქიმანდრიტი აშბროსი ხელაია, აი პროფესო-რები ა. ცაგარელი და ა. ხაზანაშვილი, რომლე-ბიც გვირახულებდნენ ზღვრულში რუსეთიდან ჩამოსვლის დროს. შემოვიღიდა პროფ. ნ. შარიც, უმეტესად რამე ქართული ვაშოცემის შესახე-ნად, აი კალეუ მწერლები შ. დედაბრძიშვილი (არაგვისპირელი), დ. მეგრელი და მისი მღვდ-ლე ან. ერისთავ-ხოშტარია, აი ძმები ევა-ფშა-ველა, თ. რახიყაშვილი და ბაჩანა. აი ს. მგა-ლობიშვილი, ნ. ლომოური, დ. კლდიაშვილი, ირ. ევდოშვილი, ნ. ურბნელი, გრ. და აღ. ყი-ფშიძეები; აი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა, მ. დემურია და სხვები. აი თეთი აყ-წერეთელი, რომლის დანახეაზე ყველას სახე ვა-უბრწყინდებოდა, რადგან უყვარდათ მისი ტყე-ბი საუბარი და საოხუნერი აშბების მოყოლა. რო-გორც კი დაქვებოდა აკაცი, ყველანი მის ვარ-შემო შემოიკრიბებოდნენ. ვახ. თელაველიც თავის ვაანებებდა ვაგეთს და აკაცის შეაქვერ-დებოდა... მართალია, ჩვენი ეროვნულ-საზოგა-დოებრივი მდგომარეობა სახარბიელო არ იყო, მაგრამ ჩანდა ისიც, რომ ეს მდგომარეობა არ იყო ვაყინელი, სტაბილური. ხდებოდა შიგნით, განსაყუთრებით ფართო მასებში, დღვლია, და-რახმა, მომზადება, იწყებოდა თბილისში და სხეიგან ვაფიცვები, დემონსტრაციები (ერთხელ მეც მომხვდა ვაზახების მწარე მათრახი), ამოქ-რადნენ გლეხებიც და ეს იყო ნიშნები ჩვენი ერის ცხოველმყოფელობის, იმის, რომ საქარ-თველოს ისტორია ჯერ არ დამთავრებულა. სა-ზოგადო მოღვაწეობის სარბიელზე გამოვლდნენ ახალი ძალები, უფრო დამალი ხალხის წრეები-დან, ახალი — რევოლუციონერი მეთოდით. ეს ახალი ვხა, მაგრამ ძველიც, ვინაითვან სა-ქართველოს ისტორიას ყოველთვის ახასიათებ-და ბრძოლა თავის ღირსებისა და უფლებებისათ-ვის.

ამ საუყუნის დამაწყისიდანვე დაეტყო რუ-სეთის იმპერიის სახელმწიფო რევიმს რღვე-ვა. რეაქცია ძლიერია. მაგრამ თავისთავის

არწმუნა მის არ მოცობება. ვინებდადაც გულ, აქეთ-იქეთ ეხებებდა. მის წყაყრ წომიბის ნათელი არ მოაქვს. პირიქით, მთელ სახელმწიფოში აღრღებდა უკმაყოფილება და მთავრობის საწინააღმდეგო მოთხოვნა. ვაჟიყვები, დემონსტრაციები, ტერორები ერთმანეთს მოსდევდა.

ამ ბრძოლის სულიერ განწყობილების დროს დაიგა მოსკოვში ა. სუხბათაშვილის „ღალატის“ პოესა ვმირული ბრძოლის განთავსიყვლებსათვის. დიდ ხანს არ ვაუტლია და თბილისის რუსულმა დასამაც დაიგა იგი. კარგად იყო შესრულებული საერთოდ და ზეინაბის რილის შატლენის ქალი საუტხოოდ თამაშობდა. კარგა ხანს კვირამი რამდენჯერმე იღებებოდა. თბილისის საზოგადოება დიდი აღფრთოვანებით ხვდებოდა „ღალატის“ წარმოდგენებს. ყოველი მოქმედება, ყოველი თვალსაზრისი სცენა ოქციას და მანიფესტაციას იწვევდა. მეხეტე მოქმედების შემდეგ კი ხალხის მღელვარებას და ენთუზიაზმს დასაბტელი არ ქონდა. მავურთხელნი დიდხანს არ გამოდიოდნენ დარბაზიდან და ძალით, ელექტრონის ჩაქრობით აიძლებდნენ. განოსული საზოგადოება გარეთ დიდხანს რჩებოდა, ჭეუჭ-ჭეუჭად თაბოყროლო, ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს, კამათობდნენ. იმ დროს პარტის რეკოლუციის სული ტრიალებდა და სცენაზე წარმოებულ ბრძოლა ჩვენს გონებას ვარეთ, ქუჩაში, ვამოქონდა და მეტების აფეთქება „ღალატი“ თეთიმპრობელობის აფეთქებად გვესახებოდა.

ცოტა შევჯიანებით ქართულმა თეატრამაც დაიგა „ღალატი“. დიდი მონღორობით ემსაღებოდნენ მსახიობები ამ წარმოდგენისათვის, საზოგადოებაც მოუთმენლად მოელოდა საქართველოს ისტორიის ტრაგედიის ვანახიერებას ქართული მსახიობების მიერ. ყველა ფორმად, რომ „ღალატი“ ქართულად უყუთესა გამოვლდოდა, ვიდრე რუსულად იყო. წარმოდგენის დღეს ნერველი მღვდმარობა იყო შექმნილი სცენაზე და საზოგადოებაშიც. ანთ პირბებში აიხადა ფარდა და სოლიმანმა რომ წარმოთქვა პირველი სიტყვები: „დიდ არს აღამა“ ყველამ იგანძო, რომ წარმოდგენას კარგა არ მოელოდა. მიინც იმედით და არწმენით შევყარებდით ვაგრძელებას და წამდაუწყებ მოველოდით, რომ თანდათან იქნებოდა აღებელი ის ვმირული ტონი, რომლითაც ვამსკვალულია სუხბათაშვილის ნაწარმოები. საუკეთესო ძალები იყვნენ ათთქვის უმესრულელებნი, მაგრამ რატომღაც შემინებულბილით ლასარაკობდნენ, თეთონ არა სწამდით თავისი სიტყვა და მოქმედება, აქტიორები ვერ შევიდნენ ბოლებში და სოლიმანი, ზეინაბი, ოთარა. ანანი, დათო, ერეკლე, რუქია სულ უტხო პიროვნებანი იყვნენ მოთამაშეებისათვის. საწრუხაროდ, ტექნიკურმა მხარბეც ხელი შეუწყო კატასტროფას: პირველ მოქმედებაში

ფარდა უდროოდ დაეშვა და მეხეტე მოქმედებაში მეტები აფეთქდა ნაადრევად.

ამ წარმოდგენის ვამო შექმნილიყვლებტონი დიფერე სახელად „მოლოატენსა“, სადაც სასტაოდ დიფერე არტიტები. ახლა ვადავიკითხე ეს და ვუთქრობ, რომ ვადაშებებელი სიმკაცრე გამოიქინე მამნი. ქართველ მსახიობებს ასეთი დიდი დამსახურება აქვთ, იმდენი სიყვარული ქონდით ქართული ხელოვნების და კულტურის, იმდენი ვაქრებება აუტნათ და იმდენი თვადებებლობა ვამოუჩენიათ, რომ ამათუ იმ შეტდომისათვის სასყელი არ გუუთენით. მერე ჩვენმა თეატრმა ვამოასწორა თავისი მარცხი და „ღალატის“ წარმოდგენები ვაუყუთესა....

უებრედები რუსეთის საერთო პოლიტიკურ ამბებთ და ამასთან დაკავშირებით ჩვენს საზოგადოებრობებში მომძლარ ცელოლებებს. იამონის ომში დამარცხებამ ერთიან შეარყია იმებრია. რუქციის სულსანამდგმელს პლეკეს მოკელამ (1904 წ. 15 ივლ.) თაუზარი დასცა მმართველ წრეებს. იწყებენ დამომბებს. მანიფესტი მანიფესტს ცვლის, მეტისა და მეტის თავისუფლების დამარცხებით. ეს არავის ავმყოფილებს და მდგომარეობა ვამწვადებდა 1905 წელს. აქანყებები ხდებდა სხვალსხვა ადგილებში, ყველგან ცეცხლი და სასხლსლერა ვრცელდებდა.

საქართველო ჩამბულია რევილუციონში, მას პირველ ადგილოვანა უყავია, მისი პოტენციული ძალა ფართოდ იშლებდა. ჩვენში ორნიარა ბრძოლა: საერთო პოლიტიკური და ეკონომიურ-სოციული, ერთის მხრით, და ადგილოდარბი, ქართული ეროვნული, მეორე მხრით.

მე არ ვილაბარაკენ საზოგადოდ ამ ბრძოლაზე, ხოლო ვავიხსენებ ზოგიერთს ეპიზოდს, რამდენადაც ეს დაკავშირებულია ჩემ სალიტერატურა მუშოებასთან.

პრესის პირობები შედარებით ვამწობესდა. ცოტა თავისუფლად დავიწყეთ წერა, მთავრობის მხილება, ჩვენი მოთხოვნილებების წამოყენება. „ცნობის ფურცელს“ ახალი თანამშრომლები შევირბა — გრ. ჩებლაძე, ვ. აბშიძე, შ. ჩიბაძე (1873-1906, ეფრნალოსტი და პედაგოგი) სამაგიეროდ ვამოაკლდა არ. კორჩაძე, რომელიც პარიზში წავიდა, გ. დენანონიშვილთან ერთად, ეფრნალ „საქართველოს“ ვასამლოლად. ამ არალეგალურ რუგანოს პირველი ნომერი ვამოივდა 1903 წ. მაისში. აქვე უნდა მოვიხსენიო, რომ 1905 წ. არ. კორჩაძე ივად ვახლა და მის მავიერად დროებით გ. ლასიშვილი წავიდა, მერე მე უნდა ვადავსახლებულიყვი უტხოთემი „საქართველოს“ ვასამლოლად, მაგრამ რაკი რუსეთში რევილუცი და იწყო, ცოტა თავისუფლება დამმარეცა და მეტასაც მოველოდით ახლო მომავალში, ამიტომ პარიზში ეფრნალის ვამოკება შეჩერებულ იქნა. სხვა ცელოლებებში მოხდა ქართულ პრესა-

ში. „ივერია“ გადავიდა ფ. გოგიანიშვილის ხელში, რომელმაც გააფართოვა და გააუმჯობესა იგი. სოც. დემოკრატებმა დააარსეს ყოველდღიური გაზეთი „სხივი“. გაიწესა ანარქისტული პერიოდული გამოცემა, ჯერ კერძოები „ნობათა“ და მერმე ყოველდღიური „მეშა“.

მე ფელეტონებში აშკარად და მოუჩიდებლად დავიწყე ჩემი პოლიტიკურ ეროვნული და სოციალური აზრების გამოთქმა. სხვათა შორის, 1905 წ. დავწერე სასცენო სახით ფელეტონი „ქოხნივითი“, სადაც გამომყავდა ტარტაროზი (რუსეთის მეფე). რომელიც ზედგის თავის საბრძანებლის დაწვრთვას და განსაკუთრებით უფროსის სიტყვის თავისუფლებას. ეს ფელეტონი შემთხვევით დაიბეჭდა 9 იანვარს — გამოჩნს პეტრბურგში გამოსვლის დღეს. ა. ჯაბაღარამ მითხრა მეორე დღეს: სტამბაში გადავემამდე გადავთავალიერე შენი ფელეტონი, შეშეშინდა, მის გამო ვახეთი არ დავგვიხრონ და მინდოდა ზოგი ადგილის ამოღება, მაგრამ დამენანა და ვთქვა: რაც იქნება, იქნება-თქვა. ფელეტონი ძალიან პოპულარული გახდა და თელავში სცენაზეც კი დადგეს ერთმა ქართველმა სტუდენტმა მოსკოვში რუსულად გადათარგმნა და გაზ. „Русские ведомости“-ს მოეტანა. ვაჭუთმა ვერ დაბეჭდა, გამოცემის დავგვიხრადენო.

საქართველოში რევოლუციონერ გამოსვლებში პირველი ადგილი ეკავა გურიის. გურული გლეხების მოძრაობამ მთელი რუსეთი ალაპარაკა. მათ წინააღმდეგ მიღებული რეპრესიები მთელ ქართველობას აღუვებდა. ლიბერალურმა სიამ რომ დაბრუნდა კავკასიაში მეფის მხადავლად ვარაუდოვდაშეყოი დაიწინაშა, ვითომ მშვიდობიანობის დასამყარებლად რევოლუციონერს წყალობით, ზოგიერთები მოვლოდნენ, რომ რეპრესიებმა შეჩუღებოდა. ცრუ იმედი იყო და ეს მაღაც დამტყუდა. 1905 წ. თებერვლას დამლევს გურიაში გაავახენა მეფის მოადგილან თანამეწყე კრიმ-გირეი, ლიბერალური იმპერატორების და პეტროსანი კაციო. ამბობდნენ მანშინ. მას უნდა გამოერყვია გურიის ამბები და მოესმინა გლეხთა მოთხოვნებანი. ქართულ ვახუთებს ნება დართეს, კორესპონდენტები ვაყოლობინათ და ყველაფერი დაწერილებით აეწერათ. „ცნ. ფურცლის“ რედაქტორამ მე მომანდო ეს საქმე. ერთა კვირა დღებანი გურიაში, რამდენიმე სოფელი მოვიარე კრიმ-გირესთან ერთად და ვაჭუთის მეთბველებს ვავაციანი გლეხთა მოთხოვნებანი და ჩემი შთაბეჭდილებანი, მე რომ წამოვედი, ჩემს მავიერობას აწყოდა ილია ნაკაშიძე. ჩვენმა წერტილებმა დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში.

ქლიერი იყო მასიური მოძრაობა გორის მახრამში და აგრეთვე ქიზიყში. საერთოდ მთელი საქართველო ამობრავდა. სული უმეყოფილებობის, პრატიესტისა, წინააღმდეგობისა და ბრძოლის შეიქრა ყოველ წრეში და ეს გამოიხატე-

ბოდა ან უმეყოლი აქტივობით ან მოთხოვნებშია წარდგენით. უკრძოლ თბილისში ვაფიციკა, დემონსტრაცია, მიტინგი, მოყვლა მთავრობის ავერტებინა ჩვეულებრივ ყრუელდისურს მოვლენად გადაიქცეო.

31 მაისს ქართველ სამლედელოებას სემინარიის შენობაში კრება ქონდა. შეუცვიოდნენ ყახახები, ძალით გავრვეს კრება, სცემეს მღვდლებს და ბევრი დასისხლანეს. ამ ამბავმა მთელი ქართველობა აღელვა. საღამოს მღვდლები შეიკრანენ და, სხვათა შორის, მეც მიმიწვიეს. მე სიტყვით მივმართე და ეურჩიე მხნედ ყოფილიყენენ და ბრძოლა გაეგრძელებით.

ავეისტოს 29-ს ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში კრება იყო. შევარდნენ ყახახები, დაუშინენ შეკრებილი თოფები და 40-მდე მოკლეს და ბევრი ვადეც დაჭრეს...

ასე გრძელდებოდა 17 ოქტომბრამდის. როდესაც გამოვიდა იმპერატორის ახალი მანიფესტი, თითქოს საკონსტიტუციო წყობილება შეარდებოდა და ამას უნდა მოყოლოდა ერთგობის დასწოდება. მანიფესტის გამო თბილისში მინიფესტიაციები ვაიმართა. 22 ოქტომბერს რუსმა მავარზმელებმა კონტრმანიფესტაცია მოაწვეეს ჯარის მონაწილეობით, დაეჩიუნენ ქუჩაში მშვიდობიან ხალხს და ბევრი დახოცეს და დაჭრეს.

მე პირადად ამ დროს თბილისში არ ვიყავა. პეტრბურგში მოწვეული იყო მთელი რუსეთის ეურნალისტების კრება. ამ კრებაზე დასასწრებლად ვავახენილი ვიყავით მე და მ. სურგულაძე. (ეურნალისტი და ბედაგოგი, ეურნალისტის“ რედაქტორი). ვორონეჟს რომ მივუბნოლვით, დამწყო რაინიგზის ვაფიციკები და შეწედა ყოველი მიმოსვლა. რამდენიმე დღე ერთ სადგურზე ვიდევით. ვცხოვრობდით ვაკონებში, სასრლო ვეწლეოდა რაინიგზის სამმართველოსაგან. ირგელიე რა ხდებოდა, არ ვიცოლით. ხანდახან სადგურის უფროსი რამე ცნობას მოვავწოდებდა. 17 ოქტომბერს რადაც ხმები ვავრცელდა, დიდი ამბები მოხდოა. საღამოს ჩვენი მატარებელი დაიძრა და მეორე დღეს მოსკოვში ვიყავით. ვეკით ვაჭუთებს, ვაევიეთ მანიფესტის გამოცხადება. იგი არაეთს აკმაყოფილებდა. ყოველმხილი ვაგანდა მექარა იმპერატორისა და მისი მთავრობის წინააღმდეგ. შევიარეთ უნივერსიტეტში, ყველა აუდატორიაში მიტინგები იყო და ვავხარებულ რევოლუციური სიტყვები ვაისმოდა. ვახუთები ფურცლები, კარიატურები მოუროდებლად დასტირანდენ რეკემს. იმ საღამოსვე პეტრბურგისაკენ ვავწვიეთ. იქაც იგივე ამბები დავცხედა — მღვლეარება, არეულობა. მეშუბის დიდი დემონსტრაცია უნდა მომხდარიყო. მაგრამ უკანასკნელ გამს მეთარებმა ვავიეს ვრადონაილიის პროვოკაციული განსრახებები და თავი შევკავეს. მოეროდნენ სისხლდაღებას ეურნალისტების კრება აღარ შესდგა და რა-

მღენივ ღღის შემდეგ უკან გამოვბრუნდით. თბილისში დავხვებულა ზემოთდასახელებული ამბავი, რომელსაც შემდეგ უარესები მოყვანა. ცხადი იყო, თუ მთავრობა ერთ ნაბიჯს გადადგამდა, ორით უკან იხევდა. კონსტიტუცია ვამოცხადეს, ამავე დროს სამხედრო წესები შემოიღეს და რეპრესიები გააძლიერეს.

მთავრობამ ასეთ ზომასაც მიიპარათა: ხელი შეეწყო ან უკეთ თვითონ მოაწყო სომეხთათვის შეტაკება, რომელიც ადერბაიჯანში და სომხეთში დაიწყო და ნოემბერში თბილისშიც გადმოვიდა. ქართველები ენერგიულად ჩაერყვნენ და ჩვენში ეს სისხლისღვრა ვერ გაიმართა და მალე ჩაქრა. მასსოცს, დიდი შიტანგი ვიპოვით ვანქის ეზოში მებრძოლთა მოსახლეობისად და მეც მომხატა სიტყვის თქმა. ამის შემდეგ ჩამოვიარეთ სომხის და თათრის უბნები, მოვეწოდებოდით შერიგებისა და მშვიდობისათვის.

22 დეკემბერს რედაქციაში ვიყავით თანამშრომლები. სომხის სენიარის ყოფილი შერობიდან ვიღაცამ უფშარა ესრალა უჩაბაგს. ამის გამო გამოიწვიეს ჩარი, შერობას ცეცხლი წაუციდეს და ბევრი აღამაინე მოკლეს. ჩარისკაცთა თარეშმა კინაღამ ჩვენს რედაქციაზე მოაღწია.

არ ვასტულა ამის შემდეგ ერთი კვირა, რომ ბანახე (კავკასიის და გრობოდოვის კუთხეში) ოფიცერი მეწვია ჩარისკაცებით. ვამხარაგეს და დამატესალეს. წაიყვანეს საკომუნდატოში. იქ ბევრი სხვა დამხვდა დატესადებუნი და მეორეც მოიყვანეს. ახლობელ ნაცნობებში იყვენ ვლ. ლორთქიფანიძე და ვლ. გოგიაშვილი. წავეყვანეს მეტეხში. ციხის უფროსმა არ მიგვიღო. ადგილი არა მაქვსო. დაგვაბრუნეს უკან. გაპარათა ტელეფონით მოლაპარაკება. ვაგვებუნეს მეორედ და როგორც იყო მიგვიღეს. ციხეში დაერჩი თენახაგეირი, ვლ. ლორთქიფანიძესთან ერთ სკანინი. ციხის რეჟიმში შედარებით მსუბუქი იყო, უკეთესი ვიღებ 1910 წ., როცა მეორედ მომიხდა იქ ყოფნა. უკვლავარს ვიღებლით გარედან — წიგნებს, ვაბუთებს, წიგნილებს, ვახეთშიაც ვთანამშრომლობდით. ჩემი ტესაობის დროს ჩემი ფელეტონების ნაცვლად იმეღვლოდა შ. ჩიტაძის (ყვავის ფსევდონიმი) „პატარა ამბების მაგაორ“. მოგვდიოდა ამბები ალიხანოვ-ვაკასკის დამსყველი რაზმის საშინელი მოქმედებისა იმერეთში, ვანსაყუთობით გერიაში და გული ნაღვლით ვაგვიგებოდა. წარმოუღვანებია ამბები ხლებულა ქართლში. 1906 წ. 17 იანვარს უფშარას ძლიერი ხმა მოგვესმა, ვეგონა საუღლაც, სულ მახლობლად, მალე გავიგეთ, რომ არ. ჟორჯიაშვილმა ქალათი გენერალი გრიაზნოვი მოკლა („მოამოთრა ხალხს მისი ჭირი“, როგორც ვიხრებ გამოთქმული ლექსი ამბობს).

ჩემი დატესადების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ჩემს ფელეტონებში ხშირად თავს ვესხ-

მოდი შირინკის, მეფის მოადგილის თანაშემწეს, საპოლიციო ნაწილის უფროსს. თურქე ციხირში ვაღასახლებას მიპარებდნენ მძევლები ერთი ჩემი კარგი ნაცნობის საქმეზე, ჩრუვად გადამაჩინა.

ციხიდან რომ გამოვიშვეს, მეორე თუ მესამე დღე და 19 თებერვალს „ცნობის ფერცელში“ დაიხვებდა ჩემი ჩვეულებრივი ფელეტონი. რომელშიაც მკაცრად შევხებოდი მთავრობას და შირინკისიც არ დაეზოგე. ფელეტონს ასე ვთითებელი: „ქვეყანა მაინც ბრუნავს“. მეორე დღეს საღამოს 9-10 ს. ჩემთან მოვიდა ს. მდივანი და მიხატა: შირინკისა ვამრახებოდა შენი წერილის გამო და ხელახლა დამკვრას ვიპირებს, ამიტომ ამაღამ სხვაგან უნდა დაიბინო და ზეალ თბილისიდან წახვიდე.

მეორე დღეს საქაროდ მოვემხადე და გვეწვე პეტერბურგისაკენ, რომელიც იმ დროს უკეთესი თემქესადარი იყო დვენოლებსათვის. თანაც იქ შეგობარა მყავდა.

ს. ვარს უყვარდა ჩემი წერილები და პეტერბურგში ყოფნის დროს ხან ის მოდაოდა ჩემთან, ხან მე მივდიოდი მის ბინაზე. მასთან საუბარი მეტად საინტერესო იყო. ვასაოცარი ერთდოციის და გენიალური ინტელექტის ადამიანი იყო. ერთი საუბარის დროს ვთხოვე დამეწერა საქართველოს მოკლე ისტორია. ეს მალე შეასრულა და გამოიცა ამ სათაურით: „История Грузии (культурно-исторический набросок) გურიის მობრობასაც უძღვნა ერთი ბროშურა. ცხარედ ებრძოდა ვოსტოროვს და სხვებს — ქართული კულტურის უარყოფელთ. მე საქართველოს ავტონომიის ვიცავდი, ის მთელი კავკასიის ერთი ავტონომიის მომხრე იყო, ქართველს უარყო ასპარეზ სკირია სამოქმედოთა.

პეტერბურგში ვაიგე „ცნობის ფერცელის“ დახტვა. იგი ქართული პრესის სასახელიდ გიბრულად დაიღება ბრძოლის ველზე. ოფიციალური ვახეთის «Кавказ»-ის 16 მარტის ნომერში დაიხვებდა თბილისის სამხედრო ვენერაგებუნატორის ტომოფევის შეტარა „ცნობის ფერცელის“ მიმართ: ვალბ ცნობებს აქვეყნებ, ვითომ ჩარი ხალხებს წაეიდეს, ხოცადეს ხალხს, აუპატორებდეს ქალებს და სხვ. გაძლევ ერთი კვირის ვადას, რომ წარმოადგინო „დაურღვეველი საბუთები“ შენი ცნობების დასამტკიცებლადო.

ვახეთმა ღირსეული მასხვი ვასცა ამ შეტარას 24 მარტს. ვერ ვრცლად და უშიშარად გააკითხია ტომოფევის წერილი: ჩვენ შებოქალი ვიყავით და უკვლავარი ვერ ვთქვით, თორემ სინამდვილე უარესია, ვიღებ ჩვენ შერბილით, საქმარისია, მარტო რკინიგზით ვაღლა ქართლ-იმერეთზე, რომ დაეინახოთ, თუ რა ვაუკონარ სატარეღელშია ხალხი — უკვლავან ვარევები ცეცხლი, ცრემლი და სისხლითო. მგერამ თუ გუბერნატორი ახალ საბუთებს მოით-

თხოვს, აი „დაურღვეველი საბუთები“, და გა-
ხეობა მთელი ნომერი გაავსო ოფიციალური
დოკუმენტებით მთავრობისა და მისი ქარის სა-
ხიზლარი აქტების შესახებ.

IV. მე როგორც გამომცემელი და რედაქტორი

წ. კ. საზოგადოების ბიბლიოთეკაში ვმუშაობ-
დი (ბიბლიოთეკა და კანცელარია ერთად იყო),
წიგნის მაღაზიის ვაჭრობა და მოქმედება ჩემ
თვალწინ ხდებოდა. მწერალთა და მწიგნობარ-
თა შორის ეტრიალებდი, და კარგად ვეხდებოდი
ქართული წიგნის სიცილავეს და სიღარიბეს.
წელიწადში ორიოდ წიგნი თუ დაიბეჭდებოდა
და ისიც წლობით ეწეო თაროებზე ხელუხუ-
ბელი. რატომ იყო ეს, რატომ არ იბეჭდებოდა
ქართული წიგნი? ვეთიღი სურვილის და მონ-
ღოშების უქონლობის გამო ხომ არა? მოდი,
ვეცი კარგი წიგნის გამოცემას, ეგებ იპოვნოს
მეთხველი, ვიფიქრე. ახალგაზრდა ყოველ-
თვის სასჯა იმედებით.

მწერლობას რომ ხელი მოვკადე და ვაზ-
„დროებას“ ვავეცანი, ძალიან მიმიზიდა ს. მეს-
ხის პიროვნებამ, რომელიც იყო ქართული ეჭრ-
ნალიზმის მამამთავარი, გულწრფელი ლემოქრა-
ტი და ამასთან მაღალი ზნეობის ადამიანი. მას
და ვაზ. „დროებას“ რამდენიმე წერილი ვუძღ-
ვენი „ცნობის ფურცელში“ და ჩემი ინიცია-
ტივით 1916 წ. „დროების“ 50 წლისთავი აღ-
ინიშნა. და, სხვათა შორის, ვაზ. „სახალხო ფურ-
ცელში“ დაბეჭდა „დროების“ პირველი ნომერი
სრულიად იმ სახით, როგორც 1866 წ. გამოვიდა
და დაურთა თავის ხელისმომწერებს.

განვიზახებ, ჩემი პატივისცემა ს. მესხის სა-
ლიტერატურო მოღვაწეობისა აღმნიშვნა მისი
რჩეული ნაწერების გამოცემით. ეს უძველეს
საინტერესო წიგნი გამოვიდოდა და მკითხვე-
ლი — მუიღველი ეყოლებოდა. დამეხარა მე-
წიგნობარი ი. კყინია (ღსევდ. მაგმაჭი,
მუშაობდა ეჭრ. — ვაზეთებში, აქვს რამდენ-
იმე წიგნიც გამოცემული). მან ვაღმომიწერა
დროებიდან ს. მესხის ნაწერები. მე ამოგარ-
ჩიე, რაც საუბუთესო და დამახასიათებელი იყო
თხზულებანი ორ ტომად იყო ვათვალისწინე-
ბული. პირველში მოთავსდა 1860-1878 წლ.
ნაწერები და მეორეში იქნებოდა დანარჩენი და
აგრეთვე ს. მესხის ბარათები და მოკონებანი
მის შესახებ. პირველი ტომი გამოვიდა 1903 წ.
გაზაფხულზე. სამწუხაროდ, წიგნი მყიდველზე
არ დაუტყდათ, იყიდებოდა მძიმედ, ცოტა, რო-
გორც სხვა წიგნი. ამიტომ მეორე ტომის გამო-
ცემა ვეღარ შევქელი. მაგრამ გამოცემლობის
ხალისი ამან არ დამიკარგა. წ. კ. საზოგადოების
მაღაზიის ვამგე იყო შ. ქუჩუაშვილი (სამაგნი
პოეტი შ. მღვიმელი), ზუღალტრად მსახურბე-
და ე. ედილაშვილი. ჩვენ სამი შევთანხმდით და

ამის შედეგი ის იყო, რომ მთავრობამ მერ-
რე დღეს გახეთი დახურა.

მე რომ თბილისში ჩამოვედნა, მკითხეს
მაგიერ გამოდიოდა „შრომა“ მკრ დაგვხუტუნდნ
ჩემს ხელობას და ლაიფზე იქ თანამშრომლობა

შევაღვივებ ამხანაგობა „ტოროლა“ „სიტყვი-
რად, არავითარი ხელშეწყობა არ დაგვიწე-
რია), რომ დაგვებეჭდა ქართული წიგნები.
ჟული ჩვენ არ გავაჩანდა, მაგრამ იმის იმედი
გვქონდა, რომ მესტამხეს და ქალაღის ვაჭარს
კარგად ეიცნობდით და ერთიე და მეორეეც
კრედიტს გავეხსნიდა. ვარჩიეთ თუ რა გამოგ-
ვეცა პირველად და შევჩერდით ია ეკალაქზე
(ი.ე. ცინცაქე, იგივე თომასთ კობა). იგი დიდი
ღირსების მწერალი არ იყო, მაგრამ მივიზი-
დავდა მისი გმირები, კეთილი სურვილის პირე-
ბის, მართლის შაძიებელნი. იგი ჩვენიან დაახ-
ლოებულეც იყო (მისი მეგობრობდა), ვთქვით:
ახალგაზრდა მწერალია, მივეყთ საშუალება, ვა
გაიკაფოს. ანგარიში არ გავვიმართლდა. ია ეკა-
ლაღის ნაწერებმა სრულებით ვერ მიიზიდა
მკითხველი საზოგადოება. კრეტყა კრუდად
შეხედა — ეტრონი სუსტი ნიჭის პატრონია,
მისი აზრები დამაჭრებელი არაა, მისი სამხატ-
ვრო ფერები შეტად მკრთალიათ. გამომცემლე-
მა ძლიე-ძლივობით დაეჭარეთ ხარჯები და
ჩვენი ამხანაგობის კარბეიც გამოეკეტეთ.

შემდეგი ჩემი გამოცემები წიგნი იყო
„გვირგვინი“ — სალიტერატურო-სამეცნიერო
კრებული. 1911 წ. ვარდაიკვალა ჩემი მეგობარი
(ი.ე. მიველაქე), ნიჭიერი ახალგაზრდა და მისმა
პატივისცემულმა რამდენიმე პირმა შევაღვი-
ნეთ ეს კრებული და ვუძღვეით მის ხსოვნას.
წიგნის ინიციატივა და გამოცემა ჩემი საქმე იყო
და ამის განხორციელება შევქელი 1913 წ. ვა-
დასახლებიდან სამშობლოში დაბრუნების შემ-
დგე.

კრებულში, სხვათა შორის, დაიბეჭდა ჩემი
„გლოვის ზარი“. მაშინ ცენზორად იყო ი. პო-
ლუშორდინოვი, კაცი თვითონ ლიტერატორი,
რომელიც შეტად ლმობიებდა ეპოტობოდა და-
სახებდ მასალას და ჩემთან მეგობრული დამო-
კიდებულბეა ქონდა. მხოლოდ რამდენიმე ად-
გილი წაშალა ჩემს ნაწარმოებში, მაგრამ ამას
თან გამაფრთხილა, ჩემს ცენზურაში გატარება
ვერ იხსნის შენს ნაწარმოებს აღმინისტრაციას
თავდასხმისაგან და მე შეშინია, რომ კრებულის
კონფისკაცია არ მოახდინონ შენი „გლოვის ზა-
რის“ მიზეზითო. მოეთათობირე ამხანაგებთან
ამის გამო და მიარჩიეს, რომ უთუოდ ამოველო
კიდვე ზოგიერთი საშიში ადგილი და წიგნი გა-
დავეტრონა-დაღებეს. ერთმა ამხანაგმა თვი-
თინ იუისრა ასეთი ადგილების დანიშნა. ამ
შესწორებით გამოვიდა კრებული და აღმინის-

ტრეკიამ ვერაფერი იმოგზა ხელისაქმედებულა. „გვირგვინის“ იმ ეგზემპლარებში, რომლებიც წ. კ. საზოგადოების ბიბლიოთეკას გადაეცემა, ჩემი საკუთარი ხელით ჩაეწერე ამოღებული ადგილები. ასევე შევსებული მქონდა ჩემი კალიტი, რომელიც შემდეგ დამეკარგა. მაგრამ, ალბათ საღმე არსებობს.

უკანასკნელი ჩემი გამოცემული წიგნია ნ. ბარათაშვილის თხზულებათა პირველი აქადემიური გამოცემა 1922 წლისა, ეს კოლექტიური ნაშრომი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დროთა ვითარების წყალობით მართო მე დამაწევა კოსტრზე.

პოეტ ნიკ. ბარათაშვილის ნათესავეში იყო ერთი — ნიკოლოზ რევაზის-ძე ერისთავი, რომელსაც დაახლოებული ურთიერთობა ქონდა ჩვენს ლიტერატურულ წრეებთან. ის იყო პოეტის დის ეკატერინეს შვილი, იმ ეკატერინესი, რომლის ქორწილს ისე აღტაცებით აგვიწერს ნ. ბარათაშვილი თავის ბიძა ზაქარია ორბელიანთან მიწერილ ბარათში. ის მგაობრობდა ილია ქუცუავაძეს, რომელიც მის სახლში მიდიოდა კარტის სათამაშოდ ან მას თავის სახლში მოიწვევდა. ხანდახან ერთადვე სადილობდნენ.

ნიკ. ერისთავი ჩვენი რედაქციის („ცნობის ფურცლები“ და სხვ.) მუშობარაც იყო, ხშირად გვესტუმრებოდა, უმაღლეს მმართველ წრეების ახალ ამბებსაც და ქორებს მოგვიტანდა, რადგან იქ ნაცნობობა ყავდა. ერთ კვირა დღეს რედაქციაში ვიყავი, ნ. ერისთავი გვეწვდოდა. იმ დღეს სამხის სემინარიის ჭველი შენობიდან ვიღაცამ ახაყებს უფშარია ესროლა, ამის საპასუხოდ ჯარმა ზარბაზნები დაუშინა ხალხსა და სახლს. ჩვენი რედაქციის ბინა იქვე ახლო იყო (დიდი ვაჭის, ახლა პრესის ქ.) და ზარბაზნის ხმა ისე გვესმოდა, რომ თითქმის ჩვენ გვესროდნენ. შესაძლებელი იყო იყო, რომ ჩვენსკენაც ვამოწყობიყავნენ. ნ. ერისთავს სრულებით არ შეშინებია, მხოლოდ სწუხდა იმას, რომ ჩემი შიშით ჩემი ცოლი გადაიჩივებოდა. მე რომ 1905 წ. დამიბირეს და ვადასახლებას მიპირებდნენ, ნ. ერისთავი გამოშვარსილა (თავის ნებით) და მიირჩინეს (საპოლიციო ნაწილის უფროსის მფლობელ კავასიაში) უფხრა: ფირცხალვასა გადასახლებას უფელა ისე შეხედავს, როგორც თქვენს პირად შურასძიებასო (მე წერილები მქონდა მის წინააღმდეგ), იმგამად მართლაც მომიხსნეს ვადასახლება.

ერთი ამბავი გამიგონია ამ ნ. ერისთავზე. მისი ცოლი იყო თამარშვილის ქალი, დიდი მზთვეის მომტანი. ქალის ზოგიერთ ნათესაებს არ უნდოდათ, რომ ეს ფელიანი ქალი ქართველ თავადს მითხოვებოდა და ხმა ვაეარცელეს: ერისთავი აეადამყოფა, ცოლი არ უნდა შეირთოსო. ეს რომ ვერ. ორბელიანმა გაიგო, ძალიან ვაყვარდა, ბარათაშვილსა და ორბელიანთა მთელი გვარეულობის შეურაცხყოფად მიიღო, ვინ ვაბედა ჩემი დის შვილისშვილზე ასეთი

ქორის მოგონებათ. მაშინვე ცნობად ექიმების კომისია შეადგენია. ვასინწეს ახალგაზრდა „სოსიძე და სრულებით განმრთულად იყენეს“.

აი ეს ნ. ერისთავი კარგა ხანი ფიქროვდა თავის დიდებულ ბიძის თხზულებათა ავტორებად გამოცემას, რედაქციაშიც გველაპარაკებოდა ამის თაობაზე. მაგრამ დღეს-ხვედრებით დრო გავდა და ისე ვარდაიყვალა უფცრად, რომ თავისი განზრახვა შეუსრულებელი დარჩა. ამ განზრახვის განხორციელება თავს იღვა განსვენებულმა შეუღლემ ეკატერინე მიხეილის ასულმა, ფრიად სიმბათიურმა ადამიანმა, რომელსაც დიდად უყვარდა თავისი ქმარი. მოიწვია ქართველი მწერლები (კ. აბაშიძე, ი. გედევანიშვილი, ი. გრიშაშვილი, ნ. დ. ერისთავი (ბარათაშვილი განსვენებულის), გ. ვეზირიშვილი (დეიდაშვილი), გ. ლასხიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ე. თუმანიშვილი, გ. მურული და ს. ფირცხალვა) და თხოვა მათ, მოეწყოთ ნ. ბარათაშვილის თხზულებათა მდიდრული და სრული გამოცემა. დასახელებული პირებისგან შემდგარ კოლეგიას რამდენიმე სტდომი ქონდათ და შეიმუშავეს გეგმა.

საუბედუროდ, ომმა და მოწყობა ამბებმა ნორმალური ცხოვრება არც-დაარეს. ჩვენი კოლეგიის წევრი ზოგი თბილისიდან წავიდა, ზოგი ისეთ სამუშაოში ჩაება, რომ მოცლა არ ქონდა, ზოგი გარდაიყვალა კიდევ. კოლეგია ფაქტურად დაიშალა. დავრჩით მე და პატიეკეპული ეკატერინე, რომელთაც უნდა გვეზრუნა გომოციისთვის. მე თავი ვერ ვაჯანებე საქმეს, ამის ნებას არ მაძლევდა არც პოეტის პატივისცემა და სიყვარული, არც ნაყისრი მოვალეობის შეგნება.

მოვიკიდე ზელი და რამდენიმე წლის განმავლობაში მხსნე ვმუშობდი, ევდელიობდი ყოველი შესაძლებლობის გამოყენებას, განსაკუთრებით მინდოდა, რომ ზუსტად აღმეჩინა ავტორგრაფების განსხვავებანი, თუნდაც წვრილმანი, იმ მიზნით, რომ თუ ენიციობა, ზოგი ავტორგრაფი დაიკარგება, ჩვენ ხელთ გვექნება მისი თავისებურება. გამოცემაში მძკველად ვამოქმედვინა ზოგიერთი სურათი, დამახასიათებელი ნ. ბარათაშვილის ეპოქის, და აგრეთვე მ. თუმანიშვილის დახატული ესკიზი, ეთომცე ნ. ბარათაშვილის სახისა, აღნიშნული ქვეშ მიწერილი HB დღესაც ვარკვეულად არაფერი ვიცი ამ საგანზე, ვინაჲ ეს HB, მაგრამ ერთ ვარტომებს უნდა მიექცეს ყურადღება დ. ყიფიანის შეუღლე ვადიქრით ამბობს, რომ პოეტი ძალიან ვაფელა თავის დას სოფიოს (სუშბათამი-ვილისას). მართლაც, თუ შევადარებთ HB-ის სახეს სოფიო სუშბათაშვილის პორტრეტს, მსავსებებს უნქველად შევნიშნავთ (იხ. ბარათაშვილი, 1922 წ. გამოცემა გვ. X) მის. თუმანიშვილი მხატვარი არ იყო, მისი დახატული უბრალო, ზოგადი მოხაზულობა და ალბათ დაახლოებით წაავაგს პოეტის სახეს. მას ესაქვი-

როგა შეესება და შესწორება, სხვა ცნობების მიხედვით.

ასე იყო თუ ისე, „ნ. ბარათაშვილი 1922 წლ.“ ნიკ. ერასთავის განზრახული და მისი მუდღელის მუყაათობით შესრულებული, თვალსაჩინო მოკლენა იყო ქართული წიგნის ისტორიაში, პირველი აკადემიური ხასიათის გამოცემა ქართულ ენაზე.

• • •

უფრო ფართო და ნაყოფიერი იყო ჩემი სარდაქტორო და საგამომცემლო მუშაობა უკველკირიერულ ჟურნალების „გლეხი“ — „მიწის“ და „მზე“ — „ფსალუნის“ დაარსებასა და გაყოფაში.

საქართველოში გლეხთა სარეოლეციო მოძრაობა ადრე დაიწყო, გურიაში პირველად და იქიდან მთელ საქართველოს მოედდა, განსაკუთრებით 1905-1906 წლებში. გლეხების გამოსვლებს დიდი მნიშვნელობა ქონდა, რადგან მრეწველობის სუსტი განვითარების გამო ჩვენს ქალაქებში არ იყო დაგროვებული მრავალრიცხოვანი რაზმები მუშებისა, და ქალაქის ბრძოლას აუცილებლად ესაპირებოდა ზურგის გამაგრება სოფლის მხრივ. ამ სოფლის ხელმძღვანელობა და მისი ამოძრავების საუკეთესოდ გამოყენება ადვილი საქმე არ იყო. გლეხობა მისი ცხოვრების პირობების მიზეზით დაქსაქსული იყო და ნაკლები ცოდნა და მომზადება ქონდა, ეიდრე ფაბრიკა-ქარხნის მუშებს ქალაქებში.

თი ამ საქმეში რომ ცოტა დახმარება გამოეწია გლეხებისთვის და მიმეწოდებია მზამიერ, ხალხურ ენაზე საჭირო ცნობები, დავასრეს საკლებო ვაზეთი, სახელად „გლეხი“, რომლი პირველი ნომერი გამოვიდა 1906 წ. 22 ივნისს. რომ დღევანდელმა მეთხველმა წარმოადგენა ეჭონიოს მამინდელ სულიერ განწყობილებაზე, ენასა და სტაბზე, მოვიტარე მეთხერიდან ზოგიერთს ადვალს: „ვის არის გლეხი? ვის ემსახურება ჩვენი ვაზეთი? რა იწერია დროშაზე, რომელიც ხელში ავიღეთ და რომელმაც უნდა გვიწინამძღვროს ცხოვრებაში?.. გლეხი ის ადამიანია, რომელიც დღე და ღამ მუშაობს. სხსხლს ავსებს ღვრის, რომელმაც არ იცის არც ძილი, არც მოსვენება, რომლისთვის არ არსებობს არც ზაფხული და არც ზამთარი, რომელიც მუშაობს დღიდან დღემდე, წლიდან წლამდე და ევრასოდეს გაუთავებია მუშაობა.. გლეხი ის ადამიანია, ვინც უხვად მშობრდა, მიწველი, წიღში მოხარდა, მსოფრობს პირტუკეებთან ერთად მიწურში ან ნახევრად დანგრეულ

ქობში, ვინც იტანება ათასნაირ ავადმყოფობით და შეეწირვებით და ვისაც ამ ტანჯვაში ხდება სულ... გლეხის და მისი ძმის, ქალაქის მუშის შექმნილია ქვეყნის მთელი სიმდიდრე და მთაბუნდიერი ცხოვრება ელირსებათ მხოლოდ მაშინ, როდესაც მოისპობა მიწის, ქარხანა-ფაბრიკის, რკინისგზების და სხვ. კერძო საკუთრება, აღარ იქნებიან შექთაბორა ამდამულეები, შექარხნები, ვაჭრები და მთელი სიმდიდრე გადაეა მუშა ხალხის ხელში. გლეხი, მუშა გლეხი, გაიმართე წელში, ჰქარ ხელი შენს მიაგვრებებს და მწამებლებს და შესძახე: „ქაბა ჩავტარა და ტანჯვა, მე ადამიანი ვარ და არ მინდა სხვისი ლეკმა ვაყო, სხვას ვემონო... ჩემი მარტვენის ნაყოფი მე უნდა მეუთვროდეს და ვი იმის, ვინც წინ ვალამიდება და მოინდობებს, კელავ დამაჩავტაროს და დამიმონოს!“ გაუმარტოს ბრძოლას მიწისა და თავისუფლებისათვის!

მეთატრს მოსდევდა ირ. ევლშვილის ლექსი „გლეხი“. შემდეგ იყო წერილები: „მშრომელი ხალხი, შეერთდი“, „ახლოდებია ვანიტოხვის დღე“, „სახელმწიფო სათათბირო“. სათათბიროს მშრომელთა წგუფის პროგრამა, საკრეოლეციო მოძრაობის ამბები საქართველოში, ვაზეთებიდან ამოკრეფილი და საკუთარ კორესპონდენტების მოწოდებელი, მოძრაობა რუსეთში — გლეხებში, მუშებში და ქარში. ნომერი თავდებოდა შ. არავისპირელის ზღაპრით... „და ამა, მოვიდა მოგვი აღმოსავლეთით“.

ამ სახის იყო შემდეგი ნომრებიც: „გლეხი“ გამოვიდა სულ შეიდი ნომერი. აღმინისტრაციამ დახურა და ათი დღის შემდეგ მე გამოვეცი საშავიერო ჟურნალი „მიწა“, რომლის მეთატრის ამ სიტყვებით იწყებოდა: „ვისი ვაზეთია „მიწა“? გლეხის, მიწისმუშა გლეხის...“

„მიწა“ იყო იგივე „გლეხი“, იმავე თანამშრომლებით და მიმართულებით. ერთისა და მეორის ხელმძღვანელი და მეთავარი შემდეგელი იყავი მე. ეწერა მეთატრებს, სხვა წერილებს, ეთარგმნიდა, ვაჭროვებდი ამბებს, ვიყავი ხშირად ექსპედიტორი, ვასრულებდი სხვადასხვა წერილმან საშუაოს. მერამ მუყავა ვაჭრედან მომსვლელი მეგობარი თანამშრომლები — გლეხები, მუშები, ინტელიგენტები, რომლებიც მაწუხდნენ სხვადასხვა სახის მასალებს.

ვაზეთი აწოდებდა თავის მეთხველებს საკვეოლეციო მოძრაობის ამბებს, არკვედა ეკონომიურს, პოლიტიურს და სოციალურ საკითხებს, უჩვენებდა, თუ როგორ ბრძოდნენ გლეხები სხვა ქვეყნებში (საფრანგეთში, იტალიაში) ვანთავისუფლებისთვის. მოუწოდებდა მათ, რომ იმჭიმდონ ორგანიზებულად, შეავშირდნენ ერთად იყენენ ქალაქის მუშებთან, მთავონ თავისუფლება და მიწა, თვითონ ვაჭდებენ თავის საქმებს და მიუშალონ სოციალისტისთვის რომელიც მიაჩნებდა მათ ბედნიერებას.

„გლეხისა“ და „მიწისა“ ვთავსებდი ლექსებს

1 „გლეხის“ ოფიციალური რედაქტორი იყო მიხ. ადამიანი (ჩავაბიშვილი), ცნობილი ქართველი მწერალი, იხ. ვ. ბაქრაძე, „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია 1819-1945“, 1947 წ., გვ. 21. მეშუარების დაწერის დროს მიხ. ჩავაბიშვილი რეაბილიტირებული არ იყო. — ლ. ნ.

და ბელეტრისტულ ნაწარმოებებსაც. დაგვიტღე ლექსები არ. ევდომეილის, ვეა ფშაველას, ლ. რაჩიკაშვილის, შ. მღვიმელის, ა. შანშიაშვილის, დ. შვეტიცელის, გ. რუხაძის, დ. თომაშვილის, შინატხელის, ახოსპირელის, ზომლთელის, ველისციხელის და სხვ. და ბელეტრისტული ნაწარმოები შ. არაგვისპირელის, ნ. ნაყამიძის, ს. გენცაძის (ს. მგალობლიშვილის), გ. მაღალიაშვილის, ია ვვალაძის.

ჩემი საგლეხო გამოცემა ძალიან პოპულარული იყო. პირველ ხანებში მყიდველები ერთმანეთს ტყუებდნენ ხელში „გლეხსა“ და „მიწას“ და მოუთმენლად ელოდებოდნენ მორიგი ნომრის გამოსვლას. ერთხანს გაზეთის სასპეკულაციო საგანი გახდა. ვაზეთს ექვსი კაპიტი ეყურა ფასად, მაგრამ ზოგმა ათი კაპ. დაიწყო გაყიდვა. ბევრისგან მომდინარე დიდი კმაყოფილობის და მადლობის წერილები. ერთგან წარმოდგენა გაუმართათ და მისი შემოსავალი ჩვენს რედაქციას შემოსწარეს. ვაზეთის ტირაჟი 4500-მდე აღიოდა. ეს იმ დროისთვის ძალიან დიდი იყო, რადგან მაშინ ყველაზე უფრო გავრცელებული ყოველდღიური ქართული გაზეთი „ცნობის ფურცელი“ შ ათასამდეს გადიოდა მხოლოდ. „მიწა“ გამოსცა „საგლეხო კალენდარი“ (უფასოდ დაუარიგდა ხელისმომწერლებს), ბროშურა „როგორ უნდა მოეწყოს მიწის საქმე“ და სხ.

„გლეხი — მიწა“ რევოლუციის წარმოშობილი და სარევოლუციო ორგანო იყო. რეაქცია გაძლიერდა. ამან გამოიწვია საერთო სტლიერი დაცემა, მოდუნება, ხალხს დაეკარგა ხალხის მოქმედების, ბრძოლის, ეს დაეტყო ჩვენს საგლეხო გამოცემასაც. იტლო მისმა გასაჯალმა და გაიწვინდა აგენტებისაგან ხეივანი ფულის დროზე მიღება ამ პირობებში იძულებული ვიყავი შემეჩერებოდა „მიწა“. უკანასკნელი ნომერი გამოვეცი 1907 წლის 26 მაისს და მის ასეთი განცხადება დაურთეთ: „აგენტურის მოწყობლობას გამო „მიწა“ დროებით შეჩერებული იქნება. მიღებულია ზომები, რომ ვაზეთი მალე განახლდეს“.

ეს განახლება არ მოხდა. დაერწმუნდი, რომ საქმეს ვერ უშველიდა აგენტურის მოწყობილება და შემცირებული ტირაჟითაც იოლად წასვლა. რეაქციამ ძლიერ მოუპირა ხელი ბრესს და პარტიები არალეგალურ გამოცემებს დაუბრუნდნენ, ისევე სარდაფებში ჩაქრენ. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ადმინისტრაცია არავითარ შემთხვევაში არ მოითმენდა „მიწას“ და მეც თავი ვავაებე მის აღდგენის ცდას.

ასეთი მდგომარეობითა და ვითარებით იყო გამოწვეული ის, რომ მე განვიხრახე წმინდა ლიტერატურული ორგანოს დაარსება. ლიტერატურა ყოველთვის ჩემი საყვარელი საგანი იყო და, ვფიქრებ, შეიძლება აქ უფრო მეტი თავისუფლება გვექნას და შეწარება, ხელშეწყობა ზომიერებული აღორძინების ერთი იარაღთაგანია.

ეს ჩემი სალიტერატურო ეურნალი იყო „მზე“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1908 წ. 6 ოქტომბრის გარეგნულად კარგს შთაბეჭდილებას ახდენდა, დაბეჭდილი იყო სუფთად და კარგ კადალზე. სათური მისი („ფსალტისა“ შემდეგ) დახატული იყო იაკ. ნიკოლაძის. სათურს ქვეშ ეწერა: „ვაზმული მწერლობა — მხატვრობა, მუსიკა — თეატრი“. ეცახლებდი, რომ ეურნალი უპარტიოა, რადგან ხელთვენი ერთნაირად მჭირფასია ყველა სათვის.

მეთაურში ვამბობდი, რომ ჩვენი ეურნალი ახალი მოვლენაა საქართველოში, მაგრამ საგანი, რომელსაც ის ესმახურება, ხელთვენი — უძველეს დროიდან მოდის, და ხაზს ვუსვამდი იმას, რომ ხელთვენებს საყვარელი ვისაყვითო რებთ საქროი დღეს ჩვენთვის, ვინაითვან ის აამაღლებს ჩვენს დაცემულ სულს და მოგვიბოვებს ახალ ძალას რეაქციასთან საბრძოლველად. ხელთვენი თვით თავისუფლება და ყოველი მისი ნაწარმოები, თავისუფალი სულის წარმოაშობილი, ყოველთვის ებრძვის მონობას და ამსხვრევს მის ბორკილებს.

ნომერში დაბეჭდილი იყო ი. ჰავეჯაძის დაბეჭდული მოთხრობა „კაკო“ და ლექსი, ა. წერეთლის, „ჩემი თავგადასავალი“ (მეორე ნაწილი), „სამარტუხინო ბოძე“ შ. არაგვისპირელისა, ლექსები ვეა ფშაველასი და ა. შანშიაშვილის, ოსვ. უილდის ლექსი პროზით, ალ. სარაქინიშვილის გადმოთარგმნილი, ცხოვრება და ხელთვენი კ. აბაშიძისა და სხ.

მეორე და მესამე ნომერი ამგვარი შინაარსის გამოვიდა, გარდა ილიას დაბეჭდულ ლექსის და „კაკოს“ და აკაკის „ჩემი თავგადასავალისა“, დაბეჭდა ს. მგალობლიშვილის „ორი მეზობლის ისტორია“, ზაქ. ფალიაშვილის „ქართული ფილარმონიული საზოგადოება“, ივ. გომართლის „ქართული სცენა“, კრატის „საუბარი ხელთვენის შესახებ“, კ. მყვანის „სონეტები“ და სხ.

„მზის“ არსებობა მესამე ნომრით დასრულდა. ადმინისტრაციამ იგი დახურა და რედ. გამოცემული (ფიქციური) ნ. ასათიანი დროებით დააბრუნა. არ იყო ამის მიზეზი, დანამდელებით ვერაფერს ვიცი.

„მზის“ დაკეტვის არ შეუჩერებია და იმ დღეს, როცა ეს ეურნალი უნდა გამოსულიყო, გამოუშვი „ფსალტისა“, ვრ. ტატიშვილის (1838-1911, მხატვარი-ქსილოგრაფი), ფიქტიურ-რედაქტორ გამოცემის გამოცემა.

ეხლანდელმა მეიხველმა უნდა იცოდეს, რომ იმ დროს ვაზრახ წარცხადგენდით რედ. გამოცემულად ისეთ პირს, რომელიც პოლიტიკაში მონაწილეობას არ იღებდა და არაფერში იყო შენიშნული, რადგან ადმინისტრაცია ასეთ პირებს უფრო ადვილად აძლევდა ქურბი-გაზეთის გამოცემის ნებას. ასეთი ნებართვები ყოველი ორგანოს რედაქციას წინასწარ დამზა-

დებულები ქონდა, რომ თუ აღმინისტრაციის რა-
მელიმე გამოცემას დახურავდა, შერაცხა გე-
მოციმას შესადგომოდა დაუყოვნებლივ.

„ფასკუნჯის“ რედ. გამოცემულად დასახელებული გრ. ტატიშვილი იყო სურათების და ხა-
ტოვანი ასოების ამოჭრული ხესა და ლათინურ
და ქართულ წიგნებში რომ პირველად ნახატე-
ბი იბეჭდებოდა, სულ მისი ნახელები იყო.

„ფასკუნჯის“ თანამშრომლები, რასაკვირვე-
ლია, იგივენი იყვნენ, ვინც „მზეში“ მუშაობდ-
ნენ და ჟურნალის სახეც არ შეცვლილა. „მზე“
და „ფასკუნჯის“ პირველი ოთხი ნომერი ყო-
ველდღიურ გაზეთის ფორმატით იყო გამოსტ-
ლი, მერე კი ჟურნალს უფრო ფართო რეველის
სახე მიეცა.

მწერლები — ბელეტრისტები, პოეტები, კრი-
ტიკოსები დიდი სიყვარულით და ყურადღებით
შეხედნენ ჩემს დაწყებულ საქმეს, ცდილობდნენ
ყოველნაირად ხელის შეწყობას და ხალხით
მარჯვდნენ მასალას, რასაკვირველია, უსასყიდ-
ლოდ. „ფასკუნჯის“ გამოქვამი 1908 წ. რვა ნო-
მერი და 1909 წელს 17 ნომერი.

ბევრი საყურადღებო ნაწარმოები გამოქვეყ-
ნდა ამ მოკლე მანძილზე. გაგრძელდა ილიას
დაუბეჭდავი ნაწერების და აკაკის „ჩემი თავ-
გადასავალის“ ბეჭდვა. დაისტამბა ლექსები რო-
გორც ძველი პოეტების, ისე ახლებისა: აკაკის,
კეკე ფშავლასი, თ. რაზიყაშვილის, ზანაძისა,
განდევლის, ირ. ევდომვილის, დ. მღვიმელის,
კ. მავაშვილის, ბ. ახოსპირელის, ა. შანშიაშვი-
ლის, დ. შვეტელის, ი. გრიშაშვილის და ი. მკედ-
ლიშვილის დაიბეჭდა თითო-თითო ლექსი. ვალ.
ტაბიძემ „ფასკუნჯის“ მიღო პოეტობის ერთ-
ბეჭეა. მისთვის ქუჩაზე ვიდრე, ერთ საღამოს
მეწეფია ერთი ახალგაზრდა მოწაფე, პირხმელი,
მორიდებული. მორცხვად მიიხრა: ლექსი მაქვს
დაწერილი და ვგებ „ფასკუნჯის“ დაბეჭდოთ.
გამოვარდნი, წაეციოთ, და მაშინვე შევატყუე,
რომ ჩემს წინ ნამდვილი პოეტური ნიჭის პატ-
რონი იყო. ის ლექსი ახლობელ ნომერში დაი-
ბეჭდა. ამას მერევე სჭვა ლექსები მოჰყვა. ეს
მოწაფე ვალ. ტაბიძე იყო.

ბელეტრისტიკიდან „ფასკუნჯის“ დაბეჭდილი
იყო ნაწარმოებები ს. შვალაბლიშვილისა. შ.
არაკვიშვილისა, ან. ერისთავი-ბოშტარისის, ე.
მიაკვიშვილის, დ. ლუკაშვილის. უკანასკნელის
მოთხრობა სოფლის სიბერეებიდან ახლაც საინ-
ტერესო წასაკითხავი იქნებოდა და სასურვე-
ლია მისი ცალკე წიგნად გამოცემა.

„ფასკუნჯის“ დაიბეჭდა ხალხური ლექსები-
დან ჰ. მირიანაშვილის დამუშავებული „ახესა-
ლამ და თეთრი“ პიესის სახით, რომელიც მერე
ზ. ფალიაშვილის ოპერის ლიბრეტოდ იქნა მი-
ღებული.

ჟურნალის ერთგული თანამშრომელი იყო
ალ. სარაჯიშვილი (სწერდა ხანდახან რიშ ბა-
ბის ფსევდონიმით), რომელიც საუცხოოდ თარ-

გზნიდა დასავლეთის და აღმოსავლეთის პოე-
ტურ ნიმუშებს.

კრიტიკებისაგან შემდეგი პირები იღებდნენ
მონაწილეობას: კ. აბაშიძე, ა. ზანაზაშვილი,
ი. გომართელი, ვ. ყიფშიძე, გ. ჭავჭავაძე,
პ. გვითაშვილი. არტისტებიდან: კ. ყიფიანი (და-
წერა „ჩემი არტისტების თავგადასავალი“),
კ. მესხი, ვალ. შალიაშვილი. „ფასკუნჯის“ და-
ბეჭდა ზ. ფალიაშვილის და იაც. ნიკოლაძის წე-
რილები.

ჟურნალი ბოლომდის იძლეოდა ყოველი შეგ-
ნებული, ლიტერატურის მოყვარე აღამიანის-
ვის უეჭველად საყურადღებო, სასურველ მასა-
ლას. ვისაც აინტერესებდა მწერლობა, ხელოვნე-
ბა, თეატრი, ის აუცილებლად წაიციოთავდა
„ფასკუნჯის“. თქმა არ უნდა, მკობანის მკობანი არ
დაიღევა. „ფასკუნჯის“ უკეთესი ორგანოს გა-
მოცემა შეიძლებოდა უკეთესი აღამიანების
მიერ, უკეთეს პირობებში. მაგრამ ჩემი „ფას-
კუნჯის“, ყოველ შემთხვევაში, ხელწასყარავი არ
იყო და იმ დროთა ვითარებაში თავის სახით
და შინაარსით დამაკმაყოფილებელი იყო.

ერთი გასამართლებელი საბუთი კი ქონდა
საზოგადოებას: რეაქციამ ლიტერატურის და ხე-
ლოვნების ინტერესიც დასცა.

ეს არის უბრალო აღნიშვნა ობიექტური
სინამდვილისა და არა ჩემი თავმოყვარეობის
დაცვა.

1909 წ. აპრილის 26 შემდეგ იძულებული ვი-
ყავი შემეჩერებია ჟურნალის გამოცემა, რადგან
მისი ტირაჟი დაეცა 500-ზე ქვევით და შემოსა-
ვლი ვერ ფარავდა აუცილებელ ხარჯს სტამბის,
ქაღალდის და ფოსტისას. უკანასკნელ ნომერში
გამოვეთხოვე მკითხველებს, აუხსენებ სიქმის
უზთარება და ვთხოვარი: „ნახვამდის“.

„ნახვამდის“ იმეტომ, რომ მე ვერ ვერიგდე-
ბოდი საყვარელი ორგანოს სამუდამოდ დახურ-
ვას. დაფაქტრდი, აქვთ მივმართე, იმით მიე-
მართე, მოველაპარაკე სტამბას, შევეუთანებდი
ლითოგრაფს ს. მესხიშვილს, რომელიც დამპირ-
და ხელის შეწყობას და გადავწყვიტე „ფასკუნ-
ჯის“ გაგრძელება თვითური ჟურნალის სახით.

პირველი ნომერი გამოვიდა ხანგრძლივი შხა-
ლების შემდეგ მხოლოდ 1910 წ. დამდგეს. გა-
რეველდა ეს თვითური გამოცემა უკეთესად.
იყო შესრულებული, ვიდრე კვირეული. იგი
დაიბეჭდა ორ ფურად და შემეყლი იყო კარგი
სურათებით. თავში მოთავსებული იყო ფურადი
სურათი მე-17 ს. „ფეხების ტუაონიდან“ (თი-
ნათონის მეფედ გამოცხადება), მერე ორი ფო-
ტოტიტის სურათი: მგლოვიარე ქალი ილიას
ძეგლის (ი. ნიკოლაძის ქანდაკება) და ე. კა-
ბაშვილის პორტრეტი. ამას გარდა დაიბეჭდა
რამდენიმე ცინკოგრაფიული სურათი. ტექსტი
მდიდარი იყო: ლექსები აკაკის, კ. მავაშვილის,
განდევლის და ა. შანშიაშვილის; პროზა —
ჯურნიანი, ალ. სარაჯიშვილის ნათარგმნი, დრა-
მა ტრ. რამიშვილისა, ნაწევრები, გ. გაბაშვი-

ლსა; კ. ამაშიმის კრიტიკული წერილი და სხვა. „ფსევდონა“ მაღლიანმა სახემ მე გამაზნევა და იმედო მომცა რომ მოკეთების დახმარებით შევალბდი შემდეგი ნომრების გამოცემას.

V. ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო

ილია ჭავჭავაძე პირველად ენახე 1902 წ. მაისში, წერა-კითხვის საზოგადოების საერთო კრებაზე, რომელსაც ის თავმჯდომარეობდა. კრებამ ვერ დამთავრა ყველა საკითხი და ერთი კვირის შემდეგ მოხდა ვაგონილება, ილიასავე თავმჯდომარეობით. ამ მეორე კრებაზე მე ამირჩიეს საზოგადოების გამგეობის წევრად. იენისში გამგეობამ მდივნობა მომანდო და მალე საქმისმწარმოებლის მოვალეობაც დამაიცხა, ნაცვლად მ. შირიანაშვილისა, რომელიც ნ. ცხვედამემ გადაიყვანა ქართული გიმნაზიის დიდი შენობის (ახლანდელ უნივერსიტეტის) სადამშენებლო კანცელარიის გამგედ.

ეს ის დრო იყო, როცა ახალთაობა მიაწედა წერა-კითხვის საზოგადოებას და მოიხდომნა მისი საქმეების მართვაში მონაწილეობის მიღება. იგი კარგად ხედავდა, თუ რა დიდი კულტურული და ეროვნული მნიშვნელობა ქონდა ამ დაწესებულებას და განიხილავდა მისი მოღვაწეობის გატოვებებს. მრავალი ახალი წევრი ჩაეწერა საზოგადოებაში. დიდძალი ხალხი მოდიოდა საერთო კრებებზე და ცხარე კამათი იმართებოდა ძველსა და ახალ მოღვაწეებს შორის.

ი. ჭავჭავაძე წ. კ. საზოგადოებისა და გამგეობის თავმჯდომარე იყო, მე მდივანი და საქმის მწარმოებელი, და, ცხადია, ხშირი მკვიდრა და ახლო დამოკიდებულება უნდა შეეზოდა მასთან. მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტიურად ილია საზოგადოების საქმეებში უკვე მონაწილეობას არ იღებდა. წინა წლებში ხანდახან კიდევ ესწრებოდა გამგეობის სხდომებს, ხოლო 1902 წ. მეორე ნახევრიდან ერთბაშად არ მოსულა გამგეობის სხდომებზე. საზოგადოებრივებს კი ი. ჭავჭავაძე ყოველთვის ესწრებოდა და თავმჯდომარეობდა. ამ თავმჯდომარეობაში ჩანდა მთელი მისი ბუნება. მტკიცე ხასიათის იყო, დისციპლინის და წესის მოყვარე, თავის უფლებების სასტიკი დამცველი. კომპრომისი არ იყო. მაგრამ იქნა და ადგილიდან ადვილად დაძვრას ნურავინ იფიქრებდა. რკინა იყო, ფოლადი, მწვანად მოსაღვნი. დიწყი, იოლად არ ამოლილდებოდა. მოუფიქრებელს არაფერს იტყოდა. მის ნათქვამს წონა ქონდა, მიძე იყო, დატვირთული. თავის ძალას გრძნობდა, მოპირდაპირეს ყურადღებით უსმენდა. იცოდა მახვილი რეპლიკები. ერთხელ ვილაყამ უსავედურა: სიტყვას ბაზზე ნუ ავღებთო ილიამ მოუტრია: თუ ვერ მიწვდებით, კიბე მოიშველიეთო!

მაგრამ, ვაკე ბჭობდა და ღმერთი რეკონდაო, ნათქვამია, მე ჩემსას ებჭობდი და ენდა-დარჩებოდა კიდევ თავისას განიფუტებდა. მე-და-მატესალეს და „ფსევდონა“ მხრებზე დაეკრავა რავინ დაუტრია.

ერთ ხანს საზოგადოებრივებზე ბევრი ლაპარაკი იყო, იმის შესახებ, რომ საზოგადოების სკოლების სარევიზიოდ საეციალურად მომზადებულ პედაგოგი უნდა იგზავნებოდეს, რომ კარგად შეაფასოს სკოლის ვითარებაო. ერთმა მასწავლებელმა გაცხარებით წამოიძახა: არა-პედაგოგის შესვლა სკოლაში სკოლის შეურაცხყოფა არისო. ილიამ უთხრა: ამის თქმა შეუძლებელია. მასწავლებელმა იწყინა: ამა კითხვით კრებამსო. ამაზე ილიამ წყნარად მიუტოვა ასეთი საკითხები კენჭისყრით არ გადაიჭრებო.

საერთოდ ილიას რომ უყურებდით, გრძნობდით, რომ თორაანთ ქვრივში ილიამ თავისი ზნე და ხასიათი, თავისი რწმენა და მორალი გადაიტანა.

უცანასკნელად საზოგადოების საერთო კრებას დაესწრო 1906 წ. დეკემბერში. მან მწუხარედ გახსნა კრება და დამსწრეთ თხოვა ფეხზე ადგომით პარტიე ცვათ შიო ჩიტაძის (ცაზაეზმა ვაუფიორეს ვული 5 ილისს) და ნიკო ხიზანაშვილის (1851-1906, ბუბლიცისტი, შველვაარი, იურისტი), ვილაყამ მოყლა პირადი ინტერესით რამდენიმე დღის წინ) სპოენისათვის.

ილიას რალაც საქმე ქონდა თუ შეუძლოდ იყო და ამის შემდეგ კრება დასტოვა, რომელიც ვაგარქელდა ნ. ცხვედაძის თავმჯდომარეობით.

სამკლოვიარო ამბის ვახსენებთი გამოუთხოვა ილია ჭავჭავაძე წერა-კითხვის საზოგადოებას და ვინ იფიქრებდა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ წიწამურის ტრაგედია დატრიალდებოდა და მთელ საქართველოს საგლოვი გაუხლებოდა თვითონ მისი საშინელი დაღუბვა.

ვინ მოყლა ილია? ვინ იყო ამის ჩამგონებელი და ვინ ამსრულებელი? მე ამაზე არ მიინდა ვილაყაყო. ვავისხენებ მხოლოდ იმ უცაყოფილების ატმოსფეროს, რომელიც არსებობდა იმ დროს ახალ თაობაში ილიას პიროვნების გარშემო.

ილიას წინააღმდეგ საყვედურები და სამედურავები სხვადასხვა მხრიდან გაისმოდა. მე არაფერს ვამბობ მაჩაბლისტებზე, მათ შემოტევაზე თბილისის სათავადაზნაურო ბანკის საქმეების გამო. ეს უკვე დასრულებული ამბავი იყო, მხოლოდ მისი ინაერული ხანდახან გამოჩნდებოდა აქა-იქ.

ფართო და მოურიდებელი პოლემიკა დაუწყეს ილიას „შესამე დასელებმა“ ამ საუკუნის დასაწყისში უწუნებდნენ დემოკრატიზმს, საზოგადო საქმეების საყვარულს;

ახალთაობის მეორე ჩანგი — „ცნობის ფურცლიდან“ — მომდრავი იყო: უწუნებდნენ ილიას და საზოგადოდ ძველ მოღვაწეებს, რომ მარტო პოლიტიკურს, ეროვნულ საკითხებს აქცევდნენ ყურადღებას და ავიწყდებოდათ, რომ ხალხის კეთილდღეობისათვის აუცილებელია როგორც ეროვნული განთავისუფლება, ისე სოციალური სამართლიანობის დასაყრდენი ეროვნულ განათავისუფლებულ ერში.

ორივე ახალგაზრდობას არ მოსწონდა ძველი მოღვაწეების ფრთხილი, გაუმღავი ბრძოლის მეთოდი. ახალთაობის შთაბრძნობით იზარდი იყო რევოლუციონერი მოქმედება, ხალხური, მასობრივი გამოსვლები, მერა აქტივობა.

მთელი რუსეთი, მთელი საქართველო ამოძრავებულ იყო, ყოველმხრივ ისმოდა პრეტისტრი ძველი რევიმის წინააღმდეგ და ახალი ცხოვრების მოთხოვნა. ქალაქი და სოფელი ამბობდნენ: ვაიტიკა...

ყველას გულს უღვავდა ის გაბრძობა, რომ ილიას საყვირის ხმა, რომელიც ისე მძლავრად გაისმოდა 60-70-იან წლებში, სრულებით მიწყდება დღეს.

1904 წ. გაზთმა „ცნობის ფურცლიდან“ ქართულ მწერლებს და მოღვაწეებს სახალწლო მილოცვებად უძღვნა ციტატები შექსპირის ნაწერებიდან და ილიას შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: „მეფე ლიბიდან“: „შევგრჩა სული კიდევ თუ არა? ერთი ხმა გამე, კარგო კაცი!“

იმ დროს, ამ საუკუნის პირველ ათეულ წლებში, ახლად გამოსული მწერლები და პოლიტიკური მოღვაწეები გატაცებულნი ვიყავით რევოლუციონერი იდეებით, დღეს თუ ხელ მოკლავდით ცხოვრების სრულ გადატრიალებას და ლიბრ გვაკვირებდა ჩვენი მამების საქციელი, რომ გვირდში არ გვიდგნენ.

ამაზე ვწერდი ერთ ჩემს ფელეტონში და საყვედურით მივმართავდი მამებს: ასეთ ისტორიულ დროში ხმას არ იღებენ, გულზე ხელდაკრეფილი სხედან ჩვენი ძველი მოღვაწეები. სად არის მათი გაბედულობა, თავგანწირულება, ძველის სიყვარული? ახლაც ამაყობენ თავიბი მამულიშვილებით, ახალგაზრდებს ერის მტრებად გვთლიან. მერე თვითონ რას აკეთებენ, რატომ არ ისმის მათი ერთი ხმა მინც? ჩემი წილად თავდებოდა მწარე შეკითხვით: „მამებო, მოკვდით?“

ეს ჩემი მიმართვა თურმე ძალიან საწყენად დაურჩა ნ. ნიკოლაძეს და ამის შემდეგ მას პირდაპირ არ შემოუხედნია ჩემთვის, თუმცა წინათ ყოველთვის ხალხით შემხედებოდა ხოლმე.

მაგრამ ეს ჩემი ვანცდა თითქმის საყოველთაო იყო მაშინდელ ახალგაზრდებში. ყველას ვეაწუხებდა მამების უმობრობა იმ დროს, როცა ირველად ვაცხარებულა ბრძოლება აწ-

ყვობდა და საქართველოს ბედის საკითხები უნდა გადაწყვეტილიყო.

როგორც უკვე მოვისხენიე შევამარჯვალა შეტეს ილიასავე მოვითხოვდით, იმ ხალხსავე რომელმაც აკაცისთან ერთად აღგზარდა ქართულ მამულიშვილებად, თავისუფლებისა და საზოგადოებრივი სამართლის მოტრფილდ. ჩვენს ყურს მუდამ ესმოდა მისი მინებები თავისუფლების და შრომის სუფილის, მისმა მოხვევამ მოგვცა ეროვნული დროში, რომ ჩვენ ჩვენს თავს უნდა ვეკუთვნოდეთ, მან გვაძნო ჩვენი ვინაობა და შეგვაფარა ქართული ხალხი ცოცხლად დაბატული ტიპებით.

სად არის დღეს ეს ილია? — ვკითხვობოდი ერთმანეთს.

იღარ იყო ეს ილია და უცნაოფილება დაიბადა იმთ ვულში, რომელთაც ის ყოველთვის უყვარდათ, ღრმად პატვის სცემდნენ...

ჩვენს წრეში ასეთი ხმებიც იყო გავრცელებული: როცა სოციალ-ფედერალისტებმა თავის პროგრამაში საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა შეიტანეს, ილიამ რომ ეს გაავო, არ მოეწონა: ავტონომია გულში უნდა გვექნოდა და მისი საქვეყნოდ გამოცხადება ზიანს მოგვიტანს, მტრებს მოგვიპატვებსო. რამდენად ეს მართალი იყო, ამის შემწიწმეგელი არავინ მინახავს, მაგრამ მაინც საველისხმეგროა ასეთი ხმების არსებობა...

ილია რომ „მესამედსეკლებს“ ეკამათებოდა, ხანდახან სოციალ-ფედერალისტებსაც ვადაკარავდა და არ. ჯორჯიძეს არ უყვარდა. უცხოეთით დავარსეთ ქართული ერთნალო „საქართველო“, რომელიც ფართლად შემოდიოდა ჩვენში და ფრანგული La Georgie უცხოთა შორის ქართული კითხვის პროპაგანდისათვის. სამი კაცი ვაგზავნა ამ საქმისათვის პარიზში: არ. ჯორჯიძე, გ. დეკანოზიშვილი და ამითამწყობი მ. კიკნაძე. ყველაფერს ამას დიდი ხარჯი ჰირდებოდა და ილიას მიემართეთ დავებმარებოდა ქველმოქმედ მდიდარ დ. სარაქიშვილთან შემწყობის გამოსათხოვრად, ილიამ უარი გვითხრა, რომ ვაგო ა. ჯორჯიძეა ფერხალის ხელმძღვანელი.

პირიადე ილიასთან მე არასოდეს მქონია საუბარი და არც ის ვიცი, თუ რა აზრისა იყო ჩემი ნაწერების შესახებ. ერთხელ ვადმომეცს მხოლოდ, რომ ილიას მოსწონებოდა ის ჩემი წერილი, სადაც ლაპარაკი მქონდა „სამშობლოსთან“ პიესების წარმოშობის მნიშვნელობაზე ჩვენი ხალხის ეროვნული გამოფიზილუნისა და აღზრდისათვის.

ამგვარი ურთიერთობისა და სულიერი ვანწყობილების ნაყოფი იყო ის საშუებაო შემოტყვევა, რომლის გასხენება ყოველთვის მწიეიტყვილებს მაკარბობინებს ხოლმე.

1901 წ. სპარსეთიდან ჩამოვიდა ორი ფერეიდანული ქართველი-ონიკაშვილი და ზეციშვილი, ბაქოში მოსულიყვენენ გვიო, ქართვე-

ლები მოენახათ და იმათ თბილისში წერა-კითხვის საზოგადოებაში გამოეგზავნათ. მე კანცელარიაში ვიყავი. კანცელარიის წინ წიგნის მალხიზია იყო. ვხედავ: მალხიზია შემოდის ორი სპარსულად გამოწყობილი კაცი და მოსამსახურეთ ქართულად მიესალმნენ. გულმა მაშინვე მიიხრა, რომ ესენი სპარსეთში მცხოვრებ ქართველებთანგანები იყვნენ. სიხარულით მივეგებე. დასტუნენ, გამოეკითხე მოგზაურობის ამბავი. მიამბეს მოკლედი ფერეიდანის ქართველების ცხოვრების შესახებ. მერე წაივყვანე და დაეხივებინა სასტუმროში, მუხრან-პატრიონის სახლში (ახლა კავშირგაბმულობის სახლი რომ არის) იქ ცხოვრობდა პედაგოგი დ: ეურნალისტი ლ. ბოცვაძე (1867-1919, ცნობილი პედაგოგი და საზოგადოებრივი მოღვაწე. «განათლების» რედაქტორი). იმ დღეს ერთად ვისადილე. საღამოს მათი ამბავი ვუამბე საზოგადოებრივ თემქლომარის ამხანაგ და შეეთანხმდით, რომ წ. კ. საზოგადოება იყისრებდა ამ სპარსელ ქართველების ზრუნვა-პატრონობას. ეს ონიავშილი და ხუციშვილი იმ ზაფხულს საქართველოში დამყავდა, ვმართავდი საღამოებს, რომელზედაც მოკლედი ლეიტენანტი შემდეგ შა-აბაზის შემოსევების და ქართველების სპარსეთში გადასახლების შესახებ ონიავშილი და ხუციშვილი უბრალოდ უბამობდნენ საზოგადოებას ფერეიდანის ქართველების ამბებს. ყველან დიდძალი ხალხი გვესრებოდა, ყველან სუყარული გვეგებოდნენ დაყარებულ მშების წარმომადგენლებს და უხვი ქართული სუფრათაყ ვვიმასპინძლებოდნენ.

ილია და აჟაი, ამ სახელტანს ერემქობის დამორება არ უდგება გონების უნაწილობა-სენებ, მერვე მოსდევს თან, რომელი უფრო უყვარდა ქართველ ხალხს? მე ამის ბასუნი არა მაქვს. ილია და აჟაი ძნელი ვასარჩევია. ორივე ერთნაირად საყვარელია და არ არის დღეს ქართველი მოღვაწე — უდიდესი და უმცირესი, რომლის გული არ ატოვებულეყოს მათი ქნარის ხმით, რომლის სისხლ-ხორციეში არ იყოს გამჭდარი მათი მოწოდება მაღალი ადამიანობისა და მამულშვილობის.

მადლიერება ქართველმა ერმა ერთი ძველი უნდა აეფასს მათ, ორივეს ერთად, თბილისის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილზე.

VII. ზ ბ მ ი კ რ თ ე ბ ი

ნ ი კ ო ც ხ ე ე დ ა ძ ე — მე-60 წლების საზოგადო მოღვაწე, წ. კ. საზოგადოების ერთი მთავარ დამაარსებელთაგანი, ნ. ცხვედამე ამ საზოგადოების გამგეობაში დიდი ხანია იღებდა მონაწილეობას და ჩემსობას და ადრევე თავმჯდომარის ამხანაგი იყო.

ნ. ცხვედამე ი. ჭავჭავაძის ახლო მეგობარი იყო და შინაურ კაცად ითვლებოდა კონიაკის მწარმოებლის, მდიდარ და სარაქიშვილის ოჯახში და ეს სარაქიშვილი მისი რჩევით ნიშნავდა სტაჟენდებს და ეწეოდა ქველმოქმედებას.

ნ. ცხვედამე ძალიან მუყაითი მუშაგი იყო, მუდამ რასმე აყვავებდა ცუდად ყოფნა არ შეეძლო. მის დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა ნების სიმტკიცე, დავინება. რასაც ხელს მოყიდებდა, ადვილად არ მოეშვებოდა. ნამდვილი ქართველი ტიპი იყო — გამძლე, ძარღვიანი, ამ თავის დულაღვი ენერჯით, სიმტკიცით და შრომისმოყვარეობით ვაჭონდა საქმე და ამას უნდა ვუმადლოდეთ, რომ მან მომავალ ქართულ უნივერსიტეტს წინასწარ დუმზადა მშვენიერი შენობა. ამ სახლის შენება რომ დიწყო, ეს ყველას ფანტაზიად, ოცნებად მიიჩნდა და არავის წეროდა შენობის დამთავრება.

წ. კ. საზოგადოების სხდომებს თითქმის არასოდეს აკლდებოდა. უბრალო ადამიანი იყო და გამგეობის ახალგაზრდა წევრებს ისე ვეპყრობოდა, როგორც მამა შვილებს — ცოტა მეგობრის, ცოტა უფროსის კალოთი.

გამგეობის სხდომების ექრნალში დადგენილებების ჩაწერა თავის ხელთ უყვარდა, თუმცა სწორი ხელი არ ჭონდა და მისი გამოთქმა ზუსტი და ადვილად გასაგები არ იყო ყოველთვის. ეს ჩვეულებაჲ ჭონდა: როგორც კი ვასარჩევი საკითხი დასმობდა, აიღებდა კალამს ხელში, იტყოდა თავის აზრს და შეუდგებოდა ამის ჩა-

წერას, როგორც საერთო აზრს და დადგენილებას. ბ. ნიკოლოზ (ნიკოლოზ ზებედევი) შესახებდნენ გამგეობის წევრები: მოითინათ, ჯერ არაფერი დავეიდგენია ვმსჯელოთ, ნება მოგვეცით, ჩვენი აზრი მოგახსნოთ. ისიც დინჯად დასდებდა კალამს და მოგვემართავდა: ამა ბრძანეთო.

საერთოდ სიმპათიური ადამიანი იყო, ერთგული პატრიოტი და ყველა პატოეს ვეცმდით.

ი. ჭავჭავაძე რომ ვარდაიცვალა, დადგა საკითხი, თუ ვინ უნდა ავეერჩნა წ. კ. საზოგადოების თავმჯდომარედ. იმ დროს რეაქცია თანდათან ძლიერდებოდა და გვეშინოდა, წ. კ. საზოგადოებას რამე არ შემთხვევოდა. ამიტომ საერთო აზრი იყო, რომ საზოგადოების თავმჯდომარედ ავეერჩნა ვინმე მთავრობის წინაშე დამსახურებული კაცი, რომლის სიტყვას ანგარიშს ვაუწევდნენ მმართველი წრეები.

გამგერდით ვენერად ვიორგი ყაზბეგზე, რომელსაც ერთ დროს დიდი თანამდებობა ეკავა ჯერ ვარშავაში და შემდეგ ელადიფოსტოში. გასული საუკუნის 70-იან წლებში მან ოსმალეთის მესხეთში იმოგზაურა და სინტერესო წიგნი გამოაქვეყნა „Три месяца в Турецкой Грузии“, რომელიც ძვირფას ცნობებს შეიცავს და დღესაც მოწონებაშია. ვ. ყაზბეგს ყველა, ისე იცნობდა, როგორც ვარჯ ქართველს, და განათლებულს, ჭკვიან კაცს.

ნ. ცხვედამეს ეს უწყინა, ფიქრობდა, რომ მისი კანდიდატურა იქნებოდა წამოყენებული.

1908 წ. ვახაფხულზე მოხდა წ. კ. საზოგადოების საერთო კრება და თითქმის ერთხმად საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვ. ყაზბეგი. ნ. ცხვედამე კრებას არ დაესწოდა და გამგეობის წევრობაზედაც კენჭი არ იყარა.

საზოგადოებამ ის საპატიო წევრად აირჩია, გამგეობამ პერგამენტზე დაწერილი საშადლო-

ბელნი ადრესი მიართვა, მთელი შემადგენლობით სახლში ეახლა და სიტყვიერადაც დიდი მადლობა მიუძღვნა.

ნ. ცხველიძემ თავიზიანად მივიღო სტუმრები. მაგრამ მის სახეს ნაღველი და სევდა ემზნეოდა.

ი. რ. ევლოვილი ი. რ. ევლოვილი თავისებური პოეტია მის საკუთარი, განსხვავებული ადგილი ეკუთვნის ქართულ ლიტერატურაში. მისი ლირა სევდიანია, ნაღველს და მწუხარებას, გაჭირვებულთა მწარე ბედს ვეხმარება.

ი. რ. ევლოვილი რევოლუციონერი ეპოქის შვილია, ბრძოლისთვის მოგვიწოდებს, ბრძოლას უგალობს და ამ ბრძოლის ველზე დაღუბულ გმირებს.

ი. რ. ევლოვილი პოეტია, მისი სიხარული და კენესა გულიდანაა გამოსული და გულს წვდება. ესაა მისი პოეზიის დამახასიათებელი თვისება. ამიტომ უყვარს ხალხს ი. რ. ევლოვილი. ის მისის, ქუჩის პოეტია.

მის შემოქმედებაში შეიძლება ორი პერიოდი იყო: ჭრტამოლოდ სოციალური მოტივები აინტერესებდა უფრო, მერე კი სამშობლოს სიყვარული და მშობელი ერის თავისუფლება მიიპყრობს დიდ ყურადღებას. ხოლო მისი განცდები ყოველთვის წრფელია, მისი ლექსი გულთადაა, სასუერ გრძნობით და გრძნობის ამჟღავნებით.

ი. რ. ევლოვილი მე ადრე ვავიციანი, თბილისში ჩამოსვლისთანავე. „კვალის“ რედაქციაში ნაცონობები მყავდა. იქ ის ხშირი სტუმარი იყო, თანამშრომელი, დროგამოშვებით წ. კ. საზოგადოებაში შემოიარდა. შ. მღვიმელს, ი. ეკვლამეს, ვაჟას და მის ძმებს შეგობობდა, უყვარდა მათთან ბურის ქაბა. ესწრებოდა წ. კ. საზოგადოების საერთო კრებებს, კამათში ცხარე მონაწილეობას იღებდა.

მე რომ „გლებს“ და „მიწის“ გამოცემა დავიწყებ, ი. რ. ევლოვილი ძალიან დამიხალგოდა. მოსწონდა ჩემი გამოცემა. თითქმის ყოველ ნომრისთვის მაძლევდა ლექსს, ბარე ორჯერ სატრეულო ფელეტონიც მომწავდა. ასევე ერთგული თანამშრომელი იყო „მისი“ — „ფსიქოლოგის“, რომელსაც საკუთარ ქუჩრიანად სთვლიდა.

მეტად აწუხებდა რეაქციის წამოღძვომა, თითქმის გრძნობდა, რომ ის პირადად მის მიუდებოდა. მართლაც, 1909 წ. დაატესადეს. რამდენიმე თვეს იწდა ციხეში და, როცა 1910 მეც მტრებში მიმიყვანეს, იქ ენახეს, სხვადასხვა განყოფილებაში უყავით და ხანდახან შემთხვევით თუ მოკერავდი თვალს.

ახალი შემოდგომა იყო. ერთ დღეს მტრების ერთ ერმამად ახმურდა. გამოვიდნენ ზედამხედველები და გარისკაცები, შეიქმნა რაღაც უაღაფუცი. საღდათებმა თოფები მოიმარჯვეს.

გამოვიდა ციხის უფროსი, ისეთი სახე ჭოწმდა, თითქმის დიდი დღესასწაულისთვის ემზადებოდა. ტუსაღები, რომელთა სარკმლებზე ურობი გადოდა, დიდი ვაკეირვებით ვუყურებდით ამ ამბავს.

ახმურდა საყენების ურდულები და გამოვიყენეს ციმბირში გასაგზავნი ხალხი — კატორღელები და ვადისახლებლები. ზოგს პორცილი ეღვა ზელ-ფეხზე. ყველა შეაქრეს და გარშემო გარისკაცები დაუდგნენ.

მათში დავინახე ი. რ. ევლოვილი, სახე გამბადარი, დაღუული. მხარზე ჩანთა ეკიდა და ზელში მსუბუქი ბარგი ევირა.

„იროლიანი“ მივაძახე ჩემი ოთახიდან. შემომხედა, თავი დამიქნია, მწუხარება ამოვიყითხე მის სახეზე. თავლები მიანიც უბრწყინავდა.

წიუვიანეს განწირულები, გამბადარი იმბერიალიზმის და თვითმწყობელობის მსხვერპლი. ვინ იცის, ვის ეღიბება მათში სამშობლოში დაბრუნება.

ი. რ. ევლოვილი ორი თუ სამი წლის შემდეგ დაბრუნდა უკრუნებელი სენით დაავადებული, ქლექიანი.

1913 წ. წადეგრში იყო ავადმყოფი. ზაფხულში რამდენიმე კვირა მეც იქ გაეატარე და ენახელობდი იროლიანს მის ბინაზე. იწვილოვინში მიღუული, მაგრამ ცოცხალი თვალუბით.

ვიგონებდით ვარდასულს, იმედით შევეყურებდით ჩვენი ქვეყნის მომავალს.

თავის საკუთარ ბედს გრძნობდა. სწყუროდა კი სიცოცხლე და ყოველს, სულ მცირე სიტუბის ვადამტებულად აფასებდა. მეც მიმადლოდა ფრიალ, მოხოვდა, მღ-მალე მინახულიყო.

შემდეგ მსოფლიო ომი დაიწყო და ამის ამბებმა გაგვიტაცა ყველა.

პ. უმიციაშვილი. ა. ლ. სარაჯიშვილი. ბევრი შემხვედრია ჩემ სამწერლო გზაზე — თითქმის ყველა ქართული მწერალს; ხელოვანს, საზოგადო მოღვაწეს ვიცნობდი თბილისში, ბევრთან მქონია სხვადასხვა სახის დამოკიდებულება, და ახლა წარსულისაკენ რომ მივიხედავ, ყველასი მათი სახის გამოამტკველები ნათლად დამეხატება თვალწინ. მათში არიან ადამიანები, რომელთა პიროვნება ღრმადია ჩამტყდელი ჩემს გულში და რომელთა ვასტენება დღესაც მაზარებს. ცხოვრებას მაგებიანებს და ხალხის და რწმენას მიმატებს.

ზოგი მათგანი უწყე ვახსენებ, ახლა მინდა კიდევ ორი ღვირფასი ქართველი მოვიკონო.

ხშირად არა, მაგრამ მაინც გვაწვევოდა პეტრე უმიციაშვილი, ძველი თაობის მოღვაწე, მწიგნობარი. მისი ეს იშვიათი მოსვლა მეტად ვასახარი იყო.

შემოდის დინჯად, წელი ნაბიჭით. მის სახეზე ტბილი ღმილია, რომელიც თაქიდანვე ყოთილგაწყოზილებას გვაძნობს. მისაღმებან

შემდეგ მეთხავს, როგორც ვარ, მეც მის ჭან-მრთელობას ვეითხავ. შევლამარაკლებით, ყველაფერს მიმოვაგლებთ თვალს.

ჩემს უკანასკნელ ფულეტონს გაიხსენებს, კმაყოფილია, მოსწონს, თუ რამ ნაკლი ნახა, მეტყველს, არ მომეჩიოდება. მისი დამარხვა შეგობრული კილისია, სიტყვაში გესლს არ გაუტრევს. ქართული ხალხის გამოფხიზლებას ხედავს, უხარია, იგონებს განკლილ მწარე დროს. განსაკუთრებით შეხარის ახალგაზღობის მუშაობას ყველა პარტიას და დაჯგუფებას ერთნაირად არ უყურებს, მაგრამ მტრობა არაფრის არა აქვს. შთელი ახალგაზღობის მამა, ყველა უყვარს. დარიგებდა იცოდა, მოირიდებით, ფრთხილად, საწყევნად არ დაურჩევს. მისი ფულერფული სიტყვა გულს წვიდობა, შეიძლება მთლად არ დაიჭრო, მაგრამ გვერდზე ვერ ჩაუვლი, ანგარიშს გაუწევს.

სულ საქართველოს საქმეების გარშემო ტრიალებს. ზოლო განსაკუთრებული სიყვარული აქვს წიგნის, წიგნით სუნთქავს.

წასვლისას ისე გამოამთხზოვება, თითქოს უკანასკნელად მხედავდეს.

რა ტკიბილია, მინუგეშებელი ასეთი ადამიანის მოგონება!

აღ. სარაჩიშვილმა 25-30 წელიწადი სახელ-

მწიფო სამსახურში გაატარა, მაგრამ ლიტერატორად იყო დაბადებული, იშვიათი მოყვარე მწერლობის, მწიგნობრობის. იცოდას ნამდვილად თუ ნაწერში, მწველსა და ახალში განსაკუთრებული ხედავს და იქ ისეთ რასმე აღმოაჩენდა, რასაც ყველა ვერ ხედავდა.

ქართული ენა მშვენიერად იცოდა და კარგი სტილისტი იყო. ლამაზად თარგმნიდა დასავლეთის და აღმოსავლეთის პოეტურ ნაწარმოებებს. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევი და მისმა „ვეფხისტყაოსნის ყალბმა ადგილებმა“ დიდდ შეუწყო ხელი რუსთაველის შესწავლას. პატარ-პატარა ორგანიზატორს არაკეისაც სწერდა, მართლიანს, იუმორისტულს და სატირულს. დიდი თანაგრძნობით მოეგება „დასიქნის“ დაარსებას. ძალიან აინტერესებდა მისი პედი, იუცი-ლებულ საჭიროებელ მიიჩნდა ამნიირი ლიტერატურულ-მხატვრული ორგანოს არსებობა. მესმარებოდა შეგობრულად, რჩევით, სხვადასხვა მისალევის მოწოდებით.

ა. სარაჩიშვილი მარჯვენა ხელი იყო ექ. თაყაიშვილის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებასა და მოწყობილობაში. მას ახასიათებდა თავმდაბლობა. უყვარდა საქმის გაკეთება და ნაკლები ლაპარაკი, ერთდებოდა თავის გამოჩენას.

VIII. ტანუტრა დე კრუზა

მე რომ მწერლობა დაიწყო, ქართული ენის ცენზორად იყო გ. ეტრული, ის კარგაბანია ცენზორობდა. მის წინ რაფ. ერისთავი იყო ცენზორად და კიდევ ადრე ისარლიშვილი (1814-1893, ლეკა ისარლიშვილი, ნ. ბარათაშვილის განზნობის ამხანაგი, პოეტი), რომელიც ძლიერ სასტიკო იყო. გ. ეტრულიც აფიწროებდა ქართულ გამოცემებს.

თვითმპყრობელობის დროს წიგნების და გაზეთების ცენზურას განაგებდა აგრეწოდებულ საცენზურო კომიტეტი, რომლის წევრს დაურთველად ერთი სტრატონი ვერ დაიბეჭდებოდა, ამ კომიტეტს თბილისში შეადგენდნენ თავმჯდომარე, ორი უფროსი ცენზორი: ერთი ევროპული ენებისა, მეორე — რუსულისა, ორი უმცროსი ცენზორი — ქართულისა და სომხურის, სტამბების და წიგნის მალაზიების მეთვალყურე ინსპექტორი და მდივანი, სულ შვიდი კაცი.

ქართული ენის ცენზორი ქართველი იყო. ამ თანამდებობაზე, რასაკვირველია, სანდო პირს ნიშნავდნენ, რომელსაც ზევდიან დირექტორებმა ეძლეოდა და იმყოფებოდა კომიტეტის უშუალო კონტროლის ქვეშ. ცენზორს დავალებული ქონდა სასტიკად ედევნებოდა თვალყური განსაკუთ-

რებით ეროვნული მოძრაობისათვის და რომელიმე უბრალო მოვლენა პატარა ერის ცხოვრებაში მთელ ალიაქოთს იწვევდა. არარუსული წიგნი და გაზეთი თავისთავად არასასურველი საქმე იყო. თეთი არსებობა არაბრუსის ერების უკანონოდ და დანაშაულად იყო მიჩნეული. „ნიროზადებს“ ითმენდნენ მხოლოდ, ითმენდნენ იმის მოლოდინში, რომ ყველანი ისინი მალე გარუსდებოდნენ.

ასეთი მტრული განწყობილების პირობებში ქართული პრესა (ისე როგორც სხვა პრესა) დიდს შევიწროვებას განიცდიდა ცენზორისაკენ. საქართველოში ცენზურა უფრო მძაფრი იყო, ვიდრე შიდა რუსეთში. ხშირად ხდებოდა, რომ ქართულ გაზეთს უკრძალავდნენ ამოდო ცნობები რუსულ გაზეთებიდან და ვადმოეთარგმნა რუსულ ლიბერალურ გამოცემების თუნდაც მეტად ფრთხილი და ზომიერი წერილები.

ცენზურის (ან უკეთ მის პატრონს, თვითმპყრობელობას და იმპერიალიზმს) ორი რამ აფრთხობდა — რევოლუციური მოძრაობა ეკონომიურ-სოციალური ხასიათისა მუშებსა და გლეხებში და არარუსი ხალხების ეროვნული გამოღვიძება. ცენზურა არ უშვებს ცნობებს გაფიცვების შესახებ რუსეთში თუ უცხოეთში. არ

შეიძლება დაბეჭდოს ამბავი გლეხების შეტაკებისა შემამულეებთან. ცენზორი წითელი მგელნი ვადანაზეს როგორც მავნებელს, ასეთ უბრალო ცნობას; თბილისის ცხენის რკინიგზაზე მომუშავეებს ხელფასი დაუკლეს, ისინი ვაფიცენ, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ვეღარ გაუძლეს გავიკრებას და დამორჩილდნენ პატრონებს. სერბიაში მუშებმა სოც-დემოკრატიული პარტია დააარსეს და ამის გამო მანიფესტაცია გამართეს. ამის გამოჭყეყენება უკანონოდ მიიჩნია ცენზორამ. ასევე შეუძლებლად დაინახა გაშლანება იმის, რომ ქუჩაში მთვრალი ქანდაკნი ნახეს, რომ ამა და ამ საპატრიოტო დიდი უსუფთობა აღმოაჩინა პროკურორმა, რომ ციხიდან ტუსადი გაიქცა, რომ ოდესსაში სექტანტებმა ითხოვეს ნებართვა სალოცავად შეკრებისა და სხ. აკრძალული დაბეჭდვა ისეთი სურათებისა, რომლებიც გამოხატავენ იმპერატორის ჯარის დამარცხების რუსეთ-აიბონის ომში.

მაგრამ ასეთ ამბებს, როგორც საზოგადო მოკლენებს, ცენზურა შედარებით უფრო ლმობიარად უფურცებს, მათი ევინია, ხოლო ფიქრობს, ეს საყოველთაო აქირი და უბედურებაა. მის უფრო აშფოთებს არაბუს ერების ამოძრავება, საზოგადოდ ეროვნული ვიძინების გამოცხადება. ქართულ ვაზეთს არა აქვს ნება დასტამბის წერილი ს. ხუნდაძის იმის შესახებ, რომ საქორთა სწავლება დაწყებით სკოლებში დედანაზე წარმოებდეს. ცენზორისაგან წაშლილია ახალი ამბავი, რომ სიანეთის და სამეგრელოს სკოლებში სწავლება რუსულად იქნება და ქართული სრულად განდევნილი იქნება, რომ სამეგრელოში რუსულის სწავლება მუწურის მეთოდით იქნება, რომ ფინლანდიაში ამიერიდან სახელწიფო დახმარება არ მიეცემა იმ სკოლის მასწავლებელს, სადაც რუსული ენის სწავლება ცუდადაა დაყენებული და სხ. არ შეიძლება დაბეჭდვა ისეთი ცნობებისა და წერილებისა, რომლებიც ეხებთან უცხო ქვეყნების ეროვნულ მოძრაობას და ბრძოლას.

საქმეს არ შეელოდა ოდნავად ის ვარემოება, რომ ქართულ გამოცემას ქართველი ცენზორობდა. პირიქით, ხანდახან ეს მავნებელიც იყო. ქართველმა ცენზორმა საქართველოს ცხოვრების უყოელი ავი და კარგი იცოდა, რა მიდრეკილება, რა აზრები, რა ხმები ტრიალებდა ქართველებში და თუ რომელიმე მოხერხებელი მწერალი შეეცდებოდა მიხვეულ-მოხვეული გზით, მიკიბულ-მოკიბული ენით, ქარავებით, იგავებით ფართლად თავის ეროვნულ ზრახვებს შეპარებას, ქართველი ცენზორი ამას აღვილად მიუხედელობდა და წითელ მელანს ვადუხვამდა დაწერალს.

ასე იყო, მაგალითად, გ. ვერულის ცენზორობის დროს, რომლის ხელში მეტად შევიწროვებულნი ვიყავით ვერნალისტები. ჩვენი აზრების ვაპარების საშუალებას მოკლებულნი ვი-

ყავით და სულს მოვითქვამდით, როცა ხანდახან გ. ვერული შეგებულბაში წავიდოდა ან ავად გახდებოდა და მის მაგიერ ქართულ საზნის ცენზორობას უწევდა ქართულის მტოდნე უფროსი ცენზორი ქიშიშოვი. გ. ვერული რომ რასმე აკრძალავდა, მოჩნა, ვათავდა, არა ეშველებოდა რა, ქიშიშოვთან კი მოლაპარაკების გამართვა შეიძლებოდა და ხანდახან დავეთმობა და წაშლილის აღდგენის ნებას მოგვეცემდა.

მაგონდება ერთი შემთხვევა: შუა ზაფხული იდგა, ძლიერ ცხელოდა. ცენზორმა ქიშიშოვმა ჩემი ფელეტონი მეტად შელახა. ვაზეთის ნობლის გამოსვლა ფერხდებოდა, არაფერი გქონდა მომზადებული ცარიელი ადგილის შესავსებად. მიჩრჩის, წადი ქიშიშოვთან, პირადად მილაპარაკე, ვეგბ შეგვიბრალსო.

მივედი, დავრეკე და კარგა ხანს მომიხდა ცდა. ბოლოს როგორც იყო, ვაღიოთ კარი. ჩემს წინ ხანში შესულა კაცი იდგა, თეთრი საცენლებს აშარა. სიმბათიერი ვამოხერცეველა ქონდა, მაგრამ ვტყობოდა, სიცხე ძლიერ აწუხებდა, წამდაუწუმ ოფლს იწმენდა. ვინა ხარ, რა გინდაო? მკითხა. მეც ავუხსენი, თუ რისთვის მივედი. — პო, მაგრამ მე რაც წაეშალე თქვენს წერაში, ის უნდა ამოიღოთ, მთავრობის საწინააღმდეგოა. ვაგმართე კამათი. მე ვემტაცებოდა, თუ არაფერი ვგათქმევიებთ, ვაზეთის გამოცემას რა აზრი ექნება. ის თავისის ამბობდა. არ მოვეშვი. სიცხე და ოფლი უფროდაუფრო აწუხებდა. შემატყო, რომ არ ვშორდებოდი, ხელი ჩაეშალა და მიხიბრა: კარგა, კარგი, ვაუშვით, თავი დამანებეთ. ვამობრთვა საცენზურო ამონაბეჭდი ფურცელი და წაშლილი ადგილები კვლავ აღადგინა დასაბეჭდად.

გ. ვერულის შემდეგ, ვ. ვოთეა იყო ცენზორად, რომელიც ფართოდ გავაღება თავისუფლებას. მას მოყვა ან. დულაძე, ესეც არ ვაევიწროებოდა მარინცადაძის, უკანასკნელი ცენზორი იყო ივ. პოლემორდინოვი, რომელიც კანონის ემორჩილებოდა, მაგრამ ყოველნაირად ცდილობდა, რაც შეიძლება, რბილად და ლმობიერად მოგვეპრობოდა და არ დაეპინებოდა. ვაფტობილბა წინდაწინ, თუ რამ ხიჯათი მოგველოდა. მე პირადად, სხვათა შორის, ისიც შემატყობინა, შენს სახელზე ფოსტით მოსულ ბარათებს ეანდარმერია სინჯავსო.

საერთოდ, მე პირადად ცენზურას ძალთან არ ვეყვარდი. დაბეჭებით და შიშით ხედებოდა ყოველ ჩემს წერილს. რამე არ იყოს დაფარულიო. პირველ ჩემს ფელეტონურ წერილებს სათაურად დავარქვი „ფიქრები, მხოლოდ ფიქრები“. ამით ის მიხდოდა მეტყეა, რომ რასაც ვწერ, ეს მხოლოდ ფიქრებია, აზრები და არა რამე საქმე და მოქმედება და მარტო ფიქრი ანა რა სა-

შიშა. ცენზურას ესეთი სათური არ მოეწონა და კინაღამ წამოშალა.

მერე რევოლუციულად საყვირაო ფელეტონების წერა რომ დავიწყე, მათ „პატარა ამბების“ სახელი ვუწოდე. პირველ ფელეტონში განვმართე ასეთი სახელის აზრი, რომ დღევანდელი პატარა ამბები აშაღებენ მომავალ დიდს ამბებს, ამ ფელეტონიდან ცენზურამ დიდი ადგილი ამოშალა; სადაც ნათქვამი იყო: „...პატარა ამბებიც მოსკამენ თავის დღეს და ჩვესც ვეღარსებით უკეთეს ამბებს, ოქროს ღრს ჩვენს უკან კი არაა, არამედ ჩვენს წინაა დავცინით ამ ცხოვრებას, რომელიც მხოლოდ პატარა ამბებს წამოაყენებს წინ, იგი არ არის სანატრელი, და გავიხედოთ წინ, წინ!... ვერაფერით ძალა ვერ ამოფრცობს ადამიანის გულიდან სურვილს ადამიანურ ცხოვრებისას“ და სხ.

რევოლუციური მოძრაობა რომ დაიწყო ამ საუკუნის დასაწყისიდან, ცენზურის გარდა, პრესას ახალი ზედამხედველი და ბატონი გაუზნდა — აღმინისტრაცია, ენდარმერია, პოლიცია. გაზეთები ზვირად იკეტებოდა, ეს თითქმის სულ აღმინისტრაციის განკარგულებით, რომელიც უფრო შეუბრალებელი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი ცენზურა. უბრალო მიზეზი საკმარისი იყო გაზეთის დასახურავად და მისი რედაქტორის დასატუსაღებლად. ჩემი „გლეხი“ და „მზე“ თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიკეტა; „ცნობის ფურცლის“ ქალთაიც გენერალ-გუბერნატორი იყო.

აღმინისტრაცია წიგნებსაც სდევნიდა და არა ერთი და ორი გამოცემის კონფისკაცია მოაბ-

დინა. 1906 წ. ბოლო იყო, სტამბიდან ახლად დაბეჭდილი „საგლეხო კალენდარი“ მომქონდა. ყოფილ ევრონეკოვის ხიდთან პოლიციელმა (პოლიციონერმა) გამაჩერა, წიგნები რომ დამიწახა. წამოყვანა პოლიციაში, სადაც დიდხანს მიცდევინეს განუკითხავად. ჩემს ბედზე პოლიციმესტრმა (პოლიციის უფროსმა) შემოიარა და რატომღაც კარგი თვლით შემომხედა. იყოზა, რატომღაც დაკავებულიო. უთხრეს: დაბეჭდილი წიგნები მოქონდაო. ბოქაულს უბრაძინა: გასინჯეთ ახლავე და თუ სამისო არაფერია, გაუშვითო. გასინჯეს და რა ნახეს, კალენდრები იყო, გამათავისუფლეს.

უკვე ვთქვი, რომ ცენზურა მეტად შემტრეზოდა. არა მარტო ადგილებს წამოშლიდა და აკრძალავდა, ხანდახან მთლად აკავებდა ფელეტონს და რედაქცია იძულებული იყო, ჩემი ფელეტონის ადგილზე შემდეგი ფართო განცხადება მოეთავსებია: „დღეს „სიტყვის“ (ჩემი ფსევდონიმი) „პატარა ამბები“ ვერ იბეჭდება“.

ასეთი პირობების მიზეზით იყო, რომ 1906 წ. ჩემს ფელეტონებს სხვა სახელი დავარქვი — „დღევანდელი ამბები“ და ფსევდონიმიც გამოვიცვალე, „სიტყვის“ ნაცვლად „იგივე“ მოვაწერე. ვფიქრობდი, ამით ეგებ, დროებით მაინც, სასტრჯად არ დამტყუებოდა ცენზურა და პოლიცია ჩემი ძველი „ცოდებებს“ გახსენების წყალობით.

შეიძლება ეს თავის მოტყუება იყო და მტრმა თავიდანვე კარგად იცოდა, რომ „იგივე“ „სიტყვის“ განმეორება იყო.



«მწერალი და თანამედროვეობა»

გ. ბაიძის წიგნში თავმოყრილია სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ეურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები. ზოგი მათგანი ლიტერატურული პორტრეტის შექმნის ცდაა, ზოგში პოეტის შემოქმედების რომელიმე მხარეზეა ლაპარაკი, გამოთქმულია, აგრეთვე, მისაზრებები საბავშვო მწერლობის დარგში უკანასკნელ დროს შექმნილი ნაწარმოებების ღირსება-ნაკლოვნებებზე, თანამედროვე ქართული პოემის ცალკეული ნიმუშების ქართულ თავისებურებაზე, მხატვრულ ნარკვევებზე, როგორც ქართულ და სხვ.

თუმცა სარეცენზიო წიგნში არ არის მოცემული სერათი ლიტერატურული პროცესისა, როგორც ერთიანი ნაკადისა, სახელწოდება «მწერალი და თანამედროვეობა» მინც უბასუბებს მის საერთო შინაარსს, რამდენადაც მასში წინა პლანზეა წამოყვანილი თემატიკის თავისებურება, სახელდობრ, სხვადასხვა ავტორთა ნაწარმოებების იდეური შინაარსის თავისებურება, ცხოვრებასთან მხატვრული შემოქმედების შეიღობა, სასოციალისტო კავშირის საკითხი, ამისთან, უნდა აღინიშნოს, რომ, მოცულობის თვალსაზრისით, ზოგიერთი წერილის სიმცირე არ ზღუდავს საკითხის ფართოდ და ღრმად გაშუქებას, რადგან კრიტიკოსი ყველაზე არსებით და მნიშვნელოვან ასპექტებს არჩევს და მათს ანალიზს იძლევა უადრესად კონდენსირებულ ფორმით, რაც წიგნის საერთო ღირებულებას ზრდის. ვაჩუქა ამისა, ვ. ბაიძის წიგნი უკრადლებას იპყრობს როგორც პოეტთა შემოქმედებითი ინდივიდუალობის დახასიათების, ისე ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკური ანალიზის პროფესიული დონით. კრიტიკოსი ერთდროულად ახდენს ნაწარმოების როგორც იდეური შინაარსის, ისე მხატვრულობის ანალიზს.

წიგნის ღირსებას ზრდის კრიტიკოსის ცოცხ-

ლი, შეიძლებოდა გვეთქვა, მგზნებარე დამოკიდებულება როგორც ცალკეული ლიტერატურული ფაქტების, ისე საერთოდ ჩვენი ლიტერატურის განვითარების ბედისადმი, მოქალაქეობრივი შეგნება, ეროვნული კულტურის სიყვარული და, რაც მთავარია, სიყვარული თვით მხატვრული შემოქმედებისა, როგორც იტყვიან, წითელ ზოლად გასდევს მთელ წიგნს.

კრებულის პირველი წერილი მიძღვნილია გ. ლეონიძისადმი. სტატიაში აქცენტი გადატანილია ამ პოეტის არსებით ნიშანზე — ეროვნულ ხასიათზე. ამის ნათელსაყოფად კრიტიკოსი ფართოდ და ღრმად ანალიზებს გ. ლეონიძის როგორც შემოქმედებით ინდივიდუალობას, ისე მისი წერის მანერას, მისი მხატვრული აზროვნების, მისი სტილის განუმეორებელ ნიშან-თვისებებს. გ. ლეონიძე, როგორც შემოქმედი, წარმოდგენილია რელიეფურად. შეიძლება სარეცენზიო წიგნის ავტორს არ ეუთუთოდეს პირველობა გ. ლეონიძის პოეზიის მთავარი პათოსის სახელდებაში (ეროვნულობა) და იგი ასე თუ ისე იმეორებდეს საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს, მაგრამ ეს თვალსაზრისი ორგანოდ აღაა მთელი წერილის ქსოვილიში შესულია. კრიტიკოსს ამ ცნობილი თვალსაზრისის კიდევ უფრო მეტი ნათელყოფისთვის ბევრი საილუსტრაციო მასალა მოაქვს პოეტის თითქმის ყველა ქანრის ნაწარმოებებიდან.

ასევე ეფუძებურია ცდა ი. გრიშაშვილის ლიტერატურული პორტრეტის შექმნისა. ი. გრიშაშვილი, როგორც მოქალაქე და პოეტი, დახასიათებულია ყველა არსებითი ნიშნით. კრიტიკოსს დაძებნილი აქვს ამ პოეტის ზღაწერის განუმეორებელი ნიშან-თვისებები. მაგალითად, ი. გრიშაშვილის წერის მანერის შესახებ კრიტიკოსის მიერ აკეთი წერეთლის თვალსაზრისის («უბრალოება» და «მოხდენილობა») დამოწმება და, უნდა ეთქვას, რომ ე. ბაიძის ანალიზი საყვებით ადასტურებს აკეთის ამ თვალსაზრისს.

საინტერესოა ნარკვევი პალო იაშვილის პოეზიაზე. მოცემულია პ. იაშვილის წინააღმდეგობებით აღსაქვე შემოქმედებითი გზის დახა-

სიათება, ვარგად არის ნაჩვენები პოეტის თანდათანობითი გათავისუფლება სიმბოლიზმის გველენისაგან და მისი დადგომა სინამდვილის ჯანსაღი ესთეტიკური ათვისების გზაზე. ბევრი რამ პ. იაშვილის შესახებ კრიტიკოსს სწორად აქვს ნაჩვენები. ამ პოეტზე, როგორც ცნობილია, ცოტა დაწერილი. ვ. ბაიაძის წერილი ამ მხრივაც იმსახურებს მოწონებას. საესეზობით სწორად მიეთითებს კრიტიკოსი, რომ „ცისფერყაწიწველებს“ სწორად არ ესმოდათ ნოვატორობა და ფორმის მოდერნიზაცია, რომ ერთიცა და მეორეც „გლავაკიონ ტამბიძის დინერმა მხრებმა ტვირთია“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კრიტიკოსს თავის წიგნში არსად არ ცდილობს ამ ტვირთის სხვა პოეტთა შორის განაწილებას, რაც ჩვენი აზრით, სწორად არის და თვით კრიტიკოსის დაკვირვების სიზუსტეზეც მიუთითებს.

წერილები გ. ლეონიძეზე, ი. გრიშაშვილსა და პ. იაშვილზე მონოგრაფიული ხასიათის კრიტიკული გამოკვლევებია და ისინი დიდად დაეხმარება მკითხველს ამ პოეტთა შემოქმედების უფრო ღრმად შესწავლაში.

ი. აბაშიძის ლირიკიდან ვ. ბაიაძეს განალოზებული აქვს როგორც მხატვრული, ისე იდეოლოგიური ნიშანის მხრივ ყველაზე უფრო სანიმუშო ნაწარმოებები, რომლებშიც მიეცი სისავსით წარმოგვიდგება პოეტი — სოციალისტური სინამდვილის მგზნებარე მომღერალი, საბჭოთა საზოგადოებას განვითარების „მხატვრული მემკვიდრე“. კრიტიკოსს სწორად აქვს შენიშნული, რომ ი. აბაშიძის ლირიკის არსებითა, განუყოფლობით ნიშანი უშუალოდ და მგზნებარებაა, შინაგანი სიბოთ და სიწარფლე, შინაგანი ამღერება.

სულ რამდენიმე გვერდზეა განხილული ი. ნონეშვილის პოეზიის თავისებურება, მაგრამ მკითხველს ნათელი შთაბეჭდილება ექმნება ამ პოეტის შემოქმედების ღირებულებაზე. ასევე მცირე ადგილი აქვს დათმობილი წიგნში რ. მარჯანიის შემოქმედების ანალიზს, პორტრეტი კი ცოცხლად, ხელშესახებულაა მოხატული.

კარგია ი. უელძის პოემის „ჩემი მავნიტუარი ანუ“ ანალიზი, როგორც იდეური შინაარსის, ისე მხატვრული და ფარული სპეციფიკის გარკვევის თვალსაზრისით. ასევე საინტერესოა რ. ჭეიშვილის, მ. ელიაშვილის და თ. ბაბილურის ზოგიერთი ნაწარმოების შესახებ გამოთქმული შენიშვნები, რომლებშიც მკაფიოდ გამოსკვივის ლიტერატურულ მოვლენათა პროფესიული ანალიზის უნარი.

შატარა წერილია მიძღვნილი ლიტერატურული კრიტიკის საკითხისადმი. იგი ყურადღებას იმაგრებს როგორც თვით ლიტერატურული

კრიტიკის არსის ანალიზით, ისე ჩვენს სინამდვილეში მისი „გამოყენების“ ვითარების შესახებ თვალსაზრისით.

საყმაწვილო ლიტერატურის განვითარების საჭირობათა საკითხებსა და მხატვრული ნარკვევის თანხს, რომ წერილი აქვს დათმობილი. ორივე წერაში საინტერესო მსჯელობები და დაკვირვებები გვხვდება. მხატვრულ ნარკვევს (მწერალ ვ. თორდუას ნარკვევების გრძელი ანალიზის საფუძველზე), კრიტიკოსი სამართლიანად თვლის მხატვრული განზოგადების უნარის მქონე და ძალზე „ოპერატული“ ლიტერატურულ ფორმად. როგორც საბავშვო ლიტერატურაზე, ისე ნარკვევზე ცოტა გვაქვს კრიტიკული წერილები. ამიტომ მგვახანია ჩვენ სასიამოვნო მოვლენად ახრე ეურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ამ წერილების ხელახალი პუბლიკაცია სარეცენზიო წიგნში.

წიგნი მთლიანად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ამასთან არ შეიძლება არ შევნიშნოთ ზოგი რამ.

ავტორი უმრავლეს შემთხვევაში ობიექტურობას იჩენს ლიტერატურული მოვლენისა თუ ცალკეულ ავტორთა შემოქმედების ანალიზის დროს. მაგრამ, ჩვენი აზრით, ადგილ-ადგილ ამ პრინციპს მინე ლალატობს და თითქოს შედარებით იოლად იმეტებს „პირველხარისხოვან“ და „ვირტუოზი“ პოეტის ეპითეტებს.

ზუსტი არ არის ასეთი დებულება: „იმპრესიონისტისათვის საგანს, სინამდვილეს თავისთავად არავითარი ღირებულება არა აქვს; მისთვის მთავარია ზედაპირული, სწრაფმავალი შთაბეჭდილებები და ასოციაციები, რომელთაც ზოგ შემთხვევაში გარეგნულად იშუალოების ელფერი გადაჰყავს, მაგრამ ეს უშუალოდ მხოლოდ მოჩვენებითია“. სწრაფმავალი შთაბეჭდილების მხატვრული ფიქსაცია არ გამოირჩევა ნაწარმოების შემეცნებით ღირებულებას. ასე რომ არ ყოფილიყო, მთლიანად მახინჯ მოვლენად წარმოგვიდგებოდა თუნდაც ფრანგული იმპრესიონისტული ფერწერა, რომელიც, ავტორიტეტულ შემფასებელთა აზრით, ევროპული ფერწერის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს საფეხურს ქმნის.

ეს შენიშვნები, რა თქმა უნდა, წიგნის საერთო შეფასებას არ ცვლის. ვ. ბაიაძის სარეცენზიო წიგნი, თუმცა იგი მოცულობით დიდი არ არის, საკმაოდ მრავალფეროვანია და შეიძლება გვეთქვას პრობლემურიც. იგი ბოლო დროს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ საინტერესო კრიტიკულ ნაშრომად მიგვახანია.

ბ. ჯაბახვილი.



დ. გოგოჭური სტატიის შესახებ

ურს. „მნათობის“ 1970 წლის მე-2 ნომერში დ. გოგოჭურმა გამოაქვეყნა წერილი „ბახტრიონის ერთი გმირის ენაობა“. ავტორის მიზანი, ფოლკლორულ მასალის სამსაღებრო წარმოების 1659 წლის სახელის ავანტიურის სახალხო ხასიათი. იგი ცდილობს, მკითხველის წარმოდგენა დამატებითი ცნობებით გააფართოვოს ბახტრიონის ერთ-ერთ გმირზე — სოშრაულზე (ხოშარეულზე). ამ მიმართულებით კვლევა ცხადია, ფრიად სასარგებლო და მისასალმებელია, მაგრამ მას თან სდევს უეჭველო საფრთხეც: ისტორიული ცნობების უქონლობის გამო უზუსტობაა მოსალოდნელი, რასაც, ვფიქრობთ, დასახელებული წერილის ავტორიც ვერ ასცდა. დ. გოგოჭური წერილში აერთიანებს ხალხურ ლექსებში მოხსენებული გმირების: ხოშრაულის, თუმეტი საღირსშვილის, ენმე ნადირას ღვაწლს და იგი ერთი პირის ხევეურ ხოშრაულ ნადირა საღირსშვილის დამახსოვრებად მიაჩნია. ჩვენ აქ სპეციალურად შევხებებით ხოშრაულსა და თუმეტი საღირსშვილის გაავივივებს.

დ. გოგოჭურმა აქვს ქვეშ დაყენა თუმური ხალხური პოეზიისა და ვადმოცემების ცნობა, რომ ბახტრიონის პირობაში მონაწილეობას იღებდა გმირი მეტი საღირსშვილი. იგი უარყოფს აგრეთვე ზემოხსენებულ გმირს არსებული ცნობების საფუძველზე მკვლევართა (ს. მაკალათია, ქ. სიხარულიძე, ს. ურბანიელი) მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ საღირსშვილს „მეტი“ ჰქვია. მისი აზრით, მეტი საღირსშვილი თუმების ერთ-ერთი სახალხო გმირი კი არ არის, არამედ „მეტი“ ს ქვეშ იგულისხმება ხევეურ ნადირა ხოშრაულს საღირსშვილს, რომელმაც ტექსტის მიხედვით ბრძოლაში სხვა მებრძოლებზე მეტად გამოიჩინა თავი, დ. გოგოჭური საწინააღმდეგო აზრის მკვლევართა მიმართ წერს: „ვფიქრობთ, პარტიკულარული მკვლევარები ტექსტის მცდარადა გაგებად და თანამედროვე მოქმედება არაზუსტადა განმარტებამ მიიყენა აღნიშნულ დასკვნამდე. გოგოჭურის საფუძველი გამხდარა სიტყვა „მეტნი“ („მეტნი ხართ, საღირსშვილნი“). მოვიანო დროის მოქმედებს ზედხართყა სახელი მეტი საღირსშვილის საყუარს სახელად მიუჩნევიათ. საქმე ის არის, რომ ამ სიტყვას ხევეურულ კილოზე განსხვავებული სემანტიკური ნიუანსი აქვს. სიტყვა მეტი (გამეტებული, შემეტე) ხარისხის მნიშვნელი ცნებაა და მამაკაცის გმირობისა და ვეჯაცობის ხარისხს ვამხატავს. ამიტომ „მეტნი ხართ საღირსშვილნი“ ნიშნავს, იმას, რომ საღირსშვილებმა ამ ომში ჩვეულებრივ მეომარებზე მეტი გააქეთეს, თავის ამხანაგებს „გამეტდნენ“. ეს რომ ასეა,

ამაზე მიუთითებს თუნდაც ის მდგომარეობა, რომ ყველა ვარიანტი გარდა ერთისა, ამ სიტყვას მრავლობითის ფორმით ხმარობს („მეტნი ხართ, საღირსშვილნი“)... ვფიქრობთ, ნათელია, რომ საღირსშვილის საყუარს სახელად მეტნი ვერ ჩათვლება, რაც შეეხება თვით საღირსშვილს, ასეთი გვაჩის არსებობა მთი კუთხეებში (თუმე-ფშა-ხევესურეთში) დასტურდება, მაგრამ არც ერთ მათგანს ხალხური პოეზია არ იცნობს! მოტიანილი ამინაწერი, ჩვენე აზრით, ფაქტობრივ უზუსტობასა და ლოკალურ წინააღმდეგობებს შეიცავს.

მკვლევარი არასწორად მიგვიითითებს, თითქოს, „ყველა ვარიანტი, გარდა ერთისა, ამ სიტყვას („მეტი“ — ა. შ. ლ. 3.) მრავლობითის ფორმით ხმარობს („მეტნი ხართ საღირსშვილნი“). ქ. სიხარულიძეს თავის წიგნში მოტიანილი აქვს სამი ვარიანტი, სადაც ყველგან იცოხება: „მეტი ვარ საღირსშვილი“ (საღირსშვილი). აღნიშნული სამი ვარიანტიდან ერთი ი. ბუქრაულის მიერ ჩაწერილია თუმეთში, ხოლო ორი კი ქართლსა და კახეთში მასზე უწინარეს, 1887 წელს, ჩაუწერიათ სხვა პირებს. ჩვენ დამატებით შეგვიძლიან დავასახელოთ საუკუნით ერთმანეთს დაცილებული ორი წყარო, სადაც აგრეთვე „მეტი ვარ საღირსშვილი“ იცოხება, ესენია ი. ცისკაროვისაგან 1849 წელს ვახუშტის „გაქავაზში“ გამოქვეყნებული და ს. მაკალათიას მიერ 1937 წ. თუმეთში, ჩაწერილი ვარიანტი. ქ. სიხარულიძეს დასახელებულ წიგნში მოტიანილი აქვს აგრეთვე ორი ვარიანტი, რომლებიც იძლევა წყობისა: „მეტნი ხართ, საღირსშვილნი“. უკანასკნელი ორი ვარიანტი ჩაწერილია ფშა-ხევესურეთში თ. რაზვიანილისა და ა. შანიძის მიერ. ამრიგად, თუმეთში ი. ცისკაროვის, ი. ბუქრაულისა და ს. მაკალათიას მიერ ჩაწერილი ვარიანტები და აგრეთვე სხვა პირების მიერ ქართლსა და კახეთში ჩაწერილი ვარიანტები იძლევიან წყობისა: „მეტი ვარ საღირსშვილი“ (საღირსშვილი), ხოლო ფშა-ხევესურეთში ჩაწერილი ორი ვარიანტი კი იძლევა წყობისა: „მეტნი ხართ საღირსშვილნი“.

¹ დ. გოგოჭური „ბახტრიონის ერთი გმირის ენაობა“, „მნათობი“, № 2, 1970, წ. გვ. 113-114 (ხაზი ყველგან ჩვენია)

² ქ. სიხარულიძე-ქართული ხალხური სიხატორი სიტყვიერება, I, 1961 წ. გვ. 130, 313, 315.

³ იხ. ი. ცისკაროვ, «Записки о Тушетии», «Кавказ», № 13, 1849 წ.

⁴ ს. მაკალათია „თუმური ლექსები“, გვ. 12, 1937 წ.

დ. გოგოჭერი სწორად შენიშნავს, რომ „სალირიშვილის საკუთარ სახელად მტენი ვერ ჩათვლება“, მაგრამ აქ არც არაინა თელის მას ასეთად, მკვლევარები და თუში ინფორმატორები გადმოიკვებენ ამბობენ, რომ სალირიშვილი „მეტი“ ერქვა, ისეთად სამაყვით დასახელა იგი 1959 წ. ბასტიონის ბრძოლების 300 წლის თავზე სიტყვაში გამოხატულმა გლუხმა ლევან ბახიანიშვილმა, თუში თანამედროვე ინფორმატორების ცნობა დასტურდება მათი წინაპრის მიერ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ წერილობით აღბეჭდილი ინფორმაციით. ი. ცისკაროვი ჩაწერილი ვარიანტის გამო შენიშნავს: «Песни эти чтоб более познакомить читателя с духом народа списаны мною слово в слово и переведены почти буквально». „მეტი ვარ სალირიშვილი“ გადათარგმნა: «Я, Мети Сагиришвили, — не судите обо мне по виду», ხოლო ერთ-ერთ შენიშვნაში კი წერს: «Тушини Мети Сагиришвили, человек малого роста, начал шашкой делать деревянные колья» ი. ცისკაროვი აქ გვაცნობს ცნობილ ვაღმოცემის მეტი სალირიშვილის მიერ პალეობით ციხის გალავანზე გადასვლის შესახებ.¹

მეტი სალირიშვილის შესახებ ი. ცისკაროვის ცნობა მასურადღებოა არა მარტო, როგორც ერთხანეგაი საუკუნის წინ დაბადებული პირის ინფორმაცია, არამედ, როგორც თავის ზალხის ისტორიითა და ყოფით დიანტერესებულ მკვლევარის ცნობა, რომლის შემოწმებისათვის მას საშუალება ჰქონდა მეფერამეტე საუკუნე-დან მოსული ადამიანებისათვის მიემართნა. როგორც ვხედავთ, თუშებიდან მომდინარე ვარიანტები და ჩინაწერებიც სამი საუკუნის ამბის ერთ-ერთი გვირის შესახებ თითქმის ორი საუკუნის მანძილზე მკვლევარისათვის ხელმისაწვდომ ცნობას იძლევა, რომ მეტი სალირიშვილი მათ მიანიჭოთ საკუთარ გვირად და მას „მეტი“ ჰქვია. არ არის სწორი, თითქმის ყველა მველი ჩინაწერი (ლექს-სიმღერებიცა და გადმოცემებიც) ზანის კარავს აწივს გვირის სალირიშვილად იხსენიებს. (ზანი ჩვენია), თუშური ვარიანტები და ჩინაწერები, მათ შორის უძველესი, ი. ცისკაროვის ვარიანტი და ცნობაც, არაფერს ამბობს, სალირიშვილის მოერ ხანის კარავს აწივებზე. თუშური და აქედან მომდინარე სხვა ვარიანტებიც იხსენიებენ მეტი სალირიშვილს (სალირიშვილს სალირიშვილს), რომელიც გალავანზე გადავდა შეიღის მოკვლის ქაღილით,² ხევსურული ვარიანტები აღიღებენ სალირიშვილებს (მეტნი ხათ სალირიშვილთა), რომელთაც გალავან-

ზე გადასვლითა და განსაკუთრებით ხათის კარავზე იერიშით დახელეს თავი, ამიტომ დასკვნით ფაქტი (გალავანზე გადასვლა) და ორი კარავებული ფაქტი („მედიის მოკვლა ქაღილითა და ზანის კარავზე ვირთის მიტანა“) მიუწერებდა გვირებს, რომელთა შანის სახელები ამჟამად ემთხვევა ერთმანეთს, ხოლო ეპიტეტი „მეტნი“ და სახელი „მეტი“ კი ეხმანებთან ერთმანეთს. დ. გოგოჭერი ფიქრობს, რომ „მოგვიანო დროის მოქმედებს ზედსართავი სახელი „მეტი“ სალირიშვილის სახელად მიუჩნევიათ“, ე. ი. განსაკუთრებით თუშებს „მოგვიანო დროის მოქმედება“, ვერ გაიგეს ხევსურების „მეტი“ და იგი სალირიშვილის საკუთარ სახელად გამოაცხადეს, ხევსურებს კი ესმოდათ, ამ სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობა და ისევე ზედსართავად დარჩა იგი. („მეტნი ხათ, სალირიშვილითა“). რადგან „სალირიშვილის საკუთარ სახელად მეტნი ვერ ჩათვლება“, ამიტომ თუშების მიერ გუგებრობის გამო სახელად მოღებულ „მეტი“, ხევსურებისათვის სახელად გასაგებ ეპიტეტი ხომარულ ნაღირა სალირიშვილისა. თუშების „მოგვიანო დროის მოქმედები“ გუგებრობით მცდარად განმარტავენ, თითქმის სალირიშვილი მათი გვირია და მას „მეტი“ ჰქვია. აქაც ისეთივე უზუსტობაა, როგორც ზემოთ ვანვეყნეთ, თითქმის „მეტი ვარ სალირიშვილი“ მხოლოდ ერთ ვარიანტში იკითხება და ამავე დროს ეს გვირია ყველა უძველეს წყაროებში ზანის კარავის ამხეხია.

ჩინაწერების მიხედვით „მეტი“ სალირიშვილის სახელად „მოგვიანო დროის მოქმედებს“ კი არ მიუჩნევიათ, არამედ ყველაზე უძველეს მოქმედებს და მათი რუბრიკაციის ჩაწერა ი. ცისკაროვს, რომელსაც ზენთან შედარებით მეფერამეტე საუკუნიდან მოსული მოქმედების საშუალებით მომხდარ ამბავთან სულ ახლოს მისვლა შეეძლო. იგი, როგორც ქვემოთ დავინახავთ იმ დროს ცხოვრობდა, როცა 1831 წ. „კამერალური აღწერის მიხედვით თუშეთში „მეტი“-ს უშუალო შთაბამებლები „მეტისშვილის“ გვარით ისევ ცხოვრობდნენ. ცისკაროვი ამბავს იღებდა ცნობას მათი წინაპრის შესახებ. ახლა „მეტი“-ს სემანტიკური შინაარსის გაგება-გუგებრობის შესახებ, თუშებისათვის „მეტი“ და „მეტი“ დ. გოგოჭერის მიერ აღნიშნული შინაარსით ისევე გასაგები იყო და არის, როგორც ხევსურებისათვის. მეტიც, თუშებს მათი ვარიანტებიც აქვთ სწორედ „კამერალური“ შინაარსით. ი. ბუჭურაული ამ სიტყვების შინაარსს სწორედ დ. გოგოჭერის მიერ აღნიშნული სემანტიკური ნიუანსით განმარტავს „თუშური ლექსებისათვის“ დართულ ლექსიკონში: მეტი — უფროსი, უმჯობესი, მეტე — ფალავანი ბრძოლაში, მეტობა — უ-

1 ი. ცისკაროვი, იხ. ღასახელებული წყაროი.

2 ზოგ ვარიანტში სხვა რიცხვით დასახელებული.

ჯობსობა. ეს სიტყვები თუშებისათვის ახლაც სასებობა ვისაგებია თავის „ხევსურული“ ხე-მანტიქური შინაარსით ყოველდღიურადაც იყენებენ. მათ საძალა საქმის, ცხერის პარსკის და წყლის დროს, იტყვიან: მომეტე (მეტე, შემეტე) ვინა გუჯდით ან ვუაეთო, ე. ი. მოწინავე და უმჯობესი ვინა ვუაეთო, ისტორიული ამბების მოთხრობის დროს ხომ „მათი“ გამოყენება ჩვეულებრივი ამბავია. ჩვენ შემოხვევა გვმონდა თუშის ერთ-ერთი ვადმოცემის ფიქსირების დროს, ახლო ხანებში წერილობით აღგვებეჭდა სიტყვა, „მომეტე“ მიუხედავად ამისა, თუშ მოქმედებს ლექსში „მეტე“ ზედსართავის მნიშვნელობით არასოდეს არ გუჯვით. მისასადავს, სახელობით სანდოა, თუშური მასალის „მეტე“ და ვადმოცემა, რომ „მეტე“ სახელია „მეტე“, რომ სახელია ამას თვით საანგლიზო ტექსტების შინაარსის ზეპარსიტყვიერებისათვის (პოეზიისათვის) დამახასიათებელი ტრადიციის თვალსაზრისით განხილვაც, ვფიქრობთ, გვიჩვენებს. „მეტე“ ვარ საღირისშვილის მკრეხელური შინაარსით ვაგება თუშური (და არა მარტო თუშური) პოეზიისათვის უჩვეულოდ ჩანს, პოეზიის მიხედვით ასეთი მკრეხელობა არც ვმირებისათვის არის დამახასიათებელი და არც მოქმედებით მიაწერენ მათ ასეთ რამეს. მთქმელმა კი შეიძლება თქვას ვმირებზე „გელმეტდითო“, მაგრამ თვით ვმირები მომეტებს ასე არ მიმართავენ. ეს ვარჯობება ვამორიცხავს მოცემულ კონტექსტში „მეტე“-ს ზედსართავულ შინაარსს.

გუჯგებობით „მეტე“, „მეტე“-ს სახელად მიხნევისათვის თუშ-ფშავ-ხევსურეთში საფუჯვლს დღესაც ვერ ვხედავთ და ჩანჩერილი ტექსტები ხომ XIX საუკუნეს ეკუთვნის. მიუხედავად ამისა საკითხის უფრო ნათელყოფისათვის ცვლუქაიების ვაღრმაგება მივაჩინა საკიროდ. შესწავლილი უნდა იქნას თუშეთში არსებობდა თუ არა სახელი „მეტე“. როგორც დ. ვოგოტურის ბოიციიდან ჩანს, სახელი „მეტე“ ხევსურეთში არ არის. სულ სხვა სურათს იძლევა თუშეთის მასალები. 1831 წ. კაშტრალურ აღწერაში თუშეთის სოფ. ინდრთაში ვხვდებმა შემდეგი ვჯაჯები: აბაშო მეტისშვილი, ვრიგოლო მეტისშვილი, ვალელ მეტისშვილი, ლუარსაბ მეტისშვილი, ეგნატე მეტისშვილი, დიმიტრი მეტისშვილი და სხვა, რომელთა შთამომავლებად ზემო ალუანის მკვიდრნი აბაშოშვილები, ე. ი. დღევანდელი აბაშოიეები ვვცვლინებთან¹. აღნიშნული ვჯაჯები, ცხადია;

თუშეთში სახელი „მეტე“-ს არა მარტო არც, ბოძაზე, არამედ მის ფართოდ ვავრცელებამეტყველებს. თუშების ყოფაში რამდენიმე პულარობით სარგებლობდა მამაკაცთა რქვეყის სახელი „მეტე“, ამაზე მივეთითებთ ის ვაჯემოვაც, რომ მათ სახადხლო საძოვრებზე შემოჩრჩენილია ტობანში, „მეტელ ქალმა“, რაც „მეტე“-ს ქალკს ნიშნავს. საციულიური ლიტერატურითაც ცნობილია, რომ თუშური (წოვა-თუშური ანუ ბაებური) ენის ტრადიციით რქვეყის სახელი „მეტე“ მეტის კინობითი ფორმაა. მავ: აბრამი-აბალ, ნიკო-ნიკალ, თედო-თედოლო, ვიგო-ვიგოლო და სხვა.

იგივე უნდა ითქვას „საღირა“-ს შესახებ. როგორც ცნობილია, მამაკაცის რქვეყის აღნიშნული სახელი ფართოდ არის ვავრცელებული ცენტრალური კავკასიის მთიელებს შორის, მავ: რამ აქაც თუშები, კერძოდ წოვა თუშები თავეისებურებას ამტკიცებენ. ვჯაჯების წარმოშობის ტრადიცია ხევსურებში არ დავმორჩილა „შვილზე“ დაბოლოვების წესს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ შემთხვევებს, რახედაც თვით ავტორიაც მიუთითებს, მაშინ, როდესაც წოვა თუშებს ვჯაჯების წარმოშობის ტრადიციისათვის ბუნებრივი მოვლენა არა მარტო „შვილზე“ დაბოლოვებული ვჯაჯების არსებობდა, არამედ საღირისშვილის ფართოდ ვავრცელებაც. ასეთი დასკენის საშუალებას იძლევა იგივე სააქციო მასალა. ზემოთ დასახელებულ კამერალურ აღწერაში სხვა ვჯაჯებთან ერთად დასახელებულია. ვიო საღირისშვილი, არჩილ საღირისშვილი, ვითრჯი საღირისშვილი, თედო საღირისშვილი, პეტრე საღირისშვილი² და სხვა. მეტი საღირისშვილის თუშეთში ნამდვილად არსებობის შესახებ კოდვე შეიძლება დავასახლოთ ერთი უტყუარი საბუთი, რომელიც ეკუთვნის მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, აწ ვანსვენებულ დოქ. გ. აბაშის. მის მიერ 1931 წელს შედგენილ წინაბართა გენეოლოგიაში შემდეგი სურათი დავინდება: არინდა, საღირი, მეტი, აბაშო, დაქო, საღირი, ვრიგოლო, ლუო, კოსტალუდა ილო³ წარმოდენილი გენეოლოგიის მიხედვით ცხადი ხდება, რომ რქვეყის სახელი მეტი საღირისშვილი თუშების ყოფისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მთხრობელების ვადმოცემით მეტი იმ დროს სულ 25-27 წლისა ყოფილა⁴. მეტი საღირისშვილი ძველი ჩანაწერებსა, ვადმოცემებისა და ახალი საველე მასალის მიხედვით თუ-

1 — ძველი საქართველო, ტ. II, V ვანე, გვ. 134, 1913 წ.
 2 იხ. ხალხური სიბრძნე, ტ. 3, გვ. 210
 3 საქ. სსრ. ც. ი. ა. თ. 254. ანაწერი 1, № 1278.
 4 ა. შავხელიშვილი, 1969 წლის საველე ეთნოგრაფიული მასალა, გვ. № 3 გვ. 5.

¹ Ю. Дегериев, Вадбийский язык, 1953, Москва, გვ. 17.
² საქ. სსრ ც. ი. ა. თ. 154, ანაწერი 1, № 278,
³ გ. აბაშიძე, საკუთარი არქივი, საქალაღდე № 1, გვ. 3, 1931 წ.
⁴ ა. შავხელიშვილი, დასახელებული რვეული, იჭიბო.

შეთში ნამდვილად არსებული სახალხო გმი-
რია.

ამრიგად, რჩება შთაბეჭდილება, რომ ზეესე-
რებს რადგან „მეტე“ სახელის ტრადიცია არა
ჰქონდათ, იგი ზედსართავად მიიღეს და თა-
ვიანთ ვარიანტში „მეტნი“-დ გადაიკეთეს რა-
ტექსტი მთლიანად მრავლობით რიცხვში ჩას-
ვეს („მეტნი ხართ საღირისშვილნი“...) აქ შეიძ-
ლება საქმე გვაქვს მოგვიანო დროის მოქმელი
მეჭანოკურ მოქმედებასთან, ან დამოუკიდებელ
ისტორიულ ცნობასთან. არ არის გამორიცხე-
ლი, რომ ზეესურული ვარიანტი ასახავს ბახტ-
რიონის ბრძოლების დროინდელ თუშეთში
ესოდენ მრავლად წარმოდგენილ საღირისშვილ-
თა ჯგუფის „გაღმეტდა“, „მემეტეობას“. ზეეს-
ურული ვარიანტის ცნობას გამეტებელი სა-
ღირისშვილების შესახებ შეიძლება რაიმე საერო-
თუქ *ჰქონიყო* დ. გოგოჭურის მიერ მომოფე-
ბულ მასალასთან (რომ ლავაზო ხოშურაულის
გაღმოცემით, მის წინაპარ საღირას ჰყოლია
ორი შვილი: ნადირა და გამიხარდი), თეთ ხო-
შურაულის საციოხი საზოლოოდ გადაწვეტი-
ლი რომ იყოს. უკანასკნელი ვარიანტის გამოთ-
ქმა ნაადრევად მიგვაჩინა, რადგან ხოშურაულის
შესახებ აზრთა სხვადასხვაობისა აქვს ადგილი,
ზოგის აზრით იგი ფშაველია. ამიტომ ჯერ შეს-
წავლილი უნდა იქნას ფშავის ხოშურაულების
გაღმოცემები — შეიძლება ხოშურაულის შთა-
მოშველები მათ შორისაც გამოჩნდეს. აღნიშ-

ნულის გამო საციოხის გადაწვეტილათა სკ-
მარისი არ არის მხოლოდ ლავაზო ხოშურაულის
განცხადება, რომ იგი ბახტრიონის გმირის ხო-
შურაულის შთამომავალია. საციოხი ყველა ხო-
შურაულთა შორის უნდა იქნას შესწავლილი.
იგივე ითქმის ნადირას შესახებ. საციოლურმა
კვლევებებმა, როგორც „მეტე“-ს შემთხვევაში,
შეიძლება გვიჩვენოს რომ ისინი — ხოშურაუ-
ლი და ნადირა სულ სხვადასხვა ბირები არიან.

დ. გოგოჭურის მიერ დასახელებულ მკვლე-
ეარებს, ვფიქრობთ, სავსებით სწორადა აქვთ
გაგებული, რომ საღირისშვილს „მეტე“ ჰქვია
(ს. მკალათია, ქ. სიხარულიძე, ს. ყუბანინიშვი-
ლი) და, რომ იგი თუშების სახალხო გმირია
(ქ. სიხარულიძე). დ. გოგოჭური ნებისთა თუ
უნებლიედ ზედმეტად აფასებს ზეესურულ მა-
სალას, ხოლო თუშურ მასალისადმი ნიღილის-
ტურად დამოკიდებულების გამო ადგილობრივ
საციოხის შესწავლის გაღრმავების გარეშე არა-
სწორ დასკვნებს გვთავაზობს. თუშე მეთი სა-
ღირისშვილის გაიგებება ხოშურაულთან არაფ-
რითაა გამართლებული და ახსნილი. ასეთი დასკ-
ვნა მცდარია ფაქტორ ვითარების მიხედვით
და არც მკვლევარის მიზანს გამოხატავს —
წარმოაჩინოს კახეთის 1659 წლის აჯანყების სა-
ხალხო ხასიათი.

ა. შახხალიშვილი,
ლ. ვრელაშვილი.

3360 80 333.

6.94/115


ИНДЕКС
76128

«МНАТОБИ»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ